საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2019 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

შესავალი **7**

1. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა **23**

1.1. შესავალი 23

1.2. სახელმწიფო უწყებების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 27

1.3. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 38

2. სიცოცხლის უფლება **41**

2.1. შესავალი 41

2.2. სომატური ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 42

2.3. შეწყალების საქმე 44

2.4. თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე 44

2.5. ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობა 47

2.6. ია კერზაიას საქმე 47

3. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება **50**

3.1. შესავალი 50

3.2. პენიტენციური სისტემა 55

3.3. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა 83

3.4. ფსიქიატრიული დაწესებულებები 97

3.5. სამართალდამცავთა და პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის გამოძიება 111

3.6. 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიება 122

4. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება **127**

4.1. შესავალი 127

4.2. დაკავება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით 128

4.3. საკანონმდებლო ხარვეზები 129

4.4. პოლიციელების მოქმედებებისას გამოვლენილი ხარვეზები 130

4.5. თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა 131

4.6. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები 132

4.7. ივანე მერაბიშვილის საქმე 133

5. სამართლიანი სასამართლოს უფლება **135**

5.1. შესავალი 135
5.2. სასამართლო სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები 137
5.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა 140
5.4. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება.... 148
5.5. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.... 151
5.6. კანონიერების პრინციპი....152
5.7. სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა....153
5.8. დანაშაულის პროვოკაცია 154
5.9. ბრალდებულის თარჯიმნით უზრუნველყოფის უფლება....155
5.10. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია 155
5.11. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზები 157
5.12. არასრულწლოვანთა უფლებები მართლმსაჯულების პროცესში 159
6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.... 162
6.1. შესავალი 162
6.2. პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებები....163
6.3. პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წესი.... 164
6.4. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების წესი.... 164
6.5. გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 165
7. თანასწორობის უფლება.... 170
7.1. შესავალი 170
7.2. ქალთა თანასწორუფლებიანობა.... 171
7.3. შეზღუდული შესაძლებლობა 174
7.4. ეროვნება 176
7.5. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა 177
7.6. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია....179
7.7. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში....180
7.8. დისკრიმინაცია სოციალური უსაფრთხოების სფეროში.... 181
7.9. დისკრიმინაციის წახალისება 182
7.10. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ხარვეზები და პოლიციელების დისკრიმინაციული დამოკიდებულება....183

8. გენდერული თანასწორობა 186

8.1. შესავალი 186

8.2. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 186

8.3. ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომითი უფლებები 189

8.4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 190

8.5. ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები 192

8.6. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) 194

8.7. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა 196

8.8. ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება 203

8.9. ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 205

9. რწმენისა და რელიგიის თავისუფლება 214

9.1. შესავალი 214

9.2. საქართველოს კანონმდებლობა 215

9.3. საგადასახადო კანონმდებლობა 216

9.4. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობა 217

9.5. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები 218

9.6. საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები 219

9.7. საზღვრის კვეთა და რელიგიური ლიტერატურის შემოტანა 220

9.8. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება 221

9.9. რელიგიის თავისუფლება საგანმანათლებლო სისტემაში 221

10. გამოხატვის თავისუფლება 224

10.1. მედიაგარემო 225

10.2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებები 231

10.3. პასუხისმგებლობა არაწინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით 232

11. შეკრების თავისუფლება 235

11.1. შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევები 235

11.2. რეაგირება შეკრებილ პირთა ძალადობრივ და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით 241

11.3. „ღირსების მარში“ 246

11.4. შეკრების გამართვის ადგილზე დაწესებული შეზღუდვები 247

12. უფლებადამცველები 250

13. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება 255

13.1. უფლება სუფთა ჰაერზე 256
13.2. ბუნებრივი აირის მოხმარების უსაფრთხოება 259
13.3. სამშენებლო სფეროში მოქმედი ხარვეზიანი კანონმდებლობა 262
13.4. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები და ადამიანის უფლებები 266
13.5. საკანონმდებლო საკითხები 268
14. შრომის უფლება 272
14.1. შრომის პირობების კუთხით არსებული მდგომარეობა 272
14.2. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მუშაობა 275
15. ჯანმრთელობის დაცვის უფლება 279
15.1. პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევები 279
15.2. მაღალკვალიფიციური დამხმარე სამედიცინო კადრები 281
15.3. ონკოლოგიური პაციენტების უფლებები 282
15.4. მედიკამენტების ხელმისაწვდომობა და ხარისხი 283
15.5. ნარკოპოლიტიკა 285
16. სოციალური უზრუნველყოფის უფლება 288
16.1. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ეფექტიანობის შეფასება 288
16.2. საარსებო შემწეობის ადმინისტრირების ვადები 290
16.3. სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობა 291
17. სათანადო საცხოვრებლის უფლება 294
17.1. უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობა რეგიონებში 295
17.2. უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობა თბილისში 296
18. საარჩევნო უფლება 300
18.1. ძალადობრივი ხასიათის ინციდენტები და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის შემთხვევები 302
18.2. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა და ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლი 305
19. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება 307
20. ადამიანის უფლებათა სწავლება 311
20.1. შესავალი 311
20.2. ადამიანის უფლებათა სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა 311
20.3. ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების უწყვეტობა 314
20.4. პროზელიტიზმისა და ინდოქტრინაციის რისკი სასკოლო სივრცეში 317

20.5. ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებაში 318

21. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 321

21.1. შესავალი 321

21.2. ბავშვის სიცოცხლის უფლება 322

21.3. სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა 323

21.4. განათლების უფლება 327

21.5. სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე 330

21.6. შვილად აყვანა 332

21.7. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები 332

21.8. ბავშვის მიმართ ძალადობა 334

21.9. თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა 337

21.10. არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისგან 339

21.11. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 340

22. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა 348

22.1. შესავალი 348

22.2. აბილიტაცია და რეაბილიტაცია 349

22.3. განათლების უფლება 353

22.4. მისაწვდომობა 356

22.5. ჯანმრთელობის უფლება 358

22.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში 363

22.7. შშმ ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი 364

23. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 370

23.1. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში 371

23.2. ხანდაზმულ პირთა სახელმწიფო პენსიის დაკავება 373

23.3. ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობა 374

23.4. ხანდაზმულთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ადგილობრივ თვითმმართველობებში 375

24. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია 378
24.1. შესავალი 378
23.1. განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა 379
24.2. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 382
24.3. ეროვნული უმცირესობათა კულტურის დაცვა და პოპულარიზაცია 383
25. ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში 387
25.1. შესავალი 387
25.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 389
26. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 395
26.1. დოკუმენტაციისა და გადაადგილების თავისუფლების საკითხი 396
26.2. უსაფრთხოების საკითხები 399
26.3. განათლების უფლება 401
26.4. ჯანმრთელობის დაცვის უფლება 404
26.5. გამოხატვის თავისუფლება 406
26.6. „ბორდერიზაცია" და მისი გავლენა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობაზე 407
27. იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა 410
27.1. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება 410
27.2. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება 411
28. ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა 414
28.1. ეკომიგრანტთა განსახლება 414
28.2. ეკომიგრაციის პრევენცია 415
29. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში 417
29.1. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა და ძირითადი ტენდენციები 418
29.2. მიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა 422
29.3. სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგი 425
30. მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა 428

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის შესაბამისად. ანგარიშში წარმოდგენილია 2019 წელს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროგრესი, ასევე, მიმოხილულია სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების მდგომარეობა. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2019 წელს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მასში გაანალიზებულია ის პრობლემებიც, რომლებიც მანამდე წარმოიშვა და საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ 6737 განცხადება შემოვიდა, აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 5039. სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ 24 საათის განმავლობაში მიიღონ ინფორმაცია ან განაცხადონ უფლებადარღვევის შესახებ. 2019 წლის განმავლობაში ცხელ ხაზზე 9438 ზარი შემოვიდა.

სახალხო დამცველის აპარატის თბილისის ოფისში იურიდიული კონსულტაცია გაეწია 2399 ვიზიტორს. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონულმა ოფისებმა (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო) 4448 დაინტერესებულ პირს გაუწიეს სატელეფონო და პირადი კონსულტაცია. ჩატარდა 990 შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ მოსახლეობა და სხვადასხვა ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ინდივიდუალური განცხადებების განხილვის შედეგად, სახალხო დამცველმა 2019 წელს მოამზადა და გაგზავნა 75 რეკომენდაცია/წინადადება. მათგან ყველაზე მეტი რეკომენდაცია გაიგზავნა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში (19), ხოლო უწყებებს შორის - იუსტიციის სამინისტროში (10). 2019 წლის განმავლობაში მომზადდა 5 კონსტიტუციური სარჩელი, 14 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. სასამართლო მეგობრის მოსაზრებების უმეტესობა გადაიგზავნა თბილისის საქალაქო (6) და სააპელაციო (4) სასამართლოებში. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ასევე მიმართა ევროპულ სასამართლოს და მესამე მხარედ ჩაერთო ერთ-ერთ საქმეში.

ინდივიდუალური განცხადებების განხილვის შედეგად, პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში, ჯამში განხორციელდა 405 ვიზიტი. მონახულებულ იქნა 1728 დაკავებული/დაპატიმრებული პირი. დამატებით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, დახურული ტიპის დაწესებულებებში განხორციელდა 88 ვიზიტი. ასევე, აპარატის თანამშრომლებმა 15 ვიზიტი განახორციელეს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხოელთა, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად. თავშესაფრის

პროცედურასა და ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგის კუთხით, 11 ვიზიტი განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე ქვეყნის მასშტაბით, 25 საერთაშორისო ფრენის მონიტორინგი თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებში.

თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, სახალხო დამცველის აპარატმა მოინახულა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 35 სამხედრო ნაწილი. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციის აღსრულებისა და მონიტორინგის ფარგლებში, განხორციელდა 17 გეგმური ვიზიტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, 3 გეგმური ვიზიტი შშმ პირთა სადღეღამისო დაწესებულებაში, 6 გეგმური ვიზიტი შშმ პირთა სათემო ორგანიზაციაში, 26 გეგმური ვიზიტი შშმ პირთა დღის ცენტრებში (თბილისსა და 6 რეგიონში). 11 არაგეგმური ვიზიტი განხორციელდა შშმ პირთა პანსიონატებში, სოციალური მომსახურების ცენტრებში, ბავშვთა საოჯახო ტიპის სახლებში. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მონიტორინგის ფარგლებში, გენდერის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განახორციელეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურებისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა 4 თავშესაფრისა და 5 კრიზისული ცენტრის მონიტორინგი. ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებზე მონიტორინგი ჩატარდა: 46 მუნიციპალიტეტის 143 ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, საბავშვო ბაღების 46 გაერთიანებაში, მინდობით აღზრდის 4 ოჯახში, 14 საჯარო სკოლაში, სოციალური მომსახურების 6 ცენტრში. თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და მიგრანტთა უფლებების დაცვის საკითხებზე საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სტატუსის დადგენის 18 საქმის მონიტორინგი, შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ლტოლვილისა და ჰუმანიტარულის სტატუსების მინიჭებაზე უარის შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გასაჩივრების 15 მონიტორინგი თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებელთა, 15 სასამართლო პროცესის მონიტორინგი. სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წელს მოინახულა 70-ზე მეტი სოფლის ამბულატორია საქართველოს 17 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, მონიტორინგები ასევე ჩატარდა თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატებში.

2019 წლის განმავლობაში მომზადებული 15 სპეციალური ანგარიში შეეხებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთ სფეროებს, როგორიცაა სანიტარია და ჰიგიენა საქართველოს საჯარო სკოლებში, უფლება სუფთა ჰაერზე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ბავშვზე ზრუნვის სისტემა, ინკლუზიური განათლება, არასათანადო მოპყრობის გამოძიების ეფექტიანობა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, პატიმართა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება და მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის თითოეულ თავში წარმოდგენილი ზოგადი შეფასებები სწორედ ზემოაღნიშნული მეთოდებით მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

ანგარიში აერთიანებს შემდეგ თემატიკას:

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში სიცოცხლის უფლების გარშემო მსჯელობით იწყება. ამ თავში, პირველ რიგში, შეფასებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ბენეფიციართა სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობის კუთხით არსებული ვითარება, რაც პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი გარდაცვალების მიზეზი ხდება. აღნიშნულის გარდა, მოცემულ თავში მიმოვიხილავთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალების აქტებს და მათ შესაბამისობას სიცოცხლის უფლების პროცედურულ ასპექტთან. სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალებული პირების სასჯელის არსებითი ნაწილის მოუხდელად განთავისუფლებით, დაირღვა სიცოცხლის უფლება. თავში ასევე წარმოდგენილია მსჯელობა თემირლან მაჩალიკაშვილისა და ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტებზე დასრულებული გამოძიების შედეგებსა და ხორავას ქუჩაზე 2 არასრულწლოვნის მკვლელობის საქმეზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე შეწყვეტილი გამოძიების განახლება, ვინაიდან არ ჩატარებულა ცალკეული მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები, რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას გამოძიების განახლების შესახებ წინადადებით მიმართა. რაც შეეხება ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვნების მკვლელობის საქმეს, სახალხო დამცველმა ამ საქმეში სავარაუდოდ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ, წინადადებით მიმართა პროკურატურას, თუმცა მას წინადადება არ გაუზიარებია, გამოძიების ნაცვლად, მხოლოდ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო, რომელიც ამ დრომდე არ დასრულებულა. ია კერზაიას საქმესთან მიმართებით, სახალხო დამცველის შეფასებით, გამოძიება დაგვიანებით დაიწყო, რის გამოც საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მტკიცებულების მოპოვება და სიმართლის დადგენა ვერ მოხერხდა.

არასათანადო მოპყრობასთან ეფექტიანი ბრძოლა, წინა წლების მსგავსად, კვლავ ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. 2019 წელს სახალხო დამცველის აპარატში 128 განცხადება დარეგისტრირდა, სადაც მოქალაქეები სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითებდნენ. განცხადებების უმეტესობა პენიტენციური დაწესებულებების (54 შემთხვევაში) და პოლიციის თანამშრომელთა (50 შემთხვევაში) მიერ სავარაუდოდ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ეხებოდა.

წინა წლების მსგავსად, 2019 წელსაც, ხშირ შემთხვევაში, სისტემური რეკომენდაციები, რომლებიც წლების განმავლობაში გაიცემა და რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციაზე, კვლავ შეუსრულებელია. არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის თანახმად კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტით უნდა განისაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე

ექიმის ვალდებულება: დაზიანების ფორმის შევსება, ფოტოგადაღება და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოებისთვის გადაგზავნა განახორციელოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმს წარმოეშვება ეჭვი პატიმრის მიმართ ჩადენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ, განურჩევლად იმისა, მიიღო თუ არა ექიმმა პატიმრის ინფორმირებული თანხმობა. ასევე, გამოწვევად რჩება არასათანადო მოპყრობისგან დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების ნაკლებობა; პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა; პატიმრობის სათანადო პირობების უზრუნველყოფა; პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისკენ მიმართული აქტივობებისა და გარე სამყაროსთან კონტაქტის სიმწირე; სამედიცინო მომსახურებისა და პრევენციული ჯანდაცვის კუთხით არსებული ხარვეზები და ფსიქიკური ჯანდაცვა. 2019 წელს სახალხო დამცველის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი იყო პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის საკითხი და მისი გავლენა პატიმართა უფლებრივ მდგომარეობაზე.

სამწუხაროდ, 2019 წელს, არც შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემასთან დაკავშირებით გაცემული სისტემური რეკომენდაციები შესრულებულა. კერძოდ, პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი მოქალაქეები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილნი არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის საკმარისი გარანტიებით; ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები არ არიან აღჭურვილნი გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობის სამხრე კამერებით; ნორმატიულად ისევ არ არის გაწერილი პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება; შეუსრულებელია რეკომენდაცია დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის წარმოების თაობაზე და სხვ.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, სამწუხაროდ, ამ მიმართულებითაც შეუსრულებელია სისტემური რეკომენდაციები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის. შეუსრულებელია სახალხო დამცველის წინადადებები ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის რეგულაციებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. საქართველოში არსებული 10 დიდი ზომის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არსებული პირობები და თერაპიული გარემო ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა ღირსეულ ცხოვრებასა და უფლებების დაცვას; გადახედვას, განახლებასა და შეცვლას საჭიროებს ანტიფსიქოზური და მედიკამენტებით მკურნალობის არსებული სისტემაც.

სისტემურ პრობლემად რჩება სამართალდამცავთა სისტემის თანამშრომელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება. შენარჩუნებულია არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების ტენდენცია, მით უფრო მაშინ, როდესაც ასეთი შეტყობინებების ავტორი სახალხო დამცველის აპარატი ან არასამთავრობო ორგანიზაციებია, თუმცა, კვლავ თვალსაჩინო პრობლემად რჩება ასეთ საქმეებზე გამოძიების გაჭიანურების

სისტემატურობა. სახალხო დამცველი მიესალმება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნასა და ამოქმედებას. ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის აქტიური მცდელობით დაიძლევა არასათანადო მოპყრობის საქმეთა ეფექტიანად გამოძიების პრობლემა. დადებითად უნდა შეფასდეს შექმნის დღიდან სახალხო დამცველის აპარატთან აქტიური კომუნიკაცია და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

საქართველოს სახალხო დამცველი არასათანადო მოპყრობის პროცედურული ვალდებულის ჭრილში იხილავს 2019 წლის 20-21 ივნისის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას. სახალხო დამცველის აპარატმა, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესწავლის ფარგლებში, 2019 წელს საგამოძიებო ორგანოს 6 წინადადებით მიმართა. ანგარიშში წარმოდგენილია ამ წინადადებების შესრულების მდგომარეობა. მთავარ ტენდენციად იკვეთება გამოძიების მხოლოდ ინდივიდუალურ სამართალდამცავთა დანაშაულებრივი მოქმედებების გამოვლენასა და მათი ცალკეული როლის შეფასებაზე ორიენტირებულობა. გამოძიება არ არის მიმართული ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენაზე. გარდა ამისა, პრობლემაა რიგი საგამოძიებო ღონისძიებების ჩაუტარებლობა, რომელთა ჩატარებაც, სახალხო დამცველის შეფასებით, გამოძიების ეფექტიანად მიმდინარეობისათვის აუცილებელია (მაგალითად, სხვადასხვა რაციის ჩანაწერების ამოღება, გარკვეული ჩანაწერების ექსპერტიზა და სხვ.) სახალხო დამცველის წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, ამ დრომდე შეუსრულებელია.

ანგარიშის ერთი თავი ეთმობა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას და მასში საუბარია პირთა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დაკავების თაობაზე. ასევე განხილულია საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას აწესებენ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა, შემთხვევები, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი მოტივით აეკრძალათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, და პოლიციელების მოქმედებისას გამოვლენილი ხარვეზები. საკანონმდებლო ხარვეზების თვალსაზრისით, თავში მიმოხილულია ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებული პრობლემა, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული დაკავების ვადები. პოლიციელების მოქმედებებისას გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებით, შეფასებულია 2019 წელს საპროტესტო აქციების მონაწილეთა დაკავებისას პოლიციის თანამშრომელთა ქმედებები. ამავე თავში განვიხილავთ ივანე მერაბიშვილის საქმეზე განახლებული გამოძიების ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესწავლის შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებებს.

ანგარიშის ერთ-ერთი ნაწილი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას და გამოვლენილ ხარვეზებს. პირველ რიგში მიმოხილულია სასამართლო სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები, აქვე შეჯამებულია საქართველოს უზენაესი

სასამართლოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებული საკითხები და ამ პროცესში სახალხო დამცველის ჩართულობა.

სამწუხაროდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ხარვეზიანი და გაუმჭვირვალე პროცედურების საფუძველზე შეირჩნენ. მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტიკის საგანი გახდა. საკანონმდებლო რეგულაციებმა ვერ უზრუნველყო მოსამართლეთა არჩევა სათანადოდ გამჭვირვალე კონკურსის პირობებში. კონკურსი იძლეოდა თვითნებური და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ასევე, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის აღმოჩნდნენ პირები, რომელთა მიერ კანონით განსაზღვრული მინიმალური აკადემიური ხარისხის ფლობამ კითხვები წარმოშვა. საქართველოს სახალხო დამცველმა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

ამავე თავში მიმოხილულია საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც, ერთი მხრივ, პირებს თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიით სარგებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას უზღუდავენ. გარდა ამისა, წარმოდგენილი იქნება მსჯელობა იმ საქმეებზე, სადაც სასამართლო პროცესები კანონიერების პრინციპთან შეუსაბამოდ მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში, წინა წლების მსგავსად, პრობლემები გამოიკვეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მიმართულებითაც. სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერც 2019 წელს შეძლეს პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელების თავიდან აცილება. 2019 წელს, პირადი საიდუმლოს ხელყოფის დანაშაულის თაობაზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სასამართლო პროცესები 21 პირის მიმართ კვლავ მიმდინარეობდა. ნიშანდობლივია, რომ კადრების თავდაპირველი მომპოვებელი, შემნახველი და გამავრცელებელი პირები ისევ დაუდგენელია. 2019 წელს ადგილი ჰქონდა პატიმართა მიმართ პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტებსაც, მათ შორის, საცხოვრებლისგან მოშორებით მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა დაუსაბუთებელი გადაყვანისა და სხვა გარემოებების გამო.

თანასწორობის უფლების დაცვის კუთხით, 2019 წელი მნიშვნელოვანი იყო დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის გაუმჯობესების მხრივ. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2019 წლის თებერვალსა და მაისში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რის შედეგადაც, ფიზიკური პირები, საჯარო სამართლის სუბიექტების მსგავს სამართლებრივ რეგულირებაში მოექცნენ და მათზე გავრცელდა სახალხო დამცველის მანდატი შესაბამისი აღსრულების სავალდებულო მექანიზმებით; ასევე მისასალმებელია, რომ კანონმდებელმა სექსუალური შევიწროება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განსაზღვრა, რის შედეგადაც კანონმდებლობაში ახალი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი გაჩნდა; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით, შევიწროება და სექსუალური შევიწროება ასევე განისაზღვრა დისკრიმინაციის ფორმებად. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ უარი

გონივრულ მისადაგებაზე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი დღემდე არ გამხდარა.

აპარატის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, დისკრიმინაციას იწვევს დაუცველი ჯგუფების შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და არასწორი აღქმები, თუმცა მათ დასაძლევად, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ღონისძიებები ნაკლებად ტარდება. ყველაზე დაუცველ ჯგუფებად 2019 წელსაც ქალები, შშმ პირები და ლგბტ+ თემის წარმომადგენლები რჩებიან. ასევე კრიტიკულია რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების თანასწორუფლებიანობა.

კვლავ არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე მორგებული სახელმწიფო პროგრამები; კერძო სექტორში დასაქმებულთათვის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა გამოწვევად რჩება. პრობლემურია ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორუფლებიანობაც; სხვადასხვა მომსახურების მისაწვდომობის მხრივ, ხარვეზებია როგორც ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთათვის, ისე უსინათლოებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა ვიქტიმიზაციის ფაქტი შრომით ურთიერთობაში, როდესაც დამსაქმებელმა პირის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად მის მიერ სახალხო დამცველისთვის მიმართვა დაასახელა. 2019 წელმა ასევე აჩვენა, რომ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება დისკრიმინაციული დანაშაულების გამოძიება და პრევენცია.

პრობლემურია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოში. 2019 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის" მიხედვით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით, 153 ქვეყნიდან, საქართველო 94-ე ადგილს იკავებს. კვლავ განსხვავდება სქესთა შორის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლის თანაფარდობა. რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების ეფექტიანი განხორციელების კუთხით არსებული გამოწვევები, ქალთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მაჩვენებელზე, ასევე უარყოფითად აისახება.

საგანგაშოა გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობები (ფემიციდი). ფემიციდი საზოგადოებაში არსებული გენდერული და სოციალური უთანასწორობის პირდაპირი შედეგია. საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2019 წელს ქალის მკვლელობის 19 ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც, ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი იყო 10, ხოლო ქალთა მკვლელობის მცდელობის 22 ფაქტიდან, ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი იყო 18. პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის პირობებში ჩადენილი მკვლელობის/მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების პრევენცია. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე სოციალური მუშაობის მიმართულებით, კონკრეტული ღონისძიებები ამ დრომდე არ გატარებულა. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სოციალური

სამსახურისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობები პრაქტიკულად არ სრულდება.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სექსუალური ძალადობის საქმეთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხარვეზები იკვეთება სექსუალური ძალადობის დანაშაულების საკანონმდებლო რეგულირების, ამგვარი დანაშაულების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე, რაც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციასა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ასევე, პრობლემურია ტრეფიკინგის შემთხვევების გამოვლენის დაბალი მაჩვენებელი, დანაშაულის პროაქტიულად გამოსავლენად, კვლავაც გასაძლიერებელია მუშაობა.

სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის პრაქტიკა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. წინა წლების მსგავსად, პრობლემურია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სოციალურ სამსახურს შორის კოორდინირებული მუშაობა და რეფერირების მექანიზმის გამართული მუშაობა ადრეული ქორწინებისა და ნიშნობის შემთხვევების გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად. სახალხო დამცველი მიესალმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ მასშტაბურ კამპანიას ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის საკითხზე.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროექტებისა და პროგრამების არსებობას. ამის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული პროექტების, პროგრამებისა და ინიციატივების სიმცირე, როგორც მთავრობის, ისე თვითმმართველი ერთეულების დონეზე.

2019 წელს ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ჰომოფობიური და ანტიგენდერული ჯგუფების მომრავლების და გაძლიერების გამო, ლგბტ+ ადამიანები კვლავ განიცდიან ჩაგვრას, ძალადობას და დისკრიმინაციას. ამასთან, საზოგადოების დიდ ნაწილში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების გამო, ლგბტ+ პირებისთვის გართულებულია შრომის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და განათლების უფლებებით დაუბრკოლებლად სარგებლობა. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს შესწავლილი საქმეების მიხედვით, ქვეყანაში კვლავ მაღალია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ლგბტ+ პირების მიმართ ძალადობის ფაქტები. მაშინ, როდესაც უფლებების შეზღუდვის ფაქტები კერძო პირებიდან მომდინარეობს, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო უმოქმედო რჩება და პოზიტიურ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით კრიტიკული იყო მდგომარეობა ლგბტ+ თემის წევრთა გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით.

2019 წელს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით, წინა წლის მსგავსად, პრობლემა იყო თავისუფალი და პლურალური მედიაგარემოს არსებობა. მწვავე

კითხვები გაჩნდა აჭარის ტელევიზიის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის ცვლილების მცდელობასთან დაკავშირებით. საანგარიშო წელი გამოირჩეოდა ხელისუფლების გავლენისგან დამოუკიდებელი ტელეკომპანიების მესაკუთრეებთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი საქმეების წარმოების სიმრავლით, რაც, ქვეყანაში კრიტიკული მედიის დევნის მცდელობასთან დაკავშირებით, კითხვებს წარმოშობს. სახელმწიფოს დღემდე არ გამოუძიებია აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გაუჩინარების საქმე.

აღნიშნულის გარდა, 2019 წელს კვლავ პრობლემური იყო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივების სამწუხარო ტენდენცია. სახალხო დამცველის შეფასებით, შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები მედიის პროგრამების შინაარსში ჩარევის შესაძლებლობას შექმნის, რაც უარყოფითად აისახება ქვეყანაში არსებული გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტზე.

შეკრების თავისუფლების დაცვის საკითხები საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური იყო. ქვეყნის მასშტაბით, წლის განმავლობაში არაერთი მანიფესტაცია, საპროტესტო აქცია, კონტრაქცია თუ პიკეტირება გაიმართა. მიმდინარე პერიოდში განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა განსხვავებული შეხედულებების ჯგუფებს შორის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ზომების მიუღებლობა, შეკრებილ პირთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღსაკვეთად სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობა, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ არაპროპორციული და გაუმართლებელი ძალის გამოყენება.

საანგარიშო პერიოდში, ლგბტ+ თემის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერებისთვის, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაში, რადიკალური ჯგუფების მხრიდან ხელის შეშლის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. ამ შემთხვევებში თვალსაჩინო იყო სახელმწიფოს განსხვავებული რეაგირება მოძალადე ჯგუფების მიმართ, რომლებიც შეკრების უფლების საფარქვეშ ცდილობდნენ სხვათა უფლებების უხეშად და ძალადობრივად დარღვევას. სახალხო დამცველის შეფასებით, ჰომოფობიური ჯგუფების მხრიდან კონტრაქციების მსგავსი მიზნით გამართვა უფლების ბოროტად გამოყენებაა, ხოლო მათ მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები დაცული არ არის შეკრების თავისუფლებით.

შეკრების თავისუფლებით სარგებლობის კუთხით არსებული პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების ფონზე გამოვლინდა. ძალის გამოყენებამდე, ადგილზე არ შესრულებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი ვალდებულება, როგორიცაა შეკრების მონაწილეების მკაფიო და გასაგები ფორმით წინასწარი გაფრთხილება სპეციალური საშუალებების მოსალოდნელი გამოყენების თაობაზე. მათთვის პოლიციას არც გონივრული დრო მიუცია კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.

ყურადღებას იმსახურებს მოვლენების გასაშუქებლად საპროტესტო აქციებზე მყოფი ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის, მათი დაკავებისა და დაშავების ფაქტები. წლის განმავლობაში შეკრების უფლებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მოამზადა სპეციალური ანგარიში, რომელიც 2020 წელს გამოქვეყნდება.

სახალხო დამცველის შეფასებით, 2019 წელს პრობლემური იყო ადამიანის უფლებათა დამცველებთან მიმართებით არსებული ვითარებაც. 2019 წელს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე თუ დამოუკიდებლად მოქმედი აქტივისტების წინაშე არაერთი ისეთი გამოწვევა დადგა, როგორიცაა დისკრედიტაცია, ფიზიკური თუ სიტყვიერი თავდასხმა, დაშინება და სხვ. განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ ექცევიან ქალთა და ლგბტ+ თემის წარმომადგენლების უფლებადამცველები.

ქვეყანაში, რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად, წინა წლების მსგავსად, ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები რჩება. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და სუფთა ჰაერზე უფლების რეალიზაციისთვის გატარებული ღონისძიებების არაეფექტიანობა; ბუნებრივი აირის მოხმარების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება და მათი ეფექტიანი აღსრულება; მშენებლობასთან დაკავშირებული ხარვეზიანი რეგულაციები; ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ადამიანის უფლებების გაუთვალისწინებლობა. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით პოლიტიკის დოკუმენტების არარსებობის უცვლელი პრობლემა; გარემოზე ზემოქმედების შეფასების ხარვეზიანი პროცესი.

2019 წელი პრობლემური იყო შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების გაუმჯობესების მხრივაც. 2019 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაოს ანალიზი აჩვენებს, რომ შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის კუთხით შესამჩნევი პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, დეპარტამენტის მანდატი და მის ხელთ არსებული რესურსები არ არის საკმარისი მათთვის დაკისრებული მნიშვნელოვანი ფუნქციების შესასრულებლად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წელს სამუშაო ადგილებზე 49 ადამიანი დაიღუპა და 142 ადამიანი დაშავდა.

სახალხო დამცველის შეფასებით, 2019 წელს ჯანმრთელობის უფლებასთან მიმართებით, კვლავ გართულებული იყო საყოველთაო, პირველადი და კიბოს წინააღმდეგ მიმართული ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანი განხორციელება; ამასთან, მწვავედ დგას კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სახელმწიფო პროგრამის საჭიროება.

სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წელს, საქართველოს 17 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, 70-ზე მეტი სოფლის ამბულატორია მოინახულა. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მწვავე პრობლემები უკავშირდება როგორც ინფრასტრუქტურას (მოუწესრიგებელი

შენობების, გაუმართავი საკომუნიკაციო და სანიტარიულ-ჰიგიენური სისტემების), ისე კვალიფიციური დამხმარე პერსონალის (ექთნების) ნაკლებობას. განსაკუთრებულად პრობლემურია მედიკამენტების ხელმისაწვდომობა და ხარისხთან დაკავშირებული პოლიტიკის აქტიური და თანმიმდევრული გატარება. ქვეყანაში მნიშვნელოვანი დეფიციტია სამედიცინო კადრების თვალსაზრისითაც.

2019 წელს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურ ზედამხედველობას უწევდა სოციალური უზრუნველყოფის უფლების დაცვას. ამ მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მეთოდოლოგიაში საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადების ადმინისტრირებისა და სათანადო კვების უფლების/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

2019 წლის განმავლობაში პრობლემური იყო სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული საკითხებიც. წინა წლების მსგავსად, ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარო პირთა სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა. პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა ერთიანი და რიგ მუნიციპალიტეტებში - ადგილობრივი მონაცემთა ბაზების უქონლობა, შეზღუდული საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურული რესურსები, თავშესაფრებსა და სოციალურ საცხოვრისებში მოთავსებული პირებისთვის მხარდამჭერი პროგრამების არარსებობა, ხოლო ცალკეულ მუნიციპალიტეტებში - მათი არაეფექტიანობა.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2019 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მიერ „სათანადო საცხოვრისის უფლების დაცვის მდგომაროების შესახებ" საკომიტეტო მოკვლევის დაწყებას, რომლის მიზანიცაა შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მწყობრი პოლიტიკის ჩამოყალიბებას ადამიანების საცხოვრისით უზრუნველყოფის მიმართულებით.

2019 წელს, არა მხოლოდ საარჩევნო უფლების, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მწვავე იყო საარჩევნო სისტემის შესაძლო ცვლილების თემა. სამწუხაროდ, პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა 2020 წლის არჩევნებისთვის შერეული საარჩევნო სისტემის გაუქმებასა და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. თუმცა, 2020 წლის მარტის დასაწყისში, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა პოლიტიკური შეთანხმება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, აღნიშნული შეთანხმება დროულად აისახოს საკანონმდებლო რეგულაციებში და 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები მაქსიმალურად თანასწორ, მშვიდობიან და ჯანსაღ საარჩევნო გარემოში წარიმართოს.

2019 წელს სახალხო დამცველის აპარატმა ზედამხედველობა გაუწია მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებს და მასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. სახალხო დამცველის შეფასებით, სხვადასხვა ძალადობრივი ინციდენტი, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დაპირისპირება, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლი, ამომრჩევლის მოსყიდვის შესაძლო შემთხვევები, ნეგატიურად აისახა არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარების საჯარო ინტერესზე. ამ კუთხით სამართალდამცველთა მხრიდან ეფექტიანი და დროული რეაგირება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის 8 ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში არცერთ საქმეში კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის.

წინა წლების მსგავსად, პრობლემად რჩება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. კვლავ არ არსებობს კერძო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის სათანადო მექანიზმები, პრობლემურია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე უკანონო სამუშაოებისას ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კომპეტენციებისა და ვალდებულებების მკაფიოდ გამიჯვნის საკითხი, არ სრულდება კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის ვალდებულებები და უშედეგოდ მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში ასევე მიმოხილულია ქვეყანაში ადამიანის უფლებების სწავლების საკითხი. შესაბამისი თავის ფარგლებში გაანალიზებულია სახელმწიფო პოლიტიკა და სტრატეგიული დოკუმენტები, წარმოდგენილია მსჯელობა ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებაში ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების მხრივ არსებულ პრობლემებზე; ასევე, სასკოლო სივრცეში პროზელიტიზმისა და ინდოქტრინაციის რისკის შესახებ.

ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის დაცვის კუთხით, მისასალმებელია 2019 წელს პარლამენტის მიერ „ბავშვის უფლებათა კოდექსის" მიღება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა კონკრეტულად არ განსაზღვრავს პროპორციული და ეფექტიანი ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომებს ბავშვის სხეულებრივი დასჯის აკრძალვის თაობაზე.

2019 წლის მონაცემებით, გასულ წლებთან შედარებით, საქართველოში გაზრდილია არასრულწლოვანთა სუიციდისა და სუიციდის მცდელობის შემთხვევები; კვლავ სუსტია ბავშვთა ფსიქოსოციალური დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა, არ არსებობს რისკის ქვეშ მყოფ და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დახმარებისა და რეაბილიტაციის სერვისები, ამ დრომდე არ არის შემუშავებული ბავშვთა სუიციდის პრევენციის სტრატეგია.

კვლავ გამოწვევად რჩება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვა და რეაბილიტაცია. კრიტიკულია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბენეფიციართა სექსუალური ძალადობისგან დაცვის საკითხი. მაღალია სკოლის მიტოვების მაჩვენებელი, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, ადრეულ ასაკში დაქორწინებული და შრომაში ჩართული ბავშვები. პრობლემად რჩება რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ პანსიონებში მყოფ ბავშვებზე სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა. ასევე, პრობლემაა პანსიონების ლიცენზირება, სახელმწიფო კონტროლის უმოქმედობა და სააღმზრდელო გარემოს ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მოურგებლობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ძალადობის შემთხვევის დროული გამოვლენისა და ბავშვის ინტერესებზე მორგებული რეაგირების კუთხით, კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების, განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის საკითხი. 2019 წელს სახელმწიფოს კვლავ არ ჰქონდა ძალადობის, კერძოდ, ბულინგის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

გასული წლების მსგავსად, მრავალი გამოწვევა რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების თანასწორად და ეფექტიანად რეალიზების მიმართულებით. 2019 წლის განმავლობაში, ამ მხრივ არსებითი ხასიათის ცვლილებები არ გამოკვეთილა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის განსახორციელებლად. არც ამ პროცესის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება განსაზღვრულა და არც კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება მომხდარა.

განსაკუთრებულ პრობლემად იკვეთება ის, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ზრდასრულ შშმ პირთა წვდომას რეაბილიტაციაზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში გატარებული ღონისძიებები ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების უფლებების დასაცავად საკმარისი არ არის, ასევე მცირეა სათემო სერვისების რაოდენობა და გეოგრაფიული დაფარვის არეალი. გარდა ამისა, 2019 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების რეალიზების კუთხით, ვითარება არ გაუმჯობესებულა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის განმავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა შშმ პირთათვის სივრცის მოწყობის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის გადახედვის და კონვენციასთან ჰარმონიზაციის პროცესი. 2019 წელს ასევე მომზადდა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რასაც სახალხო დამცველი დადებითად აფასებს. დადებითად უნდა შეფასდეს ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლად 2018-2019 წლებში 10 ახალი ორგანიზაციის დარეგისტრირება და სათემო სერვისების ზრდის ტენდენციაც.

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, ხანდაზმულთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, არაერთი პრობლემა გამოავლინა, კერძოდ, ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური აქტიურობის ხელშეწყობის და მომსახურებისას ინდივიდუალური მიდგომის მიმართულებებით. პრობლემაა ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი სტატისტიკის არარსებობა, ასევე, ხანდაზმულთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ადგილობრივ თვითმმართველობებში. ამავე პერიოდში სახალხო დამცველმა შეაფასა საბანკო დაწესებულებების მიერ ხანდაზმულ პირთა თვიური პენსიის 50%-ზე მეტის დაკავების შემთხვევების კანონიერება, რაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. დადგინდა, რომ ამ მხრივ, არ მოქმედებს პენსიის დაკავების რაიმე რეგულაცია/შეზღუდვა.

ეროვნული უმცირესობების დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით, 2019 წელს კვლავ გამოვლინდა გამოწვევები განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობის, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების, და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მხრივ. გარდა ამისა, პრობლემურია ადგილობრივ დონეზე ინიციატივების წახალისების ნაკლებობა.

2019 წელს, არსებითად არ გაუმჯობესებულა რელიგიის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული მდგომარეობა. კვლავ გადაუჭრელია რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საგადასახადო და ქონებრივი საკითხები. პროგრესი ამ მიმართულებით გამოიხატება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებში რელიგიური მოტივით ჩადენილ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით.

სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვას. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს, რომ საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა მისი არაერთი წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაცია, გათანაბრდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიით მოსარგებლეთა მდგომარეობა და ვეტერანის სტატუსის მქონე ყველა პირს მიეცა საყოფაცხოვრებო სუბსიდიით სარგებლობის შესაძლებლობა. პრობლემურია, რომ წინა წლის მსგავსად, 2019 წელსაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის სამსახურის თანამშრომლებს მცირე ზომის ჯიხურებში უწევთ ყოფნა. თავდაცვის სამინისტროს რიგ სამხედრო ნაწილებში კვლავ აღმოუფხვრელ პრობლემად რჩება სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება. სახალხო დამცველის ანგარიშში საუბარია ვეტერანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობაზეც და წარმოდგენილია რეკომენდაცია შესაბამისი საგადასახადო შეღავათების გაზრდის აუცილებლობის თაობაზე.

წინა წლების მსგავსად, 2019 წელსაც, კვლავ მძიმე იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა. დღემდე არ დამდგარა წინა წლებში მომხდარ მკვლელობებში უშუალო მონაწილე საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლების პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, 2019 წელს საგანგაშო იყო ე.წ. გამშვები პუნქტების ხანგრძლივი დროით ჩაკეტვა, რამაც ოკუპირებული ახალგორის რაიონის შემთხვევაში ჰუმანიტარული კრიზისი და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე პრობლემები გამოიწვია. სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღების შეუძლებლობის გამო რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებას, 2019 წლის განმავლობაში, ენგურის ხიდზე სხვადასხვა მიზეზით რამდენიმეჯერ შეიზღუდა გადაადგილება. მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს მოქალაქეების (მათ შორის ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის) ე.წ. საზღვრის კვეთისთვის უკანონო დაკავების/პატიმრობის ფაქტები და ე.წ. „ბორდერიზაციის" პროცესის განახლება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული თვითნებური შეზღუდვები, უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ სხვადასხვა უფლებით სარგებლობაზეც, მათ შორის, ჯანდაცვის, განათლების უფლებით სარგებლობაზე, უსაფრთხოების, ცხოვრების სათანადო დონის, ოჯახური ცხოვრების უფლებასა და რელიგიის თავისუფლებაზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე პრობლემაა პატიმართა ცემა, არასათანადო მოპყრობა და წამება დროებით იზოლატორებსა თუ საპყრობილეებში, ასევე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების რეალიზება. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება იზღუდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გალისა და ახალგორის ყველა სკოლის დაწყებით კლასებში სრულად არის აკრძალული ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო ქართული ენა, როგორც უცხო ენა, მხოლოდ სკოლების ნაწილში ისწავლება.

სახალხო დამცველმა, წინა წლების მსგავსად, აქტიურად შეისწავლა იმ დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით უწევთ პრობლემებთან გამკლავება, მათ შორის, ნგრევად ობიექტებში ცხოვრება. სამწუხაროდ, 2019 წელს ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არ იყო საკმარისი და დევნილთა ნაწილი სიცოცხლისთვის საშიშ შენობა-ნაგებობაში განაგრძობს ცხოვრებას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2019 წელს გამოიკვეთა ე.წ. ნგრევადი ობიექტებიდან განსახლებული ოჯახების რაოდენობის კლება, რასაც სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს. თუმცა სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2019 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით გამოსყიდული ბინებიდან საცხოვრებელი სახლების დევნილ ოჯახებზე გადანაწილების პრაქტიკას.

2019 წელს, ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, კვლავ მთავარი გამოწვევაა განსახლებისთვის გამოყოფილი თანხების სიმცირე და ეკომიგრაციის გამომწვევი მიზეზების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების ნაკლებობა. გარდა ამისა, 2019 წელს ასევე გამოიკვეთა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების არაერთგვაროვანი მიდგომა სტიქიის შედეგად დაზარალებული და განსახლებას დაქვემდებარებული პირების მიმართ. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წელს კვლავ შენარჩუნებულია ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობის ზრდის ტენდენცია. 2019 წლის მონაცემებით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 6 187 ეკომიგრანტი ოჯახია რეგისტრირებული. მათგან, სახელმწიფო უწყებებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, საცხოვრებლით უზრუნველყვეს 1 957 ოჯახი.

2019 წელს, წინა წლების მსგავსად, სახალხო დამცველმა შეისწავლა უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში. მართალია, 2019 წელს თავშესაფრის მაძიებელთა მომართვიანობა გაიზარდა, თუმცა, მათთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი კვლავ დაბალია. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, წინა წლის მსგავსად, 2019 წელს, აღნიშნულთან ერთად, ასევე პრობლემური იყო თავშესაფრის მაძიებელთათვის უსაფრთხოების საფუძვლით ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის დასაბუთებულობის საკითხი და ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები. სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საფუძვლით ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი, პრობლემაა ბინადრობის უფლების მოპოვების მიმართულებითაც.

2019 წელს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, კვლავ პრობლემური იყო საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში სტატუსის დადგენის მოთხოვნის უფლების აკრძალვა; მოქალაქეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შეზღუდვა; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შეზღუდვა; აგრეთვე, უსახლკარო მოქალაქეობის არმქონე პირების იმ მუნიციპალური პროგრამებიდან გამორიცხვა, რომლებიც მიზნად ისახავენ უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფას.

დასასრულს, სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულება პრიორიტეტული იქნება ყველა შესაბამისი უწყებისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

1.1. შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში შეიცავს რეკომენდაციებს და წინადადებებს, რომლებიც შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მიემართება და მიზნად ისახავს ანგარიშში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის გზით, ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას კონკრეტულ სფეროში. წინამდებარე თავში გაანალიზებულია წინა წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული სისტემური ხარვეზების აღმოფხვრისკენ მიმართული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახელმწიფო უწყებებს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს 310 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტს 39 წინადადებით მიმართა. სამწუხაროდ, გარკვეული რეკომენდაციები და წინადადებები წლების განმავლობაში მეორდება, რაც მათი შესრულების დაბალ ხარისხზე მიუთითებს. სახელმწიფო უწყებებს, არც საანგარიშო პერიოდში შეუსრულებიათ სახალხო დამცველის რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი, შესაბამისად, აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია 2019 წელსაც შენარჩუნდა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების არადამაკმაყოფილებელ ხარისხზე მიუთითებს აგრეთვე პარლამენტის დასკვნაც, რომლითაც პარლამენტმა საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით[1] გაცემული დავალებების[2] შესრულების ხარისხი შეაფასა. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გაცემული დავალებების (რეკომენდაციების) მხოლოდ 32% (73 რეკომენდაცია) შესრულდა.[3]

---

[1] საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის №3148-რს დადგენილება, „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.

[2] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის საფუძველზე იღებს დადგენილებას ან რეზოლუციას, რომელიც უნდა შეიცავდეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შეფასებას, აგრეთვე პარლამენტის დავალებებს და მათი შესრულების მონიტორინგის ვადებს.

[3] საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2019 წლის 12 დეკემბრის №2-22095/19 დასკვნა: „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის 310 რეკომენდაციიდან საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში[4] 250 რეკომენდაცია აისახა, რომელთა შესასრულებლად პარლამენტმა სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმართველობების მიმართ 259 დავალება გასცა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების ტექსტის ფორმულირების ან ადრესატი უწყების ცვლილების გამო, 18 შემთხვევაში სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელი გახდა. მათგან, 11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, საპარლამენტო დადგენილებით გაცემული 11 დავალებით პარლამენტმა სახელმწიფო უწყებებს განსხვავებული მიზნები დაუდგინა.

საპარლამენტო დადგენილებაში პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის 60 რეკომენდაცია. ტენდენციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილის მიზანი იყო უცხო ქვეყნის და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დაცვა, ლგბტ+ თემის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და სექსუალური, რეპროდუქციული განათლების უზრუნველყოფა. დადგენილებაში ასევე არ ასახულა სახალხო დამცველის ის რეკომენდაციები, რომლებიც ძალოვან უწყებებს გამჭირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისკენ მოუწოდებდა. მაგალითად, როგორიცაა: სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე სამართალდამცავების სამხრე კამერებით აღჭურვა, პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს, მოწმეს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა და სხვ.

საპარლამენტო დადგენილების მიღმა დარჩენილი სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების ხარისხი უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია. სახელმწიფო უწყებებმა 60 რეკომენდაციიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში შეასრულეს სახალხო დამცველის მითითება.[5]

თაობაზე". საქართველოს პარლამენტის 2018 წელის 19 ივლისის №3148-რს დადგენილებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

[4] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის №5003-Iს დადგენილება, „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.

[5] საპარლამენტო დადგენილების მიღმა დარჩენილი შესრულებული რეკომენდაციები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიემართებოდა. *სახელმწიფო აუდიტის სამსახური:* დროულად შეისწავლოს წინამდებარე თავში განხილული და საჯარო წყაროებით გავრცელებული უკანონო შემოწირულობებისა და ამომრჩევლის მოსყიდვის შესაძლო ყველა ფაქტი, შესწავლის შედეგების შესაბამისად გაატაროს კანონისმიერი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას; 2) *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:* საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53

როგორც ზემოთ აღინიშნა, პარლამენტმა სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის რეკომენდაციების საფუძველზე, შესაბამის სახელმწიფო უწყებებს 259 დავალება მისცა, მათგან 27 დავალება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიემართებოდა და მათი შესრულების ხარისხს ამავე თავში, ცალკე ქვეთავში განვიხილავთ. ზემოთ ასევე აღვნიშნეთ, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციების ტექსტის ფორმულირების ან ადრესატი უწყების ცვლილების გამო, 18 შემთხვევაში რეკომენდაციის შესრულების ხარისხის შეფასება შეუძლებელი გახდა. სახელმწიფო უწყებების მიერ, სახალხო დამცველის აპარატისთვის შესაბამისი ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო, ასევე შეუძლებელია დამატებით 11 დავალების შესრულების საკითხის შეფასება. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, პირველ ნაწილში შევაფასებთ საპარლამენტო დადგენილებაში ასახული 203 დავალების შესრულების მდგომარეობას.

2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ზემოაღნიშნული 203 დავალებიდან შესრულებულია 20% და შეუსრულებელია 58%. სახელმწიფო უწყებების საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების 18% ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება. აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები რიცხობრივად შემდეგნაირად გამოიყურება:

- შესრულებულია: 41 საპარლამენტო დავალება;
- ნაწილობრივ არის შესრულებული: 37 საპარლამენტო დავალება;
- არ არის შესრულებული: 117 საპარლამენტო დავალება;
- უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეუძლებელია შეფასდეს 8 საპარლამენტო დავალების შესრულება.



ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები და პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში არსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად განისაზღვროს 14 დღე.

აღნიშნული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო უწყებების მიერ, საპარლამენტო დავალებების შესრულების ხარისხი, გასული წლების მსგავსად, არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე" სახელმწიფო უწყებებისადმი გაცემული საპარლამენტო დავალებების შესრულების ხარისხის შესახებ დეტალურ და სრულყოფილ ინფორმაციას წარმოადგენს სპეციალური ანგარიშის სახით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში, საპარლამენტო დავალებების შესრულების შესახებ სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვისას.

საქართველოს სახალხო დამცველი ყველა სახელმწიფო უწყებას შეახსენებს, რომ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ისინი შებოჭილნი არიან ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის აპარატისთვის ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ორგანოს აკისრია. მნიშვნელოვანია, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოხატოს პოლიტიკური ნება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დასაცავად, რაც შემდგომში უზრუნველყოფს წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემების მოგვარებას.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველმა, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს პარლამენტს 39 წინადადებით მიმართა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემული წინადადებების შესრულების საკითხზე მსჯელობისთვის, საქართველოს პარლამენტში სამუშაო ჯგუფი 2020 წლის 24 თებერვალს შეიქმნა.[6] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, რეკომენდაციები და წინადადებები სისტემური ხასიათის პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად, ამდენად მათზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებთ, სამუშაო ჯგუფი დროულად შეუდგება საქმიანობას და აქტიურად გადაიდგმება ნაბიჯები ჩვენი წინადადებების შესასრულებლად.

ქვემოთ მოკლედ წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული არსებითი ხასიათის რეკომენდაციების შესრულების ხარისხს სახელმწიფო ინსტიტუტების, უფლებებისა და უფლებრივი ჯგუფების მიხედვით.

[6] საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის, 2020 წლის 26 თებერვლის №2437/4-2-1/20 წერილი.

აღნიშნული საკითხების გარშემო დამატებით ინფორმაციას შესაბამის თემატურ თავებში იხილავთ.

1.2. სახელმწიფო უწყებების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სასამართლო სისტემა

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, სასამართლოს სისტემის ინსტიტუციური განვითარების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს 9 წინადადებით მიმართა, ხოლო იუსტიციის სამინისტროს მიმართ 1 რეკომენდაცია გასცა. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ 1 შემთხვევაში შეასრულა სახალხო დამცველის წინადადება, დანარჩენი ყველა წინადადება და რეკომენდაცია, შეუსრულებელია.

სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ნათელი და განჭვრეტადი წინაპირობების განსაზღვრის წინადადებით მიმართა. სახალხო დამცველი მიესალმება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს[7] და დადებითად აფასებს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის წინადადების შესრულებას.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე დაგეგმილი იყო ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საპარლამენტო განხილვა,[8] აღნიშნული კანონის პროექტი საქართველოს პარლამენტში ამ დრომდე (2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით) არ ყოფილა ინიცირებული.

საქართველოს სახალხო დამცველი 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა არჩევის პროცესის მნიშვნელობაზე. სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესის რეფორმირების თაობაზე, წინადადებით მიმართა, რათა კრიტერიუმები ობიექტურ საწყისებზე ყოფილიყო დამყარებული, ხოლო მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი გაუქმებულიყო. სამწუხაროდ, საპარლამენტო წინადადება არც ამჯერად შესრულებულა.

---

[7] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2019 წელი 13 დეკემბერი.

[8] იხ. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საგაზაფხულო სესიისათვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა. გვ. 129, პუნქტი: 106. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< https://bit.ly/2CJRVdc > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 19 მარტს].

პროკურატურის სისტემა

საქართველოს პროკურატურის მიმართ, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა 25 რეკომენდაცია გასცა. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტსაც მიმართა, დაეწყო გენერალური პროკურატურის რეფორმა, რომელსაც საპროკურორო საბჭოს კონსტიტუციური როლი უნდა გაეთვალისწინებინა. საქართველოს პროკურატურამ სახალხო დამცველის 6 რეკომენდაცია შეასრულა, ნაწილობრივ შეასრულა 2 და არ შეუსრულებია 17 რეკომენდაცია. სამწუხაროდ, არც საქართველოს პარლამენტს შეუსრულებია სახალხო დამცველის წინადადება.

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა თემირლან მაჩალიკაშვილისა და ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეებზე. თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ ძალის გამოყენების თაობაზე დაწყებული გამოძიება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, 2020 წლის 25 იანვარს შეწყდა. პროკურატურის მიერ წარმართული გამოძიება ხარვეზებს შეიცავდა, რის გამოც, სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ეფექტიანი გამოძიების წარმართვის ნაწილში, შეუსრულებლად მიგვაჩნია.

ასევე, ხორავას ქუჩაზე 2 არასრულწლოვნის მკვლელობის ფაქტზე წარმოებული ხარვეზიანი გამოძიების გამო დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგები ამ დრომდე არ გამხდარა საზოგადოებისთვის ცნობილი, რაც სახალხო დამცველის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო.

პენიტენციური სისტემა

პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ 32 და საქართველოს მთავრობის მიმართ 1 რეკომენდაცია გასცა, ხოლო საქართველოს პარლამენტს 5 წინადადებით მიმართა.

საქართველოს პარლამენტს არცერთ შემთხვევაში არ გაუზიარებია სახალხო დამცველის წინადადება. არც საქართველოს მთავრობას შეუსრულებია სახალხო დამცველის რეკომენდაცია. იუსტიციის სამინისტრომ არ შეასრულა 16 რეკომენდაცია, შეასრულა 4 და ნაწილობრივ შეასრულა 3 რეკომენდაცია. საგულისხმოა, რომ იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო, სახალხო დამცველის აპარატში ვერ მოხერხდა სამინისტროს მიერ 8 რეკომენდაციის შესრულების ხარისხის შეფასება. პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სახალხო დამცველის მიერ გაცემული 1 რეკომენდაცია არ ექვემდებარება შეფასებას.[9]

[9] სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს უნდა უზრუნველეყო პენიტენციური სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება, რაც

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობის მიმართ გასცა რეკომენდაცია, რომელიც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ეფექტიანი დოკუმენტირებისა და გამოძიების მიზნით, ქვეყანაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სტამბოლის პროტოკოლის პრინციპების შესაბამისად ჩატარების პრაქტიკის დანერგვას, და ამ მიზნით მთავრობის მხრიდან გეგმის შემუშავებას შეეხებოდა. საქართველოს სახალხო დამცველი, იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციით, უწყებას ასევე მიუთითებდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოვლენისა და ხარისხიანი დოკუმენტირებისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შექმნის აუცილებლობაზე, სადაც გაიწერებოდა ექიმის მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი და დოკუმენტირებისას საეჭვო დაზიანებების შერჩევის კრიტერიუმები.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მთავრობა და იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ვალდებულები იყვნენ, შეესრულებინათ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები, უწყებებთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ მთავრობას რეკომენდაცია არ შეუსრულებია, ხოლო იუსტიციის სამინისტროდან გვეცნობა, რომ მიმდინარეობს მუშაობა სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაზე, რასაც სახალხო დამცველი მიესალმება. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში რეკომენდაცია არ შესრულებულა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულება, რომელიც გულისხმობდა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადის გაზრდას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის ბრძანების შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადად 30 დღე განისაზღვრა.[10]

კვლავ ხარვეზიანია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №131 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით, პატიმრის სხეულზე დაზიანების გამოვლენის შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულების ექიმი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას

ერთი ტიპის დაწესებულებიდან, მსჯავრდებულის მეორე ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, მსჯავრდებულის რისკის 20 დღის ვადაში გადაფასებას და შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანას უზრუნველყოფდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, პენიტენციურ სამსახურში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ერთი პენიტენციური დაწესებულებიდან მეორე ტიპის დაწესებულებაში პირის გადაყვანის შემთხვევაში, აღარ ხდება პატიმრის რისკის გადაფასება.

[10] საქართველოს იუსტიციის მინისტრის, 2019 წლის 13 მაისის №403 ბრძანება - „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

აცნობოს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია და ინსტიტუციური თვალსაზრისით, არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ პატიმართა დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად არ განსაზღვრულა 24 საათი, დეესკალაციის ოთახში მოთავსებული პირები ასევე არ არიან უზრუნველყოფილი ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა თანამშრომლების ერთობლივი მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის სერვისით. სამინისტროს არ შეუსრულებია რეკომენდაციის არც ის ნაწილი, რომელიც უწყებას დეესკალაციის ოთახებში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, მათი რბილი მასალით მოპირკეთებისკენ მოუწოდებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში 39 რეკომენდაცია გაიცა.[11] სამინისტრომ სრულყოფილად შეასრულა სახალხო დამცველის მიერ გაცემული 7 რეკომენდაცია, ხოლო ნაწილობრივ - 8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 23 შემთხვევაში არ შეასრულა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

სახალხო დამცველმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაცია მისცა შეემუშავებინა პოლიციელებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი/ინსტრუქცია დაკავებული პირისთვის უფლებების განმარტების შესახებ. სამინისტროდან მიღებული პასუხის შესაბამისად ირკვევა, რომ მიმდინარეობს „დაკავების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შესახებ" დოკუმენტის პროექტის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს დაკავებული პირისთვის უფლებების განმარტების შესახებ ინსტრუქციას, რასაც სახალხო დამცველი მიესალმება. აგრეთვე, სახალხო დამცველი სამინისტროსგან მოითხოვდა პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღების უზრუნველყოფას; ძალადობის მსხვერპლთა, მათ შორის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა გამოკითხვის წესების შემუშავებას, რათა თავიდან ყოფილიყო არიდებული ამ უკანასკნელთა მეორადი ვიქტიმიზაცია. საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება იყო გამახვილებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ უნიფიცირებული, დეტალური სტატისტიკის წარმოების აუცილებლობაზეც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყებას აღნიშნული რეკომენდაციები საანგარიშო პერიოდში არ შეუსრულებია.

[11] შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო, ვერ შეფასდება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული 1 რეკომენდაცია.

სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობის გაზრდას, სადაც მოთავსებული პირები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამედიცინო პუნქტის მომსახურებით.

ფსიქიატრიული დაწესებულებები

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტის მიმართ 5 წინადადება გასცა, რომელთაგან არცერთი არ შესრულებულა, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას 9 რეკომენდაციით მიმართა, და მათგან 2 რეკომენდაცია შესრულდა.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშით გაცემული რეკომენდაციით, საქართველოს მთავრობას მიუთითა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,[12] იმ ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის, რომელთა წილის 50%-ზე მეტს სახელმწიფო ფლობს, სპეციალური წესი დამტკიცებულიყო მედიკამენტების შესასყიდად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ასევე მიეცა რეკომენდაცია, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებები შეეფასებინა და მათ სათემო სერვისებზე გადაყვანაზე ეზრუნა. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს აღნიშნული რეკომენდაციები არ შეუსრულებიათ.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველმა, ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში 26 რეკომენდაცია გასცა, მათ შორის 2 რეკომენდაცია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიემართებოდა. დარჩენილი 24 რეკომენდაციიდან, სახელმწიფო უწყებებს სახალხო დამცველის 19 რეკომენდაცია არ შეუსრულებიათ. სრულყოფილად შესრულებულად მხოლოდ 1 რეკომენდაცია შეიძლება შეფასდეს, დანარჩენ 4 შემთხვევაში რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულდა.

წლების განმავლობაში პრობლემად რჩება სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების გამოვლენა და სიღარიბის საფუძვლით მათი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების თავიდან აცილება. 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ტრავმული გამოცდილების მქონე რთული ქცევის ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ფსიქოსოციალური და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავების აუცილებლობაზე. რეკომენდაციების შესრულების მწვავე საჭიროების მიუხედავად, საქართველოს ოკუპირებული

[12] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 3, პუნქტი „ა.თ“.

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, რეკომენდაციები არ შეუსრულებია.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიხედვით, საქართველოს მთავრობას, „სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე უნდა უზრუნველეყო სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამწუხაროდ, არც ეს რეკომენდაცია შესრულებულა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში 45 რეკომენდაცია გაიცა, მათ შორის 10 რეკომენდაცია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიემართებოდა. დარჩენილი 35 რეკომენდაციიდან სახელმწიფო უწყებების საქმიანობის შედეგად, სრულყოფილად შესრულდა სახალხო დამცველის 3 რეკომენდაცია, ხოლო ნაწილობრივ შესრულდა 7. უწყებების საქმიანობის შედეგად, 23 შემთხვევაში, სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ შესრულდა, 2 რეკომენდაციის შესრულების ხარისხის განსაზღვრის მიზნით მოთხოვნილი ინფორმაცია კი, სახალხო დამცველის აპარატისთვის არ მოუწოდებიათ.

2019 წელს ეფექტიანი ნაბიჯები არ გადადგმულა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველსაყოფად. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით, კვლავ არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაცია გასცა საპარლამენტო ანგარიშში, რომელიც ეხებოდა დეტალური სტატისტიკის წარმოებას შშმ პირთა დასაქმების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე იმ პაციენტთა საჭირო მედიკამანეტებით უზრუნველყოფას, რომლებიც არ სარგებლობენ სოციალური ბენეფიტით და არ ჰყავთ მხარდამჭერთა ქსელი. სამწუხაროდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

სამინისტროს აგრეთვე მიეცა რეკომენდაცია, უმოკლეს ვადაში შეემუშავებინა დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია, რის შედეგადაც დაიწყებდა თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვას. ზემოაღნიშნულ რეკომენდაციასთან ერთად, სამინისტროს აგრეთვე არ შეუსრულებია სახალხო დამცველის ის რეკომენდაცია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის საჭიროებასა და შესაბამისი მეთოდოლოგიის შექმნის მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის სათემო ორგანიზაციების ბიუჯეტის, იმ კომპონენტების ზრდა, რომლებიც შშმ პირთა და ხანდაზმულთა სათემო მომსახურების უზრუნველყოფას მოხმარდება.

ხანდაზმულ პირთა უფლებები

ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიმართ 12 რეკომენდაცია გასცა. მათგან მხოლოდ 1 რეკომენდაცია შესრულდა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. სახალხო დამცველი არაერთი წელია მიუთითებს დაბერების სახელმწიფო პოლიტიკის ეროვნული კონცეფციის დამტკიცების აუცილებლობაზე. საანგარიშო პერიოდში არც დაბერების სახელმწიფო პოლიტიკის ეროვნული კონცეფცია დამტკიცებულა და არც ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა. კვლავ პრობლემურია ხანდაზმულთა 24-საათიანი სათემო სერვისების შესაბამისი სტანდარტების არარსებობა.

გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სახალხო დამცველმა, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს 23 რეკომენდაციით მიმართა. მათგან შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს 3, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულად 5 რეკომენდაცია. დანარჩენი 15 რეკომენდაცია შეუსრულებელია. საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს პარლამენტს ასევე მიმართა 1 წინადადებით, მაგრამ ამ ეტაპისთვის, სამწუხაროდ, ესეც შეუსრულებელია.

საქართველოს სახალხო დამცველი 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებდა ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის და თანამდევი გასაცემლის წესის ცვლილების საჭიროებაზე, იმგვარად, რომ ორივე მშობლისთვის თანაბრად ყოფილიყო უზრუნველყოფილი ამ შესაძლებლობით სარგებლობა. ანგარიშში ყურადღება აგრეთვე გამახვილდა ანტენატალური ზრუნვისადმი სისტემური მიდგომის და მშობიარობის შემდგომ ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის უზრუნველყოფის საჭიროებაზეც, თუმცა ამ რეკომენდაციების შესასრულებლად, პოზიტიური ნაბიჯები არ გადადგმულა.

ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება შეფასდეს მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების დახმარების ღონისძიებების მიზნით გაცემული რეკომენდაცია. საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 2019 წლიდან მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის, რომელსაც ჰყავს 4 არასრულწლოვანი შვილი ან/და ნაშვილები, ელექტროენერგიის მოხმარებისას შესაბამისი სუბსიდიით ისარგებლებს.

კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო დამცველმა 10 რეკომენდაცია გასცა. სახელმწიფო უწყებების მიერ სახალხო დამცველის 6 რეკომენდაციის შესრულება სრულყოფილად, ხოლო 1 ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება. სახალხო დამცველის 3 რეკომენდაცია არ შესრულებულა.

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიის მიმართ გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც უწყებას უნდა გაეძლიერებინა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანებული ქონების რეაბილიტაციისა და კომპენსაციის სამუშაოები, აგრეთვე უნდა ეზრუნა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის წყაროს მოძიების პროგრამების შემუშავებაზე. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს ეს რეკომენდაციები არ შეუსრულებია.

სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშით გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, რაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან რეგულარული კონსულტაციების გამართვაში, აგრეთვე, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების წარმოებაში გამოიხატა, რომლის მიზანი აფხაზეთში და, განსაკუთრებით, გალის რაიონის სკოლის მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობების ხელშეწყობა იყო.

სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ექიმების მონაწილეობას გადამზადების პროგრამებში, აგრეთვე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ქართული ენის სწავლებაზე ხელმისაწვდომობას.

სამწუხაროდ, საქართველოს გენერალურ პროკურატურია საზოგადოებისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული პირების შესახებ საქმის გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის თაობაზე.

რწმენის და რელიგიის თავისუფლება

საქართველოს სახალხო დამცველმა რწმენისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიმართ 7 რეკომენდაცია გასცა. აღნიშნულთაგან შესრულდა მხოლოდ 1 რეკომენდაცია, 6 რეკომენდაცია არ შესრულებულა.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიება. რეკომენდაციის ადრესატ უწყებებს კვლავ არ წარმოუდგენიათ დეტალური ინფორმაცია, 2012-2014 წლებში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებზე მიმდინარე გამოძიების, ასევე, იეჰოვას მოწმეების და სხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი სავარაუდო სამართალდარღვევების შემთხვევებზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

კვლავ პრობლემურია სახელმწიფოს საქმიანობა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების უზრუნველსაყოფად. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად, სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით კონკრეტული აქტივობა არ გამოიკვეთა.

ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიმართ 15 რეკომენდაცია გასცა. სახელმწიფო უწყებებს არ შეუსრულებიათ სახალხო დამცველის 10 რეკომენდაცია, ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა 4, სრულყოფილად შესრულდა მხოლოდ 1 რეკომენდაცია.

საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა ხელშემწყობი პროგრამები მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების სწავლების მიზნით, არც განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში, ე.წ. „ახალი სკოლის მოდელშია“ გათვალისწინებული ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა.

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების მიმართულებით, 2019 წელს გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები, რაც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების რაოდენობის გაზრდასა და მათთვის ანაზღაურების მომატებაში გამოიხატება.

სოციალური და ეკონომიკური უფლებები

წინამდებარე ქვეთავის მიზნებისთვის, შეფასდება საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის რამდენიმე[13] თავში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი. სოციალური და ეკონომიკური უფლების უზრუნველყოფის მიზნით,

[13] „სოციალური უზრუნველყოფის უფლება“, „სათანადო საცხოვრებლის უფლება“, „ჯანმრთელობის დაცვის უფლება“, „საკუთრების უფლება“, „შრომის უფლება“.

საქართველოს სახალხო დამცველმა, სახელმწიფო უწყებების მიმართ 18 რეკომენდაცია, ხოლო საქართველოს პარლამენტის მიმართ 4 წინადადება გასცა.[14]

სახალხო დამცველის მიერ სახელმწიფო უწყებების მიმართ გაცემული რეკომენდაციებიდან, მხოლოდ 1 შეფასდა შესრულებულად. ასეთივე მაჩვენებელია რეკომენდაციის ნაწილობრივ შესრულების კომპონენტშიც. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ 13 რეკომენდაცია, ისევე როგორც პარლამენტის მიმართ წარდგენილი 4 წინადადება არ შესრულებულა.[15]

საქართველოს სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში სოციალური უზრუნველყოფის უფლების რეალიზების მიზნით, საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადების შესამცირებლად, შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, მაგრამ არც ეს რეკომენდაცია შესრულებულა.

საქართველოს მთავრობას არ შეუმუშავებია პროფილური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ონკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევების დროულ გამოვლენას და პაციენტებისთვის სათანადო მკურნალობის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2019 წელს მიღებული დადგენილება,[16] რომელიც სამედიცინო განათლების ფარგლებში ექთნების მომზადებას და პროფესიული რეგულირების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

მართალია საქართველოს პარლამენტში სამუშაო ჯგუფის ფორმატით მიმდინარეობს შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის განხილვა, თუმცა ამ დრომდე არ განხორციელებულა საკანონმდმებლო ცვლილებები რომლის თანახმად, შრომის ინსპექტორებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის მსგავსად, დამსაქმებელთა თანხმობის გარეშე, შეემოწმებინათ შესაბამის სამუშაო ადგილებზე შრომის კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა და დადგენილიყო შესაბამისი სანქციები მათი დარღვევისათვის.

ასევე შრომის კოდექსში არ განხორციელებული ცვლილებები დღიური სამუშაო საათების მაქსიმალური ოდენობის და დასაქმებულისთვის ყოველკვირეული უწყვეტი დასვენების

[14] სოციალური უზრუნველყოფის უფლება - 3 რეკომენდაცია; სათანადო საცხოვრებლის უფლება - 2 რეკომენდაცია; ჯანმრთელობის დაცვის უფლება - 8 რეკომენდაცია და 1 წინადადება; საკუთრების უფლება - 3 რეკომენდაცია და 1 წინადადება; შრომის უფლება - 2 რეკომენდაცია და 2 წინადადება.

[15] 3 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შეფასება შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო შეუძლებელია.

[16] 2019 წლის 16 ივლისის №334 დადგენილება „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია".

დროის მინიმალური ფარგლების დასაწესებლად. კანონმდებლობით აგრეთვე არ დარეგულირებულა ზეგანაკვეთური სამუშაო საათების მაქსიმალური დაშვების ზღვარიც.

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში 3 რეკომენდაცია გასცა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 1 რეკომენდაცია სრულყოფილად, ხოლო 1 - ნაწილობრივ იყო შესრულებული.[17]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყო თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის ქართული ენის კურსების ხელმისაწვდომობა, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს.

ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება შეფასდეს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას და ცნობიერების ამაღლებას შეეხებოდა. 2019 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტმა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გამართა საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამების შესახებ, აგრეთვე გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომელში გამარჯვებულმა ორგანიზაციამაც, ინტეგრაციის ცენტრში საგანმანათლებლო პროექტები განახორციელა.

მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა

მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2 რეკომენდაცია გასცა, ხოლო საქართველოს პარლამენტს 1 წინადადებით მიმართა, რომელთაგან სამწუხაროდ არცერთი არ შესრულებულა.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ არ შესულა ცვლილებები „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანებაში, სადაც პირდაპირ მიეთითებოდა საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, როგორც ბენეფიციარი, ბინადრობის ნებართვის ტიპის მიუხედავად. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმაში,

[17] 1 რეკომენდაცია შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო ვერ შეფასდა.

მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე არ ასახულა შესაბამისი საქმიანობის ვალდებულება.

1.3. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაციების შესრულების შესაფასებლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, შესაბამისი ინფორმაციის გაზიარების მოთხოვნით, 63 თვითმმართველ ერთეულს მიმართა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ 16 მუნიციპალიტეტს,[18] სახალხო დამცველის აპარატის არცერთ წერილზე არ გაუცია პასუხი.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ადგილობრივი თვითმმართველობებისადმი სახალხო დამცველის მიერ 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული იმ არსებითი ხასიათის რეკომენდაციების შესრულების ზოგად მდგომარეობას, რომელიც ყველა თვითმმართველ ერთეულს მიემართებოდა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ადგილობრივ თვითმმართველობებში, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად შექმნილი საბჭოებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის არსებობა. მუნიციპალიტეტებს მიეცათ რეკომენდაცია, გადაემზადებინათ გენდერის მრჩევლები სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განსახორციელებლად. აგრეთვე, მიეცათ რეკომენდაცია ჩაეტარებინათ ქალთა საჭიროებების კვლევა და მის საფუძველზე განეხორციელებინათ ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და უფლებრივი გაძლიერებისკენ მიმართული პროექტები.

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული გენდერის მრჩევლები/გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირები, სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შესაბამისი ანგარიშგების საკითხებში, არ ყოფილან გადამზადებულნი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ქალთა საჭიროებების კვლევები მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილს არ ჩაუტარებია, ხოლო ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროექტების ნაკლებობას, ბიუჯეტში შესაბამისი თანხების უქონლობით ხსნიან.

ადგილობრივი თვითმმართველობების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სარეკრეაციო ტერიტორიასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ტერიტორიის შენარჩუნების საჯარო ინტერესების გათვალისწინებით იღებენ, ხოლო გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა „ორჰუსის კონვენციით“ დადგენილი სტანდარტით არის გარანტირებული.

---

[18] ქედის, საჩხერის, ყვარლის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, ცაგერის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის, ახალქალაქის, გარდაბნის, წალკის და კასპის მუნიციპალიტეტები; რუსთავის თვითმმართველის მერია.

ამის მიუხედავად, ბათუმსა და ყაზბეგში, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა გამოავლინეს შემთხვევები, სადაც სარეკრეაციო ტერიტორიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება საჯარო ინტერესის გაუთვალისწინებლად მიიღებოდა, ხოლო გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ იყო უზრუნველყოფილი „ორჰუსის კონვენციის" შესაბამისად. მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გააცნობიერონ რეკომენდაციაში ასახული საკითხების მნიშვნელობა და თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში იხელმძღვანელონ სახალხო დამცველის რეკომენდაციების და პარლამენტის დადგენილებაში ასახული დავალებების შესაბამისად.

შესაბამისი ფინანსური რესურსის არარსებობას უკავშირებენ მუნიციპალიტეტები ტექნიკურად გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტის არსებობას, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება თვითმმართველი ერთეულების მცდელობა, მოაგვარონ ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებებიდან გამოწვეული პრობლემები.[19]

ბაგა-ბაღებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საქმიანობის მიუხედავად, კვლავ პრობლემურია, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების" და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" დამტკიცების შესახებ" ტექნიკურ რეგლამენტებთან დაწესებულებების შესაბამისობის საკითხები.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული გამოწვევების შესწავლისა და შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფის კუთხით, მუნიციპალიტეტების საქმიანობა არადამაკმაყოფილებელია. სახალხო დამცველის რეკომენდაციების საპირისპიროდ, ადგილობრივი თვითმმართველობები არ აწარმოებენ კვლევებს კონკრეტულ საჭიროებათა გამოსავლენად.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მნიშვნელოვან ნაწილში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში საკონსულტაციო საბჭოები, მართალია, შექმნილია, თუმცა შესრულებულად ვერ ჩაითვლება სახალხო დამცველის ამავე რეკომენდაციის ის ნაწილი, რომლის თანახმად, თვითმმართველობებმა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირებაზე ზედამხედველობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სივრცის მოწყობის/სამშენებლო სტანდარტების დანერგვის შესახებ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია, სამწუხაროდ მუნიციპალიტეტებს არ შეუსრულებიათ.

[19] ამბროლაურის, ბორჯომის და ტყიბულის მუნიციპალიტეტები.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ, სახალხო დამცველმა, რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიმართ, 2 რეკომენდაცია გასცა. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ მცხეთის, ყაზბეგისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებმა მიიღეს აღნიშნული დოკუმენტი.[20]

იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს, რომლებსაც საქართველოს სახალხო დამცველმა ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვისკენ მიმართული რეკომენდაციები მისცა, ცალსახად მეტი აქტიურობა მართებთ რეკომენდაციების შესრულების პროცესში, რამდენადაც მათი საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.

არცერთ მუნიციპალიტეტს არ გადაუდგამს ნაბიჯები, რომელიც საბავშვო ბაღებსა და სასკოლო მზაობის ცენტრებში ბოშა ბავშვების მოზიდვასა და ჩარიცხვას უზრუნველყოფდა.

მუნიციპალიტეტებში სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის საკითხები, მათი მოზიდვის და გადამზადების მიმართულებით. ამ მხრივ, არც საანგარიშო პერიოდში განხორციელებულა ისეთი საქმიანობა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის გაზრდისკენ იქნებოდა მიმართული.

შედარებით პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ქართული ენის სწავლების შესახებ გაცემული რეკომენდაციის შესრულების ხარისხი. მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილში არსებულ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ჩამოყალიბებულია ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ამ საკითხებისკენ მეტი ძალისხმევა მიმართონ, ხოლო სახალხო დამცველი, თავის მხრივ, გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, გაუზიაროს თვითმმართველ ერთეულებს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

[20] დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჯერ კიდევ მისაღები აქვთ: დედოფლისწყაროს, ხონის, ჭიათურის, სიღნაღის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ტყიბულის, კასპისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებს. ხოლო მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ტყიბულის, ჭიათურისა და ხონის მუნიციპალიტეტებს.

2. სიცოცხლის უფლება

2.1. შესავალი

2019 წელს, წინა წლების მსგავსად, სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებზე წარმოებული გამოძიებები ვერ აკმაყოფილებდა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტს. გასულ წლებში გახმაურებულ საქმეებზე დასმულ შეკითხვებს, სამწუხაროდ, პასუხები ვერც მიმდინარე წელს გაეცა, პარალელურად კი, ახალი პრობლემური საქმეები გამოიკვეთა, რომელშიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოჩინდა.

სიცოცხლის უფლების დაცვის ფარგლებში, სახალხო დამცველის შეზღუდული მანდატი[21] 2019 წელსაც სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნიდა სახალხო დამცველის აპარატს, დროულად და ეფექტიანად შეესწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები. სამწუხაროდ, პარლამენტმა არ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული წინადადება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.[22]

წინამდებარე თავში შევაფასებთ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ბენეფიციართა სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობის კუთხით არსებულ ვითარებას, რაც პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, მათი გარდაცვალების მიზეზი ხდება. მიმოვიხილავთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალების აქტებს და მათ შესაბამისობას სიცოცხლის უფლების პროცედურულ ასპექტთან; ასევე, თემირლან მაჩალიკაშვილის და ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტებზე დასრულებული გამოძიების შედეგებს. ასევე განვიხილავთ ხორავას ქუჩაზე მომხდარი 2 არასრულწლოვნის მკვლელობის საქმეზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესსაც.

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა, სიცოცხლის უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს გენერალურ პროკურატურას 5 რეკომენდაციით, ხოლო პარლამენტს - 3 წინადადებით მიმართა. საქართველოს

[21] მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგებით, სახალხო დამცველს გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე არ აქვს საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18, ქვეპ. „ე".

[22] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 38. უფლებამოსილების გაზრდის მოთხოვნით, სახალხო დამცველმა პარლამენტს 2018 წლის 29 ნოემბერს საკანონმდებლო წინადადებითაც მიმართა. წარდგენილი ცვლილებების საფუძველზე, სახალხო დამცველს უნდა მინიჭებოდა გამოძიების დასრულებამდე არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების გაცნობის უფლებამოსილება. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო წინადადება უარყოფილად ცნო; იხ. კომიტეტის 2019 წლის 12 აპრილის №2-6694/19 დასკვნა. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/2J9lyq1> [ბოლოს ნანახია: 14.03.2020].

გენერალურ პროკურატურას რეკომენდაციების დიდი ნაწილი არ შეუსრულებია. ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ორი რეკომენდაცია, რომლებიც ზვიად გამსახურდიას შესაძლო მკვლელობის საქმეზე გამოძიების გაგრძელებასა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას შეეხებოდა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტს, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები/წინადადებები არ შეუსრულებია.

2.2. სომატური ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

სახელმწიფო პასუხისმგებელია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პირების სათანადო ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფაზე. ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სათანადო მზრუნველობისა და მკურნალობის აღმოუჩენლობა ბენეფიციარისთვის, რამაც საბოლოოდ მისი გარდაცვალება გამოიწვია, ევროპულმა სასამართლომ სიცოცხლის უფლების დარღვევად შეაფასა.[23]

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გარემო, სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა საანგარიშო პერიოდში,[24] ისევე როგორც 2020 წელს,[25] ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პირებისთვის სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მონიტორინგსა და მკურნალობას, არ ითვალისწინებს.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული პირების სომატური ჯანმრთელობის სამკურნალოდ სათანადო სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფის საჭიროება და ამ კუთხით სახელმწიფოში არსებული სისტემური გამოწვევები დეტალურად არის განხილული სახალხო დამცველის 2019 წლის „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" მონიტორინგის თემატურ ანგარიშში.[26]

---

[23] Inter alia, „სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ" (Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება, საჩივარი №47848/08, პარ. 143-144.

[24] საქართველოს მთავრობის, 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილება, „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ", დანართი №11 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 03 01).

[25] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილება „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ".

[26] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" მონიტორინგის თემატური ანგარიში, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/3dgnXhB > [ბოლოს ნანახია 13.03.2020].

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არ აწარმოებენ გარდაცვლილ პირთა სტატისტიკას, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოიძიეს და გაეცნენ გარდაცვლილ პირთა სამედიცინო ბარათების ნაწილს. სამედიცინო ბარათების შესწავლით დგინდება, რომ გარდაცვლილი პაციენტების სიკვდილის მიზეზად უმეტეს შემთხვევაში უეცარი გარდაცვალება და გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა სახელდება. ამისი მიზეზი, შესაძლოა, იყოს სომატური ჯანმრთელობის პრობლემების არასათანადო მკურნალობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის არასრულფასოვანი მონიტორინგი და შესაბამისი რისკფაქტორების გაუთვალისწინებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა არ უზრუნველყოფს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მონიტორინგისა და მკურნალობის სათანადო გარანტიებს. ზემოთ ხსენებულ სპეციალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული რამდენიმე პირი ტუბერკულოზის დიაგნოზით ისე გარდაიცვალა, რომ ცენტრის სამედიცინო ბარათები აღნიშნული დიაგნოზის შესახებ ინფორმაციას არც კი შეიცავდა.[27] ასევე, ანგარიშით დგინდება, რომ პაციენტთა გარდაცვალების რამდენიმე შემთხვევაში სომატური ჯანმრთელობის პრობლემების გართულება, შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო პაციენტის სომატური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობით, ანტიფსიქოზური მედიკამენტების ზედოზირებით ან დანიშნული მედიკამენტების სარისკო კომბინაციით მიწოდებით (მაგალითად, „ზოპინის“ სხვა ანტიფსიქოზურ მედიკამენტთან ერთად დანიშვნა).[28]

პაციენტთა სომატურ ჯანმრთელობაზე არასათანადო ზრუნვის შესახებ და სომატური ჯანმრთელობის სერვისზე ფინანსური ბარიერის არსებობით გამოწვეულ პრობლემებზე,[29] საუბარია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშშიც. კომიტეტი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი და სწრაფი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს.[30]

ზემოაღნიშნული გარემოებები ნათლად წარმოაჩენს არსებული მოწესრიგების ნაკლოვანებებს, რაც თავსებადი არ არის სიცოცხლის უფლების დაცვის მინიმალურ სტანდარტებთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დროულად მიიღოს აუცილებელი ზომები სათანადო ზრუნვისა და მკურნალობის მიუწოდებლობით განპირობებული გარდაცვალების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

---

[27] იქვე, გვ. 24.

[28] იქვე, გვ. 25.

[29] ოჯახის ექიმთან კონსულტაციის ღირებულება 25 ლარს შეადგენს.

[30] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 128, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/2J9IeHP> [ბოლოს ნანახია: 13.03.2020].

2.3. შეწყალების საქმე

2019 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა 34 პირი შეიწყალა.[31] შეწყალებულ პირთა შორის იყვნენ მსჯავრდებულები, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ გაზრახ მკვლელობისთვის და მათ მნიშვნელოვან ნაწილს, მსჯავრის ძირითადი ნაწილი მოუხდელი ჰქონდა.[32]

პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას საზოგადოების სამართლიანი პროტესტი მოჰყვა. საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა პრეზიდენტს, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შეწყალების მოტივაციის შესახებ, თუმცა შესაბამისი დასაბუთება ამ დრომდე არ ყოფილა წარმოდგენილი.[33]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პრეზიდენტი აბსოლუტური დისკრეციით სარგებლობს, აღსანიშნავია ამ პროცესის მჭიდრო კავშირი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული სიცოცხლის უფლების პროცედურულ ასპექტთან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, სიცოცხლის უფლება დარღვეულად მიიჩნევა, თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არაგონივრულ ლმობიერებას გამოიჩენენ მკვლელობისთვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ,[34] რაც მათ ფაქტობრივ დაუსჯელობაში გამოიხატება.[35] იქიდან გამომდინარე, რომ ზემოხსენებული შეწყალებული პირები საქართველოს პრეზიდენტმა სასჯელის არსებითი ნაწილის მოუხდელად გაათავისუფლა, სახეზეა სიცოცხლის უფლების დარღვევა.

2.4. თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე საქართველოს სახალხო დამცველის განსაკუთრებული ინტერესის საგანია, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული

---

[31] 2019 წლის 27 აგვისტო, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://bit.ly/3d80aA5 [ბოლოს ნანახია:14.03.2020].

[32] კერძოდ, მსჯავრდებულ ა. ბ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც დაახლოებით 2 წელი და 2 თვე მოიხადა. შეწყალების საფუძველზე გათავისუფლდა 6 წლითა და 10 თვით ადრე; რ. დ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 12 წლით თ/აღკვეთა, მოიხადა დაახლოებით 4 წელი და 8 თვე. შეწყალებულ იქნა 7 წლითა და 4 თვით ადრე; ზ. ნ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 15 წლით თ/აღკვეთა. მოიხდა დაახლოებით 11 წელი და 5 თვე. შეწყალებულ იქნა 3 წლითა და 7 თვით ადრე.

[33] საქართველოს სახალხო დამცველის 17 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/2U1Ry6L> [ბოლოს ნანახია 14.03.2020].

[34] „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ" (Enukidze and Girgvliani v.Georgia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, საჩივარი №25091/07, პარ. 269-275.

[35] „მარგუსი ხორვატიის წინააღმდეგ" (Marguš v. Croatia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი №4455/10, პარ. 127.

სპეცოპერაციის მსვლელობისას, სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ გამოყენებულმა ძალამ ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.

საქართველოს სახალხო დამცველმა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის შესწავლა საკუთარი ინიციატივით დაიწყო. ამ საქმეზე სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა თავის 2017 და 2018 წლების საპარლამენტო ანგარიშებშიც.[36] სახალხო დამცველმა, თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალების გარემოების გარშემო ჭეშმარიტების დროულად დასადგენად, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, პარლამენტს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობის განხილვის თაობაზე, რეკომენდაციით მიმართა. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე, შეისწავლა თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროულობა და ხარისხი. მასალების შესწავლის შედეგებით და სააგენტოს პასუხით, უფლების დარღვევის ნიშნები, ამ მიმართებით, არ გამოიკვეთა.[37]

პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ გამოძიება დაიწყო ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე (დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით), ხოლო 2020 წლის 25 იანვარს, შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, საქმეზე გამოძიება შეწყვიტა. ამავე წლის თებერვალში თბილისის პროკურატურაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი სრულად გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო არ არღვევს სიცოცხლის უფლებას, თუ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოყენებული ძალა „აბსოლუტურად აუცილებელი" და მიზნის მიღწევის პროპორციულია.[38] იმის დასადგენად, იყო თუ არა სპეციალური ოპერაციების თანამშრომლების მიერ ლეტალური იარაღის გამოყენება განპირობებული აბსოლუტური აუცილებლობით, საჭიროა შეფასდეს თავად სპეციალური ოპერაციის (მაჩალიკაშვილის შემთხვევაში, დაკავების ოპერაციის) გეგმა და ოპერაციის მსვლელობაზე

[36] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 37-40; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, გვ. 32-33.

[37] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 33.

[38] „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ" (Nachova and Others v. Bulgaria), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, საჩივარი №43577/98 და 43579/98, პარ. 94.; „მაკშეინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ"(McShane v. UK), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი №43290/98, პარ. 93.

განხორციელებული კონტროლი. სახელმწიფო ასევე ვალდებულია აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება, როდესაც ადამიანის გარდაცვალება ძალის გამოყენების თანმდევი შედეგია.[39]

ევროპული სასამართლოს განმარტებით, შესაძლებელია, ამა თუ იმ საქმის გამოძიებისას ადგილი ჰქონდეს გამოძიებისთვის დამაბრკოლებელ ობიექტურ გარემოებებს, რაც ხელს უშლის გამოძიების პროგრესს. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს ევალება დამაჯერებლად და თანმიმდევრულად ახსნას აღნიშნული გარემოებები, რათა საზოგადოებამ არ დაკარგოს ნდობა გამოძიების მიმართ.[40] გამოძიება უნდა ემყარებოდეს ყველა შესაბამისი გარემოების ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. საგამოძიებო ორგანოებმა ყველა გონივრულ ზომას უნდა მიმართონ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. გამოძიებისას დაშვებული ნებისმიერი ხარვეზი, რომლის გამოც შეუძლებელია კონკრეტული საქმის გარემოებების ან პასუხისმგებელ პირთა ვინაობის დადგენა, ეწინააღმდეგება ეფექტიანი გამოძიების სტანდარტს.[41]

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაკავების ღონისძიების მიმდინარეობისას კომუნიკაციისთვის გამოიყენებოდა ხელის რადიოსადგური (რაცია). აღსანიშნავია, რომ გამოძიების პროცესში არ არის მოპოვებული რაციის ჩანაწერები, რაც საქმისთვის, ღონისძიების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალის არარსებობის პირობებში, შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს.

გამოძიებას ასევე არ მოუპოვებია ოპერაციის განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირების[42] მიერ სპეცოპერაციის პერიოდში ერთმანეთს შორის სატელეფონო კომუნიკაციის, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, სატელეფონო პროგრამებისა და სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე შეწყვეტილი გამოძიება აუცილებლად უნდა განახლდეს, რადგან კვლავ დაუდგენელია და ღია რჩება ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, დამატებით გამოძიებას საჭიროებენ. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა

---

[39] „მაკკენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (McCan and Others v. UK), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საჩივარი №18984/91, პარ. 161.

[40] „ასოციაცია „21 დეკემბერი 1989" და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ" (Association "21 December 1989" and Others v. Romania), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი №33810/07, პარ. 134.

[41] „მიზიგაროვა სლოვაკეთის წინაღმდეგ" (Mizigarova v. Slovakia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, საჩივარი №74832/01, პარ. 93.

[42] გამოძიებას მოპოვებული აქვს 21.10.2019 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, იოსებ გოგაშვილის ტელეფონის ნომრის 2017 წლის 25-27 დეკემბრის სატელეფონო ზარების, სმს, ინტერნეტ-ტრაფიკის, კომუნიკაციაში მონაწილე პირებისა და ანძების ამსახველი ინფორმაცია სატელეფონო ნომრის თბილისის ანძებზე დაფიქსირების მონაცემებით (31.10.2019 დათვალიერების ოქმი).

წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომლითაც თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის №043261217801 საქმეზე გამოძიების განახლება მოითხოვა.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ გამოძიების განახლების შესახებ წინადადება დაკმაყოფილდება. აპარატი აღნიშნულ საკითხს დამატებით კვლავ შეისწავლის და საზოგადოებას მიაწვდის სამომავლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

2.5. ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობა

2017 წლის 1 დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე ორი არასრულწლოვნის მკვლელობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების მასალების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატმა გამოძიების არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოავლინა. აღნიშნული საკითხები დეტალურად არის მიმოხილული სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში.[43]

სახალხო დამცველის აპარატმა შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ სახეზე იყო სამოხელეო დანაშაულის ერთ-ერთი ან ორივე შემადგენლობა: სამსახურებრივი გულგრილობა, ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა პროკურატურას სავარაუდოდ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა.[44]

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახალხო დამცველის წინადადება არ გაიზიარა და გამოძიების დაწყების ნაცვლად, მხოლოდ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო, რომელიც ამ დრომდე არ დასრულებულა.[45] სამწუხაროდ, პროკურატურამ ასევე არ შეასრულა სახალხო დამცველის დამატებითი რეკომენდაციები ამ საქმეზე - სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საზოგადოებისთვის მიწოდება და შემოწმების მასალების სახალხო დამცველის აპარატისთვის გაცნობა.

2.6. ია კერზაიას საქმე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი გაეცნო ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიების მასალებს და გამოძიების შედეგები განცხადებით შეაფასა.[46]

---

[43] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 33-34.

[44] 2018 წლის 11 ივლისს სახალხო დამცველის მიერ პროკურატურისთვის გაგზავნილი №15-11/9172 წინადადება გამოძიების დაწყების მოთხოვნის შესახებ.

[45] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 9 დეკემბრის №13/86091 წერილი.

[46] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 29 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3b6mlF1, [ბოლოს ნანახია 18.03.2020].

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ 332-ე) მუხლით დაიწყო და მიმდინარეობდა, საქმის მასალების შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველი სიცოცხლის უფლების პოზიტიურ ასპექტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი, ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებით ხელმძღვანელობდა.

ია კერზაიამ 2018 წლის 26-27 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, საჯაროდ განაცხადა მის მიმართ მიმდინარე პოლიტიკური ზეწოლის შესახებ. 9 დეკემბერს იგი ინსულტის შედეგად გარდაიცვალა. აღნიშნული ფაქტიდან 10 დღეში გარდაცვლილის შვილმა, ბაჩანა შენგელიამ პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა.

პროკურატურამ გამოძიება, მიმართვიდან დაახლოებით 2 თვეში, 2019 წლის 11 თებერვალს დაიწყო, რაც გაუმართლებელი დაგვიანების მანიშნებელია. გაუგებარია პროკურატურის მოტივაცია გამოძიების დაწყების ამგვარი დაყოვნების შესახებ.

სახალხო დამცველის შეფასებით, დაგვიანებით დაწყებული გამოძიების გამო, საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება და სიმართლის დადგენა ვერ მოხერხდა. პროკურატურამ სხვადასხვა ინფორმაცია ისედაც დაგვიანებული გამოძიების პირობებში, დამატებითი დაგვიანებით გამოითხოვა, რამაც გამოძიების უშედეგოდ დასრულება განაპირობა.[47] გარდა ამისა, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მიუღებელი იყო საქმეზე გამოძიების დაწყებამდე საპროცესო მოქმედებების არაფორმალურად ჩატარება.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონში შეიტანოს ცვლილებები და სახალხო დამცველს მიენიჭოს გამოძიების დასრულებამდე არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების გაცნობის უფლებამოსილება

რეკომენდაციები

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- განაახლოს და ეფექტიანად წარმართოს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე შეწყვეტილი გამოძიება
- ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიებაში დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგები პერიოდულად მიაწოდოს საზოგადოებას, შემოწმების მასალები კი, გააცნოს სახალხო დამცველის აპარატს; სამსახურებრივი შემოწმების შედეგების

[47] ია კერზაიას საქმე საქართველოს პროკურატურამ 2019 წლის 26 სექტემბერს დახურა.

საფუძველზე იმსჯელოს სამსახურებრივი გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ანგარიშში, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა წარმოადგინოს ინფორმაცია სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ეფექტიანობის თაობაზე
- სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ფარგლებში, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ, შესაბამისი თარიღების მითითებით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შეიტანოს ცვლილება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაში და გაითვალისწინოს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტების სომატური ჯანმრთელობის მკურნალობის საკითხი; მანამდე, სამინისტრომ, დროებითი ღონისძიების სახით, უზრუნველყოს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტების ოჯახის ექიმზე ხელმისაწვდომობა და სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირება
- შეიტანოს ცვლილება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაში და ქვეყანაში არსებული გაიდლაინების მიხედვით, გაითვალისწინოს მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით
- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილი პირების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზებული წარმოება გარდაცვალების მიზეზის მითითებით.

3. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება

3.1. შესავალი

2019 წელს სახალხო დამცველის აპარატში 128 განცხადება დარეგისტრირდა, სადაც მოქალაქეები სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითებდნენ. მათ შორის, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესაძლო ჩამდენი სუბიექტები იყვნენ: პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები - 54 განცხადების, ხოლო პოლიციის თანამშრომლები - 50 შემთხვევაში. 14 განცხადება პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ ღირსების შემლახავ პირობებს ეხებოდა, 10 განცხადება კი, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების გაჭიანურებას.

2019 წელს მოქალაქეთა განცხადებებზე და პროაქტიულად - საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე რეაგირების მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში, ჯამში, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა 405 ვიზიტი განახორციელეს. სულ 1 728 დაკავებული/დაპატიმრებული პირი მოინახულეს.

საქართველოს სახალხო დამცველი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციას ასრულებს. პრევენციის ეროვნული მექანიზმი, არასათანადო მოპყრობის პრევენციას, დაკავების ადგილების რეგულარული და არაგეგმიური ვიზიტებით ახორციელებს. ამ დროს მოწმდება დაკავებულ პირთა განთავსების პირობები და მათ მიმართ მოპყრობა. 2019 წელს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, ასეთი 88 ვიზიტი განახორციელა.

გასული წლების მსგავსად, წელსაც გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაბრკოლებები ექმნებოდათ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების წვდომის თვალსაზრისით.[48] აღსანიშნავია, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი სახელმწიფოებს ცალსახად აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ პრევენციის

[48] პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების წვდომის კუთხით შექმნილ დაბრკოლებებზე, საუბარია, ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიშშიც (გვ. 6-7).

ეროვნული მექანიზმის დაუბრკოლებელი წვდომა დაკავებულ პირთა მოპყრობისა და დაკავების პირობებთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციაზე.

2019 წლის განმავლობაში, არასათანადო მოპყრობის პრევენციის/გამოძიების ან პატიმართა უფლებების შესახებ, 10 სპეციალური ანგარიში მომზადდა.

თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. სწორედ ამ მიზნით, 2020 წლის 21 იანვარს, სახალხო დამცველმა პარლამენტის წევრებსა და საზოგადოებას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2019 წლის ზაფხულში №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები გააცნო.[49] კერძოდ, ზემოაღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული არაფორმალური მმართველობის მასშტაბები. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიგნებები მსგავსია და ეხმიანება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშს.[50]

2020 წლის 21 იანვარს, სახალხო დამცველის მოხსენების საპასუხოდ, იუსტიციის მინისტრმა, პრობლემების მოგვარების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციების განხილვის ნაცვლად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, სახალხო დამცველის, მისი აპარატისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის დისკრედიტაცია სცადა. ასევე, მინისტრმა სხდომაზე კანონმდებლობის უხეში დარღვევით აჩვენა სახალხო დამცველის რწმუნებულის პატიმართან საკანში კონფიდენციალური შეხვედრის ამსახველი ვიდეოჩანაწერები. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დაუშვებელია სახალხო დამცველის რწმუნებულისა და პატიმრის შეხვედრის რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი.[51] დამატებით, მაიდენტიფიცირებელი ვიდეოკადრების გასაჯაროება არღვევს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის ძირითადი მიგნებები ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა არ გაიზიარა და არც ზემოაღნიშნული დარღვევების შესახებ მსჯელობა ყოფილა წარმოდგენილი კომიტეტის დასკვნაში.[52]

---

[49] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის №2, №8, №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2TALjFE > [ბოლოს ნანახია: 16.01.2020].

[50] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში განხორციელებული ვიზიტის შედეგების შესახებ. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/38p44kK >>[ბოლოს ნანახია: 30.01.20].

[51] საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 19, პუნქტი 3.

[52] ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2020 წლის 26 თებერვლის №2-3429/20 დასკვნა.

ზემოაღნიშნული მოვლენებიდან რამდენიმე დღეში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის/იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ადგილი ჰქონდა სახალხო დამცველის საქმიანობაში ხელშეშლას. კერძოდ, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, პენიტენციურ დაწესებულებაში კონკრეტულ პატიმრებთან შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისთანავე გაასაჯაროვეს.[53] აღნიშნულით, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა/იუსტიციის სამინისტრომ უხეშად დაარღვიეს საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-19 მუხლი, რომლის მიხედვითაც სახალხო დამცველის შეხვედრა პატიმართან კონფიდენციალურია და რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია. ეს დებულება ადგენს იმას, რომ სახალხო დამცველის ნებისმიერი შეხვედრა პატიმრებთან უნდა იყოს კონფიდენციალური, სანამ სახალხო დამცველი არ მიიღებს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. იგივე მოთხოვნა არის დადგენილი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის 21-ე მუხლის მიხედვით, სადაც აღნიშნულია, რომ პირადი მონაცემები არ უნდა გამოქვეყნდეს დაინტერესებული მხარის მკაფიო თანხმობის გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლი ცალსახად ადგენს, რომ სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა კანონით ისჯება. საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის, როგორც კონსტიტუციური ორგანოს საქმიანობა, ეფუძნება ისეთ უმნიშვნელოვანეს და ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა სრული დამოუკიდებლობა ხელისუფლების ნებისმიერი შტოსგან, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და საქმიანობის განხორციელების დროს კონფიდენციალურობა. იმ საკითხის გასაჯაროება, თუ ვის ხვდება სახალხო დამცველი, ზრდის პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის ან/და უკანონო ქმედების ჩადენის რისკს და იწვევს მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებას. მსგავსი ინფორმაციის გასაჯაროებამ, პატიმრები, შესაძლოა, აიძულოს, თავი შეიკავონ სამომავლოდ სახალხო დამცველისთვის მომართვისა და შეხვედრისგან.

იმ პატიმრების სახელების და გვარების გასაჯაროება, რომლებიც ხვდებიან სახალხო დამცველს ან/და მის რწმუნებულს, მის ძირითად საქმიანობაზე ზემოქმედების მცდელობაა და აუცილებელია შესაბამისი გამოძიების დაწყება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 352-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რომელიც დასჯად ქმედებად აცხადებს საქართველოს სახალხო დამცველზე ნებისმიერი ფორმით ზემოქმედებას მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით.

სახალხო დამცველზე ზემოაღნიშნული თავდასხმის ფაქტები მის საქმიანობაში ჩარევად შეაფასეს ადამიანის უფლებათა დამცველთა საკითხზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულმა ქსელმა (ENNHRI), ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალურმა ალიანსმა

[53] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3cpdxvo > [ბოლოს ნანახია 28.03.2020].

(GANHRI), ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტმა (IOI) და თანასწორობის ორგანოების ევროპულმა ქსელმა (EQUINET).[54]

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის მიმართვა გენერალური პროკურატურის მიმართ, მის საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების თაობაზე, გაზიარებული არ ყოფილა. გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ სახალხო დამცველის მსჯავრდებულებთან შეხვედრის ფაქტის საიდუმლოების გამჟღავნება არ იყო მსჯავრდებულსა და სახალხო დამცველს შორის კონფიდენციალურობის დარღვევა და, შესაბამისად, არ არსებობდა გამოძიების დაწყების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლის მსგავსად, წელსაც გაგრძელდა იუსტიციის სამინისტროს მხრიდან სახალხო დამცველის აპარატისადმი სხვადასხვა მონაცემების მიუწოდებლობის პრაქტიკა. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს არ მოუწოდებია სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყების მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე გამოთხოვილი ინფორმაცია.

წინამდებარე თავში განვიხილავთ საანგარიშო პერიოდში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის, როგორც პრევენციასთან, ისე გამოძიებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კერძოდ, ეს თავი ხუთი ნაწილისგან შედგება. პირველ სამ ნაწილში მიმოვიხილავთ პენიტენციურ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემებთან, ასევე, ფსიქიატრიულ დაწესებულებებთან მიმართებით არსებულ რისკფაქტორებს და საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც შესაძლებელს ხდის თავისუფლებააღკვეთილ/შეზღუდულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობას. მეოთხე ნაწილში გაგაცნობთ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების ძირითად ხარვეზებს, რომელთა გამოც გამოძიება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტს. მეხუთე ნაწილში კი, მიმოვიხილავთ 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების ეფექტიანობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პირის მიმართ სამართალდამცავების მიერ გამოყენებული ფიზიკური ძალა, რომელიც არ არის განპირობებული თავად ამ პირის ქმედებით გამოწვეული საჭიროებით, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით (წამების აკრძალვა) დაცული უფლების დარღვევას და, შესაბამისად, ამ ფაქტის გარშემო მიმდინარე გამოძიებაც კონვენციასთან შესაბამისობის კუთხით შეფასდება.[55]

2019 წლის განმავლობაში, საქართველოში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ წამება და არასათანადო მოპყრობა მასშტაბური პრობლემა არ ყოფილა, თუმცა, გასული წლების მსგავსად, გამოვლინდა არასათანადო მოპყრობის

[54] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3cs1eyF > [ბოლოს ნანახია: 29.01.20].

[55] inter alia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე İzci v. Turkey.

სხვადასხვა შემთხვევა. პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის თვალსაზრისით, 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა და შენარჩუნებულია ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის გაუარესების ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს გამოიკვეთა არასრულწლოვანთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებიც.

რაც შეეხება 2019 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებს, საგრძნობლად არის გაუმჯობესებული პირველი 24 საათის განმავლობაში ადვოკატის საქმეში ჩართვის მაჩვენებელი. ასევე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ფიზიკური გარემოსა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, როგორც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ისე პენიტენციურ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

სახალხო დამცველი თავის წლიურ ანგარიშებში პერმანენტულად მიუთითებს იმ რისკ-ფაქტორების შესახებ, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში, თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის საფრთხეს წარმოშობს. კერძოდ, საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაზიანებების დოკუმენტირებისა და საგამოძიებო ორგანოში შეტყობინების საკითხები; პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება; ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტების მიმართ ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის ალტერნატიული (დეესკალაციის) მეთოდების გამოყენების დოკუმენტირებისა და დასაბუთების ვალდებულება და სხვ.

გამოვლენილ ტენდენციებს შორისაა პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურის მასშტაბები, პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში ხანგრძლივი დროით მოთავსების პრაქტიკა, პატიმრებისთვის გასაჩივრების უფლების რეალიზებაში ხელშეშლა, სათანადო ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის სახელმწიფო ზედამხედველობისა და პაციენტთა უფლებების დაცვის მონიტორინგის პრობლემა და სხვ.

არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლას ასევე აფერხებს დაწესებულების პერსონალთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, როგორიცაა პერსონალის ნაკლებობა, დატვირთული სამუშაო გრაფიკი და სათანადო კვალიფიკაცია. სამართალდამცავთა კონტროლის ქვეშ მყოფი პირები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილნი არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის საკმარისი პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიებით.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლას მნიშვნელოვნად აფერხებს ასეთი დანაშაულებისთვის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დაუსჯელობა. შენარჩუნებულია არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების ტენდენცია, მით უფრო მაშინ, როდესაც ასეთი შეტყობინებების ავტორი სახალხო დამცველის აპარატი ან არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, თუმცა კვლავ

თვალსაჩინო პრობლემად რჩება ასეთ საქმეებზე გამოძიების გაჭიანურების სისტემატურობა. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ სისტემური პრობლემის გადასაჭრელად შექმნილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, აღმოფხვრის გამოძიების ყველა იმ ხარვეზს, რაც მის შექმნამდე არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიებას უკავშირდებოდა და რაზეც, შესაბამის თავში დეტალურად ვისაუბრებთ.

2019 წლის 20-21 ივნისს აქციის დაშლისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოებულ გამოძიებასთან დაკავშირებით, მთავარი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ გამოძიება ორიენტირებულია მხოლოდ ინდივიდუალურ სამართალდამცავთა დანაშაულებრივი მოქმედებების გამოვლენასა და მათი ინდივიდუალური როლის შეფასებაზე, და არ არის მიმართული ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენაზე. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ არ ჩატარებულა რიგი საგამოძიებო ღონისძიებები, რომლებიც, საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, გამოძიების ეფექტიანად მიმდინარეობისათვის აუცილებელია. მაგალითისათვის, არ არის დათვალიერებული ვიდეოჩანაწერების ნაწილი, არ არის დანიშნული და ჩატარებული სამინისტროს ხელმძღვანელი პირების რაციების ჩანაწერების ექსპერტიზა და სხვ.

და ბოლოს, გვსურს მივუთითოთ საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ ანგარიშგებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების წინააღმდეგ კომიტეტის წინაშე.[56] „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ" კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა და პირველი ანგარიში 1996 წელს წარადგინა. დღეისათვის საქართველოს კომიტეტში წარსადგენი აქვს მეხუთე პერიოდული ანგარიში, რომლის წარდგენის თარიღადაც თავდაპირველად 2011, შემდეგ კი კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2015 წელი განისაზღვრა, თუმცა ვალდებულება არც აღნიშნულ წელს შესრულებულა. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რაც შეიძლება მოკლე ვადებში მიაწოდოს კომიტეტს დაგვიანებული ანგარიში.

3.2. პენიტენციური სისტემა

პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ 32 და საქართველოს მთავრობის მიმართ 1 რეკომენდაცია გასცა, ხოლო საქართველოს პარლამენტს 5 წინადადებით მიმართა.

საქართველოს პარლამენტის მიერ არც ერთ შემთხვევაში ყოფილა გაზიარებული სახალხო დამცველის წინადადება. არც საქართველოს მთავრობამ შეასრულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. იუსტიციის სამინისტროს მიერ არ შესრულდა 16 რეკომენდაცია, შესრულდა

[56] „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ" კონვენცია, მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი.

4 და ნაწილობრივ შესრულდა 3 რეკომენდაცია. საგულისხმოა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო, სახალხო დამცველის აპარატში ვერ შეფასდა სამინისტროს მიერ 8 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სახალხო დამცველის მიერ გაცემული 1 რეკომენდაცია არ ექვემდებარება შეფასებას.[57]

წინა წლების მსგავსად, 2019 წელსაც, უმეტეს შემთხვევაში, სისტემური რეკომენდაციები, რომლებიც წლების განმავლობაში გაიცემა და წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის მეტად მნიშვნელოვანია, კვლავ შეუსრულებელია. ამ მხრივ, კვლავ ხარვეზიანია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №131 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით, პატიმრის სხეულზე დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულების ექიმი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია და არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ინსტიტუციური თვალსაზრისით. კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის თანახმად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს ექიმის ვალდებულება: დაზიანების ფორმის შევსება, ფოტოგადაღება და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოებისთვის გადაგზავნა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმს წარმოეშვება ეჭვი პატიმრის მიმართ ჩადენილი შესაძლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ, განურჩევლად იმისა, მიიღო თუ არა ექიმმა პატიმრის ინფორმირებული თანხმობა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიშში საქართველოს მთავრობას ასევე მოუწოდებს ამ ცვლილებებისკენ.[58]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება 2019 წელს რამდენიმე რეკომენდაციის შესრულებასა და პენიტენციურ დაწესებულებებში პირობების გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებს. დადებითად უნდა შეფასდეს 2019 წელს №8 პენიტენციურ დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოების დაწყება; №3 დაწესებულებაში წყალმომარაგების პრობლემის აღმოფხვრა და სატელეფონო კაბინების დამონტაჟება,[59]

---

[57] სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია უზრუნველეყო პენიტენციური სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება, რაც უზრუნველყოფდა ერთი ტიპის დაწესებულებიდან, მსჯავრდებულის მეორე ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, 20 დღის ვადაში მსჯავრდებულის რისკის გადაფასებას და შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, პენიტენციურ სამსახურში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ერთი პენიტენციური დაწესებულებიდან მეორე ტიპის დაწესებულებაში პირის გადაყვანის შემთხვევაში, აღარ ხდება პატიმრის რისკის გადაფასება.

[58] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბრის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 80, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/38p44kK > [ბოლოს ნანახია: 09.01.2020].

[59] თუმცა, კონფიდენციალური გარემოს შესაქმნელად, აუცილებელია კაბინები დამატებითი საიზოლაციო საშუალებებით აღიჭურვოს.

პენიტენციურ დაწესებულებებში არაგადამდები დაავადებების სკრინინგის ჩატარება, ასევე, გარკვეული რეკომენდაციების შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯები.

სახალხო დამცველის შეფასებით, პენიტენციურ სისტემაში, წინა წლების მსგავსად,[60] ისევ გამოწვევად რჩება არასათანადო მოპყრობისგან დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების ნაკლებობა; პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა; პატიმრობის სათანადო პირობების უზრუნველყოფა; პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისკენ მიმართული აქტივობებისა და გარე სამყაროსთან კონტაქტის სიმწირე; სამედიცინო მომსახურებისა და პრევენციული ჯანდაცვის კუთხით არსებული ხარვეზები; ფსიქიკური ჯანდაცვა; თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული პენიტენციური სისტემის შექმნა და სხვ. 2019 წელს სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული არაფორმალური მმართველობა. პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურა, პატიმრების უსაფრთხოების თვალსაზრისით, რისკის შემცველია და მნიშვნელოვანია მის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტიანი საშუალებებით.

თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე ძალადობის ფორმები პენიტენციურ დაწესებულებებში

ფიზიკური ძალადობა - სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში თანამშრომელთა მხრიდან პატიმრებზე სავარაუდო ფიზიკური ძალადობის მხოლოდ ერთეული შემთხვევები იკვეთება.

ფსიქოლოგიური ძალადობა - დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები საუბრობდნენ თანამშრომლების მხრიდან არაეთიკურ, ზოგ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელ და უთანასწორო დამოკიდებულებაზე.

დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (ე.წ. უსაფრთხო) საკნებში მოთავსება, როგორც არაფორმალური დასჯა - წინა წლების მსგავსად, 2019 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემური იყო პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში მოთავსების პრაქტიკა. პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (ე.წ. უსაფრთხო) საკნებში, ფაქტობრივად, უწყვეტად, ხანგრძლივი დროით მოთავსების პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობაა. დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში, საცხოვრებელ საკნებთან შედარებით, პატიმრებს უკიდურესად მძიმე პირობებში უწევთ ყოფნა. პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჭურჭლის სარეცხი საშუალებები, შეზღუდული აქვთ საკუთარ ტანსაცმელზე წვდომა. დეესკალაციის ოთახებში ყოფნის დროს, პატიმრებს უმეტესად არ ეძლევათ შხაპის მიღების და გასეირნების საშუალება, შეზღუდული აქვთ მაღაზიით სარგებლობის, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და პაემნით

[60] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 41.

სარგებლობის უფლება. არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. პატიმრების განცხადებით, დეესკალაციის ოთახში მათ შეზღუდული აქვთ, მათ შორის, სახალხო დამცველთან და ადვოკატთან დარეკვის უფლებაც. მათ არ აძლევენ სიგარეტს, საკნის ფანჯარა დაკეტილია და უჰაერობაა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პატიმრები ხსენებულ საკნებში/ოთახებში მოთავსებას დასჯად აღიქვამენ.

გასული წლების მსგავსად, გრძელდება №3 პენიტენციური დაწესებულების დეესკალაციის ოთახებსა და №8 პენიტენციური დაწესებულების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (ე.წ. უსაფრთხო) საკნებში პატიმრების, ფაქტობრივად, უწყვეტად, ხანგრძლივი დროით მოთავსების პრაქტიკა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების მიხედვით, დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების მაქსიმალური დრო არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს,[61] სამარტოო საკანში მოთავსებაც, უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლევადიანი.[62] ზოგიერთ შემთხვევაში, სამარტოო საკანში მოთავსება შესაძლებელია გაუტოლდეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას.[63]

პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქოსოციალური მხარდამჭერი სერვისების და სიტუაციის მართვის სხვა რესურსის არარსებობის გამო, ადმინისტრაცია დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივი დროით ათავსებს პატიმარს, რომელსაც აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და მისი ფსიქოემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვისი ან საკუთარი თავის დაზიანების რისკი წარმოიშობა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დეესკალაციის ოთახებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების მოთავსება მხოლოდ უკიდურესი ზომა უნდა იყოს და ამ ღონისძიების გამოყენებამდე, უსაფრთხოების მიზნის მისაღწევად, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები. თუ ეს საშუალებები არასაკმარისია, დეესკალაციის ოთახში გადაყვანა უნდა გამოიყენებოდეს როგორც იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს და პარალელურად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმრისთვის მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) მიერ ადეკვატური დახმარების გაწევა. ხოლო, თუ ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის უსაფრთხოების დასაცავად დეესკალაციის ოთახში 24 საათით მოთავსება და მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა არასაკმარისი იქნება, ის დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანონ №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა

[61] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბრის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 94.

[62] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის თუ დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT)-ს ამონაწერი მე-2 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf(92)3], პარ. 56.

[63] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის თუ დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT)-ს ამონაწერი მე-2 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf(92)3], პარ. 56.

სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

შიდა კლასიფიკაციის საკნების არამიზნობრივი გამოყენება - სპეციალური პრევენციის ჯგუფის ვიზიტებისას ასევე გაირკვა, რომ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ადგილი აქვს საცხოვრებელი კორპუსებიდან შიდა კლასიფიკაციის საკნებში (ე.წ. კარანტინის) პატიმრების გადაყვანისა და ხანგრძლივად განთავსების პრაქტიკას,[64] რაც მათთვის „ჭკუის სწავლების" და დასჯის მიზანს ემსახურება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შიდა კლასიფიკაციის საკნებში არსებული პირობები - სინესტე, არასაკმარისი ვენტილაცია და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაუცველობა, პატიმრებისთვის დისკომფორტის შემქმნელია. ამასთან, შიდა კლასიფიკაციის საკნებში ყოფნის პერიოდში პატიმრებს შეზღუდული აქვთ გასეირნების, შხაპის მიღების, გარე სამყაროსთან კონტაქტისა და დაწესებულების მაღაზიით სარგებლობის შესაძლებლობა.[65]

სახალხო დამცველს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან ეცნობა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური, პატიმრების საცხოვრებელი საკნებიდან შიდა კლასიფიკაციის საკნებში გადაყვანის ეფექტიანი პრაქტიკის დასანერგად, ინსტრუქციის პროექტზე მუშაობს.[66] საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, საცხოვრებელი საკნებიდან შიდა კლასიფიკაციის საკნებში პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის არსებობა და მისი ნორმატიულ დონეზე განსაზღვრა მიუღებელია, რადგან ამან პენიტენციური სისტემის პირობებში მყოფ ახლად შემოყვანილ პატიმარსა და საცხოვრებელი საკნიდან ჩამოყვანილ, სავარაუდოდ პრობლემური ქცევის მქონე პატიმარს შორის, შესაძლოა, კონფლიქტი წარმოშვას. ასევე პრობლემურია ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ერთად განთავსების პრაქტიკაც.[67] ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ №8 პენიტენციური დაწესებულების შიდა კლასიფიკაციის საკნებში მსჯავრდებულები ახლად შესახლებულ ბრალდებულებთან ერთად თავსდებიან, რაც არღვევს საქართველოს „პატიმრობის

[64] 2019 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში საცხოვრებელი კორპუსიდან შიდა კლასიფიკაციის საკანში პატიმრის გადაყვანის 551 შემთხვევა დაფიქსირდა.

[65] შიდა კლასიფიკაციის საკნების დასჯის მიზნით გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების ვიზიტის შემდგომ ანგარიშში, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2TALjFE > [ბოლოს ნანახია: 16.01.2020].

[66] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 13 დეკემბრის, N371652/01 წერილი.

[67] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 70/175), ე.წ. ნელსონ მანდელას წესი №11(ბ)-ს მიხედვით, ბრალდებულები და მსჯავრდებულები განცალკევებით უნდა იყვნენ განთავსებულნი.

კოდექსის" მე-9 მუხლის მე-2 ნაწილისა[68] და №8 დაწესებულების დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას.[69]

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების მიზნით, პატიმრის საცხოვრებელი საკნიდან გაყვანა აუცილებელია, ეს უნდა მოხდეს ალტერნატიულ სივრცეებში და არა შიდა კლასიფიკაციის საკნებში, სადაც იმყოფებიან დაწესებულებაში ახლად შემოსახლებული მსჯავრდებულები და ბრალდებულები, ან უნდა გაიყვანონ მხოლოდ იმ პერიოდში, როცა შიდა კლასიფიკაციის ოთახებში არ იმყოფებიან ახლად შემოსახლებული ბრალდებულები ან მსჯავრდებულები.

ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, დოკუმენტირება და გამოძიებისთვის გადაგზავნა

პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა წარმოებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №131 ბრძანებით (შემდგომში - №131 ბრძანება) დადგენილი წესით. ამ წესის თანახმად, დაზიანების დოკუმენტირების საფუძველია ეჭვი, რომელიც ექიმს პატიმრის მიმართ ჩადენილი შესაძლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ გაუჩნდება. არსებობს რისკი, რომ ექიმმა არასათანადო მოპყრობის ფაქტები სრულყოფილად და ეფექტიანად ვერ გამოავლინოს, ვინაიდან ექიმის მიერ საეჭვო დაზიანებების შერჩევის კრიტერიუმები ნორმატიულ დონეზე არ არის გაწერილი. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ექიმის მიერ საეჭვო დაზიანებების შერჩევის კრიტერიუმების სახელმძღვანელო პრინციპების დონეზე ნორმატიულად განსაზღვრის თაობაზე, რეკომენდაციით მიმართა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული პასუხის თანახმად, სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაზე მიმდინარეობს მუშაობა, რაც მისასალმებელია.

პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ პრობლემურია დაწესებულებების ექიმების მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირების და დოკუმენტირების პრაქტიკა.

ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა სხეულზე საეჭვო დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში, ექიმები არ ახდენენ მის დოკუმენტირებას №131 ბრძანებით დამტკიცებული დაზიანების აღრიცხვის წესის შესაბამისად. დახურული ტიპის

[68] პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შერეული ტიპის დაწესებულებაში ბრალდებულები იზოლირებულნი უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისაგან, სულ მცირე, ერთმანეთისაგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართობებით.

[69] №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მსჯავრდებულები და ბრალდებულები განთავსებულები არიან ერთმანეთისგან განცალკევებით".

დაწესებულებებში კი, დაზიანებების დოკუმენტირება მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც დაწესებულებაში შესახლების დროს ბრალდებული მიუთითებს, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან, მის მიმართ არასათანადო მოპყრობა განხორციელდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში, 2019 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, პატიმრისთვის სხვა პირის მიერ სხეულის დაზიანების მიყენების 316 ფაქტია გამოვლენილი. ყველა ამ შემთხვევაში სახეზეა პატიმრის მიმართ სავარაუდო ძალადობრივი ქმედების ჩადენის ნიშნები. ამის მიუხედავად, №131 ბრძანებით დამტკიცებული დაზიანების აღრიცხვის ფორმა არცერთ შემთხვევაში არ არის შევსებული.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზიან პრაქტიკას, სხვა გარემოებებთან[70] ერთად, განაპირობებს ექიმების არასათანადო კვალიფიკაცია, პატიმართან კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის შესაძლებლობის არარსებობა , დოკუმენტაციის შევსებისათვის პატიმრის მხრიდან ინფორმირებული თანხმობის მიღების ვალდებულება და სხვა ნორმატიული ხარვეზები[71], რომელთა შორის, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს №131 ბრძანების ხარვეზიანი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, წამების და არასათანადო მოპყრობის ეჭვის შემთხვევაში, ექიმი შეტყობინებას იუსტიციის სამინიტროს გენერალურ ინსპექციას უგზავნის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, პენიტენციური დაწესებულების, ესკორტირების ჯგუფის წევრის ან სხვა საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლის მხრიდან პატიმრის წამებას, ან მის მიმართ სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოდან და საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოდან შემდგომი რეაგირებისთვის საქმე დაუყოვნებლივ იგზავნება პროკურატურაში[72], ხოლო 2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში. ეს პრობლემურია, რამდენადაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი, რომელიც არ არის ინსტიტუციურად დამოუკიდებელი უწყება, შუამავლის ფუნქციას ასრულებს და თავად წყვეტს პროკურატურასა და

[70] მაგალითად, დაწესებულებებში არსებული სუბკულტურის გავლენა (დაწესებულებებში დამკვიდრებული არაფორმალური წესების მიხედვით, ძალადობის მსხვერპლმა არ უნდა გაამჟღავნოს დაზიანების მიყენების ფაქტი და მით უმეტეს - მიზეზები) და ძალადობის მსხვერპლთა უნდობლობა გამოძიების ორგანოების მიმართ.

[71] დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში.

[72] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 10 იანვრის №13/974 წერილის თანახმად, 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ ჩადენილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, გამოძიება დაიწყო 19 სისხლის სამართლის საქმეზე. გამოძიება ყველა საქმეზე გრძელდება, ამ ეტაპზე კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინების გაგზავნა/გაუგზავნელობის საკითხს.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო წამების ან არასათანადო მოპყრობის ჩამდენი სუბიექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს, პენიტენციური დაწესებულების, ესკორტირების ჯგუფის წევრი ან სხვა საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელია, შეტყობინებას ექიმი პირდაპირ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს უნდა უგზავნიდეს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, პენიტენციური დაწესებულებებიდან, ამავე დაწესებულებების ექიმების მიერ, ზემოხსენებული წესის შესაბამისად, პატიმრის მიმართ ჩადენილი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტის დოკუმენტირების შესახებ, 12 შეტყობინება მიიღეს. ამავე ინფორმაციის თანახმად, მათი შესწავლის შედეგად არ გამოვლენილა დაზიანებების შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სხვა საგამოძიებო ორგანოს, ასევე, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან წამების, არასათანადო მოპყრობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად განვითარების ფაქტი. შესაბამისად, გამოძიება არცერთ შემთხვევაზე არ დაწყებულა.[73]

საგულისხმოა, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მონიტორინგის შედეგების თანახმად, გამოძიება არ ინტერესდება დაზიანების აღრიცხვის ფორმის მიხედვით შევსებული მასალით და არ ახდენს მის ამოღებას. 2017 წლიდან, მონიტორინგის დღემდე, სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად, დაზიანების დოკუმენტირების არცერთ შემთხვევაში არ ამოუღია გამოძიებას გადაღებული ფოტოები და დოკუმენტაცია, ხოლო ფოტოაპარატები, რომლითაც აღბეჭდავენ დაზიანებებს, 2017 წლის 30 მარტს დაილუქა და ლუქი მონიტორინგის დღემდე არ ყოფილა გახსნილი.[74] შესაბამისად, გაურკვეველია, საქართველოს პროკურატურამ ექიმების შედგენილი დოკუმენტაციის და გადაღებული ფოტოების ამოღების/გაცნობის გარეშე როგორ დაადგინა, რომ აღნიშნული დაზიანებები სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მხრიდან წამების, არასათანადო მოპყრობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად არ იყო განვითარებული.

2019 წელს სახალხო დამცველის აპარატმა 1 რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს, რომლითაც, ფიზიკური დაზიანებების არასრულყოფილი დოკუმენტირების გამო, პენიტენციური დაწესებულების ექიმის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება მოითხოვა. ეს რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არ გაუზიარებია.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის დოკუმენტირების და გამოძიების მიზნებისთვის, აუცილებელია, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სტამბოლის პროტოკოლის

[73] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 20 იანვრის №13/3295 წერილი.
[74] 2019 წლის ივლისი-აგვისტო.

შესაბამისად ტარდებოდეს. ამის მიუხედავად, უკვე წლებია, პრობლემაა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წერილობითი დასკვნების სტამბოლის პროტოკოლის V, VI თავებითა და სტამბოლის პროტოკოლის დანართი 1-ით (წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მისადაგება.[75]

წესრიგი და უსაფრთხოება/დაცული, უსაფრთხო და მოწესრიგებული პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრირება

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრირების შესაფასებლად, სახალხო დამცველის აპარატი მრავალ კომპონენტს იყენებს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ რამდენად საკმარისია პერსონალი დაწესებულებებში, შემდეგ ის, თუ როგორ რეჟიმში უწევთ პატიმრებს ყოფნა დახურულ დაწესებულებებში. ცალკე იქნება წარმოდგენილი მსჯელობა არაფორმალურ მმართველობაზე და დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკაზე.

გადატვირთულობა

პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლების რაოდენობა, დაწესებულებებში უსაფრთხო, დაცული და მოწესრიგებული გარემოს უზრუნველსაყოფად, საკმარისი არ არის.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პერსონალის ნაკლებობისა და გადატვირთულობის გამო, დაწესებულებებში რისკის ქვეშ დგება როგორც პატიმართა, ისე თანამშრომელთა უსაფრთხოება. არის შემთხვევები, როდესაც ერთი თანამშრომელი ვერ ახერხებს პატიმართა შორის კონფლიქტის დროულად განმუხტვას, რადგან დახმარებისთვის საკმაოდ დიდხანს უცდის კოლეგას. დაყოვნებამ კი, შესაძლოა, პატიმრების ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხე წარმოშვას.

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებები

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებების მართვა კვლავ სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებს ეფუძნება და გულისხმობს მაქსიმალურ შეზღუდვებს, აკრძალვებსა და უპირობოდ მკაცრ რეჟიმს, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ხელს უშლის მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებასა და რეაბილიტაციას. განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები 23 საათს უსაქმოდ ატარებენ საკნებში და მხოლოდ 1 საათის განმავლობაში იმყოფებიან სასეირნო ეზოებში.

გარდა ამისა, დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრების გარკვეული ნაწილი, თვეებისა და წლების განმავლობაში დე ფაქტო იზოლაციის პირობებში იმყოფება.

[75] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, გვ. 29-30.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების[76] დებულებების თანახმად, დაწესებულების დირექტორი ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა ბრალდებულების/მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების თაობაზე, არაუმეტეს 30 დღისა. აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ვადა დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გაიზარდოს. უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრის დიდი ხნით იზოლაცია არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას შეიძლება გაუტოლდეს.

არაფორმალური მმართველობა

სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებს, რომ პატიმრების არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს დაწესებულებების არაფორმალური მმართველობა, რაც ხშირად განაპირობებს პატიმრებს შორის ძალადობასა და ჩაგვრას.

კრიმინალური სუბკულტურის გავლენით, პატიმრები არაფორმალურად დაიყოფებიან. შედეგად, პატიმართა გარკვეული ნაწილი, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება, რეპრესიული მეთოდებით ახორციელებს არაფორმალურ მმართველობას, რაც, ხშირ შემთხვევაში, იწვევს პატიმართა შორის ძალადობას და გამოიხატება სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაში იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არაფორმალური მმართველობის წესებს არ დაემორჩილებიან.

პატიმართა ნაწილის განცხადებით, №8 პენიტენციურ დაწესებულებაში არიან ადმინისტრაციასთან დაახლოებული მსჯავრდებულები, რომელთაც გარკვეული სახის გავლენები აქვთ სხვა პატიმრებზე და საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაცია მათ პატიმრებთან „ურთიერთობების მოსაგვარებლად" (შიმშილობის საჩივრების დაწერის შემთხვევებში, სხვა ფორმით უკმაყოფილების გამოხატვის ან კონფლიქტური სიტუაციების დროს) იყენებს.

№2 პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები თავისუფლად გადაადგილდებიან დაწესებულების ტერიტორიაზე, აკონტროლებენ პატიმრებს, აგროვებენ ე.წ. „საერთოს",[77] შედიან საკნებში და ურჩ პატიმრებს ფიზიკურად უსწორდებიან; ვინც არ დაემორჩილება მათ მოთხოვნებს, იმათ სოციუმიდან რიყავენ და სხვა კორპუსში გადაჰყავთ, პატიმრებს ართმევენ ოჯახის მიერ გამოგზავნილ ტანსაცმელს. ე.წ „ციხის მაყურებლები" სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრის დახმარებით აკონტროლებენ პატიმრების ბარათებზე დარიცხულ თანხებს. ამისთვის აქვთ სპეციალური

[76] №3, №6 და №7 პენიტენციური დაწესებულებები.

[77] მატერიალური სიკეთის, შემოწირულობების ერთობლიობა, რომლიც არაფორმალური მმართველის ხელში აკუმულირდება და არაფორმალური მმართველივე განკარგავს.

ჟურნალები, სადაც მითითებულია პატიმრის სახელი და გვარი, ბარათის შემოწმების დრო და ბარათზე დარიცხული თანხის ოდენობა.[78]

მონიტორინგის ფარგლებში მონახულებულ[79] დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, წესრიგს ძირითადად არაფორმალური მმართველები უზრუნველყოფენ. დაწესებულებებში არსებული მოჩვენებითი წესრიგი ძალადობრივ მეთოდებს ეფუძნება და სინამდვილეში ძალიან მყიფეა, რამაც გრძელვადიან, ან თუნდაც მოკლევადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, უაღრესად დიდი საფრთხის წინაშე დააყენოს პატიმართა სიცოცხლე და უსაფრთხოება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წლების მიხედვით, არაფორმალური მმართველობის გავლენის გაძლიერებასთან ერთად, კლებულობს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებიდან სახალხო დამცველის სახელზე გამოგზავნილი განცხადებების რაოდენობა.

მნიშვნელოვანია, რომ კრიმინალური სუბკულტურის დასაძლევად, ღონისძიებები პატიმრების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის პირობებში გატარდეს და გამოირიცხოს ძალადობრივი და რეპრესიული მეთოდების გამოყენება.

პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა

პენიტენციურ დაწესებულებაში მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატიმართა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების სისტემა ეფექტიანი იყოს და სრულად უზრუნველყოფდეს როგორც მართლწესრიგის შენარჩუნებას, ისე თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებების დაცვას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ 2018 წელს გამოცემული 307 განკარგულება შეისწავლა და შედეგები სპეციალურ ანგარიშში ასახა.[80] ამ ანგარიშის თანახმად, პრობლემურია როგორც პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა, ისე პრაქტიკა.

შესწავლის შედეგად, სისტემური ხასიათის არაერთი პრობლემა გამოვლინდა: დაწესებულების დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში ნეიტრალურ მტკიცებულებებს არ ეყრდნობიან; პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ; განკარგულებებში მხოლოდ ფორმალურად და შაბლონურად მიეთითება კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომაზე; არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია იმ ფაქტის შესახებ, რომელიც პატიმრის მხრიდან გადაცდომად ჩაითვალა; განკარგულებები არ შეიცავს დასაბუთებას

[78] ამ საკითხის შესახებ დეტალურად იხილეთ - სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის №2, №8, №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებების ვიზიტის შემდგომ ანგარიშში, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2TALjFE > [ბოლოს ნანახია: 16.01.2020].

[79] №2, №8, №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებები.

[80] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში", 2019, ანგარიში ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/2PNyPsW > [ბოლოს ნანახია 201.02.2020].

კონკრეტული სანქციის გამოყენების პროპორციულობის შესახებ; ერთი სახის დისციპლინური დარღვევის დროს პატიმართა მიმართ განსხვავებული სანქციები გამოიყენება - არაერთგვაროვანი მიდგომის საფუძველი ბუნდოვანია; არცერთ საქმეზე არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა და შესაბამისად, პატიმარს არ მისცემია საკუთარი ინტერესების საკითხის განმხილველი პირის წინაშე დაცვის შესაძლებლობა; არცერთ საქმეში არ ყოფილა ჩართული ადვოკატი. არ არის განსაზღვრული დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები; არ არის განსაზღვრული დისციპლინური მოკვლევის ეტაპები და საქმისწარმოების ვადები; არ არის გათვალისწინებული ეფექტიანი დაცვის საშუალებები; არ არსებობს დისციპლინური სახდელის გამოყენების ალტერნატიული ღონისძიებები.[81]

პატიმრობის პირობები

როგორც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, არასათანადო მოპყრობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება, რომელთაგან ბევრი, შესაძლოა, წინასწარგანზრახული კი არა, ორგანიზაციული შეცდომებისა და საკმარისი რესურსების ნაკლებობის შედეგი იყოს.[82] პატიმრის ღირსების შესაბამის პირობებში მოთავსება მოიცავს როგორც მატერიალურ პირობებს, ასევე დღის რეჟიმს, იმ კონკრეტულ აქტივობებს, რომლებშიც ჩართვას სთავაზობენ პატიმრებს. პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, სარეაბილიტაციო პროგრამების ნაკლებობა, ხანგრძლივი დროით საკანში უსაქმოდ ყოფნა, ერთიანობაში მძიმედ აისახება პატიმრის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე და შესაძლოა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდეს.

პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია

საქართველოს სახალხო დამცველი 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნავდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.[83] 2019 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში, ამ მხრივ, არსებითი ხასიათის ცვლილებები არ ყოფილა. განსაკუთრებით პრობლემურია განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში[84] არსებული ვითარება, რაც, წინა წლების მსგავსად, საკმარისი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ნაკლებობითაა განპირობებული.

---

[81] იქვე, გვ. 26, 27, 29, 31, 32.

[82] წამების ევროპული კომიტეტის მე-2 საერთო ანგარიში [CPT/Inf(92)3], პარ. 44.

[83] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 46.

[84] მაგალითისათვის, №3 დაწესებულებაში 2019 წლის 1 იანვრიდან სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დღემდე, არც სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და, შესაბამისად, არც რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობა არ განხორციელებულა.

დადებითად უნდა შეფასდეს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებები,[85] რომელთა თანახმადაც, 2020 წლის 1 იანვრიდან მსჯავრდებულებს პროფესიულად მოამზადებს და გადაამზადებს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი. საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ცენტრის დახმარებით, მსჯავრდებულებს შესთავაზებენ და ისინი მიიღებენ ფართო შესაძლებლობებს მრავალფეროვან სასწავლო/პროფესიულ პროგრამებში ჩასართავად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარეაბილიტაციო აქტივობებში პატიმართა მონაწილეობას სხვა ფაქტორებთან ერთად,[86] ხელს უშლის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კრიმინალური სუბკულტურა და პატიმრებში მოტივაციის არარსებობა.[87]

პენიტენციურ დაწესებულებებში, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით არსებული ვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, 2020 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა რაოდენობა, რათა მათი რესურსები მაქსიმალურად მოხმარდეს სარეაბილიტაციო აქტივობებს.[88] გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სოციალური მუშაობის შესახებ" კანონით გათვალისწინებული კვალიფიკაცია დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია.

პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით ჩანაცვლება ერთ-ერთი კანონისმიერი შესაძლებლობაა საიმისოდ, რომ მსჯავრდებულს ჰქონდეს მოტივაცია, მსჯავრდების შემდგომ პერიოდში სრულად იყოს ორიენტირებული რესოციალიზაციის პროცესზე და შედეგად, ჰქონდეს ამ მექანიზმით ეფექტიანად სარგებლობის იმედი.

პოზიტიურ კონტექსტში საგანგებოდ უნდა მიეთითოს საბჭოების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების ზრდის ტენდეციაზე, რაც 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს დაახლოებით 6-8%-ით მეტ დადებით გადაწყვეტილებაში გამოიხატება. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მექანიზმის ფუნქციონირების თვალსაზრისით, პრაქტიკულ დონეზე მრავალი ხარვეზი გამოიკვეთა.

საქართველოს სახალხო დამცველის მომზადებული სპეციალური ანგარიშის თანახმად, პატიმართა ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო

---

[85] 2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №492 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის, დებულება. ცენტრის მიზანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა მათი განათლების, პროფესიული მომზადების/გადამზადებისა და დასაქმების გზით.

[86] დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, გვ. 43-44, ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < http://bit.ly/2TFwRfh > [ბოლოს ნანახია 05.03.2020].

[87] იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, გვ. 44, ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < http://bit.ly/2TFwRfh > [ბოლოს ნანახია: 22.01.2020].

[88] 2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საშუალოდ 1 ფსიქოლოგზე მოდიოდა 563-დან 1073-პატიმრამდე. იგივე მაჩვენებელი 1 სოციალურ მუშაკზე იყო საშუალოდ 153-დან 271 პატიმრამდე.

მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის კუთხით, გამოვლინდა როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები.[89] ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემა.[90] საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ, ძირითადად შაბლონური ხასიათისაა და შეიცავს ფორმალურ მითითებას, თუ რომელ კრიტერიუმებს დაეყრდნო საბჭო კონკრეტულ შემთხვევაში, უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[91]

ზემოთქმულის გარდა, პრობლემას წარმოადგენს გადაწყვეტილებათა არაერთგვაროვანი ხასიათიც: ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებებში იკვეთება საბჭოების მხრიდან განსხვავებული მიდგომების ტენდენცია იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში. ასევე, საბჭო, ხშირ შემთხვევაში, არ აქცევს ყურადღებას დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ხანდაზმულობას, გადაცდომის სიმძიმეს, დაკისრებული სახდელის სიმძიმეს და არც გადაცდომის შემდგომ პერიოდში, პატიმრის დადებითად შეცვლილ ქცევას. საბჭოს გადაწყვეტილებებში არსებითი ხასიათის უზუსტობები გამოვლინდა, რაც, ხშირ შემთხვევაში, პატიმრისთვის უარესი გადაწყვეტილების წინაპირობა ხდება; ასევე არ არის განჭვრეტადი საბჭოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის მოტივაცია; სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია და რიგ შემთხვევებში, ბუნდოვანიც.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური იზიარებს იმ რეკომენდაციებს, რომლებზეც საუბარია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.[92]

ფიზიკური გარემო

დადებითად უნდა აღინიშნოს 2019 წლის 12 თებერვალს №12 დაწესებულების ახალ შენობაში გადასვლა. ამის მიუხედავად, რამდენიმე პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები კვლავაც საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას.

2019 წლის განმავლობაში პრობლემური იყო საკნებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, ვენტილაცია, განათება[93] და ყველა მსჯავრდებულისათვის 4 კვ.მ. მინიმალური ფართით

---

[89] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“, ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/2Tr29b5 > [ბოლოს ნანახია 01.02.2020].

[90] იქვე, გვ. 23.

[91] იქვე.

[92] სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №17246/01 წერილი.

[93] №2, №8, №14 და №15 დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, სათანადო ვენტილაციისა და საკმარისი განათების საკითხები დეტალურად მიმოხილულია №2, №8, №14 და №N15 დაწესებულებებში ვიზიტის შემდგომ ანგარიშში, გვ. 31-35, ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < http://bit.ly/2PP1UEs >[ბოლოს ნანახია 05.03.2020]; ასევე იხილეთ №3 დაწესებულების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 17-18.

უზრუნველყოფის საკითხი.[94] ეს უკანასკნელი პრობლემური იყო №2, №8, №14, №15 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში. გარდა ამისა, №17 პენიტენციურ დაწესებულებაში დღემდე არ გაუქმებულა ე.წ. ბარაკული ტიპის საცხოვრებლები.[95]

პენიტენციური ჯანდაცვა

არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლისას მნიშვნელოვანია პატიმრები ადეკვატური, ხარისხიანი და დროული სამედიცინო მომსახურებით იყვნენ უზრუნველყოფილნი. ამ უკანასკნელის არარსებობა, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, არასათანადო მოპყრობას გაუთანაბრდეს. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, წინა წლების მსგავსად, პენიტენციურ სისტემაში არასათანადო და გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურების პრობლემა კიდევ იდგა. 2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ამ პრობლემის გამო 433 პატიმარმა მომართა. სამედიცინო მომსახურების მიღების გაჭიანურების თემასთან ერთად, ამ თავში შემოგთავაზებთ მსჯელობას იმ გამოწვევებზე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო სამედიცინო მომსახურების პრობლემას ქმნის.

სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობა

2019 წელს პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით კვლავ პრობლემა იყო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა[96] და კვალიფიკაცია.[97] სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება,[98] სამედიცინო კონფიდენციალურობის დაცვა, არაგადამდები დაავადებების პერიოდული სკრინინგული გამოკვლევა, სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება და პრევენციული ჯანდაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა.

დროული სამედიცინო მომსახურებისთვის მნიშვნელოვანია დაწესებულებაში პირველადი ჯანდაცვის რგოლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ნახევრად ღია დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის ნაკლებად რთულია პირველადი ჯანდაცვის ექიმთან მოხვედრა, რადგან ისინი თავად მიდიან ექიმთან, თუმცა ხშირად უწევთ რიგში დგომა, დახურული ტიპის დაწესებულებებში კი, პრობლემაა

---

[94] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებულია, რომ მსჯავრდებულებს მინიმალური ფართის სახით 4 კვ.მ. უნდა გამოეყოთ.

[95] აღნიშნულ საცხოვრებლებში მსჯავრდებულები არ არიან უზრუნველყოფილი 4 კვ.მ-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართით, სადაც მსჯავრდებულთა სიმრავლისა და სათანადო განიავების შეუძლებლობის გამო ჰაერი გაჯერებულია თამბაქოს კვამლით. ასეთ პირობებში რთულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა.

[96] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) 2007 წელს საბერძნეთში ვიზიტის შესახებ ანგარიშში უთითებს, რომ ერთ ექიმზე - 300, ხოლო ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი არ უნდა მოდიოდეს. ყველა დაწესებულებაში მაღალია ექთნებისა და პატიმრების თანაფარდობა. იხ. №2, №8, №14 და №15 დაწესებულებების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 51.

[97] კვლავ აღინიშნება პრობლემები უწყვეტი სამედიცინო განათლების სფეროში.

[98] დარღვეულია ქრონოლოგია, არ არის ასახული მკურნალობის დინამიკა და დანიშნული მკურნალობის შედეგები. ხარვეზებია დანიშნულების ფურცლების წარმოებაშიც.

როგორც დიდი მოთხოვნა, ასევე ისიც, რომ პატიმარი ექიმთან დაწესებულების თანამშრომელს მიჰყავს.[99]

სამედიცინო პერსონალის სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებებში[100] დიდი დატვირთვა მოდის მორიგე ექიმებსა და ექთნებზე, რაც, თავის მხრივ, ართულებს დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში დაწესებულებების სამედიცინო პერსონალს რამდენიმე ფუნქციის შეთავსება უწევს. სამედიცინო პერსონალის ასეთი გადატვირთული გრაფიკით მუშაობა მათი პროფესიული გადაწვის საფრთხეს ქმნის, რაც, თავის მხრივ, სამედიცინო მომსახურების ხარისხზეც აისახება.[101]

დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მისაღებად მნიშვნელოვანია ექიმ-სპეციალისტებთან რეფერირება, ასევე, სამედიცინო დაწესებულებაში დროული გაყვანა. სამედიცინო რეფერალის დროულ შეთავაზებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის დეკემბრიდან დაიწყო პროექტი, რომელიც 2016 წლიდან დაგროვილი ე.წ. სამედიცინო რიგის, ანუ სამედიცინო მომსახურების მომლოდინეთა მომსახურებას და ამ რიგის განულებას ისახავს მიზნად. საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნულს მიესალმება და იმედოვნებს, რომ რიგი უახლოეს მომავალში განიტვირთება.

გარდა პენიტენციურ სისტემაში გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურებისა, პრობლემა გამოიკვეთა პატიმრობაშეფარდებულ ბრალდებულთა მიმართ დანიშნული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურების მხრივაც. თვეების განმავლობაში გაჭიანურებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის გამო, ფსიქიატრიული მკურნალობის დასაწყებად პაციენტების სტაციონარში მოთავსება მნიშვნელოვნად დაგვიანდა. ამის გამო კონკრეტული ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პირებს თვეების განმავლობაში პენიტენციურ სისტემაში, პატიმრობაში უწევდათ ყოფნა.[102]

დაწესებულებებში მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებას ართულებს სამედიცინო ბარათების არათანმიმდევრულობა და მკურნალობის შედეგების შესახებ ინფორმაციის არარსებობა. სამედიცინო ბარათების შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ

---

[99]პირველადი სამედიცინო პუნქტის ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას №8 დაწესებულებაში.

[100]მორიგე ექიმები და ექთნები მორიგეობენ 4 დღეში ერთხელ. ასე მაგალითად, №2 დაწესებულებაში შაბათ-კვირას და არასამუშაო დროს დაწესებულებას ემსახურება 1 მორიგე ექიმი და 2 მორიგე ექთანი, №3 დაწესებულებას - 1 მორიგე ექიმი და 1 მორიგე ექთანი, №8 დაწესებულებას - 2 მორიგე ექიმი და 8 მორიგე ექთანი, №14 დაწესებულებას - 1 მორიგე ექიმი და 1 მორიგე ექთანი, №15 დაწესებულებას კი - 1 მორიგე ექიმი და 2 მორიგე ექთანი.

[101] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, 2018 წელს საქართველოში ვიზიტის შემდგომ ანგარიშში, ყურადღებას ამახვილებს №8 და №15 დაწესებულებებში ექთნების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობაზე.

[102] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში.

ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტთა მკურნალობა არათანამიმდევრული და წყვეტილია,[103] ზოგიერთ შემთხვევაში კი, სამედიცინო პერსონალის მიერ უგულებელყოფილია პაციენტის მდგომარეობა ან არ აქვს ჩატარებული ჩივილების შესაბამისი გამოკვლევები.[104] ყოველივე აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შემაჯამებელი ეპიკრიზები,[105] პატიმრის ჯანმრთელობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამედიცინო პერსონალის მხრიდან უყურადღებოდ რომ არ დარჩეს. ამასთან, მკურნალობის პროცესში მნიშვნელოვანია მედიკამენტებით მომარაგების საკითხი, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა №8 დაწესებულებაში.

სამედიცინო მომსახურების კუთხით, საანგარიშო პერიოდში სხვა რიგი პრობლემებიც გამოვლინდა. მაგალითისათვის, №8 დაწესებულებაში გამოკითხული რამდენიმე პატიმრის თქმით, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, მათ ხშირად მოსდით კონფლიქტი დაწესებულების თანამშრომლებთან. დაწესებულების თანამშრომლები მათ უხეშად ესაუბრებიან, იწვევენ, ემუქრებიან პირობების გაუარესებით და იზოლირებით. ეს გარემოებები პატიმრების მხრიდან საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის, შესაძლოა, ხელის შემშლელი აღმოჩნდეს.

ფსიქიკური ჯანდაცვა

პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში კვლავ გართულებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მართვა, რომლისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადრეულ დიაგნოსტიკასა და გამოვლენას.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი, №2 და №8 დაწესებულებაში პირველადი მოთავსებისას, კითხვარის ერთჯერადად შევსებით შემოიფარგლება, რაც არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების დროულ გამოვლენას. ასევე პრობლემურია, რომ ოჯახის ექიმებს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ობიექტურად შესაფასებლად შესაბამისი ინსტრუმენტი არ გააჩნიათ.

სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული პასუხის თანახმად,[106] სამედიცინო დეპარტამენტში მიმდინარეობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პერმანენტული სკრინინგის დოკუმენტის შემუშავების პროცესი, რაც მისასალმებელია.

პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრისათვის სამედიცინო შტატი გამოყოფილი არ არის. სამედიცინო შტატში

---

[103] მაგალითად, №14 დაწესებულებაში ერთ-ერთ პაციენტს აღენიშნებოდა არტერიული ჰიპერტენზია, დანიშნულების ფურცლის მიხედვით კი, წამალი დროებით შეუჩერეს. ასეთივე მდგომარეობა იყო ერთ-ერთი პაციენტის მკურნალობის შემთხვევაშიც.

[104] იხ. №2, №8, №14 და №15 დაწესებულებების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 57.

[105] ექიმის დასკვნა, ამომწურავი წერილობითი განმარტება დაავადების წარმოშობის, განვითარების, მიმდინარეობის, მკურნალობის ხასიათისა და შედეგის შესახებ.

[106] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 13 დეკემბერის №371652/01 პასუხი.

ფსიქიატრი მხოლოდ №8 დაწესებულებაში ირიცხება. შესაბამისად, პატიმრებს ხშირად უწევთ ლოდინი ფსიქიატრის კონსულტაციის მისაღებად. გარდა ამისა, დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება მხოლოდ ფსიქიატრის ერთჯერადი ან განმეორებითი კონსულტაციებითა და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება, ფსიქიატრიული შემთხვევის მულტიდისციპლინური შეფასება და მართვა არ ხდება.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის ნოემბრიდან №8 დაწესებულებაში, სამოქალაქო მოდელის გათვალისწინებით, ფუნქციონირება დაიწყო სამოქალაქო სექტორის სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა სამმა მობილურმა ჯგუფმა.[107] იმისთვის, რათა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებს ხელი მიუწვდებოდეთ სათანადო ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამებზე, დაწესებულებებში საჭირო პერსონალის მობილიზებასთან ერთად, მიზანშეწონილია სერვისის მიმწოდებლების მოზიდვა და სამოქალაქო ინტერვენციის წახალისება.

ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის უნარებს და დეესკალაციის ვერბალურ მეთოდებს პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი არ ფლობენ. პრობლემურია კრიზისული შემთხვევის დადგომის შემთხვევაში პაციენტის მოთავსება სამარტოო (ე.წ. უსაფრთხო) საკანში, ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ და შემდეგ მისი გადაყვანა სასწრაფო დაყოვნებული წესით №18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში.[108] რიგ პენიტენციურ დაწესებულებებში კრიზისული შემთხვევების მართვა დეესკალაციის ოთახში მოთავსებით შემოიფარგლება, რაც ხშირად განმეორებად და პერმანენტულ ხასიათს ატარებს.[109] ასევე, გართულებულია ფსიქოზური მდგომარეობის შემთხვევაში, პატიმრის ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაყვანა, თავისუფალი ფსიქიატრიული საწოლების უქონლობის გამო.[110]

პენიტენციურ დაწესებულებებში, ანტიფსიქოზური მედიკამენტური მკურნალობის გვერდითი ეფექტების მართვის მიზნით განსაზღვრული კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევები და ექიმი-სპეციალისტების კონსულტაციები არ ტარდება. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული მედიკამენტები[111] დანიშნულია არამიზნობრივად, რაც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ

---

[107] სამოქალაქო სექტორში არსებული მოდელის გათვალისწინებით, მობილური ჯგუფები დაკომპლექტებულია ექიმი-ფსიქიატრის, ფსიქოლოგის და ექთნის შემადგენლობით.

[108] ამგვარი პრაქტიკა გამოიკვეთა №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში.

[109] №2, №3 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში.

[110] მაგალითად, №8 დაწესებულებიდან №18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაყვანას, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა 1-1,5 თვე დასჭირდეს.

[111] მაგალითად, საყურადღებოა მედიკამენტ „ზოპინის" (აქტიური ნივთიერება „კლოზაპინი") გამოყენება, როგორც სხვა ანტიფსიქოზური და განსხვავებული ჯგუფის ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან ერთად, ასევე მონოთერაპიის სახით.

დადგენილ სტანდარტს ეწინააღმდეგება.[112] მონიტორინგის შედეგად ასევე იკვეთება დაწესებულებებში ბენზოდიაზეპინის[113] ჯგუფის მედიკამენტების მაღალი დოზებითა და ხანგრძლივად დანიშვნის შემთხვევები, რაც დამოკიდებულების სინდრომის ჩამოყალიბების საფრთხეს შეიცავს, განსაკუთრებით, პერსონოლოგიური აშლილობის მქონე და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების ისტორიის მქონე პატიმრებში. აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ფსიქოტროპული მედიკამენტების ერთბაშად, დღის პირველ ნახევარში გაცემის ფაქტები, რაც შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, მსჯავრდებულმა თავად მიიღო მედიკამენტი, სხვას გადასცა თუ დააგროვა და ერთიანად დალია. მედიკამენტების ერთიანად მიღებამ და მათმა არამიზნობრივმა გამოყენებამ, შესაძლოა, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება გამოიწვიოს.

მოთხოვნა/საჩივარი

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ პატიმრებს, მოთხოვნა/საჩივრის უფლების რეალიზაციისთვის, დაწესებულებებში დაბრკოლებები ექმნებათ. დაწესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნა/საჩივრის გაგზავნის კონფიდენციალურობა.[114] №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტების დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა არაერთი შეტყობინება მიიღეს დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან სახალხო დამცველის მიმართ დაწერილი კონფიდენციალური საჩივრების ცენზურის შესახებ, ასევე იმის თაობაზე, რომ ხშირ შემთხვევაში საჩივრები იგზავნება ადრესატებთან არც იგზავნება[115] ხშირად, ადმინისტრაცია პატიმარს არ უზრუნველყოფს კონფიდენციალური კონვერტებით. სამწუხაროდ, №8 დაწესებულებაში საჩივრის ყუთების გარკვეული ნაწილი მოთავსებულია ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ, რაც კონფიდენციალური საჩივრის ავტორის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

---

[112] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბერს საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში. ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/38p44kK > [ბოლოს ნანახია 20.09.2019].

[113] ნებისმიერი შენაერთი არომატული ლიპოფილური ამინების ჯგუფიდან, დამახასიათებელი ციკლური სტრუქტურის მქონე. რომელიც ზემოქმედებს გამა-ამინო-ერბომჟავას (გაემ) რეცეპტორებზე და კლინიკურ პრაქტიკაში გამოიყენება როგორც ანქსიოლიზური, საძილე საშუალება და ანტიკონვულსანტი. ბენზოდიაზეპინებით (თერაპიული დოზებითაც კი) 6 თვე და მეტი მკურნალობის შემდეგ პაციენტთა თითქმის 50%-ს უვითარდება აღკვეთის სინდრომი.

[114] მსჯავრდებულს/ბრალდებულს უფლება აქვს სასურველ ადრესატს მიმართოს დახურულ კონვერტში მოთავსებული კონფიდენციალური საჩივრით, ხოლო პენიტენციური დაწესებულება, თავის მხრივ, ვალდებულია, უზრუნველყოს საჩივრის კონფიდენციალურობის დაცვა.

[115] ერთ-ერთი პატიმრის განცხადებით, სამედიცინო პერსონალის მიმართ დაწერილი საჩივარი მას ექიმმა წაართვა. ორმა პატიმარმა აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის აპარატში გამოაგზავნეს წერილები, თუმცა გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი წერილები ჩვენს სამსახურში არ შემოსულა.

კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტს უშუალოდ შეესწრო სპეციალური პრევენციული ჯგუფი. №2 დაწესებულებაში ვიზიტისას, ჯგუფის წევრებმა კანცელარიაში შენიშნეს საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე შედგენილი კონფიდენციალური საჩივრის გახსნილი კონვერტი. საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ შემთხვევაზე რეაგირებისთვის წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს.[116] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მონიტორინგის დეპარტამენტში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება და №2 პენიტენციური დაწესებულების სოციალურ მუშაკს და კანცელარიის თანამშრომელს დაეკისრათ დისციპლინური სახდელები.

ზემოთქმულის გარდა, პრობლემურია საქართველოს პატიმრობის კოდექსის ნორმა, რომლის თანახმადაც, ბრალდებულს უფლება აქვს პენიტენციური დაწესებულების კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და 1 თვის განმავლობაში სამჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული - არაუმეტეს 15 წუთისა.[117] ამგვარივე შეზღუდვა ვრცელდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებზეც.[118] გარდა ამისა, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პირებს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით მხოლოდ 2 სატელეფონო საუბარი შესაძლოა ჰქონდეთ,[119] ისიც მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ გარკვეული რაოდენობის სატელეფონო ნომერზე. აღნიშნული ნორმები არ ითვალისწინებს გამონაკლისს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზით სარგებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ აქვს შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, დარეკოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე.

მართალია, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი უფლებების დარღვევის ფაქტის, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, წერილობით მიმართოს სახალხო დამცველის აპარატს, თუმცა, ცხელი ხაზის მეშვეობით, მისი უწყვეტი სარგებლობით უზრუნველყოფის შემთხვევაში, ის სახალხო დამცველის აპარატს გაცილებით უფრო სწრაფად დაუკავშირდებოდა. გარდა ამისა, პენიტენციური სისტემის თავისებურებათა და პატიმრების განსაკუთრებით მოწყვლადი მდგომარეობის გათვალისწინებით, ხშირად მათთვის უფრო კომფორტულია, წერილობითი კომუნიკაციის ნაცვლად, უშუალო კონტაქტი, რის შესაძლებლობასაც სწორედ ცხელი ხაზი იძლევა. ამავე დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოვლინდა კიდეც პატიმრების ჩივილის შემთხვევები, რომ მათ მიერ დაწერილი საჩივრები არ იგზავნება.

---

[116] 2019 წლის 1-ლი ოქტომბრის №03-2/10583 სახალხო დამცველის წერილი.

[117] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი.

[118] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი.

[119] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი.

ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით[120] მიმართა პარლამენტს, თუმცა, პარლამენტმა წინადადება არ გაიზიარა.[121] საქართველოს სახალხო დამცველმა 2019 წლის 7 აგვისტოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართა კონსტიტუციური სარჩელით[122] და მოითხოვა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პირებს მოხსნოდათ სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზთან დაკავშირებაზე დაწესებული ზოგადი შეზღუდვები.

საანგარიშო პერიოდში პრობლემური იყო არაფორმალური მმართველობის გავლენა ამ მიმართებით. დაწესებულების პატიმართა გარკვეული ნაწილი აცხადებს, რომ საკანში განთავსების შემდეგ, „ციხის წესები" და მათი უფლება-მოვალეობები მათ არაფორმალურმა მმართველებმა აუხსნეს და წესების დარღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელ შედეგებზეც გააფრთხილეს. კერძოდ, „მაყურებლები" ახალ პატიმრებს აფრთხილებენ, რომ პრობლემის არსებობის შემთხვევაში, მათ მიმართონ და არა ადმინისტრაციას ან სახალხო დამცველის აპარატს.

დაწესებულებებში პატიმრებმა აღნიშნეს, რომ საჩივარი არ არის რეკომენდებული, რადგან არაფორმალურ წესებს ეწინააღმდეგება, ადრე თუ გვიან მისი ავტორის ვინაობა ცნობილი გახდება და შესაბამისად დაისჯება. ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში რამდენიმე პატიმარმა სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს განუცხადა, რომ მათთან სასაუბროდ „გავლენიანი პირებისგან" აიღეს ნებართვა. ამასთან, სპეციალური პრევენციული ჯგუფი შეესწრო ფაქტს, როდესაც პატიმარმა ჯანმრთელობის პრობლემებზე დააპირა საუბარი, მაგრამ სხვა პატიმრებმა იგი გააჩუმეს. სამწუხაროდ, არაფორმალური მმართველობის გავლენის გაძლიერებასთან ერთად, კლებულობს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებიდან სახალხო დამცველის სახელზე გამოგზავნილი განცხადებების რაოდენობა.

---

[120] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 3 მაისის წინადადება №15-11/6315 საქართველოს პარლამენტს. წინადადება ითვალისწინებდა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთათვის საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზით შეუზღუდავად სარგებლობის უზრუნველყოფას, მიუხედავად იმისა, იხდიდა თუ არა ის დისციპლინურ სახდელს ან გამოყენებული ჰქონდა თუ არა თვის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი სატელეფონო ზარის განხორციელების ლიმიტი.

[121] საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის პასუხი №5682/4-2. საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება არ გაიზიარა იმ დროს არსებული სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პოზიციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, აღნიშნული წინადადების მიღების შემთხვევაში, შეიქმნებოდა სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე შეუზღუდავად წვდომის უფლების ბოროტად სარგებლობის რისკი, ვინაიდან დაწესებულებების ადმინისტრაციას არ შესწევდა უნარი, გაეკონტროლებინა პატიმრების სატელეფონო ზარების ადრესატები. სამინისტრო ასევე მიუთითებდა დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების მოძიების აუცილებლობაზე.

[122] საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი №1441, რეგისტრირებული 2019 წლის 15 აგვისტოს, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/2TJDTja >[ბოლოს ნანახია 21.01.2020].

თანასწორობა

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა, 2019 წელს განხორციელებული ვიზიტების დროს, №2 და №8 დაწესებულებებში, წინა წლების მსგავსად, კვლავ გამოავლინა არასრულწლოვანი პატიმრები, რომლებსაც არ აქვთ ის სარეაბილიტაციო პირობები, რაც №11 დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვნებს შეეთავაზებათ.

პრობლემურია პატიმრების მიმართ უთანასწოროდ მოპყრობის შემთხვევები. პრობლემად რჩება უთანასწორობის სახით, პატიმრებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა. დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრების გადმოცემით, დაწესებულების თანამშრომლები მათ არაეთიკურად, ზოგჯერ კი, შეურაცხმყოფლადაც და ამჟღავნებენ უთანასწორო დამოკიდებულებას. დაწესებულების თანამშრომლები განსაკუთრებით დამამცირებლად მიმართავენ სამეურნეო სამსახურში დასაქმებულ დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პატიმრებს. მაგალითად, №15 დაწესებულების ადმინისტრაციის ერთ-ერთი თანამშრომელი სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან საუბრისას პატიმრების ამ კატეგორიას დამამცირებელი ტერმინებით მოიხსენიებდა.

პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული არაფორმალური მმართველობის პირობებში, ადგილი აქვს პატიმართა კატეგორიებად დაყოფასა და სტიგმატიზებას. განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში სამეურნეო სამსახურში დასაქმებული და დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები იმყოფებიან.[123]

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს, რომლითაც ლგბტ, სამეურნეო ნაწილში დასაქმებული, დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პატიმრების საჭიროებების შესწავლა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება მოითხოვა. იუსტიციის სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციის მიუხედავად, რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შესახებ, სამინისტროსგან პასუხი არ მიგვიღია.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

[123] მათ დამაკნინებელი სახელებით მოიხსენიებენ. განთავსებულნი არიან განცალკევებით (რკინის გამყოფით, რომელიც სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულთა ფლიგელს ყოფს სხვა პატიმართა ფლიგელებისაგან), აქვთ ცალკე გრძელვადიანი პაემნების ოთახი, ასევე, საშხაპე ოთახი. ცალკე ქვაბში იხარშება მათი საკვები. ნებისმიერი კონტაქტის შემთხვევაში, პატიმარი იძულებული ხდება თავი დაიზიანოს ან დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პატიმარს მიაყენოს დაზიანება. ეს წესი იცის ყველა პატიმარმა.

- შევიდეს ცვლილება საქართველოს პატიმრობის კოდექსში და პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა დაუბრკოლებლად დაუკავშირდნენ საქართველოს სახალხო დამცველს და ინსპექტირების სხვა ორგანოებს
- 2020 წელს პატიმრობის კოდექსით განისაზღვროს ბრალდებულების 4 კვ.მ.-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება
- შევიდეს ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენების ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმები. ამავე დროს, ადგილობრივ საბჭოს შეუნარჩუნდეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში დამატებით ჩაატაროს ზეპირი განხილვა
- განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები და დამატებები სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში - „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში" - გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს, სტამბოლის პროტოკოლით დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკაში განხორციელებას და მისი დროული ჩატარების უზრუნველყოფას
- უზრუნველყოს გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ" კონვენციის გათვალისწინებული ანგარიშის მომზადება და წარდგენა 2020 წელს

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- დაიწყოს და აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 352-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გარშემო, 2020 წლის 23 იანვარს სახალხო დამცველის ვიზიტის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება და აღმოფხვრას ყველა ის შეზღუდვა და დაბრკოლება, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით არსებობს. ამასთანავე, დაწესებულების თანამშრომლებს

ჩაუტარდეთ მოკლე ინსტრუქტაჟი პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატისა და უფლებამოსილებების შესახებ

- 2020 წელს, ყველა დაწესებულებაში ეტაპობრივად გადამზადდნენ უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლები ისეთ საკითხებში, როგორიცაა კონფლიქტის პრევენცია, მედიაცია და პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის პრინციპები
- მიიღოს ყველა ზომა დაწესებულებაში მოთავსებული ძალადობის მსხვერპლი პატიმრების დასაცავად, მათ შორის, სხვა დაწესებულებებში გადაყვანის ან კრიმინალური სუბკულტურის მიმდევარ პატიმრებთან კონტაქტის არიდების გზით
- დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი; დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად; დეესკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, კედლებისა და იატაკის რბილი მასალით მოპირკეთებით
- 2020 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №131 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექიმის ვალდებულება, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ, შეტყობინება გაუგზავნოს დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს - საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატს
- 2020 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №131 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულმა ექიმმა დაზიანება უნდა აღწეროს, ფოტო გადაუღოს და დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოებს გადაუგზავნოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოეშვება ეჭვი პატიმრის მიმართ ჩადენილი შესაძლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ, განურჩევლად იმისა, მიიღო თუ არა ექიმმა პატიმრისგან ინფორმირებული თანხმობა
- 2020 წელს, პენიტენციური დაწესებულებების ყველა იმ ექიმს, რომელიც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №131 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის" შესაბამისად ახდენს დაზიანების დოკუმენტირებას, ჩაუტარდეს ტრენინგი დაზიანების დოკუმენტირებასა და ფოტოგადაღებაში
- პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15

პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი

- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დასაძლევად, უზრუნველყოს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავება და სახალხო დამცველის აპარატისთვის გაზიარება მოსაზრებების წარსადგენად
- დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ფორმაში შეიტანოს სავალდებულოდ შესავსები პუნქტი, სადაც ჩაიწერება, ჩაიბარა თუ არა პატიმარმა დოკუმენტი; ასევე შემუშავდეს დისციპლინური ბრალდების შესახებ ოქმის ფორმა, რომელშიც შესატანი იქნება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვინ და რა ფაქტის გამო, და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით იწყებს დისციპლინურ სამართალწარმოებას კონკრეტული პატიმრის მიმართ
- თითოეული პატიმრის 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით დასაკმაყოფილებლად, უზრუნველყოს №2, №8, №14, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი პატიმრების საკნებში თანაბარი გადანაწილება და გადაყვანა იმავე ტიპის სხვა დაწესებულებებში, პატიმართა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით
- გაუქმდეს №17 დაწესებულებაში ე.წ. „ბარაკის" ტიპის საცხოვრებლები
- 2020 წელს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის №2, №8, №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიშსა[124] და №3 დაწესებულების ვიზიტის შემდგომ ანგარიშში უზრუნველყოს ფიზიკური გარემოს კუთხით არსებული ხარვეზების შემოწმება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება
- 2020 წელს, დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს, მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა №2 და №8 დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ გასეირნების უფლებით დღის განრიგით გათვალისწინებულ პერიოდში
- 2020 წელს, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდით, უზრუნველყოს №2, №8, №14 და №15 დაწესებულებებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის დაბალანსება პატიმართა რაოდენობასთან
- 2020 წლის განმავლობაში უზრუნველყოს იმ სოციალური მუშაკების გადამზადება, რომელთაც არ აქვთ სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული, ან დოქტორის აკადემიური ხარისხი
- 2020 წელს უზრუნველყოს №2, №8, №14 და №15 დაწესებულებებში ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვა. გაიზარდოს სარეაბილიტაციო აქტივობებში მსჯავრდებულთა ჩართვის შესაძლებლობები.

[124] №2, №8, №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 34-35, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/2PP1UEs > [ბოლოს ნანახია: 18.02.2020].

უზრუნველყოს №3 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვა და მათში მსჯავრდებულთა ჩართვა

- 2020 წელს პატიმრებისთვის სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, დაიწყოს მუშაობა ისეთი მექანიზმის შემოღებაზე, რომელიც პირდაპირ აისახება დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე
- შევიდეს ცვლილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებაში და შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს ისეთი ელემენტები, რომლებიც მიემართება მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებს და სხვა საკითხებს
- გაიზარდოს სოციალური მუშაკის როლი, რათა დაწესებულებაში მიღების შემდგომ, სოციალურმა მუშაკმა დეტალურად აუხსნას პატიმარს მისი უფლებები და მოვალეობები, მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურები. ასევე, სათანადო პერიოდულობით, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაოს პატიმრებთან მათი უფლებებისა და მოვალეობების, მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის თემატიკაზე; მათ შორის, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია ბროშურის სახით მიეწოდოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს და გამოეკრას პატიმრისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში
- პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და შეუძლებელი იყოს კონვერტის მიმღები პატიმრის ვინაობის ამოცნობა. ამასთან, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა, საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი
- იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური შემოწმებისა და შესაბამისი რეაგირების გზით გამოავლინოს და შეისწავლოს №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის წესის დარღვევის შემთხვევები, საჩივრების შეტანის გამო პატიმრების მიმართ განხორციელებული რეპრესიების ფაქტები და უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა სათანადო დასჯა
- №2 და №8 დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო აქტივობები
- აღმოფხვრას არასრულწლოვნების დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა და საფრთხეების ვერბალური დეესკალაციის მეთოდებით თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს კრიზისულ სიტუაციაში მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) მყისიერი ჩართულობა
- საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის ერთობლივი ბრძანების (№388–№01-18/ნ) მე–4 მუხლის I პუნქტში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლის თანახმად, არასრულწლოვნები უზრუნველყოფილი იქნებიან ოთხჯერადი ჯანსაღი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი; ოთხჯერადი ჯანსაღი კვების უზრუნველყოფამდე, №2 დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვნებს საკვები მიაწოდონ დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს

- 2020 წელს, უზრუნველყოს №2 და №8 დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე, ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში
- 2020 წელს, პენიტენციური დაწესებულებების საშუალო სამედიცინო რგოლის, ექთნების, მათ შორის, მორიგე ექთნების რაოდენობა გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ, დაწესებულებების სტომატოლოგიურ კაბინეტებს კი, დაემატოს სტომატოლოგიის ექთნები
- მაქსიმალურად უზრუნველყოს პატიმრებისა და ექიმების უშუალო კონტაქტი არასამედიცინო პერსონალის ჩაურევლად, მათ შორის, №2, №3 და №8 დაწესებულებებში გამოძახების ღილაკის დამონტაჟებისა და/ან სამედიცინო პერსონალის მიერ საკნების ყოველდღიური შემოვლის ვალდებულების დაწესებით
- უზრუნველყოს დღის სამედიცინო პერსონალისთვის მინიმუმ ერთჯერადი კვება დაწესებულებაში
- დაწესებულებების სამედიცინო პერსონალისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლების ფარგლებში, უზრუნველყოს პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების ჩატარება
- №8 და №15 დაწესებულებებში, კონსულტაციაზე ჩაწერილი პაციენტების რაოდენობიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ექიმ სპეციალისტთა ვიზიტების სათანადო სიხშირე, რათა პაციენტის მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას
- №8 დაწესებულების საკმარისი რაოდენობის მედიკამენტებით უზრუნველყოფისა და მომარაგებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მედიკამენტების შესყიდვისას გაითვალისწინოს განვლილ პერიოდში დანიშნული მედიკამენტების მოთხოვნისა და ხარჯვის გაანალიზებული მონაცემები
- ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათების შევსებისას არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად:
    - ყოველი წლის ბოლოს დაიწეროს შემაჯამებელი/წლიური ეპიკრიზი, რომელშიც მოკლედ აისახება გასული წლის განმავლობაში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკა, ჩატარებული კონსულტაციები, განხორციელებული რეფერალი, გამოკვლევები, დასმული დიაგნოზები, ჩატარებული მკურნალობა და მისი შედეგები
    - სამედიცინო პერსონალისთვის და მთლიანად პენიტენციური სისტემისთვის, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზების მაქსიმალურად აღმოსაფხვრელად, დაინერგოს ინფორმაციული ელექტრონული სისტემა

- მიიღოს ყველა ზომა, რათა გეგმიური ამბულატორიული რეფერალის ვადა არ აღემატებოდეს 1 თვეს, გეგმიური სტაციონარული რეფერალის - 4 თვეს, ხოლო სასწრაფო დაყოვნებული რეფერალის - 5 დღეს
- შემუშავდეს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების მიმწოდებლების მოზიდვის სტრატეგია
- პენიტენციურ დაწესებულებებში დაინერგოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგი
- შტატით გათვალისწინებული ფსიქიატრების რაოდენობის ან/და მოწვეული ფსიქიატრის ვიზიტების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, ერთ დღეში მიღებული პაციენტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15-ს
- კონსულტაციაზე ჩაწერილი პაციენტების რაოდენობიდან გამომდინარე, დაწესებულებებში უზრუნველყოს ექიმ ფსიქიატრის ვიზიტების სათანადო სიხშირე, რათა პაციენტის მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას
- პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა
- შემუშავდეს კრიზისული შემთხვევის პრევენციისა და მართვის სახელმძღვანელო და დაწესებულების სამედიცინო პერსონალი გადამზადდეს კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის საკითხებში
- მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს იმ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროებათ, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაონ ბიო-ფსიქო-სოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება
- მედიკამენტების გვერდითი მოვლენების სამართავად, უზრუნველყოს აგრანულოციტოზის,[125] ნივთიერებათა ცვლის პროცესების და, განსაკუთრებით, ჰიპერგლიკემიის[126] განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული დინამიკური შეფასება და კონტროლი
- გენერალური ინსპექციის სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის სამმართველომ შეისწავლოს ფსიქოტროპული მედიკამენტების გაცემის პრაქტიკა და მიიღოს ზომები, რათა არ მოხდეს ფსიქოტროპული მედიკამენტების არამიზნობრივი მიღება.

[125] სისხლში ლეიკოციტების (სისხლის თეთრი უჯრედები) რიცხვის შემცირება, იხ. ბმული < http://bit.ly/3awvQ04 > [ბოლოს ნანახია 17.02.2020].

[126] სისხლში შაქრის მაღალი დონე, იხ. ბმული < http://bit.ly/39r2uQl > [ბოლოს ნანახია 17.02.2020].

3.3. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციისა და პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, 17 რეკომენდაცია შემუშავდა. მათგან, საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში 9 რეკომენდაცია აისახა. საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემული 1 წინადადება არ შესრულებულა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემული 16 რეკომენდაციიდან შესრულდა 2; ნაწილობრივ შესრულდა 6; არ შესრულებულა 8 რეკომენდაცია. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშში.[127]

წინა წლების მსგავსად, 2019 წელსაც, უმეტეს შემთხვევაში, სისტემური რეკომენდაციები, რომლებიც წლების განმავლობაში გაიცემა და წამებისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, უმნიშვნელოვანესია, კვლავ შეუსრულებელია. პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი მოქალაქეები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილნი არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის საკმარისი გარანტიებით.

სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები კვლავ არ არის დამონტაჟებული იმ ადგილებში, სადაც დაკავებულს, მოწმეს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა; ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები არ არიან უზრუნველყოფილნი გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობის სამხრე კამერებით; ნორმატიულად ისევ არ არის გაწერილი პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება; საპილოტე რეჟიმში არ მომხდარა დაკავებულ პირთა დაკავების ადგილიდან, პირდაპირ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის ვალდებულების დადგენა; არც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესულა ცვლილებები, რომელთა თანახმად, მოსამართლე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, რეაგირებისათვის შესაბამის გამოძიების ორგანოს მიმართავს; შეუსრულებელია რეკომენდაცია დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეოჩანაწერის წარმოების თაობაზე და სხვ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება 2019 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული რეკომენდაციების სრულად და ნაწილობრივ შესრულებას. ასეთებია: პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში არსებული ვიდეო-სათვალთვალო სისტემის ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად 14 დღის განსაზღვრა; „დაკავების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შესახებ" დოკუმენტის პროექტის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს დაკავებული პირისთვის უფლებების განმარტების შესახებ ინსტრუქციას; სამედიცინო პუნქტის გახსნა 4 იზოლატორში (მარნეული,

[127] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის სპეციალური ანგარიში.

სამტრედია, ქობულეთი, წალკა); დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმებისთვის სამედიცინო შემოწმების ჩატარების დეტალური ინსტრუქციის პროექტის შემუშავება, რომლის დამტკიცებაც სამინისტროს გადმოცემით, უახლოეს პერიოდში იგეგმება.

არასათანადო მოპყრობა პოლიციელების მხრიდან

2019 წელს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, პოლიციელების მიერ, დაკავებისას არაპროპორციული, აშკარად გადამეტებული ძალის გამოყენებისა და დაკავების შემდეგ განხორციელებული წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ ინფორმაცია, 38 გამოკითხული პირისგან 13 შემთხვევაში მიიღო.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც მონიტორინგი ტარდება, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ამოწმებენ ვიზიტის დღემდე შესახლებული ყველა დაკავებულის პირად საქმეს, რომელშიც დაკავების გარემოებების, დაზიანების ლოკალიზაციის, რაოდენობისა და ხასიათის მხედველობაში მიღებით, მონიტორინგის ჯგუფს პირის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე ეჭვი გაუჩნდება.[128] ამ პრინციპით, 2019 წელს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 449 საეჭვო შემთხვევა გამოავლინა.[129] წინა წლების მსგავსად, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც ასეთი საქმეების შესახებ პროკურატურაში/სახელმწიფო ინსპექტორთან შეტყობინება არ გაგზავნილა. 2019 წელს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული 449 საქმიდან, 98 (21,8 %) შემთხვევაში შეტყობინება არ გაგზავნილა. მათ შორის არის შემთხვევები, როდესაც დაზიანებების ლოკალიზაცია არის სახესა და თვალბუდეზე. შედარებისთვის, 2018 წელს შესწავლილი 508 შემთხვევიდან, შეტყობინება 110 (21,6%) შემთხვევაში არ გაგზავნილა.

ამ მხრივ ასევე საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა ერთ-ერთი დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების თაობაზე, ვინაიდან მან სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა და მოქალაქის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ არ შეატყობინა საგამოძიებო უწყებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს რეკომენდაცია შეასრულა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული ზემოაღნიშნული 449 საეჭვო შემთხვევა მოიცავს როგორც ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა, ისე სისხლის სამართლის საქმეებს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონაცემების

---

[128] შესაბამისად, საეჭვო შემთხვევად მოხსენიებულია ისეთი შემთხვევები, სადაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაკავების გარემოებების, დაზიანების ლოკალიზაციის, რაოდენობის და ხასიათის მხედველობაში მიღებით, გაუჩნდათ ეჭვი, რომ დაკავებული პირი სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა.

[129] შემოწმება ჩატარდა კახეთის, იმერეთი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის და აჭარის რეგიონებში არსებულ პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

დამუშავების საფუძველზე იკვეთება, რომ ზემოაღნიშნული 449 შემთხვევიდან 143 შემთხვევაში (31.8%) ადმინისტრაციული წესით დაკავებულებმა დაზიანება მიიღეს დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ. რაც შეეხება დინამიკას წლების მიხედვით, 2016 წელს, ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა სხეულის დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი საეჭვო შემთხვევების 12,8%-ში, 2017 წელს ეს მაჩვენებელი - 26,4% და 2018 წელს - 26.8% იყო, ხოლო 2019 წელს მითითებული სტატისტიკური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა (31.8%). სამწუხაროდ, 2017 წლიდან შეიმჩნევა ადმინისტრაციულად დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის გაუარესების ტენდენცია.

საგულისხმოა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, 2018 წელთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა.[130]

გასული წლების მსგავსად, შენარჩუნებულია ტენდენცია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი და დამუშავებული შემთხვევების დაახლოებით ერთ მესამედში (2019 წელი - 30.7%, 2018 წელი - 27.6 %, 2017 წელი - 30.1%, 2016 წელი - 31,3 %), დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია იზოლატორებში არსებულ სამედიცინო ჩანაწერებში. 2019 წელს დამუშავებული 449 შემთხვევიდან 138 შემთხვევაში იზოლატორში აღწერილი დაზიანებები დაკავების ოქმში მითითებული არ ყოფილა.

საგულისხმოა, რომ ზემოთ ნახსენები 138 შემთხვევიდან (როდესაც იზოლატორში აღწერილი დაზიანებები მითითებული არ ყოფილა პირის დაკავების ოქმში) 125 ადმინისტრაციული წესით დაკავების ოქმია, ხოლო 13 - ბრალდებულის დაკავების ოქმი. საყურადღებოა, რომ ბრალდებულის დაკავების ოქმის ფორმაში არის სპეციალური გრაფა, სადაც უნდა მიეთითოს დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა (სხეულის დაზიანებები) დაკავების მომენტში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ 13 შემთხვევაში პირს დაზიანება აღენიშნებოდა იზოლატორში შესახლებისას, მათი დაკავების ოქმების შესაბამის გრაფაში მითითებული იყო, რომ დაზიანება არ აღენიშნებოდა. მითითებულ 13 შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ოქმის შემდგენს გამორჩენოდა ხილული დაზიანებები, რომელიც დაკავებულებს თვალბუდის არეში აღენიშნებოდათ და არის უფრო მყარი პრეზუმფცია, რომ პირი დაკავების შემდეგ, იზოლატორში შესახლებამდე დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციის მხრიდან დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის კუთხით, 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2017 და 2018 წლების

[130] ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/38w8dDz > [ბოლოს ნანახია 05.02.2020].

მსგავსად, 2019 წელსაც შენარჩუნებულია ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის გაუარესების ტენდენცია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემები და დაკავებული პირების გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიციის მიერ დაკავებისას ძალის გადამეტება, დაკავების შემდეგ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ასევე, სხეულის დაზიანებების და ძალის გამოყენების არასრულყოფილი დოკუმენტირება, კვლავ გამოწვევად რჩება. გარდა ამისა, საყურადღებოა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებული პირების მიმართ 2019 წელს ჩადენილი სავარაუდო წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმეები, განსაკუთრებით, არასრულწლოვნების საქმეები.

სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წელს სამი არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის საქმეების შესწავლა დაიწყო. საგანგაშოა, რომ აღნიშნულთაგან ერთ საქმეში პოლიციის განყოფილებაში გამომძიებელთან გამოკითხვაზე ყოფნის შემდეგ, არასრულწლოვანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ბავშვი პოლიციელთა მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა. საქმეზე ჩვენების მიცემის იძულების ბრალდებით, სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამომძიებელი მ. ჩ. დააკავა. მეორე არასრულწლოვნის მიმართ, ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტს. არასრულწლოვნის მტკიცებით, მან სხეულის სხვა დაზიანებებთან ერთად, ზედა კიდურის მოტეხილობა მიიღო. საქართველოს გენერალური პროკურატურის ცნობით, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ბრალი ერთ პირს - შსს ბოლნისის რაიონული სამმართველოს თანამშრომელს, კ. ქ.-ს წარედგინა. მესამე შემთხვევაში, ერთ-ერთ არასრულწლოვანს პოლიციის თანამშრომლები სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ და იმ პირის მკვლელობის აღიარებას სთხოვდნენ, რომელიც მოგვიანებით ცოცხალი აღმოჩნდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა არასრულწლოვანთან ვიზიტისას, ნახა, რომ მას მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა. ამ ეტაპზე გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით მიმდინარეობს და ბრალი არცერთ პოლიციელს არ წარდგენია. არასრულწლოვანი ცნობილი არ არის დაზარალებულად.

წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები

ამ თავში, სამართალდამცავების მხრიდან წამებისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, დაკავებული პირებისათვის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული გარანტიების პრაქტიკაში გამოყენების ტენდენციებს განვიხილავთ.

უფლებების განმარტება - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, დამკავებელმა მოხელემ დაკავებულ პირს გასაგები ფორმით უნდა განუმარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. აღნიშნულის მიუხედავად, წინა

წლების მსგავსად, 2019 წელსაც პრობლემური იყო პოლიციის მიერ პირის ინფორმირება საკუთარი უფლებების შესახებ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უმეტეს შემთხვევებში არც დაკავებისას და არც გამოკითხვის წინ, დაკავებულ პირებს ან საერთოდ არ უმარტავენ უფლებებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აწვდიან ინფორმაციას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ პოლიციის დეპარტამენტების და სამმართველოების უმრავლესობაში საერთო სამუშაო სივრცეებში განთავსებული ინფორმაციული ხასიათის პოსტერები მხოლოდ ოჯახში ძალადობის საკითხებს შეეხება და არ შეიცავს დაკავებულის საპროცესო უფლებების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნულისგან განსხვავებით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში, დაკავებული პირისთვის ხელმისაწვდომია საპროცესო უფლებების ჩამონათვალი წერილობითი სახით, თარგმნილი სხვადასხვა ენაზე და, სურვილის შემთხვევაში, დაკავებულს აღნიშნული დოკუმენტის საკუთარ საკანში ქონაც შეუძლია.

დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე, დაკავებულებს საშუალოდ 4 საათი უწევთ პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნა. ამ ხნის განმავლობაში არაერთი საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ დაკავების მომენტშივე ვერბალურად, პირველივე შესაძლებლობისთანავე კი - წერილობით, ეცნობოს დაკავებულს მისი უფლებების შესახებ.[131] ბოლო წლებში, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, სხვადასხვა ქვეყნის მიმართ გაცემულ რეკომენდაციებში მთავრობებისგან მოითხოვს უფრო მეტ პროცედურულ გარანტიებს იმისათვის, რათა დაკავებულის ინფორმირება მისი უფლებების თაობაზე მაქსიმალურად იყოს გარანტირებული.[132]

ადვოკატის ხელმისაწვდომობა და ოჯახის ინფორმირება - დაკავებული პირი, პოლიციის მხრიდან ზეწოლისა და არასათანადო მოპყრობის მიმართ, დაკავების პირველ საათებშია ყველაზე მოწყვლადი. შესაბამისად, აუცილებელია მიენიჭოს ადვოკატის დაუყოვნებლივი ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ეს, პოლიციის მხრიდან დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით დამუშავებული მონაცემების მიხედვით, 2019 წელს საგრძნობლად არის გაუმჯობესებული პირველი 24 საათის განმავლობაში

---

[131] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019 წ, პარაგრაფი: 66, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: < http://bit.ly/2TDblrL >, [ბოლოს ნანახია: 30.01.2020].

[132] ანგარიში ლიეტუვას მთავრობას, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, CPT/Inf (2018) 2, 01.02.2018, პარ. 23, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: < http://bit.ly/2VNWyNG >,[ბოლოს ნანახია 30.01.2020]; ანგარიში დანიის მთავრობას, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, CPT/Inf (2019) 35, 28.11.2019, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: < http://bit.ly/38sqscR >, [ბოლოს ნანახია: 30.01.2020].

ადვოკატის საქმეში ჩართვის მაჩვენებელი. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეების 24,6%-ში ადვოკატი 24 საათის განმავლობაში, პირველი 48 საათის განმავლობაში - საქმეების 14%-ში, ხოლო 72 საათის განმავლობაში - საქმეების 33%-ში ჩაერთო.[133] ალტერნატიულ წყაროებზე დაყრდნობით, ადვოკატი დაკავებულს პირველად, უმეტეს შემთხვევებში, დროებითი მოთავსების იზოლატორში ხვდება.[134]

საანგარიშო პერიოდში სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან გასაუბრებისას, ადვოკატების უმრავლესობა აცხადებდა, რომ პოლიციის თანამშრომლები დაკავებულ პირებს ურჩევენ, არ მიმართონ ადვოკატს, ვინაიდან არ საჭიროებენ და ეს დიდ ხარჯებთანაც იქნება დაკავშირებული, ამავე დროს, არწმუნებენ, რომ თუ მათთან ითანამშრომლებენ, დათანხმდებიან ე.წ. „აღიარებითი ჩვენების" მიცემას და საპროცესო შეთანხმების გზას აირჩევენ, მათ საქმეში სავალდებულო დაცვის წესით, უფასოდ ჩაერთვება საზოგადოებრივი ადვოკატი. ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არის შემთხვევები, როდესაც პოლიციის დაწესებულებაში მისული ადვოკატის დაკავებულ პირთან შეხვედრას ხელოვნურად აბრკოლებენ, ეუბნებიან, რომ არ იციან, დაკავებული იმყოფება თუ არა შენობაში, ან თუ ნამდვილად სურს ადვოკატთან შეხვედრა.[135] აქვე აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირის მიერ ადვოკატის მოთხოვნის ან დაკავშირების დრო კვლავ არ აღირიცხება.

რაც შეეხება ოჯახის ინფორმირებას პირის დაკავების შესახებ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემების მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილ 3-საათიან ვადაში,[136] შეტყობინება საქმეების 94,4 %-ში განხორციელდა. მისასალმებელია, რომ ამ კუთხით დადებითი დინამიკა ნარჩუნდება.[137] ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ არ შეწყდეს პროგრესი, ვინაიდან ოჯახის ინფორმირების უფლებით სარგებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული დაკავებულის ადვოკატთან ხელმისაწვდომობასთან. ამ საკითხის

---

[133] სტატისტიკა წლების მიხედვით პირველი 24 საათის განმავლობაში ადვოკატის ჩართვასთან დაკავშირებით: 2017 წელი -15%, 2018 წელი -11,9%.

[134] გამოკითხული 38 დაკავებულიდან, ადვოკატი დაკავებულს პოლიციის სამმართველოში/განყოფილებაში შეხვდა 3 შემთხვევაში; იზოლატორში შეხვდა 17 შემთხვევაში; პენიტენციურ დაწესებულებაში - 6 შემთხვევაში; სასამართლო პროცესზე - 4 შემთხვევაში; ინფორმაცია არ გვაქვს, სად შეხვდა 3 შემთხვევაში; ადვოკატი არ ჰყავდა 5 დაკავებულს. აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებენ ონლაინ გამოკითხული ადვოკატების 52 პროცენტი და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან გასაუბრებაზე მოსული ადვოკატები.

[135] ონლაინ გამოკითხული ადვოკატების 52,8 % ამბობს, რომ 2019 წელს ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც შეიტყვეს, რომ დაკავებულმა მოითხოვა ადვოკატი და მას არ დაუკავშირდნენ. 55.9% კი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დააყოვნეს დაკავებულთან ადვოკატის პირველი შეხვედრა, უკვე ჩატარებული იყო დაკავებულის გამოკითხვა, მასზე განხორციელებული იყო მუქარა ან სხეულზე აღენიშნებოდა საეჭვო დაზიანებები.

[136] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[137] წლების მიხედვით დინამიკა შემდეგია: 2017 წელს -71%, 2018 წელს - 86,8%.

აქტუალობაზე მიუთითებს შემთხვევები, როცა დაკავებულ პირებს ოჯახთან დაკავშირების კუთხით, დაბრკოლებები ექმნებათ.

საქართველოს სახალხო დამცველი, წინა წლის მსგავსად, მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის იმის შემოწმებას, პრაქტიკაში რამდენად ხორციელდება ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან ან ადვოკატთან დაკავშირების და დაკავების შესახებ ინფორმაციის შეტყობინების უფლება.[138]

ექიმის ხელმისაწვდომობა, სამედიცინო შემოწმება - მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში, დაკავებულებს სამედიცინო მომსახურება დროულად მიეწოდებოდათ, გარდა ერთეული შემთხვევებისა. მისასალმებელია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო პუნქტების რაოდენობა 2019 წელს 15-დან 19-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან გასაუბრებისას, დაკავებულთა ნახევარი აცხადებს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში სამედიცინო შემოწმებამ კონფიდენციალურ გარემოში ჩაირა. დაკავებულთა ნახევარი კი აცხადებს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლები ექიმის მიერ მათ დათვალიერებას უშუალოდ ესწრებოდნენ ან კართან იდგნენ და უსმენდნენ საუბარს. მსგავს არაკონფიდენციალურ გარემოში სამედიცინო შემოწმების ჩატარება დაკავებულ პირს უბიძგებს, შიშის გამო, დამალოს დაზიანების რეალური წარმომავლობა.

არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოსავლენად, უმნიშვნელოვანესია, რომ ექიმმა დაადგინოს კავშირი დაკავებულის სხეულზე არსებულ დაზიანებებსა და დაკავებული პირის გადმოცემით, დაზიანებების მიყენების მეთოდებს შორის.[139] წინა წლების მსგავსად, კვლავ ხარვეზებით მიმდინარეობს ექიმების მიერ დაზიანებების დოკუმენტირების პრაქტიკა. დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში, დაზიანებების მიღების გარემოებები (ვითარება და მეთოდი) არასრულყოფილად ან საერთოდ არ აღიწერება.[140] საყურადღებოა ის გარემოება, რომ ექიმი ადგენს შესაბამისობას არსებულ დაზიანებასა და მისი მიღების გარემოებებს შორის, მაშინ როდესაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ აქვს აღწერილი.[141]

---

[138] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ 61.

[139] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო „სტამბოლის პროტოკოლი“, პარ. 104.

[140] 351 შემთხვევიდან 275 (78%) შემთხვევაში. მხოლოდ 76 შემთხვევაში იყო სრულყოფილად აღწერილი გარემოებები.

[141] 275 შემთხვევიდან, დაზიანებების მიღების გარემოებები სრულყოფილად ან საერთოდ არ არის აღწერილი 177 შემთხვევაში, მაგრამ ექიმს დადგენილი ჰქონდა შესაბამისობა. 6 შემთხვევაში, გარემოებები სრულყოფილად იყო აღწერილი, მაგრამ ექიმს შესაბამისობა დადგენილი არ ჰქონდა.

რაც შეეხება დაზიანებების ფოტოგრაფირების საკითხს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დოკუმენტირებული 351 შემთხვევიდან, ფოტო გადაღებულია 56 შემთხვევაში. სპეციალური პრევენციული ჯგუფი გაეცნო 40 ფოტოს, რომელთაგან 36 შემთხვევაში ფოტოების ხარისხი არადამაკმაყოფილებელი იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ნანახ იზოლატორებში სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად გადაღებული ფოტოების შენახვის ერთიანი წესი არ ჰქონიათ.

აუდიო და ვიდეოჩანაწერები - წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციით მიმართავს, აწარმოონ პოლიციის დაწესებულებებში დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის უწყვეტი ელექტრონული (აუდიო ან/და ვიდეო) გადაღება, რაც წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი გარანტიაა.[142] ჩანაწერები უნდა იყოს დაცული, ინახებოდეს გონივრული დროით და ხელმისაწვდომი უნდა იყო დაკავებული პირისთვის, მისი ადვოკატისა და შიდა/საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებისთვის, ისევე როგორც საგამოძიებო ორგანოებისთვის.[143] აღნიშნულისგან საპირისპიროდ, საქართველოს კანონმდებლობით, პოლიციის დაწესებულებებში დაკავებულ პირთა დაკითხვის/გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეოჩაწერა სავალდებულო არ არის და პოლიციელთა შეხედულებაზეა დამოკიდებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წელს სამი პოლიციის დაწესებულების გარდა, ყველა ტერიტორიული ერთეული აღჭურვილია შიდა და გარე სამეთვალყურეო კამერებით.[144] ამასთან, სამინისტროსვე მოწოდებული ინფორმაციით, შენობაში განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ შენობის შესასვლელებისა და საერთო სივრცეების მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ პოლიციის დაწესებულებებს სხვადასხგვარი ინფრასტრუქტურა აქვთ და მოქალაქეს ან დაკავებულს შეიძლება ნებისმიერ სივრცეში უწევდეს ყოფნა. თუმცა, ყველა სივრცე, სადაც დაკავებულს ან მოქალაქეს უწევს ყოფნა, ვიდეო მეთვალყურეობით დაფარული არ არის.[145]

---

[142] საბოლოო დასკვნა რუსეთის ფედერაციის მიმართ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, CAT/C/RUS/CO/6, 28.08.2018.

[143] *Inter alia,* წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019 წ, პარაგრაფი: 81, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: < http://bit.ly/2TDblrL > [ბოლოს ნანახია: 01.02.2020].

[144] ვიდეოკამერები არ არის შემდეგ პოლიციის დაწესებულებებში: შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი; შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალგორის რაიონული სამმართველო; ლენტეხის რაიონული სამმართველოს ჟახუნდერის პოლიციის განყოფილება.

[145] ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის დაფარვის არეალის კუთხით, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ქობულეთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ამბროლაურის და ყვარლის რაიონულ სამმართველოებში, ასევე, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში.

ასევე აღსანიშნავია, რომ დაკავებულთან ან დაწესებულებაში სხვა სტატუსით მყოფ პირთან გასაუბრებისთვის საკმაოდ აქტიურად გამოიყენება პოლიციის დაწესებულებების უფროსების და მათი მოადგილეების სამუშაო ოთახები.[146] ამის მიუხედავად, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებული 30 სამმართველოდან არცერთ კაბინეტში არ მიმდინარეობს აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობა, რაც არასათანადო მოპყრობის რისკს ქმნის.[147] შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებების ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე გარდაუვალია პოლიციის დაწესებულების უფროსის/მოადგილეების კაბინეტში ზემოაღნიშნულ პირებთან გასაუბრება, იგი აუცილებლად ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემით უნდა აღიჭურვოს.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სივრცე, სადაც დაკავებულს ან მოქალაქეს შეიძლება უწევდეს ყოფნა, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით სრულად უნდა იყოს დაფარული. პოლიციის დაწესებულების ყველა შიდა და გარე პერიმეტრი, სადაც დაკავებულს შეიძლება უწევდეს ყოფნა, უნდა აღიჭურვოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია დაირღვეს დაკავებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ან ადვოკატთან და ექიმთან შეხვედრის კონფიდენციალურობა.[148]

ზემოაღნიშნულის გარდა, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია პოლიციელების მიერ სამხრე კამერების გამოყენების პრაქტიკა. მოქმედი კანონმდებლობით, პატრულ-ინსპექტორი ვალდებულია ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებული მონაცემები სპეციალურ სერვერზე განათავსოს, სადაც ეს მონაცემები 30 დღის ვადით შეინახება.[149] რაც შეეხება პატრულ-პოლიციელის მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეო და აუდიოჩაწერის ვალდებულებას, იგი პატრულ-პოლიციელის დისკრეციაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ პატრულ-პოლიციელების გარდა, სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, მოქალაქეებთან შემხებლობა აქვთ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებსაც. თუმცა მოქალაქეებთან ურთიერთობისას მათ ვიდეოგადაღების ვალდებულება არ გააჩნიათ. აღნიშნული პოლიციელის

---

[146] პოლიციის თანამშრომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 30 პოლიციის დაწესებულებიდან, უფროსის ან მოადგილის კაბინეტში, დაკავებულს 17 შემთხვევაში უწევს ყოფნა, ხოლო 25 შემთხვევაში - დაწესებულებაში სხვა სტატუსით მქონე პირს.

[147] სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან გასაუბრებისას დაკავებულები და ადვოკატები მიუთითებენ, რომ აღნიშნული სივრცეები მიეკუთვნება რისკ ჯგუფებს. მათი გადმოცემით, ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილი აქვს არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

[148] საბოლოო დასკვნა რუსეთის ფედერაციის მიმართ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, CAT/C/RUS/CO/6, 28.08.2018, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/2TEhpjM > [ბოლოს ნანახია 04.02.2020].

[149] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანება, მუხლი 12[1].

შეხედულებაზეა დამოკიდებული. გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები არც ამ შემთხვევაშია განსაზღვრული.

ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, პრაქტიკაში სამხრე კამერები თითქმის არ გამოიყენება.[150] გამოყენების შემთხვევაშიც, იკვეთება ერთეული შემთხვევები, როდესაც სამხრე კამერებით გადაღებული პოლიციელთა მოქალაქეებთან ურთიერთობის ამსახველი მცირე მონაკვეთიანი ჩანაწერები (რომელიც ერთიანობაში არ აჩვენებს სურათს და მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა სასარგებლოდ მეტყველებს) ერთვის საქმეს, როგორც მტკიცებულება.[151] ასევე, პოლიციელთა ინფორმაციით, დაბრკოლებას წარმოადგენს სამხრე კამერების ტექნიკური გამართულობაც.[152] შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაუმართავი სამხრე კამერების ეტაპობრივად ჩანაცვლება ახალი გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე კამერებით.

პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა - პოლიციის კონტროლის ქვეშ ხანგრძლივი დაყოვნების შემთხვევებში, მაღალია პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალადობისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის რისკი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი, წლებია გასცემს რეკომენდაციას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც განისაზღვრება დამკავებელი მოხელის ვალდებულება, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ გადაიყვანოს დროებითი მოთავსების იზოლატორში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში. თუმცა, დაკავებული პირის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის შემთხვევაში, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც დაკავებული პირი შესაძლებელია იმყოფებოდეს პოლიციის დაწესებულებაში, დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ იშვიათ შემთხვევებში, დაკავებული პირები პოლიციის კონტროლის ქვეშ 13 საათიდან 20 საათამდეც კი იმყოფებოდნენ, ძირითადად კი, პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის დრო საშუალოდ 4 საათია.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაკავებულ პირთა პირდაპირ დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაყვანის სასარგებლოდ რამდენიმე არგუმენტი არსებობს:

---

[150] სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან საუბრისას 38 დაკავებულიდან, მხოლოდ 2 დაკავებულმა მიუთითა დაკავებისას სამხრე კამერის გამოყენებაზე.

[151] რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებთან გასაუბრების შედეგები. ონლაინ გამოკითხული ადვოკატების 65,4 % აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებდა სამხრე კამერების ჩანაწერები, როგორც მტკიცებულება, საქმეზე დიდ გავლენას მოახდენდა.

[152] სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ რეგიონებში ჩატარებული მონიტორინგისას, პოლიციის სამმართველოების და დეპარტამენტების თანამშრომლები აღნიშნავდნენ, რომ მათ დაბალი გამძლეობისა და გაუმართავი სამხრე კამერები გადაეცათ, რაც თავადაც უქმნით დაბრკოლებებს.

დაკავებულ პირს იზოლატორში შესვლისთანავე უტარდება სამედიცინო შემოწმება სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად; მეტი ალბათობაა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულმა პირმა გაამხილოს პოლიციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტი; დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანის დრო მკაცრად აღირიცხება; დროებითი მოთავსების იზოლატორში უკეთესი მატერიალური პირობებია.[153]

პოლიციის მიერ პირის პოლიციის დაწესებულებაში გასაუბრებაზე მიწვევის შემთხვევაში, პირი სტატუსის მატარებელი არ არის და მისი გამოცხადება პოლიციაში, ისევე როგორც პოლიციის დატოვება, ფორმალურად ნებაყოფლობითია. „პოლიციის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, პოლიციას უფლება აქვს მოიწვიოს პირი პოლიციის დაწესებულებაში გასაუბრებაზე. სამართლებრივად, ამ პროცედურის გამოყენებით მიწვეული პირი, რაიმე სტატუსის მატარებელი არ არის და მისი გამოცხადება პოლიციაში, ისევე როგორც პოლიციის დატოვება, ფორმალურად[154] ნებაყოფლობითია. აღნიშნული პროცედურის ფარგლებში მოწვეულ პირთა მიმართ პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების, ზეწოლის ან ფიზიკური ძალადობის შემთხვევებში, მოქალაქეები არ არიან აღჭურვილნი არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის პროცედურული გარანტიებით. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც მონიტორინგის ორგანოებს მისცემდა შესაძლებლობას, მიეღოთ სარწმუნო ინფორმაცია პირის სტატუსის, პოლიციის დაწესებულებაში შესვლის და გამოყვანის დროის შესახებ.

დოკუმენტაციის წარმოება პოლიციის დაწესებულებებში - გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის შემცველი სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების წარმოება. დოკუმენტაცია რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს პოლიციის ზედამხედველი ორგანოს მიერ და ხელმისაწვდომი უნდა იყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის.

წინა წლების მსგავსად, ხარვეზებით იწარმოება დაკავებულ პირთა შესახებ დოკუმენტაცია პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებული 30 პოლიციის დაწესებულებიდან, 17 დაწესებულებაში ჟურნალების შევსების ხარვეზები დაფიქსირდა .[155] ასევე, 2019 წელს შესწავლილი

---

[153] მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/3awdc8x >, [ბოლოს ნანახია: 03.02.2020]

[154] სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან გასაუბრებისას, რამდენიმე დაკავებულმა აღნიშნა, რომ დაკავებამდე პოლიციის დაწესებულებებში ნებაყოფლობით იყვნენ მისულები. ადვოკატებთან გასაუბრებისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, რომელთაც დაკავებულის სტატუსი არ ჰქონდათ, გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს პირები *defacto* დაკავებულები იყვნენ.

[155] რიგ შემთხვევებში ვერ დგინდება პირის დაკავების თარიღი/დრო, გაურკვეველია დაკავებულის სამმართველოდან გაყვანის თარიღი/დრო, პირის დაკავების დროს წინ უსწრებს დროებითი მოთავსების

საქმეების 31,3%-ში დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია დროებითი მოთავსების იზოლატორის გარეგნული დათვალიერების ოქმში.[156] აქედან, შესწავლილი 328 ადმინისტრაციული საქმიდან 123 (37.5%) შემთხვევაში დაზიანებების თაობაზე იზოლატორის და დაკავების ოქმის ჩანაწერები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასევე ხარვეზიანია დაუმორჩილებლობა/წინააღმდეგობის გაწევის და ძალის გამოყენების დოკუმენტაცია.[157]

მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სულ მცირე, საპილოტე რეჟიმში, პოლიციის დაწესებულებებში დაიწყოს დაკავებულის შესახებ სისტემატიზებული რეესტრების წარმოება, რომელიც დამატებით გარანტიებს შექმნის წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის.

მოსამართლის როლი - პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თავიდან არიდების კუთხით, მოსამართლეებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.[158] საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება 2019 წლის ივლისიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191[1] მუხლში შეტანილი ცვლილებების ამოქმედებას, რომელთა თანახმადაც, თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდება, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს. ამის მიუხედავად, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[159] არის შემთხვევები, როცა მოსამართლე სათანადოდ არ მსჯელობს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. ზოგიერთმა გამოკითხულმა ბრალდებულმა სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს განუცხადა, რომ მათ აღენიშნებოდათ ხილული მრავლობითი

იზოლატორში წაყვანის დრო, ასევე, დაკავების დროს წინ უსწრებს პირის სამმართველოში შეყვანის დრო; რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული დაკავებული პირის საპყრობილეში/იზოლატორში გაყვანის თარიღი/დრო, ასევე, რა ბედი ეწია დაკავებულს.

[156] 2018 წელს, 2017 წლის მსგავსად, შესწავლილ შემთხვევათა დაახლოებით ერთ მესამედში დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში (2018 წელი - 27.6 %, 2017 წელი - 30.1%, 2016 წელი - 31.3).

[157] 2019 წელს ძალის გამოყენების შესახებ მითითებულია 64 (14%) დაკავების ოქმში. აქედან ძალის გამოყენება აღწერილია 12 შემთხვევაში, საიდანაც 1 შემთხვევაში სრულად არის აღწერილი, ხოლო 11 შემთხვევაში -ნაწილობრივ.

[158] გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

[159] გამოკითხული ადვოკატების 45.2% აღნიშნავს, რომ მოსამართლემ სათანადოდ არ იმსჯელა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. მაგალითისათვის, აჭარის რეგიონიდან 2 ადვოკატის მითითებით, იმ შემთხვევაშიც, როცა აშკარაა პირის მიმართ სავარაუდოდ ძალადობის განხორციელების შემთხვევა, სასამართლო საგამოძიებო ორგანოს არ მიუთითებს დაიწყოს გამოძიება არასათანადო მოპყრობაზე.

დაზიანებები (მათ შორის, სახის არეში) და მოსამართლეს ამ საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2019 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეებმა საგამოძიებო ორგანოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191[1] მუხლის გამოყენების საფუძვლით 25 შემთხვევაში მიმართეს (როგორც არსებითი განხილვის, ისე სასამართლოში პირველი წარდგენის დროს).[160]

დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება 2019 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს.[161] თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, რიგი დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობები გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას საჭიროებს.

2019 წლის განმავლობაში განხორციელებული ვიზიტების[162] შედეგად დადგინდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი[163] და ხელოვნური ვენტილაციითა[164] და განათებით, ზოგიერთი იზოლატორი საჭიროებს კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.[165] გარდა ამისა, 2019 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შემოწმებულ არცერთ დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული გარემო არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.

ზემოთქმულის გარდა, რიგი დროებითი მოთავსების იზოლატორებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ორ და მეტ ადგილიან საკნებში, სადაც შესახლებულ პირებს ბუნებრივი მოთხოვნილების

---

[160] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 თებერვლის წერილი №პ-96-20.

[161] სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ბაღდათის, სამტრედიის, სენაკის, ფოთის, სიღნაღის, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

[162] კახეთის, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში მდებარე იზოლატორები.

[163] მცირე ზომის ფანჯრების გამო, ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის პრობლემაა აჭარისა და გურიის რეგიონალურ, ჭიათურის, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალურ, სამტრედიის, ზესტაფონის, ბაღდათის, საგარეჯოს, კახეთის რეგიონალურ, ყვარლისა და ლანჩხუთის დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში.

[164] ხელოვნური ვენტილაცია არასაკმარისია აჭარისა და გურიის რეგიონალურ და ბაღდათის დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში.

[165] აჭარისა და გურიის რეგიონალურ, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონალურ და ასევე საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში კედლებზე შეიმჩნევა ნესტის და ჭუჭყის კვალი, ზოგან კედლიდან ჩამოშლილია საღებავის ფენები.

დაკმაყოფილება სხვა პირის/პირების თანდასწრებით უწევთ. შეინიშნება ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებული პრობლემები.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და განისაზღვროს, რომ თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესის ტექნიკური საშუალებებით (აუდიო-ვიდეოჩანაწერებით) აღბეჭდვა
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა
- 2020 წელს, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობების სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები
- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება
- შევიდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №625-ე ბრძანებაში, და №9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; იყო თუ არა გამოყენებული იძულების ზომა და რა ფორმით

- 2020 წელს, გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი; ამასთანავე, იმ იზოლატორებში, სადაც დაკავებულთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, სამედიცინო პუნქტების გახსნა არ იგეგმება, ექიმები დასაქმდნენ ხელშეკრულების შესაბამისად
- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება
- პილოტურ რეჟიმში უზრუნველყოს დაკავებულ პირთა დაკავებისთანავე, პირდაპირ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანა
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების ინსტრუქციისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ
- რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით
- 2020 წელს უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში საყოფაცხოვრებო პირობების კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა
- პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს სისტემატიზებული, სტანდარტიზებული და უნიფიცირებული მონაცემთა ბაზების წარმოება, რომელიც ჩაანაცვლებს დაწესებულებაში წარმოებულ ჟურნალებს.

3.4. ფსიქიატრიული დაწესებულებები

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის პირობების გაუმჯობესების მიზნით, 19 რეკომენდაცია გასცა. მათგან საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში აისახა 7 რეკომენდაცია. საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემული 5 წინადადებიდან არცერთი არ შესრულებულა. საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული 3 რეკომენდაციიდან შესრულდა 1 რეკომენდაცია, 2 რეკომენდაცია არ შესრულებულა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიმართ გაცემული 11 რეკომენდაციიდან შესრულდა 2, არ შესრულდა 8, ხოლო 1 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა ვერ შეფასდა. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშში.

წინა წლების მსგავსად, 2019 წელსაც შეუსრულებელია სისტემური რეკომენდაციები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის. გასული წლების მსგავსად, 2019 წელს კვლავ სერიოზული პრობლემა იყო

დიდი ზომის ინსტიტუციებში არსებული მდგომარეობა. საქართველოში 10 დიდი ზომის ფსიქიატრიული დაწესებულებაა. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამ დაწესებულებებში არსებული პირობები და თერაპიული გარემო ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა ღირსეულ ცხოვრებასა და უფლებების დაცვას, შესაბამისად, ანტიფსიქოზური და მედიკამენტებით მკურნალობა, გადახედვას, განახლებასა და შეცვლას საჭიროებს.

საქართველოს სახალხო დამცველი, უკვე წლებია, საქართველოს პარლამენტს მიმართავს წინადადებით, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით განსაზღვროს ფიზიკური შეზღუდვის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ფიზიკური შეზღუდვის შესახებ სპეციალურ რეესტრში (სპეციალურ ჟურნალში) ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება, ფიზიკური შეზღუდვის პროცესში ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და ფიზიკური შეზღუდვის დასრულების შემდეგ პერსონალის პაციენტთან გასაუბრებისა და გასაჩივრების უფლების შესახებ ინფორმირების ვალდებულება.[166] აღსანიშნავია, რომ ფიზიკური შეზღუდვის რეგულაციებში ცვლილებების შეტანის მნიშვნელობაზე 2019 წელს საქართველოს მისამართით გამოქვეყნებულ ანგარიშში საუბრობს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი.[167] სამწუხაროდ, აღნიშნული წინადადებები ამ ეტაპზე შეუსრულებელია.

არასათანადო მოპყრობა

„ბათუმის სამედიცინო ცენტრის" ფსიქიატრიულ სტაციონარში ვიზიტის დროს,[168] მონიტორინგის ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ წინა წლების მსგავსად, დაწესებულებაში ადგილი აქვს პერსონალის მხრიდან პაციენტებისადმი უხეშ მოპყრობას,[169] რაც დაწესებულების დირექტორმაც დაადასტურა და მონიტორინგის ჯგუფმაც შენიშნა. რაც შეეხება „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს", სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ვიზიტის დროს[170] პერსონალის მხრიდან ფიზიკური ძალადობისა თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია.

ზემოაღნიშნულის გარდა, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა გამოავლინა პაციენტების შრომითი ექსპლუატაციის[171] შემთხვევები. „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული

---

[166] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 71.

[167] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 134, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/38p44kK > [ბოლოს ნანახია: 15.01.20].

[168] 2019 წლის 18-19 სექტემბერი.

[169] რაც გამოიხატება ვერბალურ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში.

[170] 2019 წლის 22-25 აპრილი.

[171] პირის სიტუაციის (მოწყვლადობის) გამოყენება საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), ექსპლუატაციის კონცეფცია ტრეფიკინგის დროს, გვ. 21, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3118bRo> [ბოლოს ნანახია: 20.01.2020].

ცენტრის" პერსონალი სიგარეტის ან საკვების დამატებითი პორციის სანაცვლოდ, ანაზღაურების გარეშე იყენებს პაციენტების/ბენეფიციარების შრომას. ზოგიერთი პაციენტი/ბენეფიციარი ასუფთავებს ტუალეტს, ეზოს, ეხმარება პერსონალს სხვა პაციენტის მოვლაში, ასევე აღგზნებული პაციენტის ფიზიკურ შეზღუდვაში და საჭმელი მიაქვს სამზარეულოდან განყოფილებაში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ამგვარი პრაქტიკა წარმოადგენს მათი შრომის ექსპლუატაციას,[172] რადგან ერთი მხრივ, ალტერნატივის სახით, პაციენტებისთვის სტაციონარში არ არის სხვა შინაარსიანი და თერაპიული საქმიანობით დაკავების შესაძლებლობა, მეორე მხრივ კი, პაციენტები/ბენეფიციარები იძულებულნი არიან დათანხმდნენ ამ სამუშაოების შესრულებას, საკვების და სიგარეტის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

2019 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ „ბათუმის სამედიცინო ცენტრსა" და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში", გასული წლების მსგავსად, პერსონალის არასაკმარისი მეთვალყურეობის პირობებში, ადგილი აქვს პაციენტთა შორის კონფლიქტისა და ძალადობის შემთხვევებს, რომელთა დროსაც, რიგ შემთხვევებში, პაციენტებს სერიოზული ფიზიკური დაზიანებები ადგებათ. პაციენტებს შორის კონფლიქტები, ძირითადად, ერთი პაციენტის მიერ მეორესთვის პირადი ნივთების წართმევასთან ან მოპარვასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" პაციენტთა შორის ძალადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია მე-2 და მე-7 განყოფილებებში მწვავე და გრძელვადიანი სტაციონარული პაციენტების, ასევე, გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე პაციენტების და სხვა პაციენტების ერთად განთავსება.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ფსიქიატრიული დაწესებულების პერსონალის ვალდებულების შესასრულებლად, იზრუნონ პაციენტებზე, მათ შორის, დაიცვან ისინი სხვა პაციენტებისაგან მომდინარე საფრთხეებისგან, აუცილებელია ფსიქიატრიული დაწესებულებები დაკომპლექტდეს საკმარისი რაოდენობის პერსონალით.[173]

პაციენტების არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები

2019 წლის განმავლობაში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პრობლემური იყო პაციენტებისგან მომდინარე რისკების შეფასებისა და შემცირების სისტემა; ძალადობის ფაქტების და მასზე რეაგირების დოკუმენტირების არსებული პრაქტიკა; დაწესებულების

---

[172] პირის სიტუაციის (მოწყვლადობის) გამოყენება საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), ექსპლუატაციის კონცეფცია ტრეფიკინგის დროს, გვ. 21, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3118bRo> [ბოლოს ნანახია: 20.01.2020].

[173] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 108, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/38p44kK > [ბოლოს ნანახია: 29.12.19].

პერსონალის საქმიანობის ხარისხის შემოწმებისა და საჩივრების განხილვის არსებული სისტემა; პაციენტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირება და მათი ხელმისაწვდომობა.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის მარტიდან „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ყველა განყოფილებაში დაინერგა პაციენტების რისკების შეფასების სისტემა. მიუხედავად ამისა, პაციენტთა ფსიქო-დიაგნოსტიკური კვლევის დროს, რისკების შეფასებასთან ერთად არ წარმოებს ძალადობის რისკის მქონე პაციენტების ტრიგერების[174] იდენტიფიცირება, რაც შესაძლებლობას მისცემდა პერსონალს, წინასწარ სცოდნოდა პაციენტების მაპროვოცირებელი ფაქტორები და დაეხმარებოდა მათ, პაციენტებისგან მოსალოდნელი ძალადობის თავიდან აცილებაში. დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ძალადობის მაღალი რისკის მქონე პაციენტების ქცევის მართვის მიზნით, არ მიმდინარეობს ფსიქოთერაპიული კუთხით მუშაობა და მხოლოდ ფარმაკოთერაპიული საშუალებები გამოიყენება, კერძოდ, მედიკამენტების დოზები იზრდება.

პრობლემურია პაციენტების მიმართ ძალადობის ფაქტებისა და მათზე რეაგირების დოკუმენტირების საკითხი. მართალია, „ბათუმის სამედიცინო ცენტრში" გამოყოფილია სპეციალური ჟურნალი, სადაც მეტ-ნაკლები სიზუსტით მიეთითება ინფორმაცია, თუმცა, აღნიშნულისგან საპირისპირო ვითარებაა „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში". ასევე პრობლემურია ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებაც. დაწესებულებების სამართლებრივი დოკუმენტებით არ არის გაწერილი, თუ რა შემთხვევებში და ვის მიერ იგზავნება შეტყობინება საგამოძიებო ორგანოში ძალადობის ფაქტების შესახებ და დოკუმენტურად არ იწარმოება განხორციელებული შეტყობინებების სტატისტიკა.

გარდა ამისა, პაციენტთა უფლებების დაცვისა და მათზე ხარისხიანი მომსახურეობის უზრუნველსაყოფად, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა" და „ბათუმის სამედიცინო ცენტრში" არსებობს შიდა გასაჩივრების მექანიზმი, რაც ცალსახად მისასალმებელია. თუმცა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პაციენტების უფლებების დაცვის შიდა კონტროლის ეს მექანიზმი ხარვეზიანია და ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა უფლებათა დაცვას. პრობლემაა ისიც, რომ დაწესებულებები პაციენტებს სათანადოდ არ აწვდიან ინფორმაციას მათი უფლებების და გასაჩივრების გარე მექანიზმების შესახებ. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება რომელიმე ნორმატიული აქტით არ რეგულირდება.

[174] „სიტუაციები ან სტიმულები, რომელიც იწვევს პირის ტანჯვას, იმედგაცრუებას, ბრაზს და აჟიტირებას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გადაიზარდოს პოტენციურად დაძაბულ და გამომწვევ სიტუაციაში.

ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვა

სახალხო დამცველი იზიარებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის სულისკვეთებას[175] და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიდგომას ფსიქიკური ჯანდაცვის მიმართულებით, რომელიც დაფუძნებულია უფლებების პატივისცემისა და გამოჯანმრთელების/აღდგენის მოდელზე (recovery),[176] ამიტომაც, მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სტაციონარში მოთავსებული პაციენტის მიმართ ფიზიკური[177] და ქიმიური[178] შეზღუდვის საშუალებების გამოყენების შემცირებას და საბოლოოდ აღმოფხვრას. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, სახელმწიფოსა და დაწესებულებების მიდგომები ზემოაღნიშნული მიზნისკენ არ არის მიმართული.

საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" მკაფიოდ არ უთითებს დაწესებულების ვალდებულებას, თავიდან აიცილოს კრიზისული შემთხვევები, ამოიცნოს და მართოს პოტენციური ტრიგერები და გამაფრთხილებელი ნიშნები. მნიშვნელოვანია, რომ კანონის მოთხოვნით, სამინისტრომ უნდა დაადგინოს ერთიანი სტანდარტი, რაც ფსიქიატრიულ დაწესებულებას დაავალდებულებს, შეიმუშაოს კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო სავალდებულო დოკუმენტი, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სიტუაციის ესკალაციის რისკები.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება „ბათუმის სამედიცინო ცენტრსა" და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" ვერბალური დეესკალაციის მეთოდების დამტკიცებას. თუმცა, დაწესებულებებში არ ხდება მისი პრაქტიკაში გამოყენება და პრობლემურია დაწესებულების პერსონალის მიერ კრიზისის არასწორი მეთოდით მართვა.[179]

---

[175] სახელმძღვანელო პრინციპები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-14 მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით.

[176] მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინიციატივა, ხარისხი და უფლებები, გულისხმობს ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურების მიერ მოწოდებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესებასა და ფსიქოსოციალური შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე პირთა უფლებების დაცვას, 2017 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/2vG0BAP >[ბოლოს ნანახია: 25.12.19].

[177] „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ფიზიკური შეზღუდვის მეთოდებია პაციენტის სპეციალიზებულ პალატაში იზოლაცია ან/და ფიზიკური შებოჭვა".

[178] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიხედვით, ქიმიური შეზღუდვა გულისხმობს პაციენტის მიმართ მედიკამენტების იძულებით გამოყენებას, მისი ქცევის გასაკონტროლებლად. იხ. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, შესავალი, გვ. 2. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/333ycBb > [ბოლოს ნანახია: 03.01.2020].

[179] ასე მაგალითად, ბათუმის სამედიცინო ცენტრში მოწყობილია ე.წ. სამეთვალყურეო/საიზოლაციო პალატები, სადაც იმ პაციენტებს ათავსებენ, რომლებიც გაძლიერებულ მეთვალყურეობას საჭიროებენ. პალატები გადატვირთული და დისკომფორტის შემქმნელია და მასში პაციენტის მოთავსების შემთხვევაში, მაღალია თვითდაზიანების რისკი.

ზემოთქმულის გარდა, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" პრობლემურია ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების დასაბუთება[180] (მიზეზებისა და გარემოებების დოკუმენტაციაში სრულყოფილი აღწერა), რითიც ირღვევა ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შესახებ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.[181] არ ხდება იზოლაციის შემთხვევების დოკუმენტირება; ხარვეზებით იწარმოება ქიმიური შეზღუდვის შესახებ ჩანაწერები. ასევე პრობლემურია ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ იძულებით ინექციების გაკეთების და ფიზიკური შეზღუდვების გამოყენების პრაქტიკა.[182]

ფსიქიატრიული დახმარება

ანტიფსიქოზური მედიკამენტებით მკურნალობა

„ბათუმის სამედიცინო ცენტრსა" და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" ფსიქიატრიული დახმარება არ ატარებს ბიოფსიქოსოციალურ ხასიათს და ძირითადად ფარმაკოთერაპიით შემოიფარგლება. აღნიშნულ დაწესებულებებში პრობლემას წარმოადგენს ერთდროულად რამდენიმე ანტიფსიქოზური მედიკამენტის დანიშვნა. სამედიცინო ბარათების შესწავლით დგინდება, რომ რამდენიმე შემთხვევაში, პაციენტებს ერთდროულად ორი, სამი ან მეტი ანტიფსიქოზური მედიკამენტი ჰქონდათ დანიშნული, მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში მედიკამენტ „ზოპინთან" („კლოზაპინი") ერთად.

გარდა ამისა, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" პრობლემას წარმოადგენს მედიკამენტების ზედოზირებულად გამოყენება,[183] როგორც დაწესებულებაში მიღებისას, სწრაფი ტრანკვილიზებისა და სედაციის მიზნით (არათერაპიული მიზნით), ასევე შემდგომ პერიოდში, მედიკამენტური მკურნალობის დროს. ამ მხრივ არსებული პრაქტიკის

---

[180] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ შემოთავაზებული სტანდარტის თანახმად, შეზღუდვის მეთოდის გამოყენებაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ ექიმმა-ფსიქიატრმა, რომელიც ინდივიდუალურად შეაფასებს პაციენტის მდგომარეობას და გარემოებებს. აუცილებელია ეს გადაწყვეტილება იყოს წერილობითი და სათანადოდ დასაბუთებული (დაუშვებელია შაბლონური დასაბუთება).

[181] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №92/ნ ბრძანება, ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მე-6 პუნქტი.

[182] დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ „ბათუმის სამედიცინო ცენტრში", 2019 წლის განმავლობაში ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვა გამოიყენეს იქნა სულ 4 პაციენტის მიმართ და ოთხივე პაციენტი ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობის რეჟიმზე იმყოფებოდა. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში კი, 2018 წლიდან 2019 წლის 24 აპრილამდე, დაწესებულების სამოქალაქო ნაწილში, ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვა შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, გამოყენებულ იქნა ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ.

[183] სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ზედოზირების შემთხვევად შესაძლებელია მივიჩნიოთ შემთხვევა, როდესაც ერთი ანტიფსიქოზური მედიკამენტის მაქსიმალური თერაპიული დოზა გამოიყენება მეორე ანტიფსიქოზური მედიკამენტის საშუალო ან თუნდაც მინიმალურ თერაპიულ დოზასთან ერთად. მედიკამენტების ასეთი კომბინაცია სახიფათოა და შესაძლებელია ფატალური შედეგითაც დასრულდეს.

შესახებ დეტალური ინფორმაცია პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშშია ხელმისაწვდომი.

ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია

საერთაშორისო სტანდარტებითა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მიუხედავად, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა“ და „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“ ფსიქიატრიულ სტაციონარებში ბიო-ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისკენ მიმართული ღონისძიებები[184] უკიდურესად მწირია. არ არის დანერგილი მულტიდისციპლინური მიდგომისა და პაციენტთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე რეაბილიტაციისა და გამოჯანმრთელების (ე.წ. recovery) ინდივიდუალური გეგმების შედგენისა და განხორციელების პრაქტიკა. დაწესებულებები განიცდიან სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური[185] და მატერიალური რესურსების ნაკლებობას. აღსანიშნავია, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კუთხით მომუშავე კადრების არარსებობის გამო, რეაბილიტაციის პროცესი ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა.[186]

სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობა

2019 წლის განმავლობაში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ პრობლემა იყო სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მართვა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში პრობლემა იყო ოჯახის ექიმის ხელმისაწვდომობაც, რომლის მომსახურებაც პაციენტებისთვის დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.[187] გარდა

---

[184] მაგალითისთვის, „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ შრომა-თერაპიისთვის სივრცე მხოლოდ გრძელვადიან მკურნალობაზე მყოფ ქალთა განყოფილებაშია გამოყოფილი. პაციენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ქალთა „მწვავე“ და მამაკაცთა განყოფილებების პაციენტებისთვის არასოდეს შეუთავაზებიათ მსგავს აქტივობებში მონაწილეობა. ამასთან, შრომა-თერაპიის ინსტრუქტორების მიერ წარმოებული აღრიცხვის ჟურნალები მოწმობს, რომ სხვადასხვა ღონისძიებებში ძირითადად ერთი და იგივე პაციენტები, სულ 15-მდე პირი მონაწილეობს.

[185] „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კუთხით მომუშავე კადრების არარსებობის გამო რეაბილიტაციის პროცესი ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა. რაც შეეხება „ბათუმის სამედიცინო ცენტრს“, პაციენტთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით მომუშავე რვა ადამიანი იყო დასაქმებული (2 ფსიქოლოგი, 2 სოციალური მუშაკი; 4 შრომა-თერაპიის ინსტრუქტორი), თუმცა, მათი მუშაობა ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას.

[186] „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ ვიზიტის დროს 3 ფსიქოლოგისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის გუნდის სპეციალისტების ვაკანსია იყო; დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, მცდელობის მიუხედავად, ვერ ახერხებდნენ დაწესებულების საჭირო კადრებით დაკომპლექტებას. შესაბამისად, კლინიკაში მოთავსებულ 116 პაციენტთან მუშაობა მხოლოდ ერთ ფსიქოლოგსა და ერთ სოციალურ მუშაკს უწევდათ.

[187] „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ პაციენტებს ემსახურება ექიმი-თერაპევტი, რომლის მომსახურებაც ფასიანია. რაც შეეხება „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“, მათ არ ჰყავთ ოჯახის ექიმი,

ამისა, პრობლემურია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე პაციენტების გადაყვანა გადაუდებელი წესით, ძირითადად ჯანმრთელობის მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში, რაც უმეტეს შემთხვევაში დაავადებების დროული გამოვლენის და გეგმიური მკურნალობის არარსებობითაა განპირობებული. პრობლემურია[188] ის გარემოება, რომ სამედიცინო მომსახურება, პაციენტების მხრიდან თანადაფინანსებას საჭიროებს, რისი ფინანსური რესურსიც პაციენტებს უმეტესად არ აქვთ. ამის გარდა, რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად, პრობლემურია პაციენტისათვის წვდომა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე.[189]

ასევე საყურადღებოა მედიკამენტ „ზოპინის" (აქტიური ნივთიერება „კლოზაპინი") ხშირი გამოყენება, მაშინ, როცა გათვალისწინებული არ არის მისი გვერდითი ეფექტების[190] მართვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები.

მატერიალური პირობები

2019 წელს, გასულ წლებთან შედარებით, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები[191] ფიზიკური გარემოსა და სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, თუმცა რიგ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული პირობები ჯერ კიდევ საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან[192] მისადაგებას. დაწესებულებებში ვიზიტების დროს არსებული მძიმე

თუმცა ჰყავთ ექიმი-სპეციალისტები და მათი მომსახურებაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ხშირად, პაციენტებს არ აქვთ ამ მომსახურებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

[188] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2018 წლის 10-21 სექტემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღნიშნავს, რომ მიუღებელია სტაციონარში მოთავსებულმა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებმა, რომელთაც არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, იზრუნონ თავიანთ სომატურ ჯანმრთელობაზე. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 128, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/38p44kK > [ბოლოს ნანახია: 28.12.19].

[189] მაგალითისთვის, იმ შემთხვევაში, როცა „ბათუმის სამედიცინო ცენტრში" მყოფი პაციენტის რეგისტრაციის ადგილია ბათუმი, სოციალური მუშაკი ეხმარება მას სამედიცინო მომსახურების მიზნით ქალაქში გაყვანაში.

[190] „კლოზაპინით" მონოთერაპიის დროს, ან სხვა ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან კომბინირებული მკურნალობისას, შეიძლება განვითარდეს ორთოსტატიული ჰიპოტენზია, ბრადიკარდია, სინკოპე და გულის გაჩერება, ასევე შესაძლებელია განვითარდეს ფატალური მიოკარდიტი და კარდიომიოპათია, Stephen M.Stahl, A Pocket Guide to Atypical Antipsychotics Dosing, switching, and other practical information, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2UuyOgr > [ბოლოს ნანახია: 18.02.2020].

[191] „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" ახალი კორპუსი შევიდა ექსპლუატაციაში, ხოლო „ბათუმის სამედიცინო ცენტრის" ფსიქიატრიულ სტაციონარში 2017 წელს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები დაიწყო, რომელიც დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების ვიზიტის დროსაც მიმდინარეობდა.

[192] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 80, ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < http://bit.ly/32RwZww > [ბოლოს ნანახია 05.03.2020].

ვითარება, ზოგიერთ შემთხვევაში შეფასდა დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობად,[193] მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელსვე გაუმჯობესდა მატერიალური პირობები იმავე დაწესებულებებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების კვალდაკვალ. ამ მიმართებით, დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშში.[194]

სახელმწიფო ზედამხედველობის კონტროლი

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებობს სათანადო ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის სახელმწიფო ზედამხედველობისა და პაციენტთა უფლებების დაცვის მონიტორინგის პრობლემა. მოქმედი რეგულაციების თანახმად, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო ეწევა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლს და უზრუნველყოფს განცხადებების და საჩივრების შესწავლას არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.[195] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო კი, ახორციელებს ფსიქიატრიული დაწესებულებების კონტროლსა და რევიზიას, გეგმური და არაგეგმური შემოწმების გზით.[196] უშუალოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის განმახორციელებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო,[197] რომელიც თავის მხრივ, კონტროლის დეპარტამენტის საშუალებით ახორციელებს შემოწმებას.[198] აღსანიშნავია, რომ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი არ შეიცავს დებულებებს, რომელიც სათანადოდ დაარეგულირებდა საჩივრების განხილვის პროცედურას და მონიტორინგის საკითხს.

---

[193] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2019 წლის 10 მაისის ანგარიშში საავადმყოფოს განყოფილებებში არსებული საცხოვრებელი პირობები კვლავ შეფასებულია როგორც დამამცირებელი და არაადამიანური. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/38p44kK > [ბოლოს ნანახია: 14.02.2020].

[194] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში.

[195] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფლებამონაცვლე 2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან) დებულების" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები.

[196] 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბერის საქართველოს მთავრობის №674 დადგენილების მე-17 და მე-18 მუხლები.

[197] 2019 წლის 31 დეკემბერის საქართველოს მთავრობის №674 დადგენილებით დამტკიცებული 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის №11 დანართის მე-7 მუხლი („ფსიქიკური ჯანმრთელობა" პროგრამული კოდი: 27 03 03 01).

[198] 2018 წლის 3 ოქტომბრის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-14/ნ ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 9.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული სააგენტოების მიერ განხორციელებულ კონტროლს და ზედამხედველობას, სახალხო დამცველისათვის მოწოდებული ინფორმაციის შედეგად ირკვევა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს, 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 16 დეკემბრამდე, ფსიქიატრიული დაწესებულებები არ შეუმოწმებია. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 3 დეკემბრამდე 10 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ჩაატარა შემოწმება/რევიზია.

მოქმედი ჰოსპიტალგარე კონტროლის მექანიზმები ორიენტირებულია პაციენტების საჩივრებზე, რაც, ფსიქიატრიული დახმარების ხარვეზებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტის გასაჩივრების სათანადო, პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი პროცედურის არარსებობის პირობებში, სახელმწიფო კონტროლის საჭირო ხარისხს ვერ უზრუნველყოფს. კერძოდ, კონტროლის მექანიზმების მუშაობა არ არის ყოვლისმომცველი, კოორდინირებული და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მისი გამოსწორება მკაცრად არ კონტროლდება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მონიტორინგის ორგანო/ორგანოები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ 3 კრიტერიუმს:[199]

1. სისტემური: მონიტორინგი უნდა იყოს ყოვლისმომცველი და სისტემაზე ორიენტირებული. მონიტორინგის შედეგად გამოცემულ ანგარიშში უნდა შეფასდეს, რამდენად მიეწოდებათ პაციენტებს ბიო-ფსიქო-სოციალურ მოდელზე დაფუძნებული ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარება პაციენტის უფლებების პატივისცემის პირობებში. ანგარიში უნდა შეიცავდეს კონკრეტულ რეკომენდაციებს.
2. პროაქტიული: მონიტორინგი უნდა განხორციელდეს *ex officio*. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონიტორინგის რეგულარულობა.
3. გამჭვირვალე: მექანიზმის მიერ შემუშავებული ანგარიშები უნდა იყოს საჯარო.

სახალხო დამცველისთვის ცნობილია, რომ 2018 წლის ივნის-ივლისის პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ევროსაბჭოს ტექნიკური მხარდაჭერით, შეიმუშავა ფსიქიატრიული სერვისების მომწოდებლების შეფასების კითხვარი.[200] 2019 წლის მარტი-მაისის პერიოდში ამ კითხვარის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით, შეფასდა 11 ფსიქიატრიული დაწესებულება. სამინისტრო გეგმავს ამ ტიპის მონიტორინგის დანერგვას სახელმწიფო მონიტორინგის

[199] 2018 წელს სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის რეგულარულად, სისტემურად და პროაქტიულად განხორციელების თაობაზე, რომელიც 2019 წლის 20 სექტემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გაიზიარეს.

[200] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 27 ნოემბრის № 01/20057 წერილი.

პროგრამაში.[201] სახალხო დამცველი მიესალმება ამ ინიციატივას, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები ფრაგმენტული ხასიათისაა და სახელმწიფო კონტროლის სისტემურ გაძლიერებას საჭიროებს.

სათემო სერვისების განვითარების საჭიროება

წინა წლების მსგავსად, 2019 წელს ასევე პრობლემა იყო პაციენტთა ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციაც. იმის მიუხედავად, რომ პაციენტები უმეტესად არ საჭიროებენ აქტიურ მკურნალობას, საავადმყოფოს ვერ ტოვებენ, რადგან წასასვლელი არ აქვთ, ან ოჯახი თავს არიდებს მათ სახლში დაბრუნებას. საქართველოს სახალხო დამცველი 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც აღნიშნავდა, რომ ეს თემში მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობით არის გამოწვეული.[202]

ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ შეუსრულებელია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაცია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასების, მათი დაწესებულებებიდან გაწერისა და სათემო სერვისებზე გადამისამართებასთან დაკავშირებით. [203]

ასევე აღსანიშნავია, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა" და „ბათუმის სამედიცინო ცენტრის" ფსიქიატრიულ სტაციონარში ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ წინა წლების მსგავსად, სტაციონარში ფორმალურად ნებაყოფლობით მოთავსებული პაციენტები[204] დაწესებულებებს საკუთარი ნებით ვერ ტოვებენ. სამედიცინო მომსახურების გაწევაზე წერილობითი ინფორმირებული თანხმობის ფორმას პაციენტები ხელს ისე აწერენ, რომ არ გააჩნიათ სათანადო ინფორმაცია მომსახურების შესახებ.[205] ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როცა პაციენტის ხელმოწერაზე დაყოლიების მიზნით, ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას.[206] მნიშვნელოვანია პაციენტისგან ინფორმირებული

---

[201] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის პასუხი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ მომზადებულ ანგარიშზე 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: < http://bit.ly/38s93RE > [ბოლოს ნანახია: 10.01.2020].

[202] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 75.

[203] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, 75.

[204] აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში, „ბათუმის სამედიცინო ცენტრის" ფსიქიატრიულ სტაციონარში მხოლოდ 1 პაციენტი იყო არანებაყოფლობით მოთავსებული, ხოლო „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ოთხ განყოფილებაში - მხოლოდ 3 პაციენტი.

[205] ასე მაგალითად, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ერთ-ერთი პაციენტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მან არ იცის წერა-კითხვა, ინფორმირებულ თანხმობას ახლავს მისი ხელმოწერა, ამასთან, პაციენტი აცხადებს, რომ არც დაწესებულებაში მოთავსებისას და არც ამჟამად, თანახმა არ არის სტაციონარში მოთავსებაზე.

[206] ასე მაგალითად, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ერთ-ერთმა პაციენტმა ინტერვიუს დროს დაადასტურა ინფორმირებული თანხმობის ფურცელზე ხელის მოწერის ფაქტი, მაგრამ განაცხადა,

წერილობითი თანხმობის მიღება მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილებები „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლში და განისაზღვროს, რომ ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა მიმართ, როგორც წესი, არ უნდა გამოიყენებოდეს ფიზიკური შეზღუდვის საშუალება, მაგრამ ფიზიკური შეზღუდვის უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა იქნას ინიცირებული პაციენტის სტატუსის (ნებაყოფლობითი/არანებაყოფლობითი) გადახედვის სამართლებრივი პროცედურა

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შეიქმნას ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის ჰოსპიტალგარე სახელმწიფო ზედამხედველობის და ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხისა და უფლებების დაცვის მონიტორინგის მექანიზმი, რომლის კომპეტენციაც იქნება ფსიქიატრიული სერვისების მომხმარებლებისგან, მათი წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან კონფიდენციალური/ღია საჩივრების მიღება ფსიქიატრიული სერვისების ხარისხისა და უფლებების კუთხით გამოვლენილ დარღვევებზე და ფსიქიატრიული სერვისების მიმწოდებლების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- პაციენტთა შორის ძალადობის პრევენციისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეიმუშაოს ნორმატიული ბაზა, რომელიც დაარეგულირებს პერსონალის მიერ კონკრეტული პაციენტებიდან მომდინარე რისკების წინასწარი შეფასების სათანადო სისტემის დანერგვის, მულტიდისციპლინური მუშაობის, პაციენტების ძალადობისაგან დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების, პერსონალის მიერ პაციენტებზე სათანადო მეთვალყურეობის/დაკვირვების განხორციელების, პერსონალის სათანადო სწავლების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურების და დეესკალაციის სტრატეგიის შემუშავების, ასევე, საფრთხის წარმოქმნისთანავე

რომ თანხმობის ფორმაზე ხელი ექიმების შიშით მოაწერა, რადგან მათ უთხრეს, რომ თუ ხელს არ მოაწერდა, სასამართლოს მიმართავდნენ და 6 თვით დატოვებდნენ დაწესებულებაში.

დროული და ადეკვატური ინტერვენციის, ძალადობის შემთხვევების/ინციდენტების და საპასუხოდ გატარებული ზომების დოკუმენტირების, პერსონალის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს

- შესაბამისი სამართლებრივი აქტით დაადგინოს კონფლიქტებისა და ძალადობის ფაქტების და მათ საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების დოკუმენტირების წესი, ასევე, ფსიქიატრიული სტაციონარული დაწესებულებების მიერ აღნიშნული წესის გამოყენების ვალდებულება. განსაზღვროს, რომ პაციენტის მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევაში, შეტყობინება უნდა გაიგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და თუ შეტყობინება ტელეფონით ხდება, მოხდეს შესაბამისი ოქმის შედგენა, ასევე, უზრუნველყოს შეტყობინებების რეესტრის წარმოება
- სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დაავალოს, შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალურად ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაუყოვნებლივ გაიწერონ სტაციონარიდან ის პაციენტები, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი
- ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციაში, 2020 წელს შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
    - განისაზღვროს კრიზისული ინტერვენციის დროს ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის ალტერნატიული (დეესკალაციის) მეთოდების გამოყენების ვალდებულება და ასეთი მეთოდების გამოყენების დოკუმენტირება და იმის დასაბუთება, თუ რატომ არ გამოდგა ეს მეთოდები ეფექტიანი და აუცილებელი გახდა ფიზიკური ან ქიმიური შეზღუდვის საშუალების გამოყენება
    - განისაზღვროს ფიზიკური შეზღუდვის უშუალოდ განხორციელების შესახებ დეტალური ინსტრუქცია, სადაც გაიწერება ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება ფიზიკური შეზღუდვის დროს პაციენტის ან/და პერსონალის მიერ მიღებული სხეულის დაზიანებების შესახებ; ფიზიკური შებოჭვის დროს გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების კონკრეტული მახასიათებლები; სად უნდა განხორციელდეს ფიზიკური შებოჭვა და ვინ შეიძლება ესწრებოდეს ამ პროცესს; რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალიზებული საიზოლაციო პალატა; ფიზიკური შეზღუდვის პროცესში ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და ფიზიკური შეზღუდვის დასრულების შემდეგ პერსონალის პაციენტთან გასაუბრების და გასაჩივრების უფლების შესახებ ინფორმირების ვალდებულება. მათ შორის, შემუშავდეს სპეციალური

რეესტრის/ჟურნალის ფორმა, რომელშიც სავალდებულო გახდება ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების შეყვანა

- ნორმატიული აქტით განსაზღვროს ყველა დაწესებულებისთვის სავალდებულო საჩივრების განხილვისა და უკუკავშირის ერთიანი ჰოსპიტალშიდა პროცედურა, რომელიც უნდა იყოს: ადამიანის უფლებებთან შესაბამისი; ხელმისაწვდომი; მარტივი; სამართლიანი და გამჭვირვალე
- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება მათი დაწესებულებიდან გასაწერად და სათემო სერვისებზე გადასამისამართებლად; თავშესაფრების შექმნის გეგმა შეიმუშაოს თავშესაფრის მომავალ ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით
- ცვლილებები შევიდეს მინისტრის ბრძანებაში,[207] რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მე–13 დანართით დამტკიცებული (№IV-300-12/ა) ფორმის შევსება
- დაავალოს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა
- უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალის სწავლება ფსიქიატრიული შეთხვევის მართვის საკითხებში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სასწავლო მასალებისა და კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) გამოყენებით
- ყველა ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის სავალდებულოდ განისაზღვროს სწრაფი ტრანკვილიზაციის აუცილებლობის დასაბუთება; ტრანკვილიზირებაზე პაციენტის თანხმობის ფაქტის წერილობით დოკუმენტირება, ფიზიკური მონიტორინგის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) შესაბამისად განხორციელება და ამ მონიტორინგის შედეგების სამედიცინო დოკუმენტაციაში ასახვა
- 2020 წელს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით უზრუნველყოს პაციენტთა შეფასება და იმ ბენეფიციართა გადაყვანა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ მომსახურებებში, რომლებიც არ საჭიროებენ სტაციონარში მკურნალობას
- 2020 წელს, მულტიდისციპლინური გუნდის მეშვეობით, უზრუნველყოს პაციენტთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმების შედგენა, განახლება და მიღებული შედეგების გაზომვა

[207] ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №87/ნ, 2007 წლის 20 მარტი.

- 2020 წელს, უზრუნველყოს ფსიქიატრიულ სტაციონარებში დასაქმებული ყველა იმ სოციალური მუშაკის გადამზადება, რომელსაც არ აქვს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული, ან დოქტორის აკადემიური ხარისხი
- ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობების დაკმაყოფილების მიზნით, 2020 წელს შეამოწმოს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" თავშესაფარში, ქალთა და მამაკაცთა განყოფილებებში, ასევე „ბათუმის სამედიცინო ცენტრის" ფსიქიატრიულ სტაციონარში არსებული მდგომარეობა და განახორციელოს შესაბამისი რეაგირება
- 2020 წელს, უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი, გააკონტროლოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან.

3.5. სამართალდამცავთა და პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის გამოძიება

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა (შემდეგ არასათანადო მოპყრობა) სისტემურ პრობლემას აღარ წარმოადგენს, თუმცა სისტემურ პრობლემად რჩება ასეთი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება. აღნიშნულზე მიუთითებს სახალხო დამცველის ყოველწლიური,[208] ადგილობრივი[209] თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები[210].

[208] სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 402–426; 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 364– 376; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 81–90, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 82-85.

[209] არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019; არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019; სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2018.

[210] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტის შედეგების შესახებ. პარ. 13-15. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/38p44kK > [ბოლოს ნანახია 08.04.2019]; Human Rights Watch-ის 2019 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია : < http://bit.ly/2Q4VOA7 > [ბოლოს ნანახია 04.03.2020]. Amnesty International-ის 2017-2018 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/2Ind9A0 >[ბოლოს ნანახია 04.03.2020].

წლების განმავლობაში, არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების კუთხით სახელმწიფოს არასათანადო რეაგირებამ, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროება განაპირობა. შედეგად, სამართალდამცავთა მიერ არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა დაუსჯელობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური შეიქმნა, რომელიც 2019 წლის პირველ ნოემბერს ამოქმედდა.

იმ პირობებში, როდესაც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე სახალხო დამცველი და სამოქალაქო საზოგადოება 2015 წლიდან საუბრობს[211], საქართველოს სახალხო დამცველმა, ცხადია, უარყოფითად შეაფასა 2019 წელს საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედების გადავადება. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების გადავადება სახალხო დამცველის კრიტიკის საგანი წინა წლის საპარლამენტო ანგარიშშიც გახდა.[212] თავდაპირველად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედების ვადად 2019 წლის 1 იანვარი იყო მიჩნეული, თუმცა 2018 წლის 27 დეკემბრის ცვლილებებით, მისი ამოქმედება 2019 წლის 1 ივლისამდე გადაიდო. სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით მიმართა, უზრუნველეყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებისთვის და შემდგომ ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების დროული გამოყოფა.[213] დამატებით, ამავე რეკომენდაციით სახალხო დამცველმა 2019 წლის 10 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა, 2019 წლის 26 ივნისს კი, საჯარო განცხადება გაავრცელა აღნიშნულ საკითხზე.[214] სამწუხაროდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედება ისევ გადავადდა და 2019 წლის 1-ლი ივლისის ნაცვლად, 2019 წლის 1 ნოემბერს ამოქმედდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებამდე, 2013 წლის 7 ივლისიდან 2019 წლის 1-ელ ნოემბრამდე, საქართველოს პროკურატურა იყო სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის დანაშაულების გამოძიების და სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელი ერთადერთი ორგანო საქართველოში. საქართველოს გენერალურ პროკურატურას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკითხში. საქართველოს სახალხო დამცველმა პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, გენერალური პროკურატურის რეფორმის დაწყების თაობაზე წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს[215], თუმცა პარლამენტს, საანგარიშო

---

[211] კოალიციის და სახალხო დამცველის შეფასება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2rhPyuW > [ბოლოს ნანახია 05.03.2020].

[212] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 79.

[213] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 85.

[214] „სახალხო დამცველი ეხმიანება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედების გადავადების შესახებ კანონპროექტს", ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/2PQYeCd > [ბოლოს ნანახია 2020 05.03.2020].

[215] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 84.

პერიოდში ეს წინადადება არ გაუთვალიწინებია. სახალხო დამცველის შეფასებით, გენერალური პროკურატურის რეფორმის საჭიროება კვლავ აქტუალური საკითხია.

გენერალური პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა პარლამენტს მიმართა და განსაკუთრებული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების დასრულებამდე მასალების გაცნობის უფლებამოსილების მინიჭება მოითხოვა.[216] მანდატის გაზრდის საჭიროება პროკურატურის მიერ ზედაპირული და შაბლონური პასუხების მოწოდებამაც განაპირობა. პროკურატურას, პარლამენტის მიერ განსაზღვრული ვალდებულების მიუხედავად, დამკვიდრებული პრაქტიკა არ შეუცვლია. 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით,[217] პარლამენტმა პროკურატურის ორგანოებს დაავალა, დაინტერესების შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველს, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მიაწოდოს ინფორმაცია, მათ შორის, შესაბამისი თარიღების მითითებით იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ, რომლებიც არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ჩატარდა, თუმცა, უშედეგოდ.[218]

2018 წლის მსგავსად, 2019 წელსაც შენარჩუნებულია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან, სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებების რაოდენობის კლების ტენდენცია. 2019 წელს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა მიმართ შესაძლო არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას 1, ხოლო 2018 წელს, 5 შემთხვევაში მიმართა. 2019 წელს, სახალხო დამცველს გამოძიების დაწყება არ მოუთხოვია პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის რაიმე ფაქტზე, მაშინ როცა 2018 წელს 2 ასეთი წინადადება წარადგინა.[219]

გამოძიების დაწყების შესახებ სახალხო დამცველის წინადადებების კლების ტენდენცია საგამოძიებო ორგანოების მიერ პროაქტიულად, დანაშაულის შეტყობინების ფაქტებზე გამოძიების დაწყების დამკვიდრებული პრაქტიკით აიხსნება. ბოლო წლების

---

[216] მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგებით, სახალხო დამცველს გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე არ აქვს საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18, ქვეპ. „ე". უფლებამოსილების გაზრდის მოთხოვნით სახალხო დამცველმა პარლამენტს 2018 წლის 29 ნოემბერს მიმართა. სამწუხაროდ, პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის პოზიცია.

[217] დადგენილების მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

[218] მაგალითად, 2019 წლის 11 ნოემბრის №15-3/12181 და №15-3/12177 წერილებზე, გენერალური პროკურატურის 2019 წლის 21 ნოემბრის №13/81836 და №13/81943 წერილებით აპარატს არ მიეწოდა მოთხოვნილი სრულყოფილი ინფორმაცია. მსგავსი პრაქტიკა იყო წინა წლებშიც.

[219] ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 128 განცხადება დარეგისტრირდა, სადაც მოქალაქეები სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითებდნენ.

განმავლობაში მატულობს გამოძიების დაწყების მაჩვენებელი და არ დგას გამოძიების დაუწყებლობის პრობლემა. ამის საპირისპიროდ, სისტემური პრობლემაა ეფექტიანი გამოძიების წარმართვა, რის შედეგიც იყო ის, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2013-2019 წლებში პროკურატურაში გაგზავნილი 107 წინადადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პასუხისმგებელი პირი არცერთ შემთხვევაში არ გამოვლენილა.

საქართველოს სახალხო დამცველი 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც აღნიშნავდა, რომ საგამოძიებო ორგანოს მიერ დაწყებული გამოძიება უმეტეს შემთხვევებში წლების განმავლობაში უშედეგოდ გრძელდება.[220] ამ კუთხით, ნიშანდობლივია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას ზედამხედველობს, „ცინცაბაძის ჯგუფის"[221] საქმეებთან დაკავშირებით მიღებულ შუალედურ რეზოლუციაში სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებების გამოძიების არაეფექტიანობის განგრძობად ხასიათზე მიუთითა.[222]

2019 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მხრიდან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა 4 საქმეში დაადგინა, მათგან ოთხივე საქმეში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტისა და ამ დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიების გამო.[223] აღნიშნულ საქმეებში დანაშაულის ფაქტები 2008-2011 წლების პერიოდში მოხდა, თუმცა ამ დრომდე საგამოძიებო ორგანოების მიერ არცერთი პირის პასუხისმგებლობა არ გამოკვეთილა.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან გამოითხოვა ზოგადი სტატისტიკური მონაცემები არასათანადო მოპყრობის საქმეებზე. ქვემოთ ცხრილში წარმოგიდგენთ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიმართ გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლებს 2018-2019 წლებში:

---

[220] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 78 და 83.

[221] ამ ჯგუფში შემავალი საქმეები ეხება სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლების (წამების აკრძალვა), როგორც არსებითი ისე პროცედურული ასპექტების დარღვევას.

[222] Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06) 1324th meeting, 18-20 September 2018 (DH), ხელმისაწვდომია:< http://bit.ly/3cyptei > [ბოლოს ნანახია 05.03.2020].

[223] გოგალაძე საქართველოს წინააღმდეგ (Gogaladze v. Georgia), საჩივარი №8971/10, 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება; გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ (Goguadze v. Georgia), საჩივარი №4009/12, 2019 წლის 27 ივნისი; გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ Gablishvili and others v.Georgia); 2019 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება; კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Kekelidze v. Georgia), საჩივარი №2316/09, 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება.

პოლიციელების მიმართ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი 2018-2019 წლებში

მუხლი	2018 პროკურატურა		2019 წლის 1 ნოემბრამდე პროკურატურა		2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	
	გამოძიება	ბრალდებული პირი	გამოძიება	ბრალდებული პირი	გამოძიება	ბრალდებული პირი
პოლიციელთა მიმართ	367	13	298	4	62	1(სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით)
უფლებამოსილების გადამეტება (სსკ 333-ე მუხლი)	332	12	288		58	
უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ 332-ე მუხლი)	0	1	0		0	
წამება (სსკ 144^1-ე მუხლი)	14	0	1		0	
არასათანადო მოპყრობა (სსკ 144^3-ე მუხლი)	21	0	9		3	

პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიმართ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი 2018-2019 წლებში

მუხლი	2018 პროკურატურა		2019 წლის 1 ნოემბრამდე პროკურატურა		2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	
	გამოძიება	ბრალდებული პირი	გამოძიება	ბრალდებული პირი	გამოძიება	ბრალდებული პირი
პენიტენციური დაწესებულებებს	28	3	18	0	1	0

თანამშრომელთა მიმართ						
უფლებამოსილების გადამეტება (სსკ 333-ე მუხლი)	14		16		1	
უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ 332-ე მუხლი)	0		0		0	
წამება (სსკ 144[1]-ე მუხლი)	0		0		0	
არასათანადო მოპყრობა (სსკ 144[3]-ე მუხლი)	14	3	2		0	

რაც შეეხება სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობას, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ განცხადებებზე რეაგირების კუთხით, მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

2019 წელს სახალხო დამცველის აპარატში 128 განცხადება დარეგისტრირდა, სადაც მოქალაქეები სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითებდნენ. მათ შორის, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესაძლო ჩამდენი სუბიექტები იყვნენ: პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები 54 განცხადების, ხოლო პოლიციის თანამშრომლები - 50 შემთხვევაში.[224] 14 განცხადება შეეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ ღირსების შემლახავ პირობებს და 10 განცხადება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების გაჭიანურებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2019 წელს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა მიმართ შესაძლო არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტზე გამოძიების დაწყების

[224] გარდა მითითებული განცხადებებისა, სახალხო დამცველის აპარატმა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია საჯარო წყაროებიდანაც მიიღო (მედია, სოციალური ქსელები) და პროაქტიულად დაიწყო საქმის შესწავლა. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც აპარატმა პატიმრების შიმშილობის შესახებ შეტყობინება კონკრეტული პენიტენციური დაწესებულებებიდან მიიღო და პატიმრებთან ვიზიტის შემდეგ ცნობილი გახდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ. ასევე, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც განმცხადებლები მოგვიანებით უარყოფდნენ მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას არასათანადო მოპყრობის შესახებ, ან უარს აცხადებდნენ რეაგირებაზე. ყველა ზემოხსენებული გზით მიღებული საქმის შესწავლის შედეგად, საბოლოოდ გამოვლინდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის 76 ფაქტი და ყველა მათგანზე აპარატმა საგამოძიებო უწყებას მიმართა.

წინადადებით, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას 1 წინადადებით მიმართა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ არსებობს დანაშაულის ცალსახა ნიშნები.[225] სხვა შემთხვევებში, თუ სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შესაძლოა კონკრეტული პირის მიმართ ჩადენილი ყოფილიყო დანაშაული, თუმცა, საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც პირის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა, ვერ მოხერხდა, მათ შორის, თუ პირს არ აღენიშნება დაზიანების კვალი, იმის გამო, რომ სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან გასულია ხანგრძლივი დროის ინტერვალი და სხვა, ასეთ შემთხვევებში, სახალხო დამცველი წერილით მიმართავს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს და აწვდის ინფორმაციას სავარაუდო დანაშაულის შესახებ.

ზემოაღნიშნული მიდგომით, 2019 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოქალაქეთა განცხადებებისა თუ პროაქტიულად - საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, რელევანტურ სახელმწიფო უწყებებთან 76 მიმართვა განახორციელა. კერძოდ, 67 შემთხვევაში მიმართვის ადრესატი იყო გენერალური პროკურატურა, ხოლო 9 შემთხვევაში - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. აღნიშნული 76 შემთხვევიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესაძლო განმახორციელებელი სუბიექტები იყვნენ: პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები 12 შემთხვევაში; შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები - 62 შემთხვევაში, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" თანამშრომლები - 2 შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული 76 შემთხვევიდან 46 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი იყო საგამოძიებო უწყებისთვის სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ ინფორმაციის პირველადი მიმწოდებელი, ხოლო სხვა 30 შემთხვევაში საგამოძიებო უწყება უკვე ფლობდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციას და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობა განმცხადებლისთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში დახმარებით შემოიფარგლა.

ზემოხსენებული 46 საქმიდან 7 შემთხვევაში გამოძიება არ დაწყებულა. შვიდივე შემთხვევა ეხებოდა პოლიციელის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობას. აქედან 4 შემთხვევაში, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა პროკურატურას და სწორედ პროკურატურამ არ მიიჩნია ინფორმაცია გამოძიების დაწყებისთვის საკმარისად, ხოლო სამ შემთხვევაში - სახელმწიფო ინსპექტორის აპარატმა.

[225] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" პუნქტი.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2 შემთხვევაში (მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატისთვის მიწოდებული საქმე) საგამოძიებო უწყებამ სახალხო დამცველის აპარატს განუმარტა, რომ განმცხადებლებმა გამოკითხვისას უარყვეს არასათანადო მოპყრობის ფაქტები და ეს გახდა გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველი. ხოლო დამატებით ორ ფაქტზე, ინსპექტორის სამსახურმა სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ სავარაუდო მსხვერპლებთან დაკავშირება და მათთან ინფორმაციის დაზუსტება ვერ მოხერხდა, რის გამოც გამოძიება არც ამ შემთხვევაში დაწყებულა.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში სავარაუდო დაზარალებულის მიერ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლების წინაშე არასათანადო მოპყრობის ფაქტების უარყოფა (როდესაც ასეთ ფაქტებს, გამომძიებლებთან გასაუბრებამდე, განმცხადებელი სახალხო დამცველის აპარატის წინაშე ადასტურებდა) არ გახდება გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველი და მხოლოდ ამ არგუმენტით გამოძიების დაწყებაზე უარი ტენდენციის სახეს არ მიიღებს. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთან კონტექსტში, რადგან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომლებიც მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმის გამო - შეშინებულნი და უიმედო მდგომარეობაში მყოფნი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არ არიან მზად მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის გასასაჩივრებლად.[226]

არასათანადო მოპყრობის გამოძიების ხარვეზების სისტემური ანალიზი

იქიდან გამომდინარე, რომ არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიება საქართველოში წლების განმავლობაში სისტემური ხარვეზი იყო, 2019 წელს ამოცანად დავისახეთ შეგვესწავლა დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები და სისტემურად გაგვეანალიზებინა ის გამოწვევები, რომლებიც ამ მიმართულებით 2019 წლის მდგომარეობით გამოიკვეთა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია იმ საწყისი პრობლემების გამოვლენა, რომელთანაც ახლად შექმნილ უწყებას შემდგომ წლებში მოუწევს გამკლავება.

სახალხო დამცველის აპარატმა 38 დასრულებული სისხლის სამართლის საქმე შეისწავლა და ისინი გამოძიების ეფექტიანობის სტანდარტით შეაფასა. აღნიშული სტანდარტის თანახმად, ეფექტიანი გამოძიების შემადგენელი ელემენტებია: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; დროულობა; ზედმიწევნითობა/ყოველმხრივობა; კომპეტენტურობა; დაზარალებულის ჩართულობა გამოძიების პროცესში. შედეგად, 2019 წლის ივნისში გამოვაქვეყნეთ სპეციალური ანგარიში, სადაც დეტალურად არის აღწერილი თითოეული მიმართულებით არსებული გამოწვევები.[227]

---

[226] სტამბოლის პროტოკოლი, წამების ფსიქოლოგიური შედეგები, გვ. 46, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3cyChS5 > [ბოლოს ნანახია 05.03.2020].

[227] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა“, < https://bit.ly/2W3K4BJ > [ბოლოს ნანახია 08.04.2019].

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა: გამოძიებაში ჩართული და გადაწყვეტილების მიმღები პირები, არ შეიძლება იყვნენ იმავე სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც გამოიძიება.[228] მაგალითისთვის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა საქმე, სადაც გამოძიება დაიწყო პროკურატურამ, თუმცა, იმავე დღეს, შემდგომი გამოძიების მიზნით, საქმე გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, მაშინ, როდესაც თავად სამინისტროს თანამშრომლები იმხილებოდნენ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტში.[229] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოავლინა შემთხვევები, როცა გამოძიება დაიწყო იმ უწყებამ, რომლის თანამშრომლებიც იმხილებოდნენ არასათანადო მოპყრობის ჩადენაში და მხოლოდ მოგვიანებით გადაეცა პროკურატურას გამოძიების გასაგრძელებლად.[230]

2018 წლის ანგარიშში, საქართველოში ვიზიტის შესახებ, წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა, ასევე გაამახვილა ყურადღება ეფექტიანი გამოძიების ხარვეზებზე, მათ შორის იმ გარემოებაზე, რომ თავდაპირველ საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ იმ სამინისტროების საგამოძიებო სამსახურები, სადაც სავარაუდო დამნაშავე მუშაობს, ხოლო პროკურატურა მოგვიანებით ერთვება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან მედიაში გავრცელების შემდეგ.[231]

დროულობა: დროულობის კომპონენტი ეფექტიანი გამოძიების მიზნებისთვის, გულისხმობს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების აუცილებლობას. სახალხო დამცველის აპარატმა საქმეთა შესწავლისას გამოავლინა თვეებითა და, ცალკეულ შემთხვევაში, წლებით დაგვიანებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პრობლემა.[232] ასევე, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც დაგვიანებით დაწყებული გამოძიების გამო, საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოუპოვებლობის შედეგად, ვერ მოხერხდა დანაშაულისთვის პასუხიმგებელ პირთა გამოვლენა. გამოძიების გაჭიანურება, როდესაც არ ხდება პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა, ის სისტემური

[228] იქვე. გვ. 9.

[229] იქვე. გვ. 14.

[230] იქვე.

[231] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შედეგების შესახებ. პარ. 13-15. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/38p44kK > [ბოლოს ნანახია 08.04.2019].

[232] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა", 2019, გვ. 17-22;

პრობლემაა, რაზეც სახალხო დამცველის გარდა, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები[233] და საერთაშორისო ორგანიზაციებიც საუბრობენ.[234]

ზედმიწევნითობა/ყოველმხრივობა: სახალხო დამცველის აპარატმა საქმეთა შესწავლისას გამოავლინა, რომ გამოძიებისას ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედება არ ტარდება. იკვეთება ზედაპირული და არასრულყოფილი გამოკითხვის პრობლემა. რიგ შემთხვევებში, არ არის დასმული მნიშვნელოვანი შეკითხვები და არ არის გამოკითხული ყველა შესაძლო პირი. პოლიციელების ან შესაბამისი ციხის თანამშრომლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, უმეტესად არ არის გადამოწმებული სხვა ნეიტრალური მტკიცებულებებით ან არ არის მცდელობა, რომ იგი შეივსოს უფრო ობიექტური წყაროებით.[235]

კომპეტენტურობა: სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეებიდან, ვერცერთში ვერ ხერხდება იმის დადგენა, თუ ვისი ინიციატივითა და პასუხისმგებლობით ჩატარდა კონკრეტული საგამოძიებო მოქმედება, განსაზღვრა თუ არა გამომძიებელმა დამოუკიდებლად საგამოძიებო სტრატეგია, თუ გამოძიება პროკურორის აქტიური ჩართულობით/სავალდებულო მითითების ფონზე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, ასევე გამოიკვეთა ზოგადი მუხლით და არა სპეციალური კვალიფიკაციის ათეულობით შემთხვევა.[236]

ზემოაღნიშნულის გარდა, პრობლემაა ისიც, რომ არცერთ საქმეში არ ყოფილა გამოყენებული მსხვერპლის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიება,[237] და მწირია უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა.[238] საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ასევე პრობლემურია ის გარემოება, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი პატიმრები გამოძიების ეტაპზე, ზოგიერთ შემთხვევაში, იმყოფებიან პენიტენციური სისტემის ისევ იმ თანამშრომლების მეთვალყურეობისა და გავლენის ქვეშ, ვის მიმართაც არასათანადო მოპყრობის შესახებ პრეტენზიები არსებობდა.[239]

---

[233] სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2018, გვ. 24.

[234] Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06) 1324th meeting, 18-20 September 2018 (DH), ხელმისაწვდომია:< http://bit.ly/3cyptei > [ბოლოს ნანახია 05.03.2020];

[235] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა", 2019, გვ. 9, 20—27.

[236] იქვე, გვ. 27.

[237] არცერთ საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ პროკურორმა შესთავაზა და გაარკვია მაინც მსხვერპლის დამოკიდებულება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიმართულებით - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა", 2019, გვ. 28.

[238] იქვე.

[239] იქვე.

დაზარალებულის მონაწილეობა გამოძიების პროცესში: არასათანადო მოპყრობის გამოძიების თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა დაზარალებულის პროცესში მონაწილეობის საკითხი. საქართველოს კანონმდებლობით, მხოლოდ დაზარალებულს აქვს უფლებამოსილება გაეცნოს სისხლის სამართლის გამოძიების მიმდინარეობას, მის მასალებს. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2012-2019 წლებში პროკურატურაში გაგზავნილი 107 წინადადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, გამოძიებამ მხოლოდ ორ შემთხვევაში ცნო პირი დაზარალებულად.[240] არასამთავრობო ორგანიზაციების სამართალწარმოების პრაქტიკაც ადასტურებს, რომ გამოძიების მიერ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება იშვიათი მოვლენაა.[241]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ნათლად წარმოჩინდა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით პროკურატურის არაერთგვაროვანი მიდგომა. სახალხო დამცველი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, ერთგვაროვანი და განჭვრეტადი გახადოს აღნიშნული სტატუსის მინიჭების საფუძვლები.

დამატებით, გამოძიების ხარვეზიანობის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ წელსაც აქტუალური იყო სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და არა სპეციალურით მუხლით კვალიფიკაციის უცვლელი პრაქტიკა. კერძოდ, არასათანადო მოპყრობის ან წამების – არასწორი კვალიფიკაცია ზოგადი მუხლით, როგორიც არის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობის პროცესში „ცინცაბაძის ჯგუფის" საქმეების განხილვისას, 2019 წლის დეკემბერში მიღებულ შუალედურ რეზოლუციაში, საქართველოს ხელისუფლებას ზემოაღნიშნული პრაქტიკის აღმოფხვრისკენ მოუწოდა.[242]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- დაიწყოს საქართველოს გენერალური პროკურატურის რეფორმა, გაითვალისწინოს საპროკურორო საბჭოს მონაწილეობა პროკურატურაში ქვემდებარეობის განსაზღვრისა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომპეტენციების გამიჯვნის პროცესში; სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე სახელმძღვანელო პრინციპების

[240] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 82.

[241] სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2018, გვ. 28; არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, გვ. 32.

[242] Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06),1362nd meeting, 3-5 December 2019 (DH)), ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/2IvZ96P > [ბოლოს ნანახია 09.03.2020].

დამტკიცებასა და იმ ნორმატიული აქტების მიღების პროცესში, რომლებიც პროკურატურის სისტემურ საკითხებს არეგულირებენ.

3.6. 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიება

საანგარიშო პერიოდში, 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენები, როდესაც რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მოსახლეობის მიმართ სპეციალური საშუალებები გამოიყენეს, უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები უშუალოდ აკვირდებოდნენ აქციაზე მიმდინარე მოვლენებს, აქციის შემდგომ კი საავადმყოფოებში მოინახულეს დაშავებული პირები. ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ ექიმებს, კლინიკის ადმინისტრაციასა და აქციის დაშლისას დაშავებულ მოქალაქეებს. სახალხო დამცველის აპარატმა დაადგინა, რომ კლინიკებში სულ რეგისტრირებული იყო აქციისას დაშავებული 217 პაციენტი. მათგან 80 დაშავებული პოლიციელი იყო. ვიზიტისას მიღებული ინფორმაციით, ძირითადი დაზიანებები მიყენებული იყო თავისა და ზედა კიდურების არეში.[243] სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ასევე მოინახულეს აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული 116 პირი, რომელთაგან 7 პირის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე აპარატმა პროკურატურას რეაგირების მიზნით მიმართა.[244]

2019 წლის 22 ივნისს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება 20-21 ივნისის აქციის დაშლისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიერ ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. გენერალურმა პროკურატურამ მის მიერ წარმოებულ გამოძიების პროცესზე ზედამხედველობის მიზნით, სახალხო დამცველი მიიწვია და საგამონაკლისო წესით საქმის მასალების გაცნობის უფლება მიანიჭა. სახალხო დამცველის რწმუნებულები 2019 წლის 2 ივლისიდან ეცნობიან საქმეს და, მათ შორის, მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილ 3 საქმის მასალებსაც.[245]

გამოძიება პროკურატურაში დღემდე გრძელდება. პარალელურად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები პერიოდულად ეცნობიან საქმის მასალებს. წინამდებარე თავში მოკლედ მიმოვიხილავთ 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით წარმოებულ გამოძიების პროცესს და შესაბამის შუალედურ დასკვნებს. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და გამოძიების პროცესში სახალხო დამცველის

[243] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3aCsetw > [ბოლოს ნანახია 06.03.2020].

[244] სახალხო დამცველის რწმუნებულებთან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ უფრო მეტმა დაკავებულმა ისაუბრა, თუმცა, ვინაიდან მათ უარი თქვეს რეაგირების განხორციელებაზე, სახალხო დამცველის აპარატი არ იყო უფლებამოსილი მიემართა საგამოძიებო უწყებისთვის.

[245] ამ საქმეებში მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და არალეტალური იარაღის უსაფუძვლო გამოყენების შედეგად, 3 პოლიციელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

მონაწილეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.[246]

საქმის შესწავლის შედეგად, გამოძიების პროცესის პარალელურად, საქართველოს სახალხო დამცველმა 5 წინადადებით მიმართა პროკურატურას, რომლითაც კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითა, ასევე, წარადგინა 1 წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. წარდგენილი წინადადებებით სახალხო დამცველმა 21 კონკრეტული ქმედების განხორციელება მოითხოვა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 11, ხარვეზიანად ან/და ნაწილობრივ შესრულდა 3, არ შესრულდა 7 მოთხოვნა, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე წინადადება.

სახალხო დამცველი წინადადებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის მიმართ, ვინაიდან, მისი სამართლებრივი ვალდებულება იყო, აღეკვეთა მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (სპეციალური საშუალების არაპროპორციული გამოყენება) და როგორც საქმის მასალებიდან გამოიკვეთა, მას ჰქონდა ამგვარი მოქმედების შესაძლებლობა. ასევე, საქმეში ამ ეტაპისთვის მოპოვებული მასალებით დასტურდება, რომ მას რამდენჯერმე ჰქონდა მიღებული პირდაპირი ბრძანება, არ გამოეყენებინა რეზინის ტყვიები.[247]

სამწუხაროდ, არ შესრულდა სახალხო დამცველის მიერ მოთხოვნილი ის საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა მიზანიც, აქციის დაშლის პროცესზე ხელმძღვანელი პირების მოქმედებისა თუ უმოქმედობის სამართლებრივი შეფასება იყო. კერძოდ, განმეორებით და დეტალურად არ გამოიკითხნენ შსს-ს ყოფილი მინისტრი და მისი მოადგილეები (საჭიროება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გამოძიების მიერ მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების თავდაპირველი გამოკითხვა არ იყო სრულყოფილი). არ დგინდება, თუ რა ღონისძიებები გაატარეს მათ, როგორც 20-21 ივნისის ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელმა და ხელმძღვანელმა პირებმა, უშუალოდ აქციის დაშლის პერიოდში პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტების აღსაკვეთად; არ ჩატარდა ექსპერტიზები რაციების ჩანაწერებში არსებული ხმის წყვეტის მიზეზის დადგენის მიზნით იმ პერიოდში, როდესაც წყდებოდა სპეციალური

[246] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში", 2020.

[247] ეს დასკვნა ეფუძნება რაციის ჩანაწერებს, რომელსაც გაეცნო სახალხო დამცველის აპარატი. აღსანიშნავია, რომ რაციის ჩანაწერებში ფიქსირდება წყვეტები. აღნიშნულისმიზეზისა თუ სავარაუდო მონტაჟის კვალის აღმოჩენის მიზნით, სახალხო დამცველმა პროკურატურას ექსპერტიზის ჩატარების წინადადებით მიმართა. 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა.

საშუალებების გამოყენების საკითხი; არ იქნა ამოღებული ქვემდგომი თანამშრომლების რაციის ჩანაწერები და მობილური ტელეფონები.

საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული პოლიციელების მხრიდან ძალადობით ან იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტების დადგენა, არამედ, შეკრების თავისუფლების შეწყვეტის აუცილებლობისა და პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის პროპორციულობის საკითხის სამართლებრივი შეფასება. ზემოაღნიშნული სტანდარტის საწინააღმდეგოდ, პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება ამ ეტაპზე ორიენტირებულია მხოლოდ ინდივიდუალურ სამართალდამცავთა დანაშაულებრივი მოქმედებების იდენტიფიცირებასა და მათი ცალკეული როლის შეფასებაზე. გამოძიება არ არის მიმართული ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენაზე და არ ცდილობს დაადგინოს/გამორიცხოს აქციის დაშლისას უმოქმედობით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის არსებობის ფაქტ(ებ)ი.

გამოძიებას ამ ეტაპისთვის (2020 წლის თებერვალი) აქვს ხარვეზები დროულობისა და ზედმიწევნითობის კომპონენტებში, რაც არსებითად აფერხებს გამოძიების ეფექტიანად შეფასებას. კერძოდ, არ არის დათვალიერებული ვიდეოჩანაწერების ნაწილი; არ არის მოპოვებული სამინისტროს საშუალო რგოლის თანამდებობის პირების რაციის ჩანაწერები; არ არის დანიშნული და ჩატარებული სამინისტროს ხელმძღვანელი პირების რაციების ჩანაწერების ექსპერტიზა და სხვ. შესაბამისად, გამოძიება მნიშვნელოვანი და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას აგვიანებს, ხოლო კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, საჭირო გულისხმიერებით არ გამოირჩევა.

საქმის მასალებში არსებული ვიდეომასალის თანახმად, იმ დროისათვის, როდესაც პოლიციამ იარაღი გამოიყენა, აქციაში მონაწილე პირების მხრიდან ადგილი არ ჰქონია პოლიციის თანამშრომლების ან სხვა პირების მიმართ იმწუთიერ და იმგვარ მასობრივ თავდასხმას, რაც პოლიციის თანამშრომლებს საფუძველს მისცემდა, ხელმძღვანელი პირის ბრძანების გარეშე, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მიეღოთ გადაწყვეტილება არალეტალური ჭურვების გამოყენების თაობაზე (აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა). აღნიშნულის საპირისპიროდ, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, შეკრება-მანიფესტაციის დროს კანონიერებისა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით და რისკების გათვალისწინებით, არალეტალური იარაღის (მათ შორის, არალეტალური ჭურვის) გამოყენების შესახებ ბრძანება უნდა გასცეს ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელმა, ღონისძიებაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობით. ხოლო როდესაც არალეტალური იარაღის გამოყენების დაყოვნებამ შესაძლოა რეალური საფრთხე შეუქმნას პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, საკმარისია მხოლოდ ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ ბრძანების გაცემა.[248]

[248] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ (დამტკიცებულია 2015 წლის 30 დეკემბრის

შსს-ს თანამშრომლების გამოკითხვის ოქმის მიხედვით კი, ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ არ ჰქონდათ კონკრეტული ბრძანება რეზინის ტყვიების გამოყენებაზე და ეს გადაწყვეტილება ინდივიდუალური საფრთხიდან გამომდინარე მიიღეს.

ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის თანახმად, აქციის მონაწილეთა ნაწილის მხრიდან ძალადობრივი ქმედების გამოვლენა არ არის თავისთავად მყარი საფუძველი აქციის მშვიდობიანი მონაწილეების შეკრების თავისუფლების შესაზღუდად, მით უფრო, მათ წინააღმდეგ ძალის გამოსაყენებლად.[249] შესაბამისად, ამ ეტაპისთვის არსებული მასალების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ 2020 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლისას მეთოფეების მიერ არალეტალური ჭურვების გამოყენება კანონმდებლობით დადგენილი ბრძანების არარსებობის, ჭურვების რაოდენობისა (რამდენიმე ასეული) და მეთოფეების (რამდენიმე ათეული) რაოდენობის, ლოკაციის ფართობის (როგორც უშუალოდ პარლამენტის შენობის წინ, ასევე, რუსთაველის გამზირის სხვა მონაკვეთებზე), რამდენიმესაათიანი პერიოდის ხანგრძლივობით და დაშავებული მომიტინგეების რაოდენობისა და დაზიანებების ხარისხის მიხედვით, არ შეიძლება შეფასდეს პროპორციულ და თანაზომიერ საშუალებად.

გენერალურმა პროკურატურამ წინამდებარე ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის ვერ მოახერხა 20-21 ივნისის ღამის მოვლენების სრული სისტემური სამართლებრივი ანალიზი. რიგით პოლიციელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ერთეული აქცენტების პარალელურად, პროკურატურამ ვერ შეძლო ობიექტურად და სრულად შეეფასებინა ზემდგომ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. იმედს ვიტოვებთ, პროკურატურა შემდგომ ეტაპებზე უზრუნველყოფს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის დაკმაყოფილებას.

დაზარალებულად ცნობილი პირები

გამოძიების ფარგლებში, ძირითად საქმეზე, 2020 წლის იანვრის მდგომარეობით, დაზარალებულად ცნობილია 4 პირი. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პირთა დაზარალებულად ცნობა მხოლოდ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ზეწოლისა და პროტესტის შემდგომ მოხდა, რასაც წინ უძღვოდა სასამართლოს უარი მათ დაზარალებულად ცნობაზე.[250] სასამართლომ 2019 წლის 9 დეკემბერსა და 18 დეკემბერს ასევე არ დააკმაყოფილა 12 სხვა პირის საჩივარი დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ განჩინებებში სასამართლო უთითებდა, რომ არ იყო მიღებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნები, რომლითაც უნდა დადგინდეს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №1002 ბრძანებით) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

[249] Ribitsch v. Austria, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 38; Ziliberberg v.Moldova (2004, დასაშვებობა), პარ.10; Ezelin v.France, 1989 წლის გადაწყვეტილება, პარ. 34;

[250] „საქალაქო სასამართლო განმარტებას აკეთებს, რატომ არ ცნო დაზარალებულად 20 ივნისის აქციის საქმეზე 16 პირი, მათ შორის, მაკო გომური", ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/377intB > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული დაზიანების ხარისხი და მექანიზმი. სასამართლომ მიუთითა, რომ აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგინდეს, ჩადენილია თუ არა დანაშაული და უშუალოდ რა დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი პირს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განმარტება არ ეწინააღმდეგება საკანონმდებლო მოთხოვნებს, აუცილებელია, პროკურატურამ შემჭიდროებულ ვადებში დაათვალიეროს ვიდეოჩანაწერები, გაშიფროს კონკრეტული ეპიზოდები და გამოავლინოს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებული მოქალაქეები, გამოძიების პროცესში მათი მაქსიმალური მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არსებული ვიდეომასალები იძლევა კონკრეტული დანაშაულებრივი ეპიზოდებისა და მათ შედეგად დაზარალებული მოქალაქეების, მათ შორის, ჟურნალისტების, იდენტიფიცირების შესაძლებლობას (რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს დააკმაყოფილებს). შესაბამისად, ექსპერტიზის მიერ დაზიანების ზუსტი ხარისხის დადგენამდეც, შესაძლებელი იყო/არის კონკრეტული პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაია (მაკო) გომურის დაზარალებულად ცნობის მიუხედავად, მას სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ორი ტომი გააცნეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ დაზარალებულს არ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები, თუ ეს გამოძიების ინტერესებს ეწინააღმდეგება.[251] თუმცა აღნიშნული საფუძვლის შესახებ, მაკო გომურს ინფორმაცია არ მიწოდებია. სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგრამ პროკურატურამ მაკო გომურისთვის მასალების სრულად გაცნობაზე უარის სამართლებრივი საფუძველი არც სახალხო დამცველის აპარატს განუმარტა.[252]

რეკომენდაცია

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- №074220619801 სისხლის სამართლის საქმეზე აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება და გადადგას ნაბიჯები სახალხო დამცველის წინადადებების შესასრულებლად.

[251] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი.

[252] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 9 დეკემბრის №13/86194 და 2019 წლის 17 დეკემბრის №13/88174 წერილები.

4. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

4.1. შესავალი

2019 წელს, მასშტაბური საპროტესტო აქციების დროს, პოლიციის თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა დაკავებისას ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის ფაქტებმა ტენდენციის სახე მიიღო. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 2019 წლის 20-21 ივნისსა და 18 ნოემბერს აქციის დაშლისას დაკავებულ პირთა საქმეების შესწავლის საფუძველზე, გამოავლინა როგორც რიგი საკანონმდებლო ხარვეზები, ისე პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის პრაქტიკა.

კერძოდ, პოლიციელები სამართალდარღვევის დოკუმენტაციას ინდივიდუალური შემთხვევების აღუწერლად ადგენდნენ, რის გამოც, შეუძლებელი იყო ადმინისტრაციული დაკავების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა/არარსებობის ფაქტის შეფასება. ადგილი ჰქონდა დაკავების 12-საათიანი ვადის დარღვევის ფაქტებს. ასევე, პირის დამკავებელი პოლიციელების ნაცვლად, დაკავების ოქმებს ხელს სხვა სამართალდამცავები აწერდნენ. დამატებითი პრობლემა იყო დაკავების ფაქტობრივი ადგილისა და დაკავების ოქმში მითითებული ადგილის შეუსაბამობა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით პირთა დაკავების პრობლემის აღმოფხვრა. ასევე, საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას აწესებენ, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა და თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვის ფაქტები. სახალხო დამცველის მიერ 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ნორმატიულ დონეზე კვლავ არ არის განსაზღვრული სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი. ასევე, სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე სამართალდამცავები სამხრე კამერებით კვლავ არ არიან აღჭურვილნი.[253]

[253] სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, 2 რეკომენდაციით ასევე მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. მათგან, გენერალურმა პროკურატურამ შეასრულა სახალხო დამცველის ის რეკომენდაცია, რომლითაც იგი ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ფაქტზე ჩატარებული ყველა საგამოძიებო მოქმედების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და საქმის მასალების გაცნობას ითხოვდა, რეკომენდაცია კი, რომლითაც სახალხო დამცველი ნიკა მელიასა და მოქალაქე გ.გ.-ს დაკავებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ ზემოაღნიშნულ გამოწვევებს და წარმოგიდგენთ ივანე მერაბიშვილის საქმეზე, განახლებული გამოძიების ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესწავლის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ივანე მერაბიშვილის საქმეზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა[254] კონვენციის მე-5 მუხლის (1) პუნქტით გათვალისწინებული თავისუფლების უფლებასთან კავშირში.[255] ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2018 წლის 12 ივლისს, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისა და მის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, გამოძიება განახლდა.

4.2. დაკავება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით შეიძლება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს და საჭიროებს ამ უკანასკნელის თანხმობას.[256]

ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმათა დარღვევით, 2018 წელს პოლიციელებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს ნიკა მელია, რომელიც იმ დროს საქართველოს პარლამენტის წევრი იყო.[257] აღნიშნულ ფაქტზე დაწყებული გამოძიება 2019 წლის 24 მაისს შეწყდა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის მასალების შესწავლამ სხვადასხვა ხარვეზები გამოავლინა. გამოძიებამ ვერ დაადგინა, ჰქონდა თუ არა ადგილი ნიკა მელიას განზრახ უკანონო დაკავებას. იმის გასარკვევად, ცნობილი იყო თუ არა პოლიციელებისთვის მისი დეპუტატის სტატუსის შესახებ, გამოძიება პოლიციელთა გამოკითხვით შემოიფარგლა. გამოძიების ფარგლებში არ მოუპოვებიათ ინფორმაცია დამკავებელი პირის მიერ პარლამენტის ვებგვერდზე გადამოწმების ფაქტისა და დროის თაობაზე, არც ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და პოლიციელის სატელეფონო ზარის განხორციელებისა და დროის თაობაზე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება იყო.

თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ითხოვდა, არ შეუსრულებია.

[254] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული“.

[255] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (Merabishvili v. Georgia).

[256] საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[257] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 87.

საგულისხმოა, რომ პარლამენტის წევრი უკანონოდ დააკავეს საანგარიშო წელსაც. კერძოდ, 2019 წლის 26 ნოემბერს, პოლიციელებმა დააკავეს და მოგვიანებით გაათავისუფლეს დეპუტატები: გიორგი ბოკერია და თენგიზ გუნავა,[258] ხოლო 2019 წლის 29 ნოემბერს - დეპუტატი გიორგი კანდელაკი.[259] შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ დრომდე არ მოუწოდებია აპარატისთვის, ამ მიმართულებით გამოთხოვილი ინფორმაცია.

4.3. საკანონმდებლო ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პრობლემურია ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების საკითხი.[260] იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე, სადავოდ ხდის ადმინისტრაციულ დაკავებას, მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას და აღნიშნულს ცალკე სამართალწარმოების ფარგლებში განიხილავს. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერება თავად სამართალდარღვევის საქმის განხილვასთან ერთად უნდა შეაფასოს ამ საქმის განმხილველმა სასამართლომ, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია.[261]

საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული დაკავების ვადებიც. კერძოდ, კოდექსის შესაბამისი მუხლი დაკავების განსხვავებულ ვადებს ადგენს იმის მიხედვით, პირი დაკავებულია სამუშაო თუ არასამუშაო დროს.[262] საგულისხმოა, რომ ბუნდოვანია, რა იგულისხმება კოდექსის 247-ე მუხლის დისპოზიციის შემდეგ სიტყვებში: „ადმინისტრაციული დაკავების ვადა არასამუშაო დროს ემთხვევა", როდესაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უშვებს პირის 48 საათით დაკავების შესაძლებლობას. კერძოდ, გაურკვეველია, ეს მუხლი ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც პირის დაკავების საწყისი მომენტი ემთხვევა არასამუშაო დროს, თუ

---

[258] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/2VLuSc1 > [ბოლოს ნანახია 01.02.2020].

[259] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/2vL209s > [ბოლოს ნანახია 01.02.2020].

[260] აღნიშნულ ხედვას იზიარებს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის", იხ. კოალიციის მიმართვა გაეროს სპეციალურ მომხსენებელს, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/38p6aAU > [ბოლოს ნანახია 04.03.2020].

[261] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 176, 1-ლი ნაწ. (ე) ქპ., მუხ. 197, 1-ლი ნაწ. (ზ)ქპ. იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 505. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/2TMCU2R > [ბოლოს ნანახია 13.03.2020].

[262] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს", ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პირი, რომლის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არასამუშაო დროს ემთხვევა, შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის განხილვამდე. აღნიშნულ შემთხვევაში პირის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს".

იგულისხმება შემთხვევა, როცა პირის დაკავების ვადის გასვლა არასამუშაო დროს ემთხვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი მართლმსაჯულების სისტემები იმგვარად უნდა მოაწყონ, რომ საშვებულებო პერიოდის გამო არ შეფერხდეს იმ საკითხების სწრაფი გადაწყვეტა, რომლებიც პირის თავისუფლების უფლებას უკავშირდება.[263]

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა, რომ 2019 წლის ნოემბრის აქციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყენებდა ე.წ. გარიდების მექანიზმს, რაც პოლიციელის მიერ პირისათვის გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვების მოთხოვნასა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვაში გამოიხატა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ე.წ. გარიდების მექანიზმის შესახებ ნორმატიულ დონეზე განსაზღვრული რეგულაციები,[264] ამით პოლიციელს მოქმედების ფართო დისკრეცია ეძლევა. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია ნორმატიულ დონეზე მოწესრიგდეს ე.წ. გარიდების მექანიზმის გამოყენების საფუძვლები, იმისათვის რათა განჭვრეტადი გახდეს პოლიციელის მიერ პირის თავისუფლების უფლებაში ჩარევის შესაძლებლობა.

4.4. პოლიციელების მოქმედებებისას გამოვლენილი ხარვეზები

საანგარიშო პერიოდში, საპროტესო აქციების მონაწილეთა დაკავებისას, პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობაში რიგი დარღვევები გამოვლინდა. კერძოდ, 2019 წლის 20-21 ივნისს და 18 ნოემბერს, აქციის დაშლისას სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მოინახულეს დაკავებულები და გასაუბრებების და დაკავებულ პირთა საქმეების შესწავლის საფუძველზე, პოლიციელების საქმიანობაში შემდეგი პრობლემები გამოკვეთეს: პოლიციელები აქციის მონაწილეთა დაკავებისას არ იყენებდნენ სამხრე კამერებს; პოლიციელებს სამართალდარღვევის ოქმები შედგენილი ჰქონდათ სამართალდამრღვევის კონკრეტული ქმედების აღუწერლად, სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმებში ასახული დაკავების დრო არ შეესაბამება დაკავების რეალურ დროს,

[263] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 29 აგვისტოს განჩინება საქმეზე, „ე. ნორვეგიის წინააღმდეგ" (E. v. Norway), პარ. 66.

[264] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, „პოლიციელი უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება და აუკრძალოს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული შეზღუდვა შესაძლებელია გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე." მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციით, ამ მუხლზე მითითება არ ხდება, შეიძლება არსებობდეს გარკვეულ შემთხვევებში ამ ღონისძიების გამოყენების საფუძვლები. მაგრამ ამ შემთხვევაშიც აუცილებელი და საჭირო იქნება ქვემდგომი ნორმატიული აქტით ამ საკითხის დეტალური დარეგულირება და საფუძვლების და პროცედურების მკაფიოდ გაწერა.

ხშირ შემთხვევაში დამკავებელი პოლიციელების ნაცვლად, დაკავების ოქმებს ხელს სხვა სამართალდამცავები აწერდნენ. ეს უკანასკნელი იმთავითვე პრობლემურია, ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პირი უკანონოდ იქნა დაკავებული, ეს გაართულებს პასუხისმგებელი პოლიციელის ვინაობის დადგენას. დაკავებულთა უდიდესი ნაწილი აღნიშნავდა, რომ არ იცოდნენ დაკავების საფუძველი, არ ჰქონდათ ნანახი დაკავების ან სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო ის პირები, რომლებიც გაეცნენ ოქმებს, კატეგორიულად უარყოფდნენ მათში ასახულ ინფორმაციას.

4.5. თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა

2018 წლის მსგავსად,[265] 2019 წელს, საქართველოს სახალხო დამცველისადმი პირთა ცალკეულ მიმართვებში კვლავ გამოიკვეთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ გარკვეული მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლისა და გასვლის უსაფუძვლო აკრძალვა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ეტაპზე, იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის და არ არსებობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსამართლის განჩინება (ან პროკურორის დადგენილება) ბრალდებულისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ, პირისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის - ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა დაუშვებელია.

აღნიშნულის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პირებს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის თანამშრომლებმა საზღვრის გადაკვეთა კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი მოტივაციით აუკრძალეს. მაგალითისათვის, საქართველოს მოქალაქე თ. შ.-ს არ მიეცა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლება, იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს მისთვის არ შეუჩერებია პასპორტის მოქმედება და არ შეუზღუდავს სახელმწიფო საზღვრის კვეთა.[266] მოქალაქე ლ. დ.-ს არ მიეცა სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესაძლებლობა იმის მიუხედავად, რომ მის მიმართ დაწყებული არ ყოფილა სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, მის საქმეზე არც სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა.[267] შესაბამისად, სასამართლო განჩინების არარსებობის პირობებში, სახელმწიფო საზღვრის კვეთა აღნიშნულ მოქალაქეებს უკანონოდ შეეზღუდათ.

---

[265] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 88.

[266] 2019 წლის 4 დეკემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №MIA 6 19 03250290 წერილი და 2019 წლის 17 დეკემბრის გენერალური პროკურატურის №13/88157 წერილი.

[267] 2019 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/71350 წერილი და 2019 წლის 3 ოქტომბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №MIA 5 19 02629272 წერილი.

დამატებით, მოქალაქე დ. მ.-ს შემთხვევაში, სახალხო დამცველმა სამსახურებრივი შემოწმების დაწყების წინადადებით გენერალურ პროკურატურასა[268] და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა, რადგან მასაც შეეხლუდა საზღვრის დატოვების შესაძლებლობა.[269] როგორც საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველისადმი გამოგზავნილ წერილებშია მითითებული, ამ უწყებების მიერ საქმეების შესწავლით მხოლოდ ის დადგინდა, რომ შესაბამისმა მოხელეებმა პირი გამოსაკითხად დაიბარეს, არ აუკრძალავთ მისთვის სახელმწიფო საზღვრის კვეთა და მანაც, ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილის საფუძველზე აღარ გადაკვეთა საზღვარი.[270]

4.6. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საერთო სურათი, წინა წლების მსგავსად, უცვლელია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2019 წელს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების სახეების პროცენტულობა დაახლოებით იგივეა. კერძოდ, შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებათა ძირითადი სახეა პატიმრობა ან გირაო, სხვა სახის ღონისძიებები, როგორც წესი, იშვიათად გამოიყენება.

ბრალდებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებელი, 2018 წელთან შედარებით, გაიზარდა. კერძოდ, 2019 წელს აღკვეთის ღონისძიება, ჯამში, გამოიყენეს 11031 შემთხვევაში, მათგან პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი 47.2%-ია - 5205 შემთხვევა, მაშინ, როცა 2018 წელს, აღკვეთის ღონისძიება, ჯამში, 9997 შემთხვევაში იქნა გამოყენებული, საიდანაც პატიმრობის ხვედრითი წილი 43.1%-ია - 4308 შემთხვევა.[271]

ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი აღკვეთის ღონისძიებების გაზრდის ნაწილში, შეიძლება იყოს ოჯახური დანაშაული. საქართველოს პროკურატურიდან სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2019 წელს, მხოლოდ სსკ-ის 11[1], 126[1] მუხლით დევნის მაჩვენებელი 624 ერთეულით არის გაზრდილი. ამ კატეგორიის საქმეებზე, დანაშაულის თავისებურებიდან გამომდინარე, ხშირად ხდება პატიმრობის შეფარდება.

[268] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 25 მარტის №15-2/3414 წინადადება.

[269] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 25 მარტის №15-2/3415 წინადადება.

[270] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 16 აპრილის №13/27357 წერილი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 აპრილის №MIA 3 19 00931681 წერილი.

[271] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3aurgiH >[ბოლოს ნანახია 02.03.2020].

არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების კუთხით, 2018 წლის მსგავსად, 2019 წელსაც უცვლელია გირაოს გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. კერძოდ, გირაოს ხვედრითმა წილმა არასაპატიმრო ღონისძიებების დაახლოებით 96% შეადგინა.[272]

გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების თვალსაზრისით, საანგარიშო პერიოდში საგულისხმო იყო ნიკა მელიას საქმე. კერძოდ, ნიკა მელიას, როგორც საპარლამენტო მანდატის მქონე პირის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო დამატებითი ვალდებულებები.[273] მას აეკრძალა საპარლამენტო საქმიანობის შემადგენელი არაერთი უფლებამოსილება. საქართველოს სახალხო დამცველმა, 2019 წლის 28 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა, რათა მას ჯეროვნად შეეფასებინა ნიკა მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული დამატებითი ვალდებულებების პროპორციულობა საპარლამენტო მანდატთან მიმართებით.[274] კერძოდ, ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაოსთან ერთად, დამატებით ასევე აეკრძალა საგამოძიებო ორგანოს ნებართვისა და ინფორმირების გარეშე საცხოვრებელი ადგილის დატოვება, მოწმეებთან ნებისმიერი კომუნიკაცია და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას განცხადებების გაკეთება. მას დამატებით ასევე განესაზღვრა პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩაბარების ვალდებულება. თბილისის საქალაქო სასამართლომ, სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ მოსაზრებაში მითითებულ საკითხებზე მსჯელობა ვერ შეძლო, რადგან ნიკა მელიას სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე შეუწყდა საპარლამენტო უფლებამოსილება.

4.7. ივანე მერაბიშვილის საქმე

2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, სახალხო დამცველის აპარატმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, 2018 წლის 12 ივლისს განახლებული გამოძიების მასალები შეისწავლა. საქმის მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ გამოძიება არაერთი კრიტიკული ხარვეზით წარიმართა, რის გამოც, სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს მთავრობის მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია - აწარმოოს გამოძიება ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად - შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

კერძოდ, გამოძიების ფარგლებში არ გამოკითხულა ერთ-ერთი საკვანძო მოწმის მიერ დასახელებული ყველა პირი, მათ შორის, მოქმედი და ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები; არ ჩატარებულა ივანე მერაბიშვილის მიერ აღწერილი სავარაუდო დამნაშავეების სახობრივი კომპოზიცია (facial composition); გამოძიების პერიოდში არ გამოკითხულა პირი,

[272] იქვე.

[273] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2OyUSTK > [ბოლოს ნანახია 01.02.2020].

[274] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2OyUSTK > [ბოლოს ნანახია 01.02.2020].

რომელმაც სხვა საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესის ფარგლებში განაცხადა, რომ ჰქონდა ინფორმაცია ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ფაქტთან დაკავშირებით; განახლებული გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ნეიტრალური მტკიცებულებები ეწინააღმდეგება საკნიდან გაყვანაში სავარაუდოდ მონაწილე ერთ-ერთი პირის ჩვენებას; ივანე მერაბიშვილს არ მიეცა გამოძიების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ, უარი ეთქვა სავარაუდო დამნაშავეების ამოცნობის პროცესში მონაწილეობაზე და სხვ.[275]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებად განისაზღვრება
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელი იქნება პირის ადმინისტრაციული წესით დაკავება 12 საათზე მეტი ვადით, სასამართლოში წარდგენისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, არასამუშაო დროის მიზეზით

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2020 წელს ნორმატიულად განისაზღვროს სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი
- 2020 წელს სამხრე კამერებით აღიჭურვონ სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე სამართალდამცავები.

[275] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 24 იანვრის კომუნიკაცია საქმეზე, „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ" (Merabishvili v. Georgia), app.no. 72508/13, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3aTVsUQ > [ბოლოს ნანახია 13.03.2020].

5. სამართლიანი სასამართლოს უფლება

5.1. შესავალი

სამართლიანი სასამართლოს უფლება, გასული წლების მსგავსად, წელსაც სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო. განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის ხარისხზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. 2019 წელს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესმა, ნათლად წარმოაჩინა არსებული სისტემის ხარვეზები, გამოწვევები და პრობლემები. ამ გამოწვევების მიუხედავად, პოზიტიურად უნდა შეფასდეს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებები,[276] რამაც დახვეწა და უფრო განჭვრეტადი გახადა მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. მისასალმებელია სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილება,[277] რომლის მიხედვითაც, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის იქნება უზრუნველყოფილი.

საანგარიშო პერიოდში, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 7 გადაწყვეტილება[278] გამოიტანა, საიდანაც კონვენციის დარღვევა 6 შემთხვევაში (2004-2009 წლებში მომხდარ ფაქტებზე) დადგინდა.

წინამდებარე თავში განვიხილავთ სასამართლო სისტემაში არსებულ ინსტიტუციურ პრობლემებს, შევაჯამებთ უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ პროცესში სახალხო დამცველის ჩართულობას. ასევე გავაანალიზებთ სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებით შემადგენელ ნაწილებთან წინააღმდეგობრივ საკანონმდებლო ჩანაწერებს, რომლებიც, ერთი მხრივ, პირებს თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიით სარგებლობის, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას უზღუდავენ. წარმოგიდგენთ მსჯელობას

---

[276] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2019 წელი 13 დეკემბერი.

[277] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198[1] მუხლი.

[278] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის №72916/10 გადაწყვეტილება საქმეზე, „გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ" (GELENIDZE v. Georgia); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 10 ოქტომბრის №8284/07 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" (BATIASHVILI v. Georgia); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის №37809/08 გადაწყვეტილება საქმეზე, „სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ" (SVANIDZE v. Georgia); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის №16812/17 გადაწყვეტილება საქმეზე, „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2" და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" (CASE OF RUSTAVI 2 BROADCASTING COMPANY LTD AND OTHERS v. GEORGIA); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 28 მარტის №39718/09 გადაწყვეტილება საქმეზე, „კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ" (KERESELIDZE v. Georgia); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 14 ივლისის №36416/06 გადაწყვეტილება საქმეზე, „კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" (KOBIASHVILI v. Georgia); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 12 დეკემბრის №30680/09 გადაწყვეტილება საქმეზე, ქარცივაძე საქართველოს წინააღმდეგ" (KARTSIVADZE v. Georgia).

იმ საქმეებზე, სადაც სასამართლო პროცესები კანონიერების პრინციპთან შეუსაბამოდ მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემა იყო საქმეთა განხილვის გაჭიანურება, ამ საკითხზე სახალხო დამცველის აპარატში 16 განცხადება შემოვიდა. ანგარიშში ასევე შევაფასებთ სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის პრინციპის დარღვევის გამო მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის ხარვეზიან პრაქტიკას და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვისას სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულებელყოფას.

ანგარიშზე მუშაობის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ რამდენიმე მნიშვნელოვან ანგარიშს.[279]

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს 9 წინადადებით, ხოლო იუსტიციის სამინისტროს ერთი რეკომენდაციით მიმართა. საანგარიშო პერიოდში „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესული არაერთი ცვლილების მიუხედავად, პოზიტიურად მხოლოდ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონში შესული ცვლილებები უნდა შეფასდეს.[280] შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის 9 წინადადებიდან მხოლოდ ერთი შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში იუსტიციის სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანით, მოეხსნა ან გაეზარდა პატიმრებისთვის ოფიციალური დოკუმენტების შენახვაზე დაწესებული ფურცლების ლიმიტი, რადგან მას შეიძლება გავლენა ჰქონოდა პატიმართა სამართლიან სასამართლოს უფლებაზე. სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტროს არ შეუსრულებია აღნიშნული რეკომენდაცია, იმის მიუხედავად, რომ ეს, საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, მისი ვალდებულება იყო.[281] სწორედ ამის გამო, საქართველოს

[279] „დაკარგული თვალის მიღმა", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ანგარიში, 2019 წელი. „მოსამართლის როლის განსაზღვრა საქართველოს შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში", ეკატერინე ციმაკურიძე, ელენე სიჭინავა, 2019 წელი. „ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში", ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019 წელი.

[280] სამწუხაროდ, ამ კუთხით გამოწვევები კვლავ არსებობს დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის წესთან და დისციპლინური სამართალწარმოების ვადებთან დაკავშირებით.

[281] „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, მე-2 პუნქტი, „წ" ქვეპუნქტი.

სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული დებულების გაუქმების მოთხოვნით მიმართა.[282]

5.2. სასამართლო სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები

სასამართლო ხელისუფლების ფორმირება და მისი ინსტიტუციურად გამართული მუშაობა სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად გამართული სასამართლოს პირობებში ფაქტობრივად შეუქცევადი ხდება ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით შებოჭილი სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლება არა აბსტრაქტულად, არამედ, კონსტიტუციით დადგენილ ინსტიტუციურ ფარგლებში ვრცელდება[283] და იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან.[284]

დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის საკითხი

დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი, სასამართლო რეფორმის ფარგლებში, 2017 წელს შეიქმნა და მისი მიზანია მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების ობიექტური და მიუკერძოებელი შესწავლა. სწორედ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის გამო კრიტიკულად აუცილებელია დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე ფართო საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი პირის არჩევა.

2019 წლის 13 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა.[285] კონკურსში განაცხადების შეტანის ბოლო ვადად 26 დეკემბერი იყო მითითებული. საბჭომ საბოლოოდ დამოუკიდებელი ინსპექტორი მიმდინარე წლის 23 იანვარს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის

---

[282] კონსტიტუციური სარჩელი: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2X02Z0v > [ბოლოს ნანახია 09.03.2020].

[283] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II პარ, 68.

[284] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 1.

[285] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის №1/346 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3aQV3T7 > [ბოლოს ნანახია 09.03.2020].

ვადით აირჩია.[286] იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პროცესები საანგარიშო პერიოდში განვითარდა, მიზანშეწონილი იქნება ამ პროცესის წინამდებარე ანგარიშში შეფასება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის კონკურსის ჩატარების წესი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განისაზღვრება.[287] კონკურსის სამართლიანად და გამჭირვალეობის მაღალი ხარისხით ჩატარების უზრუნველსაყოფად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რეგლამენტით არ განუსაზღვრავს გასაუბრების ჩატარების დეტალური წესი და მასზე გამოსარკვევი საკითხები. რეგლამენტში აგრეთვე არ არის განსაზღვრული კონკურსის ჩატარების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა ობიექტურობა, საჯაროობა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება და სხვ.[288]

აღნიშნული ნორმატიული სივრცის გათვალისწინებით, ბუნებრივია, დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის პროცესმა ხარვეზების ფონზე ჩაიარა. საბჭოს წინასწარ არ გაუცხადებია გასაუბრების ზუსტი თარიღი, ინფორმაცია ამის შესახებ, მხოლოდ 2020 წლის 23 იანვარს, საბოლოო შედეგის გამოცხადების შემდეგ გახდა საჯარო. საზოგადოებისთვის უცნობია როგორც კონკურსში მონაწილე სხვა პირთა ვინაობა, ისე, გარემოებები, რომელთა გამოც საბჭომ კონკრეტულ კანდიდატს მიანიჭა უპირატესობა. საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად,[289] საქართველოს სახალხო დამცველიც უარყოფითად აფასებს დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის პროცესში განვითარებულ მოვლენებს.

მოქმედი რეგულაციით, დამოუკიდებელი ინსპექტორი თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით აირჩევა.[290] კანდიდატის კონკურში გამარჯვებისთვის, მხოლოდ საბჭოს მოსამართლე წევრების მხარდაჭერაც საკმარისია. იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელისუფლების სამი შტოსგან ფორმირდება, დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი იქნება, თუ იგი თანამდებობაზე მაღალი კვორუმით, ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების საფუძველზე აირჩევა.

---

[286] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/39MY46I > [ბოლოს ნანახია 09.03.2020].

[287] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 51^1 მუხლი, პუნქტი 2.

[288] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული რეგლამენტის 27^2 -ე მუხლი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/39IQY31 > [ბოლოს ნანახია 09.03.2020].

[289] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, განცხადება ხელმისაწვდომია < https://bit.ly/2UrVP3x > [ბოლოს ნანახია 10.03.2020].

[290] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 51^1, პუნქტი 2^1.

უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომის დახურვა

სასამართლო სისტემაში გამჭვირვალობის ნაკლებობა სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს. მათ შორის, საგულისხმოა უზენაესი სასამართლოს ახლადარჩეული მოსამართლეების მონაწილეობით სასამართლოს პლენუმის პირველი სხდომა, რომელიც 2019 წლის 16 დეკემბერს შედგა. პლენუმს საკასაციო სასამართლოს პალატებში ახლადარჩეული მოსამართლეების გამწესების, ასევე მათზე საქმეთა ელექტრონული განაწილების შესახებ უნდა ემსჯელა. პლენუმის სხდომაზე ასევე განიხილებოდა საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების თავმჯდომარეების არჩევის საკითხი. განსახილველი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ესწრებოდა პლენუმის სხდომას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ყურადღებას ამახვილებს პლენუმის სხდომების საჯაროობაზე - „უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომა, როგორც წესი, საჯაროა",[291] მოსამართლეების უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ის მაინც დაიხურა და არც სახალხო დამცველის წარმომადგენელს მისცემია მასზე დასწრების შესაძლებლობა.[292] სხდომას პლენუმის წევრებიდან მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ესწრებოდნენ.

სათანადო სამართლებრივი არგუმენტები სხდომის დახურვის თაობაზე, არც ადგილზე გაჟღერებულა და არც სხდომის ოქმშია მითითებული.[293] სხდომის დახურვის გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უმრავლესობამ[294] მხოლოდ იმ გარემოებას დააფუძნა, რომ კანონში მითითებულია „როგორც წესი" სხდომების საჯაროობის შესახებ, რაც არ გამორიცხავს მის დახურვას. სხდომის ოქმის მიხედვით, *„შალვა თადუმაძემ ითხოვა პლენუმის სხდომაზე სახალხო დამცველის წარმომადგენლის დასწრების თაობაზე საკითხის კენჭისყრაზე დაყენება და განმარტა, რომ რადგან პლენუმმა უნდა განიხილოს ორგანიზაციული საკითხები, მიზანშეწონილი იქნება სხდომის დახურვა, განსახილველი საკითხები არ წარმოადგენს სახალხო დამცველის ინტერესის საგანს"*.

ამ ტიპის გადაწყვეტილება კიდევ უფრო აძლიერებს სასამართლოს მიმართ უნდობლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო და მისი მოსამართლეები თავად უნდა იყვნენ მოწოდებული გამჭირვალობის მაღალი სტანდარტის დაცვისკენ.

---

[291] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18 პუნქტი 7.

[292] გარეშე პირებიდან პლენუმის სხდომას მხოლოდ სახალხო დამცველის წარმომადგენელი ესწრებოდა.

[293] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 23 დეკემბრის №6ს/165-19 წერილი.

[294] მოსამართლეები, რომლებმაც სხდომის დახურვას დაუჭირეს მხარი: მზია თოდუა, ვასილ როინიშვილი, მერაბ გაბინაშვილი, მირანდა ერემაძე, მამუკა ვასაძე, თამარ ზამბახიძე, შალვა თადუმაძე, ვლადიმერ კაკაბაძე, ლევან მიქაბერიძე, გიორგი მიქაუტაძე, გიორგი შავლიაშვილი, ქეთევან ცინცაძე, ალექსანდრე წულაძე.

5.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა მინიმალური რაოდენობა 16-დან 28-მდე გაიზარდა.[295] 2019 წლის მაისში საკასაციო ინსტანციაში 20 მოსამართლის ვაკანტური თანამდებობა გაჩნდა. კონსტიტუციის ახალი ვერსიის ამოქმედებიდან ერთ კვირაში, ისე, რომ არ ყოფილა გაწერილი მოსამართლეთა ნომინირების წესები და კრიტერიუმები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა 10 კანდიდატის სია წარუდგინა.[296] ამან საზოგადოების სამართლიანი პროტესტი გამოიწვია, რის შედეგადაც საქართველოს პარლამენტმა დაიწყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის გაწერაზე მუშაობა. სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში.

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, კანონპროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები წარმოადგინა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (შემდგომში, ასევე, როგორც - ეუთო/ოდირი).[297] დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილე ექსპერტებმა დეტალურად მიმოიხილეს კანონპროექტში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები და დასკვნაში შესაბამისი რეკომენდაციები ასახეს. პარალელურად, მოსაზრებები წარმოადგინა ვენეციის კომისიამაც.[298]

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მომზადებულ დოკუმენტებში ყურადღება გამახვილებული იყო ისეთ არსებით საკითხებზე, როგორებიცაა: ინტერესთა კონფლიქტის მკაფიო და ადეკვატური რეგულირების,[299] ასევე, მოსამართლეობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო გამოცდისგან განთავისუფლების საკითხები.[300] დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფარული კენჭისყრისგან მომდინარე საფრთხეებზე[301] და შეფასებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების არასაკმარისობაზე.[302] კრიტიკის საგანი გახდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, გადაწყვეტილების

---

[295] საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებები.

[296] დეტალურად იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 92-97.

[297] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის ანგარიში", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2wPbCAf> [ბოლოს ნანახია 11.03.2020].

[298] ვენეციის კომისიის დასკვნა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< https://bit.ly/2wPtOcC > [ბოლოს ნანახია 11.03.2020].

[299] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, დასკვნა ცვლილებების პროექტზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, გვ. 5, §12;

[300] იქვე. გვ. 6, §15.

[301] იქვე;

[302] იქვე. გვ. 28, §57.

დაუსაბუთებლად მიღების შესაძლებლობა.[303] წარმოდგენილია მოსაზრებები მოსამართლეთა არჩევის პროცესში სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც.[304]

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტში მომზადებული კანონპროექტი ვერ პასუხობდა არსებულ გამოწვევებს, სახალხო დამცველმა სპეციალური განცხადება გაავრცელა პროექტში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით,[305] აგრეთვე, ისტორიაში პირველად გამოიყენა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული შესაძლებლობა და კანონპროექტთან დაკავშირებით, პლენარულ სხდომაზე მისი მოსმენა მოითხოვა.[306]

საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტმა, 2019 წლის 1 მაისს მიიღო „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა დასკვნაში ასახული რამდენიმე რეკომენდაცია, საკანონმდებლო აქტში არსებითი საკითხები არ აუსახავს.[307]

სახალხო დამცველმა კანონპროექტის განხილვისას და შემდგომ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცესში, 13 საჯარო განცხადებაა გაავრცელა, მოამზადა სპეციალური ანგარიში, სადაც შეფასდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა შერჩევის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები. სახალხო დამცველის წარმომადგენელი, აგრეთვე მონაწილეობდა საბჭოსა და პარლამენტში მიმდინარე განხილვებში.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა კონკურსი

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესზე დაკვირვებამ მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა. ისინი, ერთი მხრივ, საბჭოს წევრების მიერ კანონთან შეუსაბამო გადაწყვეტილების

---

[303] იქვე. გვ. 29, §61.

[304] დასკვნის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს მიეცა შემდეგი რეკომენდაციებიც: 1) გაუმჯობესდეს პროცესის ღიაობის და გამჭირვალობის სტანდარტი; 2) კანდიდატები უზრუნველყოფილი იყვნენ საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობით; 3) დაკონკრეტდეს კანდიდატების შესახებ შეგროვილი ინფორმაციის განადგურების ზუსტი დრო; 4) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უკეთ გაიწეროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების პროცედურა და კრიტერიუმები; 5) დისკრიმინაციისგან დაცვისა და გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად შექმნას სათანადო გარანტიები.

[305] სახალხო დამცველის 2019 წლის 20 მარტის საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2mDG4bx > [ბოლოს ნანახია: 09.03.2020].

[306] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 154-ე მუხლი.

[307] საქართველოს პარლამენტს არ გაუზიარებია შემდეგი რეკომენდაციები: 1) შეფასებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების უზრუნველყოფა; 2) საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, კრიტერიუმების შესაბამისად, დასაბუთების ვალდებულება; 3) დისკრიმინაციისგან დაცვისა და გენდერული ბალანსის უზრუნველყოფა; 4) კანდიდატის შესაძლებლობა, სასამართლო ორგანოში გაასაჩივროს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; 5) ფარული კენჭისყრა;

მიღებით, ხოლო მეორე მხრივ, კანონმდებლობაში არსებული პრობლემური ჩანაწერებით იყო გამოწვეული.

მოსამართლეთა შერჩევის პროცესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამ ეტაპად მიმდინარეობდა. თავდაპირველად, საბჭოს წევრებმა 137 კანდიდატიდან 50 კონკურსანტი გამოავლინეს, რომლებიც შემდეგ ეტაპზე ფარული კენჭისყრით გადავიდნენ. შედეგებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ 13-დან 10 ბიულეტენი გამოირჩეოდა დამთხვევების ძალიან მაღალი, არაბუნებრივი ხარისხით. დამთხვევის მაჩვენებელმა კითხვები გააჩინა საბჭოს წევრებს შორის არსებულ შესაძლო შეთანხმებაზე, კონკრეტული კანდიდატებისთვის ხმის მიცემის პროცესში.[308] ამ პროცესს ხელს უწყობდა საკანონმდებლო ჩანაწერიც, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები არ არიან ვალდებულნი, დაასაბუთონ თავიანთი შეფასებები, ასევე არ ყოფილა განსაზღვრული კანდიდატთა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის შეფასების კონკრეტული მექანიზმი.

ამის შემდეგ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, 2019 წლის 17 ივლისს დაიწყო და 15 აგვისტომდე გაგრძელდა მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება. აღსანიშნავია, რომ გასაუბრების პროცესის დიდი ნაწილი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. საბჭოს მოსამართლე წევრები, ხშირად, არაკორექტულები იყვნენ არამოსამართლე წევრების - ანა დოლიძისა და ნაზი ჯანეზაშვილის მიმართ.

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრი,[309] კანდიდატთა ე.წ. გრძელი სიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე შემცირების მიზნით შეიკრიბა. კენჭისყრის შედეგების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საბჭოს 10-მა წევრმა ჯამური 200 ხმიდან[310] 164, 20 კანდიდატის მხარდასაჭერად გამოიყენა, რითაც გარანტირებული გახადა მათი მომდევნო ეტაპზე გადასვლა, ხოლო დარჩენილი 36 ხმა იმგვარად გადაანაწილა, რომ არსებითი გავლენა პროცესზე ვეღარ მოეხდინა. იმის გათვალისწინებით, რომ შეფასების მოქმედი სისტემის ფარგლებში მინიჭებული ქულა არ საბუთდება, რთულია კონკრეტული დასკვნების გაკეთება, თუმცა კითხვებს აჩენს საბჭოს 10 წევრის გადაწყვეტილება, რომლებმაც მათ მიერ მაღალი ქულით შეფასებულ რამდენიმე კანდიდატს აღარ მისცეს შესაძლებლობა, ყოფილიყვნენ საბოლოოდ ნომინირებულნი უზენაესი მოსამართლის კანდიდატად საქართველოს პარლამენტში.

იმის მიუხედავად, რომ კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონის

[308] იქვე. გვ. 29.

[309] სხდომას არ დასწრებია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ანა დოლიძე.

[310] თითოეულ კანდიდატს ჰქონდა 20 ხმა.

აუცილებლობას,[311] საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი სიის 3 კანდიდატის[312] საგანმანათლებლო ხარისხი არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნას. ცალკე აღნიშვნას საჭიროებს შერჩევის პროცესში გამოვლენილი ინტერესთა კონფლიქტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, ირაკლი შენგელიამ თავი არ აიცილა, მაშინ როდესაც ერთ-ერთი კანდიდატი მისი ცოლისძმა იყო. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეობის კანდიდატმა, გიორგი მიქაუტაძემ, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, არსებული ინტერესთა კონფლიქტის გამო აიცილა თავი, იგი როგორც აპარატის ხელმძღვანელი, ჩვეულებრივ განაგრძობდა საქმიანობას.

არასაკმარისი პროცედურული გარანტიებისა და საბჭოს წევრების დამოკიდებულების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმართულმა პროცესმა, სამწუხაროდ, საბოლოოდ ვერ შეძლო ობიექტური დამკვირვებლის დარწმუნება იმაში, რომ პარლამენტში წარდგენილი კანდიდატები ყველაზე კომპეტენტურები და კეთილსინდისიერები იყვნენ.

ზემოაღნიშნული გარემოებების გარდა, საბჭოში განვითარებულ პროცესს, ცალკეული წევრების მხრიდან მუდმივად თან სდევდა საქართველოს სახალხო დამცველის კრიტიკა და მისი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტის, დისკრედიტაციის მცდელობა.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მოამზადა სპეციალური ანგარიში, რომელიც საქართველოს პარლამენტს მიეწოდა, რათა გამოსწორებულიყო ის ხარვეზები, რომლებიც საბჭოს დონეზე წარმოჩინდა. პარალელურად, პარლამენტს წარედგინა რეკომენდაცია, შემუშავებულიყო ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გამორიცხავდნენ თვითნებობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილებების მიღებისას, უზრუნველყოფდნენ ინტერესთა კონფლიქტის აცილების მაღალ სტანდარტს, გამჭვირვალობას და პროცესის სრულ საჯაროობას, მათ შორის, საბჭოში ღია კენჭისყრისა და გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების შემოღებით და ასევე, შექმნიდნენ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას.[313]

პარალელურად, საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის სხვადასხვა ნორმა, რომლებიც არაკონსტიტუციურად უზღუდავენ პირებს საჯარო

---

[311] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34, პუნქტი 1.

[312] შალვა თადუმაძის, ზაზა თავაძის და მირანდა ერემაძის საგანმანათლებლო ხარისხი არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნას.

[313] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2UP6O5Y> [ბოლოს ნანახია: 09.09.2020].

თანამდებობის დაკავების უფლებას, საბჭოს მიერ დაუსაბუთებელი და ფარული გადაწყვეტილების მიღების გამო.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევა პარლამენტში

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცესი პარლამენტში 6 სექტემბრიდან 12 დეკემბრამდე პერიოდში მიმდინარეობდა. მისი ძირითადი ნაწილი იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა წარმართა. კომიტეტმა თავდაპირველად, 11 სექტემბრის სხდომაზე სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომლის მუშაობის ხანგრძლივობაც მხოლოდ 10 დღით შემოიფარგლა და 20 სექტემბერს დასრულდა. სამუშაო ჯგუფს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კანონის მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობა უნდა შეემოწმებინა. აღნიშნული ვადა თავიდანვე გამორიცხავდა ჯგუფის ჯეროვან საქმიანობას. მისი მუშაობის მანძილზე კანდიდატებისა და უწყებებისაგან ინფორმაციის მხოლოდ ნაწილის გამოთხოვა მოესწრო, თუმცა ჯგუფს სრულად არ უმსჯელია მიღებულ ინფორმაციაზე, რადგან სრულყოფილი დოკუმენტაცია მისი მუშაობის დასრულების შემდეგ იქნა მიღებული, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, გამოთხოვილიც კი.[314] ამის მიუხედავად, „კომიტეტის სამუშაო ჯგუფის წევრთა აზრით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები შეესაბამებოდნენ საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს".[315] დოკუმენტაციის სრულყოფილად შესწავლამდე, სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მსგავსი შეფასების განვითარება ობიექტურობას მოკლებულია და არასარწმუნოა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, 23 სექტემბრიდან 8 ნოემბრამდე პერიოდში, ოცივე კანდიდატს მოუსმინა. თითო კანდიდატის მოსმენას დაახლოებით 1 დღე ეთმობოდა. მოსმენა პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. პარლამენტის წევრების გარდა, კანდიდატებისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობა სახალხო დამცველის, იურიდიული დახმარების სამსახურის, ადვოკატთა ასოციაციისა და „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" წარმომადგენლებს ჰქონდათ. მნიშვნელოვანი იყო გამჭვირვალობის ის მაღალი ხარისხი, რაც კომიტეტმა უზრუნველყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენისას. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, მხოლოდ ეს არ აღმოჩდა საკმარისი პარლამენტის მიერ დამაჯერებელი და ადეკვატური გადაწყვეტილებების მისაღებად.

---

[314] ცალკეული ინფორმაციის გამოთხოვის გადაწყვეტილება იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2019 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე მიიღო. ამ დროისათვის ჯგუფს მუშაობა 3 დღის დასრულებული ჰქონდა.

[315] ამონარიდი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 12 დეკემბრის №2-22113/19 დასკვნიდან „2019 წლის 6 სექტემბერს საქართველოს პარლამენტისათვის ასარჩევად წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ", გვ. 4. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3cRmu11 > [ბოლოს ნანახია: 06.03.20 წ.].

2019 წლის 12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კენჭი უყარა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 19 კანდიდატს[316] და ჯამში 14 მათგანის არჩევის რეკომენდაცია გასცა. აღნიშნული პროცედურა პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ წარიმართა. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ცხადად მიუთითებს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენის შემდეგ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მათი კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნა უნდა შეიმუშაოს.[317] 12 დეკემბრის კომიტეტის სხდომაზე კი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს ისე ეყარათ კენჭი, რომ არც გამოცხადებულა, კომიტეტს კონსტიტუციით დადგენილ რომელ მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა დაედგინა და რის თაობაზე უნდა ემსჯელა. იმ პირობებში, როდესაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები მიიღო და ისე წარუდგინა საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები, პარლამენტში რეგლამენტის მინიმალური მოთხოვნების დაუცველად პროცესის წარმართვამ აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა.

საქართველოს პარლამენტმა ყურადღების მიღმა დატოვა სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მითითებული ჩავარდნები, რასაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დონეზე ჰქონდა ადგილი. მათ შორისაა ის გარემოება, რომ საბჭოს მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი 20 კანდიდატიდან 5-ს არ ჰქონდა საუკეთესო შეფასება. საბჭომ პარლამენტს წარუდგინა 15 საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატი და კიდევ 5 კანდიდატი, რომელთაც სხვა კანდიდატებზე დაბალი შეფასება ჰქონდათ. საბჭოს მხრიდან დასაბუთების არარსებობისა და შემფასებელთა ანონიმურობის პირობებში, რასაკვირველია, არსებობს ეჭვები ქულების თვითნებურად მინიჭებასთან დაკავშირებით და რთულია იმის თქმა, რომ ყველაზე მაღალი ქულების/შეფასების მქონე კანდიდატები სხვა კანდიდატებზე უკეთესები არიან კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით, თუმცა ისიც აშკარაა, რომ პარლამენტის ფარგლებში ამას საერთოდ არ მისცემია რაიმე შეფასება და მის მიერ საბოლოოდ არჩეულ 14 მოსამართლეს შორის 3-ს არ ჰქონია საუკეთესო შეფასება.

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის ფოკუსში ასევე მოხვდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კანონმდებლობის მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის პრობლემა.[318] ერთ-ერთმა კანდიდატმა თავისი კანდიდატურა

---

[316] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი 20 კანდიდატიდან, 1-მა საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრამდე მოხსნა.

[317] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-2, 3^1 და მე-4 პუნქტები.

[318] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი მოსამართლედ პირის განწესების ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ უმაღლესი იურიდიული განათლების არანაკლებ მაგისტრის ხარისხით ფლობას მიიჩნევს. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით კი, მაგისტრის დიპლომთან გათანაბრებულია 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე არანაკლებ 5-წლიანი საგანმანათლებლო

ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ მოხსნა. ასევე, შეკითხვები წამოიჭრა შალვა თადუმაძის მიერ უმაღლესი იურიდიული განათლების მაგისტრის ხარისხით ფლობასთან დაკავშირებითაც[319], რასაც კანდიდატი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოსმენისას გამოეხმაურა. მიღებული პასუხები სახალხო დამცველმა შესაბამის უწყებებთან გადაამოწმა, დამატებით გამოკვეთილი გარემოებების შესახებ კი იურიდიულ საკითხთა კომიტეტს 2019 წლის 6 ნოემბერს წერილით აცნობა, თუმცა კომიტეტს, არც სპეციალურ ანგარიშში და არც წერილში, მოყვანილ გარემოებებზე არ უმსჯელია. დამატებით მოპოვებული მასალების მიხედვით, შალვა თადუმაძის მტკიცების მიუხედავად, რომ მან ინსტიტუტში სწავლის განმავლობაში 5 კურსი დაფარა, არქივში იძებნება დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ შესაბამის სასწავლო წლებში სამართალმცოდნეობის პროგრამა ამ სასწავლებელში მხოლოდ 4 კურსს მოიცავდა.[320] შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში საერთოდ არ აღმოჩდა ის სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა არსებობაზეც შალვა თადუმაძე საკუთარ არგუმენტებს ამყარებდა.[321] სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციით[322] ასევე ირკვევა, რომ უწყებას დადასტურებული აქვს ამავე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული 3 დიპლომის ნამდვილობა, სადაც უნივერსიტეტში ჩარიცხვის და დასრულების წლად იგივე წლებია მითითებული.

პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი. უფრო ნაკლები ხანგრძლივობის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი გათანაბრებულია ბაკალავრის დიპლომთან.

[319] შეკითხვებს აჩენდა შემდეგი გარემოებები: 1. დიპლომში მითითებულია, რომ ის ნ. დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში ჩაირიცხა 1993 წელს, მაშინ როდესაც დაწესებულებამ ლიცენზია 1994 წლის 25 აგვისტოს მიიღო. 2. 1993 წელს შალვა თადუმაძე მხოლოდ 15 წლის იყო. 3. დიპლომში საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდებად მითითებულია „ნ. დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი" მაშინ, როდესაც ეს სახელწოდება მას ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 2003 წლის 5 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე ეწოდა, ხოლო დიპლომი გაცემულია 1998 წელს. 4. საარქივო მასალებში დაცულია თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის მხოლოდ 1997-1998 სასწავლო წლის სასწავლო სამუშაო გეგმა, რომელიც 4 (ოთხ) კურსს მოიცავს.

[320] სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 16 ოქტომბრის №MES 9 19 01399251 წერილი.

[321] სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 16 ოქტომბრის №MES 9 19 01399251 წერილში მითითებულია: „[განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ] ცენტრში არ მოიპოვება ინფორმაცია იმ სამართლებრივი აქტის თაობაზე, რომელიც განსაზღვრავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომის ფორმას ან/და მისი შედგენის/შევსების/გაცემის წესს 1998 წლის ივნისის მდგომარეობით". აღნიშნული სამართლებრივი აქტი ასევე არ იძებნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, თუმცა კანდიდატი სწორედ მასზე აპელირებდა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ასევე არ აღმოჩნდა რაიმე სამართლებრივი აქტი ექსტერნატის ფორმით უმაღლესი იურიდიული განათლების მიღებაზე, იმ დროს მოქმედ კანონში კი, მითითებული არ არის, რომ აღნიშნული გულისხმობს 2 კურსის ერთდროულად გავლის შესაძლებლობას, რაზეც შალვა თადუმაძემ ასევე მიუთითა საკომიტეტო მოსმენაზე.

[322] სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 28 ოქტომბრის №MES 1 19 01468355 წერილი.

აღსანიშნავია, რომ სამივე ამ შემთხვევაში დიპლომის მფლობელები თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში გადმოსულები იყვნენ სხვა დაწესებულებებიდან, რომლებზეც ლიცენზია 1991 წელს გაიცა და მათზე გაცემული დიპლომი 5-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის გამო მიჩნეულ იქნა მაგისტრთან გათანაბრებულად. აშკარაა, რომ ამ 3 საქმეში არსებული გარემოებები განსხვავდება შალვა თადუმაძის საქმეში არსებული გარემოებებისგან. შალვა თადუმაძეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის დიპლომის ნამდვილობის დადასტურების თაობაზე არ მიუმართავს.

სახალხო დამცველისათვის ზემოაღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან - სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასთან. აღსანიშნავია, რომ ეუთო/ოდირმა მის მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის ანგარიშში[323] მიანიშნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაზე, ვინაიდან სწორედ აღნიშნული ნორმა ადგენს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მინიმალურ გარანტიებს. 2019 წლის 12 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო მჭიდროდ არის დაკავშირებული მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სხვა მოთხოვნებთან, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას უკავშირდება და ასევე, დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპის განუყოფელი ნაწილია.[324] აღნიშნული საკითხი უკავშირდება ნდობას, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოებმა უნდა შთააგონონ საზოგადოებას.[325] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით კი, „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე გულისხმობს პირის უფლებას, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად დაკომპლექტებულ სასამართლოს".[326]

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესის სერიოზული დარღვევებით წარმართვის მიუხედავად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანდიდატების აბსოლუტურ უმრავლესობაზე, დაახლოებით ¾-ზე გასცა მათი

---

[323] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის ანგარიში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, გვ. 11, 28.

[324] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, „გუდმუნდურ ანდრი ასტრადსონი ისლანდიის წინააღმდეგ", განაცხადი №26374/18, პარა. 99.

[325] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ", განაცხადი №29369/10, პარ. 78.

[326] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი №3/24/1459, საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", პარ. 32.

არჩევის რეკომენდაცია, რითაც მხარი დაუჭირა საბჭოში გამართულ ხარვეზიან პროცესსა და საბჭოს მიერ მიღებულ პრობლემურ გადაწყვეტილებებს. კომიტეტის მიერ მხარდაჭერილმა უკლებლივ ყველა კანდიდატმა რამდენიმე წუთში მხარდაჭერა მიიღო პლენარულ სხდომაზეც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატების ნაწილი კომპეტენციის მინიმალურ ზღვარსაც კი ვერ აკმაყოფილებს (მათ მიერ საჯაროდ გაცემული შეკითხვების პასუხებიდან გამომდინარე). შესაბამისად, პარლამენტის გადაწყვეტილებამ სასამართლო სისტემის მიმართ ისედაც დაბალი ნდობა კიდევ უფრო შეამცირა და მართლმსაჯულების სისტემას სერიოზული ზიანი მიაყენა.

ეუთო/ოდირის შეფასებით, „მოსამართლეთა დასანიშნად პლენარული კენჭისყრის გაგრძელების გადაწყვეტილება, პოლიტიკური კრიზისის, ოპოზიციის ბოიკოტის, პროცესის გადადების მოწოდების და კომიტეტსა და პლენარულ სხდომაზე არსებული მნიშვნელოვანი შეფერხებების ფონზე, ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების მიზნის გულწრფელობას - პროცესი ყოფილიყო ღია და გამჭვირვალე, რომელიც უზრუნველყოფდა ფართო პოლიტიკურ მხარდაჭერას და აამაღლებდა საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ".[327]

5.4. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება

სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა არსებითი განხილვა ხშირად ჭიანურდება და კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილ ვადებს არაგონივრულად სცდება.[328] ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგანგაშო იყო სააპელაციო სასამართლოებში, ასევე, პატიმრების გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ საქმეებში. სახალხო დამცველმა ასევე მიუთითა, რომ არაგონივრულად, მათ შორის 5 თვის დაგვიანებით, ჭიანურდებოდა მხარისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება.[329]

მიმდინარე წელს ეს ტენდენცია არ შეცვლილა. მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, არასაპატიმრო საქმეების დასრულება კანონით განსაზღვრულ ვადაში მხოლოდ გორის რაიონულმა სასამართლომ შეძლო.[330] განსაკუთრებით გამოსარჩევია ბათუმის საქალაქო სასამართლო, რომელმაც 6 შემთხვევაში მსჯავრდებულს გამამტყუნებელი

[327] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში", ივნისი-დეკემბერი 2019, გვ. 3. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/39AqFeM> [ბოლოს ნანახია: 06.03.20 წ.]

[328] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 98.

[329] იქვე, გვ. 98-99.

[330] გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 3 იანვრის №6 წერილი.

განაჩენი სამიდან ხუთ თვემდე ვადის დაგვიანებით გადასცა.[331] აღნიშნულ პირთა შორის იყო მსჯავრდებული ზ. ბ., რომლის საქმე სახალხო დამცველის აპარატმა ინდივიდუალურად შეისწავლა და ვადის 6 თვით დაგვიანება გამოავლინა. საგულისხმოა ისიც, რომ სასამართლოების ნაწილმა[332] აპარატს აღნიშნული მონაცემის წარდგენაზე უარი მონაცემების დაუმუშავებლობის გამო განუცხადა.

გაჭიანურებული საქმის განხილვის შემთხვევაა 2017 წლის 13 მაისს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმჟამინდელი უფროსის, ლაშა თორდიას მიმართ ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის მხრიდან განხორციელებული შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების, ფიზიკური შეურაცხყოფის, ამ დრომდე შეუფასებლობა. ლაშა თორდიას მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ბრალი წაეყენათ ოთარ ფარცხალაძესა და მ. ჩ.-ს. მოცემულ საქმეზე ამ დრომდე ასევე არ დამდგარა სასამართლო განაჩენი, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმე არსებითი განხილვისთვის 2019 წლის 30 იანვარს შევიდა.[333] აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე გამოძიება სახალხო დამცველმა 2017 წლის ანგარიშშიც შეაფასა და გამოძიების არაეფექტიანობაზე მიუთითა.[334]

დამატებით, აღსანიშნავია, რომ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის კუთხით, პრობლემები გამოიკვეთა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებშიც. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილული 1949 საქმიდან 481 საქმის განხილვა გაჭიანურდა,[335] ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განხილული 952 საჩივრიდან - 152 საჩივრის.[336] საქართველოს უზენაესი სასამართლოს[337] სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2019 წელს განხილული 502 საჩივრიდან კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით დასრულდა 26 საქმის განხილვა.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კანონით განსაზღვრულ ვადაში განხილვის საკითხი სააპელაციო სასამართლოებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი საპროცესო ვადების დარღვევით მიმდინარეობს. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმის

[331] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის №1046გ/კ წერილი.

[332] თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 27 დეკემბრის №698 წერილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 1 იანვრის №34167 წერილი,

[333] 2019 წლის 26 დეკემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/295-19 წერილი.

[334] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 65.

[335] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 31 დეკემბრის №1/10934 წერილი.

[336] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 იანვრის №40-2/10 წერილი.

[337] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის №3-1451-19 წერილი.

განხილვისთვის საქართველოს სააპელაციო სასამართლოებს კანონით განსაზღვრული 2-თვიანი ვადა აქვთ, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება 5 თვემდე გახანგრძლივდეს.[338]

იმის გათვალისწინებით, რომ სახალხო დამცველის აპარატს 2019 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის თებერვლამდე არსებული მონაცემები მიეწოდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების ხანგრძლივობის შესახებ, ანგარიშში მხოლოდ 2019 წლის პირველი ცხრა თვის მონაცემები შეფასდება, რადგან უკვე ოქტომბერში დარეგისტრირებულ სააპელაციო საჩივარზე განხილვის ვადა ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად,[339] 2019 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დარეგისტრირებული 1847 საჩივრიდან 2 თვის ვადაში დასრულდა მხოლოდ 374 (20%) საქმის განხილვა, ხოლო 5 თვის ვადაში - 541 (29%) საქმისა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში 2019 წელს რეგისტრირებული საჩივრების დაახლოებით 51% -ის განხილვა არ დასრულებულა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში, 2019 წელს სულ დარეგისტრირდა 1480 საჩივარი, მათგან 2 თვის ვადაში წარმოება დასრულდა 315 (21%) საჩივარზე, ხოლო 5 თვის ვადაში სასამართლომ 416 (28%) სააპელაციო საჩივარი განიხილა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში 2019 წელს რეგისტრირებული საჩივრების დაახლოებით 51%-ის განხილვა არ დასრულებულა.

საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობების შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პალატებს, საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიღების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, 3-თვიანი ვადა[340] აქვთ, 6 თვიანი ვადა კი, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.[341]

საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, საანგარიშო პერიოდში 1429 საჩივარი დარეგისტრირდა.[342] დაუშვებლად ცნობილი 430 საქმიდან, 3-თვიანი ვადის დარღვევით სასამართლომ 192 საჩივარი (44.6%) განიხილა, ხოლო დასაშვებად ცნობილი 999

[338] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 59, ნაწილი 3.

[339] თბილისის სააპელაციო სასამართლო 2020 წლის 19 თებერვლის №3/906 წერილი.

[340] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 401, ნაწილი 3; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 41, ნაწილი 3^1.

[341] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 391, ნაწილი 6, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მუხლი 34, ნაწილი 4.

[342] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №3-67-20 წერილი.

საქმიდან, 6-თვიან ვადაში სასამართლომ საქმის წარმოება მხოლოდ 14 (1.4 %) შემთხვევაში დაასრულა.

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, 2019 წელს 1218 საჩივარი შევიდა, საიდანაც დაუშვებლად ცნობილი 283 საქმიდან, 3-თვიანი საკანონმდებლო მოთხოვნის დარღვევით 164 (58%) საჩივარი იქნა დაუშვებლად ცნობილი. დასაშვებად ცნობილი 935 საქმიდან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 6-თვიან ვადაში მხოლოდ 2 საქმე განიხილა.

უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველი დააკვირდება საკასაციო ინსტანციაში საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხს.

5.5. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველმა, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისთვის, სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ფაქტობრივი შეზღუდვის შემთხვევები გამოავლინა.

სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა,[343] დაკავშირებულია ბაჟის გადახდის ვალდებულებასთან. სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლოში გაასაჩივროს დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად მათზე დაკისრებული სანქცია ან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის სასამართლო წესით შემოწმება მოითხოვოს.

სახალხო დამცველის აპარატი შეეცადა მოეპოვებინა დეტალური ინფორმაცია ბაჟის გადაუხდელობის გამო წარმოებაში მიუღებელი საქმეების შესახებ, თუმცა სასამართლო სისტემაში, ამგვარი ტიპის სტატისტიკური ინფორმაცია არ უწარმოებიათ.[344]

აპარატის მიერ შესწავლილი 56 საქმიდან, სასამართლომ, მხოლოდ ბაჟის გადაუხდელობის გამო არ იმსჯელა პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების 16 საქმეზე.[345] მსგავს წინააღმდეგობას აწყდებიან მსჯავრდებულები, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დაკისრებული სანქციის გასაჩივრების პროცესშიც.[346]

---

[343] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 9.

[344] Inter alia, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 31 ივლისის №20918 წერილი.

[345] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში", 2019 წელი, გვ. 20.

[346] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში", 2019 წელი, გვ. 23.

შესაბამისი ფინანსური სახსრების უქონელი მსჯავრდებულებისთვის, სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ამგვარი შეზღუდვა შესაძლებელია შემდგომში მნიშვნელოვანი უფლებადარღვევის წინაპირობა გახდეს, სამართლიანი სასამართლოს უფლების ინსტრუმენტული ბუნებიდან გამომდინარე. ამდენად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები, ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

5.6. კანონიერების პრინციპი

საანგარიშო პერიოდში დაიწყო რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომლებსაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ კანონიერების პრინციპზე. სწორედ ამის გამო, საქართველოს სახალხო დამცველმა რამდენიმე საქმეში სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა საერთო სასამართლოებს.[347]

2019 წელს ნიკა გვარამიას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" – „დ" ქვეპუნქტებით, აგრეთვე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების გამო. ბრალდების მიხედვით, იმ პერიოდში, როდესაც ერთ-ერთ სამაუწყებლო კომპანიას ხელმძღვანელობდა, კომპანიაში არსებული სახელშეკრულებო ანგარიშსწორების პრაქტიკა შეცვალა და ერთ-ერთ ქვეკონტრაქტორს ყოველი თვის დასაწყისში უთანხმდებოდა ანაზღაურების კონკრეტულ ოდენობაზე. ბრალდების პოზიციით, ამ ცვლილებით, კალენდარულ წელიწადში კომპანიის მიერ მიღებული მოგება შემცირდა, განსხვავებული ტიპის ხელშეკრულების დადების მიზანი კი, საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება და მისი რესურსების გაფლანგვა იყო.

ქართული და საერთაშორისო სამართლებრივი წყაროების ანალიზის შედეგად, წარდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველი ადგენს, რომ საწარმოს დირექტორის მიერ მიღებული, თუნდაც საზიანო გადაწყვეტილება, არათუ სისხლის სამართლის, არამედ, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ექვემდებარება სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

2019 წლის 24 ივლისს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი წარუდგინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის - ფულის გათეთრების[348] შესაძლო საქმესთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველმა, თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2020 წლის 9 იანვარს წარდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში[349] გააანალიზა ფულის გათეთრების შესახებ მოქმედი

---

[347] სასამართლო მეგობრის მოსაზრებები ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2TCFzwc>, < https://bit.ly/3cGMfkt > [ბოლოს ნანახია 10.03.2020].

[348] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტები.

[349] 2020 წლის 9 იანვრის საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< https://bit.ly/3awGDrn >[ბოლოს ნანახია [19.03.2020].

საერთაშორისო და ადგილობრივი წყაროები და სასამართლო პრაქტიკა და კონკრეტული საქმის დეტალები წარმოდგენილი სტანდარტებით შეაფასა. სახალხო დამცველის შეფასებით, საქმის მასალების მიხედვით, ამ საქმეში ფულის გათეთრების სქემის არსებითი შემადგენელი ნაწილების არსებობა არ დგინდება.

ზემოაღნიშნული საქმეები მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი იყო, იმდენად, რამდენადაც ბრალდებული პირები, ერთ შემთხვევაში, ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიაკომპანიის მესაკუთრე და მენეჯერია, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბრალდებულები უშუალოდ, პოლიტიკური აქტორები არიან, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პროცესები ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობდეს. იმის გათვალისწინებით, რომ განხილული საქმეები ჯერ კიდევ არსებითი განხილვის ეტაპზეა, სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სასამართლო გაიზიარებს წარდგენილ amicus curiae მოსაზრებებს.

5.7. სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა

საქართველოს სახალხო დამცველი არაერთი წელია მიუთითებს სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის პრინციპის მნიშვნელობაზე და მის გავლენაზე, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების პროცესში.

აღნიშნულ პრობლემას, გასული წლების მსგავსად[350], არც საანგარიშო პერიოდში დაუკარგავს აქტუალობა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი, აგრეთვე, სასამართლოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 110 საქმეში მოსამართლის ცვლილების შემდეგ, 36 საქმის განხილვა თავიდან არ დაწყებულა.[351]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოსამართლის მიერ, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში, სამართლიანი სასამართლოს უფლების კონვენციურ სტანდარტს ეწინააღმდეგება.[352]

არსებულ პრობლემას განსაკუთრებით ამწვავებს ის გარემოება, რომ საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნული საკითხის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს არ აწარმოებს,[353] ეს კი ართულებს საკითხის სრული მასშტაბის აღქმას.

---

[350] საქართველოს სახალხო დამცველის 2017-2018 წლების საპარლამენტო ანგარიშები.

[351] ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის №973 წერილი; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 6 იანვრის №08-გ/კ წერილი.

[352] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, „ცეროვსეკ და ბოზიჩნიკ სლოვენიის წინააღმდეგ" (Cerovšek and Božičnik v. Slovenia), პარ. 38–47.

[353] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის №33912, თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 27 დეკემბრის №697 და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 3 იანვრის №16-1 წერილები.

5.8. დანაშაულის პროვოკაცია

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელი უფლებამოსილია კონსპირაციულად განახორციელოს შემდეგი საქმიანობა: საკონტროლო შესყიდვა, კონტროლირებადი მიწოდება, დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა, კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა და დახურულ ინტერნეტ ურთიერთობებში მონაწილეობა.[354] ორგანიზებულ და კორუფციულ დანაშაულებებთან ბრძოლის პროცესში მსგავსი ტიპის საქმიანობა აპრობირებული და დასაშვებია რამდენიმე საერთაშორისო აქტითაც, თუმცა ცალსახად აღსანიშნავია ამ საქმიანობიდან დანაშაულის პროვოკაციის გამორიცხვის აუცილებლობა. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით, სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულის პროვოკაციად მიიჩნევა.[355]

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული რისკის მიუხედავად, კანონმდებლობა, ამგვარი ღონისძიებების განხორციელებისას, არ აწესებს სასამართლო კონტროლის ეფექტიან მექანიზმს. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის გამო, 2018 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე, „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ", კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობით არ არის უზრუნველყოფილი ფარული აგენტის მონაწილეობის ავტორიზაციის სტანდარტი და ზედამხედველობის ხარისხი არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტს. ეროვნულმა სასამართლომ, აგრეთვე არ გამოიკვლია ოპერატიული საქმიანობის დაწყების წინაპირობა, და არც ფარული აგენტის მიერ განხორციელებული წაქეზების ხარისხი შეაფასა.[356]

საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად გამორიცხავს დანაშაულის წახალისების გზით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ პასუხისმგებლობა პირს არ უნდა დაეკისროს იმ დანაშაულის ჩადენისთვის, რომელსაც პოლიციელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის აქტიური ზემოქმედების გარეშე არ ჩაიდენდა. ამ პროცესში, ევროპული სასამართლო, აფასებს, ერთი მხრივ, ოპერატიული საქმიანობის განხორციელების წინაპირობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ დანაშაულის წაქეზების შეფასების ხარისხს.[357]

---

[354] „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.

[355] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 145.

[356] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის სექტემბრის №31536/07 გადაწყვეტილება საქმეზე, „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ" (Tchokhonelidze v. Georgia), პარ. 51-52.

[357] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის თებერვლის №74420/01 გადაწყვეტილება საქმეზე, „რამანაუსკასი ლიეტუვას წინააღმდეგ" (Ramanauskas v. Lithuania), პარ. 67.

აღნიშნული პრობლემის სიმწვავისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღების აუცილებლობაზე, ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია.[358]

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მტკიცებულებების კანონიერების სასამართლო წესით ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება, სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის პროვოცირების რისკის არსებობისას.

5.9. ბრალდებულის თარჯიმნით უზრუნველყოფის უფლება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მუდმივად აკვირდება სხვადასხვა სასამართლო პროცესს. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ბოლნისის რაიონულ სასამართლოსა და მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში, თარჯიმნები ვერ უზრუნველყოფდნენ ბრალდებულებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას. ისინი თარგმნის პროცესში თურქულ ან ქართულ შესატყვისებს იყენებდნენ და უცხოენოვანი პროცესის მონაწილეებს სრულყოფილად არ უთარგმნიდნენ სხდომის მიმდინარეობისას გაჟღერებულ ინფორმაციას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესების მონიტორინგის შედეგად, ასევე გამოვლინდა, რომ თარჯიმნები ტექსტებს ძალიან მოკლედ ან/და სწრაფად თარგმნიდნენ, რამაც თარჯიმნების კვალიფიკაციასთან, გულისხმიერებასთან ან კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, ეჭვები გააჩინა.[359]

5.10. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, არავინ არის ვალდებული, მისცეს საკუთარი თავის ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც კანონით განისაზღვრება. ამ უფლებაში, ერთი მხრივ, მოიაზრება, არ მისცე ჩვენება საკუთარი თავის ან ახლობლის წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, ამ უფლების განმარტების გარეშე, საგამოძიებო ორგანოს მანიპულაციის შედეგად, პირისგან მოპოვებული ინფორმაცია არ გამოიყენონ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ.

---

[358] ეკატერინე ციმაკურიძე და ელენე სიჭინავა, „მოსამართლის როლის განსაზღვრა საქართველოს შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში, გვ. 105-143, 2019 წელი; ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, გვ. 63-80, 2019 წელი; თინათინ ცხვედიანი, დანაშაულის პროვოცირების საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3bIGDVD> [ბოლოს ნანახია 11.03.2020].

[359] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა", მომზადებულია ორგანიზაციასთან, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის", ერთად, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2IR4ZjD > [ბოლოს ნანახია 11.03.2020], გვ. 18-19.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის წინააღმდეგობის შემთხვევაში, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე, დაუშვებელია მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, მოსმენა ან დემონსტრირება, ასევე, ამ ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, აღნიშნული საპროცესო გარანტია ბრალდებულის მიმართ არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ინფორმაცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად არის მოპოვებული.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლები პირებისგან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებებს ისე იღებენ, რომ მათ არ აცნობენ ინფორმაციას უფლებაზე, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის ამგვარმა არასწორმა ინტერპრეტაციამ, საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებს მისცა შესაძლებლობა, ე.წ. დაკითხვის იმიტაციით, პირი აიძულოს, მისცეს ჩვენება, რომელსაც საკუთარი უფლებების გააზრების შემთხვევაში არ მისცემდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, კონვენციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია პოლიციის ოფიცრების მიერ შესაბამისი გაფრთხილების გარეშე გამოკითხული პირის აღიარებითი ჩვენების სასამართლოში მის წინააღმდეგ გამოყენება. სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლების განუმარტავად აღიარებითი ჩვენების მოპოვებამ დაარღვია თვით-ინკრიმინაციისგან დაცვის უფლება.[360]

აღნიშნული პრობლემა საანგარიშო პერიოდში კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებშიც გამოვლინდა. ე.წ. „ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის" სისხლის სამართლის საქმეში, შემდგომში ბრალდებულად ცნობილი, ერთ-ერთი არასრულწლოვანი პირი, პოლიციის შენობაში თავის კანონიერ წარმომადგენელთან[361] ერთად მიიწვიეს. სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში, განხორციელდა გამომძიებელთან მისი „პირადი გასაუბრების" ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გამომძიებელთან ამგვარ „პირად გასაუბრებას" სწორედ პირის გამოკითხვის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ნიშნები ჰქონდა, ვინაიდან, მის დაწყებამდე, გამოსაკითხი პირისთვის არც საკუთარი თავის წინააღმდეგ ინფორმაციის მიუცემლობის უფლება განუმარტავთ და არც ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება. აღნიშნული ჩანაწერი კი, მოგვიანებით, ამ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ერთ-ერთი საფუძველი და მნიშვნელოვანი მტკიცებულება გახდა მისი საქმის განხილვაში.

[360] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის თებერვლის №39660/02 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზინჩენკო რუსეთის წინააღმდეგ" (Aleksandr Zaichenko v. Russia).

[361] აღნიშნული პირი არასრულწლოვანის მშობელი იყო და არა ადვოკატი.

გასათვალისწინებელია, რომ ხადას ხეობაში ჩადენილ მკვლელობის საქმეშიც, მოგვიანებით ბრალდებულად ცნობილ პირთან გასაუბრებაც მსგავს ფორმას ატარებდა. განსახილველ შემთხვევაშიც, ამ პროცესის დროს მოპოვებული მტკიცებულება სასამართლოში ბრალდებულის წინააღმდეგ გამოიყენეს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ჩანაწერში არსებული ხარვეზის აღმოფხვრა და ნორმის იმგვარად მოწესრიგება, რომ უზრუნველყოს ბრალდებულის ან მათი ახლობლების სათანადო უფლებრივი გარანტიით აღჭურვა.

5.11. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველმა უკვე არაერთხელ აღნიშნა საბჭოთა მმართველობის პერიოდში მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის და ახალი კოდექსის შემუშავების აუცილებლობის თაობაზე,[362] რადგანაც კოდექსი ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან თავსებადობის მინიმალურ სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული ნორმები, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას. ამის გამო საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.[363]

წინამდებარე თავში შევაფასებთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებულ იმ ხარვეზებს, რომლებიც საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით, 20-21 ივნისს და 18 ნოემბერს დაკავებულ პირთა უფლებების დარღვევის წინაპირობა გახდა.

საქმეების გაერთიანება

მოსამართლეები საპროცესო ეკონომიის, ასევე, სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის საბაბით, სასამართლო განხილვებს გაურკვეველი სისტემით აერთიანებდნენ, იმგვარად, რომ სრულიად იყო უგულებელყოფილი დაკავებული პირების ადგილმდებარეობის და შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ არსებული გარემოებები.[364]

სააპელაციო სასამართლოში საქმეების გაერთიანების პარადოქსულ პრაქტიკას და მოსამართლეების მცდელობას, საქმის გაერთიანებით პროცესი დროულად დაესრულებინათ, საპირისპირო შედეგი მოჰყვა.[365] ერთობლივად განსახილველ საქმეთა

---

[362] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები: 2012 წლის გვ. 448-450; 2013 წლის, გვ. 271-277; 2014 წლის, გვ. 303-307; 2015, გვ. 462-467; 2017 წლის, გვ. 114, 2018 წლის, გვ. 91-109.

[363] 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება, იხილეთ ვებგვერდზე: < https://bit.ly/2JqOcnx > ბოლოს ნანახია 11.03.2020].

[364] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება - „დაკარგული თვალის მიღმა" გვ. 84.

[365] იქვე, გვ. 85.

შორის აღმოჩნდა იმ პირთა საქმეებიც, რომლებიც მოთავსებულნი იყვნენ სხვადასხვა ქალაქში არსებულ იზოლატორებში. ადმინისტრაციული წესით პატიმრობაშეფარდებულ პირთა თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენას უზრუნველყოფდა შინაგან საქმეთა სამინისტრო. შესაბამისად, თანამშრომელთა რაოდენობისა და დაკავებულთა განთავსების ქალაქების სიშორის გამო, სააპელაციო სასამართლოში საათობით ფერხდებოდა საქმეთა განხილვის დაწყება.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 18 ნოემბერს დაკავებულ პირთა საქმეები მხოლოდ ერთ მოსამართლეს დაეწერა განსახილველად, რამაც სასამართლო პროცესების არაგონივრული ვადით გაჭიანურება გამოიწვია.

არსებითი განხილვის ფორმალური სახე

განსახილველ შეკრებებზე დაკავებული პირების სასამართლო პროცესების აბსოლუტური უმრავლესობა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძვლებზე მიმდინარეობდა. სამართალდარღვევის და დაკავების ოქმები, ძირითად შინაარსობრივად იდენტური იყო და გამოირჩეოდა შემდეგი ჩანაწერით: *„იგინებოდა და ილანძღებოდა უშვერი სიტყვებით, იგი იყო აქციის მონაწილე და არ ემორჩილებოდა პოზიციის კანონიერ მოთხოვნას“*. [366]

აღნიშნული ჩანაწერები, თითქმის არცერთ შემთხვევაში არ აკონკრეტებდა კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის შინაარსს, ფორმას და ადგილს, ისინი იყო ფორმალური, ხოლო სასამართლოს დამოკიდებულება - ზედაპირული, რაც, დაკავებული პირებისთვის, ადმინისტრაციული სახდელის მხოლოდ პოლიციელების მიერ მიწოდებული ოქმებისა და ჩვენებების საფუძველზე დაკისრებაში გამოიხატებოდა.

სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, პოლიციელთა მიერ წარმოდგენილ სამხრე კამერის ჩანაწერებში არ იკვეთებოდნენ ის პირები, ვის წინააღმდეგაც მიმდინარეობდა სამართალწარმოება. სასამართლო პროცესების შემდეგაც შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, იმყოფებოდნენ თუ არა კონკრეტული პირები, მათ შორის, სასამართლოში წარმოდგენილი პოლიციელები შემთხვევის ადგილას.[367]

ნეიტრალური მტკიცებულებების არარსებობა

სახალხო დამცველი განსაკუთრებით გამოყოფს ისეთი კატეგორიის დარღვევებს, რომლებმაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიონ.

---

[366] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება - „დაკარგული თვალის მიღმა“ გვ. 86.

[367] იხ. სახალხო დამცველის 2019 წლის 22 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2vY3BIY > [ბოლოს ნანახია 11.03.3030].

2019 წლის 18 ნოემბერს, სასამართლოში პოლიციის მიერ წარმოდგენილი ნეიტრალური მტკიცებულების, ვიდეოჩანაწერების, გამოკვლევისას, გარკვეულ შემთხვევებში, პირთა ან/და მათ მიერ ჩადენილი სავარაუდო კანონდარღვევათა ზუსტი იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო. ამას, წესით, ადმინისტრაციული პატიმრობის სახდელად გამოყენება იმთავითვე უნდა გამოერიცხა.

ასევე, სხვა შემთხვევებში პოლიციელებს არ წარმოუდგენიათ სამხრე კამერების ჩანაწერები, ხოლო დაცვის მხარის შუამდგომლობა სამხრე კამერების ვიდეოჩანაწერების მოპოვებასთან დაკავშირებით, სასამართლომ გაუგებარი მიზეზით არ დააკმაყოფილა.

შედეგად, შეუძლებელი გახდა ეჭვების გაქარწყლება იმასთან დაკავშირებით, იყვნენ თუ არა დაკავების ოქმებზე ხელმომწერი პოლიციელები რეალურად შემთხვევის ადგილზე და მათ დააკავეს თუ არა მომიტინგეები. ამ ეჭვების გაღვივებას დამატებით შეუწყო ხელი იმანაც, რომ პოლიციელთა განმარტებები ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ისინი ვერ იხსენებდნენ დაკავების დეტალებს, უჭირდათ იმ პირთა ამოცნობა, რომლებზეც აცხადებდნენ, რომ მათ დააკავეს, ვერ იხსენებდნენ დაკავების ადგილს და სხვა გარემოებებს.

დაცვის უფლება

2019 წლის 18 ნოემბერს დაკავებული პირების სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, დაცვის მხარეს, საკუთარი უფლებებით რეალურად სარგებლობისთვის, საკმარისი დრო და საშუალება არ მისცემია. მოსამართლემ დაცვის მხარეს არ მისცა შესაძლებლობა, თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები.[368]

სახდელის დაკისრების პრაქტიკა

განვითარებული პროცესების ფორმალურობაზე ასევე მიუთითებს სასამართლოების მიერ დაკავებული პირებისთვის ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების დინამიკა. 21 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში, დროის გასვლასთან ერთად, მოსამართლეები სახდელის უფრო მსუბუქ ფორმას იყენებდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დღის პირველ ნახევარში განხილულ საქმეებზე დაკავებულ პირებს ადმინისტრაციულ პატიმრობას უფარდებდნენ, დღის მეორე ნახევარში დაკავებული პირები, ძირითადად, ჯარიმის საფუძველზე განთავისუფლდნენ, ხოლო დღის ბოლოს მოსამართლეებმა ან სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე გაათავისუფლეს პირები, ან პროცესი გადადეს. სანქციის დაკისრების ამგვარი დინამიკა კარგად მეტყველებს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ზედაპირულობაზე.

5.12. არასრულწლოვანთა უფლებები მართლმსაჯულების პროცესში

2015 წელს ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძირითადი მიზანი ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა და მასზე მორგებული, ჰუმანური

[368] იქვე.

მართლმსაჯულების უზრუნველყოფა იყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტის მიღება, თავისთავად, პოზიტიური მოვლენაა სამართლებრივ სივრცეში, პრაქტიკაში მისმა გამოყენებამ აჩვენა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ძალისხმევაა საჭირო.

გამოწვევების გამოსავლენად და სახელმწიფოსთვის მასთან გამკლავების გზების შესათავაზებლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სპეციალური ანგარიში მომზადდა.[369]

ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული არასრულწლოვანი სისხლის სამართლის სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უზრუნველყოფილია უფასო იურიდიული დახმარებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს ამ არასრულწლოვნის მიერ აყვანილი ადვოკატი.[370] კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასრუწლოვანი მოწმის უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფას, რაც თავისი არსით ნეგატიური მოვლენაა, იმდენად, რამდენადაც ეს პროცესიც შეიცავს მაღალ ალბათობას, დაზიანდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ჩართული ფსიქოლოგების (საპროცესო წარმომადგენლების) სპეციალიზაციის ვალდებულებას, მოცემული დროისთვის სპეციალიზაციაზე პასუხისმგებელი უწყება არ არის განსაზღვრული.[371]

სასამართლოში არსებული გარემო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბავშვისთვის შემაშინებელი და შეუფერებელი ინფრასტრუქტურა, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად შეაფასა.[372] სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მითითებულია ამ მიმართულებით გამოვლენილ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ხარვეზზე, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას.

სახალხო დამცველის კვლევის შედეგად, წარმოჩინდა, რომ კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა სასამართლო განხილვის ეტაპზე ნომინალურია. ასევე,

---

[369] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა“, მომზადებულია ორგანიზაციასთან, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, ერთად.

[370] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 15, ნაწილი 1.

[371] „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა“, გვ. 21.

[372] იქვე, გვ. 39.

პროცესში მონაწილე პირები, გავლილი სპეციალიზაციის კურსის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, არ ფლობენ საკმარის უნარებს და არ აქვთ სრულყოფილი კვალიფიკაცია.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 51[1] მუხლის მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილებები, რომელიც დამოუკიდებელი ინსპექტორის კანდიდატურის ასარჩევად უზრუნველყოფს საბჭოს წევრების არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერის აუცილებლობას
- განისაზღვროს სასამართლოს ვალდებულება, გაათავისუფლოს პატიმარი ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, თუ იგი წარმოადგენს საბანკო ამონაწერს პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში მისი ფინანსური ბრუნვის შესახებ, რაც დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მისი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 100 ლარზე ნაკლები იყო
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგინდეს, რომ განაჩენს არ შეიძლება დაედოს საფუძვლად სხვა მოსამართლის მიერ გამოკვლეული მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმეზე დანიშნული იყო სათადარიგო მოსამართლე
- საკანონმდებლო ცვლილების გზით, უზრუნველყოს მტკიცებულებების კანონიერების სასამართლო წესით ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს დანაშაულის პროვოკაციის რისკის საშიშროება
- მიიღოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, მოწმე ბავშვები უზრუნველყოს უფასო იურიდიული დახმარებით

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- განსაზღვროს ფსიქოლოგების [არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში] სპეციალიზაციაში მომზადება/გადამზადებასა და ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავებაზე პასუხისმგებელი უწყება

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- 2020 წელს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის გზით, გაწეროს დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის დეტალური წესი და კრიტერიუმები, იმგვარად, რომ უზრუნველყოს საბჭოს მიერ ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა შერჩევის პროცესში, ასევე, დამოუკიდებელი ინსპექტორობის კანდიდატის შეფასების დეტალური კრიტერიუმები, გასაუბრებაზე გამოსარკვევი საკითხების ნუსხა და კანდიდატების დასაბუთებული შეფასების ვალდებულება.

6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

6.1. შესავალი

2019 წელს, წინა წლების მსგავსად, პრობლემები გამოიკვეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მიმართულებითაც.[373] საგულისხმოა, რომ ამ უფლების დაცვის თვალსაზრისით, 2019 წელი წინა წლებში გამოვლენილი ტენდენციებისგან დიდად არ განსხვავდებოდა. სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერც 2019 წელს შეძლეს პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელების პრევენცია, ვიდეოჩანაწერების გავრცელებით გამოწვეული ზიანის შემცირება და დანაშაულზე თანაზომიერი რეაგირება. საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა პატიმართა მიმართ პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტებსაც, მათ შორის, საცხოვრებლისგან მოშორებით მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა დაუსაბუთებელი გადაყვანისა და სხვა გარემოებების გამო.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებით 2 რეკომენდაცია გასცა, მათ შორის, 1 საქართველოს პროკურატურის, ხოლო 1 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. საქართველოს პროკურატურას არ შეუსრულებია რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა საზოგადოების პერიოდულ ინფორმირებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტებზე დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის შესახებ. მისგან განსხვავებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეასრულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. კერძოდ, სამინისტრომ აწარმოა კამპანია, რომელშიც მოქალაქეებს განუმარტა, თუ რა უფლებები და ვალდებულებები გააჩნიათ მათ, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით მიღების შემთხვევაში.[374]

სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების წესთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველი პრობლემურად მიიჩნევდა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვის პრაქტიკის არარსებობას. ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციისა[375] და საქართველოს პარლამენტის დადგენილების

[373] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 110.

[374] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 6 20 00031636.

[375] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, 123.

საფუძველზე[376], 2019 წლის იანვრიდან საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა დაიწყო.[377]

წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება მსჯელობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დამრღვევი ჩანაწერების გავრცელებაზე მიმდინარე გამოძიებების შესახებ, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წესის პრობლემურობის შესახებ. ასევე, შეფასდება პენიტენციურ დაწესებულებებში გარე სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით არსებული ხარვეზები.

6.2. პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებები

საქართველოს სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნავდა, რომ 2015 და 2016 წლებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დამრღვევი მძიმე დანაშაულების უმეტესობა არ ყოფილა გამოძიებული.[378] აღსანიშნავია, რომ საქმეთა გამოძიება დღემდე მიმდინარეობს, თუმცა (2020 წლის მარტამდე) აღნიშნულ საქმეთა[379] უმეტესობაზე, დაზარალებულად ან ბრალდებულად პირი ამ დრომდე არ უცნიათ. ასევე, პროკურატურას არ წარმოუდგენია ინფორმაცია, ჩატარდა თუ არა რომელიმე გამოძიების ფარგლებში ახალი საგამოძიებო მოქმედება.[380]

სამწუხაროდ, 2019 წელს, წინა წლების მსგავსად, რამდენჯერმე გასაჯაროვდა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერები. მათგან განსაკუთრებით მძიმე 2019 წლის 26 მარტის შემთხვევა იყო, როდესაც youtube.com-ზე ატვირთული მსგავსი ვიდეო დაახლოებით 10 საათის განმავლობაში იყო ხელმისაწვდომი. ამ შემთხვევამ ნათლად წარმოაჩინა, რომ სახელმწიფოს ამ ეტაპზე არ გააჩნია მსგავსი შემთხვევების სწრაფი აღკვეთისა და ზიანის შემცირების მექანიზმი. კვლავაც ძალაშია სახალხო დამცველის ის რეკომენდაცია, რომელიც ამგვარი დანაშაულების რისკის შემცირებისა (ინფორმაციის ოპერატიულად შეტყობინების მექანიზმი, მასალის სწრაფად დაბლოკვის გზები და ა.შ.) და ცნობიერების ამაღლებისკენ არის მიმართული.[381]

---

[376] პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის №3148-რს დადგენილება.

[377] საქართველოს გენერალური პროკურატურა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ ისეთ სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს, როგორიცაა ინფორმაციის შესაბამისი სუბიექტისთვის მიწოდება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის განადგურება, საგამოძიებო მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა და სხვ.

[378] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118.

[379] საქმეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2uraWjw > [ბოლოს ნანახია 01.02.2020].

[380] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 16 იანვრის №13/2393 წერილი.

[381] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2OBsVdR > [ბოლოს ნანახია 01.02.2020].

2019 წელს ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ფარგლებში, სასამართლო პროცესები 21 პირის მიმართ მიმდინარეობს.[382] ნიშანდობლივია, რომ პროკურატურას არ უცნობებია საზოგადოებისთვის კადრების თავდაპირველად მომპოვებელი, შემნახველი და გამავრცელებელი პირების მიმართ დევნის დაწყების თაობაზე.[383]

6.3. პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

პირადი საიდუმლოს ხელყოფა დანაშაულად მიიჩნევა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლის საფუძველზე ისჯება. ამავე დროს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის თანახმად, ასევე დასჯადია პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა. სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნა, რომ შეუძლებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს, თუ რას მოიცავს პირადი ცხოვრების საიდუმლო და პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია.[384] გამიჯვნის კრიტერიუმები არც თავად დასახელებულ ნორმებშია მითითებული და არც კანონის განმარტებით ბარათში. გასათვალისწინებელი გარემოებაა, რომ დასახელებული ნორმებით დაწესებული სანქციების ზომა ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება.[385]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კანონმდებელმა ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] და 157-ე მუხლების დისპოზიცია, რათა არ არსებობდეს ნორმის ფართო განმარტებისა და თვითნებობის შესაძლებლობა.

6.4. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების წესი

2019 წლის მონაცემებით, კვლავ ძალაშია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 22 მარტს მიღებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების წესთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 14 აპრილს მიღებული გადაწყვეტილების[386] აღსრულებას ისახავდა მიზნად. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ 2017 წლის 22 მარტს მიღებული საკანონმდებლო პაკეტი ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების სულისკვეთებას და მის ეფექტიან აღსრულებას არ ემსახურება. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა. ამ თემაზე დეტალური ინფორმაცია

---

[382] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 16 იანვრის №13/2393 წერილი.

[383] იქვე.

[384] საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 408.

[385] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის თანახმადნ პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფისათვის, დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, მაქსიმალურ სასჯელად შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთაა განსაზღვრული, ხოლო 157[1] მუხლი პირადი საიდუმლოს ხელყოფისათვის, დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, მაქსიმალურ სასჯელად ათი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

[386] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება.

იხილეთ სახალხო დამცველის წინა წლის საპარლამენტო ანგარიშებში.[387] სარჩელის ირგვლივ არსებითად განხილვის სხდომები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უკვე ჩატარდა, თუმცა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს ჯერ არ მიულია.

6.5. გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

პატიმრებს რაც შეიძლება ხშირად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, კონტაქტი იქონიონ გარე სამყაროსთან. მათ შორის, გააგზავნონ წერილები, ისარგებლონ სატელეფონო ზარებით, შეხვდნენ ოჯახის წევრებს.[388] გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს სახელმძღვანელო დოკუმენტში საგანგებოდ არის მითითებული, რომ პატიმრის კონტაქტი გარე სამყაროსთან უნდა მიიჩნეოდეს უფლებად[389] და არა პრივილეგიად, შესაბამისად, ის არ უნდა გახდეს პატიმრის დასჯისა და წახალისების მიზნებისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტი.[390]

მიმოხილული სტანდარტების მიუხედავად, პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის პრობლემა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებულ ყველა დაწესებულებაში გამოიკვეთა. კვლავ რჩება სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობის დარღვევისა[391] და ხანმოკლე პაემნების ოთახებში მინის ბარიერის არსებობასთან დაკავშირებული ხარვეზები.[392]

პრობლემურია უცხოელი პატიმრებისთვის ოჯახთან კონტაქტის შესაძლებლობა. მათი ოჯახის წევრები ძირითადად საზღვარგარეთ ცხოვრობენ, რის გამოც პატიმრები ვერ იყენებენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლებას. უცხოელი პატიმრები ვერც

---

387 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 119-121; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 112

388 ევროპული ციხის წესები 24.1

389 „ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ" (Khoroshenko v, Russia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 106; „მესინა იტალიის წინააღმდეგ" (Messina v. Italy) (No.2), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, პარ. 64; „კურკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ" (Kurkowski v. Poland), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 95.

390 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), დინამიკური უსაფრთხოების სახელმძღვანელო, ნიუ იორკი, 2015, გვ. 22, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < http://bit.ly/39L4SSr > [ბოლოს ნანახია: 02.11.19].

391 მაგალითისათვის, №2, №3 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრები მიუთითებენ ტელეფონით სარგებლობის დროს კონფიდენციალობის დარღვევის პრობლემაზე. №2 და №8 დაწესებულებებში ტელეფონის აპარატები სამორიგეო ოთახებშია განთავსებული და პატიმრებს მორიგის თანდასწრებით უწევთ საუბარი.

392 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წამების ევროპული კომიტეტისადმი გაგზავნილი 2019 წლის 21 ნოემბრის წერილის თანახმად, მინის ბარიერები მოხსნილია №5, №6 და №12 დაწესებულების გარკვეულ ოთახებში, ხოლო №2 დაწესებულებაში უბარიერებო შეხვედრის ოთახების მოწყობა 2019 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო.

ვიდეოპაემნით სარგებლობენ, ვინაიდან მას ორგანიზებას პრობაციის ეროვნული სააგენტო უწევს პენიტენციური დაწესებულების გარეთ.[393] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის და მსჯავრდებულის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, მათ მიეცეთ როგორც ხანმოკლე პაემნის, ისე ხანგრძლივი პაემნის ერთი სატელეფონო ზარით ჩანაცვლების უფლება. დღეს მოქმედი საქართველოს პატიმრობის კოდექსით დადგენილი წესი,[394] ხანგრძლივი პაემნის სატელეფონო საუბრით ან ვიდეოპაემნით შეცვლის შესაძლებლობას, არ ითვალისწინებს.

№8 დაწესებულებაში დაბრკოლებას ქმნის ის გარემოება, რომ პატიმრებს ყოველ 10 დღეში ერთხელ, საკნის რიგის გათვალისწინებით ეძლევათ დარეკვის შესაძლებლობა. საერთაშორისო ზარებისთვის კვირაში გამოყოფილია მხოლოდ 2 დღე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ზარისთვის დადგენილი კვირის დღე არ ემთხვევა კონკრეტული საკნის ტელეფონით სარგებლობის დღეს, უცხოელი პატიმარი ამ უფლების გამოყენებას ვერ ახერხებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის განმავლობაში აქტუალური იყო მსჯავრდებულთა დაუსაბუთებელი გადაყვანა მათი ოჯახების საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებულ დაწესებულებებში. ტერიტორიული სიშორე ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას ართულებდა, რაც პირადი ცხოვრების უფლების ხანგრძლივად უსაფუძვლო შეზღუდვას იწვევდა. ზოგიერთ პატიმართან დაკავშირებით, პენიტენციურმა დეპარტამენტმა განმარტა, რომ მათი გადაყვანა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადატვირთულობის გამო ვერ ხერხდებოდა.[395] საქართველოს სახალხო დამცველმა ეტაპირების შესახებ, რამდენიმე რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს. სხვადასხვა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შედეგად, მსჯავრდებული ვ. ა. და, მოგვიანებით, კიდევ ერთი მსჯავრდებული ვ. ა. გადაიყვანეს მათ საცხოვრებელთან ახლოს მდებარე დაწესებულებებში. სამწუხაროდ, გაცემული რეკომენდაცია არ შესრულდა მსჯავრდებულ ზ. ჯ.-სთან დაკავშირებით.[396]

ზემოთქმულის გარდა, პრობლემურია საქართველოს პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე ბრალდებულს შესაძლოა შეეზღუდოს თვის განმავლობაში კუთვნილი 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით სარგებლობა. აღნიშნული მუხლი გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების გასაჩივრების წესს არ ითვალისწინებს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გამომძიებლის ან პროკურორის მხრიდან თვითნებური მოქმედებების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, ბრალდებულს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების მართებულობის სასამართლოს გზით შემოწმების შესაძლებლობა მიეცეს. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ

[393] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-17[1] მუხლის მე-3 ნაწილი.

[394] პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილები.

[395] მსჯავრდებულ ვ. ა.-სა და ზ. ჯ.-ს საქმეები.

[396] პენიტენციური დეპარტამენტის 2019 წლის 27 ნოემბრის წერილი.

პირებს ჰქონდეთ ადეკვატური შესაძლებლობა, კომუნიკაცია დაამყარონ გარე სამყაროსთან.[397] საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, ბრალდებულებს არ აქვთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება.

ასევე პრობლემურია საქართველოს პატიმრობის კოდექსით განმტკიცებული რეგულირებები განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით. ისინი ვერ სარგებლობენ ვიდეოპაემნით[398] და მათ მიმართ სხვა დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრებისგან განსხვავებული, უფრო მკაცრი შეზღუდვებია დაწესებული.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით,[399] ფსიქიატრიული დახმარების ერთ-ერთი კომპონენტი პაციენტის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციაა, რომლის მიზანია პაციენტის სოციალური და შრომითი კონტაქტების შენარჩუნება და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოებაში მისი დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობას. ამ პროცესში გარე სამყაროსთან კონტაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტებისთვის სატელეფონო კომუნიკაციის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, აუცილებელია. „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა" და „ბათუმის სამედიცინო ცენტრის" პაციენტები დარეკვას დაწესებულების სოციალური მუშაკების კუთვნილი ტელეფონებით ახერხებენ. ტელეფონზე პაციენტებს ხელი მხოლოდ სოციალური მუშაკის სამუშაო საათებში მიუწვდებათ (10:00 – 18:00 სთ). კონკრეტული რეგულაცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. შესაბამისად, პაციენტების წვდომა სატელეფონო კომუნიკაციასთან, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებენ სოციალური მუშაკები, თავიანთი პირადი ტელეფონით ყველა პაციენტს მათთვის სასურველ დროს მისცენ ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობა.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 157^1-ე მუხლებში, ამ ორი მუხლის დისპოზიციის ერთმანეთისგან გასამიჯნად
- შევიდეს ცვლილება საქართველოს პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლ ნაწილში და ბრალდებულს მიეცეს შესაძლებლობა, პროკურორის ან გამომძიებლის მიერ დაწესებული შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც მას შესაძლებლობა არ ექნება

[397] ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების დაცვის შესახებ საბაზისო პრინციპების მე-19 პრინციპი, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 43/173,1988 წლის 9 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/2xB4oA6 > [ბოლოს ნანახია 13.03.2020]. http://bit.ly/2xB4oA6

[398] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 17^1 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[399] „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 21.

1 თვის განმავლობაში ისარგებლოს არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით, გაასაჩივროს სასამართლოში

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილებში და შესაძლებელი გახდეს ხანგრძლივი პაემნის სატელეფონო საუბრით ან ვიდეოპაემნით ჩანაცვლება
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში" და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს გაეზარდოთ პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა და მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულებს, რომლებიც ოჯახის საზღვარგარეთ ცხოვრების გამო ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, მიეცეთ საშუალება ისარგებლონ ვიდეოპაემნით
- შევიდეს ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და ბრალდებულებს, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება.

რეკომენდაციები

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- პერიოდულად აცნობოს საზოგადოებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის პროგრესის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პოლიციის პრევენციული ფუნქციის განხორციელების ფარგლებში, განაგრძოს პრევენციული საინფორმაციო კამპანიის წარმოება მოსახლეობაში, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით მიღების შემთხვევაში, მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2020 წლის ბოლომდე ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოს ხანმოკლე პაემანი მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
- დაწესებულებებში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის უზრუნველსაყოფად, გაითვალისწინოს პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი
- №2 და №8 დაწესებულებებში მოეწყოს სატელეფონო კაბინები, სადაც შესაძლებელი იქნება სატელეფონო საუბრები კონფიდენციალურ გარემოში; უზრუნველყოს №3 დაწესებულებაში სატელეფონო საუბრისთვის განკუთვნილი სივრცეების დამატებითი საიზოლაციო საშუალებებით აღჭურვა, რათა სხვა პირმა ვერ შეძლოს მსჯავრდებულის საუბრის მოსმენა

- მონიტორინგის სამსახურმა შეისწავლოს №8 დაწესებულებაში პატიმრებისთვის, საზღვარგარეთ დარეკვის უფლების განხორციელების ხელის ხელშემშლელი პრაქტიკა და მიიღოს ზომები, რათა პატიმრებმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუფერხებლად ისარგებლონ სატელეფონო საუბრის უფლებით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტებისთვის უზრუნველყოს წვდომა სატელეფონო კომუნიკაციაზე.

7. თანასწორობის უფლება

7.1. შესავალი

2019 წელი მნიშვნელოვანი იყო დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის გაუმჯობესების მხრივ. 2019 წლის მაისში, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონით, კერძო სამართლის პირები საჯარო პირების მსგავს სამართლებრივ რეგულირებაში მოექცნენ. კერძოდ, განისაზღვრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ვალდებულება, სახალხო დამცველს, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლისთვის, მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, მისი რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნით, საჯარო უწყებების მსგავსად, კერძო სამართლის იურიდიული პირის ან პირთა გაერთიანების წინააღმდეგაც მიმართოს სასამართლოს.[400]

მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ამავე წლის თებერვალში, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონით *შევიწროების* და *სექსუალური შევიწროების* დისკრიმინაციის ფორმებად განსაზღვრა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ *უარი გონივრულ მისადაგებაზე,*[401] როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი დღემდე არ გამხდარა.

სამწუხაროდ, საკანონმდებლო გარანტიების შექმნის და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ძალისხმევის მიუხედავად, თანასწორობის უფლების რეალიზაციის მხრივ, საქართველოში მდგომარეობა არსებითად არ უმჯობესდება. ამგვარი კრიტიკული ვითარება, ერთი მხრივ, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ დაუცველი ჯგუფების საჭიროებების და ინტერესების გაუაზრებლობით და მიუღებლობით არის განპირობებული. აღნიშნულ ვითარებას ბოლო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურებაც ამძიმებს. მეორე მხრივ კი, თანასწორობის მიღწევის მიმართულებით პროგრესს აბრკოლებს სახელმწიფოს ერთიანი ხედვის არარსებობა. კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებს არ აქვთ პოლიტიკა თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებით მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან მიმართებით. ამის გამო, დისკრიმინაციული პრაქტიკების წინააღმდეგ სისტემური ბრძოლის ნაცვლად, უმეტესწილად, ინდივიდუალური უფლებადარღვევების აღმოფხვრის მიმართულებით მუშაობა ხდება საჭირო.

---

[400] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში.

[401] შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც გულისხმობს უარს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმ აუცილებელი და შესაფერისი ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რომელიც არ განაპირობებს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს ან ვალდებულებას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზებას.

სამწუხაროდ, თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები არც მაღალი თანამდებობის პირების დღის წესრიგში შეინიშნება. გადაწყვეტილების მიმღები პირები თანასწორობის მხარდამჭერ განცხადებებს კვლავ არ აკეთებენ, მათ შორის, არც ცალკეული ჯგუფების თანასწორუფლებიანობისთვის კრიტიკულ დროს.

ყველაზე დაუცველ ჯგუფებად 2019 წელსაც ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ლგბტ+ თემის წარმომადგენლები რჩებიან. ასევე კრიტიკულია რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების თანასწორუფლებიანობა.[402]

7.2. ქალთა თანასწორუფლებიანობა

მრავალი საერთაშორისო თუ ეროვნული ნორმატიული გარანტიის მიუხედავად, საქართველოში გარემო კვლავ არ არის ქალების სპეციფიკურ საჭიროებებზე ორიენტირებული, რაც, გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, დამაბრკოლებელი ფაქტორია.

სექსუალური შევიწროება

2019 წლის თებერვალსა და მაისში, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების[403] შედეგად, სექსუალური შევიწროების ქცევის განჭვრეტადობის და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების განსაზღვრის თვალსაზრისით, სავარაუდო მსხვერპლისთვის მეტად დაცული სივრცე შეიქმნა.

საზოგადოებაში სექსუალური შევიწროების ფენომენთან დაკავშირებით აქტიურმა დისკუსიამ, გარკვეულწილად, აამაღლა ცნობიერება იმის შესახებ, თუ რა ქცევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს სექსუალურ შევიწროებად. შესაბამისად, გაიზარდა სახალხო დამცველისადმი მომართვიანობაც, რამაც სახალხო დამცველს სამართლებრივი სტანდარტების განვითარებისა და სექსუალური შევიწროების ინდიკატორების შემუშავების შესაძლებლობა მისცა.

ამასთან, წინგადადგმული ნაბიჯია, რომ საზოგადოებრივ ადგილებში ჩადენილი სექსუალური შევიწროება კანონმდებელმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მოიაზრა, რის შედეგადაც საზოგადოებრივ ადგილას სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით, სამართლებრივი დაცვის ახალი მექანიზმი გაუჩნდა. ამ მხრივ, პრიორიტეტულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს სწორად მიეწოდოთ ინფორმაცია და

[402] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია რწმენისა და რელიგიის თავისუფლების თავში.

[403] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3[2] პუნქტი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლი პრაქტიკაში ეფექტიანად აღსრულდეს.

სახალხო დამცველის მიერ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტები განსაკუთრებული სიმწვავით სამუშაო ადგილზე და შემავიწროებლის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ხდება. შემავიწროებლის ქცევა გამოიხატებოდა ვერბალურ, არავერბალურ და ფიზიკური სახის სექსუალური ხასიათის ქმედებაში - კერძოდ, შემავიწროებლების მიერ მსხვერპლის სხეულის ცალკეულ ნაწილებზე შეხებასა და ინტიმურ კომენტარებში;[404] სექსუალური გამოცდილებისა და პრეფერენციების შესახებ საუბარში; სქესობრივი კავშირის შეთავაზებასა[405] და სხვა.

გენდერული თანასწორობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჭრილში

გენდერული თანასწორობის საკითხი პირდაპირ კავშირშია ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებთან.[406] ამდენად, ქალთა უფლებები მოიცავს უფლებას, დისკრიმინაციული მოპყრობის გარეშე აკონტროლონ საკუთარ სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჩათვლით.[407]

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა აღნიშნული მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება - სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე მორგებული სახელმწიფო პროგრამის არსებობის აუცილებლობაზე; ქალის საშვილოსნოს მილების გადაკეტვის (სტერილიზაციის) საკითხსა და ე. წ. „ქალიშვილობის ტესტის" პრაქტიკაზე.

კვლავ პრობლემად რჩება ჯანდაცვის სერვისებზე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლება ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტაზე. აღსანიშნავია, რომ 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის არასამედიცინო ჩვენება არის სასამართლოს მიერ დადგენილი გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობა.[408]

---

[404] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2OsRREo > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[405] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< https://bit.ly/399DlZY >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[406] Dr. Carmel Shalev, Rights to Sexual and Reproductive Health – the ICPD and the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women, 1998, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3bFz1Dg >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[407] The Beijing Platform for Action, C. Women and Health, §96, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2QZNfXt > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[408] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანების №5 დანართი.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება კი ხშირ შემთხვევაში, იმდენად ხანგრძლივ პერიოდს უკავშირდება, რომ შესაძლოა ორსულობის პერიოდსაც გადააჭარბოს. მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მოექცეს არა ფორმალურ სამართლებრივ ჩარჩოში, არამედ გათვალისწინებული იყოს სექსუალური ძალადობის შედეგად დაორსულებული ქალის ფსიქოემოციური მდგომარეობა, ამ მოვლენის მიმართ საზოგადოების ნაწილში არსებული სტიგმა და, ამ მხრივ, მსხვერპლის საჭიროებებზე მორგებული მიდგომის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული საკითხები, რომლებიც რეგულირებულია საკანონმდებლო დონეზე, პრაქტიკაში დისკრიმინაციულად სრულდება. მაგალითად, საზოგადოებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქალისა და კაცისათვის მისაღები ქცევის სტანდარტი და განსაზღვრული სოციალურ-კულტურული როლები, არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ქალებს და, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების გამოყენების თვალსაზრისით, მათ ბარიერებს უქმნის.

ერთ-ერთი მსგავსი დაბრკოლებაა ქალის საშვილოსნოს მილების გადაკეტვის (სტერილიზაციის) შემთხვევაში მისი მეუღლის/პარტნიორის თანხმობის მოთხოვნა, როგორც პროცედურის ჩატარების წინაპირობა.[409] მიუხედავად იმისა, რომ მეუღლის ანდა პარტნიორის თანხმობის ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილი არ არის, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საქართველოში არსებული სამედიცინო დაწესებულებები თვითნებურად ითხოვენ მეუღლის/პარტნიორის თანხმობას, რაც ქალის თავისუფალ არჩევანში ჩარევასა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს.[410]

ქალის სექსუალობის კონტროლს ემსახურება ასევე ე. წ. „ქალიშვილობის ტესტი," რომელსაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა, „სქესობრივი ხასიათის ქმედების შემთხვევაში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა", რომელსაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ატარებს, ცალკეულ შემთხვევებში, ფიზიკური პირების მიერ, შესაძლოა, ბოროტად იქნეს გამოყენებული. არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ ქალთა უფლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ფიზიკური პირის მიერ ექსპერტიზის დაკვეთისას, განსაკუთრებული ყურადღებით მიუდგეს მისი ნების ნამდვილობას, ეჭვის არსებობის შემთხვევაში, უარი განუცხადოს პროცედურის ჩატარებაზე და დაუყოვნებლივ მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

---

[409]სახალხო დამცველის 2018 წლის 28 სექტემბრის ზოგადი წინადადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3asMw9a >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[410]სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3dlGtz0 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

კერძო სექტორში დასაქმებულთათვის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. სახალხო დამცველისათვის „კოალიცია თანასწორობისათვის" წევრი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ქალების მიმართვიანობა შენარჩუნებულია. არის შემთხვევები, როდესაც ორსულობის გამო შვებულების გაცემისაგან თავის არიდების მიზნით, კერძო კომპანიები რეორგანიზაციის საფუძველს ან სხვა მიზეზს იშველიებენ.

სახალხო დამცველმა დიდ კერძო კომპანიებში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდის ხანგრძლივობის და ანაზღაურების პრაქტიკა შეისწავლა. გამოკვეთილი ტენდენციები აღნიშნული საკითხის დამატებითი საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე მეტყველებს.

ასევე პრობლემურია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სუროგატი ქალის და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლის შვებულებას.

7.3. შეზღუდული შესაძლებლობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა არც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესებულა. სხვადასხვა მომსახურების მისაწვდომობის მხრივ, პრობლემები ექმნებათ როგორც ფიზიკური შეზღუდვის მქონე, ისე უსინათლო პირებსაც. ეროვნული საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არ იცნობს *გონივრულ მისადაგებას*, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას. კვლავ უთანასწორო პირობებში არიან საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც (გარდა მკვეთრად და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა), კერძო სექტორში დასაქმებულთაგან განსხვავებით, სოციალური პაკეტით ვერ სარგებლობენ.[411]

ფიზიკური მისაწვდომობა

ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის მხრივ არსებული მდგომარეობა კვლავ მძიმეა, რაც, ბუნებრივია, აფერხებს ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ, გარკვეულწილად, გაითვალისწინა სახალხო დამცველის 2018 წლის რეკომენდაცია, გეოგრაფიული თვალსაზრისით განიხილა სანოტარო ბიუროების

[411] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 31 მაისის რეკომენდაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/39r5GL7 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

ფიზიკური მისაწვდომობის საკითხი[412] და თბილისში, ბათუმში, მცხეთაში, რუსთავში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდსა და თელავში არსებული ბიუროების შესაბამისი სტანდარტით მოწყობას შეუდგა. ასევე, ონლაინ განთავსდა ინფორმაცია 19 მისაწვდომი ბიუროს თაობაზე. თუმცა კერძო თუ საჯარო დაწესებულების შენობების აბსოლუტური უმრავლესობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის ჯერაც მიუწვდომელია.

სახალხო დამცველმა წინა წლის საანგარიშო პერიოდში დისკრიმინაციულად მიიჩნია[413] თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალური პარკირების ახალი წესი, რომელიც უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირებს აძლევს. დასახელებულ საკითხზე არ შეცვლილა თბილისის საკრებულოს პოზიცია, რომლის თანახმად, ამგვარი მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან კანონმდებლობა ზოგადად განასხვავებს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდვას, ახალი რეგულაცია კი შეღავათს იმ პირთა წრის მიმართ აწესებს, რომლებიც ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, უფრო მაღალი ხარისხის მხარდაჭერას საჭიროებენ.

უსინათლო პირთა პრობლემები

განსაკუთრებული სიმწვავით დგას მხედველობასთან დაკავშირებული შეზღუდვის მქონე პირების საკითხი. უმეტეს შემთხვევებში, არ არის უზრუნველყოფილი წვდომა ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, რაც დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ყველა სოციალურ სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის გარანტი იქნებოდა. მაგალითად, უსინათლო პირებს დაბრკოლებები ექმნებათ საჯარო რეესტრში, ბანკებსა და სანოტარო ბიუროებში სხვადასხვა გარიგების დადებისას. პრობლემურია, რომ უსინათლო ადამიანებს არ ეძლევათ დამოუკიდებლად დოკუმენტის გაცნობის/ხელმოწერის შესაძლებლობა და, როგორც წესი, მათ სთხოვენ, თანხმობა სხვა პირის ხელმოწერით დაადასტურონ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებები,[414] რომელიც ითვალისწინებს უსინათლო პირის მიერ წერილობითი გარიგების დამოუკიდებლად დადების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ცვლილება სწრაფად გახდეს კანონმდებლობის ნაწილი.

ამასთან, ბრაილის შრიფტის, ჟესტების ენის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციის ან/და სხვა ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენებით ინფორმაციისა და სერვისების უზრუნველყოფის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის

---

[412] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 აპრილის რეკომენდაცია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიმართ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2wNtlbp > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[413] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3bEXnwC > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[414] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/39uMo7u > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

ადმინისტრაციამ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია,[415] რის შედეგადაც, უსინათლო და მცირემხედველი პირები უზრუნველყოფილნი არიან მთავრობის ადმინისტრაციისთვის ბრაილის შრიფტით ან სხვა, ალტერნატიული ფორმით შედგენილი განცხადებით მიმართვის შესაძლებლობით. თუმცა, პრობლემად რჩება, რომ ბრაილის შრიფტით ან სხვა ტექნიკური ალტერნატიული საშუალებით, არ არის ხელმისაწვდომი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია, რის გამოც უსინათლო პირები იძულებულები ხდებიან უარი თქვან ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენლად ყოფნაზე.[416]

7.4. ეროვნება

საბანკო მომსახურების სფეროში კონკრეტული სახელმწიფოების მოქალაქეების მიმართ ბლანკეტური დისკრიმინაციული მიდგომა კვლავ შენარჩუნებულია. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საბანკო მომსახურების სფეროში არსებულ მწვავე პრობლემაზე მიუთითებს ისიც, რომ სახალხო დამცველის ზოგადი წინადადების მიუხედავად,[417] ამ მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა.[418] წინა წლებში, ნიგერიის, ირანის და სირიის მოქალაქეებს დაბრკოლებები ექმნებოდათ საბანკო ანგარიშის გახსნისას, სტუდენტური ბარათის მიღებისას თუ საბანკო ამონაწერის მიღებისას.

საანგარიშო პერიოდში პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა საბანკო ანგარიშის საკომისიოს გაზრდა. ერთ-ერთ შემთხვევაში სს „საქართველოს ბანკმა" ირანის მოქალაქეებისათვის გაზარდა საბანკო ანგარიშის მომსახურების წლიური საკომისიოს ოდენობა. ბანკის განმარტებით,[419] 2018 წლის ნოემბრიდან, საბანკო მომსახურების საკომისიო გაეზარდათ მაღალი რისკის სტატუსის მქონე ქვეყნების რეზიდენტებს/მოქალაქეებს, რაც განპირობებულია გაძლიერებული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და საბანკო მომსახურების პროცესში ბანკის მიერ გასაწევი ადამიანური თუ ფინანსური რესურსების ოდენობით. ამასთან, „კოალიცია თანასწორობისათვის" წევრი ორგანიზაციების მიერ

[415] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის მიმართ, ხელმისაწვდომია: ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2ULas0K>[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[416] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 მაისის რეკომენდაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3axcd8h > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[417] საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საქართველოს ეროვნულ ბანკს, სრული ვერსია იხილეთ: < https://bit.ly/3bHcNAu > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[418] საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 27 აპრილის წერილი №2-14/1389 მოწოდებული წერილის თანახმად, საბანკო მომსახურების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, შესაბამისი სტანდარტები კი - ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ, რაც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ეროვნულმა ბანკმა ასევე აღნიშნა, რომ რიგი შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გამოვლენისა და შემცირების მიზნით.

[419] სს „საქართველოს ბანკის" 2018 წლის 10 დეკემბრის წერილი №07/8154

მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ბანკთან ურთიერთობისას მსგავსი პრობლემები ექმნებათ უკრაინის და ტაჯიკეთის მოქალაქეებსაც.

7.5. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოში კვლავ მძიმე გამოწვევად რჩება. ლგბტ+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არცერთ სფეროში არ არის სათანადოდ დაცული. საზოგადოების ნაწილში არსებული ფობიები და სტიგმები მნიშვნელოვნად ასაზრდოებს თემის წევრების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების კონტექსტში

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით კრიტიკული იყო მდგომარეობა ლგბტ+ თემის წევრეთა გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით. ამ მხრივ, ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა წლიდან წლამდე არ უმჯობესდება. მაშინ, როდესაც უფლებების შეზღუდვის ფაქტები კერძო პირებიდან მომდინარეობს, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო უმოქმედო რჩება და პოზიტიურ ვალდებულებებს ვერ ასრულებს.

აღსანიშნავია 2018 წლის 9 სექტემბერის ინციდენტი, რომელიც საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტნის - გურამ კაშიას მხარდასაჭერად „დინამო-არენაზე" ლგბტ+ თემის წევრთა და მათ მხარდამჭერთა მიერ ლგბტ+ სიმბოლიკის შემცველი ნივთების ტარების აკრძალვას ეხებოდა. ეს მოვლენა, ფაქტობრივად, 2019 წელს თემის გამოხატვის თავისუფლების ჯაჭვური შეზღუდვების საწყისი წერტილი გახდა. აღნიშნულ ინციდენტს მოჰყვა 2019 წლის 18-23 ივნისს „თბილისი პრაიდის" კვირეულის დაგეგმვის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს უარი ორგანიზატორებისთვის უსაფრთხოების გარანტიებზე და 2019 წლის 14 ივნისს განვითარებული მოვლენები, როდესაც „თბილისი პრაიდის" ორგანიზატორებს მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ აქციის ჩატარების საშუალება არ მიეცათ, ვინაიდან ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა აღნიშნული ტერიტორია დაიკავეს. ორი პარალელური აქციის დროს ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან რამდენიმე ინციდენტს და შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი, მათ შორის ლგბტ+ პირთა მხარდამჭერებისა და ჟურნალისტების მისამართით.

სახალხო დამცველის შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონკრეტული ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხეს, რომელიც მიმართული იყო ლგბტ+ ადამიანების და მათი მხარდამჭერების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისაკენ, იმავე სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს, რომელშიც საკუთარი უფლებების დაცვისა და თანასწორობის იდეის მხარდამჭერი ადამიანების გამოხატვის თავისუფლებას განიხილავს. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები ბუნდოვანია - არ ადასტურებს

უფლებათა დაცვის სისტემური ხედვის არსებობას და ფაქტების პოტენციური შედეგების ანალიზს.

საანგარიშო პერიოდში საგანგაშო იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერების მაჩვენებელი, რომელთა აგრესიის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლგბტ+ ადამიანები არიან. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანი იყო, ამ ჯგუფების ლიდერების განცხადებებს სათანადო და სწრაფი სამართლებრივი რეაგირება მოჰყოლოდა. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებო იყო ერთ-ერთი ლიდერის - ლევან ვასაძის განცხადებები.[420] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობა ანტიდემოკრატიული პოლიტიკური მოძრაობების გაძლიერების მიზეზების და ჰომოფობიის პოლიტიკური და სოციალური ეფექტის ანალიზს.

ასევე ყურადსაღები იყო 2019 წლის 8 ნოემბერს კინოთეატრ „ამირანში" ლგბტ+ თემატიკაზე გადაღებული ფილმის ჩვენების დროს განვითარებული მოვლენები. ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა კინოჩვენების ჩაშლის მიზნით აქცია გამართეს, რომლის დროსაც ფიზიკური დაზიანება მიიღეს ფილმის სანახავად მისულმა აქტივისტებმა. პოლიციამ ვერც კინოთეატრთან აგრესიულად განწყობილ დემონსტრანტთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენცია უზრუნველყო და არც მათ აგრესიულ ქმედებებზე ჰქონია სათანადო რეაგირება. აგრესიულად განწყობილმა ჯგუფებმა შეძლეს კინოთეატრის შესასვლელთან მიახლოება, რამაც საკმარისი უსაფრთხო სივრცის პრობლემა წარმოშვა.

სახალხო დამცველის 2019 წლის 4 ნოემბრის მიმართვის[421] საპასუხოდ, 2019 წლის 19 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნულ პერიოდში ლგბტ+ თემის წარმომადგენლების, ასევე მათი მხარდამჭერების, ჟურნალისტების, სახალხო დამცველის და მისი მოადგილის მიმართ განხორციელებულ არაერთ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. ერთ-ერთ შემთხვევაში კი, *2019 წლის 20 ივნისს, მოქალაქე ნ. ჩ. ბრალდებულის სახით*[422] *დააკავეს, გამოძიების ფარგლებში გამოიკვეთა დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციული მოტივი. სასამართლომ ნ. ჩ. წარდგენილ ბრალდებაში*

---

[420] 2019 წლის 14 ივნისს, მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ კონტრაქციის გამართვისას, ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ ის და მისი მხარდამჭერები ლგბტ+ თემის წევრებს აქციის ჩატარების უფლებას არსად მისცემენ, მათ შორის, არც დახურულ სივრცეში. ვასაძის თქმით, თუ პოლიცია ლგბტ+ თემს აქციის ჩატარებას არ აუკრძალავდა და ამის საპირწონედ მათ გაუწევდა წინააღმდეგობას, სამართალდამცველები სიმეტრიულ პასუხს მიიღებდნენ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3bCDpTf > [ბოლოს ნანახია 30.03.2020]. 2019 წლის 16 ივნისს თბილისში გამართულ აქციაზე, ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ „თბილისი პრაიდისა" და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ ქმნის „თვითორგანიზებულ ჯგუფებს" — „სახალხო რაზმებს", რომლებიც, მისი თქმით, ერთი კვირის განმავლობაში *„იპატრულირებენ"* თბილისში. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3bylGMO > [ბოლოს ნანახია 30.03.2020]. ლევან ვასაძემ არამხოლოდ ლგბტ+ პირებსა და მათ მხარდამჭერებს, არამედ პოლიციასაც მიმართა. მისი თქმით, კორდონის გარღვევის სტრატეგიაზე მუშაობენ და, თუ პოლიცია მათ წინააღმდეგობას გაუწევს, „კომბლებით იქნებიან შეიარაღებულნი". ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2o9s36p > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[421] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2QT8c6s > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[422] 2019 წლის 20 ივნისს მას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით.[423]

ლგბტ+ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ ღონისძიებებისთვის სივრცის მოპოვების პრობლემები

სიმპტომურია, რომ ლგბტ+ თემის გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების ხელის შეშლის და სახელმწიფოს მხრიდან ინერტულობის პარალელურად, სახალხო დამცველისადმი თემის წევრების მიერ წარმოდგენილი განცხადებების თანახმად, ლგბტ+ საკითხებზე საჯარო ან/და დახურული ღონისძიებების გასამართად, მათ რამდენიმე დაწესებულებამ უთხრა უარი სივრცის დათმობაზე. განმცხადებლების განმარტებით, დაწესებულებების მესაკუთრეები დისკრიმინაციული მოტივით, სხვადასხვა ფორმალურ არგუმენტებზე დაყრდნობით, ალტერნატიული დროის ანდა სივრცის შეუთავაზებლად, უარს ეუბნებიან ღონისძიებების ჩატარებაზე, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, აღნიშნული პრობლემის სისტემურ ხასიათზე მიუთითებდეს.[424]

7.6. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ხანდაზმულთა პრობლემები სოციალური უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით. მაგალითად, დისკრიმინაციული იყო ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის სამოგზაურო დაზღვევასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც, გარდა იმისა, რომ ბუნდოვნად აყალიბებდა ხანდაზმულთა დაზღვევის შესაძლებლობას, პრაქტიკულად, ცალსახად გამორიცხავდა 70 წელს ზემოთ ადამიანების სამოგზაურო დაზღვევით უზრუნველყოფას.[425]

ამასთან, დისკრიმინაციულია პირის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო გათავისუფლება „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, *მოსამსახურეს, რომელსაც უმცროსი სპეციალური წოდება აქვს, შეუძლია სამსახურში 60 წლის ჩათვლით იმსახუროს.*

---

[423] შენიშვნა: ბრალდებულს სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-64 მუხლების საფუძველზე, პირობითად ჩაეთვალა და გამოსაცდელ ვადად ერთი წელი განესაზღვრა.

[424] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2Ux7PkR > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[425] სახალხო დამცველის გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3dHFRtw > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

7.7. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

შრომით ურთიერთობაში სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ, სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა. მსგავსი ფაქტები შეეხებოდა როგორც სხვადასხვა შრომითი უფლების შეზღუდვის, ისე სამუშაო ადგილზე შევიწროების და ვიქტიმიზაციის შემთხვევებს. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, შრომით ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციას, ყველაზე ხშირად, განსხვავებული მოსაზრების გამო მიმართავენ.

მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის 19 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით, *შევიწროება* განისაზღვრა დისკრიმინაციის ფორმად, და გულისხმობს *ნებისმიერი ნიშნით პირის დევნას, იძულებას, ანდა პირის მიმართ არასასურველ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას*. როგორც განმცხადებლები მიუთითებდნენ, შევიწროება, ძირითადად, გამოიხატებოდა არაეთიკური და შეურაცხმყოფელი კომუნიკაციის ფორმების გამოყენებაში,[426] ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელსა და დასაქმებულს შორის კომუნიკაციის არქონაში, ასევე, სამუშაო ოთახის განცალკევებით, არაკომფორტულ სივრცეში გამოყოფაში. სხვა საქმეებში[427] განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ ხელმძღვანელს სთხოვდნენ წახალისების გამჭირვალე კრიტერიუმების ჩამოყალიბებას, რათა გამორიცხულიყო თანამშრომლების მიმართ სუბიექტური დამოკიდებულებებით წახალისების მექანიზმის გამოყენება, რის შემდეგაც ერთი განმცხადებელი რეორგანიზაციის, ხოლო მეორე - ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა *ვიქტიმიზაცია*[428] შრომით ურთიერთობაში, როდესაც დამსაქმებელმა პირის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-

---

[426] სახალხო დამცველის 2019 წლის 4 ოქტომბრის რეკომენდაცია „კომპანია ბლექ სი გრუპის" მიმართ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ayaccf > [ბოლოს ნანახია 31.03.2020].

[427] სასამართლოს მეგობრის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს განსხვავებული მოსაზრების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2yevFIL> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს განსხვავებული მოსაზრების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2Jpql7O> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[428] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, „აკრძალულია ნებისმიერი პირის მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან".

ერთ საფუძვლად მის მიერ სახალხო დამცველისთვის მიმართვა დაასახელა.[429] სახალხო დამცველისათვის მომართვის გამო პირის გათავისუფლება საშიშ პრეცედენტს ქმნის. მან, შესაძლოა, სამომავლოდ მსუსხავი ეფექტი იქონიოს სხვა პირებზე და უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების გამოყენებისთვის დამაშინებელ გარემოებად იქცეს.

რაც შეეხება დისკრიმინაციული მოტივით შრომითი უფლებების დარღვევის სხვა შემთხვევებს, ფორმალური სამართლებრივი საფუძვლით დისკრიმინაციული მოპყრობის დაფარვის მცდელობა გამოვლინდა მედია სფეროში.[430] ერთ-ერთ საქმეში, განმცხადებლის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული განსხვავებული მოსაზრება ტელეკომპანიამ კორპორატიული ინტერესის დარღვევად შეაფასა და შრომითი ურთიერთობის დასრულების საფუძვლად მიიჩნია. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჟურნალისტები ასევე დავობდნენ „რუსთავი 2"-ის მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ განსხვავებული მოსაზრების გამო, მათი გათავისუფლების შესახებ.

7.8. დისკრიმინაცია სოციალური უსაფრთხოების სფეროში

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით თანასწორობის პრინციპის დაცვით სარგებლობა ამ საანგარიშო პერიოდშიც გამოწვევა იყო. ერთი მხრივ, პრობლემურია, რომ ცენტრალურ დონეზე არსებული პროგრამების უმრავლესობა სარგებლობიდან გამორიცხავს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს; მეორე მხრივ, დისკრიმინაციულ კრიტერიუმებს ვხვდებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში სამიზნე ჯგუფების განსაზღვრისას.

მუდმივი ბინადრობის მქონე პირების მიერ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის პრობლემა

სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა მიერ, კვლავ გამოწვევად რჩება. სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ჯანდაცვის თუ სოციალური პროგრამები, რომლებიც შეღავათებს აწესებენ პროგრამით მოსარგებლეთათვის, ძირითად შემთხვევაში, ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის და გაუმართლებლად გამორიცხავს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს, რომლებსაც, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის მიზნებისათვის, ისეთივე წვლილი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

[429] სახალხო დამცველის 2018 წლის 5 მარტის რეკომენდაცია თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის მიმართ ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3dKHxT2 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[430] სახალხო დამცველის 2019 წლის 8 ოქტომბრის რეკომენდაცია ტელეკომპანია „იმედის" მიმართ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2UwDBhu> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

მუნიციპალიტეტების ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები

სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველია რიგი მუნიციპალიტეტების მიერ შემოთავაზებული ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებიც. აღნიშნული პროგრამები სხვადასხვა ჯგუფებს სარგებლობიდან გამორიცხავს, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის ან სამართლებრივი სტატუსის (ქორწინების რეგისტრაციის დოკუმენტის მოთხოვნა) საფუძველზე. ზოგიერთი პროგრამა, სამიზნე წრის განსაზღვრისას, ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფების მიმართ სტიგმის გაძლიერებას.

ამასთან, მუნიციპალიტეტების დონეზე არსებული სოციალური პროგრამების ანალიზის საფუძველზე, აღსანიშნავია მოცემული პროგრამების დეტალიზებული ხასიათი, რომელმაც შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, სხვა, მსგავსი საჭიროების მქონე ადამიანები სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამების მიღმა დატოვოს.

7.9. დისკრიმინაციის წახალისება

დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების მხრივ, სამწუხაროდ, არც ეს საანგარიშო პერიოდი იყო გამონაკლისი. სხვადასხვა ჯგუფების თანასწორუფლებიანობაზე უარყოფითი ეფექტის მქონე რეპლიკებს, ძირითადად, პოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად მიმართავდნენ. ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული მოსაზრებების სოციალური ქსელით გავრცელების შემთხვევებსაც. დისკრიმინაციის წამახალისებელი გარემო ცალსახად შესამჩნევია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების, ლგბტ+ თემის[431] და ქალების მიმართ.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური დამოკიდებულება, რაც ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკოს ქალთა წინააღმდეგ, პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენება.[432]

---

[431] პარლამენტარ ალექსანდრე ერქვანიას ჰომოფობიური გამონათქვამი - *„უნდა აიკრძალოს მამათმავლობისა და მსგავსი გარყვნილებების პროპაგანდა"*, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/33k8WVC 1. [ბოლოს ნანახია 30.03.2020]; ქუთაისის საკრებულოს წევრის, ალექსანდრე ახალაძის ჰომოფობიური გამონათქვამი, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/33lfuTS 1. > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].; ყვარლის საკრებულოს წევრის, ნინო ხუციშვილის ჰომოფობიური, დისკრიმინაციული გამონათქვამები, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XQiW7L> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].; სამტრედიის საკრებულოს სოფელ მელაურის რწმუნებულის, სოფიკო კიკაჩეიშვილის ჰომოფობიური კომენტარი *„[...] ცისფერები, ლეზბიანკები, პიდარასტები ყავენ იქ და ნაციონალები [...]"*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QUVtRp> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[432] მაგალითად, მამუკა ხაზარაძის სექსისტური კომენტარი მაია ცქიტიშვილის მიმართ - *„[...]* შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ მე არ ვიცი, რა გამოცდილება ჰქონდა მას წინა ცხოვრებაში, როცა ამ მილიარდებს აბარებენ [...]", ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2qB2HQ5 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, თამაზ ფაცაციას სექსისტური კომენტარი

სახალხო დამცველის ყურადღება მიიქცია ასევე პარლამენტის ცალკეულ წევრთა ქსენოფობიურმა გამონათქვამებმა.[433] მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სამუშაო შეხვედრაზე, პარლამენტარმა ემზარ კვიციანმა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელს გაბრაზებით მიმართა, რომ თუ საქართველოს მოქალაქე იყო, ქართულად ესაუბრა.

7.10. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ხარვეზები და პოლიციელების დისკრიმინაციული დამოკიდებულება

სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კონტექსტში, 2019 წელსაც სიმბოლურ მოვლენად დარჩა ვიტალი საფაროვის მკვლელობის შემთხვევა, რომელიც, ბრალდების მხარის მცდელობის მიუხედავად, სასამართლომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციულ დანაშაულად არ მიიჩნია. ცხადია, სახალხო დამცველს არ შეუფასებია სასამართლოს მიერ ფაქტების და სამართლის გამოყენების სისწორე, თუმცა, სააპელაციო ინსტანციაში, სასამართლოს მეგობრის მოსაზრების[434] სახით, წარადგინა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტები და ინდიკატორები, რომლებიც დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად გამოიყენება.

რაც შეეხება დისკრიმინაციული დანაშაულების გამოძიებას და პრევენციას, აღნიშნული კვლავ სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, კონკრეტული დაუცველი ჯგუფების საზოგადოებაში არსებული მიმღებლობის დაბალი მაჩვენებელი და უარყოფითი სტერეოტიპები, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების არასაკმარისი მზაობა, ამგვარი შემთხვევები შესაძლო თანასწორუფლებიანობის შელახვის კონტექსტში შეაფასონ, გამოძიების პროცესში სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთად. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დანაშაულის გამოძიებისას სავარაუდო სიძულვილის გამოკვეთას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულების, არამედ მომავალში მსგავსი დანაშაულის პრევენციისთვისაც. ამგვარი დანაშაულების მსხვერპლები, ამ საანგარიშო პერიოდში, უმეტესწილად იეჰოვას მოწმეები და ლგბტ+ თემის წარმომადგენლები არიან.

იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების დიდი ნაწილი შეეხება როგორც ძალადობრივ, ისე სხვა სახის ქმედებებს. სახალხო დამცველის

თინა ბოკუჩავას მიმართ: „თინა ბოკუჩავამ, ისეთი განათლებული ვარო, მიშამ პირდაპირ პარლამენტში „დამამთავრებინა“, ბოდიში, გამათავებინაო უნივერსიტეტიო“, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2R3O68Y > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[433] პარლამენტარ ალექსანდრე ერქვანიას ქსენოფობიური დამოკიდებულება საქართველოს მეზობელი ქვეყნების მიმართ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33k8WVC> [ბოლოს ნანახია 30.03.2020]; პარლამენტარ ემზარ კვიციანის რეპლიკა მირტაგ ასადოვს, რომ თუ საქართველოს მოქალაქე იყო, ქართულად ესაუბრა, სახალხო დამცველის 2019 წლის 16 აგვისტოს რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2R4Omo0> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[434] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2wC7Fix >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

წარმოებაში არსებული მსგავსი ფაქტების თანახმად, როგორც წესი, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, ქადაგების დროს - ქუჩაში სტენდთან მდგომი ანდა კარდაკარ მოსიარულე იეჰოვას მოწმეები. იეჰოვას მოწმეები ასევე უთითებენ სტენდებისთვის ცეცხლის წაკიდების და რელიგიური ლიტერატურის განადგურების ფაქტებზე. სახალხო დამცველი გაუმჯობესებულ ტენდენციად მიიჩნევს, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესწავლისას, განსაკუთრებით იეჰოვას მოწმეთა მიმართ განხორციელებული დანაშაულების შემთხვევაში, წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც თავის თავში მოიცავს სიძულვილის მოტივს, თუმცა, ამ პროცესს სამართლებრივ ეფექტიანობას უკარგავს დროში გაჭიანურებული შესწავლა.

რაც შეეხება ლგბტ+ თემის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს, ისინი ძირითადად ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში გამოიხატება, ამასთან, ხშირია სამართალდამცავთა მხრიდან ვერბალური შეურაცხყოფის ფაქტები, მაგალითად, როდესაც ტრანსგენდერ ქალს მის პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სახელით მიმართავენ, ანდა უარს ამბობენ, მათ მიმართ განხორციელებულ შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტზე სათანადო რეაგირება მოახდინონ.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს:

- არსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის, საქართველოს მოქალაქეთა თანასწორად
- უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად დამდგარი ორსულობის შემთხვევაში, დაფინანსების და ორსულობის შეწყვეტისთვის საკმარისი იყოს სექსუალური ძალადობის საქმეზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი გამოძიება
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით და შესაბამისი ცვლილება შეიტანოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებაში
- მოამზადოს საქართველოს ორგანულ კანონში, „შრომის კოდექსი", და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომლითაც

გათვალისწინებული იქნება სუროგატი დედის და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლების მიერ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, შესაბამისად, შვებულებით სარგებლობის საკითხი და მოახდინოს მომზადებული კანონპროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში

- სამედიცინო დაწესებულებებს გაუწიოს ეფექტიანი ზედამხედველობა, ქალის საშვილოსნოს მილების გადაკეტვისას (სტერილიზაცია) მისი მეუღლის/პარტნიორის თანხმობის მოთხოვნის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტისთვის გაწეული საქმიანობის შესახებ წარდგენილ ანგარიშში, ასახოს ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით

საქართველოს ეროვნულ ბანკს:

- შეიმუშაოს მარტივად განჭვრეტადი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის კომერციული საბანკო მომსახურების მიღებას დისკრიმინაციის გარეშე, მომხმარებლის მოქალაქეობის მიუხედავად

8. გენდერული თანასწორობა

8.1. შესავალი

საქართველოში გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ გამოწვევად რჩება. ბოლო წლებში საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების გასაძლიერებლად გადადგმული არაერთი ნაბიჯის მიუხედავად, პრობლემად რჩება პოლიტიკურ დღის წესრიგში გენდერული თანასწორობის საკითხების ასახვა. განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული პროექტების, პროგრამებისა და ინიციატივების სიმცირე, როგორც მთავრობის, ისე თვითმმართველი ერთეულების დონეზე.

გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების სიმცირე. გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების (ფემიციდის) საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მთავარი გამოწვევაა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმების არარსებობა.

2019 წელს არ გაუმჯობესებულა ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა; სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა პოზიტიური ნაბიჯები ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების შესამცირებლად. ამასთან, სახელმწიფო ვერ ახერხებს ეფექტიანად უპასუხოს ანტიგენდერული ჯგუფების გაძლიერებას, რაც პირდაპირ კავშირშია ლგბტ+ ადამიანების ჩაგვრასთან, ძალადობასა და დისკრიმინაციასთან.

8.2. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორია. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე.

2019 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის[435] მიხედვით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით, 153 ქვეყნიდან, საქართველო 94-ე ადგილს იკავებს, ხოლო პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების[436] მიხედვით, 140-ე ადგილს იკავებს 22 ქალით პარლამენტში[437].

---

[435] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < http://tiny.cc/9afyiz > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 20 იანვარს].

[436] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2PPlosC > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 20 იანვარს].

[437] მონაცემები ასახულია 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით. 2020 წლის 5 მარტის მდგომარეობით, საქართველოს პარლამენტში 21 ქალი პარლამენტარია. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PMpf9l > [ბოლოს ნანახია 2019 წლის 5 მარტს].

კრიტიკულად დაბალია ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, მათ შორის, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში. რაც მეტწილად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ამ დრომდე არ შესრულებულა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის[438] რეკომენდაცია სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმის შემოღებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატი ყოველწლიურად აანალიზებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში ქალთა მონაწილეობის სტატისტიკას. 2019 წელს, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[439], სამინისტროებში დასაქმებულია 5.707 ქალი და 21.804 კაცი. ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა გენდერული განაწილება კი შემდეგია: 294 ქალი, 1004 კაცი[440]. 11 მინისტრიდან 5 ქალია, 2 მათგანი კი ვიცე-პრემიერი.





გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის და ქალთა თანაბარი მონაწილეობის მიღწევის პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრია თვითმმართველ ორგანოებში ინსტიტუციური მექანიზმების არსებობას და გაძლიერებას. 2019 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის შეფასების[441] ფარგლებში, გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობა და ქალების საჭიროებები

[438] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://tiny.cc/zbmtjz > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 10 თებერვალს].

[439] საჯარო სამსახურის ბიუროს წერილი №g655; 27.01.2020.

[440] სამინისტროებში დასაქმებულთა სქესის ნიშნით განაწილება ძირითადად თანაბარია, თუმცა, სურათს მკვეთრად ცვლის შსს-ს არათანაბარი დასაქმების პრაქტიკა (20705 კაცი და 4171 ქალი). საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემებით, 2020 წლის იანვრის მდგომარეობით, შსს-ში დასაქმებულთა 83% კაცია. ამასთან, ეს მონაცემები უნდა განვიხილოთ იმ ჭრილში, რომ საჯარო სამსახურში (სულ 27511 საჯარო მოხელე) შსს ყველაზე დიდი დამსაქმებელია. აღნიშნული მონაცემების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ ქალთა რაოდენობა დაბალია.

[441] კვლევა ჩატარდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერილი პროექტის, „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“, ფარგლებში.

შეისწავლა.[442] აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა საქართველოს 64 მუნიციპალიტეტიდან 57-ს აქვს შემუშავებული[443]. ამ მუნიციპალიტეტების უმრავლესობას (53%) მიღებული აქვს გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმები[444].

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პრობლემად რჩება გენდერულ პოლიტიკაში რეგიონების განსხვავებული საჭიროებების ასახვა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ სისტემატიზებული, საჭიროებებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმების და პროგრამების შემუშავება. განსაკუთრებული პრობლემაა გენდერის საბჭოს წევრების მგრძნობელობის ამაღლება და მათი გენდერის ძირითადი საკითხების შესახებ ცოდნით აღჭურვა.

თვითმმართველი ერთეულებისთვის კვლავ პრობლემად რჩება გენდერული ბიუჯეტირების საკითხების ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენება. აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოების 61%-ს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი არ გააჩნიათ.

გარდა პოლიტიკური მონაწილეობისა, პრობლემას წარმოადგენს ქალთა საჭიროებების გათვალისწინება პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში. ამ მიმართულებით, ძირითადად თავს იჩენს ქალების უარყოფითი გამოცდილება მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობისას, კერძოდ, ბიუროკრატიულ პროცედურებსა და ინტერესის ნაკლებობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობა ინფორმირებულია პრობლემის შესახებ.

უნდა აღინიშნოს ქალთა თანაბარი მონაწილეობისა და ჩართულობის პრობლემა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში[445], სადაც დამატებითი ბარიერი ენის არცოდნაა.

---

[442] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2R0qYZA >[ბოლოს ნანახია 31.03.2020].

[443] ინფორმაცია მიღებულია 2019 წლის მაისის მდგომარეობით. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა შემუშავებული არ აქვთ შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ლენტეხი, მესტია, ფოთი, აბაშა, თიანეთი, თერჯოლა და ხონი.

[444] 15 მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმა; 4 მუნიციპალიტეტს - 2019 წლის, 6 მუნიციპალიტეტს - 2018-2020 წლის. ხოლო 2018 და 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა მხოლოდ 1 მუნიციპალიტეტს აქვს.

[445]კვლევის ფარგლებში პრობლემა გამოვლინდა სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. მაგალითად, საგარეჯოში, იორმუღანლოს თემის შეხვედრაზე, ქალებმა განაცხადეს, რომ სოფლის პროგრამების პროექტების განხილვას ქალები საერთოდ არ ესწრებოდნენ, შესაბამისად, საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებაში მათი საჭიროებები არ ასახულა.

8.3. ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომითი უფლებები

„გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის" მიხედვით[446], აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებლით საქართველო 2019 წელს დაწინაურდა[447] და 153 ქვეყანას შორის 61-ე ადგილი დაიკავა. თუმცა კვლავ განსხვავდება სქესთა შორის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლის თანაფარდობა; კაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი ორჯერ აღემატება ქალისას და შეადგენს 13.2 (ათასი) აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალები საშუალოდ 6.5 (ათასი) აშშ დოლარს გამოიმუშავებენ. ამავე წყაროს მიხედვით, გაუარესდა თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურების მაჩვენებელი და საქართველომ 69-ე ადგილიდან 73-ე ადგილზე გადაინაცვლა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2019 წელს ჩატარებული მონიტორინგი[448] ცხადყოფს, რომ ქალების ძირითადი შემოსავლის წყაროა საჯარო სამსახური, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სოფლის მეურნეობა, ტურისტული ბიზნესი, საცალო და საბითუმო ვაჭრობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მიწათმოქმედება, სამკერვალო, სერვისის სფერო, სეზონური სამუშაოები და პენსია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რეგიონებში ძალიან მაღალია მიგრაციის ფემინიზაციის მაჩვენებელი.

სოფლად მცხოვრები ქალებისთვის პრობლემას წარმოადგენს პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და სასწავლებლების სიმცირე.[449] გარდა ამისა, გამოწვევაა მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობაც, რაც ორმაგად ართულებს სოფლად მცხოვრები ქალების ხელმისაწვდომობას განათლების უფლებაზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერად ქალისთვის კვლავ რჩება ოჯახზე ზრუნვის ტვირთი. კვლავ პრობლემაა კაცების მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა და ეს საკითხი ბავშვის აღზრდის პროცესში, საზოგადოებაში დამყარებულ, კაცის როლის გამომრიცხავ სტერეოტიპულ შეხედულებებსა და წინასწარ განწყობებს უკავშირდება. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობა პრობლემაა კერძო სფეროში დასაქმებული ქალებისთვისაც, ვინაიდან საკანონმდებლო ჩარჩო, საჯარო სამსახურისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს კერძო

---

[446] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://tiny.cc/9afyiz > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 20 იანვარს].

[447] იმავე წყაროს მიხედვით, 2018 წელს, საქართველო, ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მიმართულებით, 149 ქვეყანას შორის 85-ე ადგილს იკავებდა.

[448] მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის შეფასება განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, პროექტის, „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის", ფარგლებში, ლინკი ანგარიშზე.

[449] პროფესიული სასწავლებლები არსებობს შემდეგ მუნიციპალურ ერთეულებში: ქობულეთი, ჩოხატაური, ქუთაისი, ალვანი, კაჭრეთი, დედოფლისწყარო, ამბროლაური, ახალციხე.

სფეროში სავალდებულო ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო და იგი მხოლოდ დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.[450]

საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შემაფერხებელი მრავალი მიზეზი არსებობს, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია უძრავი ქონების ფლობის მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც კაცები 2-ჯერ უფრო ხშირად არიან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დოკუმენტირებული მფლობელები, ვიდრე ქალები. აღნიშნული მაჩვენებელი პრობლემად რჩება როგორც ქვეყნის დონეზე, ისე ქალაქისა და სოფლის ჭრილში.[451] [452]

ქალთა ეკონომიკური აქტივობისა და მათი შრომითი უფლებების რეალიზების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების უფლებრივი მდგომარეობა. მართალია, შეიცვალა მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრის და შეწყვეტის საფუძველი, თუმცა დახმარების პროგრამები კონკრეტული მუნიციპალიტეტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და შესაბამისი მატერიალური გარანტიების შექმნას ქვეყნის მასშტაბით ვერ უზრუნველყოფს. ასევე, მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსის განსაზღვრის შედეგად დაწესებული სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პირობები ვერ ფარავს მრავალშვილიანი ოჯახების საჭიროებებს.

8.4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებას, რადგან კვლავ პრობლემად რჩება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2019 წელს, მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, განახორციელა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შუალედური შესრულების მონიტორინგი, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2018 წელს დაამტკიცა.[453]

---

[450] საჯარო და კერძო დასაქმების სფეროში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების არაერთგვაროვანი პრაქტიკის შესახებ, დეტალურად იხილეთ თანასწორობის უფლების თავში, ქალთა თანასწორუფლებიანობის ჭრილში.

[451] ქალი და კაცი საქართველოში: სტატისტიკური პუბლიკაცია. 2019. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/38q3Zgy > [ბოლოს ნანახია 22.01.2020].

[452] მიწის არ ფლობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შეზღუდული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და მატერიალური ხარჯები, პროგრამაში, „დანერგე მომავალი" მონაწილეობისთვის, ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ბარიერად დასახელდა. პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2TCZeuB > [ბოლოს ნანახია 05.03.2020].

[453] საქართველოს მთავრობის დადგენილება №173; 2018 წლის 10 აპრილი; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2Q2Jxfo > [ბოლოს ნანახია 10.03.2020].

ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას განსაკუთრებული როლი აკისრია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომლის მხრიდან ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გენდერულ მეინსტრიმინგს, რაც აისახება შიდა დოკუმენტების შექმნასა და თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მომუშავე ქალების აქტიურ მონაწილეობაში; ასევე, სხვადასხვა სწავლებებსა და სამშვიდობო მისიების განხორციელების პროცესებში.

გასულ წლებთან შედარებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროში ეს მონაცემი კრიტიკულად დაბალია.[454] ამასთან, კვლავ პრობლემად რჩება უწყებებში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება.

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" ეროვნული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია ლოკალიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს აქტიურ თანამშრომლობას სამიზნე მუნიციპალიტეტებთან[455], და მისი მიზანია რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობების როლისა და შესაძლებლობების გაძლიერება, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობა და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, ეროვნული სამოქმედო გეგმის მიმართულებით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტებს კვლავ უჭირთ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებული როლისა და საჭიროებების დანახვა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ძირითადად საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მართავენ დევნილ და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან, ხოლო მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული კონკრეტული აქტივობა საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

დადებითად უნდა აღინიშნოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროექტებისა და პროგრამების არსებობა. 2019 წელს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაფინანსებული პროექტების 17% უშუალოდ მოიცავს ქალთა საკითხებს, ან ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის წარდგენილი. [456]

საანგარიშო პერიოდში პრობლემად რჩება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალთა და გოგონათა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ

---

[454] ბაზისი: თავდაცვის სამინისტრო - 32%, 2019 წლის მდგომარეობით - 35.1%; შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3%, 2019 წლის მდგომარეობით - 7%; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი MOD 8 20 00104098. 31.01.2020; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 8 20 00380677 12.02.2020.

[455] ლოკალიზაციის პროცესში შერჩეული მუნიციპალიტეტები: დუშეთი, გორი, ქარელი, კასპი, ხაშური, საჩხერე, სტეფანწმინდა, წალენჯიხა, წყალტუბო; ზუგდიდი.

[456]შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №135. 22.01.2020.

ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ უწყებებთან ერთად, მუნიციპალიტეტებმა დაინახონ საკუთარი როლი, განსაზღვრონ რესურსი და შესაძლებლობა, დევნილი და ე.წ. გამყოფ ხაზთან მცხოვრებ პირთა საჭიროებების გამოსაკვეთად და პრობლემების მოსაგვარებლად.

8.5. ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

ვითარება ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად.

დედათა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების კუთხით არსებული წინსვლის მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევები ამ მიმართულებით. კერძოდ, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული სისტემური ხედვა მშობიარობის შემდგომი სამედიცინო ზრუნვის შესახებ. სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდეგ ფსიქოლოგიური დახმარების სერვისს. პრობლემას წარმოადგენს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე მორგებული სახელმწიფო პროგრამის არარსებობა; ამასთან, დისკრიმინაციულია ქალის საშვილოსნოს მილების გადაკეტვის (სტერილიზაციის) და ე. წ. „ქალიშვილობის ტესტის" პრაქტიკა.[457]

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ საქართველოს რეგიონებში ჩატარებულმა საინფორმაციო შეხვედრებმა გამოკვეთა ინფორმირებულობის დაბალი დონე არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ. კერძოდ, იმ ქალების ნაწილი, რომლებიც უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში ყოფილან ორსულად, აღნიშნავდა, რომ ორსულობის დროს არ მოხდა მათი საკმარისად ინფორმირება დედათა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სერვისების შესახებ. ქალების ნაწილის თქმით, მათ არ ჰქონიათ ინფორმაცია 8 უფასო ანტენატალური ვიზიტის შესახებ და ხშირ შემთხვევაში, თავადვე ფარავდნენ კონსულტაციების საფასურს.[458]

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებიდან იკვეთება, რომ საქართველოს ზოგიერთ ქალაქში მცხოვრები ქალისთვის, კვლავ პრობლემაა მშობიარობის სერვისის ტერიტორიული მისაწვდომობა.[459]

---

[457] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია თანასწორობის უფლების თავში.

[458] აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა 2019 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში საქართველოს შემდეგ რეგიონებში: კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (მათ შორის, მაღალმთიან აჭარაში), დუშეთში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და სამეგრელოში. სულ ჩატარდა 19 საინფორმაციო შეხვედრა.

[459] ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, სახალხო დამცველის აპარატი, 2019, გვ. 27.

კვლავ გამოწვევად რჩება წვდომა კონტრაცეპტივებზე, მათთან დაკავშირებულ სერვისებსა და ინფორმაციაზე, რაც მნიშვნელოვნად არის განპირობებული კონტრაცეპტივებთან, და ზოგადად, ქალის სექსუალობასთან დაკავშირებული სტიგმით. აღნიშნული უარყოფითად აისახება ეთიკურ ურთიერთობაზე ჯანდაცვის სერვისის გამცემსა და მიმღებს შორის, და ხშირად საექიმო კონფიდენციალობის დარღვევაში გამოიხატება.

კონტრაცეპტივებზე, მასთან დაკავშირებულ სერვისებსა და ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა შედეგად იწვევს არასასურველ ორსულობას და აბორტს. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ორსულობის 12 კვირის ვადამდე, სამედიცინო ჩვენების გარეშე, ქალის სურვილით ჩატარებული ხელოვნური აბორტების რაოდენობამ 11,419 შეადგინა.[460]

აბორტის უსაფრთხო სერვისზე, როგორც ტერიტორიული, ისე ფინანსური წვდომა, კვლავ პრობლემად რჩება; სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, ასევე გამოიკვეთა ქალების ინფორმირებულობის უკიდურესად დაბალი დონე ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სერვისის ირგვლივ არსებული ეროვნული კანონმდებლობის შესახებ. კერძოდ, ქალთა დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ მათი ინფორმაციით, საქართველოში აბორტი კანონით აკრძალულია.[461] მეტიც, იმ ქალთა დიდი ნაწილი, ვინც ამ ინფორმაციას გვაწვდიდა, ამბობდა, რომ აბორტის არალეგალურობის შესახებ მცდარი ინფორმაცია სამედიცინო სერვისის გამცემმა (უმეტესწილად, გინეკოლოგმა) მიაწოდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარმა მცდარმა ინფორმაციამ ქალებს, შესაძლოა, უბიძგოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებას კი არ მიმართონ, არამედ არალეგალური აბორტის გზა აირჩიონ, რაც საფრთხის შემცველია მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის.

უსაფრთხო აბორტზე წვდომის ბარიერებიდან აღსანიშნავია ჯანდაცვის სერვისის გამცემ დაწესებულებებში აბორტთან დაკავშირებული სტიგმა, რომელიც, ერთი მხრივ, უბიძგებს მათ, არ გასცენ აღნიშნული სერვისი და მეორე მხრივ, სხვადასხვა არაეთიკური გზებით შეეცადონ, ორსულს შეაცვლევინონ აბორტთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

კვლავ გამოწვევად რჩება ჯანდაცვის სერვისის გამცემი პირების ინფორმირებულობის დაბალი დონე იმ რეგულაციების შესახებ, რომლებიც სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ახალგაზრდებისათვის მისაწვდომობას უკავშირდება, კერძოდ, ჯანდაცვის სპეციალისტები არ ფლობენ ინფორმაციას 14 წელს მიღწეული პაციენტის მიერ ინფორმირებული თანხმობის დამოუკიდებლად გაცემის შესაძლებლობის

[460] ორსულობის 12 კვირის ვადამდე, სამედიცინო ჩვენების გარეშე, ქალის სურვილით ჩატარებული ხელოვნური აბორტების რაოდენობა 2018 წელს იყო 12,404, ხოლო 2017 წელს - 14863; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 14 თებერვლის №01/1881 წერილი.

[461] 2019 წლის შემოდგომაზე, სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, UNFPA-ს ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ქალებთან, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ.

შესახებ, რაც რისკის ქვეშ აყენებს მოზარდების წვდომას კონფიდენციალური ჯანდაცვის სერვისებზე.

კვლავ შემაშფოთებელია ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული კანონმდებლობა, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულში აბორტის ნებისმიერი მიზეზით, სრულ აკრძალვას ითვალისწინებს.[462]

გამოწვევად რჩება ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების კომპონენტის ფორმალური განათლების სისტემაში სრული ინტეგრირება. როგორც სახალხო დამცველის კვლევამ ცხადყო, მოზარდები სრულად უჭერენ მხარს განათლების აღნიშნული კომპონენტის დანერგვას სკოლებში და მეტიც, ამას მოიაზრებენ საკუთარ უფლებად.[463] მიუხედავად ამისა, სასკოლო კურიკულუმებში ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების მხოლოდ ნაწილია ინტეგრირებული, რაც ძირითადად ადრეულ ორსულობას, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებსა და სქესთან დაკავშირებულ ფიზიოლოგიურ ასპექტებს მოიცავს. ყოველივე ეს სექსუალობის შესახებ განათლების მხოლოდ მცირე ნაწილია და მასთან ერთად, უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა გენდერი და ძალაუფლებრივი უთანასწორობები, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რასა, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და სხვ.[464]

8.6. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული ინფორმაციით, საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლები ხდებიან როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ასევე, საქართველოს მოქალაქეები საქართველოს საზღვრებს გარეთაც. ანგარიშის თანახმად, ტრეფიკინგის ჩამდენი პირები მსხვერპლებს კარგ ანაზღაურებას პირდებიან ჩაის გადამამუშავებელ ქარხნებში, საავადმყოფოებში, სალონებში, რესტორნებსა და სასტუმროებში.[465]

ანგარიშის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები იძულებით შრომას ექვემდებარებიან როგორც საქართველოში, ისე კვიპროსში, ეგვიპტეში, ერაყში, თურქეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. ქართველი ქალები და გოგოები სექს-ტრეფიკინგის მსხვერპლები ხდებიან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე თურქეთში, შედარებით ნაკლებად, ჩინეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში.

საქართველო კვლავ რჩება ტრანზიტულ ქვეყანად ყირგიზი, ტაჯიკი და უზბეკი ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისთვის, რომლებსაც ექსპლუატაციას თურქეთში უწევენ.

---

[462] აღნიშნულთან დაკავშირებით, ვრცლად იხილეთ წინამდებარე ანგარიშში კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის თავში.

[463] სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება, სახალხო დამცველი, 2018 წელი, გვ. 58.

[464] იქვე. გვ 49.

[465] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/2GrV7LK > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

აზერბაიჯანელი და ცენტრალური აზიის ქვეყნების წარმომადგენელი ქალები ჩართული არიან სექს-ტრეფიკინგში აჭარის რეგიონის ტურისტულ ადგილებში და ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი და ბათუმი. აქ ისინი მუშაობენ საუნებში, სტრიპტიზ-კლუბებში, კაზინოებსა და სასტუმროებში. ამასთან, ჩინელი და სამხრეთ აზიელი ქალები, რომლებიც მასაჟს აკეთებენ, სექსუალური დანაშაულის მიმართ მოწყვლადები არიან.

ანგარიშის თანახმად, საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს და კვლავ პირველ კალათაში ინარჩუნებს ადგილს. მიუხედავად ამისა, პრობლემურია ტრეფიკინგის შემთხვევების გამოვლენის დაბალი მაჩვენებელი, დანაშაულის პროაქტიულად გამოსავლენად, კვლავაც გასაძლიერებელია მუშაობა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის განმავლობაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 21 სავარაუდო ფაქტზე დაიწყო გამოძიება[466], ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 27 პირის მიმართ, სავარაუდო ტრეფიკინგის 5 საქმეზე.[467]

გამოვლენილი შემთხვევების მცირე რაოდენობასთან ერთად, მცირეა იმ პირთა რიცხვიც, რომლებმაც ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების სერვისებით ისარგებლეს:



მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გააძლიეროს ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების პოპულარიზაცია და იზრუნოს მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაზე. გარდა ამისა, საჭიროა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურება თავშესაფრებში დაიხვეწოს და ტრეფიკინგის მსხვერპლი ბენეფიციარების საჭიროებებს მოერგოს. როგორც სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგისას ვლინდება, ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრები ძირითადად ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებზეა მორგებული და ფსიქო-

[466] რომელთაგან 19 სავარაუდო ფაქტი ჩადენილია საქართველოში, ხოლო 2 სავარაუდო ფაქტი ჩადენილია თურქეთის რესპუბლიკაში.

[467] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი №1179, 27/იანვარი/2020 წ.

სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებთან დაკავშირებული სერვისების გაცემა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის კვლავ გამოწვევად რჩება.

8.7. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

მისასალმებელია, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ყოველწლიურად იხვეწება კანონმდებლობა და რეაგირების მექანიზმები, თუმცა მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო მეტი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის კუთხით და პრობლემასთან კომპლექსურად საბრძოლველად.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე სოციალური მუშაობის მიმართულებით, კონკრეტული ღონისძიებები ამ დრომდე არ გატარებულა. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები აჩვენებს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სოციალური სამსახურისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობები პრაქტიკულად არ სრულდება. სოციალური მუშაკების მხრიდან რეაგირება უმეტესად ერთჯერად, ფორმალურ ხასიათს ატარებს, ოჯახთან ძალადობის დაძლევის მიზნით მუშაობა და საქმის სრულყოფილად გაანალიზება კი არ ხდება. შესწავლილი საქმეები მეტყველებს სოციალური მუშაკების პროფესიული გადამზადებისა და სოციალური მომსახურების სახელმძღვანელო წესების შემუშავების საჭიროებაზე, იმისათვის რათა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევების თავიდან აცილებას და მართვას წარმატებული ხასიათი ჰქონდეს.

სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, წლების განმავლობაში, სტატისტიკის შეგროვების და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტი არ შემუშავებულა. ამასთან, რიგი უწყებები არც აწარმოებენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ სრულყოფილ სტატისტიკას.[468] კვლავ პრობლემურია მოძალადისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.[469]

---

[468] მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ცალკე არ ამუშავებს ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის (დანაშაულის) სტატისტიკას, ასევე, არ წარმოებს ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული სრულყოფილი სტატისტიკა. კერძოდ, შსს-ს მიერ ცალკე არ აღირიცხება ქორწინების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტები, აღნიშნული მონაცემი დამუშავდა შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, განმეორებითი მიმართვის შემდგომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე, არ აწარმოებს სრულყოფილად ოჯახში ძალადობის სტატისტიკას.

[469]რეაბილიტაციის გავლა არასავალდებულო ხასიათს ატარებს, ამასთან, არც ძალადობრივი ქცევის მართვის არსებული პროგრამა შეფასებულა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია თუ რამდენი მსჯავრდებული და პრობაციონერი იყო ჩართული ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამაში, თუმცა პასუხი არ მოგვეწოდა (N 08-2/434, 15/01/2020; N 08-2/2384, 27/02/2020).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, კვლავ გაზრდილია ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენის და მათზე რეაგირების მაჩვენებელი:



აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტზე, გამოიცა 557 შემაკავებელი[470] და 102 დამცავი[471] ორდერი. ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2019 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1] მუხლით (ადევნება) სისხლისსამართლებრივი დევნა 85 პირის მიმართ დაიწყო.[472]

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების მიხედვით, კვლავ იკვეთება მოძალადის მხრიდან მსხვერპლის დასჯის მიზნით ბავშვით მანიპულირების ტენდენცია, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ძალადობის მსხვერპლ ქალს და მის შვილს. შესწავლილი საქმეების მიხედვით, ტენდენცია უცვლელია და ოჯახში ძალადობა განსაკუთრებით მძიმედ აისახება დაბალი შემოსავლის მქონე ან შემოსავლის არმქონე, განათლების არმქონე, მარტოხელა ქალებზე, მრავალშვილიან, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებსა და ხანდაზმულებზე; ასევე ქალებზე, რომელთა პარტნიორები/ყოფილი პარტნიორები სამართალდამცავ უწყებებში ან სხვა გავლენიან პოზიციებზე მუშაობენ.

საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებულ პრობლემად მიიჩნევს სახელმწიფოს მხრიდან შერჩევით მიდგომას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის იმ საქმეებზე რეაგირებისას, სადაც მოძალადე გავლენიანი პირია. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მიდგომები იცვლება, რეაგირება დაყოვნებულია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ამოსავალ წერტილად არა მსხვერპლის უფლებები, არამედ მოძალადის ინტერესები განიხილება. შემაშფოთებელია, რომ ხშირად მსხვერპლს თავის

[470] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 2 20 00570283, 04.03.2020.

[471] საქართველოს უზენაესი სასამართლო, 02.03.2020, N ბ-151-20.

[472] საქართველოს გენერალური პროკურატურა №13/7878, 07/თებერვალი/2020 წ.

დაცვის ერთადერთ საშუალებად ფაქტის გახმაურება რჩება, რასაც მოსდევს უწყებების მხრიდან გარკვეული ზომების მიღება. [473] [474] [475] [476]

რაც შეეხება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სხვა შემთხვევებს, რომლებიც ასევე შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველმა, პრობლემად რჩება ძალადობის სწორად იდენტიფიცირება[477] და ძალადობის რიგი შემთხვევების გენდერული პერსპექტივით შესწავლა. გასულ საანგარიშო წელთან შედარებით, გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთის მაჩვენებელი მცირედ არის გაზრდილი,[478] თუმცა საქმეების ნაწილში აღნიშნული მოტივის გამოკვეთა კვლავ პრობლემად რჩება.[479] ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, სადაც ჩართული არ არის მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან მსხვერპლის ინფორმირება თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების მომსახურების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეებიდან ჩანს, რომ კვლავ პრობლემაა სამართალდამცავების არასენსიტიური დამოკიდებულება და პოლიციის განყოფილებებში ძალადობის მსხვერპლთა სპეციალური გამოკითხვის წესების

---

[473] საქმე №12502/19, 12521/19.

[474] საქმე №15169/19.

[475] საქმე №10509/19, N 12921/19.

[476] საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, რომლებშიც ფაქტის გასაჯაროებას მოჰყვა რეაგირება: თ.თ.-ს საქმე, რომელიც დეპუტატ ი.ჯ.-ს მხრიდან დაექვემდებარა სავარაუდო ძალადობას, ასევე აღსანიშნავია ნ.ჩ.-ს საქმე, სადაც სასულიერო პირს ოჯახში ძალადობის ფაქტზე ბრალი მას შემდეგ წარედგინა, რაც ფაქტი გახმაურდა. ორივე საქმეზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო მოითხოვა, რამაც საქმის მიკერძოებულად განხილვის თაობაზე კითხვები გააჩინა. დამატებით, მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი ქალზე ძალადობის საქმე, სადაც მოძალადის შესაძლო გავლენის მიზეზით, პროკურატურა შესაბამის ღონისძიებებს არ მიმართავდა და მსხვერპლი თავს დაცულად არ გრძნობდა. საქართველოს სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურას განმცხადებლის მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა, თუმცა პროკურატურას მისი წინადადება არ გაუზიარებია.

[477] განსაკუთრებით პრობლემურია მუქარის და ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირება. კვლავ გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც შემაკავებელი ორდერი პოლიციამ მსხვერპლის მიმართ გამოსცა, ორდერი სასამართლოს ძალით გაუქმდა (საქმე №13701/19).

[478] საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2019 წელს გენდერის/სქესის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 119 პირის მიმართ, ხოლო გენდერის და რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ (13/7878, 07/თებერვალი/2020 წ.).

[479] მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ დაინახა გენდერული ძალადობის ნიშნები და ამ მიზნით არ გამოსცა შემაკავებელი ორდერი, თუმცა იგივე გარემოებები სასამართლომ გენდერულ ძალადობად მიიჩნია და დამცავი ორდერი გამოსცა. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საქმეზე გამოძიება მუქარის ფაქტზე მიმდინარეობს, თუმცა დისკრიმინაციული მოტივი გამოკვეთილი არ არის (საქმე №5518/19).

არარსებობა.[480] ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლები პოლიციელების მხრიდან შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე უთითებენ. ასეთ ფაქტებს შეისწავლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, თუმცა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დადასტურება, უმეტესად გართულებულია[481] [482].

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების მიხედვით, რიგ შემთხვევაში ქალები შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოკითხვაზე არ ცხადდებიან, რასაც უწყების მიმართ უნდობლობით ან ტრანსპორტირების პრობლემით ხსნიან. დამატებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის პრობლემაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოკითხვისას თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობა, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს მიმართვიანობის და თანამშრომლობის სიმცირეს.

სახალხო დამცველის აპარატს კვლავ არ მოეწოდა ინფორმაცია გენიტალიებით დასახიჩრების საზიანო პრაქტიკის გეოგრაფიული განფენილობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის გამოვლენიდან ოთხი წელი გავიდა, სახელმწიფო პრობლემის მასშტაბების შესახებ ინფორმაციას კვლავ არ ფლობს. ამასთან, ქალთა გენიტალიებით დასახიჩრების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის მიმართულებით, სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ნაბიჯები 2019 წლის განმავლობაში არ გადადგმულა.[483]

---

[480]მსხვერპლები ხშირად უთითებენ, რომ ერთსა და იმავე საკითხზე რამდენჯერმე უწევთ ახსნა-განმარტების მიცემა და შესაბამისად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფნა პოლიციის განყოფილებაში. ამასთან, არასათანადო ინფრასტრუქტურის გამო, პოლიციის შენობაში, ხშირად დაუცველია კონფიდენციალობა.

[481] საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინფორმაციით, 2019 წელს, შსს გენერალურ ინსპექციაში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით შევიდა 104 საჩივარი. ამათგან 42 პოლიციელთა მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტს ეხებოდა, ხოლო 62 - პოლიციის მხრიდან ოჯახში ძალადობაზე არაჯეროვან რეაგირებას. შსს გენერალურმა ინსპექციამ, პოლიციელთა მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, დისციპლინური სახდელი დააკისრა 42 თანამშრომელს, ოჯახში ძალადობის ფაქტზე არაჯეროვან რეაგირებასთან დაკავშირებით - 21 თანამშრომელს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე შესული საჩივრების სტატისტიკურ მონაცემებს არ აღრიცხავს.

[482] შსს გენერალური ინსპექცია, MIA 0 20 00242429, 24/01/2020.

[483] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ გვაცნობა, რომ 2019 წლის 15-17 დეკემბერს, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ჯგუფის გასვლითი შეხვედრის ფორმატში, „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2018-2020 წლებისთვის)“ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, განისაზღვრა ცხრა პრიორიტეტული მიმართულება, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და სხვა საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრის ჯგუფი. აღნიშნული სამუშაო/საკოორდინაციო ჯგუფის სამოქმედო მიმართულებათა შორის არის ქალთა გენიტალიების დასახიჩრების საზიანო პრაქტიკის პრევენციაც. როგორც გვეცნობა, მიმდინარე პერიოდში მიმდინარეობს სამუშაო/საკოორდინაციო ჯგუფების შემადგენლობის ფორმირების პროცესი, რასაც აქტიური სამუშაო ფაზა მოჰყვება (GOV 8 20 00004736; 07/02/2020). დამატებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წელს სსკ-ის 133^2 მუხლით ,,ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება" გამოძიების დაწყების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება (MIA 3 20 00495675; 25/02/2020).

სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სექსუალური ძალადობის საქმეთა ანალიზის შედეგად[484] შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ხარვეზები იკვეთება სექსუალური ძალადობის დანაშაულების საკანონმდებლო რეგულირების, ამგვარი დანაშაულების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო განხილვის ეტაპზე, რაც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციასა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება.

საქმეთა ანალიზისას ირკვევა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გაუპატიურების (სსკ 137-ე მუხლი) და სხვა სახის სექსუალური ძალადობის დანაშაულები (სსკ 138-139 მუხლები) არ ითვალისწინებს მსხვერპლის თანხმობის არარსებობას, როგორც დანაშაულის დეფინიციის შემადგენელ ნაწილს. ამასთან, კანონმდებლობა არც იმ გარემოებების ფართო სპექტრს ითვალისწინებს, რამაც შესაძლოა იქონიოს გავლენა მსხვერპლის ნების ფორმირებაზე, ხოლო, რიგი ხერხებით ჩადენილ ქმედებებზე, არაპროპორციულად მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების ორგანოები სექსუალური ძალადობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებით ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს იყენებენ, რაც სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმის დაუსჯელობას იწვევს და შეუსაბამოა სტამბოლის კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან.

შესწავლილმა საქმეებმა ცხადყო, რომ მიუხედავად სექსუალური ძალადობის დანაშაულების გენდერული ბუნებისა, მართლმსაჯულება გენდერული ხედვით არ ხორციელდება. კერძოდ, სექსუალური ძალადობის საქმეების უმეტესობაში, ამგვარი დანაშაულების მიმართ, გამოიყენება სხვადასხვა სტერეოტიპული მიდგომა, ან მსხვერპლისთვის დამაზიანებელი გენდერული სტერეოტიპი, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის დროს.

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობები (ფემიციდი)

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2019 წელს ქალის მკვლელობის 19 ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც, ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი იყო 10 [485],

[484] ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, საქართველოს სახალხო დამცველმა განახორციელა კვლევა „სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში". კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად შევისწავლეთ (სულ 24 საქმე) სექსუალური ძალადობის დანაშაულზე საქართველოს საერთო სასამართლოების განაჩენები და ძალადობის საკითხებზე მომუშავე პირებთან ინტერვიუების საფუძველზე მიმოვიხილეთ ის დაბრკოლებები, რომელთაც ძალადობის მსხვერპლი ქალები მართლმსაჯულების პროცესში აწყდებიან.

[485] მათ შორის, 2 თვითმკვლელობამდე მიყვანა ოჯახის წევრის მიერ.

ხოლო ქალთა მკვლელობის მცდელობის 22 ფაქტიდან 18 ოჯახური დანაშაულის ნიშნით[486] იქნა ჩადენილი.[487]



ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით მთელი რიგი წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ფემიციდთან ბრძოლისა და ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების მიმართულებით, კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება.[488]

პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, გამოძიების ეტაპზე შეისწავლება ფემიციდამდე და ფემიციდის მცდელობამდე ძალადობის წინა ისტორია. გამოძიება მას ხშირად დამატებით სამართლებრივ კვალიფიკაციას აძლევს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლით (ოჯახში ძალადობა). ასევე მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის წინა ისტორიის შესწავლით საბუთდება პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნა.

პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის პირობებში ჩადენილი მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების პრევენცია. 2019-2020 წელს კვლავ გამოვლინდა შემთხვევები, სადაც დანაშაულის ფაქტამდე მიმართავდნენ პოლიციას, მაგრამ დანაშაულის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა.[489] ყურადღებას საჭიროებს

[486] მათ შორის, 6 თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ოჯახის წევრის მიერ.

[487] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 12 თებერვლის წერილი №13/8998.

[488] საქართველოს სახალხო დამცველმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, 2014-2018 წლებში მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის შემთხვევების მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგმა მოიცვა მართლმსაჯულების განხორციელების და სტატისტიკის დინამიკის შეფასება, რამაც შესაძლებელი გახადა მიღწეული პროგრესის გაზომვა და იმ ხარვეზების გამოვლენა, რომელიც რჩება და ხელს უშლის პრობლემასთან ბრძოლას. კვლევის ფარგლებში დეტალურად გაანალიზდა 84 სისხლის სამართლის საქმე.

[489] მათ შორის აღსანიშნავია, ქმრის მიერ ყოფილი ცოლის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების საქმე, რომელიც შემაკავებელი ორდერის გამოცემის დღეს განხორციელდა. აღნიშნულ ოჯახში ძალადობის თაობაზე სხვა შეტყობინებებიც ფიქსირდებოდა, მათ შორის მომხდარ დანაშაულამდე მოძალადე ოჯახში ძალადობის გამო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა (N1797/19). ასევე აღსანიშნავია, ყოფილი მეუღლის მკვლელობის მცდელობის საქმე, რომელიც პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირის მხრიდან იქნა ჩადენილი. მოძალადე პასუხისგებაში იყო მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 381-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ორი

ფემიციდის ის შემთხვევები, სადაც მსხვერპლს პოლიციისთვის დასახმარებლად არ მიუმართავს. საქმეთა ანალიზის საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ ეს უკავშირდება სამართალდამცავი უწყებების მიმართ უნდობლობას, ძალადობის გაძლიერების შიშს და დაურწმუნებლობას არსებული დაცვისა და დახმარების მექანიზმების ეფექტიანობაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2020 წელს, 8 ქალის გენდერული ნიშნით მკვლელობის[490] და ოთხი მკვლელობის მცდელობის[491] შემთხვევა, მიუთითებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა, რომელიც უმეტესად რეაქციულია და გულისხმობს სამართალდამცავი უწყების მხრიდან უკვე მომხდარ ძალადობის ფაქტზე რეაგირებას, არ არის ეფექტიანი და ტრაგიკულ შედეგებს იწვევს.

აღნიშნული შემთხვევების ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ ფემიციდი საზოგადოებაში არსებული გენდერული და სოციალური უთანასწორობის პირდაპირი შედეგია. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს კომპლექსური ძალისხმევა ფემიციდის პრევენციის ეფექტიანი სისტემის შექმნისა და აღსრულებისკენ იყოს მიმართული.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში არსებული სერვისების შეფასება

ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად, ერთ-ერთი მთავარი როლი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებს (თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები) აკისრიათ. შესაბამისად, მათ მიერ შეთავაზებულ სამართლებრივი, ფსიქოსოციალური, სამედიცინო თუ საცხოვრისის სერვისის გამართულად მიწოდებას, მსხვერპლის ძალადობისგან თავის დაღწევის და დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ თავშესაფარში ბენეფიციარებისთვის შექმნილია კეთილსაიმედო გარემო და მათი უსაფრთხოება

ეპიზოდის ჩადენისთვის და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და დაუწესდა ერთწლიანი გამოსაცდელი ვადა. მას დამატებითი სასჯელის სახედ ასევე დანიშნული ჰქონდა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით (N 1979/20). ასევე შემაკავებელი ორდერის მოქმედების და ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში განხორციელდა ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა (N 3026/20).

[490] 18 თებერვალს სამტრედიაში ქალის მკვლელობა: < https://bit.ly/2vtbWUZ > 16 თებერვალს ყარაჯალაში ქალის მკვლელობა: < https://bit.ly/2x8JIPH > 18 იანვარს სურამში ქალის მკვლელობა: < https://netgazeti.ge/news/420657/ > 25 თებერვალს ორი ქალის მკვლელობა: < https://bit.ly/2wqvWYo > 28 თებერვალს ორი ქალის მკვლელობა: < https://bit.ly/2TOrXgn > 2 მარტს ქალის მკვლელობა: < https://bit.ly/38nrsiu > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[491] 9 თებერვალს ქალის მკვლელობის მცდელობის შემთხვევა: < https://bit.ly/2IebnRs > 13 იანვარს ფოთში ქალის მკვლელობის მცდელობის შემთხვევა: < http://rustavi2.ge/ka/news/152468 > 15 იანვარს გორში თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევა: < https://bit.ly/2TH0pcC > 5 მარტს ხაშურში ქალის მკვლელობის მცდელობის შემთხვევა: < https://bit.ly/39tTcmT > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

დაცულია, თუმცა წინა წლების მსგავსად, პრობლემურია თავშესაფარში განთავსებისთანავე მსხვერპლთა/დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა შემთხვევების მართვა. თავშესაფრებში კვლავ პრობლემურია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების, სარეკრეაციო, სპორტული, შემეცნებითი აქტივობების შეზღუდული რაოდენობა.

რაც შეეხება ფიზიკურ გარემოს, კვლავ მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურის საკითხი, თავშესაფრებში დგას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პრობლემა და გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თავშესაფრის ხელმისაწვდომობა. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ბენეფიციართა მხარდაჭერა და დახმარება თავშესაფრის დატოვების შემდეგ, შესაბამისი პროგრამების მწირი რაოდენობის, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათი არარსებობის გამო.

8.8. ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება

სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის პრაქტიკა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. წინა წლების მსგავსად, პრობლემას წარმოადგენს ადრეული ქორწინების და ნიშნობის კონკრეტული შემთხვევების მართვა და თავიდან აცილება.[492]

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის შემთხვევების მიხედვით, კვლავ პრობლემურია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანანმანათლებლო დაწესებულებასა და სოციალურ სამსახურს შორის კოორდინირებული მუშაობა და რეფერირების მექანიზმის გამართული მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით, სოციალური სამსახურის მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების შესწავლის რიცხვმა მკვეთრად მოიმატა,[493] მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ სკოლა ხშირად კვლავ მალავს ადრეული ქორწინების/ნიშნობის ფაქტებს და პასუხისმგებელ უწყებებს არ ატყობინებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლე ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის გამო საგაკვეთილო პროცესს არ ესწრება, თუმცა ჟურნალში ეს არ აღირიცხება. ასევე, რიგ

[492] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერისათვის სამშობიარო სახლებიდან შესული შეტყობინებების რაოდენობრივი მაჩვენებელის შესახებ, სადაც მშობელი იყო არასრულწლოვანი, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არ მოგვეწოდა (N 08-2/449,16/01/2020; N 08-2/2386, 27/02/2020)

[493] გასულ წელს, სოციალურმა სამსახურმა 115 შემთხვევა შეისწავლა, მიმდინარე საანგარიშო წელს - 261 შემთხვევა. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/769, 24.02.2020.

შემთხვევაში, სკოლის მიტოვების მიზეზად საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სახელდება და არა ქორწინება. მაშინ, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გოგოები ქორწინების გამო იცვლიან და აუცილებელია სკოლამ შემთხვევა საფუძვლიანად მოიკვლიოს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მიმართოს. [494]

პრობლემურია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სოციალურ სამსახურს შორის თანამშრომლობა. საქართველოს სახალხო დამცველმა, საქმეთა შესწავლისას გამოავლინა შემთხვევები, როდესაც ამ ორი უწყებიდან მოწოდებული ინფორმაცია ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ სამსახურს არ გააჩნია შემთხვევის მართვის სახელმძღვანელო წესები და ხშირად მათი რეაგირება ზედაპირული და ფრაგმენტულია. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება.[495] [496]

განსაკუთრებით პრობლემურია, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგოების ადრეულ ასაკში ქორწინებასა და თანმდევ დანაშაულებზე სათანადო რეაგირება. კვლავ გამოწვევად რჩება თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ქორწინების იძულების დანაშაულებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, რასაც ხშირად ხელს უწყობს

---

[494] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით (MES 0 20 00036163, 16.01.2020), 2018-19 წელს (17.09.2018-15.09.2019) დაწყებითი-საბაზო განათლება შეწყვიტა 11-მა გოგომ და 5-მა ბიჭმა, ხოლო საშუალო განათლება - 68 გოგომ და 6-მა ბიჭმა. ხოლო 2019-20 წლის 1 სემესტრში (16.09.2019-31.12.2019) დაოჯახების მიზეზით დაწყებითი-საბაზო განათლება შეწყვიტა 1-მა გოგომ და 1-მა ბიჭმა, ხოლო საშუალო განათლება - 25-მა გოგომ და 1-მა ბიჭმა.

[495] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2019 წელს დაწყებულ/მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში 130 შემთხვევა ეხებოდა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ შესაძლო დანაშაულს, რომლის კვალიფიკაციაც განისაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა). აქედან, 56 შემთხვევაში გამოიკვეთა შესაძლო დანაშაულის ჩადენის ქორწინების მოტივი. 56 შემთხვევიდან, 50 ფაქტზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით. გამოძიების დაწყების პარალელურად, 1 შემთხვევაში გამოიცა შემაკავებელი ორდერი. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, 2019 წელს 149 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, აქედან 105 შემთხვევაში შესაძლო დანაშაულის ჩადენის მოტივი იყო ბავშვთან ქორწინება. აქედან, გამოძიების დაწყების პარალელურად 1 შემთხვევაში გამოიცა შემაკავებელი ორდერი, ხოლო 19 ფაქტზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ასევე, მოწოდებული ინფორმაციით, სულ დაფიქსირდა არასრულწლოვნის შესაძლო ქორწინების იძულების 14 ფაქტი. აღნიშნულიდან, 6 საქმეზე გამოიცა 9 შემაკავებელი ორდერი (ძირითადად, შემაკავებელი ორდერები გამოიცა ბავშვის მშობლების მიმართ), ხოლო 4 ფაქტზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო (MIA 0 20 00718412, 19/03/2020)

[496] საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით (№13/6429, 03.02.2020), 2019 წელს, 140-ე და 11^1-140-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 77 პირის მიმართ, 150^1 და 11^1, 150^1 მუხლით 5 პირის მიმართ, 11'-143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, როცა დაზარალებული არასრულწლოვანი იყო - 1 პირის მიმართ, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, როცა დაზარალებული არასრულწლოვანი იყო - 4 პირის მიმართ, როგორც გვეცნობა, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა ქორწინების მიზნით გამოვლინდა ორ შემთხვევაში, სადაც ორივე დაზარალებული ქალი იყო.

ეთნიკური უმცირესობის თემის მიმართ არსებული წინასწარგანწყობები და სტერეოტიპული დამოკიდებულება. მსგავს შემთხვევებზე არასათანადო რეაგირება ახალისებს ამგვარ დანაშაულს და შესაძლო დამნაშავეებს უქმნის განწყობას, რომ ჩადენილი ქმედებისთვის მათ მიმართ პასუხისმგებლობა არ დადგება.[497]

მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ქვემო ქართლის რეგიონში, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევაში, გოგოს ბედს სოფლის უხუცესები (აღსაკალები) წყვეტენ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან ასეთ დროს რეაგირება დროში ჭიანურდება და უშედეგოა, რაც, შესაძლოა, ადგილობრივი გავლენის მქონე პირებისთვის ანგარიშის გაწევითაც აიხსნას.[498]

ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის შემთხვევების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია თანმდევ რისკებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება. ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული მასშტაბური კამპანია ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის საკითხზე.[499] ამასთან, ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისთვის, არსებითია განათლების სისტემაში მოხდეს გენდერული საკითხებისა და სასიცოცხლო უნარების/კომპლექსური სექსუალური განათლების ინტეგრირება.

8.9. ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2019 წელს ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში არ გაუმჯობესებულა. ჰომოფობიური და ანტიგენდერული ჯგუფების მომრავლების და გაძლიერების გამო, ლგბტ+ ადამიანები კვლავ განიცდიან ჩაგვრას, ძალადობას და დისკრიმინაციას. ამასთან, საზოგადოების დიდ ნაწილში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების გამო, ლგბტ+ პირებისთვის პრობლემას წარმოადგენს შრომის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და განათლების უფლებებით დაუბრკოლებლად სარგებლობა.

2019 წელს ლგბტ+ თემის, ლგბტ უფლებადამცველებისა და თემის მხარდამჭერების მიერ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო, ღიად არ აღინიშნა. სამწუხაროდ, ბოლო წლების

[497] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება არასრულწლოვნის თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cKAWHM [ბოლოს ნანახია 2020 წლის 10 მარტს].

[498] შესაძლო პრობლემას ადასტურებს საანგარიშო პერიოდში, ერთ-ერთი პედაგოგის მიმართ გავრცელებული ვიდეო, სადაც ჩანდა, რომ პედაგოგს თანასოფლელები ადრეულ ასაკში ქორწინების დაგმობის გამო საჯაროდ დაუპირისპირდნენ, ბოდიშის მოხდა აიძულეს, ეს ყველაფერი გადაიღეს და სოციალურ ქსელში მასწავლებლის რეპუტაციის შელახვის მიზნით განათავსეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36sz8iw >[ბოლოს ნანახია 2020 წლის 5 მარტს].

[499] ნუ წაართმევ ბავშვობას - შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადრეულ ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია ჩაატარა. ინფორმაცია: <https://bit.ly/2O2p1uu >[ბოლოს ნანახია 2020 წლის 5 მარტს].

განმავლობაში ამ დღის აღნიშვნა საქართველოში ძირითადად ძალადობრივ ქმედებებს უკავშირდება და საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანების უსაფრთხოებას.[500]

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმას" (2018-2020) დაემატა ქვეთავი, რომელიც მიმართულია თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრებისა და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.[501]

ლგბტ+ პირთა მიმართ ძალადობა

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს შესწავლილი საქმეების მიხედვით, ქვეყანაში კვლავ მაღალია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ლგბტ+ პირების მიმართ ძალადობის ფაქტები. ქვეყანაში არ შეცვლილა ჰომოფობიური განწყობები და ლგბტ+ პირთა მიმართ ძალადობა ხშირად საზოგადოების მხრიდან გამართლებული და წახალისებულია.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივებით, სისხლისსამართლებრივი დევნა სულ დაიწყო 32 პირის მიმართ. ამათგან, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19 პირის მიმართ; გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 12 პირის მიმართ, ხოლო სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ.[502]

ლგბტ+ თემის წარმომადგენლები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისადმი მიმართვისას ხშირად უთითებენ, რომ როდესაც მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის თაობაზე პოლიციას მიმართავენ, დამამცირებელი მოპყრობის, ჰომოფობიური დამოკიდებულების, სიტყვიერი შეურაცხყოფის ან/და გულგრილობის მსხვერპლნი ხდებიან.

აღნიშნული ხშირად განპირობებულია სამართალდამცავ უწყებაში ლგბტ+ პირების მიმართ არსებული არასენსიტიური დამოკიდებულებით, ასევე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობით, რომელიც არ არის მორგებული ლგბტ+ პირთა საჭიროებებს და ვერ უზრუნველყოფს გამოკითხვისას კონფიდენციალობის დაცვას.

---

[500] ლგბტ+ პირთა თანასწორუფლებიანობა გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების კონტექსტში დეტალურად განხილულია თანასწორობის უფლების თავში.

[501] საქართველოს მთავრობის დადგენილება №116 „ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ" მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილებაში, ცვლილებების შეტანის თაობაზე", 2020 წლის 17 თებერვალი.

[502] საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/7883, 07/თებერვალი/2020 წ.

შედეგად, ხშირ შემთხვევაში, თემის წევრები კონკრეტული ძალადობის ფაქტების შესახებ პოლიციას არ ატყობინებენ, ან მოგვიანებით აღარ თანამშრომლობენ მათთან, რაც ძალადობის შემთხვევების აღურიცხაობას და რეაგირების მიღმა დატოვებას უწყობს ხელს.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეების მიხედვით, პრობლემას წარმოადგენს ლგბტ+ პირების მიმართ ჩადენილი სამსახურებრივი გადაცდომის შემთხვევების გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია არ აწარმოებს სტატისტიკას ლგბტ+ თემთან დაკავშირებულ საქმეებზე შესულ საჩივრებთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლის მიმართვიანობის და რეაგირების ტენდენციის დანახვას.[503] ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ, შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო 4 სისხლის სამართლის საქმეზე.[504]

ლგბტ+ პირების მიმართ ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობა და უგულებელყოფა მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული დაცვისა და დახმარების მექანიზმები, რაც ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევებში გამოიყენება, არ არის საკმარისი ოჯახსა და ოჯახს გარეთ ძალადობის მსხვერპლ ლგბტ+ პირებისთვის ადეკვატური სერვისის მისაწოდებლად. პრობლემურია ის ფაქტიც, რომ ინტიმური პარტნიორისგან ძალადობის შემთხვევაში, გეი/ბისექსუალ კაცებს არ აქვთ საშუალება, მიიღონ ადეკვატური დაცვისა და დახმარების სერვისები.

ამასთან, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა. ეს იმით არის განპირობებული, რომ კანონმდებლობა ჰეტერონორმატიული ხედვით არის შექმნილი. ამასთან, თავად თემის შიგნით არსებული სტიგმის, შესაძლო იძულებითი „ქამინგ აუთის" და სამართალდამცავთა მიმართ უნდობლობის გამო, ლგბტ+ პირები, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, თავს იკავებენ სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვისგან.

ლგბტ+ პირთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

საქართველოში ლგბტ+ პირთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების მიმართულებით ვითარება არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (შემდგომში გაიდლაინი და პროტოკოლი), რითაც ტრანსგენდერ

[503] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წერილი MIA 0 20 00242429, 24/01/2020.

[504] აღნიშნული მონაცემი ეხება 2019 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდს. საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/7883, 07/თებერვალი/2020 წ.

ადამიანთა ტრანზაქციისთვის საჭირო დიაგნოსტირებისა და შემდგომში გასატარებელ სამედიცინო ღონისძიებათა ნუსხა გაიწერებოდა.[505] შესაბამისად, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს არ აქვს შესაძლებლობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს ხარისხის კონტროლი.[506]

ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების გაიდლაინებისა და პროტოკოლების არარსებობა იმ გარემოებასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რომ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილების წინაპირობაა.[507] აღნიშნული პრაქტიკით, რომელიც თავისთავად არის ადამიანის უფლების შემლახავი, მათი გენდერის სამართლებრივი აღიარების სანაცვლოდ, სახელმწიფო ტრანს ადამიანებს აიძულებს, სქესის ცვლილებასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევები ისე ჩაიტარონ, რომ არ განსაზღვრავს აღნიშნული პროცედურების სტანდარტებსა და ხარისხის მონიტორინგის მექანიზმს.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- გაითვალისწინოს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის და ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმის შემოღებასთან დაკავშირებით
- საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგების მიზნით, დაიხვეწოს კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე, კერძოდ:
    - შევიდეს ცვლილება გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიციაში (სსკ 137,138 და 139 მუხლი), სტამბოლის კონვენციის შესაბამისად

[505] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 21 მარტის №01/4940 წერილი.

[506] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

[507] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 141. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2QV7hST > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].
გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის სქესის კვლავმინიჭების პროცედურების იძულებისა და გაიდლაინების და სტანდარტების არარსებობის ურთიერთკავშირზე იხილეთ „თანასწორობის მოძრაობის“ კვლევა ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების შესახებ, გვ. 21. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2X2EiAN > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

    - გაუპატიურების დეფინიციიდან (სსკ მუხლი 137) მოხდეს ძალადობის ამოღება და ძალადობა განისაზღვროს აღნიშნული მუხლის დამამძიმებელ გარემოებად
    - სსკ 139-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ჩამონათვალის გასაფართოებლად
    - სსკ 139-ე მუხლიდან მოხდეს ჯარიმის, როგორც სექსუალური ძალადობისთვის არაადეკვატურად მსუბუქი სასჯელის სახის, ამოღება
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აღმოიფხვრას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებული ბარიერები და არსებული ხარვეზები გამოსწორდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ორივე სქესის მშობლისათვის თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მშობლის შვებულების უფლებით სარგებლობა, როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროში

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სამოქალაქო აქტებში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის პროცედურის დასარეგულირებლად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, შემუშავდეს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთათვის უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება ქვეყანაში არსებული გენდერული პოლიტიკის და ამ მიმართულებით არსებული ეროვნული სამოქმედო გეგმების შესახებ
- უზრუნველყონ გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტების დანერგვა, როგორიცაა გენდერული სტრატეგია და გენდერული ბიუჯეტირება, ხელი შეუწყონ გენდერული საბჭოს წევრთა მგრძნობელობის გაზრდას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო სერვისების, სექსუალური შევიწროების და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე
- სრულყოფილად გამოიკვლიონ და შეისწავლონ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების სპეციფიკური საჭიროებები და უზრუნველყონ მათი ასახვა სამოქმედო გეგმებში, სტრატეგიებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნონ კვლევის ძირითადი მიგნებები

- უზრუნველყონ გენდერული ბიუჯეტირების პრაქტიკულ დონეზე დანერგვა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამების განხორციელება
- მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, ქალთა მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი თემისათვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას
- უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალების პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, კერძოდ, ტრანსპორტირების და ბავშვის მოვლის სერვისების უზრუნველყოფით
- დაგეგმონ და განახორციელონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები:
    - გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, გენდერული შრომის თანაბარი განაწილების მიზნით
    - რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შესახებ
- აღწერონ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლები და შეაგროვონ სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები, უზრუნველყონ მონაცემების ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს:

- ხელი შეუწყოს სოფლად მცხოვრები მეწარმე ქალების პროფესიულ განვითარებას და მათ ეკონომიკურ გაძლიერებას ტრენინგებისა და პროექტების მართვის უნარ-ჩვევების სწავლებით
- შეიმუშაოს მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამების დაფინანსებისას, გათვალისწინებული იქნება კონკრეტული რეგიონის სპეციფიკა და საჭიროებები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სასკოლო კურიკულუმებში ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების სრული ინტეგრირებისთვის
- უზრუნველყოს მასწავლებელთა გადამზადება ცნობიერების ასამაღლებლად და შეფასების დოკუმენტის შექმნა, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

იურიდიული დახმარების სამსახურს:

- უზრუნველყოს მარტოხელა მშობლის სტატუსის მოპოვების წესსა და დახმარების სერვისებზე იურიდიული კონსულტაციების გაცემა, დოკუმენტაციის შედგენა და ადვოკატის დანიშვნა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველი პირებისთვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, გამართოს საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ, გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და შესაბამისი დაცვისა და დახმარების სერვისების მისაწვდომობის საკითხებზე
- ოჯახის დაგეგმვის შესახებ კონსულტაციები და კონტრაცეპტივები ჩართოს საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის საბაზო პაკეტში
- უზრუნველყოს მეან-გინეკოლოგების, გინეკოლოგების და რეპროდუქტოლოგების მუდმივი და განგრძობითი გადამზადება ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციის მეთოდებისა და კონსულტირების პრინციპების შესახებ ცოდნის გასამტკიცებლად, მათ შორის, კონფიდენციალობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, ასევე, ახალგაზრდებისთვის კეთილგანწყობილი მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ
- შემუშავდეს სისტემური ხედვა პოსტნატალური ზრუნვის მიმართ და დედათა ჯანმრთელობის პროგრამების ყველა ეტაპზე ინტეგრირებულ იქნას ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები
- გატარდეს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ
- გატარდეს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სამედიცინო მნიშვნელობისა და აღნიშნულთან დაკავშირებით, ეროვნული რეგულაციების შესახებ, ჯანდაცვის სერვისის გამცემი დაწესებულებებისთვის
- გადამზადდნენ სოციალური მუშაკები ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, ამასთან, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას
- სოციალური მუშაკებისთვის შემუშავდეს სპეციალური სახელმძღვანელო წესები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, ასევე, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე მუშაობისთვის
- შემუშავდეს ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), რომელშიც გაწერილი იქნება ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების როგორც სამედიცინო და ეთიკური, ისე პროცედურების წინმსწრები და შემდგომი პერიოდებისთვის პირის მხარდამჭერი ფსიქოლოგიური/სოციალური ასპექტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გაგრძელდეს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, ამასთან, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას
- ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანი დაცვისა და დახმარების მიზნით, განისაზღვროს გამომძიებელთა სპეციალიზაციის წესი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე
- გაუმჯობესდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, კერძოდ, გაანალიზდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ინტიმურ პარტნიორთა შორის, მათ შორის, ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის, ძალადობის სპეციფიკური მახასიათებლების შესასწავლად
- მიიღოს პრევენციული ზომები ქორწინების იძულების, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის შესამცირებლად/თავიდან ასაცილებლად; კერძოდ, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და მომხდარ დანაშაულთა დეტალური გაანალიზება
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის გამოვლენის და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს, მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება და სანქციის დაკისრება.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეების შესწავლისას, იმ საქმეებში, სადაც გარდაცვალებამდე ქალის მიერ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით მიმართვები იკვეთება, გამოიკვლიონ პოლიციის და პროკურორის მხრიდან შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის გარემოებები
- დეტალურად გაანალიზდეს ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულები და მოხდეს მათთან დაკავშირებით სქესის და ასაკის ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, კერძოდ, ქორწინების იძულება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსებული პირების ჯანმრთელობა შემოწმდეს იმგვარად, რომ ამან საფრთხე არ შეუქმნას

თავშესაფრით მოსარგებლე სხვა პირებს; კერძოდ, უზრუნველყოფილ იქნას ჯანმრთელობის სრული და დროული შემოწმება

- უზრუნველყოს თავშესაფრების ეზოების, ინვენტარისა და ბავშვებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა
- უზრუნველყოს თავშესაფრების ფიზიკური გარემოს ადაპტირება, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მაქსიმალურად დაიხვეწოს სერვისის გაცემა
- ფსიქოლოგის და ძიძის სამუშაო საათები განისაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად მოერგოს დასაქმებული ბენეფიციარების საჭიროებებს
- უზრუნველყოს თავშესაფრების პერსონალის, მათ შორის, მედდისა და ძიძის გადამზადება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე
- დაიგეგმოს და განხორციელდეს საინფორმაციო კამპანია ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების პოპულარიზაციისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის გასაზრდელად
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრებში გადაიხედოს/დაიხვეწოს მსხვერპლთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები.

9. რწმენისა და რელიგიის თავისუფლება

9.1. შესავალი

საანგარიშო პერიოდში რელიგიის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. ერთადერთი მიმართულება, სადაც პროგრესი შეიმჩნევა, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებებია.

2019 წელს, რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონის და დამატებითი რეგულაციების შესაძლო ინიცირების თაობაზე, ინტენსიურად მიმდინარეობდა პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ წამოწყებული ფართო დისკუსია. პროცესი არ დასრულებულა, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფში სახელმწიფო უწყებების, რელიგიური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სპექტრი ფართოდ იყო წარმოდგენილი, რაც პროცესის ინკლუზიურობას განაპირობებდა. სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ, დისკუსიების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

კვლავ გადაუჭრელია რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საგადასახადო და ქონებრივი საკითხები - სახელმწიფოს არ გადაუდგამს ნაბიჯები რელიგიური გაერთიანებებისთვის სხვადასხვა სახის გადასახადების ერთიანი სისტემის დაწესების ანდა საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნების პროცესის დაწყების მიმართულებით. უკვე 30 წელია, ქართული რელიგიურ-ეთნიკური მრავალფეროვნების ძეგლები, რესტიტუციის საკითხის გადაუჭრელობის გამო, ნადგურდება. სახელმწიფოს ნებით იცვლება მათი მესაკუთრე, როგორც ეს წლების წინ კათოლიკური ტაძრებისა და თანდოიანცის სომხური ეკლესიის შემთხვევაში მოხდა;[508] ასევე იცვლება ნაგებობების თავდაპირველი იერსახე, იშლება ამ ძეგლების წარმომავლობის დამადასტურებელი ნიშნები ინტერიერსა და ექსტერიერში.

სომხური, კათოლიკე, ლუთერული ეკლესიები, იუდაური და მუსლიმი თემები, საკუთრების უფლებით იმ ისტორიულ ნაგებობებსაც კი ვერ იბრუნებენ, რომლებშიც ამჟამად მსახურებას აღასრულებენ; ეს სივრცეები მათ სახელმწიფოს მიერ მხოლოდ დროებით მფლობელობაში აქვთ გადაცემული.

ასევე, პრობლემურია რელიგიური გაერთიანებების საკუთრებაში არსებულ მიწებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვება, თუმცა ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო ბათუმში, ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის კუთვნილ მიწაზე, მეჩეთის

[508] იხ. სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, ქვეთავი „რელიგიური გაერთიანებების საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები", გვ. 159.

მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მერიის მხრიდან მეჩეთის აშენებაზე უარის თქმას დისკრიმინაციული ხასიათი ჰქონდა.[509]

ამასთან, გაურკვეველი რჩება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი რელიგიის თავისუფლების დაცვის მიმართულებით. სააგენტოს ბუნდოვანი მანდატი და საქმიანობა, წლებია, კრიტიკულ შეფასებებს იმსახურებს ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებისა[510] და ექსპერტების მხრიდან, ხოლო რელიგიური გაერთიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი მის მიმართ უნდობლობითაა გამსჭვალული.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020) რელიგიურ უმცირესობათა ძირეულ პრობლემებსა და მთავარ გამოწვევებს ნაკლებად პასუხობს და მხოლოდ ზოგად ვალდებულებებს მოიცავს. დოკუმენტით, პასუხისმგებელ პირად, სხვა უწყებებთან ერთად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მოიაზრება. სამწუხაროდ, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, სააგენტოს არც ნება და არც ქმედითი მექანიზმები არ გააჩნია. ამასთან, სამთავრობო გეგმის აღსრულების მონიტორინგში ჩართული არ არის სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო.

9.2. საქართველოს კანონმდებლობა

საართველოს კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ არის ფორმულირებული იმგვარად, რომ დაცული იყო რელიგიური გაერთიანებების თანასწორუფლებიანობა. დისკრიმინაციული საკითხების მოგვარების მიზნით, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო, წლებია, სახელმწიფო უწყებებს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართავს.[511]

2019 წელს, რელიგიური გაერთიანებების წინაშე არსებულ გამოწვევებზე მსჯელობის არგუმენტით, საქართველოს პარლამენტში, ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, შეიქმნა რელიგიის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი. თუმცა, სამუშაო ჯგუფის შეკრების პირველივე დღიდან მთავარ საკითხად რელიგიისა და

---

[509] ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. 2019 წლის 4 დეკემბერს „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა" ასევე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ის მერიისთვის მშენებლობის ნებართვის პირველ სტადიაზე გაცემის პირდაპირ დავალდებულებას ითხოვს. საქმეზე სასამართლო წარმოება გრძელდება.

[510] რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) მეხუთე მონიტორინგის ციკლის ანგარიში; ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) მესამე მონიტორინგის (2019) ანგარიში; საქართველოს 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის განხორციელების შესახებ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ექსპერტის მეგი ნიკოლსონის ანგარიში.

[511] იხ. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს 2017 წლის რეკომენდაციები. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2WNXKRr > [ბოლოს ნანახია 31.03.2020].

რელიგიური გაერთიანებების შესახებ ახალი საკანონმდებლო რეგულაციების მიღების საკითხი განიხილებოდა.

განხილვის პროცესში, რელიგიათა საბჭოს წევრმა ოცმა რელიგიურმა გაერთიანებამ, რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღების ან დამატებითი რეგულაციების დაწესების მიზანშეუწონლობის შესახებ, საერთო პოზიცია შეიმუშავა.[512] ამასთან, რელიგიური გაერთიანებების უმრავლესობისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა ინიციატივები რელიგიური გაერთიანებების დეფინიციის გაწერის და სახელმწიფოს მიერ სასულიერო პირის განსაზღვრის შესაძლებლობის შესახებ, რამდენადაც სახელმწიფოსთვის ამ შესაძლებლობების გადაცემაში რელიგიური გაერთიანებების ავტონომიაში ჩარევის, კონფესიებისა და დენომინაციების დახარისხების, იერარქიზაციისა და დისკრიმინაციული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის საფრთხეს ხედავენ. ამას გარდა, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ნეგატიურად შეაფასა ე.წ. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისა და რელიგიური სამოსის რეგულაციის შესახებ პარლამენტში წამოყენებული ინიციატივები.[513]

9.3. საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი გადასახადისგან, რიგ შემთხვევებში (მოგების, ქონების, დამატებული ღირებულების, იმპორტის გადასახადი), მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ათავისუფლებს. მსგავსი შეღავათებით სხვა რელიგიური გაერთიანებები ვერ სარგებლობენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ, 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით[514], საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის უფლებასთან შეუსაბამოდ ცნო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ის ჩანაწერი,[515] რომლის თანახმად, კანონი, ჩათვლის უფლების გარეშე, დღგ-სგან მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციას და მოხატვას ათავისუფლებდა. სასამართლომ განმარტა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული ისტორიული როლის შესახებ კონსტიტუციის ჩანაწერი, სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან უთანასწორო მოპყრობის უფლებას არ გულისხმობს.

აღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტს განუსაზღვრა გონივრული ვადა - ექვსი თვე (2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით), რათა გადაწყვეტილების შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის

---

512 იხ. რელიგიათა საბჭოს განცხადება რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალურ კანონთან/დამატებით რეგულაციებთან დაკავშირებით: <https://bit.ly/2UpV1MI > [ბოლოს ნანახია 31.03.2020].

513 იხ. რელიგიათა საბჭოს განცხადება რელიგიური გრძნობების შესახებ კანონის მიღების დაუშვებლობის თაობაზე, < https://bit.ly/2WVkuio > [ბოლოს ნანახია 31.03.2020].

514 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/671, 3 ივლისი 2018.

515 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

სადავო ნორმის შინაარსი და მისი მოქმედება თანაბრად გაევრცელებინა ყველა რელიგიურ გაერთიანებაზე. მიუხედავად ამისა, პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები არ განახორციელა და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები 2018 წლის 31 დეკემბრიდან ავტომატურად ძალადაკარგულად გამოცხადდა.

ამასთან, 2019 წლის 7 მაისს, ცხრა რელიგიურმა გაერთიანებამ საკონსტიტუციო სასამართლოს საგადასახადო კოდექსის იმ ნორმის[516] ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით მიმართა, რომელიც საქართველოს საპატრიარქოსგან განსხვავებით, რელიგიურ ორგანიზაციებს არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენების შემთხვევაში, მიწის გადასახადისგან არ ათავისუფლებს[517]. ამ ეტაპზე, სარჩელი განხილვის პროცესშია.

9.4. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობა

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით[518], საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დისკრიმინაციულად მიიჩნია „სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონის ის ჩანაწერი,[519] რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას, მაშინ, როცა სხვა რელიგიური გაერთიანებები მსგავსი პრივილეგიით არ სარგებლობენ.

პარლამენტს შესაბამისი ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოს არც ამ გადაწყვეტილების შედეგად განუხოციელებია. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან გასაჩივრებული ნორმის ნორმატიული შინაარსი ავტომატურად ძალადაკარგულად გამოცხადდა.

პრობლემურია ისიც, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, სხვა რელიგიური გაერთიანებები საკუთრების უფლებით ვერ ფლობენ მათ სარგებლობაში არსებულ რელიგიურ ისტორიულ ნაგებობებს.

ასევე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გარდა, არცერთი რელიგიური გაერთიანებისთვის არ არის შესაძლებელი რელიგიურ-საკულტო დანიშნულების მქონე სახელმწიფო ქონების პრივატიზება, რაც მათ შესაძლებლობას ართმევს, საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობები დაიბრუნონ.

---

[516] საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

[517] 2019 წლის 7 მაისს რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი №1422.

[518] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/811, 2018 წლის 3 ივლისი.

[519] „სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონის მე-6^3 მუხლი: „სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში შეიძლება გადაეცეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს – დევნილებს, აგრეთვე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას".

2019 წლის 12 აგვისტოს, ცხრა რელიგიურმა გაერთიანებამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა[520] „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის იმ ნორმების დისკრიმინაციულად ცნობის მიზნით, რომელიც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გარდა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ სხვა რელიგიურ გაერთიანებებს სახელმწიფო ქონების შეძენასა და გაცვლას უზღუდავს.[521]

9.5. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები

რელიგიის საფუძვლით სავარაუდო დანაშაულებს იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ 2019 წელსაც ჰქონდა ადგილი. როგორც იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაციის 2019 წლის ანგარიშშია აღნიშნული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ძალისხმევის შედეგად, გაუმჯობესდა რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების ხარისხი და დაზარალებულისადმი პოლიციელების დამოკიდებულება. ამავე ანგარიშის მიხედვით, საუბარია რელიგიური სიძულვილის მოტივის შემცველ 19 შემთხვევაზე. ანგარიშის თანამხად, 15 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას, მუქარებსა და რელიგიური წესის შესრულებისთვის ხელის შეშლას, ხოლო 4 შემთხვევაში - იეჰოვას მოწმეთა სალოცავ შენობებზე - სამეფო დარბებზე განხორციელებულ ვანდალიზმს.

ამ საქმეებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შვიდი საქმე კვალიფიცირებულია რწმენის ან მრწამის გამო დევნის დანაშაულით (სსკ-ს 156-ე მუხლი), ოთხი - რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლის დანაშაულით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კვალიფიკაციის ნაწილში, შინაგან საქმეთა სამინისტრო, წინა წლებთან შედარებით, უფრო მეტად იყენებს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც სპეციფიკურად სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს კრძალავს. ამის მიუხედავად, რჩება საქმეთა მცირე ნაწილი, რომლებშიც იყენებენ მუხლებს, რომლებიც პირდაპირ სიძულვილის მოტივს არ უკავშირდება; სამ შემთხვევაში გამოძიება მიმდინარეობდა 188-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება), 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) და 126 მუხლით (ძალადობა).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კვლავაც პრობლემურია ჩადენილი დანაშაულის დროული და ეფექტიანი გამოძიება, მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, პირის ბრალდებულად ცნობა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მსხვერპლი კონკრეტულ პირზე მიუთითებს, ანდა ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ან სხვა მტკიცებულებები არსებობს.

[520] 2019 წლის 12 აგვისტოს რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი №1440.

[521] „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები.

9.6. საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები

კვლავ პრობლემურია სომეხთა სამოციქულო ეკლესიის, კათოლიკე ეკლესიის, ლუთერული ეკლესიის, მუსლიმთა და იუდეური თემების მიერ სახელმწიფოსაგან საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების, ასევე, სარგებლობაში გადაცემულ საკულტო ნაგებობებზე საკუთრების უფლების მოპოვების საკითხი.

როგორც 2019 წლის 7 მარტს, ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ საქართველოს შესახებ მიღებულ მესამე დასკვნაშია აღნიშნული, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების მესაკუთრეებისთვის დაბრუნება სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ იზრდება დაუბრუნებელი ნაგებობების დაზიანების რისკი; რელიგიური უმცირესობები, დაფინანსებისა და სალოცავი ადგილების ხელმისაწვდომობის კუთხით, ისევ სტრუქტურული დისკრიმინაციის ქვეშ რჩებიან; ამასთანავე, არასაკმარისად გამჭვირვალეა მშენებლობის ნებართვის პროცედურები, რამდენადაც ისინი მკაფიო და ობიექტურ სამართლებრივ კრიტერიუმებს არ ეფუძნება. მრჩეველთა კომიტეტი ხელისუფლებას მოუწოდებს, რელიგიური გაერთიანებებისთვის ქონების რესტიტუციის თანასწორი რეჟიმი უზრუნველყოს.

თბილისში თანდოიანცის სომხურ ეკლესიასა და ბათუმის მეჩეთთან დაკავშირებული მოვლენები სახელმწიფოს არათანასწორი პოლიტიკის მკაფიო ილუსტრაციებია.

თანდოიანცის ეკლესია

თბილისში მდებარე თანდოიანცის ეკლესიის საკითხი განხილული იყო სახალხო დამცველის 2017-2018 წლების ანგარიშებში, თუმცა 2019 წელს მდგომარეობა არ გამოსწორებულა. ისტორიული წყაროების მიხედვით, ნაგებობა საბჭოთა ოკუპაციამდე სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საკუთრება იყო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ ეკლესია ისე გადასცა საქართველოს საპატრიარქოს, რომ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ეკლესიის გადაცემის კანონიერება არ დაუდგენით, არ შეუსწავლიათ მისი კონფესიური კუთვნილების საკითხი; ტაძარი არ იყო დაცული არქეოლოგიური, სამშენებლო და სხვადასხვა ტიპის სამუშაოებისგან.

ყოველივე ამის შედეგად, არამარტო რელიგიის თავისუფლებისა და საკუთრების უფლება შეილახა, არამედ, ტაძრის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის იერსახეც შეიცვალა. ჩატარებული სამუშაოები გასცდა კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, რაც ნათლად ჩანდა საპატრიარქოს მიერ გამოქვეყნებულ მასალებში, თუმცა სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს ნაგეგობის შესაძლო დაზიანებაზე რეაგირება არ მოუხდენით.

2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე, სასამართლომ დაუშვებლად ცნო „თანდოიანც სურბ ასტვაწაწინ" სომხური ეკლესიის საქმეზე წარმოდგენილი სარჩელი. გადაწყვეტილებამ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის

ისტორიული ტაძრის დაბრუნების პროცესი, ამ ეტაპზე, კიდევ უფრო პრობლემატური გახადა.

ბათუმის ახალი მეჩეთი

2019 წელს ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

2017 წელს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ მეჩეთის მშენებლობის ფონდს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მეჩეთის მშენებლობის ნებართვაზე უარი განუცხადა. საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ იყო შესწავლილი მნიშნველოვანი გარემოებები და მერიას დასაბუთებული პასუხიც კი არ ჰქონდა გაცემული, რის შედეგადაც ბათუმის მერიისგან შესაბამისი რეკომენდაციით საქმის გადახედვა და ახალი დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

მას შემდეგ, რაც მშენებლობის ფონდმა ბათუმის მერიის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, 2019 წლის 20 თებერვალს, ჩაინიშნა სასამართლო, რომელიც მუნიციპალიტეტის მოთხოვნით გადაიდო, ხოლო მოტივად მუსლიმებთან შესაძლო სამომავლო შეთანხმება დასახელდა. თუმცა შეთანხმება ვერ შედგა.

2019 წლის 30 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ქმედება დისკრიმინაციულად შეფასდა და ბათუმის მერიის გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით, ბათილად იქნა ცნობილი. სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისთვის ბათუმის მერიას დაუბრუნა. მერიამ გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. საქმის განხილვა გრძელდება.

9.7. საზღვრის კვეთა და რელიგიური ლიტერატურის შემოტანა

არადომიმანტი რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, განსაკუთრებით, მუსლიმები, საზღვრის კვეთისას ორ ძირითად პრობლემას აწყდებიან. საზღვრის დატოვებისას მათ დაუსაბუთებელად აყოვნებენ, უთვალიერებენ ბარგს, ინტერესდებიან მათი გარეგნობით და ა.შ. მეორე შემთხვევაში, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს წინააღმდეგობა ხვდებათ რელიგიური ლიტერატურის შემოტანის პროცესში - მათ სთხოვენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ან სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ (მუსლიმების შემთხვევაში) ნებართვის წარმოდგენას.

როგორც წესი, საქართველოში შემოტანისას არამართლმადიდებლურ რელიგიურ ლიტერატურას საფრთხედ აღიქვამენ და შინაარსის შემოწმებას ითხოვენ. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ წიგნების იმპორტი გათავისუფლებულია გადასახადისგან, რელიგიურ ორგანიზაციებს, ზოგიერთ შემთხვევაში, მაინც სთხოვენ იმპორტის გადასახადის გადახდას. გვხვდება რელიგიური ლიტერატურის დატოვების მოთხოვნებიც.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, სახალხო დამცველმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „შემოსავლების სამსახურის" მხრიდან, საზღვარზე დისკრიმინაცია დაადგინა და კონკრეტულ უწყებებს შესაბამისი რეკომენდაციებით რელიგიური ნეიტრალობის დაცვა მოსთხოვა,[522] თუმცა, ამის მიუხედავად, საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული პრობლემები 2019 წელსაც გვხვდებოდა.

9.8. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება

გამოწვევას წარმოადგენს რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების მოქმედი მოდელიც, რომლის თანახმად, დაფინანსება გაიცემა როგორც კომპენსაცია[523]. ეს მოდელი არ ითვალისწინებს მატერიალური ან მორალური ანაზღაურების გაცემას იმ რელიგიური ორგანიზაციებისთვის, რომელთაც საბჭოთა პერიოდში არანაკლები მორალური და მატერიალური ზიანი მიიღეს (მაგალითად, ევანგელურ-ლუთერული ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სახარების რწმენის ეკლესია, ეზიდები და სხვ.).

ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მთავრობა, რელიგიის საკითხთა სააგენტოს მეშვეობით, ფაქტობრივად ფინანსურ კონტროლს უწესებს ოთხ რელიგიურ გაერთიანებას იმის გამოსავლენად, კონკრეტულად, როგორ იხარჯება „კომპენსაცირებული" თანხა, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილებას იტოვებს, შეწყვიტოს დაფინანსნება. სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ამგვარი ურთიერთმიმართება, თავად დაფინანსების ფორმის - კომპენსაციის, მოტივსა და ხასიათს ეწინააღმდეგება.

9.9. რელიგიის თავისუფლება საგანმანათლებლო სისტემაში

საგანმანათლებლო სისტემაში, განათლების სამივე ეტაპზე (ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი) კვლავ კითხვის ქვეშ დგას რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ნეიტრალობის სრულფასოვანი დაცვის საკითხი.

ადრეული განათლების სისტემაში პრობლემურია კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", რომელიც რელიგიური ნეიტრალობისა და თანასწორობის შესახებ ჩანაწერს არ შეიცავს. რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა ინფორმაციით, საბავშო ბაღის მოსწავლეებს ხშირად უწევთ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტი", რომელიც საგანმანათლებლო სისტემის ამ დონეზე რელიგიური

[522] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/33UrptM > [ბოლოს ნანახია 31.03.2020].

[523] კომპენსაცია გაიცემა შემდეგ რელიგიურ გაერთიანებებზე: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ისლამური, იუდიური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის

ნეიტრალობის დაცვას მოითხოვს, რელიგიური გაერთანებების წარმომადგენელთა შეფასებით, არ სრულდება.

საჯარო სკოლებში, მიუხედავად ზოგადი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი აკრძალვებისა (პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია, რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური ნიშნით გამოფენა), რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა თქმით, კანონის მოთხოვნები ასევე არ სრულდება. არის შემთხვევები, როდესაც, სოციალური წნეხის, ბულინგისა და მარგინალიზაციის შიშის გამო, მოსწავლეები იძულებულები ხდებიან მართლმადიდებლურ რელიგიურ რიტუალებში მიიღონ მონაწილეობა. აგრეთვე, მთელ რიგ საჯარო სკოლებში მოწყობილია საკულტო დანიშნულების კუთხეები.

რელიგიური გაერთიანებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში არსებული დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ჩანაწერის მიუხედავად, უმაღლესი განათლების დონეზეც გვხვდება რელიგიური ნიშნით დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევები, როგორც სხვა სტუდენტების, ისე ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან.

მისასალმებელია, რომ 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საბაზო საფეხურის VII კლასის ყველა სახელმძღვანელოს გრიფირების პროცესში, კონკურსში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების შეფასებისას, დარგობრივ სპეციალისტებთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველის კოორდინაციით, ჩართო ადამიანის უფლებების ექსპერტები. ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კრიტერიუმი ითვალისწინებდა სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კულტურის ასახვის კუთხითაც. 2020 წელსაც იგეგმება VIII კლასის სახელმძღვანელოების შეფასება ექსპერტების ჩართულობით.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებაში, „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის" შესახებ და ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან ერთად, სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცეთ ზიანის შესაბამამისი კომპენსაცია
- საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დასაბრუნებლად, გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები, შემუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობა და ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური ნაგებობები ისტორიულ მესაკუთრე რელიგიურ გაერთიანებებს დაუბრუნდეს

- გაძლიერდეს თანამშრომლობა სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან. ადამიანის უფლებათა სფეროში, რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფელბიანობის კუთხით არსებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციებსა და კონსულტაციებს დაეფუძნოს
- შეიცვალოს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების პრაქტიკა. სახალხო დამცველთან, რელიგიათა საბჭოში შემავალ, ასევე, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან, ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციით, შემუშავდეს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების საგადასახადო სისტემა, რომელიც თანასწოუფლებიანობისა და სახელმწიფოს ნეიტრალობის მოთხოვნობს უპასუხებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- უზრუნველყოს რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკის ანალიზი და მისი გამოქვეყნება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- განათლების ყველა საფეხურზე უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ნეიტრალობის პრინციპის დაცვა. შესაბამისი მონიტორინგი გაეწიოს აღნიშნულის პრაქტიკაში შესრულებას

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- რელიგიური გაერთიანებების საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში დაიცვან რელიგიური ნეიტრალიტეტი და თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციური პრინციპი
- ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე, უზრუნველყონ რელიგიური ნეიტრალობის და თანასწორობის პრინციპის დაცვა; შესაბამისი მონიტორინგი გაეწიოს აღნიშნულის პრაქტიკაში შესრულებას.

10. გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური ღირებულებაა და მისი სათანადო უზრუნველყოფა უშუალოდ არის დაკავშირებული სხვა უფლებებით სრულყოფილ სარგებლობასა და ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხთან. ცხადია, სახალხო დამცველი აქტიურად აკვირდება საქართველოში ამ უფლების რეალიზების მდგომარეობას და მას ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებშიც აფასებს.

2019 წელი დატვირთული იყო მედიასივრცეში განვითარებული მოვლენების თვალსაზრისით. მათ შორის, მწვავე კითხვები გაჩნდა აჭარის ტელევიზიის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მცდელობასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყანაში არსებულ მედიაპლურალიზმს და უარყოფითად აისახება გამოხატვის თავისუფლებაზე. აღნიშნული განსაკუთრებით შემაშფოთებელია ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და კრიტიკული ტელეკომპანიების მესაკუთრეებთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი საქმეების წარმოების სიმრავლის გათვალისწინებით.

კვლავ პრობლემურ საკითხად დარჩა[524] ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის გამო, მათ წინააღმდეგ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების თაობაზე სათანადო სტატისტიკის არარსებობა,[525] რაც ხელს უშლის მსგავსი ფაქტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას და ართულებს მათზე რეაგირების ეფექტიანობის შეფასებას.

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის 17 მარტს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი აზერბაიჯანის ციხიდან გაათავისუფლეს,[526] 2017 წლიდან დღემდე, თბილისის ცენტიდან მისი გაუჩინარების საქმეზე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების კუთხით,[527] არავითარი პროგრესი არ ყოფილა.[528] საყურადღებოა, რომ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, აფგან მუხთარლიმ მის საქმესთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაცია გააჟღერა და მიუთითა, რომ მისი გატაცება აზერბაიჯანელი და ქართველი მაღალჩინოსნების გარიგების შედეგს წარმოადგენდა.[529] სახალხო დამცველი ხაზს უსვამს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ აფგან მუხთარლის დროულად გამოკითხვის აუცილებლობას, რაც სამართლებრივი დახმარების

[524] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში „ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 155.

[525] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 17 იანვრის №133962 წერილი.

[526] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3dffz1F > [ბოლოს ნანახია: 20.03.2020].

[527] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში „ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 156-157.

[528] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 15 იანვრის №13/2109 წერილი.

[529] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2xfrADU > [ბოლოს ნანახია: 23.03.2020].

აღმოჩენის თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაგზავნილ შუამდგომლობაზე პასუხის მიუღებლობის გამო, ჟურნალისტის პატიმრობის პირობებში, ვერ განხორციელდა.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა გამოხატვის თავისუფლების საკმაოდ მაღალ სტანდარტს ადგენს, თუმცა გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა უფლების შეზღუდვისკენ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივების სამწუხარო ტენდენცია, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს.[530] კერძოდ, საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე, დაიწყო მსჯელობა მედიაპროგრამებში სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებული მოწესრიგების გამკაცრების თაობაზე. გარდა ამისა, პრობლემად გამოიკვეთა არაწინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის განთავსების გამო მაუწყებლისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, ამისთვის მკაფიოდ და საკმარისი სიცხადით ფორმულირებული რეგულირების არარსებობის პირობებში.

10.1. მედიაგარემო

დემოკრატიული საზოგადოებისთვის თავისუფალი და ჯანსაღი მედიაგარემოს სასიცოცხლო ფუნქციის გათვალისწინებით, აპარატისთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო წლის განმავლობაში ამ მიმართულებით არსებული სიახლეები და გამოწვევები.

ტრადიციულად, საანგარიშო წელს ქვეყანაში არსებული მედიაგარემო ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი კვლევებით შეფასდა. Human Rights Watch-ის ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებით, საგანგებოდ მიეთითა მედია პლურალიზმის შეზღუდვის საფრთხეზე და ყურადღება გამახვილდა როგორც „რუსთავი 2"-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, ისე ზოგიერთი ტელევიზიის ხელმძღვანელთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.[531]

ასევე გამოქვეყნდა საერთაშორისო ორგანიზაციის, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე", 2019 წლის პრესის თავისუფლების ინდექსიც, რომელშიც საქართველო, გასულ წელთან შედარებით, ერთი საფეხურით დაწინაურდა და მე-60 ადგილი დაიკავა. ორგანიზაციამ, მედიაგარემოს მიმართულებით, გამოწვევებად დაასახელა მედიასაშუალებების მფლობელების ჩარევა სარედაქციო პოლიტიკაში და აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან

[530] მათ შორის, იხ. კანონპროექტი შემოქმედების თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით და მის თაობაზე, საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2sX3lID >, < https://bit.ly/2tQnOzn > [ბოლოს ნანახია: 26.01.2020]; ასევე, იხ. კანონპროექტი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებად გამოცხადების თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/36uexKB >, [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[531] Human Rights Watch-ის 2019 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/38KCmPL > [ბოლოს ნანახია: 28.01.2020].

მუხთარლის საქმე, რომელიც კონკრეტულ დამაჯერებელ შედეგებამდე არ მისულა.[532] მოგვიანებით გავრცელებულ განცხადებაში, ორგანიზაციამ მიუთითა ხელისუფლების მოკავშირეების მხრიდან კრიტიკულ ან დამოუკიდებელ მედიაზე კონტროლის გაზრდაზე, ტელეკომპანიების ფინანსური ვალდებულებების საპასუხოდ, პოლიტიკურად მიკერძოებული ღონისძიებების გატარებაზე, ტელევიზიის ხელმძღვანელებთან დაკავშირებულ ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმესა და წარსულში ყველაზე პოპულარული ოპოზიციური ტელეკომპანიის, „რუსთავი 2"-ის მესაკუთრის ცვლილების შედეგად, მედიალანდშაფტის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციაზე, მათ შორის, ამ არხის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლაზე.[533]

„რუსთავი 2"-ის გარშემო მიმდინარე მოვლენები

„რუსთავი 2"-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ,[534] ტელეკომპანია „რუსთავი 2" მის ყოფილ მესაკუთრეს დაუბრუნდა, რომელმაც იმავე დღეს თანამდებობიდან გაათავისუფლა არხის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია.[535] მოგვიანებით, ინტერესთა კონფლიქტის საფუძვლით, ტელეკომპანიიდან გაათავისუფლეს საინფორმაციო სამსახურის უფროსი და წამყვანი ტოქშოუების ჟურნალისტები, ამ საკადრო ცვლილებებით უკმაყოფილო თანამშრომლებმა კი მაუწყებელი დატოვეს.[536] შედეგად, „რუსთავი 2"-ზე საინფორმაციო მაუწყებლობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეწყდა[537] და 2019 წლის 25 სექტემბერს განახლდა.[538] აღსანიშნავია, რომ გათავისუფლებული თანამშრომლების ნაწილმა, დისკრიმინაციის მოტივით შრომითი უფლებების დარღვევის თაობაზე, სასამართლო დავა წამოიწყო.

სექტემბერში მაუწყებლობა დაიწყო „მთავარმა არხმა",[539] სადაც „რუსთავი 2"-ის არაერთი ყოფილი თანამშრომელი დასაქმდა.[540] „რუსთავი 2"-დან წამოსული თანამშრომლების ნაწილით დაკომპლექტდა აგრეთვე ტელეკომპანია „ფორმულა", რომელიც მაუწყებლობას ოქტომბერში შეუდგა.[541]

---

[532] „რეპორტიორები საზღვრების გარეშე"-ს 2019 წლის პრესის თავისუფლების ინდექსი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://rsf.org/en/georgia > [ბოლოს ნანახია: 28.01.2020].

[533] განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2vFcCGi> [ბოლოს ნანახია: 17.02.2020].

[534] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება: < https://bit.ly/30Z9nFd > [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[535] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3aKVvDd > [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[536] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/37uW9T1 >, < https://bit.ly/30VZgRE >, < https://bit.ly/30TaSoB >, < https://bit.ly/2O13Ngn > [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[537] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2TlzyE1 >, < https://bit.ly/2wnASNz > [ბოლოს ნანახია: 02.03.2020].

[538] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2PJB4h5 > [ბოლოს ნანახია: 02.03.2020].

[539] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3aLj3rm > [ბოლოს ნანახია: 02.03.2020].

[540] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2tQze6d > [ბოლოს ნანახია: 02.03.2020].

[541] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2VEBMQt >, < https://bit.ly/2liUhlG >, <https://bit.ly/2VFqTxL> [ბოლოს ნანახია: 02.03.2020].

გასათვალისწინებელია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დამფუძნებლების, დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის მხრიდან საწარმოში მათი კუთვნილი წილების დათმობის საკითხს 2012 წლიდან დღემდე არ მისცემია სამართლებრივი შეფასება, არც სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულა და ამდენად, კომპანიის საკუთრებასთან დაკავშირებით არსებული კითხვები არ ამოწურულა.[542] აღნიშნულ საქმეს სახალხო დამცველი 2019 წლის 14 ივნისის განცხადებით გამოეხმაურა და გამოძიების გაჭიანურების შესახებ მიუთითა.[543] საგულისხმოა, რომ „რუსთავი 2"-ის დამფუძნებლებმა ტელეკომპანიის საკუთრებასთან დაკავშირებით სამოქალაქო სამართლებრივი დავა საანგარიშო პერიოდში სასამართლოში დაიწყეს.

აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები

2019 წლის 19 აპრილს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორს, ნათია კაპანაძეს მრჩეველთა საბჭომ იმპიჩმენტი გამოუცხადა.[544] ამ ფაქტმა სამოქალაქო სექტორის მხრიდან მკვეთრად უარყოფითი შეფასება გამოიწვია,[545] რადგან მისი ხელმძღვანელობის პერიოდში, არხი თავისუფალი და მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩეოდა.[546]

2019 წლის 22 ნოემბერს აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სტუმრობის დროს, მისმა ახლად არჩეულმა დირექტორმა[547] არხს კრიტიკული ტონი დაუწუნა.[548] მოგვიანებით, ტელევიზიის თანამშრომლებმა განცხადება გაავრცელეს, რომელშიც ახალი დირექტორის მხრიდან მათ მიკერძოებაში დადანაშაულების თაობაზე ისაუბრეს.[549] გარდა ამისა, სახალხო დამცველთან გამართულ შეხვედრაზე, ჟურნალისტებმა გარკვეულ ფაქტებზე მიუთითეს, რომელთა თანახმადაც, მიიჩნევდნენ, რომ საფრთხის ქვეშ დგებოდა კრიტიკული მაუწყებლობა და სარედაქციო დამოუკიდებლობა.[550]

---

[542] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 23 იანვრის №13/4107 წერილი.

[543] განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36oNYXj> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[544] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2tIe76c> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[545] განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RPJNyv> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[546] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ (2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი), გვ. 36, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39vraXT> [ბოლოს ნანახია: 11.02.2020]; ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ (2017 წლის 21 ოქტომბერი და 12 ნოემბერი), გვ. 33, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2HdskLy> [ბოლოს ნანახია: 11.02.2020]; საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში (2016-2018), გვ. 14-15, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2vCl6y6> [ბოლოს ნანახია: 17.02.2020].

[547] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2GrBEL7> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[548] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37vpAV7>, <https://bit.ly/2vjrYjv> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[549] განცხადება ხელმისაწვდომია: <https://ajaratv.ge/article/52428> [ბოლოს ნანახია:26.01.2020].

[550] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36px9LH> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის სურვილს დაუკავშირდა[551] აგრეთვე აჭარის ტელევიზიის დირექტორის მიერ მისი პირველი მოადგილის, ნათია ზოიძის შრომითი ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილება, რის შედეგადაც, ნათია ზოიძე ჩამოშორდა მაუწყებლის პლატფორმებზე სარედაქციო პოლიტიკის მართვას[552] და საბოლოოდ, დაკავებული თანამდებობა დატოვა.[553] ამასთან, აჭარის ტელევიზიის თანამშრომლების,[554] სახალხო დამცველისა[555] და სამოქალაქო საზოგადოების[556] მწვავე კრიტიკის ფონზე გადაწყდა მაუწყებელში საშტატო ცვლილებების განხორციელება.

საგულისხმოა, რომ ნათია ზოიძის მიერ თანამდებობის დატოვება კრიტიკულად შეაფასა საერთაშორისო ორგანიზაციამ, „რეპორტიორები საზღვრების გარეშე", რომელმაც ეს ფაქტი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მედიაზე პოლიტიკური ზეწოლის ზრდას დაუკავშირა.[557]

საქართველოს სახალხო დამცველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თავისუფალი მედია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა და იმედოვნებს, რომ ზემოხსენებული გარემოებები უარყოფითად არ აისახება აჭარის ტელევიზიის დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკაზე, ხოლო არხის ჟურნალისტებს კვლავ მიეცემათ გავლენებისგან თავისუფალი პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ აჭარის ტელევიზია საბიუჯეტო დაფინანსებით მოქმედი მაუწყებელია, რომლის შექმნის მიზანსაც გავლენებისგან თავისუფალი, მიუკერძოებელი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი და მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება წარმოადგენს. თავის მხრივ, მსგავსი ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად, ტელევიზიას კანონმდებლობა არაერთ ვალდებულებას უდგენს,[558] რომელთა ზედმიწევნით შესრულებას, ქვეყანაში არსებული პოლარიზებული მედიაგარემოს გათვალისწინებით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

კრიტიკული ტელეკომპანიების ხელმძღვანელებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ „რუსთავი 2"-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, ქვეყანაში არსებული მედიალანდშაფტი

---

[551] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://ajaratv.ge/article/53285>, <https://bit.ly/2SQKQOX> [ბოლოს ნანახია: 17.02.2020].

[552] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის №02-22/612 წერილი.

[553] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36Zkcsn> [ბოლოს ნანახია: 05.02.2020].

[554] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SNIWQt> [ბოლოს ნანახია: 21.02.2020].

[555] განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3c5j5LA> [ბოლოს ნანახია: 21.02.2020].

[556] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bPIGYN> [ბოლოს ნანახია: 21.02.2020].

[557] განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SAjjmb> [ბოლოს ნანახია: 17.02.2020].

[558] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 16.

მნიშვნელოვნად შეიცვალა. მაუწყებლობა დაიწყო კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის მქონე ორმა ტელეკომპანიამ („მთავარი არხი" და „ფორმულა"), ასევე დაარსდა „ევრონიუს საქართველო", რომლის ეთერში გასვლა 2020 წელს იგეგმება.[559] თუმცა, ამ პროცესის პარალელურად, საანგარიშო წელი გამოირჩეოდა ხელისუფლების გავლენისგან დამოუკიდებელი ტელეკომპანიების მესაკუთრეებთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი საქმეების წარმოების სიმრავლით, რაც კითხვებს აჩენს ქვეყანაში კრიტიკული მედიის დევნის მცდელობასთან დაკავშირებით.

„რუსთავი 2"-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 2019 წლის 20 ივლისს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, მისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისების და ქონების მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით დამალვის ფაქტზე. გამოძიების მსვლელობისას, ბრალი წარედგინა „რუსთავი 2"-ის ყოფილ გენერალურ დირექტორს და ახლადშექმნილი „მთავარი არხის" დამფუძნებელს, ნიკა გვარამიას.[560] ბრალდების შინაარსი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დირექტორობის პერიოდში მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების არამომგებიანობას ეფუძნება.

საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ პროკურატურის მიერ ნიკა გვარამიასთვის წარდგენილი ერთ-ერთი ბრალდება, რომელიც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ, ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას გულისხმობს,[561] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარის მკაფიო ნიშნებს არ შეიცავდა, და 2019 წლის 4 ნოემბერს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა საქმის განმხილველ სასამართლოს.[562]

---

[559] ინფორმაცია ხელმისაწვდომია:<https://bit.ly/2OJTvkW> [ბოლოს ნანახია: 11.02.2020].

[560] საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38DthIw> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020]. გამოძიების მსვლელობისას, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ნიკა გვარამიას ბრალი წარედგინა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით მართლზომიერ გამგებლობაში არსებული სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის, კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების მიზნით და გამოყენების ფაქტებზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ასევე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება; ასევე, მას დამატებით დაედო ბრალი საწარმოში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

[561] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „დ" ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

[562] სახალხო დამცველის განცხადება და სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RMBMdw> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020]; დეტალური ინფორმაცია იხ. წინამდებარე ანგარიშის სამართლიანი სასამართლოს უფლების თავში.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებული საქმის ფარგლებში, 2019 წლის 2-3 ოქტომბერს პროკურატურამ ახლად დაფუძნებული დამოუკიდებელი ტელეკომპანიის, „ფორმულას" გენერალური დირექტორი, ზურაბ გუმბარიძე და ამავე არხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი, გიორგი ლაფერაშვილი გამოკითხა. გამოკითხულებმა პროკურატურაში დაბარება „ფორმულას" მაუწყებლობის დაწყებას დაუკავშირეს.[563]

ასევე საყურადღებოა 2019 წლის 18 ნოემბერს „მთავარი არხის" ერთ-ერთი მეწილის, გიორგი რურუას დაკავების ფაქტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.[564] სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას გიორგი რურუა საკუთარ პოლიტიკურ პოზიციონირებას უკავშირებს. საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნულ საქმეს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის.

გარდა ამისა, 2019 წლის 22 აგვისტოს ბრალი წარედგინა კიდევ ერთი დამოუკიდებელი ტელეარხის, „ტვ პირველი"-ს დამფუძნებლის, ვატო წერეთლის მამას. ბიზნესმენ ავთანდილ წერეთელს საგამოძიებო უწყება „თიბისი ბანკის" ხელმძღვანელების მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში დახმარებას ედავება.[565] აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოში გამოიკითხა ვატო წერეთელიც, რომელმაც მიმდინარე პროცესები ტელეკომპანიას დაუკავშირა.[566] გასათვალისწინებელია, რომ ამ ფაქტს წინ უსწრებდა პროკურატურის მხრიდან „თიბისი ბანკის" დამფუძნებლის, მამუკა ხაზარაძის მიერ მტკიცებულებად წარდგენილი დოკუმენტის გასაჯაროება, რომლის ავტორიც მისგან „ტვ პირველის" სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებას მოითხოვდა.[567] ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობის თაობაზე ინფორმაცია წარსულშიც გაჟღერდა.[568] საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა უშუალოდ „თიბისი ბანკის" ხელმძღვანელების, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ბრალდების საქმე და მიიჩნია, რომ საქმის მასალებში არ იკვეთება იმ ელემენტების არსებობა, რომლებიც აუცილებელია ქმედების ფულის გათეთრების დანაშაულად მისაჩნევად. შედეგად, სახალხო დამცველმა 2020 წლის 9 იანვარს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა საქმის განმხილველ სასამართლოს.[569]

---

563 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/36rzVjH>, <https://bit.ly/2sYwx1X> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

564 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30Uwil7> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

565 ინფორმაცია ხელმისაწვდომი: <https://bit.ly/2U4jN5f> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

566 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2uAZOjC> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

567 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2U1bjLY> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

568 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30VcDRU>, <https://bit.ly/2RwlTZX> [ბოლოს ნანახია: 25.01.2020].

569 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2GUgZQd> [ბოლოს ნანახია: 05.02.2020].

საქართველოს სახალხო დამცველი მინიჭებული მანდატის ფარგლებში განაგრძობს ზემოხსენებული საქმეების მონიტორინგს და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ზემოთ მითითებული შეფასებების გარდა, განაგრძობს საზოგადოების ინფორმირებას. ამასთანავე, არსებული შეფასებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს ამ საქმეებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების და მათი მიმდინარეობისას არსებული სიახლეების თაობაზე საზოგადოების სრულფასოვანი და მუდმივი ინფორმირების აუცილებლობაზე, რაც ქვეყანაში ჯანსაღი მედიაგარემოს შეზღუდვასთან დაკავშირებით არსებული ეჭვების გაქარწყლებისკენ იქნება მიმართული.

10.2. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებები

საანგარიშო წლის განმავლობაში გავრცელებული განცხადებების[570] შედეგად, არაერთხელ გახდა აქტუალური საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2018 წლის დეკემბერში საკანონმდებლო ორგანოში ინიცირებული საკანონმდებლო წინადადება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.[571] შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, დღეის მდგომარეობით მედიის თვითრეგულირებას მიკუთვნებული გარკვეული საკითხები[572] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ან სასამართლოს ზედამხედველობას დაექვემდებარება.[573] საყურადღებოა, რომ აღნიშნულ საკითხებში ექცევა სიძულვილის ენის აკრძალვაც. 2020 წლის 12 თებერვალს აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება მიღებულად ცნო

[570] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/36uxZXJ> [ბოლოს ნანახია: 02.03.2020]; საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებები ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2GrPwVH>, <https://bit.ly/315WBoJ> [ბოლოს ნანახია: 02.03.2020].

[571] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2NZBb7i> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[572] იგულისხმება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული პროგრამული შეზღუდვები: ომის პროპაგანდა; ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის; ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას; ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს.

[573] საქართველოს კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ნაწილი 25, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RQuVzL> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა.[574]

სახალხო დამცველის შეფასებით, შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები მედიის პროგრამების შინაარსში ჩარევის შესაძლებლობას შექმნის, რაც ქვეყანაში არსებული გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტზე უარყოფითად აისახება.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განმარტებით, შემოთავაზებული ცვლილებების პაკეტის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის მისადაგება აუდიოვიზუალური მედიამომსახურების შესახებ 2010/13/EU დირექტივასთან. მითითებული დირექტივის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ აუდიოვიზუალური მედიამომსახურება არ შეიცავდეს რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური ან ეროვნული ნიშნით სიძულვილის გაღვივებას.[575] თუმცა, დირექტივა არ განსაზღვრავს კონკრეტულ ზომებს, რომლებიც სახელმწიფომ მსგავსი ვალდებულების შესასრულებლად უნდა გაატაროს. შესაბამისად, ხელისუფლებას რჩება სივრცე, არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შეფასების შედეგად, გადაწყვიტოს, თუ რა საშუალების (რეგულირების თუ თვითრეგულირების მექანიზმი) გამოყენებას მიიჩნევს მიზანშეწონილად დირექტივის მოთხოვნის დასაცავად.

სახალხო დამცველი იზიარებს სამოქალაქო სექტორის მოსაზრებას შემოთავაზებული ცვლილებების მიღების სანაცვლოდ, თვითრეგულირების მექანიზმის გაძლიერების საჭიროებაზე[576] და მიუთითებს ამ მიზნით კონსულტაციების გამართვის აუცილებლობაზე, ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით.

10.3. პასუხისმგებლობა არაწინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით

გასული წლების მსგავსად,[577] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საანგარიშო წლის ბოლოსაც დაადგინა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა ერთ-ერთი მაუწყებლის მხრიდან არაწინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გამო.[578] წინა პერიოდისგან განსხვავებით, ვიდეორგოლები თავად ტელეკომპანიამ

[574] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2Tt8W2O> [ბოლოს ნანახია: 02.03.2020].

[575] აუდიოვიზუალური მედიამომსახურების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივა, მუხლი 6.

[576] კოალიცია მედია ადვოკატირებისთვის განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2O2lxIl> [ბოლოს ნანახია: 26.01.2020].

[577] იხ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები: <https://bit.ly/2O0ps8z>, <https://bit.ly/2O3tNaT>, <https://bit.ly/2RrWEaW> [ბოლოს ნანახია: 27.01.2020].

[578] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/36q7TVz> [ბოლოს ნანახია: 27.01.2020].

დაამზადა და განათავსა და საფუძვლად არ დასდებია პოლიტიკურ გაერთიანებასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს არასაარჩევნო რეკლამის მარეგულირებელ წესებს და შესაბამისად, პირდაპირ არ კრძალავს არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მითითებით, დაუშვებელია მაუწყებლობის იმ სახით განხორციელება, რაც არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, კომისიამ მიუთითა, რომ გავრცელებული ვიდეორგოლები თავისი შინაარსით წინასაარჩევნო რეკლამები იყო[579] და ისინი იმგვარ პოლიტიკურ რეკლამებად განიხილა, რომელთა განთავსება შეზღუდულია, თუ წინასაარჩევნო კამპანია არ მიმდინარებს. აღნიშნულის საფუძველზე, კომისიამ დაადგინა, რომ მაუწყებელმა კანონით აკრძალული არასათანადო რეკლამა[580] განათავსა და გაავრცელა. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ „არასათანადო რეკლამის" ცნება განმარტებულია „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონით, რომლის მოქმედებაც პოლიტიკურ რეკლამაზე არ ვრცელდება.[581]

ნიშანდობლივია, რომ როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერებისთვის, აუცილებელია აღნიშნული მიზნით გამოყენებული ნორმა აკმაყოფილებდეს ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს.[582] ერთი მხრივ, დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს, განსაზღვროს კონკრეტულ სიტუაციაში მის მიმართ გამოსაყენებელი კანონი, ხოლო, მეორე მხრივ, თავად შემზღუდავი ნორმა საკმარისი სიცხადით უნდა იყოს ფორმულირებული, რათა მისცეს მას შესაძლებლობა, გონივრულობის ფარგლებში, განჭვრიტოს კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგი. სახალხო დამცველის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული აკრძალვა და მისი დასაბუთება ხსენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

თავის მხრივ, თუ გამოიკვეთება არაწინასაარჩევნო რეკლამის განთავსების შეზღუდვისა და მსგავსი სახით გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევის აუცილებლობა, რელევანტურ გარემოებებზე მითითებითა და შესაბამისი დასაბუთებით, უნდა განისაზღვროს მისი ლეგიტიმური მიზანი და შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება.

---

[579] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 2, „ჰ[14]" ქვეპუნქტი; საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 2, „ჯ" ქვეპუნქტი.

[580] „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3, ნაწილი 2.

[581] „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 2, ნაწილი 5.

[582] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II. პარ. 7; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *the Sunday Times v. The United Kingdom*, პარ. 49.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში არ შეიტანოს იმგვარი ცვლილებები, რომლებიც დღეის მდგომარეობით მედიის თვითრეგულირებას მიკუთვნებულ საკითხებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ან სასამართლოს ზედამხედველობას დაუქვემდებარებს

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდოლოგია და მის საფუძველზე აწარმოოს სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს არა მხოლოდ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულს, არამედ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- საზოგადოებას პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გაუჩინარების საქმის მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ.

11. შეკრების თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური იყო ადამიანის ფუნდამენტური უფლების - შეკრების თავისუფლების დაცვის საკითხები. წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით გამართული არაერთი მანიფესტაციის, საპროტესტო აქციის, კონტრაქციის და პიკეტირების შინაარსი სამოქალაქო-პოლიტიკური შეხედულებების, თუ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე პროტესტის გამოხატვასთან იყო დაკავშირებული. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული უფლების რეალიზაციის დროს, სახელმწიფო მასზე დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს სათანადოდ ვერ ასრულებდა.

გამოიკვეთა განსხვავებული შეხედულებების ჯგუფებს შორის დაპირისპირების თავიდან ასაცილებელი ზომების მიუღებლობის, შეკრებილ პირთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღსაკვეთად სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობის, არაპროპორციული, ასევე, გაუმართლებელი ძალის გამოყენების, და უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის საკითხები. გამოვლენილი საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზების გარდა, წლის განმავლობაში შეკრებებზე დაკვირვებამ თვალსაჩინოდ წარმოაჩინა სახელმწიფოს განსხვავებული რეაგირება აგრესიული, მოძალადე და ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფების მიერ დაგეგმილი შეკრებების მიმართ.

ქვეყანაში შეკრების თავისუფლებით სარგებლობის კუთხით არსებული პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც განსაკუთრებით მწვავედ 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების ფონზე გამოვლინდა, სახალხო დამცველმა სპეციალური ანგარიში მოამზადა, რომელშიც საქართველოში ამ უფლების განხორციელების მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემა და მისი აღსრულების მექანიზმები შეაფასა. სპეციალური ანგარიშის ფარგლებში შეკრების უფლებასთან დაკავშირებული არაერთი საკანონმდებლო თუ პრაქტიკაში არსებული ხარვეზი გამოიკვეთა.

11.1. შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევები

2011 წლის 26 მაისის შემდეგ, საანგარიშო პერიოდში კვლავ ჰქონდა ადგილი შეკრების შეწყვეტას არაპროპორციული ძალის გამოყენებით, რაც უარყოფითად შეაფასეს

საქართველოს სახალხო დამცველმა,[583] ადგილობრივმა[584] და საერთაშორისო[585] უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა.

კერძოდ, ძალის გამოყენებით და საკმაოდ მძიმე შედეგებით დასრულდა 2019 წლის 20 ივნისს პარლამენტის წინ მშვიდობიანად დაწყებული საპროტესტო შეკრება.[586] აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მანიფესტანტთა ნაწილის ქმედებები გასცდა მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს და ადგილზე მობილიზებულ სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებთან მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა. საბოლოოდ, პოლიციამ შეკრება ძალის გამოყენებით შეწყვიტა, რის შედეგადაც ორასზე მეტი ადამიანი დაშავდა. სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, მათ შორის, ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და წყლის ჭავლი გამოიყენეს.

სახალხო დამცველის შეფასებით, 20-21 ივნისის შეკრების შეწყვეტისას გამოყენებული ძალა, განსაკუთრებით კი, არალეტალური ჭურვების გამოყენება, კანონმდებლობით დადგენილი ბრძანების არარსებობის, ჭურვებისა (რამდენიმე ასეული) და მეთოფეების (რამდენიმე ათეული) რაოდენობის, ლოკაციის ფართობის (როგორც უშუალოდ პარლამენტის შენობის წინ, ასევე, რუსთაველის გამზირის სხვა მონაკვეთებზე), ხანგრძლივობის (რამდენიმე საათიანი პერიოდი), დაშავებული მომიტინგეების რაოდენობისა და მათი დაზიანებების ხარისხის გათვალისწინებით, არ შეიძლება შეფასდეს პროპორციულ და თანაზომიერ საშუალებად.

ამავდროულად, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ შეკრების შეწყვეტამდე არ შესრულებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი ვალდებულება, როგორიცაა შეკრების მონაწილეების წინასწარი გაფრთხილება ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების მოსალოდნელი გამოყენების თაობაზე, მათთვის პოლიციას არც გონივრული დრო მიუცია კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.[587] აღსანიშნავია, რომ შეკრების მონაწილეთა წინასწარი გაფრთხილების ვალდებულების შესრულების სტანდარტი

---

[583] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2M2bpir> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[584] იხ. მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 20 ივნისს განვითარებულ მოვლენებზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2GlXqzZ> [ბოლოს ნანახია 30.03.2020]; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ანგარიშები, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2sV9ODW> [ბოლოს ნანახია 30.03.2020]; <https://bit.ly/2TXZfLs> [ბოლოს ნანახია 30.03.2020]; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში „დაკარგული თვალის მიღმა", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/30Q1zpo>[ბოლოს ნანახია 30.03.2020]; ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში: < https://bit.ly/2O0Er29 > [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[585] იხ. Amnesty International-ის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/30QaXcA> [ბოლოს ნანახია 30.03.2020], Human Rights Watch-ის ანგარიში, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2t0tV3M>[ბოლოს ნანახია 30.03.2020]; ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის განცხადება: <https://bit.ly/36ogSqw> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[586] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2M2bpir> [ბოლოს ნანახია: 29.03.2020].

[587] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 31, ნაწილი 3.

ასახულია „შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ" ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სახელმძღვანელოში, რომლის თანახმადაც, მონაწილეთა გაფრთხილება შესაბამისი ხმის გამაძლიერებელი აპარატურის მეშვეობით, შეკრებაზე რამდენჯერმე უნდა განხორციელდეს, უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და არ იფარებოდეს სხვა ბგერებით. საჭიროების შემთხვევაში, გაფრთხილება რამდენიმე ადგილიდან უნდა გაკეთდეს, რათა იგი ყველა მონაწილემ გაიგოს.[588] ამ წესიდან ერთადერთ გამონაკლისს ისეთი სიტუაცია წარმოადგენს, როდესაც დაყოვნებას სიცოცხლის მოსპობა ან სერიოზული დაშავება შეიძლება მოჰყვეს.[589]

სახალხო დამცველმა არ გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტება, რომ 2019 წლის 20 ივნისს განვითარებული მოვლენების, ძალადობის ინტენსივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ცრემლსადენი გაზის და რეზინის ტყვიების გამოყენებამდე, უშუალოდ ადგილზე გაფრთხილება შეუძლებელი და აზრს მოკლებული იყო.[590] სამინისტრო ასევე მიუთითებდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის, პარლამენტში შეჭრის რეალური საფრთხის არსებობაზე. აპარატის შეფასებით, უწყებას ადგილზე ჰქონდა გაფრთხილების პრაქტიკული შესაძლებლობა სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში მოსალოდნელი ძალის გამოყენების თაობაზე, როგორც პარლამენტში თვითნებური შეღწევის შესახებ განცხადების გაკეთებიდან სიტუაციის თავდაპირველ გამწვავებამდე, ასევე მის შემდგომ პერიოდშიც.[591]

რაც შეეხება შეკრების შეწყვეტის დაწყებამდე მონაწილეთა გაფრთხილებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯაროდ გავრცელებული საგანგებო განცხადებით,[592] აგრეთვე, მედია საშუალებებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაჟღერებულ მოწოდებებს,[593] მსგავსი

---

[588] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებებს ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 133-134, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Jt2fc9> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[589] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებებს ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 133.

[590] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 9 იანვრის №59687 წერილი.

[591] შეკრების მიმდინარეობისას, პარლამენტში შესაძლო შეჭრის შესახებ განცხადება 21:08 საათზე გაჟღერდა, ხოლო ადგილზე სიტუაცია პირველად 21:50 საათიდან გამწვავდა, როდესაც აქციის მონაწილეთა ნაწილმა პოლიციის კორდონის გარღვევა და პარლამენტის ეზოში შესვლა სცადა, თუმცა ძალის გამოყენება მოხდა აღნიშნული ინციდენტიდან 2 საათის გასვლის შემდეგ. ამასთან, სიტუაციის პირველი ესკალაციიდან ძალის გამოყენებამდე, დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში, შეკრების მონაწილეებს შეწყვეტილი ჰქონდათ ძალადობრივი ქმედებები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2RufAWN> [ბოლოს ნანახია 30.03.2020]; <https://bit.ly/30RhhAF> [ბოლოს ნანახია: 04.02.2020]

[592] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3asxyzY> [ბოლოს ნანახია: 29.03.2020].

[593] იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ეთერი (22:39 საათიდან და 22:59 საათიდან) ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2Uq3bEu> [ბოლოს ნანახია: 29.03.2020].

ღონისძიებები არ უზრუნველყოფს შეკრების მონაწილეთა სრულფასოვან ინფორმირებას და არ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ გაფრთხილების სტანდარტს.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს მოვლენების გაშუქების მიზნით ადგილზე მყოფი ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის, დაკავებისა და მათი დაშავების ფაქტები. საგულისხმოა, რომ მედიის წარმომადგენლებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ შეკრებათა შესახებ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური ცნობების გავრცელების თვალსაზრისით, ხოლო მათ მიერ მოპოვებული ჩანაწერები მნიშვნელოვანია ორგანიზატორებისა და სამართალდამცავების ანგარიშვალდებულების კუთხით.[594] ჟურნალისტების შეკრებებზე დაშვებისა და მისი შეუფერხებლად გაშუქების შესაძლებლობის მინიჭება მჭიდროდ უკავშირდება როგორც მშვიდობიანი შეკრების უფლებას, აგრეთვე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.[595] ყოველივე ეს კი აუცილებელს ხდის, უზრუნველყოფილი იყოს მედიის წარმომადგენლების, მათ შორის, სამოქალაქო ჟურნალისტების,[596] დაცულობა შეკრების მონიტორინგის ჩატარებისას.[597]

ამის საწინააღმდეგოდ, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ინფორმაციით, 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ტყვიებით შეწყვეტის შედეგად, მედიის 40-მდე წარმომადგენელი დაშავდა.[598] რამდენიმე მათგანის განცხადებით, პოლიცია მათ რეზინის ტყვიებს დამიზნებით ესროდა მას შემდეგაც კი, როდესაც

---

[594] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 206-208; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს წევრ შერჩეულ ქვეყნებში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგის ანგარიში (მაისი 2017 - ივნისი 2018), 19 სექტემბერი 2019, პარ. 334, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2ucM3lh> [ბოლოს ნანახია: 19.02.2020]; ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე, *Najafli v. Azerbaijan*, განმარტა, რომ მედიის როლი გულისხმობს საზოგადოებრივ ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებას; ხოლო, თავის მხრივ, საზოგადოებას გააჩნია ამგვარი მონაცემების და, მათ შორის, შეკრების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (პარ. 66).

[595] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს წევრ შერჩეულ ქვეყნებში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგის ანგარიში (მაისი 2017 - ივნისი 2018), 19 სექტემბერი 2019, პარ. 335; მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის 2007 წლის 21 ივნისის სპეციალური ანგარიში პოლიტიკური დემონსტრაციების მიმდინარეობისას მედიასთან მუშაობის თაობაზე, გვ. 1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3bUMQ1E> [ბოლოს ნანახია: 19.02.2020].

[596] ეუთოს წევრ შერჩეულ ქვეყნებში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგის ანგარიშის (მაისი 2017 - ივნისი 2018) თანახმად, სამოქალაქო ჟურნალისტიკა გულისხმობს იმ მოქალაქეთა აქტივობას, რომლებიც, მართალია, არ არიან დასაქმებული ტრადიციულ მედიაში, თუმცა აგროვებენ, გადასცემენ, აანალიზებენ და ავრცელებენ სიახლეებსა და ინფორმაციას.

[597] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, 21 მაისი 2012, A/HRC/20/27, პარ. 48.

[598] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2THI7tm> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

სამართალდამცავებს ეუბნებოდნენ, რომ მედიის წარმომადგენლები იყვნენ.[599] მიუხედავად ამისა, შეკრების დაშლისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მედიის არცერთ წარმომადგენელს ამ დრომდე არ მინიჭებია დაზარალებულის სტატუსი.[600]

აღსანიშნავია, რომ მედიის წარმომადგენელთა დაცულობის თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობაც ხარვეზიანია, რომელიც შეკრების ორგანიზატორებისა და სამართლდამცავ ორგანოს ავალდებულებს მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს, რომლებიც შეკრებას აშუქებენ,[601] ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში, თუმცა არ განმარტავს, რა იგულისხმება ამ ნიშანში. ამგვარი ბუნდოვანი რეგულირება საკმაოდ პრობლემური საკითხია როგორც პოლიციისთვის, გაარჩიოს შეკრების ჩვეულებრივი მონაწილე ჟურნალისტისგან შეკრების იძულების ღონისძიებების გამოყენებით მართვის დროს, აგრეთვე პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას.

20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება მოქალაქეების მხრიდან ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით,[602] ხოლო საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ - სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით დაიწყო.[603] მათგან, სახალხო დამცველის აპარატი 2019 წლის 2 ივლისიდან შეისწავლის საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე სისხლის სამართლის

[599] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2THI7tm> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020]; აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე, *Najafli v. Azerbaijan*, არ გაიზიარა ხელისუფლების არგუმენტაცია, რომ შეკრების მიმდინარეობისას ჟურნალისტის მიმართ ძალის გამოყენების დროს, პოლიციის თანამშრომლებისთვის შეუძლებელი იყო მისი, როგორც ჟურნალისტის, იდენტიფიცირება. სასამართლომ ამგვარი დასკვნა იმ პირობებში გამოიტანა, როდესაც, მართალია, ჟურნალისტი არ ატარებდა სპეციალურ ჟილეტს, თუმცა მას მკერდზე შესაბამისი „ბეიჯი" ეკეთა და ამასთან, საგანგებოდ ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია პოლიციის ოფიცრებისთვის, რომ ჟურნალისტი იყო (პარ. 67).

[600] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 18 თებერვლის №13/10468 წერილი.

[601] "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 2, ნაწილი 4.

[602] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2UrvaDS> [ბოლოს ნანახია: 29.03.2020].

[603] იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2JpLBu2> [ბოლოს ნანახია: 29.03.2020].

საქმეს,[604] რომლის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები ასახულია „20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედურ ანგარიშში".[605]

სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს, რომ შეკრების დროს დაძაბულობისა თუ სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად და არსებული გამოწვევების მშვიდობიანად გადასაწყვეტად, უპირატესობა ენიჭება მოლაპარაკებების წარმოებას.[606] თუმცა, წლის განმავლობაში, ამის საპირისპირო არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ჰესის მშენებლობის გასაპროტესტებლად პანკისის ხეობაში 2019 წლის 21 აპრილს გამართული აქცია, რომელიც ძალის გამოყენებით დაშალეს.[607] მოცემულ შემთხვევაში, ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან არ ყოფილა საკმარისი კომუნიკაცია, არც ყველა შესაბამისი რესურსი გამოუყენებიათ სიტუაციის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად.

გარდა მითითებული შემთხვევებისა, აღსანიშნავია პროპორციული საარჩევნო სისტემის კანონპროექტის ჩაგდების გასაპროტესტებლად და საქართველოს პარლამენტის პიკეტირების მიზნით, 2019 წლის 18 და 26 ნოემბერს გამართული მშვიდობიანი შეკრებები, რომელთა მონაწილეების წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენეს შენობის ბლოკირებიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ. მართალია, შეკრების მონაწილეთა აღნიშნული ქცევა ეწინააღმდეგებოდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონს,[608] თუმცა ხსენებული ფაქტი არ გამორიცხავდა აქციის მშვიდობიან ხასიათს,[609] მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მონაწილეები არ მიმართავდნენ რაიმე სახის ძალადობრივ ქმედებას. სახალხო დამცველის შეფასებით, ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გამოიჩინოს გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობა თუნდაც უკანონო, მაგრამ

---

[604] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2UtwsOW> [ბოლოს ნანახია: 29.03.2020].

[605] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში, 2020.

[606] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანება „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", მუხლი 6; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 5.4.

[607] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2uyDmaO> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[608] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 9, ნაწილი 3.

[609] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 1.3; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებებს ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 17-18.

მშვიდობიანი შეკრებების მიმართ.[610] შესაბამისად, ორივე შემთხვევაში კითხვებს ბადებს წყლის ჭავლის გამოყენების პროპორციულობა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, 2019 წლის 26 ნოემბერს, დილის 5 საათზე,[611] პარლამენტის შენობის შესასვლელების წყლის ჭავლით გათავისუფლება არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში", რომელიც პასუხობს „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების" მოთხოვნას, რამდენადაც მითითებულ პერიოდში (არასამუშაო საათებში) საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელების გათავისუფლების ინტერესი არ არსებობდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, აქციის მონაწილეებთან მიმდინარეობდა კომუნიკაცია/მოლაპარაკება, ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად და სიტუაციის მშვიდობიანად დასარეგულირებლად, თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, უწყებას არ მოუწოდებია ინფორმაცია, რა სახის კომუნიკაცია შედგა თითოეულ შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის მისი ეფექტიანობის შეფასებას.[612]

ამასთან, უწყებას, ზეპირად მიღებული გადაწყვეტილება არცერთ შემთხვევაში არ დაუსაბუთებია წერილობითი ფორმით, რაც აუცილებელი ინსტრუმენტია გატარებული ღონისძიების კანონიერების შესაფასებლად. გადაწყვეტილების რელევანტური მოტივირება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს უწყების შებოჭვას სამართლით, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას, ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით და სადავო გადაწყვეტილებას დაუპირისპიროს სათანადო არგუმენტაცია.

11.2. რეაგირება შეკრებილ პირთა ძალადობრივ და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენლებს და მათ მხარდამჭერებს, ულტრა მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან, ხელი ეშლებოდათ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაში. ამ შემთხვევებში თვალსაჩინო იყო სახელმწიფოს განსხვავებული რეაგირება მოძალადე ჯგუფების მიმართ, რომლებიც შეკრების უფლების საფარქვეშ ცდილობდნენ სხვათა უფლებების უხეშ და ძალადობრივად დარღვევას.

ამ კუთხით, საყურადღებოა 2019 წლის 14 ივნისს მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან ლგბტ+ თემის წარმომადგენლების და მათი მხარდამჭერების ორგანიზებული

[610] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Oya Ataman v. Turkey*, პარ. 39-42.

[611] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2GX6gUY> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[612] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 9 იანვრის №59687 წერილი.

მშვიდობიანი შეკრების მიმდინარეობისას განვითარებული მოვლენები,[613] რასაც სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა.[614] კერძოდ, ჰომოფობიური ჯგუფების მიერ გამართული კონტრშეკრების მონაწილეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობის და ფიზიკური შეურაცხყოფის მუქარას „თბილისი პრაიდის" ორგანიზებული შეკრების მონაწილეთა მიმართ, ჟურნალისტებზე თავდასხმისა და მათი პროფესიული საქმიანობის ხელშეშლას,[615] სახალხო დამცველის მოადგილეზე თავდასხმის მცდელობას და ძალადობის მუქარას.[616] შედეგად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს 28 პირი,[617] ხოლო გამოძიება 4 ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო,[618] თუმცა დღემდე დასახელებული სისხლის სამართლის არცერთ საქმეში კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის და გამოძიება კონკრეტულ შედეგებამდე არ მისულა.[619]

ინციდენტები ახლდა ფილმის, „და ჩვენ ვიცეკვეთ", ჩვენებების ჩაშლის მცდელობასაც, თბილისსა და ბათუმში. 2019 წლის 8 ნოემბერს, თბილისში, კინოთეატრ „ამირანთან" შეკრებილი პირები ძალადობით ცდილობდნენ სამართალდამცავთა კორდონის გარღვევას და შენობაში შესვლას. ასევე ადგილი ჰქონდა მოქალაქეებზე თავდასხმას,[620] პიროტექნიკის, ბოთლებისა და სხვა საგნების გამოყენების ფაქტებს როგორც „ამირანის" მიმდებარე ტერიტორიაზე,[621] ისე ბათუმში, კინოთეატრ „აპოლოსთან".[622] მოძალადე პირები

---

[613] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/39nfRSd>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/2ZAehIb> [ბოლოს ნანახია: 22.01.2020].

[614] სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/37idZbr> [ბოლოს ნანახია: 22.01.2019].

[615] სრულად ჟურნალისტების საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/351DY5u>[ბოლოს ნანახია 30.03.2020]; იხ. ასევე: <https://bit.ly/356wqOX>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/2ZD9h5I>[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[616] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2u2X4LN> [ბოლოს ნანახია: 22.01.2020].

[617] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2SpPlA6> [ბოლოს ნანახია: 05.02.2020].

[618] მთავრობის ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ნატა ფერაძის მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის, „ნეტგაზეთის" ჟურნალისტის საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, „ტვ პირველის" ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და სახალხო დამცველის მოადგილის მიმართ ჩადენილი შესაძლო მუქარის ფაქტები.

[619] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 23 იანვრის №13/3927 წერილი.

[620] „რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთ დამფუძნებელზე, დავით ბერძენიშვილსა და სამოქალაქო აქტივისტ ანა სუბელიანზე თავდასხმის ამსახველი კადრები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2QCZSbN>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/35nmjFQ>[ბოლოს ნანახია 30.03.2020]; იხ. ვიდეო კადრის 2:14:50 – 2:16:00 მონაკვეთი [ბოლოს ნანახია: 23.01.2020].

[621] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/349qV27>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/2XAXQtX>[ბოლოს ნანახია 30.03.2020]; <https://bit.ly/2O80UuP> [ბოლოს ნანახია: 23.01.2020].

[622] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2rX9i7w> [ბოლოს ნანახია: 23.01.2020].

ასევე უშლიდნენ ხელს ჟურნალისტებს პროფესიულ საქმიანობაში და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ.[623]

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი ჯგუფის ლიდერებმა ჩვენების ჩაშლა ფილმის პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე დააანონსეს,[624] ხელისუფლებას არ გაუტარებია აუცილებელი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, პასუხისგებაში არ მიუცია ძალადობრივი ქმედებების ორგანიზატორები. ამასთან, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, ჰომოფობიური ჯგუფებისგან საჭირო მანძილით არ განუცალკევებიათ ადგილზე ფილმის სანახავად მისული პირები.

რაც შეეხება ადგილზე კონკრეტული ინციდენტების საპასუხო რეაგირებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2019 წლის 8 ნოემბერს თბილისსა და ბათუმში წვრილმანი ხულიგნობისა და ადგილზე მყოფი პოლიციის თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის, ადმინისტრაციული წესით 27 პირი (24 - თბილისში, ხოლო 3 - ბათუმში) დააკავეს.[625] ამასთან, მომდევნო დღეს წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისთვის ბათუმში კიდევ 1 პირი დააკავეს.[626] გარდა ამისა, გამოძიება დაიწყო 8 სისხლის სამართლის საქმეზე,[627] რომელთა ნაწილში მოხერხდა დანაშაულის ჩამდენი პირების იდენტიფიცირება და მათ მიმართ წარიმართა სისხლისსამართლებრივი დევნა.[628]

---

[623] მათ შორის, მედიით გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, მსგავს ინციდენტს ჰქონდა ადგილი ტელეკომპანია „მთავარი არხის", ტელეკომპანია „პალიტრა ნიუსის", „პოსტტივის" წარმომადგენლების მიმართ, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/35lDSWP>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], იხ. ვიდეო კადრის 2:04:35 – 2:09:26 მონაკვეთი, <https://bit.ly/349bqaq>[ბოლოს ნანახია 30.03.2020]; 9 ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია „ტაბულას" ჟურნალისტის ფიზიკური შეურაცხყოფის თაობაზე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2D1hxld> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[624] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2rbV6aB> [ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/2pGU7ie>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/33cRnqE>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/35kT6eF>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/2pEbIHB>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/2QBSUUo>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/2XyPy5R> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[625] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3aDtugM> [ბოლოს ნანახია:24.01.2020].

[626] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 17 იანვრის №133937 წერილი.

[627] პოლიციის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული თავდასხმის, დავით ბერძენიშვილის მიმართ განხორციელებული თავდასხმის, ანა სუბელიანის ჯანმრთელობის დაზიანების, კინოთეატრ „ამირანის" შესასვლელში განთავსებული ბანერების დაზიანების, კინოთეატრ „ამირანში" ხანძრის მომზადების, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების, კინოთეატრ „ამირანის" მიმდებარე ტერიტორიაზე ტელეკომპანია „იმედის" ოპერატორის კამერის შტატივის დაზიანებისა და ტელეკომპანია „ტაბულას" ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის დაზიანების ფაქტებზე.

[628] კერძოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 21 იანვრის №13/3640 და 3 თებერვლის №13/6456 წერილების შესაბამისად, ბრალდება წარედგინა: ერთ პირს - პოლიციის თანამშრომლებზე განხორციელებული თავდასხმისთვის, ერთ პირს - პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევისთვის, ერთ პირს - ტელეკომპანია „ტაბულას" ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში

სახალხო დამცველის შეფასებით, მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ხელისუფლება ულტრამემარჯვენე ჯგუფებს განიხილავდა შეკრების უფლებით მოსარგებლე, განსხვავებული მოსაზრების მქონე პირებად,[629] ხოლო მათგან მომდინარე საფრთხეებს, რომელიც მიმართული იყო ლგბტ+ თემის წარმომადგენლების და მათი მხარდამჭერების უფლებების შეზღუდვისაკენ, იმავე სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევდა, რომელშიც გარანტირებულია საკუთარი უფლებების დაცვისა და თანასწორობის იდეის მხარდამჭერი ადამიანების მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება შეკრების თავისუფლების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს, რამდენადაც, ჰომოფობიური ჯგუფების მხრიდან კონტრაქციების მსგავსი მიზნით გამართვა უფლების ბოროტი გამოყენებაა,[630] ხოლო მათ მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები დაცული არ არის შეკრების თავისუფლებით.[631]

გარდა მითითებული შემთხვევებისა, პრობლემური იყო საანგარიშო წლის ბოლოს (2019 წლის 1-4 დეკემბერს) თბილისში, მცხეთაში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ხულოში ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფების ორგანიზებული აქციებისა თუ კონტრაქციების მონაწილეთა ძალადობრივი ქმედებებისგან მშვიდობიანი მანიფესტანტების და ოპოზიციის წარმომადგენელთა დაცულობის საკითხიც.[632] მოცემულ შემთხვევებში, განსხვავებული შეხედულებების ჯგუფებს შორის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად და მათ შორის უსაფრთხო დისტანციის უზრუნველსაყოფად, ხშირად, ადგილზე სამართალდამცავებს არ მიუმართავთ სათანადო ზომებისთვის, ასევე, შეკრებილ პირთა ძალადობრივ ქმედებებს არ მოჰყოლია მათი აღმკვეთი მყისიერი რეაგირება.[633]

ხელის შეშლისა და მის მიმართ განხორციელებული ძალადობისთვის, ერთ პირს - კინოთეატრ „ამირანის“ ბანერის დაზიანებისთვის და ერთ პირს - ანა სუბელიანის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის.

[629] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3ayjvcp> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

[630] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 17.

[631] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ.90.

[632] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://rustavi2.ge/ka/news/148837>, <https://bit.ly/35VBrdT> [ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/2sFvVhi>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/2Y8q8wq>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], <https://bit.ly/33K6sjm>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/2OHasNr>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/2P6u0tI>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/34Mb0aj>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/2YfU0XQ>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/2rpY63B>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/39beG8b>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <http://rustavi2.ge/ka/news/149123> [ბოლოს ნანახია: 25.01.2020].

[633] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 19 დეკემბრის №3405737, 2019 წლის 24 დეკემბრის №3454937 და 2020 წლის 31 იანვრის №254152 წერილების, აგრეთვე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 6 თებერვლის №01/3346 წერილის შესაბამისად, კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ გამოვლენილა და შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია 2019 წლის 1 დეკემბერს მმართველი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერების მიერ ქუთაისში, გაერთიანებული ოპოზიციისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებთან გამართული შეკრებების მიმდინარეობისას გამოვლენილ ინციდენტებს; ადგილზე შესაბამისი რეაგირება ასევე არ მოჰყოლია 2019 წლის 2 დეკემბერს თბილისში, „ქართული ოცნების“ ოფისთან მოძრაობა „სირცხვილიას“, „გაბედეს“ და „შეცვალეს“

გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც საკმაოდ დაძაბული სიტუაციის მიუხედავად, პოლიციელები ადგილზე 30 და 40 წუთის დაგვიანებით ცხადდებოდნენ.[634] აღნიშნული ინციდენტებიდან, 3 შემთხვევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება,[635] თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალდამრღვევი პირების მიმართ, ამ დრომდე არ დაწყებულა.

მითითებული ინციდენტების გარდა, საყურადღებოა ასევე 2019 წლის 16 ივნისს ლევან ვასაძის მიერ, მის მხარდამჭერებთან ერთად გამართულ შეკრებაზე, სახალხო რაზმების ორგანიზებისა და ლეგიონების შექმნის დაანონსების ფაქტი, რაც „ღირსების მარშის" ძალისმიერი მეთოდებით ჩაშლისკენ იყო მიმართული.[636] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოძიება უკანონო ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის ფაქტზე დაიწყო.[637] თუმცა, სისხლის სამართლის საქმეში კონკრეტული პირი ბრალდებულად ცნობილი დღემდე არ არის.[638]

ამდენად, ცალკეულ ჯგუფთა სპონტანური თუ წინასწარ დაგეგმილი შეკრებების გამართვის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან შესაძლო რისკების დროული შეფასება და ყველა შესაბამისი ზომის მიღება (მათ შორის, შესაბამისი საპოლიციო რესურსის მობილიზების გზით) დანაშაულებრივი და ძალადობრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად, მთელი წლის განმავლობაში პრობლემა იყო.[639] სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ძალადობრივი დაჯგუფებების მიერ სხვათა უფლებების თვითნებური შეზღუდვის, ასევე, დაუსჯელობის გარემოს შექმნის თავიდან ასაცილებლად, ყველა ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, არსებითი მნიშვნელობა აქვს დროულ და ეფექტიან გამოძიებას და ყველა დამნაშავე პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

აქტივისტების მიერ გამართული შეკრებისა და მმართველი გუნდის ახალგაზრდული ფრთის წევრების მიერ ჩატარებული კონტრშეკრების მიმდინარეობისას გამოვლენილ ინციდენტებს (კონტრშეკრების აგრესიულად განწყობილი მონაწილეების მხრიდან ადგილი ჰქონდა ლანძღვა-გინებას, ძალადობრივ მოწოდებებს და აქტივისტების მიმართ ფიზიკურ ძალადობას, გამოიყენეს პიროტექნიკაც).

634 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/35Rb4GA>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/30QYOEn>[ბოლოს ნანახია 30.03.2020], <http://rustavi2.ge/ka/news/149123> [ბოლოს ნანახია: 24.01.2020].

635 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 18 თებერვლის №13/10468 წერილის შესაბამისად, გამოძიება მიმდინარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან მოძრაობა „გაბედეს" აქტივისტების მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე, თბილისში ორზე მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ფაქტზე და ზუგდიდში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დროს ნივთის განზრახ დაზიანების ფაქტზე.

636 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3ayPRnn>[ბოლოს ნანახია 30.03.2020],, <https://bit.ly/2TUa3dx> [ბოლოს ნანახია: 23.01.2020].

637 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/38A9slr> [ბოლოს ნანახია: 23.01.2020].

638 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 23 იანვრის №13/3927 წერილი.

639 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 160-161.

11.3. „ღირსების მარში“

მოძრაობა „თბილისი პრაიდის“ მიერ 2019 წლის 18-23 ივნისის დღეებში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ ჩატარების ორგანიზების დროს, სახალხო დამცველის შეფასებით, ადგილი ჰქონდა შეკრების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას. მიუხედავად იმისა, რომ „ღირსების მარშის“ ორგანიზატორებმა უსაფრთხოების საკითხზე მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს, მათ მსვლელობის ჩატარება სასურველი ფორმატით მაინც ვერ შეძლეს.[640] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებს განუმარტეს, რომ დაგეგმილი სახით ამ ღონისძიების ჩატარება, მასში მონაწილე პირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო[641] და მათ „ღირსების მარშის“ დახურულ სივრცეში გადატანა შესთავაზეს.[642] ამ შემთხვევაში შეკრების უფლების შეზღუდვის თაობაზე მიღებული არ ყოფილა სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელსაც ვერცერთ შემთხვევაში ვერ ჩაანაცვლებს სამინისტროს ზოგადი განმარტება.[643]

მითითებული შემთხვევა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმდენად, რამდენადაც, ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, ლგბტ+ თემის წარმომადგენლებს და მათ უფლებადამცველებს მრავალი წელია არ ეძლევათ თავისუფალ გარემოში შეკრების შესაძლებლობა. თავის მხრივ, მსგავსი მშვიდობიანი შეკრების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს, მონაწილეთა დასაცავად, არა მხოლოდ საჭირო საპოლიციო რესურსის მობილიზება ეკისრება, არამედ ვალდებულია, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობების შემცირებას. სწორედ ამაზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2015 წლის გადაწყვეტილებაში, საქმეზე, „იდენტობა და სხვები“ საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებს, 2012 წლის 17 მაისს ორგანიზებული მშვიდობიანი მარშის გამართვამდე, „ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად, დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება, ისევე

---

[640] სათანადო გარანტიების არარსებობის პირობებში, „ღირსების მარში“ რამდენჯერმე გადაიდო, საბოლოოდ კი, 8 ივლისს, აქტივისტებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან მცირერიცხოვანი და ხანმოკლე სპონტანური მსვლელობა მოაწყვეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2JE4oCh> [ბოლოს ნანახია: 23.01.2020].

[641] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/399ZffP> [ბოლოს ნანახია: 05.02.2020].

[642] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3dlfkCd> [ბოლოს ნანახია: 05.02.2020].

[643] სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2AGd1ri> [ბოლოს ნანახია: 05.02.2020].

როგორც, გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების ხასიათზე." გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილებით იკვეთება, რომ როდესაც შეკრების მიმდინარეობისას ქუჩის შეტაკებების მაღალი მოლოდინი არსებობს, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედული ნაბიჯია სამართალდამცავთა მაღალი რაოდენობის პირადი შემადგენლობის, მათ შორის, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის, მობილიზება.[644]

11.4. შეკრების გამართვის ადგილზე დაწესებული შეზღუდვები

საანგარიშო წლის ბოლოს, ხელისუფლების მხრიდან გამოიკვეთა სასურველ ადგილას მშვიდობიანი შეკრების გამართვის ხელშეწყობის ვალდებულების შეუსრულებლობის პრობლემა.

ამ კუთხით, საყურადღებოა 2019 წლის 31 დეკემბერს თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის მიერ პარლამენტის შენობის წინ, ფართო ტროტუარზე თვეების განმავლობაში განთავსებული კარვებისა და სხვა საპროტესტო ატრიბუტიკის აღებისა და ადგილზე საბავშვო ატრაქციონების განთავსების შემთხვევა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ეს შობა-ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით საზეიმო განწყობის შექმნას ემსახურებოდა. ამასთან, უწყების მითითებით, გამომდინარე იქიდან, რომ პირველი რესპუბლიკის მოედანი უკვე სრულად იყო დატვირთული საახალწლო-სადღესასწაულო დეტალებით, საჭირო გახდა დამატებით საბავშვო ატრაქციონების ამ ლოკაციასთან ახლოს განთავსება.[645]

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს შეკრების თავისუფლებით სარგებლობისთვის (მათ შორის, ხანგრძლივი, „ოკუპაციური" სტილის მანიფესტაციების გამართვისთვის) აუცილებელი პირობების შექმნა[646] და ხელი შეუწყოს მის გამართვას იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს შეტყობინების მიწოდება სამიზნე ჯგუფისთვის,[647] თუ სახეზე არ არის კონკრეტული შეზღუდვის დაწესების დაუძლეველი მიზეზი. სახალხო დამცველის შეფასებით, თბილისის მუნიციპალიტეტის

[644] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", პარ. 99. მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ 2012 წლის 19 მაისს სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების უფლება) მუხლები მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებით.

[645] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 27 იანვრის № 04-0120027142 წერილი.

[646] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე და სასამართლოს გარეშე, მყისიერი ან თვითნებური აღსრულების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლების ერთობლივი ანგარიში შეკრებათა სათანადო მართვის თაობაზე, 4 თებერვალი 2016, A/HRC/31/66, პარ. 10 და პარ. 14.

[647] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 3.5 და პარ. 2.2.

მერიის მიერ მოწოდებული დასაბუთება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იმგვარი მომეტებული ინტერესის დადასტურებად, რომელიც პარლამენტის შენობის წინ შეკრების თავისუფლების რეალიზების შემხვედრ ინტერესს გადაწონიდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ტერიტორია, უკვე წლებია, პოლიტიკური შინაარსის შეკრებების გამართვის მთავარი ადგილია, ხოლო სადღესასწაულო დეტალებით დატვირთული არაერთი ლოკაცია მისგან მცირე მანძილით იყო დაშორებული, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა შესაბამისი განწყობის შექმნას.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ზემოხსენებული ღონისძიებების გატარებამდე, ისინი დაუკავშირდნენ კარვებში მყოფ პირებს და მათ რამდენჯერმე სთხოვეს/შესთავაზეს, საახალწლო ღონისძიებების დასრულებამდე, დროებით გაეთავისუფლებინათ ტერიტორია.[648] მაგრამ ადგილზე განთავსებული ატრაქციონების აღებისთანავე, საკანონმდებლო ორგანოს შენობის წინა ტერიტორია შემოიღობა და მოცულობითი სარეაბილიტაციო სამუშაოების[649] წარმოება დაიწყო. მერიის განმარტებით, პარლამენტის წინ არსებულ მოედანზე, ატმოსფერული ნალექების მოსვლის დროს, წლების განმავლობაში ჟონავს წყალი, რამაც საფრთხე შეუქმნა და დააზიანა მიწისქვეშ განთავსებული სატუმბი სადგური, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, ტენდერი 2019 წლის 18 მარტს,[650] ხოლო დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების შესყიდვაზე - 2019 წლის 13 დეკემბერს[651] გამოცხადდა.[652] მოთხოვნის მიუხედავად, სახალხო დამცველის აპარატს არ მოწოდებია არსებული დაზიანებებისგან მომდინარე საფრთხეების შესწავლის მიზნით გატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაცია, რაც შეუძლებელს ხდის იმ გარემოების შეფასებას, თუ რამდენად აუცილებელი იყო ატრაქციონების აღების შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოების მყისიერი დაწყება.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- მშვიდობიანი შეკრებებისთვის ხელის შესაწყობად, უფლებაში ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად და დაძაბული სიტუაციის დეესკალაციის მიზნით, შეკრების ორგანიზატორებთან/მონაწილეებთან აწარმოოს

[648] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 27 იანვრის № 04-0120027142 წერილი.

[649] პროექტი ითვალისწინებს მოედანზე არსებული ფილების დემონტაჟს, ჰიდროსაიზოლაციო ფენის მოწყობას, საკომუნიკაციო ჭების მოწესრიგებას, მთელ პერიმეტრზე ფილებით მოპირკეთების სამუშაოებს და მწვანე თარგების მოწყობის სამუშაოებს. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 9 აპრილის მემორიალს.

[650] NAT190005559. პროექტირების ეტაპი დასრულდა და მერიამ 2019 წლის ივნისში ჩაიბარა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

[651] NAT190024520.

[652] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 5 თებერვლის № 04-01200363691 წერილი.

ნდობაზე დაფუძნებული დიალოგი და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ეფექტიანი მოლაპარაკებები

- მომავალში, სპონტანური თუ წინასწარ დაგეგმილი შეკრებებისა და კონტრშეკრებების მშვიდობიანად გამართვის უზრუნველსაყოფად, დროულად და სათანადოდ შეაფასოს მოსალოდნელი რისკები და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ძალადობრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად
- შეკრების მიმდინარეობისას ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში გაუმართლებელი ხელშეშლის თავიდან ასაცილებლად, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, შეიმუშაოს შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს პროექტი
- შეკრების მიმდინარეობისას მონაწილეებისთვის უფლების ნებისმიერი სახით შეზღუდვისას, მათ შორის, კონკრეტული ნივთების ფლობისა და დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და მოახდინოს უფლებაში ჩარევის მართლზომიერების განმაპირობებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- საზოგადოებას პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია წინამდებარე თავში მითითებული სისხლის სამართლის საქმეების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ.

12. უფლებადამცველები

უფლებამდაცველები[653] როლი კრიტიკულია ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიმართულებით.[654] მათი საქმიანობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაეროს წევრი ქვეყნების მიერ შეთანხმებული მდგრადი განვითარების დღის წესრიგით[655] გათვალისწინებული მიზნების შესრულებას, რაც სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევების დაძლევას ემსახურება.

საერთაშორისო დონეზე უფლებადამცველთა დაცვის უზრუნველსაყოფად შექმნილი გარანტიების მიუხედავად,[656] საქართველოს დემოკრატიული განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების, კორუფციის პრევენციის, ადამიანის უფლებების დაცვის, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის და არჩევნების მონიტორინგის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი პირები ხშირად ხდებიან თავდასხმის ობიექტები, მათ შორის, ხელისუფლების მხრიდან.[657] გასული პერიოდის მსგავსად, საანგარიშო წლის განმავლობაშიც, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე თუ დამოუკიდებლად მოქმედი აქტივისტების წინაშე არაერთი ისეთი გამოწვევა დადგა, როგორიცაა დისკრედიტაცია, ფიზიკური თუ სიტყვიერი თავდასხმა, დაშინება და სხვ. განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ ექცევიან ქალთა და ლგბტ+ თემის წარმომადგენლების უფლებადამცველები, რადგან ეს საქმიანობა თითქმის

---

[653] ადამიანის უფლებათა დამცველების თაობაზე გაეროს 1998 წლის დეკლარაციის თანახმად, უფლებადამცველის ცნების ქვეშ მოიაზრებიან ადამიანები, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად მოქმედებენ ადამიანის უფლებათა დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

[654] იხ. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის, ადამიანის უფლებათა დამცველების თაობაზე ევროპის საბჭოს და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია: <https://bit.ly/36GAaY4>, <https://bit.ly/37CVhvW>; <https://bit.ly/2GzVbsT> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020].

[655] გაეროს გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 რეზოლუციით დამტკიცებული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი, სახელწოდებით, „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://undocs.org/A/RES/70/1> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020].

[656] მათ შორის, გაეროს 1998 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებათა დამცველების თაობაზე, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (CSCE) ადამიანური განზომილების კონფერენციის 1990 წლის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2014 წლის სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის თაობაზე და 2015 წლის სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების თაობაზე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის №2225 რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ.

[657] "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, გვ. 165-168.

ყოველთვის საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების შეცვლაზე მიმართულ მუშაობას გულისხმობს.[658]

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში მმართველი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების მხრიდან კვლავ გაკეთდა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებები.[659] სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსი ტენდენცია ეწინააღმდეგება თანამდებობის პირთა ვალდებულებას, თავი შეიკავონ ადამიანის უფლებათა დამცველებისა და მათი საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული ნეგატიური კამპანიის წარმოებისგან, საჯაროდ აღიარონ მათი დაცულობის საჭიროება და აღნიშნონ უფლებადამცველთა საქმიანობის მნიშვნელობა მაშინაც კი, როდესაც ის კრიტიკულია ხელისუფლების მიმართ.[660] ამ სტანდარტის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ადამიანის უფლებათა დამცველების მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის განხორციელებისას, რაც, ძირითადად, საკმაოდ კრიტიკულ ხასიათს ატარებს და ხშირ შემთხვევაში, არსებით როლს თამაშობს კონკრეტული დარღვევების აღმოჩენისა და აღმოფხვრის მიმართულებით.

ქალთა და ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა უფლებადამცველების უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია აქტივისტ ანა სუბელიანის საქმე, რომლის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე 2018 წლის მაისიდან დღემდე არ დამდგარა კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხი,[661] თუმცა მას შემდეგ, რაც 2019

---

[658] გაეროს გენერალური ასამბლეის 2013 წლის №A/RES/68/181 რეზოლუცია ქალთა უფლებადამცველების დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2udG0D5> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020].

[659] მათ შორის, 2019 წლის 9 იანვარს და 18 ოქტომბერს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიტიკური მიზნების ქონაში დაადანაშაულა, განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/37MFNp3>, <https://bit.ly/2S9GBxN> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020]; 2019 წლის 22 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არასამთავრობო ორგანიზაციებს „ნაციონალური მოძრაობის" გონგოები უწოდა და ისინი მიკერძოებულობაში დაადანაშაულა. იმავე დღეს, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა გააკრიტიკა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა და აღნიშნა, რომ მათ აკლდათ ნეიტრალიტეტი და პროფესიონალიზმი. განცხადებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2UdDQOH>, <https://bit.ly/2UdEawT>, <https://bit.ly/2Scs30u> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020]; 2019 წლის 27 ნოემბერს მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მადისკრედიტირებელი განცხადება გააკეთა და ისინი „ნაციონალური მოძრაობის" სატელიტებად მოიხსენია: <https://bit.ly/2S3Om8k> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020].

[660] ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ, 2014, გვ. 7-8, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2ukC5EQ> [ბოლოს ნანახია: 20.02.2020]; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის №2225 რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ, პ. 5.6, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2vSXzc0> [ბოლოს ნანახია: 20.02.2020].

[661] საქმე №7532/18, ანა სუბელიანის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წლის 12-13 მაისის აქციის, ,,ჩვენი თავისუფლება" შემდეგ, მუქარის შემცველი არაერთი წერილი მიიღო. მისი თქმით, ის მუქარას აღიქვამდა რეალურად და თავს გრძნობდა საფრთხის ქვეშ.

წელს 8 ნოემბერს ანა სუბელიანი, კინოთეატრ „ამირანის" წინ, სადაც ფილმის, „და ჩვენ ვიცეკვეთ", ჩვენებაზე დასწრებას აპირებდა, ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა, თავდამსხმელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და საქმე წარიმართა სასამართლოში.[662]

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა საქმე, სადაც „თბილისი პრაიდის" ორგანიზატორები, ჩატარებული კვირეულის შემდეგ, კიბერმუქარის მსხვერპლები გახდნენ და სოციალურ ქსელებსა თუ სხვა სივრცეებში სიცოცხლის მოსპობის მუქარებს იღებდნენ. განხორციელებული მუქარის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დაზარალებულის სტატუსი სამ პირს მიენიჭა, თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ ამ დრომდე არ დაწყებულა და არც შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიუღიათ.[663]

ასევე, დღემდე არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის მიმართ 2018 წელს, ხოლო უფლებადამცველ ბაია პატარაიას მიმართ 2017 წელს განხორციელებული კიბერმუქარის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.[664] მათთვის არც დაზარალებულის სტატუსი მიუნიჭებიათ.

შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს უჭირთ ქალ და ლგბტ+ უფლებადამცველებზე განხორციელებული ძალადობის რისკების სწორად შეფასება და კონკრეტული შედეგი მხოლოდ იმ საქმეებზე დგება, სადაც მსხვერპლს ფიზიკური დაზიანებები აქვს მიყენებული. გამომდინარე იქიდან, რომ ქალთა და ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა უფლებადამცველები თავიანთი საქმიანობის გამო ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ დგანან, მნივშნელოვანია, თითოეულ საქმეზე სწორად გაანალიზდეს საფრთხე და უწყებებმა დროული და ადეკვატური ღონისძიებები გაატარონ.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ არ აღირიცხება სტატისტიკური მონაცემები უშუალოდ უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაწყებული გამოძიების თაობაზე,[665] რაც ხელს უშლის მსგავსი ფაქტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას და ართულებს მათზე რეაგირების ეფექტიანობის შეფასებას.[666] თავის მხრივ, უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დადასტურებული

[662] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 21 იანვრის №13/3640 წერილი.

[663] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 7 თებერვლის №13/7867 წერილი.

[664] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 23 მარტის №13/18934 წერილი.

[665] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 8 იანვრის №46621 წერილი.

[666] რაც შეეხება უფლებადამცველთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევებს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ცნობით, 2019 წელს, დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, მუქარისა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტებზე.

შემთხვევების[667] მაჩვენებელი გაეროს წევრი ქვეყნების მიერ შეთანხმებული მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის[668] შესრულების ერთ-ერთი ინდიკატორია.[669]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებულ სამთავრობო სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში განისაზღვროს კონკრეტული საქმიანობები, რომლებიც მიმართული იქნება ქალთა და ლგბტ+ პირთა უფლებადამცველების მიმართ ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთისაკენ, მათ შორის, გაეროს გენერალური ასამბლეის №A/RES/68/181 რეზოლუციით გათვალისწინებული ვალდებულებები სამოქმედო გეგმებში აისახოს და შესრულდეს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უფლებადამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ ევროპის/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სპეციალური სტატისტიკის საწარმოებლად, განსაზღვროს ადამიანის უფლებათა დამცველების ცნება და აწარმოოს სტატისტიკა მათ მიმართ ჩადენილი ყველა იმ დანაშაულებრივი ქმედების თაობაზე, რომელიც მათ საქმიანობას უკავშირდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- შექმნას რისკის შეფასების სპეციალური ინსტრუმენტი ქალ და ლგბტ+ უფლებადამცველების მიმართ არსებული შესაძლო ძალადობის პრევენციის, გამოვლენის და დოკუმენტირების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, ონლაინ სივრცეში, ქალ და ლგბტ+ უფლებადამცველების მიმართ მუქარისა და შევიწროების ფაქტებთან მიმართებით.

თანამდებობის პირებს:

---

[667] დადასტურებული შემთხვევა გულისხმობს იმგვარ გაცხადებულ შემთხვევებს, რომლებიც შეიცავს კონკრეტული პიროვნებების და ვითარების შესახებ მინიმალურ რელევანტურ ინფორმაციას, რომელსაც განიხილავს შესაბამისი მანდატის მქონე უწყება, მექანიზმი ან ინსტიტუტი და აძლევს მათ გონივრულ საფუძველს, რათა დაიჯერონ, რომ აღნიშნული პირების მიმართ ჩადენილ იქნა დანაშაული. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/31k5WJG> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020].

[668] მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

[669] იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის 2017 წლის 6 ივლისის რეზოლუციით (A/RES/71/313) დამტკიცებული გლობალური ინდიკატორების ჩარჩო მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მიზნებისა და ამოცანებისთვის, მიზანი 16, ამოცანა 16.10, ინდიკატორი 16.10.1 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://undocs.org/A/RES/71/313> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020].

- უფლებადამცველების საქმიანობის მაქსიმალურად ხელშესაწყობად, იხელმძღვანელონ საერთაშორისოდ აღიარებული დემოკრატიული სტანდარტებით. მათ შორის, თავი შეიკავონ უფლებადამცველთა დისკრედიტაციის კამპანიაში ჩართვისგან.

13. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

გარემოს დაცვის, მდგრადი ეკოლოგიური განვითარებისა და ადამიანის უფლებების მჭიდრო ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, უკანასკნელი რამდენიმე წელია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაცია საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ სფეროში არსებული გამოწვევები სახელმწიფოს მხრიდან დროული, ეფექტიანი და კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას საჭიროებს.

ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში საგულისხმო იყო: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად და სუფთა ჰაერზე უფლების რეალიზაციისთვის გატარებული ღონისძიებების არაეფექტიანობა; ბუნებრივი აირის მოხმარების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება; მშენებლობასთან დაკავშირებული ხარვეზიანი რეგულაციები; ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ადამიანის უფლებების გათვალისწინება; ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით პოლიტიკის დოკუმენტების არსებობის უცვლელი პრობლემა; გარემოზე ზემოქმედების შეფასების ხარვეზიანი პროცესი.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ საგანგებოდ მიუთითებს სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად გარემოსათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ პრევენციასა და დამდგარი შედეგების რეალურ გამოსწორებაზე ორიენტირებული კომპლექსური და ეფექტიანი საკანონმდებლო გარანტიების დროულად შექმნის აუცილებლობაზე.[670]

სამწუხაროდ, ვერც საანგარიშო წელს დაიგეგმა და გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში, RMG Gold-ისა და RMG Copper-ის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად გარემოსთვის მიყენებულ ზიანსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოსაკვლევად. ამდენად, ამ დრომდე ვერ გაეცა პასუხი ამ მიმართულებით საზოგადოებაში არსებულ არაერთ კითხვას.

ასევე უშედეგოდ მიმდინარეობს გარემოს დაზიანებასთან დაკავშირებით რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის თაობაზე გამოძიება.[671]

---

[670] ვრცლად, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018, გვ. 172-დან.

[671] სისხლის სამართლის №062231013801 საქმეზე, შპს „ჯორჯიან-მანგანეზის" მიერ წიაღისეულის გამოყენების წესის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 298-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ამ ეტაპზე კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. გამოძიება გრძელდება.სისხლის სამართლის №007220713008 საქმე, კომპანია BD property-ს მიერ მწვანე ნარგავების თვითნებურად გაჩეხვის ფაქტზე,

13.1. უფლება სუფთა ჰაერზე

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ის უარყოფითად აისახება ცოცხალი ორგანიზმების ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემასა და კლიმატზე. მისი შედეგები უმწვავესად ზემოქმედებს როგორც საზოგადოებაზე, ისე ქვეყნის ეკონომიკაზე. ბოლო პერიოდში ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, სუფთა ჰაერზე უფლების სრულფასოვანი რეალიზების საკითხი ჯერ კიდევ პრობლემურია.

კერძოდ, ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ჩარჩო ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში, კვლავ არ არის სრულად მისადაგებული საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან.[672] მათ შორის, სათანადოდ კვლავ არ რეგულირდება დაბინძურება სამრეწველო სექტორიდან. საგულისხმოა, რომ ამგვარი გაფრქვევების შესამცირებლად და მათი კონტროლის ევროპულ სტანდარტებზე გადასასვლელად შემუშავებული „სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონის პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში გასულ წელს იყო დაგეგმილი,[673] თუმცა დღემდე არ განხორციელებულა.[674] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, აღნიშნული კანონის პროექტის წარდგენა საკანონმდებლო უწყებაში 2020 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდისთვის იგეგმება.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ჯანმრთელობისთვის მეტად საშიში დამაბინძურებლით, მტვრის ნაწილაკებით ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად, მნიშვნელოვანი ბერკეტი შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლის ფარგლებშიც, სამართალდარღვევად გამოცხადდა ამტვერებადი მასალის განთავსების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების წესის დარღვევა.[675] თუმცა, რადგან

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, საქმეზე გამოძიება გრძელდება.

[672] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, თავი 3, მუხლი 302; დანართი XXVI, ჰაერის ხარისხი.

[673] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა, პ. 12, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2SNIjb3> [ბოლოს ნანახია: 02.03.2020].

[674] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 6 თებერვლის №1462/01 წერილი.

[675] „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2019 წლის 30 მაისის კანონი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2RTVRzQ> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020]. 2019 წლის 2 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა №04-2/3776 საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, დაგეგმილი საკანონმდებლო მოწესრიგება გავრცელებულიყო არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მტვრის მყარი ნაწილაკებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება პრობლემურია სხვა მუნიციპალიტეტებშიც,[676] აუცილებელია, მსგავსი მოწესრიგება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდეს.

რაც შეეხება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას ერთ-ერთი უმთავრესი წყაროდან, სატრანსპორტო სექტორიდან,[677] მართალია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან თანამშრომლობით, იგეგმება აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელი როგორც მატერიალურ-ტექნიკური საკითხების მოწესრიგება, ისე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა,[678] მნიშვნელოვანია ამის დროულად გაკეთება და იმ ავტომობილების საექსპლუატაციოდ გაშვების გაკონტროლება, რომელთა განაფრქვევაში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივს აღემატება.[679]

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემა. კერძოდ, 100 ობიექტიდან აღებულ იქნა დიზელის საწვავის 150 სინჯი,[680] მაშინ, როდესაც 2018 წელს დიზელის საწვავში სხვადასხვა დამაბინძურებლის შემცველობა მხოლოდ 7 ავტოგასამართ სადგურზე შემოწმდა.[681] თუმცა, 2019 წლის განმავლობაში არ შემოწმებულა მავნე ნივთიერებების მოცულობითი წილი ბენზინის საწვავში. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული შემოწმების შედეგად, გამოვლინდა, რომ ავტოგასამართი სადგურებიდან აღებული დიზელის საწვავის 64 სინჯში გოგირდის შემცველობა და სიმკვრივე კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს ვერ აკმაყოფილებდა და მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.[682] მოცემული ეტაპისთვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

---

[676] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში - უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში), გვ. 21-25.

[677] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, გვ. 170-172.

[678] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 21 თებერვლის №466857 წერილის შესაბამისად, მუშაობა მიმდინარეობს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტზე" სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემცველობის დასადგენად, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევების გამოსავლენად და აღნიშნულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მექანიზმების დასახვეწად.

[679] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 81.

[680] გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2020 წლის 21 იანვრის №3987 წერილი.

[681] გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2018 წლის 17 სექტემბრის №56437 წერილი; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში - უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში), გვ. 32.

[682] გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2020 წლის 21 იანვრის №3987 წერილი.

საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება დიზელის საწვავის შესაძლო ფალსიფიცირების ფაქტზე.[683]

რაც შეეხება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემას, იგი კვლავ არ იძლევა დაბინძურების სრულფასოვან სურათს ქვეყნის მთელი მასშტაბით. ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება სადამკვირვებლო სადგურების მცირე რაოდენობა.[684] გარდა ამისა, ამ დრომდე არ არის ინტეგრირებული ჰაერის ხარისხის მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემა.[685]

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების კუთხით, მისასალმებელია საკანონმდებლო ორგანოში „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის ინიცირება, რომელიც ითვალისწინებს ატმოსფერული ჰაერის მართვის ევროპულ სტანდარტზე გადასვლას, ტერიტორიის ზონებად და აგლომერაციებად დაყოფას, დაბინძურების დონის მიხედვით მათ კლასიფიცირებას და სათანადო ზომების გატარებას ჰაერის ხარისხის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად.[686]

გასათვალისწინებელია, რომ დღემდე არ დამტკიცებულა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამა თბილისის გარდა სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, დაბინძურების დონის გათვალისწინებით. ეს კი უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა, საჯარო დაწესებულებების ღონისძიებები გახდეს უფრო ეფექტიანი და პასუხობდეს კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული დაბინძურების გამომწვევ სპეციფიკურ ფაქტორებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 2020 წლისთვის, დაგეგმილია სულ მცირე, ერთი ქალაქისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის პროექტის შემუშავება.[687] ამასთან, საგულისხმოა, რომ მომეტებული დაბინძურების შემთხვევაში, მსგავსი გეგმების შემუშავება გათვალისწინებულია ზემოხსენებული კანონის პროექტით.

---

[683] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 10 თებერვლის №13/8140 წერილი. დიზელის საწვავის შესაძლო ფალსიფიცირების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამ ეტაპზე, კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობს.

[684] ქვეყნის მასშტაბით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება 8 ავტომატური სადგურის საშუალებით, რომლებიც განთავსებულია თბილისში (წერეთლის გამზ., ყაზბეგის გამზ., ვარკეთილი 3, მარშალ გელოვანის გამზ., აღმაშენებლის გამზ.), რუსთავში (ბათუმის ქ.), ქუთაისში (ი. ასათიანის ქ.) და ბათუმში (აბუსერიძის ქ.). ზესტაფონში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებს არაავტომატური დაკვირვების პუნქტის საშუალებით.

[685] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 6 თებერვლის №1462/01 წერილი.

[686] კანონპროექტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2tqQkHA> [ბოლოს ნანახია: 03.02.2020].

[687] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 6 თებერვლის №1462/01 წერილი.

გარდა ამისა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად,[688] კვლავ პრობლემურად რჩება მუნიციპალიტეტებში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების ზუსტი მაჩვენებლის განსაზღვრა და მისი შეფასების სტანდარტის დადგენა,[689] რაც ქალაქებისთვის დამახასიათებელი დამაბინძურებელი წყაროებიდან მომდინარე რისკების შესამცირებლად, სათანადო მასშტაბის მწვანე ურბანული სივრცეების მოწყობის წინაპირობაა. რაც შეეხება ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების მიახლოებით მონაცემებს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ რამდენიმე მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, იგი მხოლოდ 10მ^2-მდე ფარგლებში მერყეობს,[690] მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში, როგორც წესი, კოეფიციენტი 25 მ^2-ს აღემატება და რიგ შემთხვევებში, 50 მ^2-საც სცდება.[691]

13.2. ბუნებრივი აირის მოხმარების უსაფრთხოება

2019 წლის განმავლობაში საქართველოში ბუნებრივი გაზის გაჟონვის შედეგად 15 აფეთქება მოხდა, რასაც 32 ადამიანის დაშავება და 5 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.[692] აგრეთვე, გამოვლინდა გაზის გაჟონვის/CO-ს გამოყოფის შედეგად მოწამვლის 20 შემთხვევა, რის შედეგადაც დაიღუპა 14 ადამიანი, ხოლო 24-მა ადამიანმა ინტოქსიკაცია მიიღო.[693] გარდაცვალების მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში აღემატება წინა 2 წლის მონაცემებს. 2-ჯერ არის გაზრდილი აფეთქების შედეგად დაშავებულთა რაოდენობა. წინამდებარე ჩარტებზე მოცემულია 2017-2019 წლების მონაცემები ბუნებრივი აირის/CO-ს გამოყოფის შედეგად მოწამვლისა და გაზის გაჟონვის შედეგად აფეთქების შემთხვევების შესახებ.[694]

---

[688] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა 64 მუნიციპალიტეტიდან. პასუხი მივიღეთ 47 მათგანისგან. მათგან, 41 მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების ზუსტი ან/და მიახლოებითი მაჩვენებელი განსაზღვრული არ არის.

[689] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, გვ. 170-172.

[690] აღნიშნული მაჩვენებელი 1.34 მ^2-ს უტოლდება გორში, 4.37 მ^2-ს - ლანჩხუთში, 5 მ^2-ს - ბაღდათში, 8.94 მ^2-ს მცხეთაში, ხოლო 9.8 მ^2-ს - ცაგერში.

[691] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში - უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში), გვ. 35-36.

[692] საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 14 იანვრის № MIA 5 20 00094898 წერილი.

[693] იქვე.

[694]იქვე; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2018, გვ. 176.





ზემოაღნიშნული მონაცემები ნათლად მიუთითებს, რომ არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის მოხმარების

უსაფრთხოებას. მომხმარებლების დანადგარების შემოწმება-ზედამხედველობის პროცესში ლიცენზიანტებისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები[695] საკმარისი არ არის უსაფრთხოების წესების დარღვევისა თუ ბუნებრივი გაზით მომარაგების თვითნებური აღდგენის შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად.[696]

მისასალმებელია, რომ 2019 წლის დეკემბერში „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა, 6 თვის ვადაში უზრუნველყოს ბუნებრივი გაზის ან/და ნახშირბადის მონოქსიდის დეტექტორების გამოყენების შესახებ რეკომენდაციების მომზადება და თავის ვებგვერდზე გამოქვეყნება.[697] შესაბამისი უწყებების ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, ბუნებრივი გაზის შიდა ქსელის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის გასამკაცრებლად, მომზადებულია და საქართველოს მთავრობისთვის განსახილველად წარდგენილია რამდენიმე საკანონმდებლო აქტის პროექტი, რომლებიც აყალიბებს ზედამხედველობის ეფექტიან მექანიზმებს და აწესებს ადმინისტრაციულ სანქციებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევით ბუნებრივი გაზის მოხმარებისთვის.[698] არსებული საგანგაშო ვითარების გათვალისწინებით, აუცილებელია მათი დროულად მიღება და პრაქტიკაში ამოქმედება.

კვლავ პრობლემურია მეზობელ ბინებში მცხოვრებ პირთა უსაფრთხოების საკითხიც. შეუსრულებელი დარჩა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, განსაზღვრულიყო საერთო სარგებლობის სავენტილაციო არხებზე გამწოვების დაერთების წესები და მათ დაცვაზე ზედამხედველი ორგანო.[699] ამასთან, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ ერთ-ერთი საქმის[700] შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მოქმედი კანონმდებლობა იძლევა, მათ შორის, გათბობის ქვაბის აირგამწოვი მილის ისეთი სახით მოწყობის შესაძლებლობას, როდესაც მილიდან გამომავალი მომწამლავი აირები პირდაპირ მეზობლის საცხოვრებელ

---

[695] დარღვევის გამოსასწორებლად გონივრული ვადის მიცემა, დანადგარის ქსელიდან ჩახსნა, ბუნებრივი გაზით მომარაგების შეწყვეტა („ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილება, მუხ. 9, მუხ. 22).

[696] 2019 წელს 8 თვის განმავლობაში მხოლოდ დედაქალაქში 28883 კუსტარული გაზის დანადგარი ჩაიხსნა (ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QUP3B4>); მხოლოდ 1 თვის განმავლობაში ჩაიჭრა 3867 ღია კამერიანი აკრძალული გაზის დანადგარი (ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QYUeQx>); დეკემბერში კი, განმეორებით ჩაიხსნა ქსელიდან 4146 კუსტარული და საშიში დანადგარი (ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QYUeQx>).

[697] "ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 167, პუნ. 4.

[698] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრის №23/10377 წერილი; საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 13 იანვრის №1/12-18-159 წერილი.

[699] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2018, გვ. 177, გვ. 183. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 11 თებერვლის №06/196 წერილი.

[700] საქმე №13402/19.

სახლში ხვდება. დადგინდა, რომ შესაბამისი საკითხები ყოფილი საბჭოთა კავშირის 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით (ე.წ. „სნიპებით“) რეგულირდება.[701] სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების სრულყოფილი რეალიზებისთვის, უმნიშვნელოვანესია საცხოვრებელ სახლებში ბუნებრივი გაზის ქსელის მიმართ თანამედროვე და ყოვლისმომცველი მოწესრიგების დანერგვა.

13.3. სამშენებლო სფეროში მოქმედი ხარვეზიანი კანონმდებლობა

სამშენებლო კანონმდებლობა ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანის უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვისათვის სათანადო და ეფექტიანი მექანიზმების შენარჩუნება-გაძლიერებაზე. ამდენად, სამშენებლო სფეროში არსებული არაერთი გამოწვევის გათვალისწინებით, სწორედ აღნიშნულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ამ მიმართულებით დაგეგმილი თუ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიც.

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები შევიდა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში,[702] რომელთაგან რამდენიმე რეგულაციას სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების პერსპექტივის გათვალისწინებით, უარყოფითად აფასებს. კერძოდ, შემსუბუქდა სანქციები არაერთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან მიმართებით.[703] ეს ეხება ისეთ უკანონო ქმედებებს, როგორიცაა, მაგალითად, უნებართვო მშენებლობა,[704] მშენებარე ობიექტის კონსერვაციის წესის დარღვევით მიტოვება, მშენებლობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა. ასევე შემცირდება ჯარიმის ოდენობა იმ შემთხვევებისთვის, თუ ჯარიმის დაკისრების საფუძვლები აღმოფხვრილი არ იქნება სამართალდამრღვევის მიერ.[705] მთლიანად გაუქმდა

---

[701] საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის 2019 წლის 19 დეკემბრის №6/04-18-10150 წერილი; ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2020 წლის 11 თებერვლის №06/196 წერილი.

[702] საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 20.12.2019, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია არაერთი მიმართულებით საკმაოდ მასშტაბურ და უმეტესად პრობლემურ ცვლილებებს ითვალისწინებდა. საბოლოოდ, განხორციელებული ცვლილებებში პრინციპულად მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების დიდი ნაწილი აღარ აისახა.

[703] კოდექსის 130/2, 131/4, 132/2, 134/2, 135/2, 136/2, 138/2 მუხლები, გაუქმდა განმეორებით ჩადენილი სამართალდარღვევებისას ჯარიმის გაორმაგებული ოდენობების გადახდის ვალდებულება.

[704] მათ შორის „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში.

[705] ახალი რედაქციით, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას

პასუხისმგებლობა სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპების მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევებისთვის.[706]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესება სამართალდარღვევის პრევენციის ერთ-ერთი ბერკეტია. პრაქტიკაში, უფრო მკაცრი სანქციებიც კი ვერ ახდენდა სრულფასოვნად დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, არა თუ შემსუბუქებული ან/და სრულად გაუქმებული პასუხისმგებლობა. ამდენად, მოსალოდნელია, რომ განხორციელებულმა ცვლილებებმა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს სამართალდარღვევის თავიდან აცილების, პასუხისმგებელი პირების მხრიდან აღებული ვალდებულებების დროულად შესრულებისა და, შედეგად, ადამიანის უფლებების რეალიზაციის პროცესზე. სამშენებლო სფეროში არსებული მწვავე გამოწვევები სახელმწიფოს მხრიდან დროული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს, ამდენად, განხორციელებული ცვლილებების შედეგად მთავრობის მიერ არაერთი მნიშვნელოვანი დადგენილების მიღების ვალდებულების გადავადების ფაქტიც, ნეგატიურად უნდა შეფასდეს.[707]

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო მშენებლობის პროცესში მომიჯნავე ობიექტების მესაკუთრეთა კანონიერი ინტერესების უგულებელყოფის საკითხი. სახალხო დამცველის აპარატის მიერ რამდენიმე საქმის[708] შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის პროცესში, მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევებში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა არ მოწმდებოდა, მაშინ, როცა აღნიშნული რეკომენდაციებით განისაზღვრებოდა სპეციალური ღონისძიებები, რომელთა შესრულება აუცილებელი იყო მშენებლობის პროცესში მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესანარჩუნებლად.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კვლევის ჩატარება მშენებლობის ნებართვის გაცემამდე სავალდებულო არ იყო, დამკვეთს აღნიშნული დოკუმენტი უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოეპოვებინა.[709] 2019 წლის ივნისის ცვლილებებით კი,

---

შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ; მაშინ როდესაც წინა რედაქციით დამრღვევს ეკისრებოდა ბოლოს დაკისრებული ჯარიმის სამმაგი ოდენობა, კოდექსის 126/2 მუხლი.

[706] კოდექსის ძველი რედაქციის 133-ე მუხლი.

[707] სავალდებულო სერტიფიცირება არქიტექტურული საქმიანობისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას, 2020 წლის 1 ოქტომბრის ნაცვლად, მისი ამოქმედება 2022 წლის 1 ოქტომბრამდე გადავადდა; შენობა-ნაგებობის მიმართ ინსოლაციის მინიმალური მოთხოვნების დადგენა, 2019 წლის 30 დეკემბრის ნაცვლად, გადავადდა 2021 წლის 30 დეკემბრამდე; არქიტექტორების, ინჟინერ-მშენებლებისა და მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ექსპერტების სერტიფიცირების წესის განსაზღვრა, გადავადდა 2022 წლის 1 მარტამდე, 2020 წლის 1 მარტის ნაცვლად; აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს და სერტიფიცირებული ექსპერტის მიერ სამშენებლო ობიექტის ინსპექტირების წესისა და მათი პასუხისმგებლობის დაზღვევა, გადავადდა 2022 წლის 1 მარტამდე 2020 წლის 1 მარტის ნაცვლად. 2024 წლის ბოლომდე შეჩერდა შენობა-ნაგებობის დაპროექტებისას და მშენებლობისას განახლებადი ენერგიის გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინების ვალდებულება.

[708] №4018/19 საქმე; №5426/19 საქმე.

[709] „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, მუხ. 33, პუნ. 4(ბ).

მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ჩატარება და არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად სპეციალური ღონისძიებების განსაზღვრა, შესაბამის შემთხვევებში, სავალდებულო გახდა მშენებლობის ნებართვის გაცემამდე,[710] რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

თუმცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ თვითმმართველი ქალაქებიდან გამოთხოვილი ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ თბილისსა და ქუთაისში სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის გამწევი სამსახურები კვლევაში გათვალისწინებული სპეციალური ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლს არც შეცვლილი მოწესრიგების პირობებში ახორციელებენ.[711] სხვა მუნიციპალიტეტებში კი, მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევის ანგარიშის გათვალისწინებით, მშენებლობის ნებართვების გაცემის პროცესი ახალი დაწყებულია, რის გამოც, ამ ეტაპზე, მათ საფუძველზე წარმოებულ სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობა არ ხორციელდება.[712]

სახალხო დამცველი მოუწოდებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კვლევის საფუძველზე მშენებლობის ნებართვების გაცემისა და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ, ზედამხედველობა გაუწიონ საექსპერტო დასკვნებში გათვალისწინებული სპეციალური ღონისძიებების შესრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი დაეკარგება საექსპერტო დასკვნების სამართლებრივ დატვირთვას და დაირღვევა ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის, საკუთრების უფლების დაცვისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების პრინციპები.

საანგარიშო პერიოდში უნდა მიეღოთ „შენობა-ნაგებობის მიმართ ინსოლაციის მინიმალური მოთხოვნების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელიც ბუნებრივ განათებასა და ჰაერზე ხელმისაწვდომობის კუთხით მშენებარე ობიექტის მომიჯნავე ობიექტების მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა ინტერესების უზრუნველყოფის

---

[710] თუ შენობა-ნაგებობის მშენებლობა დაგეგმილია ჩამოყალიბებული განაშენიანებით შეზღუდულ პირობებში (ახალი მშენებლობისა და მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია), III კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – სამშენებლო მოედნის 10 მეტრის რადიუსში, ხოლო IV კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – 20 მეტრის რადიუსში, ასევე სხვა ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას, რათა გამოირიცხოს დაგეგმილი მშენებლობით მიწის ნაკვეთის მომიჯნავე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება („მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება, მუხ. 6, პუნ. 4(ე), პუნ. 9).

[711] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 4 მარტის №17-01200643894 წერილი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 11 მარტის №01/6346 წერილი.

[712] ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 26 თებერვლის №02/1531 წერილი; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის 2020 წლის 2 მარტის №1508-25 წერილი; ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 6 მარტის №02/2983 წერილი.

საშუალებად მოიაზრებოდა.[713] სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული აქტის მიღების ვადამ 2021 წლის 30 დეკემბრამდე გადაიწია.[714] შეუსრულებელი დარჩა ასევე, სახალხო დამცველის რეკომენდაცია, კანონმდებლობით სამეზობლო მიჯნის ზონაში აშენებულ შენობაზე სამეზობლო საზღვრის მხარეს მოწყობილი კარი, ფანჯარა და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი დაბრკოლება გამხდარიყო მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მიჯნის ზონაში ახალი შენობ(ებ)ის მშენებლობისას.[715] შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა კვლავ იძლევა შესაძლებლობას, სამშენებლო სფეროსთან დაკავშირებული მოთხოვნები მომიჯნავედ მცხოვრებ პირთა ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სახალხო დამცველი ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას სამშენებლო სფეროში გამოსაყენებლად აკრძალული სახიფათო (წვადი, ტოქსიკური და სხვა მავნე ბუნების) მასალების ჩამონათვალის განსაზღვრის აუცილებლობაზე.[716] მათ შორის, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მწვავედ დგას აზბესტის შემცველი პროდუქციის გამოყენების საკითხი (სამშენებლო მასალები, სამუხრუჭე ხუნდები და სხვ.).[717] ბოლოდროინდელი შეფასებით, ყოველწლიურად მსოფლიოში 107000-ზე მეტი ადამიანი იღუპება აზბესტის ზემოქმედებით გამოწვეული სხვადასხვა სახის კიბოსაგან, რის გამოც, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ყველა ტიპის აზბესტის გამოყენების შეწყვეტის, როგორც აზბესტთან დაკავშირებული დაავადებების აღმოფხვრის ყველაზე ეფექტიანი გზის, აუცილებლობაზე მიუთითებს.[718] საქართველოში, დღეის მდგომარეობით, აკრძალულია აზბესტის 5 ბოჭკოს იმპორტი.[719] თუმცა, დარეგულირებული არ არის ქრიზოტილი (თეთრი აზბესტი),[720] რომელიც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებით, აზბესტის ძირითადი ნაირსახეობაა და სიმსივნური დაავადებების მნიშვნელოვანი განმაპირობებელია.[721]

---

[713] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2018, გვ. 180-181.

[714] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხ. 142, პუნ. 3.

[715] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2018, გვ. 185.

[716] იქვე, გვ. 169; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2017, გვ. 203.

[717] ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე: <https://bit.ly/3dGtmyx> [ბოლოს ნანახია 10.03.2020]

[718] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდზე: <https://bit.ly/2UNEPnh > [ბოლოს ნანახია 10.03.2020]

[719] „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №263 დადგენილება.

[720] გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 10 მარტის №2617/01 წერილი.

[721] ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე: <https://bit.ly/3bFAA3M > [ბოლოს ნანახია 10.03.2020]

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მუშაობა აზბესტშემცველი მასალების სხვა ალტერნატიული მასალებით ჩანაცვლების შესახებ რეკომენდაციების შესამუშავებლად.[722] მნიშვნელოვანია, აღნიშნული პროცესის დროულად დასრულება და სახიფათო მასალების დროულად გამოსავლენად და ასაკრძალად, აქტიური ღონისძიებების გატარება.

13.4. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები და ადამიანის უფლებები

არაერთი წელია, მოქალაქეები სხვადასხვა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებულ პრობლემებზე, აქტიურად მომართავენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს. არც საანგარიშო პერიოდი ყოფილა ამ თვალსაზრისით გამონაკლისი.[723] მოსახლეობის წუხილი უმეტესად გადაწყვეტილებების მიღებისას მათი სოციალური საჭიროებების უგულებელყოფის, განსახორციელებელი საქმიანობის უსაფრთხოების, გარემოზე თუ საკუთრებაზე ზეგავლენის და კომპენსაციის საკითხებს უკავშირდება; ხშირად, პრობლემატურია არა იმდენად პროცედურული საკითხები, რამდენადაც თავად პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა.

როგორც წესი, მსხვილი პროექტების განხორციელება ცალკეული მოქალაქისა თუ გარკვეული ჯგუფის კანონიერ ინტერესებთან კვეთაშია. ინფრასტრუქტურული პროექტებით, ზოგიერთ შემთხვევაში,[724] მომიჯნავე მესაკუთრეთა/მფლობელთა უფლება, სრულყოფილად მოახდინონ თავიანთი საკუთრებისა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებების რეალიზაცია, იზღუდება ან კითხვის ქვეშ დგება.[725]

პრობლემატური საკითხების უმეტესობა მიანიშნებს, რომ მიუხედავად ამ თვალსაზრისით არსებული დახვეწილი საკანონმდებლო რეგულაციებისა, მთავარ გამოწვევად კვლავ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მოქალაქეებთან ადრეულ ეტაპზევე

[722] გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 10 მარტის №2617/01 წერილი.

[723] ასეთ მასშტაბურ პროექტებს შორისაა ჰიდროელექტროსადგურები, ელექტროგადამცემი ხაზები, საავტომობილო გზები, ნაგავსაყრელები, საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი კომპლექსები.

[724] ერთ-ერთი საქმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ, ერთი მხრივ, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისას იმ მინიმალურ დაშორებას, რაც დაცული უნდა იყოს უახლოეს მოსახლემდე, მეორე მხრივ, დადგენილია თავად ელექტროგადამცემი ხაზის დაცვისათვის ბუფერული ზონა. ხოლო ასეთ ზონაში მოხვედრილ მესაკუთრეებს/მფლობელებს ეკრძალებათ არაერთი სახის საქმიანობა. ამასთან, ელექტრული ქსელის მფლობელ პირს ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში ელექტროგადამცემი ხაზების მომსახურების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, უფლება აქვს განახორციელოს სხვადასხვა საქმიანობა. შესაბამისად, ბუფერულ ზონაში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა/მფლობელთა უფლებებზე ასეთი რეალობა ნეგატიური ზეგავლენის მომტანია.

[725]საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება №04-11/6476, 12/06/2019 შპს „ენერგოტრანსი"-ს, სოფელ სნოში განთავსებული №238, №239 და №240 ანძების თაობაზე.

კომუნიკაცია და საზოგადოების ყოველმხრივი ინფორმირებულობა რჩება. საჭიროა მოქალაქეთა შორის გაჩენილ ლეგიტიმურ კითხვებს მაქსიმალურად დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხები გაეცეს, რაც, თავის მხრივ, თავად გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების ვალდებულების შესრულებაში. სხვა საკითხებთან ერთად, თითოეულ შემთხვევაში, სიღრმისეულად და სრულყოფილად უნდა გამოიკვლიონ პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტები და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეარჩიონ ისეთი ადგილმდებარეობა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და მაცხოვრებლების ინტერესების თანაბრად დაცვას. სახელმწიფო უწყებების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებისას, ასევე გასათვალისწინებელია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალიც და ადგილობრივი მოსახლეობის სწრაფვა, განავითარონ თავიანთი საკუთრება და გაიუმჯობესონ მძიმე სოციალური მდგომარეობა. რაც სოფლის/მუნიციპალიტეტის განვითარებასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის შემცირების სახელმწიფოებრივ ინტერესზე მხოლოდ პოზიტიურ გავლენას იქონიებს.

ამასთან, სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დიდი ქალაქების განაშენიანების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ როდესაც დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება მკვეთრად ცვლის ქალაქგეგმარებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს, გადაწყვეტილებები მხოლოდ და მხოლოდ საერთო საზოგადოებრივი კონსოლიდაციის გზით უნდა მიიღებოდეს. საანგარიშო წელს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა პროექტი „ბათუმი რივიერა", რომელთან მიმართებითაც საზოგადოების ლეგიტიმური კითხვები პროექტის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით, მათ შორის, მოსალოდნელი რისკებისა და საფრთხეების თვალსაზრისით, უპასუხოდ დარჩა. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ მომავალში განაშენიანების მიმართულებებით გადაწყვეტილებების მიღებისას, განსაკუთრებით, ქალაქ თბილისსა და ბათუმთან მიმართებით, მხედველობაში უნდა მიიღებოდეს წლების განმავლობაში მათი აქტიური, ქაოტური და სპონტანური განვითარების შედეგად წარმოშობილი რთული გამოწვევები და სივრცითი მოწყობის თვალსაზრისით დღეს არსებული მძიმე ვითარება. გადაწყვეტილებების მიმღებმა ორგანოებმა თითოეულ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანი[726] და ისეთი გადაწყვეტილებები მიიღონ, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალი განაშენიანების მქონე ქალაქებში არსებული მდგომარეობის შემსუბუქებას და არა კიდევ უფრო დამძიმებას.

სამწუხაროდ, ამ დრომდე არ გადადგმულა რაიმე სახის ქმედითი ნაბიჯები გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკის დასაგეგმად და შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტების

[726] სამშენებლო და სივრცითი მოწყობის სფეროში არსებული საკანონმდებლო წესრიგის ლეგიტიმური მიზნებია შეუსაბამობების გამოვლენა, შემსუბუქება, გამოსწორება.

შესამუშავებლად. არავის შეუსწავლია და გაუანალიზებია ერთობლიობაში უკვე გაწეული საქმიანობა, განხორციელებული ინვესტიციები, პროექტების ხარჯ-სარგებლიანობა, დაშვებული შეცდომების, გასატარებელი ღონისძიებები. ამდენად, კვლავ აქტუალურია ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით არსებული გამოწვევები.[727] საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ, საგანგებოდ მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური და თანმიმდევრული მიდგომის საჭიროებაზე. ეკონომიკური, გარემოსა და სოციალური ინტერესების დასაბალანსებლად, პოლიტიკის დოკუმენტები პროფესიული კვლევების, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების, საჯარო განხილვების, დარგის სპეციალისტებისა და პროფესიული ჯგუფების ფართო ჩართულობით უნდა შეიქმნას. ამასთან, მნიშვნელოვანია პოლიტიკის დოკუმენტები სრულად პასუხობდეს შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს.[728]

13.5. საკანონმდებლო საკითხები

გამოვლინდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის გადახედვის საჭიროება. საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ შეაფასა დადებითად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგების ფაქტი. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს თავისებურებებისა და რეალობის გათვალისწინებით, საქმიანობებისთვის განსაზღვრული ზღვრული კრიტერიუმები გადახედვას და დახვეწას მოითხოვს. მაგალითად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის თანახმად,[729] 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი სკრინინგის[730] გადაწყვეტილებას ექვემდებარება. თუმცა აღნიშნული დაკონკრეტებისა და 10 ჰექტარზე მხოლოდ მცირედით სიმცირის გამო, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებით არ შეფასდა ისეთი მასშტაბური

[727] ამ მიმართულებით არსებულ არაერთ პრობლემაზე საქართველოს სახალხო დამცველმა დეტალურად ისაუბრა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, მათ შორის, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დაგეგმილი/განხორციელებული ჰიდროელექტროსადგურების პროექტების ენერგეტიკულ-ეკონომიკურ სარგებლიანობასთან დაკავშირებით გამოკვლევა-შეფასების არარსებობის პრობლემაზე.

[728] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ"; „პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №629 დადგენილება.

[729] კოდექსს აქვს ორი დანართი, პირველ დანართში მითითებულ საქმიანობებს უპირობოდ უტარდება გზშ, ხოლო მეორე დანართში ჩამოთვლილი საქმიანობები გზშ-ს მხოლოდ სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება.

[730] პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ს/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროებას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხ. 3, პუნქ. „ფ".

პროექტი, როგორიცაა „ბათუმი რივიერა“,[731] რამაც არაერთი ლეგიტიმური კითხვა პასუხგაუცემელი დატოვა.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ზღვრული მაჩვენებლები ქვეყნის ტერიტორიის ფართობისა და სხვა მნიშვნელოვანი სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს, ისეთი მნიშვნელოვანი საქმიანობების რეგულირების მიღმა დარჩენის თავიდან ასაცილებლად, რასაც პოტენციურად, ადამიანის უფლებების ხელყოფა შეიძლება მოჰყვეს შედეგად.

კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი[732] ნაგავსაყრელის საცხოვრებელი სახლიდან დასაშვებ მანძილზე ადგილმდებარეობას უკავშირდება. კანონმდებლობის თანახმად,[733] მანძილი საცხოვრებელი სახლიდან ნაგავსაყრელის საზღვრამდე არანაკლებ 500 მეტრი უნდა იყოს. მართალია, რეგულაციით განმარტებულია, თუ რა იგულისხმება ტერმინში „ნაგავსაყრელი“,[734] თუმცა ის, თუ რა უნდა მოვიაზროთ ნაგავსაყრელის საზღვრებად, ბუნდოვანია. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, საქმიანობის განმახორციელებელი ამ მანძილს ითვლის არა ნაგავსაყრელი პოლიგონის განთავსების მიწის ნაკვეთის საზღვრიდან, არამედ უშუალოდ იმ ადგილიდან, სადაც ნაგავსაყრელის ობიექტია განთავსებული. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ვინაიდან ეს საკითხ პირდაპირ კავშირშია მოქალაქეთა საკუთრებისა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციასთან, აუცილებელია კანონმდებლობა ცალსახად და მკაფიოდ განსაზღვრავდეს 500-მეტრიანი მანძილის ათვლის კრიტერიუმებს. მოქალაქეთა უფლება კომპენსაციასა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრებაზე, ინდივიდუალურ შემთხვევებში არ უნდა იყოს განსხვავებული და საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- დროულად შეიმუშაოს უნიფიცირებული რეგულაციები, გარემოზე ზიანის მიყენების ეფექტიანი პრევენციისა და დამდგარი ზიანის რეალური აღმოფხვრისათვის საჭირო მექანიზმების გარანტირების მიზნით, მათ შორის, ნათლად გაიწეროს პასუხისმგებელი უწყებები და მათი კომპეტენციები

[731] მიწის ნაკვეთების მთლიანი ფართობი შეადგენს 90,700 კვადრატულ მეტრს. განსახილველი პროექტი ითვალისწინებს იახტკლუბის და ხელოვნური ლაგუნის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების, საზღვაო სანაოსნოსთან ინტეგრირებული მრავალფუნქციური კომპლექსის, რესტორნების, კონვენციის ცენტრის, კაზინოს, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას და, შესაბამისად, აუცილებელია პროექტის გარემოზე ზემოქმედების ასპექტების სრულყოფილი შესწავლა.

[732] ცეცხლაურის ნაგავსაყრელის საქმის შესწავლის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემატიკა.

[733] „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

[734] დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

- შემცირდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების ზღვრული მაჩვენებლები ქვეყნის ტერიტორიის ფართობისა და სხვა სპეციფიკის გათვალისწინებით, მათ შორის, შემცირდეს II დანართის 9.2 ქვეპუნქტში მითითებული 10-ჰექტრიანი ზღვრული მაჩვენებელი
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დადგინდეს პასუხისმგებლობა ამტვერებადი მასალის განთავსების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების წესების დარღვევისთვის, ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს ბუნებრივი გაზის შიდა ქსელის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის გამკაცრების მიზნით განსახილველად წარდგენილი ნორმატიული აქტების პროექტების დროულად განხილვა და მიღება
- არსებული რეგლამენტები განაახლოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს საერთო სარგებლობის სავენტილაციო არხებზე გამწოვების დაერთებისა და გათბობის ქვაბების აირგამწოვი მილების მოწყობის საკითხების მოწესრიგება თანამედროვე გამოწვევებისა და ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად, მეზობელ ბინებში მცხოვრებ პირთა უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით
- ენერგორესურსებით რაციონალური სარგებლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტები „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებისა და „პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №629 დადგენილების შესაბამისად
- საქმიანობის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, უზრუნველყოოს თითოეულ ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებით პროექტის ხარჯთსარგებლიანობისა და მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების კვალიფიციური შესწავლა-შეფასება, ასევე, შესწავლის შედეგებზე ფართო საზოგადოების წვდომა
- შეიტანოს ცვლილება „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებაში და მკაფიოდ განსაზღვროს 500-მეტრიანი მანძილის გამოთვლის კრიტერიუმები
- შეიმუშაოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების მაჩვენებლის ზუსტი მონაცემების განსაზღვრის მეთოდოლოგია და აღნიშნული მაჩვენებლის შეფასების სტანდარტი

- უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება (მათ შორის, მონიტორინგის სადგურების რაოდენობის გაზრდა) სახელმწიფო ბიუჯეტით ადეკვატური რესურსების გამოყოფის გზით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინიტრს:

- დროულად უზრუნველყონ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და გაატარონ საჭირო საკანონმდებლო ღონისძიებები ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა ნორმაზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევების გამოსავლენად და აღნიშნულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად და ასამოქმედებლად

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს:

- სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად, დროულად მოამზადოს შესაბამისი კანონის პროექტი
- წლის განმავლობაში განახორციელოს „სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონის პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს:

- დადგენილ ნორმებთან შეუსაბამო ხარისხის საწვავის მიწოდების მონიტორინგისას, განხორციელდეს როგორც საავტომობილო დიზელის, ასევე ბენზინის სინჯების აღება და მათში ეროვნულ დონეზე განსაზღვრული ყველა ნივთიერების მოცულობითი წილის შეფასება.

14. შრომის უფლება

2019 წელს მთავარი გამოწვევა კვლავ შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების გაუმჯობესებას უკავშირდება. წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის გავრცელება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე და შრომის ინსპექტორებისთვის სამუშაო ადგილებზე დაშვების შეზღუდვების მოხსნა. თუმცა შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, შრომის ინსპექციისთვის შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაცვაზე ეფექტიანი ზედამხედველობის უფლებამოსილებების მინიჭების თაობაზე.[735] გაურკვეველი ვადით შეჩერდა შრომის კანონმდებლობის რეფორმაზე მუშაობა, რომლის შედეგადაც შრომის ინსპექცია უფლებამოსილი უნდა გამხდარიყო, ორგანიზაციის თანხმობის გარეშე, სრულად შეემოწმებინა შრომით უფლებებთან და პირობებთან მიმართებით არსებული ნორმების ეფექტური გამოყენება, რისთვისაც მას ენიჭებოდა ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება, მათ შორის, საქართველოს შრომის კოდექსითა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის შემთხვევებში.

საანგარიშო პერიოდში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობის ანალიზი აჩვენებს, რომ შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის კუთხით შესამჩნევი პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, დეპარტამენტის მანდატი და მის ხელთ არსებული რესურსები საკმარისი არ არის მათთვის დაკისრებული მნიშვნელოვანი ფუნქციების შესასრულებლად.

14.1. შრომის პირობების კუთხით არსებული მდგომარეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წელს სამუშაო ადგილებზე დაღუპვისა და დაშავების შემთხვევების მაჩვენებელი მცირედით არის შემცირებული მხოლოდ წინა წელთან შედარებით (დაიღუპა 49 და დაშავდა 142 ადამიანი).[736] ამდენად, ვითარება კვლავ მძიმეა.

---

[735] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", (2018), გვ. 189.

[736] განსხვავებული მონაცემები წარმოადგინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, რომლის მიხედვითაც, 2019 წელს, ბოლო 4 წლის მონაცემებით, სამუშაო ადგილებზე დაღუპვის შემთხვევების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა. კერძოდ, სამუშაოს შესრულებისას წლის განმავლობაში დაიღუპა 38 (მათგან 25 დასაქმებული იყო მშენებლობის სექტორში) და დაშავდა 168 ადამიანი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/371 წერილი). მონაცემების შეუსაბამობის მიზეზად, უწყებამ, 2019 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოებისა და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, სტატისტიკის სხვადასხვა მეთოდოლოგიით წარმოება დაასახელა. კერძოდ, ინსპექტირების ორგანო სამუშაო სივრცეში მომხდარ დადასტურებულ საწარმოო უბედურ

წინამდებარე ცხრილში მოცემულია 2016-2019 წლების მონაცემები სამუშაოს შესრულებისას დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობების შესახებ[737].



ინსპექტირების შედეგებმა აჩვენა, რომ შრომის უსაფრთხოების კუთხით, ყველაზე პრობლემური რისკების შეფასების ვალდებულების შეუსრულებლობაა.[738] ამასთან, დასაქმებულები, ხშირად, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობენ.[739] საგულისხმოა, რომ წლის განმავლობაში 92 ობიექტს შეუჩერდა სამუშაო პროცესი

შემთხვევებს აღრიცხავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კი, აღირიცხება სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა უბედური შემთხვევა, რომელზეც, შესაძლოა, არ ვრცელდებოდეს „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოქმედება (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 13 მარტის №01/3216 წერილი).

[737] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" (2016), გვ. 514; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" (2017), გვ. 194; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" (2018), გვ. 186; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 5 მარტის №MIA 1 20 00590910 წერილი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/371 წერილი.

[738] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/371 წერილი.

[739] იქვე.

უსაფრთხოების ნორმების კრიტიკული დარღვევის გამო, რაც გულისხმობს, რომ გამოვლენილი შეუსაბამობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და სავალდებულო იყო მათი დაუყოვნებლივ გამოსწორება.[740]

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს 2018 წელს მიენიჭა შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემოწმების უფლებამოსილება.[741] თუმცა, შრომის უსაფრთხოების ნორმებისგან განსხვავებით, მათ დაცვაზე ზედამხედველობის გაწევა მხოლოდ ორგანიზაციის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში შეუძლია.[742] 2019 წელს შრომითი უფლებების ნაწილში ინსპექტირებაზე თანხმობა მხოლოდ 19-მა დამსაქმებელმა გამოთქვა.[743] გამოიკვეთა ისეთი მძიმე დარღვევები, როგორებიცაა უქმე დღეებში ნამუშევარი და ზეგანაკვეთური სამუშაოს აუნაზღაურებლობა, შეუსაბამობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ და არსებულ სამუშაოს შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის წესის დარღვევა და სხვ. საპასუხოდ, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი უფლებამოსილი იყო, გაეცა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები, ვინაიდან შრომითი უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის პროცესში იგი არ არის აღჭურვილი შესასრულებლად სავალდებულო მითითებების გაცემის ან სანქცირების მექანიზმებით.

შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი მოითხოვს შრომის ინსპექციის ისეთი სისტემის არსებობას, რომელიც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებთან ერთად, შრომის პირობებთან დაკავშირებული სხვა დებულებების (სამუშაო საათები, ხელფასი, დასვენების დრო და სხვ.) აღსრულებასაც მოიცავს.[744] ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ასახოს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები სწორედ იმ ფორმით, როგორც ეს მოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებში.[745] თუმცა საქართველოს აღნიშნული სტანდარტების დამდგენი კონვენციები დღემდე არ აქვს რატიფიცირებული. საერთაშორისო ორგანიზაციის, Human Rights Watch-ის მითითებით, ეს საკანონმდებლო და

---

[740] იქვე; „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 3, პუნ. „ს".

[741] „შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №603 დადგენილება.

[742] „შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №682 დადგენილება; „შრომის პირობების ინსპექტირების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №668 დადგენილება.

[743] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/371 წერილი.

[744] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №81 კონვენცია მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში შრომის ინსპექციის შესახებ, C081, 1947, მუხ. 3, პუნ. 1; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №129 კონვენცია სოფლის მეურნეობის სფეროში შრომის ინსპექციის შესახებ, C129, 1969, მუხ. 6, პუნ. 1.

[745] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მუხ. 229, პუნ. 2.

ზედამხედველობის ხარვეზები საქართველოში ხელს უწყობს იმ პრაქტიკას, რომელიც კვლავაც საფრთხეს უქმნის დასაქმებულებს.[746] შესაბამისად, ორგანიზაცია საქართველოს მთავრობას და პარლამენტს მოუწოდებს, შექმნან სრულფასოვანი შრომის ინსპექცია, რომელიც სათანადო პერსონალით იქნება დაკომპლექტებული, შესაბამისი რესურსებითა და მანდატით აღიჭურვება, რაც გულისხმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას.[747]

საქართველოს სახალხო დამცველს მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია შრომის კანონმდებლობის რეფორმაზე მუშაობის დროულად დასრულება, რამაც უნდა უზრუნველყოს შრომის ინსპექციის სისტემის სრულყოფა, ფართო მანდატითა და ქმედითი მექანიზმებით აღჭურვილი სახელმწიფო ზედამხედველობის მექანიზმის ჩამოყალიბების სახით.

14.2. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მუშაობა

2019 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით 859 ობიექტი შეამოწმა, მათ შორის, ზემოხსენებული 19 კომპანიის 107 ობიექტში შემოწმდა შრომითი უფლებების დაცვის მდგომარეობაც. 301 ობიექტთან დაკავშირებით, შესაბამისი საკანონმდებლო უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, გაიცა მხოლოდ შესასრულებლად არასავალდებულო რეკომენდაციები.[748] 558 ობიექტზე კი, „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ფარგლებში[749], 1264 ინსპექტირება განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრიდან შრომის ინსპექტორებისთვის დასაქმების ყველა ადგილზე თავისუფალი დაშვების მანდატი ამოქმედდა, 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, გაცილებით ნაკლები ობიექტი (75) შემოწმდა, ვიდრე წლის პირველ ნახევარში (483).[750] ამასთან, შემოწმებულთაგან მხოლოდ 3 ობიექტი განეკუთვნებოდა ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სფეროს, რომელიც არ ხვდება მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და

[746] „არცერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე", Human Rights Watch, 2019, გვ.2, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39rxclj [ბოლოს ნანახია 30.03.2020]

[747] იქვე, გვ. 3.

[748] 150 ობიექტი შემოწმდა 2019 წლის შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №582 დადგენილება), 151 ობიექტი კი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ერთობლივი ინსპექტირების ფარგლებში (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/371 წერილი).

[749] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/371 წერილი.

[750] იქვე.

საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში.[751] ეს კი, მიუთითებს, რომ საანგარიშო პერიოდში, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ინსპექციის სისტემის სრულყოფისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები პრაქტიკაში ამ ეტაპისათვის სათანადოდ არ ამოქმედებულა.

შემოწმებამ 4806 დარღვევა გამოავლინა. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევებისთვის, პირველ ეტაპზე, შემოწმებულ 558-ვე ობიექტს ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა გაფრთხილება. რეინსპექტირების შედეგად აღმოჩნდა, რომ 127-მა საწარმომ სრულად გამოასწორა დარღვევები, ხოლო 202 საწარმო 200-დან 14000 ლარის ფარგლებში დაჯარიმდა. ამდენად, დარღვევათა გამოსწორების მაჩვენებელი 39%-ს უტოლდება, რაც წინა წლის მონაცემსაც აღემატება და კიდევ ერთხელ მიანიშნებს სანქცირების მექანიზმის ეფექტიანობაზე სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებთან შედარებით.[752]

გასათვალისწინებელია, რომ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს, ზემოთ მითითებული უფლებამოსილებების გარდა, ეკისრება შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტების შემუშავებისა და იძულებით შრომასა და შრომით ექსპლუატაციაზე ზედამხედველობის ვალდებულება.[753] ამ მიმართულებით, 2019 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა 127 კომპანია შეამოწმა.[754] ამასთან, მოამზადა 4 ნორმატიული აქტის პროექტი და დამატებით იმუშავა 1 ნორმატიულ აქტზე.[755] თუმცა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა

---

[751] განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობები, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები და ხელოვნება, გართობა, დასვენება.

[752] 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 31% იყო, 2017 წელს კი, როდესაც შემოწმება მიმდინარეობდა, მხოლოდ სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე, 6% (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", (2018), გვ. 188).

[753] „შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №682 დადგენილება; „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილება.

[754] იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შესაძლო ნიშნები არცერთ შემთხვევაში არ გამოვლენილა.

[755] მომზადდა შემდეგი ნორმატიული აქტების პროექტები: ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ; საწარმოში/ორგანიზაციაში/დაწესებულებაში შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ; ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაოების დამტკიცების თაობაზე; საქართველოს ტერიტორიაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების სავალდებულო დაზღვევის (მინიმალური პაკეტის) წესისა და პროცედურების შესახებ. შევიდა ცვლილება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაში.

მიღებულიყო შრომით პირობებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კიდევ სამი ნორმატიული აქტი,[756] რომელთათვისაც საბოლოო სახის მიცემა საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა.

გაზრდილი უფლება-მოვალეობების ფონზე, დეპარტამენტის მიერ შემოწმებული ობიექტების რაოდენობის მკვეთრი შემცირება და შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა, მიუთითებს, რომ მის ხელთ არსებული რესურსები საკმარისი არ არის დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შესასრულებლად. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი მიმდინარე ეტაპზე წარმოდგენილია მხოლოდ 40 საშტატო ერთეულით.[757] შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, დაახლოებით 42000 დასაქმებულზე მოდის 1 შრომის ინსპექტორი,[758] მაშინ როცა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ყოველ 20000 დასაქმებულზე უნდა განისაზღვრებოდეს 1 შრომის ინსპექტორი.[759] ამდენად, აუცილებელია, რომ არ გაჭიანურდეს შრომის ინსპექტორთა რაოდენობის დაგეგმილი ზრდა, რომელმაც წლის პირველ კვარტალში 100-ს უნდა მიაღწიოს.[760] შრომის ინსპექტორთა მუშაობის ეფექტიანობისთვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი ასევე მოითხოვს მათ ადგილობრივი ოფისებით უზრუნველყოფას.[761]

---

[756] ხსენებულ ნორმატიულ აქტებს ქვეყნის კანონმდებლობაში შემდეგი დირექტივების მოთხოვნათა იმპლემენტაცია უნდა მოეხდინა: 89/654/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე; 2009/104/EC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე; 90/270/EEC დირექტივა მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, დანართი XXX).

[757] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/371 წერილი.

[758] გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემი, რომლის მიხედვითაც 2018 წელს საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა 1694.2 ათას კაცს შეადგენდა.

[759] „სტრატეგიები და პრაქტიკა შრომის ინსპექციისთვის", შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2006, გვ. 4, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RT1r5z>[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[760] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/371 წერილი.

[761] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №81 კონვენცია მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში შრომის ინსპექციის შესახებ, C081, 1947, მუხ. 11. მაგალითისთვის, შრომის ინსპექციის სისტემა ლატვიაში, რომლის მოსახლეობაც საქართველოს მოსახლეობაზე თითქმის ორჯერ ნაკლებია, სათაო ოფისისა და ხუთი რეგიონული ცენტრისაგან შედგება, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე ქვედაყანოფს აერთიანებს (ლატვიის შრომის ინსპექციის 2018 წლის წლიური ანგარიში, გვ. 7, ხელმისაწვდომია: <http://www.vdi.gov.lv/files/sdo_2018_en_gala.pdf>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმატებული საქმიანობისთვის, აუცილებელია მისი ორგანიზაციული და სტრუქტურული გაძლიერება.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- დააჩქაროს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რათა შრომის ინსპექტორები, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე ზედამხედველობის მსგავსად, შესაბამისი უფლებამოსილებებით (თავისუფალი დაშვების მანდატით) და აღსრულებადი მექანიზმებით (სანქციების გამოყენების შესაძლებლობით) აღიჭურვონ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემოწმების პროცესშიც.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს ნორმატიული აქტების მიღება სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე 1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს 89/654/EEC დირექტივის, სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/104/EC დირექტივისა და მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ 1990 წლის 29 მაისის საბჭოს 90/270/EEC დირექტივის დებულებათა შესასრულებლად
- გატარდეს სათანადო ღონისძიებები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „მრეწველობასა და ვაჭრობაში შრომის ინსპექციის შესახებ“ №81, „შრომის ინსპექციის (სოფლის მეურნეობაში) შესახებ“ №129 და „სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ“ №155 კონვენციების რატიფიკაციისთვის საჭირო პროცედურების დასაწყებად.

საქართველოს მთავრობას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- დააჩქარონ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ორგანიზაციული და სტრუქტურული გაძლიერება, მათ შორის, რეგიონული ოფისებით აღჭურვის გზით.

15. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

2019 წელს სახელმწიფომ ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ახალი ტალღა წამოიწყო. პოლიტიკური განაცხადის თანახმად, იგი მოიცავს ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას, დაფინანსების ახალ მოდელზე გადასვლას (DRG)[762] და მომსახურების ტარიფების გათანაბრებას. სახელმწიფოს მხრიდან გაცხადებული ინიციატივების მიუხედავად, სამედიცინო მომსახურების გამწევთა მხრიდან დაფინანსების მოდელში შეტანილ ცვლილებებს ძალიან უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, ამასთან გამოწვევად რჩება საყოველთაო, პირველადი და კიბოს წინააღმდეგ მიმართული ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანი აღსრულება, რომელთა მიზანი ჯანდაცვის შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობისთვის ფინანსური ტვირთის შემცირება უნდა იყოს.

მწვავედ დგას სოფლად პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, სოფლის ექიმების და ექთნების შრომის პირობების გაუმჯობესების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და უწყვეტი პროფესიული განათლების სავალდებულო სისტემის დანერგვის საკითხები.

ასევე, მწვავე პრობლემად რჩება მედიკამენტებზე წვდომის და ხარისხთან დაკავშირებული პოლიტიკის აქტიური და თანმიმდევრული განხორციელება. ამავე პერიოდში ლეგიტიმური კითხვები გააჩინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის გამოქვეყნებამაც, C-ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებით.

კვლავ გამოწვევად რჩება მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირების მიერ სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობა საქართველოში.

15.1. პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევები

2019 წლის დასაწყისში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განსაზღვრა გლობალური ჯანდაცვის 10 ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე, რომელთა შორის არის სუსტი პირველადი ჯანდაცვა. ეს რგოლი ადამიანების პირველი შეხების წერტილია ჯანდაცვის სისტემასთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სრული, ხელმისაწვდომი და მოცულობითი დახმარება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.[763]

---

[762] ანაზღაურების ახალი სისტემა დიაგნოზთან შეჭიდებული ჯგუფების (DRG) მოდელზე გადასვლას გულისხმობს, რომლის თანახმადაც პაციენტის დიაგნოზი, ასაკი, ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა და სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავს დაფინანსების მოცულობას.
[763] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/33Voilt>[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სისტემის პრობლემების, ბარიერებისა და საჭიროებების დადგენაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები მთავარ ბარიერად პოლიტიკური ნების არარსებობას მიიჩნევენ. მათი შეფასებით, პირველადი ჯანდაცვის განვითარებას/გაძლიერებას არ მინიჭებია უმაღლესი პრიორიტეტი და არ მოქცეულა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისათვის მნიშვნელოვანი ამოცანების სათავეში.[764]

სახალხო დამცველის შეფასებით, ამ მიმართულებით კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პირველადი ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციული მოწყობის მოდელი და მარეგულირებელი გარემო, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებსა და ჰოსპიტალურ დაწესებულებებს შორის სუსტი უკუკავშირი, მომსახურების ფრაგმენტულობა, ნაკლები ყურადღება დაავადებათა პრევენციაზე, მათ ადრეულ გამოვლენასა და მართვაზე. პრობლემას წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული სამედიცინო განათლების მიღების მწირი შესაძლებლობაც.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მომზადებული რეკომენდაციებიც მიუთითებენ, რომ ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვა ძირეულ რეფორმას საჭიროებს. ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს პირველადი ჯანდაცვის შესრულების ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები, დანერგოს ახალი სერვისები, განსაკუთრებით, არაგადამდები დაავადებების პრევენციასა და მკურნალობაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.[765]

2019 წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებები, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გულისხმობს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში" ჩართული სამედიცინო დაწესებულებებისთვის საქმიანობის ახალი კრიტერიუმების შემოღებას (სელექციური კონტრაქტირება).[766] მნიშვნელოვანია, აღნიშნული ცვლილებებით ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარებაც დაიწყოს.

„სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამა

პირველად ჯანდაცვაში სოფლის ექიმების რგოლი, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მიიჩნევს, რომ ის არის არსებითი, აუცილებელი ჯანდაცვა, რომელიც

---

[764] „ველფეარ ფაუნდეშენის" (Welfare Foundation) კვლევა „სუსტი პირველადი ჯანდაცვა - ჯანდაცვაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მიღწევის ძირითადი ბარიერი", 2019 წ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2vYuX1x > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[765] Quality of primary health care in Georgia - WHO European Centre for Primary Health Care Health Services Delivery Programme Division of Health Systems and Public Health 2018 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2Uss16I >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[766] „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №15 დადგენილება.

ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის და ოჯახისათვის, ითვალისწინებდეს მათ სრულ თანადგომას ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.[767]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ, მოსახლეობის განსაკუთრებული საჭიროების შესაბამისად, ხელი შეუწყოს ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას, როგორც სახელმწიფო ასიგნებებით, ისე კერძო ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელის შეწყობით. სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წელს, საქართველოს 17 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, 70-ზე მეტი სოფლის ამბულატორია შეისწავლა. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მწვავე პრობლემები უკავშირდება როგორც ინფრასტრუქტურას (მოუწესრიგებელი შენობები, გაუმართავი საკომუნიკაციო და სანიტარულ-ჰიგიენური სისტემები), ისე კვალიფიციური დამხმარე პერსონალის (ექთნების) ნაკლებობას. „სოფლის ექიმის" პროგრამის სუსტად განვითარების ერთ-ერთ მიზეზად სახელდება სამედიცინო პერსონალის (ექიმების და ექთნების) დაბალი ანაზღაურება, რომელიც გაწეულ შრომას არ შეესაბამება და სამედიცინო პერსონალს უკარგავს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევის მოტივაციას. სოფლის ექიმის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება თვეში 650 ლარის, ხოლო ექთნის/ფერშლის - თვეში 455 ლარის ოდენობით. ამ ანაზღაურების ფარგლებში შედის კომუნალური და ტრანსპორტირების ხარჯიც და საჭირო მედიკამენტებისა და სამედიცინო ნივთების შესყიდვაც. ასევე სერიოზული პრობლემაა სამედიცინო პერსონალის (ექიმი/ექთანი) პროფესიული უნარ–ჩვევების განვითარება და კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება.

15.2. მაღალკვალიფიციური დამხმარე სამედიცინო კადრები

პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია სამედიცინო პერსონალის შრომის მდგომარეობასთან.[768] ექთნის/ფერშლის ინსტიტუტი პაციენტებს დაავადების ან რეაბილიტაციის პროცესში მოვლის დაგეგმვაში ეხმარება, ფიზიკური, მენტალური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის თანახმად, ევროპის რეგიონის 53 ქვეყანას შორის საქართველო 100 000 მოსახლეზე ექთნების რაოდენობის მიხედვით, ბოლოსწინა ადგილს იკავებს.[769] 2019 წელს ჩატარებული კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 95% კანონით დადგენილ 40 საათზე მეტს მუშაობს; 84.6%-ის ხელფასი 500 ლარზე ნაკლებია; 100% ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის ანაზღაურებას არ იღებს არც ჩვეულებრივ და არც უქმე დღეებში. არც კერძო და არც სახელმწიფო დონეზე არ არსებობს სამედიცინო

[767] Universal health coverage 2019 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo-gl.su/oAFV>

[768] Modeling and Managing the patients' need for clinical care ENHANCING EVIDENCE-BASED PRACTICE AND MANAGEMENT ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ayewrK > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[769] European Health for All family of databases ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2JrTYW8 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

დაწესებულებებში დასაქმებულთა სამუშაოს სიმძიმისა და დატვირთვის შესახებ რეგულაცია.[770]

წლებია, სახელმწიფო აცხადებს, რომ მიმდინარეობს მუშაობა ჯანდაცვის სექტორში ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკასა და გრძელვადიან გეგმაზე, რომელიც მოიაზრებს კადრების საჭიროებებს დეფიციტური/პრიორიტეტული სპეციალობებისა და სპეციალისტების რეგიონულ ჭრილში გადანაწილების სპეციფიკის გათვალისწინებით.[771] შექმნილია „საექთნო საქმიანობის განვითარების ეროვნული საბჭო", დამტკიცდა საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია[772], მაგრამ კვლავ პრობლემურია ამ მიმართულებით პროფესიული რეგულირების მექანიზმებისა და ფორმალური უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის არარსებობაც, რაც მოქმედებს როგორც პროფესიის პრესტიჟზე, ისე ექთანთა კვალიფიკაციაზე და პირდაპირ და ყოველდღიურ რეჟიმში აისახება თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია შემუშავდეს ექთნების/ფერშლის ფუნქციური და შრომითი საქმიანობის სტანდარტები, ჩამოყალიბდეს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და პროფესიული რეგულირების მდგრადი სისტემა.

15.3. ონკოლოგიური პაციენტების უფლებები

ექსპერტთა პროგნოზით, მსოფლიოში კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის არსებული დონე, რომელიც წელიწადში დაახლოებით 8.2 მილიონს შეადგენს, გაიზრდება და 2030 წლისათვის 13 მილიონს გადააჭარბებს.[773] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მიზნად ისახავს გააძლიეროს ძალისხმევა კიბოს ადრეული დიაგნოზის დასმის, სკრინინგის, მკურნალობის, აგრეთვე, პალიატიური მოვლისა და დახმარების აღმოჩენისთვის, მკურნალობის შემდეგ, მათ შორის, ბავშვობაში კიბოს შემთხვევაში.[774]

საქართველოს სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკაა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტიანი მეთოდების დანერგვა.[775] თუმცა

---

[770] „სოლიდარობის ქსელის" კვლევა „ექთნების შრომის პირობები საქართველოში", 2019წ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია; <https://goo-gl.su/YvMtn9 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[771] საქართველოს მთავრობის დადგენილება №724 „2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელწიფო კონცეფციის" დამტკიცების თაობაზე.

[772] საქართველოს მთავრობის დადგენილება №334 „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე".

[773] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2WTVhVN >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[774] Cancer prevention and control in the context of an integrated approach. ინფორმაცია ხელმისაწვდომია; < https://bit.ly/2WTVhVN > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[775] ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3dFKGUm > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

ცალკეული და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა[776] - საყოველთაო ჯანდაცვის, ონკოპრევენციის პროგრამის, პალიატიური მზრუნველობის და ადგილობრივი მუნიციპალური ბიუჯეტების ფარგლებში,[777] - რომელიც უზრუნველყოფს ონკოლოგიური დაავადების ლაბორატორიული გამოკვლევების და ოპერაციების ხარჯების ანაზღაურებას დაზღვევის პაკეტების შესაბამისი ლიმიტისა და თანაგადახდის გათვალისწინებით, ქმნის არათანაბარ და განსხვავებულ მიდგომას ბენეფიციარის ფინანსური სტატუსიდან გამომდინარე.[778] არასრული დაფინასების გამო, ამ მძიმე სენით დაავადებულ პაციენტებს საკუთარი ხარჯებით ან კვლავ სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამის დახმარებით უწევთ თანხის შევსება სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილ ტარიფამდე. სამწუხაროა, რომ სახელმწიფო არ იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას და დღემდე არ იღებს ონკოლოგიურ დაავადებათა ერთიან სახელმწიფო პროგრამას, რომლის არსებობა და ეფექტიანად მართვა არსებითად გააუმჯობესებს კიბოს პაციენტების მკურნალობას და წამლებზე წვდომას, ასევე გააჩენდა კიბოს პრევენციის მიმართულებით მუშაობის შესაძლებლობას.

15.4. მედიკამენტების ხელმისაწვდომობა და ხარისხი

ჯანმრთელობის უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მედიკამენტების ხელმისაწვდომობა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ჯანმრთელობის შენარჩუნება ან ავადობის დაძლევა. ამბულატორიულ მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების ზრდა [779] მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. მედიკამენტების ხელმისაწვდომობის პრობლემას საქართველოში, როგორც გამოწვევას, ეხმიანება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჯანდაცვის დაფინანსების თემაზე გამოქვეყნებული ანგარიში „Can people afford to pay for health care?".[780] ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 14%

[776] „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა", „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის" სახელმწიფო პროგრამა.

[777] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 196.

[778] 2017 წლის 1 მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდა. დიფერენცირება ეფუძნება პირის დაზღვევის სტატუსს და მისი შემოსავლების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციას. მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს აღემატება, ვერ სარგებლობენ პროგრამით დაფინანსებული სერვისებით, ხოლო ისინი, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია/მეტია, სარგებლობენ დიფერენცირებული სერვისებით თანადაფინანსების პრინციპის გათვალისწინებით. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ორივე კატეგორიის მოქალაქეებზე თანაგადახდის წილი მცირეა და სრულად ვერ უზრუნველყოფს სერვისებზე ფინასურ ხელმისაწვდომობას.

[779] „საქსტატის" მონაცემებით, მედიკამენტის ფასი 2018 წელს (4%-ით) გაიზარდა. 2019 წლის სექტემბრის მონაცემებით კი, ბოლო 1 წელიწადში ფარმაცევტული ნაწარმის ფასი 6.6%-ით არის მომატებული. ინფორმაცია ხელმისაწვდლომია: https://bit.ly/2Uvgzrd> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[780] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3dEjKEo > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

განიცდის ჯანდაცვაზე კატასტროფულ დანახარჯს.[781] პაციენტის გადახდების სტრუქტურაში მედიკამენტებზე გადახდილ თანხებს წამყვანი ადგილი - 60% უჭირავს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია განვითარებადი ქვეყნებისთვის წამლის და ფარმაცევტული ბაზრის საქმიანობის სფეროს რეგულირებას დიდ გამოწვევად მიიჩნევს და ქვეყნებს მოუწოდებს, არსებული ნაკლოვანებების აღმოჩენით და ხარვეზების გამოსწორებით, უზრუნველყონ სფეროს ეფექტიანი რეგულირება.[782]

გარდა დაფინანსებისა, პრობლემას წარმოადგენს მედიკამენტების ხელმისაწვდომობა. მოსახლეობის კეთილდღეობის 2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში ოჯახები ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების 69%-ს მედიკამენტების შესაძენად ხარჯავენ. ზოგიერთი ოჯახი სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეულ ხარჯებს კატასტროფულად მაღალს უწოდებს. კვლევები აჩვენებს, რომ 2017 წელს შინამეურნეობების დაახლოებით 27%-მა აღნიშნა, რომ მედიკამენტების შეძენა მათთვის უმთავრესი პრობლემა იყო.[783] 2019 წელს გამოქვეყნდა „ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრის“ მე-12 ტალღა, რომელშიც განხილულია საქართველოში მედიკამენტების ფასების ზრდის საგანგაშო დინამიკა. გამოკითხული მოსახლეობის 72.6 % აღნიშნავს, რომ 2015-2019 წლების პერიოდში მედიკამენტების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა.[784]

სახალხო დამცველი წინა წლების ანგარიშებში მიუთითებდა, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს გენერიკების[785] ხელმისაწვდომობის გაზრდა. უნდა გაგრძელდეს წამლების ფიზიკური ხელმისაწვდომობის რეგულარული მონიტორინგი. სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველსაყოფად, უსაფრთხოების და დაცული პირობების შესაქმნელად, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ფარმაცევტული საქმიანობების (ფარმაცევტული პროდუქტის წარმოების, შემდგომი კვლევის, დისტრიბუციის, შენახვა-განთავსების, სარეალიზაციო პირობების შემუშავების) გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.[786]

---

[781] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კატასტროფულ დანახარჯად მიიჩნევა ისეთი ხარჯები, რომელიც შეადგენს მთლიანი საყოფაცხოვრებო ხარჯების (კვების, ბინის ქირისა და კომუნალური ხარჯების გამოკლებით) 40%-ზე მეტს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UvzZMk> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[782] REGULATION OF PHARMACEUTICALS IN DEVELOPING COUNTRIES, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2vYvWPh >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[783] ინფორმაცია ხელმისაწვდომია; < https://uni.cf/2yfVQPf >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[784] ფონდ „კურაციოს“ პროექტი, რომელიც მოიცავს საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვების და შეფასების ანალიზს. ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი - ტალღა XII, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2JrUW4l > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[785] ქიმიური ნივთიერების შემცველი პრეპარატი - აქტიური ფარმაცევტული ნივთიერება, იდენტურია კომპანიის მიერ დაპატენტებული, მედიკამენტის ორიგინალური შემქმნელის მიერ. მისი წარმოება და გაყიდვა ხდება პატენტის ამოწურვის შემდეგ და, შესაბამისად ფასიც უფრო დაბალია.

[786] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 217. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2JpNAhZ > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

საკითხის მნიშვნელობის და განსაკუთრებულად კრიტიკული საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესი იქნება, სახელმწიფომ მოახდინოს ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შეფასება, მისი შეცვლა/განახლება და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა, აუცილებელ მედიკამენტებზე წვდომის გაფართოება. მნიშვნელოვანია ხარისხის კონტროლის არსებული მექანიზმების დახვეწა და სიახლეების დანერგვა, ასევე, მედიკამენტების ფასის რეგულირების მიმართულებით ქმედითი და დროული ღონისძიებების გატარება.

15.5. ნარკოპოლიტიკა

წლებია, საქართველოს სახალხო დამცველი მხარს უჭერს მკაცრი და სადამსჯელო ნარკოპოლიტიკის ჩანაცვლებას ზრუნვასა და მკურნალობაზე ორიენტირებული მიდგომით.[787]

2015-2016 წლებში სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელებით მიმართა, რომლებიც ე.წ. ქუჩის ნარკოტესტირებას, მის საფუძველზე პირის ადმინისტრაციული წესით დასჯისა და ამ ანალიზის შედეგის, სისხლის სამართლის პროცესში, როგორც მტკიცებულების გამოყენების კონსტიტუციურობის საკითხს ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კონსტიტუციური სარჩელის შეტანიდან ხუთ წელზე მეტი გავიდა და მისი არსებითი განხილვა ორ წელზე მეტია, რაც დასრულდა, ანგარიშზე მუშაობის პერიოდისთვის (2020 წლის მარტი), სასამართლოს გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ არ იყო გამოტანილი.

აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს (№1/6/770) გადაწყვეტილებაც, რომლითაც სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილდა. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სანქციის სახით ადმინისტრაციული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგისა და პრეკურსორის მოხმარებისთვის და ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით დამზადების, შეძენისა და შენახვისთვის, თუ ეს ნივთიერება სწრაფ მიჩვევას ან აგრესიულ ქცევას არ იწვევს.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი მხარს უჭერს 2017 წლის 22 ივნისს „საქართველოს ნარკოტიკის ეროვნული პლატფორმის" ავტორობითა და საქართველოს პარლამენტის წევრთა (ა. ზოიძე, ლ. კობერიძე, დ. ცქიტიშვილი, ს. ქაცარავა და ი. ფრუიძე) მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რადგან იგი ყველაზე მეტად თავსებადია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრულ ამოცანებთან. სახალხო დამცველმა კანონპროექტის დროული განხილვისა და მიღების მიზნით, წინა წლის საპარლამენტო ანგარიშებში, წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს.

[787] მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 199-201.

სამწუხაროდ, საკანონმდებლო ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა. კანონპროექტთა პაკეტის განხილვა, 2018 წლის მეორე ნახევრიდან აღარ განახლებულა.

პარალელურად, პრობლემურია საერთო სასამართლოების პრაქტიკა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით. სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას მტკიცების დაბალი სტანდარტით კმაყოფილდება. ნეიტრალური მტკიცებულებების ნაკლებობა და გამამტყუნებელი განაჩენის, ძირითადად, მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებსა და ქიმიურ ექსპერტიზაზე[788] დაყრდნობით გამოტანის პრაქტიკა, კვლავ შენარჩუნებულია, რაც ვერ აკმაყოფილებს განაჩენის გამოტანისთვის დადგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებით სტანდარტს - ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობის შესახებ. სასამართლოს მსგავსი დამოკიდებულება ახალისებს სამართალდამცავებს, შეინარჩუნონ გამოძიების ის დაბალი ხარისხი, რაც ნარკოდანაშაულთან ბრძოლის პროცესში აქვთ შერჩეული. კვლავ პრობლემურია გამოძიების, საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების წინაპირობის/ინფორმაციის წყაროს გადამოწმებაზე დაცვის მხარისა და სასამართლოს წვდომის შეზღუდული უფლებამოსილება. კერძოდ, როგორც წესი, პირის დაკავება და მისი პირადი ჩხრეკა ტარდება მას შემდეგ, რაც სამართალდამცავები ოპერატიულ ინფორმაციას მიიღებენ, ხოლო ამ ოპერატიული, კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მექანიზმი არ არსებობს. ამ მიმართულებით, საპროკურორო ზედამხედველობის არარსებობაც დამატებით ამცირებს პოლიციელების ანგარიშვალდებულების მოლოდინს და ზრდის გამომძიებლების შესაძლო არაკეთილსინდისიერების რისკებს.[789]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- განაახლოს 2017 წლის 22 ივნისს „საქართველოს ნარკოტიკის ეროვნული პლატფორმის" ავტორობით და საქართველოს პარლამენტის წევრთა (ა. ზოიძე, ლ. კობერიძე, დ. ცქიტიშვილი, ს. ქაცარავა და ი. ფრუიძე) მიერ ინიცირებული №8700/2-1 კანონპროექტთა პაკეტის განხილვა და მიღება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შეიმუშაოს ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენას, კიბოს

[788] ქიმიური ექსპერტიზებით დგინდება დაკავებული პირებისგან ამოღებული ნივთიერების შემადგენლობა, ნარკოტიკული საშუალების ოდენობა და სახეობა.

[789] იხ. „ნარკოპოლიტიკა საქართველოში" (შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები)", ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019.

გავრცელების შეფერხებას და ონკოლოგიური პაციენტებისათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შეიმუშაოს მკაფიო და დროში გაწერილი გეგმა პაციენტის საჭიროებებზე ორიენტირებული, მაღალხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის სერვისების (პრევენცია, სკრინინგი, მკურნალობა, მართვა) ეფექტიანად და ხარისხიანად მისაწოდებლად
- საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისების ტარიფების ფორმირების პროცესი წარმართოს წინასწარ ცნობილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, გამჭვირვალედ, ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებისა და საზოგადოების ფართო ჩართულობით
- დანერგოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემა, რომლითაც დადგინდება შესაბამისი ინდიკატორები და პროაქტიულად განხორციელდება მათი შესრულების მონიტორინგი
- შეიმუშაოს სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს საექთნო ადამიანური რესურსის განვითარებას, დამხმარე სამედიცინო პერსონალის (ექთნის/ფერშლის) პროფესიული საქმიანობის და შრომითი პირობების სტანდარტების და უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და პროფესიული რეგულირების სისტემის ჩამოყალიბებას.

16. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

2019 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სოციალური უზრუნველყოფის უფლების დაცვას აქტიურად აკვირდებოდა.[790] წინამდებარე თავი ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობას და „მიზნობრივი სოციალური დახმარების" პროგრამის გამოწვევებს განვიხილავთ. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მეთოდოლოგიაში საანგარიშო პერიოდში ასახული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად,[791] კვლავ გამოწვევად რჩება საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადების ადმინისტრირების პრობლემა. გარდა ამისა, გასულ წლებში, საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში კვლავ პრობლემა იყო შეჭირვებული მოსახლეობისათვის სათანადო კვების უფლებაზე ხელმისაწვდომობა.

16.1. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ეფექტიანობის შეფასება

საპარლამენტო ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს დათვლილი არ ჰქონია 2019 წელს აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან, რის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ რამდენ ადამიანს არ მიუწვდება ხელი აუცილებელ მინიმალურ საარსებო პირობებზე. თუმცა 2018 წელს საქართველოს მოსახლეობის 20.1% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა, მათგან სოფლად სიღარიბეში მცხოვრები იყო 23.1%, ხოლო ქალაქად - 18%.

საქართველოში მთავრობის მიერ ღარიბი შინამეურნეობებისთვის დახმარების გამწევი მთავარი მექანიზმი „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაა", რომელიც ითვალისწინებს როგორც ფულად ტრანსფერებს, ისე გარკვეულ არაფულად დახმარებებსაც.[792] 2019 წელს 119,582 შინამეურნეობა (რაც მთელი მოსახლეობის 11.2%-ს შეადგენს) „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის" ფარგლებში ფულად დახმარებას იღებდა. ამის მიუხედავად, სოციალურ დახმარებაზე მოთხოვნილება

[790] 2019 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 80 განცხადება.

[791] 2019 წლის იანვრიდან გაიზარდა „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით დამტკიცებული წესით 16 წლამდე ბავშვ(ებ)ისთვის განსაზღვრული საარსებო შემწეობის ოდენობა 10 ლარიდან 50 ლარამდე. 2019 წლის იანვრიდან 100000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში შრომისუნარიანი პირების დასაქმება არ იწვევს საარსებო შემწეობის შეწყვეტას და აღნიშნულ ოჯახებს საარსებო შემწეობის მიღება მომდევნო 12 თვის განმავლობაში გაუგრძელდებათ, ხოლო მომდევნო 12 თვის განმავლობაში ოჯახს შეუნარჩუნდება 16 წლამდე ბავშვ(ებ)ისთვის განსაზღვრული საარსებო შემწეობა და სარეიტინგო ქულა.

[792]გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ანგარიში „მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვთა სიღარიბის სიღრმისეული ანალიზი და სოციალური ტრანსფერებით სიღარიბის შემცირების სიმულაცია", 2019წ. გვ. 5. ანგარიში ხელმისაწვდომია: < https://uni.cf/2UwGyOS> [ბოლოს ნანახია: 13.02.2020].

გაცილებით უფრო მაღალია. კერძოდ, 2019 წელს 307,694 ოჯახი დარეგისტრირდა მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში (რაც მთელი მოსახლეობის 28.9%-ს შეადგენს), თუმცა სახელმწიფომ ამ ოჯახების მხოლოდ ნაწილის უზრუნველყოფა შეძლო საარსებო შემწეობით. შესაბამისად, ბევრი ღარიბი ოჯახი ვერ იღებს სოციალურ დახმარებას და სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებულ სხვა სერვისებს. ყოველივე ეს ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალი მაჩვენებლებით არის გამოწვეული.

სიღარიბე და სოციალური მოწყვლადობა ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემაა. ცალკეული სოციალური პროგრამებისა და გასული წლის მაისში განხორციელებული რიგი პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ქვეყანაში არ არსებობს სოციალური დაცვის გამართული სისტემა და შესაბამისი სტრატეგია, რომელიც მოსახლეობას სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფდა და მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებასა და სიღარიბის დაძლევაზე იქნებოდა ორიენტირებული.

მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიშის მიხედვით[793], მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები ღარიბი შინამეურნეობების პარალელურად, მაღალია იმ ღარიბი შინამეურნეობების რიცხვი, რომლებიც მიზნობრივ სოციალურ დახმარებას არ ითხოვენ. ასეთი ღარიბი შინამეურნეობები ძირითადად სოფლებში ცხოვრობენ. ანგარიშის მიხედვით, იმ ღარიბი შინამეურნეობების თითქმის 70%-მა, რომელთაც დახმარება არ მოუთხოვია, მიზეზად დახმარების მიღების იმედის არქონა ან ადრე მიღებული უარი დაასახელა. ის ფაქტი, რომ ღარიბი შინამეურნეობების ერთი მესამედი მიზნობრივ სოციალურ დახმარებას არ ითხოვს, სიღარიბის შემცირების შესაძლებლობას, ამ პროგრამის მეშვეობით, მნიშვნელოვნად ზღუდავს.[794]

„მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა" ქვეყანაში 2006 წელს დაინერგა და შემუშავდა შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია. ამის შემდეგ, მხოლოდ 2014 წელს შეიცვალა შეფასების მეთოდოლოგია.[795] მართალია, ყოველწლიურად შედის გარკვეული ცვლილებები პროგრამაში და, შესაბამისად, მეთოდოლოგიაშიც (მათ შორის, მნიშნელოვანია დასაქმების დროს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გარკვეული ვადით შენარჩუნება), თუმცა 2014 წლის შემდეგ არ შეფასებულა პროგრამის ეფექტიანობა, არ შესწავლილა სამომხმარებლო ინდექსის გამომთვლელი ფორმულის ეფექტიანობა და შინამეურნეობების საჭიროებები.

---

[793] გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ანგარიში „მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვთა სიღარიბის სიღრმისეული ანალიზი და სოციალური ტრანსფერებით სიღარიბის შემცირების სიმულაცია", 2019წ. გვ. 14, ცხრილი 1.5. ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://uni.cf/2UwGyOS> [ბოლოს ნანახია: 13.02.2020].

[794] იქვე გვ. 16.

[795] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ".

ბოლო რამდენიმე წელია სახალხო დამცველი საუბრობს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის ხარვეზებზე. მიმდინარე წელს გამოიკვეთა, რომ საარსებო პროგრამა არ ახალისებს ბავშვების ინტელექტუალურ შრომას. კერძოდ, ინტელექტუალური თამაშისგან, შეჯიბრისგან ან მსგავსი ინტელექტუალური შრომის შედეგად ბავშვის მიერ მიღებული ჯილდო/თანხა „ოჯახის დეკლარაციის" შესაბამის გრაფაში ოჯახის კონკრეტული წევრის მიერ მიღებულ პირად ფულად შემოსავლად აისახება. აღნიშნული ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს სოციალურად დაუცველი ბავშვების მოტივაციაზე, მიიღონ და გამოავლინონ ცოდნა, რადგან მათი ოჯახი დახმარების დაკარგვის რისკის ქვეშ დადგება. გარდა იმისა, რომ ასეთი მიდგომა სოციალურად დაუცველ ბავშვებს თანატოლებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს, თრგუნავს ბავშვის მოტივაციას, მიიღოს განათლება, წარმოაჩინოს შესაძლებლობები და ისწრაფოდეს უკეთესი მომავლისკენ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს დეკლარირებული ვალდებულებაა, ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური გამოწვევების დასაძლევად, მნიშვნელოვანია ძლიერი და განათლებული თაობის აღზრდა, აუცილებელია შემოსავლებიდან ინტელექტუალური თამაშით ან მსგავსი ინტელექტუალური შრომით მიღებული შემოსავლის ცალკე სახეობად გამოყოფა, რათა ამ თანხამ ქულების ოდენობაზე არ მოახდინოს გავლენა.

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მთავრობამ შინამეურნეობების კვლევაზე დაყრდნობით[796] შეაფასოს „მიზნობრივი სოციალური პროგრამის" ეფექტიანობა და შედეგების მიხედვით მიიღოს შესაბამისი ზომები.

16.2. საარსებო შემწეობის ადმინისტრირების ვადები

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საარსებო შემწეობის ადმინისტრირების ვადაში გაჭიანურება, რაზეც სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს საპარლამენტო ანგარიშებში.[797] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან (შემდეგში სააგენტო) მიღებული ინფორმაციით[798] გვეცნობა, რომ „ოჯახის დეკლარაციის" შევსებიდან საარსებო შემწეობის დანიშვნამდე პერიოდში, შეძლებისდაგვარად მოწმდება ყველა ის მონაცემი, რომელსაც ოჯახი ასახავს „ოჯახის დეკლარაციაში", და ხდება ამ მონაცემების შედარება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ წარმოებულ ელექტრონულ ბაზებთან. რიგ შემთხვევებში, საჭირო ხდება დამატებითი ვიზიტები ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დასაზუსტებლად, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა კონკრეტულ ოჯახებთან დაკავშირებით და სხვა საჭირო პროცედურები, რაც სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე,

[796] აღნიშნულ კვლევას პერიოდულობით ატარებს საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური.
[797] 2018 წლის ანგარიში გვერდი 268, 2017 წლის ანგარიში, გვ. 230.
[798] 2020 წლის 10 თებერვლის №04/4298 წერილი.

დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოითხოვს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცედურების დასრულების შემდეგ ოჯახს სარეიტინგო ქულა ენიჭება. შესაბამისი ფულადი დახმარება ქულის მინიჭების თვიდან მომდევნო მეორე თვეს გაიცემა და თვეთა ათვლისას სარეიტინგო ქულის მინიჭების მომდევნო თვე პირველ თვედ მიიჩნევა.[799] შესაბამისად, თანხა ქულის მინიჭებიდან 2 თვის გასვლის შემდეგ გაიცემა. აღნიშნული ვადა კი, გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე საკითხის გარკვევისთვის საჭირო ვადებისაგან განსხვავებით, არამიზნობრივია და მოწყვლადი ოჯახის საჭიროებების არაპროპორციული.

16.3. სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველი არაერთი წელია საუბრობს სათანადო კვების უფლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით ქვეყანაში არსებულ ძირითად გამოწვევებზე. წინა წლების მსგავსად, თბილისის მუნიციპალიტეტში კვლავ პრობლემურია „უფასო სასადილოთი" სარგებლობის მსურველ ბენეფიციართა ძირითად სიაში რეგისტრაციის რიგითობა და ჩარიცხულ პირთა კორექტირების საკითხი.[800]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა ინფორმაცია რეგიონებში „უფასო სასადილოს" არსებობისა და მათ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მიღებული ინფორმაცია მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე „უფასო სასადილოს" განთავსების თაობაზე, ასახულია რუკაზე:

[799] „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №225 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

[800] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 205. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2VT56CL [ბოლოს ნანახია 6,03,2020]


ა ფ ხ ა ზ ე თ ი
სამხრეთ ოსეთი
არ არის განთავსებული
განთავსებულია
მონაცემები არ მოუწოდებიათ
მესტია
ლენტეხი
ონი
ცაგერი
ამბროლაური
ყაზბეგი
დუშეთი
ახმეტა
ბოგდანოვკა
ზუგდიდი
ხობი
სენაკი
ტყიბული
ზესტაფონი
ბაღდათი
ბორჯომი
ადიგენი
ასპინძა
ახალქალაქი
წალკა
თიანეთი
თელავი
ყვარელი
ლაგოდეხი
გურჯაანი
საგარეჯო
სიღნაღი
დედოფლისწყარო
მარნეული
დმანისი
ბოლნისი
თბილისი
ბაკურიანი
ხელვაჩაურე
ქედა
ხულო
ოზურგეთი
ქობულეთი
ფოთი
ლანჩხუთი
ჩოხატაური
ვანი
ხარაგაული
ბაშური
ქარელი
გორი
კასპი
მცხეთა
ბაღდათი
ზესტაფონი
ტყიბული
ცაგერი
ამბროლაური
ონი
ლენტეხი
მესტია
ჩხოროწყუ
ზუგდიდი
ხობი
სენაკი
ფოთი
ლანჩხუთი
ოზურგეთი
ქობულეთი
ბაკურიანი
ხელვაჩაურე
ქედა
ხულო
ადიგენი
ასპინძა
ახალქალაქი
წალკა
ბორჯომი
ბაღდათი
ზესტაფონი
ტყიბული
ონი
ამბროლაური
ცაგერი
ბოგდანოვკა

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული შინამეურნეობის კვლევებზე დაყრდნობით, უზრუნველყოს „მიზნობრივი სოციალური დახმარების“ პროგრამის განახლების და მისი ეფექტიანობის პერიოდული შესწავლის მეთოდოლოგიის შემუშავება
- შეიქმნას მთავრობის უწყებათაშორისი კომისია, რომელიც შეაფასებს საკვებზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ საჭიროებებს, განსაზღვრავს ამ უფლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკას და ზედამხედველობას გაუწევს მის შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების საქმიანობას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადების შესამცირებლად, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანებაში, ასევე უზრუნველყოს საქართველოს მთავრობისათვის 2010 წლის 24 აპრილის №126 და 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებებში შესატანი ცვლილებების ინიცირება
- ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას, ინტელექტუალური თამაშისგან ან მსგავსი ინტელექტუალური შრომის შედეგად ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიერ მიღებული ჯილდო/თანხა, სათანადო ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, არ აისახოს ოჯახის კონკრეტული წევრის მიერ მიღებულ პირად ფულად შემოსავლად.

17. სათანადო საცხოვრებლის უფლება

ქვეყანაში სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაცია, წლების განმავლობაში, უცვლელი და სისტემური ხასიათის პრობლემებს უკავშირდება. წინა წლების მსგავსად, არ არსებობს უსახლკარო პირთა სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა. პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა ერთიანი და რიგ მუნიციპალიტეტებში - ადგილობრივი მონაცემთა ბაზების უქონლობა, შეზღუდული საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურული რესურსები, თავშესაფრებსა და სოციალურ საცხოვრისებში მოთავსებული პირებისთვის მხარდამჭერი პროგრამების არარსებობა, ხოლო ცალკეულ მუნიციპალიტეტებში - მათი არაეფექტიანობა.

დადებითად უნდა შეფასდეს 2019 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მიერ „სათანადო საცხოვრისის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ" საკომიტეტო მოკვლევის დაწყება.[802] მოკვლევის მიზანია, კომიტეტმა ან საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაონ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მწყობრი პოლიტიკის ჩამოყალიბებას ადამიანების საცხოვრისით უზრუნველყოფის მიმართულებით. საქართველოს სახალხო დამცველმა საკომიტეტო მოკვლევისთვის მოხსენება წარადგინა. იგი იმედს გამოთქვამს, რომ სათანადო საცხოვრებლის უფლების დასაცავად, ქვეყნის საპარლამენტო ინსტიტუტის ჩართულობა პროდუქტიული იქნება და სამომავლოდ ხელს შეუწყობს სამთავრობო კომისიის მიერ საცხოვრისის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტების სრულყოფას.

ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულების ფარგლებში,[803] 2019 წლის აპრილში, ასევე შეიქმნა სამთავრობო კომისია[804], რომელმაც უნდა შეიმუშაოს ქვეყანაში უსახლკარობის პრობლემის დასაძლევად საჭირო პოლიტიკის დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმა. დასახელებული ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან ერთად, ჩართულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ექსპერტები და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი. საყურადღებოა, რომ საანგარიშო

[802] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37tuVfJ (ბოლოს ნანახია: 26.01.2019 წ.).

[803] „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის №537 დადგენილება, ვალდებულება №14.

[804] „საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის №190 დადგენილება.

პერიოდში სამთავრობო კომისიის ერთი, სამუშაო ჯგუფის კი, ორი შეხვედრა გაიმართა.[805] სამწუხაროდ, სამუშაო ჯგუფის მიერ ნახევარი წლის განმავლობაში გაწეულ საქმიანობას ვერ მივიჩნევთ დამაკმაყოფილებლად. მართალია, საქართველოს სახალხო დამცველი მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სამუშაო ჯგუფის საქმიანობა გარკვეულწილად შეაფერხა სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციამ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომავალ წელს საქმიანობის იმავე ინტენსივობით წარმართვის შემთხვევაში, საფრთხე ექმნება პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის დადგენილ ვადაში (2020 წლის დეკემბერი) შემუშავებას.[806] უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ჯგუფის საქმიანობა



2020 წელს იყოს აქტიური, მაქსიმალურად ორგანიზებული, დროში წინასწარ გაწერილი, შესრულებადი და არსებობდეს საკმარისი სივრცე სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის მსჯელობისთვის.

17.1. უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობა რეგიონებში

2019 წელს რეგიონებში უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: ა) განსაზღვრული იყო თუ არა უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით დაკმაყოფილების წესი; ბ) არსებობდა თუ უსახლკარო პირთა მონაცემთა ბაზა და გ) 2019 წლის ბიუჯეტში, უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველსაყოფად, იყო თუ არა გათვალისწინებული კონკრეტული

[805] სამთავრობო კომისიის შეხვედრა 28.05.2019, ხოლო სამუშაო ჯგუფის შეხვედრები 25.06.2019 და 13.12.2019 რიცხვებში გაიმართა.

[806] „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის №537 დადგენილება, ვალდებულება №14.

სოციალური პროგრამა. მუნიციპალიტეტებიდან მოპოვებული მონაცემები რუკაზე შემდეგნაირად გამოიყურება:

სამწუხაროა, რომ მხოლოდ 10 მუნიციპალიტეტს აქვს რეგულირებული უსახლკარო პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები,[807] 19 მუნიციპალიტეტს კი, საერთოდ არ აქვს დამტკიცებული რაიმე სახის რეგულაცია,[808] ნაწილობრივ არის რეგულირებული საკითხი 26 მუნიციპალიტეტში.[809]

17.2. უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობა თბილისში

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში პრობლემურია „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" საბიუჯეტო ქვეპროგრამის[810] განხორციელების წესში ბინის ქირის კომპენსაციის განსაკუთრებული წესით გაცემისას დახმარების მიმღები პირების შესარჩევად საჭირო ობიექტური კრიტერიუმების არარსებობა, რაზეც სახალხო დამცველმა დეტალურად ისაუბრა წინა წლის საპარლამენტო ანგარიშში.[811] გარდა ამისა, ქუჩაში მცხოვრები თვითმოვლის უნარის არმქონე მიუსაფარი პირებისთვის, გამოწვევად რჩება ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისის" და ლილოს თავშესაფრის სერვისებით სარგებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ზემოხსენებულ ორგანიზაციას შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, დასახელებული სოციალური და სამედიცინო მომსახურებები ხელმისაწვდომია მხოლოდ ლილოს თავშესაფრისა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისათვის. იმ მიუსაფარ პირებს, რომლებიც იმყოფებიან ქუჩაში და არ შეუძლიათ საკუთარი თავის მოვლა, ეხლუდებათ

---

[807] თბილისის, ოზურგეთის, სამტრედიის, საგარეჯოს, ვანის, ხარაგაულის, თეთრიწყაროს, სენაკის, ზუგდიდის და გორის მუნიციპალიტეტები.

[808] ხულოს, მესტიის, დუშეთის, ქედას, ყაზბეგის, ფოთის, ქობულეთის, მარნეულის, თიანეთის, ადიგენის, ქარელის, დმანისის, ასპინძის, შუახევის, კასპის, ხელვაჩაურის, ხონის, წალენჯიხის და ბორჯომის მუნიციპალიტეტები.

[809] აქედან, ცაგერის, სიღნაღის, ლანჩხუთის, ახალციხის, ახალქალაქის, ხობის, აბაშის, ონის, ლენტეხის, ხაშურის, ბოლნისის, ჩხოროწყუს, ბათუმის, თერჯოლის, წყალტუბოს, ტყიბულის, მარტვილის, ახმეტის, საჩხერის, ლაგოდეხის, ბაღდათის, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს დამტკიცებული აქვთ მხოლოდ უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა და მის განსახორციელებლად საჭირო სამართლებრივი რეგულირება. ამბროლაურის, ქუთაისის და რუსთავის მუნიციპალიტეტს აქვთ უსახლკარო პირად რეგისტრაციის და თავშესაფრით დაკმაყოფილების წესი, აქედან პირველს დამატებით აქვს ქირის პროგრამა, ხოლო ბოლო ორს - უსახლკარო პირების მონაცემთა ბაზა. ბათუმის მუნიციპალიტეტი ახორციელებს დროებითი ღამის თავშესაფრის პროგრამას. ჩოხატაურის, ზესტაფონის, ჭიათურის, წალკის, ნინოწმინდის, მცხეთის, გარდაბნის, ყვარლის და თელავის მუნიციპალიტეტებს ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ.

[810] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-119 დადგენილების მე-9 მუხლი.

[811] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, თავი: „სათანადო საცხოვრებლის უფლება", გვ. 208.

ლილოს თავშესაფარში მიღება.[812] საყურადღებოა, რომ თვითმოვლის შეუძლებლობის გამო, 2019 წელს, 22 მიუსაფარ პირს ეთქვა უარი ლილოს მუნიციპალური თავშესაფრის სერვისებზე.[813]

2019 წლის თებერვალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის ახალი წესის დამტკიცებამ,[814] გაამკაცრა უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები. კერძოდ, ერთი-ერთი პირობის მიხედვით, უსახლკარო პირად რეგისტრაციისთვის, პირს არ უნდა უდასტურდებოდეს საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ნებისმიერ ფართზე მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტი.[815] უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით დაკმაყოფილების კომისიის სხდომათა მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც კომისიამ უსახლკარო პირის სტატუსი არ მიანიჭა პირს, რომელსაც ნათესავმა, ახლობელმა, ან სხვა პირმა კეთილი ნების საფუძველზე თხოვების[816] გზით, საკუთარ საცხოვრებელ ფართში დროებით ცხოვრების ნება დართო. საყურადღებო ფაქტია, რომ ამ პირების მიმართ, მართლზომიერი მოსარგებლეებისგან განსხვავებით, არსებობს უსახლკაროდ დარჩენის რეალური საფრთხე, რადგან მათ თხოვების შედეგად მიღებულ საცხოვრებელ ფართზე არ აქვთ უსაფრთხო სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ვინაიდან სრულად არიან დამოკიდებულნი მესაკუთრის ნებაზე.

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტებით, საცხოვრებელი ფართის სამართლებრივი უზრუნველყოფა სათანადო საცხოვრებლის კონცეფციის უპირველესი კრიტერიუმია.[817] ფართზე ცხოვრების ფორმის მიუხედავად, ყველა ადამიანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი გარკვეული ხარისხის პირობებით, რომლებიც მას იცავს გამოსახლების, დევნის და სხვა საშიშროებისაგან.[818] საქართველოს სახალხო დამცველი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ შეზღუდული საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურული რესურსების გათვალისწინებით, ადგილობრივი ხელისუფლება ერთდროულად ყველას ვერ დააკმაყოფილებს საცხოვრისით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, პრინციპულად მნიშვნელოვანია ხელისუფლების მიერ ამ პირთა დანახვა და მათთვის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობის მიცემა.

---

[812] თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 2 ოქტომბრის №18.813.1186 განკარგულების დანართი №1 მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

[813] ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" 2020 წლის 16 იანვრის №ა-08 წერილი.

[814] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილება.

[815] იქვე, დანართი №1, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

[816] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 615-ე მუხლის თანახმად: „თხოვების ხელშეკრულებით, გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისთვის".

[817] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის №4 ზოგადი კომენტარი, პარაგრაფი 8, 1991 წლის 13 დეკემბერი.

[818] იქვე.

ზემოხსენებული ახალი წესის მიხედვით, უსახლკარო პირის სტატუსზე უარის თქმის კიდევ ერთი საფუძველია პირის მხრიდან ბოლოს 6 თვის განმავლობაში უწყვეტად და დამოუკიდებლად ბინის ან სხვა ფართის ქირის გადახდა.[819] ამრიგად, ამგვარი ფაქტის გამოვლენა ავტომატურად წარმოშობს უსახლკარო პირის სტატუსიდან გამორიცხვის საფუძველს და ჩანაწერი არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, როგორიცაა გადახდილი ქირის ოდენობა, საცხოვრებლის ტიპი (მაგალითად, პირი ცხოვრობს სარდაფში, ავტოფარეხში და არასაცხოვრებელი ტიპის სხვა ფართში, სადაც იხდის 100 ლარს), აგრეთვე, საბინაო ხარჯის მოცულობა ოჯახის მთლიან შემოსავალში და სხვ. ახალი პირობის პარალელურად, წესში შენარჩუნდა მანამდე არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, პირს უსახლკარო პირის სტატუსი ენიჭება, თუკი ბოლო 6 თვის განმავლობაში მის მიერ მიღებული შემოსავალი არ აღემატება „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის ფარგლებში დადგენილი ქირის 6 თვის კომპენსაციასა[820] (თვეში 300 ლარი) და ამავე პერიოდში სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის" მიერ განსაზღვრული პირის საარსებო მინიმუმისთვის აუცილებელი თანხების ერთობლიობას.[821] ამდენად, ახალი ნორმა, მკვეთრად აუარესებს უსახლკარო პირთა უფლებრივ მდგომარეობას, რომლებიც დამოუკიდებლად იხდიან ბინის ქირას, ამავე დროს, ზემოთ განხილული ნორმა მათ არათანასწორ პირობებში აყენებს იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც მუნიციპალიტეტი ბინის ქირის კომპენსაციით უზრუნველყოფს.

რეკომენდაციები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისის" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული მომსახურების დაფინანსება გავრცელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ პირებზე, ვისაც არ შეუძლია თვითმოვლა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების დანართი №1 მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტში

[819] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების დანართი №1, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

[820] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-119 დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი,

[821] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების დანართი №1, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი.

გაუქმდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საცხოვრებელი ფართის უსასყიდლო სარგებლობის შემთხვევაში, პირს უარი ეთქმება უსახლკარო პირად რეგისტრაციაზე;

- გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების №1 დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი, რომლითაც დამოუკიდებლად და უწყვეტად 6 თვის განმავლობაში ბინის ქირის გადახდის შემთხვევაში, პირს ავტომატურად უარი ეთქმება უსახლკაროდ რეგისტრაციაზე.

18. საარჩევნო უფლება

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული საარჩევნო უფლება სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის ნების აღსრულების უმთავრესი ბერკეტია. საარჩევნო უფლების რეალიზაციას, როგორც ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველს, ქვეყანაში დემოკრატიული წესრიგისა და ინსტიტუტების ფორმირება-ფუნქციონირების პროცესში, გადამწყვეტი როლი ენიჭება. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც ქვეყანაში გამართული საარჩევნო კანონმდებლობის არსებობა, ისე საარჩევნო პროცესების საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, არაერთი წელია აკვირდება საარჩევნო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.[822]

საანგარიშო წელს არა მხოლოდ საარჩევნო უფლების, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მწვავე საკითხი იყო საარჩევნო სისტემის შესაძლო ცვლილება. სამწუხაროდ, პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა 2020 წლის არჩევნებისთვის შერეული საარჩევნო სისტემის გაუქმებასა და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. როგორც ყველასთვის ცნობილია, აღნიშნულმა საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი რეაქციები, და ამავე დროს, პოლიტიკური გარემოს კიდევ უფრო რადიკალიზაცია გამოიწვია.

სახალხო დამცველი შეეცადა, პროცესებზე დაკვირვების გარდა, მისი მანდატის გათვალისწინებით, პოზიტიური როლი შეესრულებინა კრიზისულ ვითარებაში და 2019 წლის დეკემბერში ოპოზიციის მიერ შემუშავებულ კანონის პროექტთან (ე.წ. „გერმანულ მოდელთან") დაკავშირებით, სამართლებრივი მოსაზრების წარმოდგენის თხოვნით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების (ODIHR) ოფისს მიმართა. 2020 წლის დასაწყისში ცნობილი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა,[823] რომლის მიხედვითაც კიდევ ერთხელ მიეთითა საარჩევნო მოდელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო ინკლუზიური დისკუსიისა და პოლიტიკური კონსენსუსის აუცილებლობას.[824]

სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ 2020 წლის მარტის დასაწყისში, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით,

---

[822] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით არსებული გამოწვევები იხ. წინამდებარე ანგარიშის თავში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა".

[823] ბმული ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ax6zTE >[ბოლოს ნანახია 30.03.2020], გვ. 2, პარ. 8.

[824] იქვე, გვ. 4, პარ. 15.

პოლიტიკური შეთანხმების[825] მიღწევა მოხერხდა. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, ეს შეთანხმება დროულად აისახოს საკანონმდებლო რეგულაციებში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები კი, მაქსიმალურად თანასწორ, მშვიდობიან და ჯანსაღ საარჩევნო გარემოში წარიმართოს.

საანგარიშო წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ზედამხედველობა გაუწია მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებს და მასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. 2018 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, 2019 წლის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების (2019 წლის 19 მაისის საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური, ასევე, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები) წინასაარჩევნო პერიოდი და კენჭისყრის დღე რთულ და დაძაბულ გარემოში წარიმართა. საჯარო წყაროებით ვრცელდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა ძალადობრივი ინციდენტის, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დაპირისპირების, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის, ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლის, ამომრჩევლის მოსყიდვის შესაძლო შემთხვევების თაობაზე. წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ზუგდიდში არსებული უკიდურესად დაძაბული ვითარება.[826] სახალხო დამცველის შეფასებით, ეს ფაქტები ნეგატიურად აისახა არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარების საჯარო ინტერესზე და სამართალდამცველთა მხრიდან მათზე ეფექტიანი და დროული რეაგირება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას უკანასკნელ წლებში საარჩევნო პერიოდში სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. საარჩევნო პერიოდში, ჯანსაღი საარჩევნო გარემოს ხელშესაწყობად და სიძულვილის ენის ასაკრძალად, აუცილებელია შემუშავდეს ურთიერთშეთანხმების უნივერსალური დოკუმენტი ან/და საარჩევნო პერიოდში სიძულვილის ენის რეგულირების/თვითრეგულირების სხვა ისეთი მექანიზმები დაინერგოს, რომელთა მიზანი სიძულვილის ენის გამოყენების შეზღუდვასა და აღმოფხვრასთან ერთად, გამოხატვის თავისუფლების დაცვის მოქმედი სტანდარტების შენარჩუნება იქნება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტი იხილავს საკანონმდებლო პაკეტს,[827] მათ შორის, საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს, რომლის ცალკეული ნორმა საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ცალსახად აუარესებს არსებულ

---

[825] შეთანხმების თანახმად, არჩეული პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 120 და მაჟორიტარული წესით არჩეული 30 დეპუტატისგან. პროპორციულ ნაწილში საარჩევნო ბარიერი 1% იქნება. ბმული ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3avMgWU > [ბოლოს ნანახია 30.03.2020],

[826] ბმული ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2yl1RdG_ >. [ბოლოს ნანახია 30.03.2020],

[827] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ავტორობით მომზადებული და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული პაკეტი, რომლითაც გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანა საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში (№312/1; 02.12.2019).

სტანდარტებს. სახალხო დამცველს დაუშვებლად მიაჩნია შემცირდეს ამომრჩევლის მოსყიდვის აკრძალვის, საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილი პერიოდი და ის მხოლოდ კენჭისყრის დღის ჩათვლით შემოიფარგლოს, ნაცვლად არჩევნების შედეგების საბოლოო შეჯამებისა.[828] სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები მხოლოდ არსებული საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისაკენ იქნება მიმართული.

18.1. ძალადობრივი ხასიათის ინციდენტები და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის შემთხვევები

სახალხო დამცველი, 2018-2019 წლებში ჩატარებული არჩევნების პერიოდში ფიზიკური დაპირისპირებებისა და ძალადობრივი ინციდენტების მომრავლების უარყოფითი ტენდენციის ჩამოყალიბების გამო, შეშფოთებას გამოთქვამს. აღნიშნული ვითარება ქვეყანაში დაძაბულ პოლიტიკურ და ძალადობრივ საარჩევნო გარემოზე მიუთითებს. გარდა ამისა, სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში გაიზარდა ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების შემთხვევებიც. ამომრჩევლის მოსყიდვა თავისი არსით ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ საარჩევნო პრინციპებს, ამდენად ასეთი ფაქტ(ებ)ის არსებობა სათუოს ხდის მთლიანად საარჩევნო პროცესებისა და შედეგების ლეგიტიმურობას. ყოველივე ეს კი ქვეყნის დემოკრატიული და სამართლებრივი განვითარებისთვის უკიდურესად საზიანოა და სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ, ქმედით და სისტემურ რეაგირებას მოითხოვს. ამაში უნდა იგულისხმებოდეს როგორც ეფექტიანი პრევენციული ნაბიჯების გადადგმა, ისე, გამოვლენილ ინციდენტებზე დროული და შედეგზე ორიენტირებული რეაგირება ან/და გამოძიების წარმართვა. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საარჩევნო პერიოდში მომხდარი შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტები და მათი გამოძიება, აქტუალობას არც არჩევნების დასრულების შემდეგ უნდა კარგავდეს. ასეთი საქმეების გაუჭიანურებლად, თანმიმდევრულად და კვალიფიციურად გამოძიებას, ქვეყანაში კანონის უზენაესობის პრინციპის აღსასრულებლად და განსამტკიცებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ინდივიდუალურ შემთხვევებში დამნაშავის დასჯა და კანონის აღსრულება დადებითად აისახება საზოგადოებაში სამართლიანობის განცდის განმტკიცებასა და, სამომავლოდ, ძალადობრივი შემთხვევების პრევენციაზე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა როგორც 2019, ისე 2018 წლის საარჩევნო პერიოდში მომხდარი არაერთი ძალადობრივი შემთხვევის გამოძიების მიმდინარეობით. სამართალდამცავი უწყებების

[828] გარდა ამისა, ცვლილებები ითვალისწინებს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ცესკოსთვის გაგზავნისას დადგენილი წესის ცვლილებას, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების საგრძნობი დაგვიანებით გამოქვეყნებას გამოიწვევს. ეს განუზომლად დააზიანებს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას. გარდა ამისა, შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს კვლავ ექნებათ ნარკოლოგიური შემოწმების გავლის ვალდებულება, თუმცა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების დადასტურების შემთხვევას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.

მიერ მოწოდებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, ირკვევა, რომ 2018-2019 წლებში ჩატარებული საპრეზიდენტო და შუალედური/რიგგარეშე არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დღეს გამოძიება დაიწყო 85 ფაქტზე (აქედან, 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნებთან, მათ შორის, მეორე ტურთან დაკავშირებით - 8 ფაქტზე,[829]) როგორც ირკვევა, 2018[830] და 2019[831] წლებში მომხდარ არაერთ ძალადობრივ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ამ დრომდე გრძელდება. ამასთან, 2018 წლის მსგავსად, 2019 წელსაც გამოვლინდა რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტი ჟურნალისტების მიმართ.[832]

---

[829] ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის საქმეების გარდა, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის შემდეგ 6 საქმეზე: №031230419004, №052230419001, №044140519002, №031190519002, №044050619002, №044140519001, №006090619005 და №006090619007.

[830] ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2018 წლის 28 ოქტომბრამდე - კენჭისყრის დღემდე მომხდარ წინასაარჩევნო ინციდენტებზე გამოძიება დაიწყო 12 საქმეზე; სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილია 14 პირი. 2018 წლის 28 ოქტომბერს და მომდევნო დღეებში (მეორე ტურის გამართვამდე) გამოვლენილ საარჩევნო ინციდენტებზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 34 საქმეზე; სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ, დაზარალებულად ცნობილია 9 პირი; მეორე ტურის კენჭისყრის დღეს და შემდგომ ეტაპზე გამოვლენილ საარჩევნო ინციდენტებზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 31 საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილია 2 პირი; საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/6775 4/02/2020 წერილი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა ინდივიდუალურად 12 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებითაც. როგორც გვეცნობა, მათგან 5 სისხლის სამართლის საქმეზე (№015301018001, №059221118001, №037150918001, №041190918004 და №028291018001) 10 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, დანარჩენებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/6775 4/02/2020 წერილი; ვრცლად ამ საქმეებზე იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2018, გვ. 219-დან

[831] ერთ შემთხვევაში გამოძიება შეწყდა - სისხლის სამართლის №052230419001 საქმეზე, სსს საპროცესო კოდექსის 105.1 „ა" ქვეპ.; მიმდინარე გამოძიების საქმეებში კი სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთ შემთხვევაში არავის მიმართ დაწყებულა, არც დაზარალებულის სტატუსი მინიჭებია ვინმეს, საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/6775, 4/02/2020 წერილი. ამასთან, 4 ინციდენტთან (ზუგდიდის №33, კოკის №97, მარნეულის №84 და კახათის №95 საარჩევნო უბნებზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, გამოიკითხნენ მონაწილე პირები და დანაშაულის ნიშნები ან ადმინისტრაციული გადაცდომა არ გამოიკვეთა) დაკავშირებით, რომელთა თაობაზეც ვითხოვდით ინფორმაციას, გვეცნობა, რომ გამოძიება არ დაწყებულა, ასევე არ გატარებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, ხოლო 2 შემთხვევაში ქმედება შეიცავდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს.

[832] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/6427 03/02/2020 წერილი, სისხლის სამართლის № 044190519001 საქმეზე, გიორგი რურუას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, სსსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის. სისხლის სამართლის №044140519001 საქმეზე, გ.კ და მ.ც. წარედგინათ ბრალდება სსსკ-ის 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, ხოლო ნ.ვ., ზ.ც. და ლ.თ. ცნობილ იქნენ დაზარალებულებად. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენით, გ.კ. და მ.ც. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად წარდგენილ ბრალდებაში; სისხლის სამართლის №001281118008 საქმეზე, ჟურნალისტ თამარ ჩაფიჩაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, ლ.მ.-ს წარედგინა ბრალდება სსსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო თამარ ჩაფიჩაძე ცნობილ იქნა

2018 წლის არჩევნების მსგავსად, 2019 წელს გამოკვეთილ პრობლემურ ტენდენციებს შორის, ერთ-ერთი საგანგაშო საკითხია სხვადასხვა საჯარო წყაროს მეშვეობით ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს 2019 წელს მომხდარ ორ ფაქტთან დაკავშირებით.[833] აღსანიშნავია, რომ გამოძიება მიმდინარეობს 2018 წელს ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის 8 ფაქტთან დაკავშირებითაც. არცერთ ამ საქმეში კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის.[834]

სახალხო დამცველი სამართალდამცავ უწყებებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს დროულად გამოიძიონ ყველა ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი შემთხვევა და შესწავლის შედეგები ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ. ასევე მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მკაფიოდ გაცხადდეს პოლიტიკური ნება ისეთი ღონისძიებებისა და ქმედებების დაუშვებლობის თაობაზე, რომლებიც შესაძლოა ამომრჩევლის მოსყიდვად იქნას მიჩნეული ან ხელი შეუწყოს ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე ზემოქმედებას, ამგვარი ფაქტების გამოვლენას კი, მოჰყვეს მყისიერი რეაგირება მათ აღსაკვეთად და დამნაშავეთა დასასჯელად. სახალხო დამცველი მომავალშიც განაგრძობს 2018-2019 წლებში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტების გამოძიების მიმდინარეობისთვის თვალყურის მიდევნებას და შესწავლის შედეგებს შესაბამის ანგარიშებში ასახავს.

წინასაარჩევნო პერიოდში ჩადენილი დარღვევების ხარვეზიანი გამოძიების პრობლემას უკავშირებს სახალხო დამცველი ზუგდიდის №6 საჯარო სკოლის დირექტორის, ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებულ საქმესაც. როგორც ცნობილია, ქალბატონი ია კერზაია საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე წარმოდგენილ

დაზარალებულად. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ლ.მ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.

[833] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/45382, 24.06/2019 წერილი; 14 მაისს გავრცელებული ფარული ჩანაწერი გია დანელიასთან დაკავშირებით; სისხლის სამართლის №083140519802 საქმე; 13 მაისის სიუჟეტი (ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3dHXklC_> [ბოლოს ნანახია 30.03.2020]) ამომრჩევლის მოსყიდვის შესახებ; სისხლის სამართლის №083140519801 საქმე. თავის მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეისწავლიდა ამომრჩევლისათვის სხვადასხვა სახის სურსათისა და თანხის დარიგების გზით ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის საკითხს. როგორც გვეცნობა, დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოუპოვებიათ, რის გამოც აღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეებზე წარმოება შეწყდა, აუდიტის სამსახურის №000673/10, 28.01.2020 წერილი.

საანგარიშო წელს ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის თაობაზე ინფორმაცია ვრცელდებოდა 19 მაისსაც, კენჭისყრის მიმდინარეობის პარალელურად: ზუგდიდის №9, 25, №10 და №80 საარჩევნო უბნებზე; კახათის №95 საარჩევნო უბანზე, სოფელ აღმამედლოში №77 საარჩევნო უბანზე. თუმცა დაიწყო თუ არა გამოძიება რომელიმე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საგამოძიებო უწყებას არ განუმარტავს.

[834] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/6529 03/02/2020 წერილი. საგულისხმოა, რომ არ №მოგვეწოდა ინფორმაცია ხელისუფლების მხრიდან გახმოვანებული ვალების ჩამოწერის ინიციატივასთან დაკავშირებით, იხ. სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 2018, გვ. 222-დან.

განცხადებაში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის სკოლაში ჩატარებულ არაგეგმურ მონიტორინგს მის მიმართ პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორებას უკავშირებდა. სახალხო დამცველის შეფასებით, წინამდებარე შემთხვევაში, დაგვიანებით დაწყებული გამოძიების გამო, საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება და სიმართლის დადგენა ვერ მოხერხდა.[835]

18.2. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა და ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლი

კვლავ აქტუალური რჩება ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის ცალკეული შემთხვევები, რომელთა თაობაზეც სადამკვირვებლო ორგანიზაციები უთითებენ.[836]

ხმის მიცემის ფარულობის კონსტიტუციური პრინციპის დაცვა მოითხოვს, რომ ამომრჩეველმა სხვის დაუსწრებლად, დახურულ საარჩევნო კაბინაში მისცეს ხმა, ამასთანავე, გამოირიცხოს სხვა პირის მხრიდან ამომრჩევლის არჩევანის გაგების შესაძლებლობა. ხმის ფარულად მიცემა ამომრჩევლის არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაცაა. კენჭისყრამდე ან კენჭისყრის შემდეგ საკუთარი არჩევანის საჯაროდ გაცხადება თითოეული ამომრჩევლის სურვილზეა დამოკიდებული.[837] თუმცა სახალხო დამცველს საგანგაშოდ მიაჩნია ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩნდება ეჭვი, რომ მოქალაქის მხრიდან არჩევნის საჯაროდ გაცხადება შესაძლოა მისი თავისუფალი ნების სავარაუდო კონტროლის შედეგი იყოს. ვინაიდან, თავისუფალი საარჩევნო უფლება გულისხმობს, ამომრჩევლის ნების, ყოველგვარი ძალადობისა და ზეწოლის გარეშე, თავისუფალი ჩამოყალიბებისა და გამოვლენის შესაძლებლობას.[838]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან, მნიშვნელოვნად მიაჩნია განგრძობითი საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა საარჩევნო უფლებების, მათ შორის, კენჭისყრის ფარულობის პრინციპის უზრუნველმყოფი ბერკეტების თაობაზე, მოქალაქეთა სრულყოფილად ინფორმირებისთვის და ცნობიერების ასამაღლებლად.

ამასთან, სახალხო დამცველი, კენჭისყრის მიმდინარეობაზე დაკვირვების შედეგად, ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად საარჩევნო უბნებთან პოლიტიკური პარტიების კოორდინატორების მასობრივ მობილიზებასა და მათ მიერ საარჩევნო უბანზე

---

[835] ვრცლად სახალხო დამცველის შეფასება ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებულ გამოძიებასთან დაკავშირებით იხ. საჯარო განცხადებაში, ბმული ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3awrpTc. [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[836] ბმული ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QYobQK>[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[837] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, გვ. 341.

[838] იქვე, გვ. 338.

ამომრჩეველთა გამოცხადებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას მიიჩნევს. ჩატარებულ შუალედურ არჩევნებთან ერთად, წარსული გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ საარჩევნო უბნებს გარეთ შექმნილი ასეთი ვითარება, უმეტეს შემთხვევაში, დაძაბულობისა და სხვადასხვა ინციდენტის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი გარემოებაა. მართალია, არსებული საკანონმდებლო ჩარჩო კოორდინატორებს არ უკრძალავს მსგავს საქმიანობას, თუმცა სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ჩამოყალიბებული მანკიერი პრაქტიკა ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის ბერკეტია და ეს საკითხი სამომავლოდ სათანადო რეგულირებას საჭიროებს, ამომრჩევლის ნების მშვიდობიან და თავისუფალ გარემოში გამოხატვის უზრუნველსაყოფად.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- ნების თავისუფალი გამოვლენისა და არჩევნების მშვიდობიან გარემოში წარმართვის უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ცვლილებების გზით, აიკრძალოს და დაწესდეს შესაბამისი პასუხისმგებლობა საარჩევნო უბანზე/უბნებთან პოლიტიკური პარტიების კოორდინატორების მიერ ამომრჩეველთა გამოცხადებასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის შეგროვების ფაქტებთან დაკავშირებით

რეკომენდაციები

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია 2018 და 2019 წლებში, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედებისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის თაობაზე
- წარმოადგინოს მსჯელობა/არგუმენტაცია ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში „პროკურატურის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად, 2018 და 2019 წლებში, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედებისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტებთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობისა და გაწეული საქმიანობის თაობაზე

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას:

- შეიმუშაონ და შესთავაზონ პოლიტიკურ პარტიებს ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი საარჩევნო პერიოდში სიძულვილის ენის გამოყენების, სიძულვილის ენის ერთგვაროვანი განმარტებისა და ასეთი განცხადებებისგან თავის შეკავების თაობაზე.

19. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

კულტურული მემკვიდრეობის როლი, მისი ღირებულებისა და პოტენციალის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელწიფოს ერთიანი ხედვა ჰქონდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლების რეალიზაციისას გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევ და გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი გარანტიების შექმნასა და აღსრულებას მოითხოვს.

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შედეგად უკანასკნელ წლებში გამოვლენილი არაერთი პრობლემა. კერძო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, ჯერაც არ არსებობს სათანადო მექანიზმები, პრობლემურია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე უკანონო სამუშაოებისას ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კომპეტენციებისა და ვალდებულებების მკაფიოდ გამიჯვნის საკითხი, არ სრულდება კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის ვალდებულებები და უშედეგოდ მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება.[839] გარდა ზემოაღნიშნულისა, საანგარიშო წელს ადგილი ჰქონდა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობის დაუშვებელ შემსუბუქებას, ძეგლის მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან კანონის შესაბამისი რეაგირების განუხორციელებლობას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი აქტუალური გახდა რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებშიც.

საგულისხმოა, რომ წლების განმავლობაში გამოვლენილი გამოწვევების უმეტესობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთიანი, კომპლექსური და ეფექტიანი რეგულაციების არარსებობასთან. სწორედ ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველს მნიშვნელოვანად მიაჩნია დროულად წარიმართოს და დასრულდეს „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის" პროექტზე ჯერ კიდევ 2017 წელს დაწყებული მუშაობა, მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა ფართო საზოგადოებამ და პროფესიულმა ჯგუფებმა, გაითვალისწინონ მათი კომპეტენტური მოსაზრებები და შენიშვნები და საბოლოოდ, სახელმწიფომ უზრუნველყოს კოდექსის ინიცირება/მიღება.

საქართველოს სახალხო დამცველი ნეგატიურად აფასებს საანგარიშო წელს სამშენებლო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, რომელთა შედეგად, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის დაკისრებული

[839] ვრცლად აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 233-236.

სანქციები შემსუბუქდა. კერძოდ, არაერთი სამართალდარღვევისთვის გაუქმდა გაორმაგებული სანქციის დაკისრების შესაძლებლობა, რაც ასევე გავრცელდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ჩადენილ ისეთ უკანონო ქმედებებზე, როგორიცაა, მაგალითად, უნებართვო მშენებლობა, სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევა, მშენებარე ობიექტის კონსერვაციის წესის დარღვევით მიტოვება და სხვ.[840] სახალხო დამცველი განმარტავს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მაღალი საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ამ მიმართულებით ჩადენილი სამართალდარღვევები სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ და ეფექტიან რეაგირებას მოითხოვს, რაც პასუხისმგებლობების შემსუბუქებით, ცხადია, ვერ მიიღწევა.

საქართველოს სახალხო დამცველი ბოლო წლებია ყურადღებას ამახვილებს რელიგიური კონფესიების საკუთრებაში არსებული ძეგლების[841] მოვლა-პატრონობის კუთხით არსებულ საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ პრობლემებზეც. 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში დადებითად შეფასდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც გააუქმა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" შესახებ საქართველოს კანონის ჩანაწერი რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან გაუმართლებლად გათავისუფლების შესახებ.[842] საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ყინწვისის მონასტრის იატაკზე მეტლახის თვითნებურად დაგების შემთხვევამ, რომლის შესწავლის[843] შედეგად გამოირკვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის

---

[840] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში გაუქმდა, მაგალითად, 131-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 132-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 135-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებები და განმარტებები ვრცლად იხ. წინამდებარე ანგარიშის თავში, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებაზე.

[841] რელიგიური გაერთიანებების საკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, იხ. წინამდებარე ანგარიშის თავი „რწმენისა და რელიგიის თავისუფლება".

[842] საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არღვევდა კანონის წინაშე თანასწორობის (კონსტიტუციის მე-14 მუხლი) და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის (კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი) უფლებებს და არაკონსტიტუციურად ცნო „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" შესახებ კანონის 30-ე მუხ. მე-8 პუნქტის სიტყვები „ეს მუხლი და"; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილება სრულად იხ. ბმულზე: <https://bit.ly/2WTzMEp>.[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[843] იხ. ბმული: <https://bit.ly/2krKSzB> [ბოლოს ნანახია: [29.01.2020]. განხორციელებული სამუშაოები უკანონო ქმედებად შეფასდა საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის საბჭოსა და სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა საბჭოს მხრიდან, კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრსა და სააგენტოსთან შეუთანხმებლად, არქეოლოგიური ზედამხედველობის გარეშე მოეწყო არატრადიციული ძვირადღირებული მარმარილოს მსხვილი, მართკუთხა ფილები, რაც იატაკის დონეს არსებულთან შედარებით რამდენიმე სანტიმეტრით მაღლა სწევს და დარბაზში არსებულ საფლავის ქვას სცდება. ის არ შეესაბამება ტაძრის ინტერიერის მხატვრულ არქიტექტურულ სახეს და აკნინებს კედელზე შემორჩენილ XIII საუკუნის დასაწყისის კედლის უნიკალურ მხატვრობას; სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 09/579,14.02.2020 წერილი.

იერსახის შეცვლის ფაქტთან დაკავშირებით, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გაუტარებია. უწყების განმარტებით, ამ დრომდე ვერ მოხერხდა სამართალდამრღვევი პირის გამოვლენა და უნებართვო სამუშაოების შედეგების გამოსწორება.[844] სახალხო დამცველი განმარტავს, რომ დასახელებული ნორმით პირდაპირ არის განსაზღვრული ამავე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სუბიექტი - ძეგლის მესაკუთრე (მოსარგებლე). ამდენად, სახალხო დამცველის შეფასებით, პასუხისმგებელი უწყება ვალდებულია, კანონისმიერი დანაწესი პრაქტიკაში შეუფერხებლად და ეფექტიანად აღასრულოს. ამასთან, კონსტიტუცია სახელმწიფოს უდგენს კულტურული მემკვიდრეობისათვის მიყენებული ზიანის შეძლებისდაგვარად თავიდან აცილების ან/და მისი გამოსწორების ვალდებულებას. სახელმწიფო ვალდებულია, მესამე პირებს არ მისცეს კულტურულ მემკვიდრეობაზე შეუზღუდავი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა. ეს უნდა გამოიხატოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ადამიანთა გარკვეული ქმედებების აკრძალვაში და ამ ქმედების ჩადენისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებაში.[845]

საანგარიშო წლის განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესების გათვალისწინების საჭიროება მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისასაც გამოიკვეთა.[846] საქართველოს სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია ინფრასტრუქტურული, განსაკუთრებით კი, ფართომასშტაბიანი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე/ობიექტებზე მოსალოდნელი შედეგების ყოველმხრივი გამოკვლევა, და გადაწყვეტილებების მიღებისას, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, მათი დაცვის ინტერესების გათვალისწინება.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველი ყოველწლიურად ინტერესდება 2014 წელს დაწყებული გამოძიების მიმდინარეობით საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოს დაზიანებისა და განადგურების საქმეზე,[847] ასევე, რუისი–რიკოთის საავტომობილო გზის

---

[844] 2020 წლის 14 თებერვლის მონაცემები.

[845] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/1216.

[846] პროექტი „ბათუმი რივიერა", საქართველოს სახალხო დამცველმა კულტურული მემკვიდრეობისა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით, წინადადებით მიმართა შესაბამის უწყებებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება ხადის ხეობის გავლით ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მშენებლოს საქმეზე, რომლის ფარგლებშიც, მოსახლეობის ერთ-ერთი პრეტენზია კულტურული მემკვიდრეობის დაცვას უკავშირდება.

[847] სისხლის სამართლის №074140214801 საქმე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით; საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/2107 15/01/2020 წერილი.

მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტების განადგურების საქმეზე.[848] არცერთ ამ საქმეში ამ დრომდე არავინაა დაზარალებულად ცნობილი, არც სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულა ვინმეს მიმართ.[849] ამდენად, გამოძიება არაერთი წელია, უშედეგოდ მიმდინარეობს, რაც ვნებს კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტებთან დაკავშირებით კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის პრინციპების აღსრულების ლეგიტიმურ ინტერესებს. გარდა ამისა, არსებულ რეალობას ვერ ექნება სამომავლოდ მსგავსი ქმედებების მიმართ შემაკავებელი ეფექტი.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს რეგულაციების შემუშავება და ინიცირება კერძო საკუთრებაში არსებული სარეაბილიტაციო ძეგლების/ობიექტების შენარჩუნება-განვითარების ხელშესაწყობად, ასეთ ძეგლებთან დაკავშირებით, უწყებების კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ გამიჯვნითა და სახელმწიფოს აქტიური როლის განმტკიცებით

რეკომენდაციები

სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის თითოეულ შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, იმოქმედოს ეფექტიანად და დროულად გაატაროს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის, შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებით

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია რუისი–რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტების განადგურების და საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს დაზიანებისა და განადგურების ფაქტების გამოძიების მიმდინარეობის და პროგრესის შესახებ.

---

[848] სისხლის სამართლის №027291214001 საქმე, წიაღის მოპოვების ლიცენზიების გაცემისას, სამსახურებრივი გულგრილობის შესაძლო ჩადენის სავარაუდო ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 34[2]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით; საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/2108 15/01/2020 წერილი.

[849] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/2107 15/01/2020; №13/2108 15/01/2020 წერილები.

20.ადამიანის უფლებათა სწავლება

20.1. შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა სწავლებას ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე, ამასთან, თავადაც ვეწევით არაფორმალურ საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. 2019 წელს, ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტმა, სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი ინდივიდუალური საქმე შეისწავლა, სადაც გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების მიმართულებით არსებული გამოწვევები. შესაბამისად, სახალხო დამცველმა, ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, პასუხისმგებელ უწყებებს რეკომენდაციებითა და წინადადებებით მიმართა.

2019 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან (EWMI) თანამშრომლობით დაიწყო კომპლექსური კვლევა, რომლის მიზანია საქართველოში მოქმედ სამართლის საბაკალავრო პროგრამებზე ადამიანის უფლებათა სწავლების ხარისხის შეფასება. კვლევის შედეგები 2020 წელს იქნება ხელმისაწვდომი. სახალხო დამცველის აპარატმა, საგანმანათლებლო მანდატის ფარგლებში, დაგეგმა და ჩაატარა ტრენინგები, სემინარები, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები, როგორც დედაქალაქში, ასევე, პროაქტიულად, რეგიონებში, მოწყვლად სამიზნე ჯგუფებთან. 2019 წელი გამოირჩეოდა თანასწორობის, ბავშვის უფლებებისა და გენდერულ საკითხებზე ჩატარებული საგანმანათლებლო ხასიათის აქტივობებით.[850]

20.2. ადამიანის უფლებათა სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა

ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხს, ადამიანის უფლებათა ხელყოფის მნიშვნელოვან პრევენციულ ზომად და პრიორიტეტად მიიჩნევს სახელმწიფოს სტრატეგიული დოკუმენტები.[851] ადამიანის უფლებათა სწავლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, თანმიმდევრულობის, მდგრადობისა და ფინანსური გარანტიების უზრუნველსაყოფად, სტრატეგიულ დოკუმენტზე დაფუძნებული სისტემატიზებული ხედვა, სახელმწიფოს

[850] 2019 წელს სახალხო დამცველის აპარატმა ჩაატარა 286 ტრენინგი და 711 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.

[851] „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)" დამტკიცების შესახებ", საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის დადგენილება №2315-IIს, თავი „ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის პრინციპები"; ასევე იხ. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021"-ის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №533, დანართი 1, გვ. 14, 21, 37.

ცხადი პასუხისმგებლობაა.[852] თუმცა, ადამიანის უფლებათა სწავლების სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის არსებობა, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად[853], კვლავ სახელმწიფოს გამოწვევად რჩება.

ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ გაეროს დეკლარაცია სახელმწიფოებს და შესაბამის სახელისუფლებლო ინსტიტუტებს განუსაზღვრავს პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა შესახებ განათლებას კანონმდებლობის მიღებით, ადმინისტრაციული ღონისძიებებითა და პოლიტიკის განსაზღვრით.[854] აღნიშნულ ვალდებულებას, ასევე განამტკიცებს გაეროს მსოფლიო პროგრამა ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, თანმიმდევრულად ასახონ ადამიანის უფლებათა სწავლება ადამიანის უფლებათა ერთიან სტრატეგიაში, ან ცალკე დოკუმენტში, ადამიანის უფლებათა განათლების სამოქმედო გეგმის სახით.[855] 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, რეკომენდაცია გაიცა ადამიანის უფლებათა სწავლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების თაობაზე.[856] საქართველოს პარლამენტმა ანგარიშის თაობაზე მიღებულ დადგენილებაში ეს რეკომენდაცია არსებითად განსხვავებული შინაარსით, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ასპექტის გარეშე ასახა.[857]

გაეროს ფარგლებში მიღებული არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა განათლების კუთხით, უმნიშვნელოვანეს ვალდებულებებს განუსაზღვრავს.[858] აღსანიშნავია, რომ ამ ვალდებულებათა შესრულება განათლების სფეროში ადამიანის უფლებათა სწავლებისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.[859] ქვემოთ მოცემული ცხრილი

---

[852] World Programme for Human Rights Education - National action plans/strategies for human rights education, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2v3iI30 [ბოლოს ნანახია 01/02/2020]; ასევე, იხ. Guidelines for National Plans of Action for Human Rights Education, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31rbphL [ბოლოს ნანახია 01/02/2020]; დეტალურად, ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 315-316.

[853] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 316.

[854] UN Declaration on Human Rights Education and Training, Resolution adopted by the General Assembly, 19 December 2011, №66/137, მე-7 მუხლის მესამე პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30GqsDH [ბოლოს ნანახია 20/01/2020].

[855] World Programme for Human Rights Education - National action plans/strategies for human rights education, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ttEw7H [ბოლოს ნანახია 20/01/2020].

[856] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018", გვ. 243.

[857] „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილება, მე-7 მუხლის „დ" ქვეპუნქტი.

[858] Revised draft plan of action for the first phase (2005-2007) of the World Programme for Human Rights Education გვ. 3.

[859] იქვე, გვ. 18.

ასახავს ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხარისხს წარდგენილი პერიოდული მოხსენებების საფუძველზე.

მოხსენების ადრესატი	ადამიანის უფლებათა განათლებასთან დაკავშირებით ვალდებულების დამდგენი ნორმა	შეფასება
ბავშვის უფლებათა კომიტეტი	„ბავშვის უფლებათა კონვენციის" 29-ე მუხლის პირველი პუნქტი	არ მოიცავს მსჯელობას ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი	„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციის მე-8 მუხლი	არ მოიცავს მსჯელობას ფორმალურ განათლებაში შშმ პირთა მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბების მიზნით დანერგილი საკითხების/ აქტივობების შესახებ
ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი	„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" გაეროს კონვენციის მე-10 მუხლი	არ არის შეფასებული სასწავლო მეთოდებისა და პროგრამების გენდერული მგრძნობელობა
რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი	„რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" გაეროს კონვენციის მე-7 მუხლი	არ არის შეფასებული სკოლამდელ, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში კონვენციიდან მომდინარე ამ ვალდებულების შესრულების საკითხი
ეკონომიკური და სოციალური საბჭო	ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლი	სახელმწიფოს უკანასკნელი პერიოდული მოხსენება გაგზავნილია 2001 წელს
ადამიანის უფლებათა საბჭო	უნივერსალური პერიოდული მოხსენება	მინიმალურად არის განხილული მხოლოდ ზოგად განათლებაში ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხი
გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია	განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი	მიმოხილულია მხოლოდ ზოგადი განათლების სფეროში ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხი. მსჯელობა მოიცავს მხოლოდ ადამიანის უფლებათა სწავლების მიზნით დანერგილ საგნებს.

		მოხსენებაში ყურადღება არ არის გამახვილებული საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების მომზადებაზე ადამიანის უფლებებში

ადამიანის უფლებათა სწავლების ეფექტიანობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გადადგმული ნაბიჯები ფრაგმენტული და სპონტანური კი არ იყოს, არამედ, სისტემური, თანმიმდევრული და კომპლექსური. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პერიოდულ მოხსენებებში სრულფასოვნად ასახოს ადამიანის უფლებათა განათლების კუთხით ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა. ამასთან, აუცილებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა, უფლებამოსილების ფარგლებში, გასწიოს საპარლამენტო ზედამხედველობა.[860]

20.3. ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების უწყვეტობა

ადამიანის უფლებათა სწავლება მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარე პროცესია და სრულად მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას.[861] ზოგადი განათლების საფეხურზე, ადამიანის უფლებათა სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.[862] ამ კონტექსტში, სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭების პროცესის დანიშნულება ხარისხიანი სასწავლო მასალებით მოსწავლეების უზრუნველყოფაა.[863]

2019 წელს, პირველად, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის VII კლასის საგნების სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული ექსპერტებიც მონაწილეობდნენ.[864] უწყებათაშორისი თანამშრომლობის შედეგად, შესაძლებელი გახდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ექსპერტებს სახელმძღვანელოებში თანასწორობის, შშმ პირთა უფლებების, ტოლერანტობის,

[860] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 174-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[861] Resolution adopted by the Human Rights Council 16/1 United Nations Declaration on Human Rights Education and Training Article 3, პარ. 1, 2. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ThItVT [ბოლოს ნანახია: 25/02/2020].

[862] „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები; ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება, „თ" ქვეპუნქტი.

[863] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მეორე პუნქტი.

[864] სახალხო დამცველის წარდგინებით ექსპერტები მუშაობდნენ სახელმძღვანელოებზე: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ხელოვნება.

გენდერული თანასწორობისა და ადამიანის სხვა უფლებათა და თავისუფლებათა ფუნდამენტური საკითხების ინტეგრირებისთვის ემუშავათ. დამოუკიდებელი ექსპერტების რეკომენდაციები გულისხმობდა სახელმძღვანელოებში იმდაგვარი ტექსტებისა და მაგალითების მოყვანას, რომლებიც მიმართული იქნებოდა ეთნიკური, რელიგიური და გენდერული თანასწორობისკენ.[865]

2019 წლის განმავლობაში გრიფმინიჭებული სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში ადამიანის ძირითად უფლებებთან შეუსაბამო შინაარსის ჩანაწერები გამოვლინდა.[866] სახალხო დამცველმა სამინისტროს ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისი განმარტებების შემუშავების და სკოლებისთვის სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, სათანადო ინსტრუქციების მიცემის რეკომენდაციით მიმართა.[867]

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, პირველად, ქართულენოვან სკოლებში/სექტორებში, მე-7 კლასიდან დაინერგა საგანი „მოქალაქეობა", რომელიც ადამიანის უფლებათა საკითხებს ითვალისწინებს.[868] ეს მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებაა ადამიანის უფლებათა სწავლების უწყვეტობისათვის, თუმცა გამოწვევად რჩება არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების უზრუნველყოფა თარგმნილი სახელმძღვანელოებით.[869]

VII-X კლასებისთვის ადამიანის უფლებათა სწავლება ნორმატიულად უზრუნველყოფილია, თუმცა XI-XII კლასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთადერთი საგანი, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ ეძღვნება ადამიანის უფლებათა სწავლებას, არის არჩევითი დისციპლინა - „სახელმწიფო და სამართალი".[870] 2019 წელს, ამ საგნისთვის სახელმძღვანელოს გრიფირება გათვალისწინებული არ ყოფილა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების

---

[865] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 16 ივლისის წინადადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე №17/8038, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39hvhXA [ბოლოს ნანახია: 02/03/2020].

[866] აღნიშნული რესურსი დღემდე გამოიყენება სკოლებში სავალდებულო სასწავლო მასალის სახით, თუმცა სამინისტრომ შეიმუშავა ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისი განმარტებები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 15 ნოემბრის MES51901562949 და 2020 წლის 10 თებერვლის MES 7 20 00161828 წერილები.

[867] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 იანვრის 17-1/617 რეკომენდაცია. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2l8miw7 [ბოლოს ნანახია: 02/03/2020].

[868] „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის 40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 71-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი; ასევე იხ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 12 თებერვლის MES 1 20 00156882 წერილი.

[869] მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2020 წლის 31 იანვრის MES 0 20 00108640 წერილი, ასევე იხ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 12 თებერვლის MES 1 20 00156882 წერილი.

[870] ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ 2011 წლის 11 მარტის №36 ბრძანების დანართის LXXVIII თავი.

საფუძველზე, საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოების გრიფირება 2020 წელს იგეგმება.[871] ამ ვითარებაში, ამ საგანში სახელმძღვანელოს შესაბამისი წესის საფუძველზე შეთანხმების თხოვნით,[872] არცერთ სკოლას არ მიუმართავს სამინისტროსთვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილზე ნაჩვენებია საგნის, „სახელმწიფო და სამართალი", არჩევითობის კლებადი მონაცემები.[873] მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ ფარგლებში, XI-XII კლასის მოსწავლეებისთვისაც არსებობდეს სრულფასოვნად დანერგილი საგანი, რომელიც ადამიანის ძირითად უფლებებს მიეძღვნება.

სასწავლო წელი	XI-XII კლასის მოსწავლეთა სრული რაოდენობა	"სახელმწიფო და სამართალი" აირჩია	%
2017-2018	80122	7976	9.9
2018-2019	78501	7506	9.6
2019-2020	77258	5010	6.4

ადამიანის უფლებათა სწავლების უწყვეტობის პრინციპი მის უმაღლესი განათლების სფეროზე გავრცელებასაც გულისხმობს. გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია, ზოგადად, სწავლების პროცესში გამოყენებული სასწავლო მასალები „გადაიხედოს და განახლდეს [იმდაგვარად, რომ] ისინი შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს".[874] საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა შეისწავლა სსიპ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლებისას სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში შეტანილი წიგნები, რომელთა შინაარსიც არ შეესაბამება ადამიანის ძირითად უფლებებს. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა და მოუწოდა უნივერსიტეტს, განახორციელოს ეფექტიანი რეაგირება და განაახლოს სასწავლო მასალები. [875]

---

[871] „ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგიერთი საგნისა და საშუალო საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 3 ოქტომბრის №1222 ბრძანების მეორე მუხლი.

[872] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 25 ნოემბრის წერილი MES 8 19 01606466.

[873] ცხრილში მოცემული მონაცემები მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 23 იანვრის MES 6 20 00069604 და 2020 წლის 10 თებერვლის MES 9 20 00161000 წერილები.

[874] Draft plan of action for the second phase (2010-2014) of the World Programme for Human Rights Education, Human Rights Council, A/HRC/15/28 27 July 2010 გვ. 13.

[875] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის 17-1/2419 რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TByCue [ბოლოს ნანახია: 02/03/2020].

20.4. პროზელიტიზმისა და ინდოქტრინაციის რისკი სასკოლო სივრცეში

2019 წელს, გამოვლინდა საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის ხელყოფის, ასევე სასწავლო პროცესში ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის რისკის შემცველი ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების შემთხვევები, რაზეც სახალხო დამცველმა რეკომენდაციით/წინადადებით მიმართა პასუხისმგებელ უწყებებს.[876] ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულის დაწესებასთან ერთად, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ,[877] საჯარო სკოლების მასწავლებლებთან და დირექტორებთან კონფესიური ხასიათის შეხვედრების ჩატარებას, კამპანიური ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს სახალხო დამცველი, საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის ხელყოფად აფასებს და რელიგიური ინდოქტრინაციისა/პროზელიტიზმის მნიშვნელოვან რისკს ხედავს ამ ტიპის ღონისძიებებში.[878] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის პასუხად წარმოადგინა არსებითად კონფესიური შინაარსის განმარტება საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის შესახებ, რომლის გავრცელებაც სკოლებში იგეგმება.[879] აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება, კიდევ ერთხელ დააყენებს საფრთხის ქვეშ სკოლების რელიგიურ ნეიტრალიტეტს.

სასკოლო სივრცეში რელიგიური პროზელიტიზმისა და ინდოქტრინაციის გავრცელების მასშტაბის გათვალისწინებით, სამინისტროს სისტემაში არსებული ინსპექტირების არაეფექტიანობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ 2018-2019 წლებში, პასუხისმგებელი უწყებების მიერ სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და იძულებითი ასიმილაციის მიზნით გამოყენების, ასევე, საჯარო სკოლის რელიგიური

---

[876] 2019 წლის 29 ნოემბრის 17-1/2888 წინადადება „საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის სალექციო ციკლის ორგანიზებისა და ჩატარების თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2vvC0yB [ბოლოს ნანახია: 02/03/2020]; 2020 წლის 24 თებერვლის 17-1/2139 რეკომენდაცია „2019 წლის 30 ოქტომბერს ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო სკოლების დირექტორებსა და სასულიერო პირებს შორის გამართული შეხვედრის თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Tg5B8e [ბოლოს ნანახია: 02/03/2020].

[877] საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 მაისის №1031 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №1256 განკარგულებით დამტკიცებული დანართი.

[878] 2019 წლის 29 ნოემბრის 17-1/2888 წინადადება „საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის სალექციო ციკლის ორგანიზებისა და ჩატარების თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2vvC0yB [ბოლოს ნანახია: 02/03/2020].

[879] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 23 იანვრის MES 2 20 00070068 წერილი.

ნეიტრალიტეტის ხელყოფის გამოვლენის ფაქტები ქვეყნის მასშტაბით ნულოვანი იყო.[880] ამ კუთხით, რისკების გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის შეუფერხებლობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.[881] საქართველოს სახალხო დამცველმა, აჭარაში გამართული ერთ-ერთი შეხვედრის შეფასების შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე პროაქტიული ზედამხედველობის გაწევის რეკომენდაციით მიმართა. [882]

20.5. ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებაში

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, საგანმანათლებლო სივრცეში, ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისი ღირებულებების ეფექტიანი ინტეგრირება შეუძლებელი იქნება, თუ ისინი, ვინც ჩართულები არიან სწავლების პროცესში, *„თავად არ განასახიერებენ კონვენციასთან შესაბამის ღირებულებებს* და *არ არიან დარწმუნებულნი მათ მნიშვნელობაში“*.[883] ამდენად, სკოლის მასწავლებელთა მომზადებას ადამიანის უფლებათა კუთხით, სახელმწიფოს მიერ გაცხადებული მიზნების მისაღწევად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.[884]

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში ადამიანის უფლებების საბაზისო ცოდნის მოთხოვნის თაობაზე 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაცია არ შესრულებულა.[885] ამასთან, რეკომენდაციები, რომელთა ადრესატებიც კონკრეტული ადგილობრივი თვითმმართველობები იყვნენ და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმატიული

[880] საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის MES 9 20 00053505 წერილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 9 დეკემბრის MES 4 19 01674791 წერილი.

[881] ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა „რელიგია საჯარო სკოლებში განათლების პოლიტიკის ანალიზი რელიგიის თავისუფლების პერსპექტივიდან“, თბილისი 2014, გვ. 24.

[882] 2020 წლის 24 თებერვლის 17-1/2139 რეკომენდაცია „2019 წლის 30 ოქტომბერს ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო სკოლების დირექტორებსა და სასულიერო პირებს შორის გამართული შეხვედრის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Tg5B8e [ბოლოს ნანახია: 02/03/2020].

[883] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35oDnM8 [ბოლოს ნანახია 16/12/2019], პარაგრაფი 18.

[884] იქვე.

[885] „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანება.

აქტების მიღებას ეხებოდა, ადგილობრივი თვითმმართველობების მხოლოდ მცირე ნაწილმა შეასრულა და ისიც, ნაწილობრივ.[886]

2018 წელს, სსიპ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ადამიანის ძირითად უფლებებში პედაგოგთათვის განკუთვნილი ონლაინ-ტრენინგ კურსის მოდულები შეიმუშავა და ცენტრს მიაწოდა.

სსიპ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2016-2019 წლების სტრატეგიის ანალიზი არ მიუთითებს იმაზე, რომ მასწავლებლებისთვის ადამიანის უფლებათა საკითხებისა და მათი საგაკვეთილო პროცესში დანერგვის შესახებ ცოდნის მიწოდება სტრატეგიული პრიორიტეტია.[887] ამასთან, ცენტრს, ამ ეტაპზე, არც მასწავლებლებისთვის ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი ტრენინგ პოლიტიკის დოკუმენტი აქვს შემუშავებული,[888] რაც ართულებს განათლების სისტემაში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზებას.[889]

2019 წელს, ცენტრის აქტივობების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლის 453 პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგი - „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობის" თაობაზე, ხოლო აქტივობათა დანარჩენი ნაწილი ძირითადად ვორქშოფების სახით იყო წარმოდგენილი, რომელშიც ჯამურად მხოლოდ 170 პედაგოგი მონაწილეობდა.[890]

რეკომენდაციები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- შემუშავდეს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით
- შემუშავდეს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი ტრენინგ-პოლიტიკის დოკუმენტი მასწავლებლებისთვისა და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირებისთვის

[886] რეკომენდაციებით მოთხოვნილი ნორმატიული აქტები შეიმუშავა და დაამტკიცა მცხეთის, ყაზბეგისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებმა.

[887] მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა (2016–2019).

[888] მასწავლებელთა ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ ყოვლისმომცველი ტრენინგპოლიტიკის დოკუმენტის არსებობა გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტია. იხ. Revised draft plan of action for the first phase (2005-2007) of the World Programme for Human Rights Education გვ. 20.

[889] Plan of Action for the third phase (2015–2019) of the World Programme for Human Rights Education, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights გვ. 7.

[890] განათლების პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 12 თებერვლის MES 7 20 00177687 წერილი.

- ხელი შეეწყოს საგნის, „სახელმწიფო და სამართალი", ეფექტიანად დანერგვას სასკოლო სივრცეში და განიხილოს ამ საგნის სახელმძღვანელოების შესარჩევად გრიფირების გამოცხადების შესაძლებლობა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- შემუშავდეს სტრატეგია/სამოქმედო გეგმა საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის ხელყოფის, ასევე, სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის, ან იძულებითი ასიმილაციის მიზნით გამოყენების პროაქტიულად გამოსავლენად

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ტყიბულის, ჭიათურის და ხონის მუნიციპალიტეტების მერიებმა და საკრებულოებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები
- კასპისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების მერიებმა და საკრებულოებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტი.

21. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

21.1. შესავალი

2019 წელს პარლამენტის მიერ „ბავშვის უფლებათა კოდექსის" მიღება ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვის სამართლებრივი განმტკიცების საქმეში სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული მისასალმებელი ნაბიჯია. ამის მიუხედავად, ბავშვის უფლებების სრული და ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისით, ქვეყანაში კვლავ არაერთი გადაუჭრელი პრობლემაა.

ბავშვთა სოციალური დაცვის სისტემაში არსებული ხარვეზები - ბავშვთა პროგრამების სიმცირე და არსებულის არაეფექტიანობა, ასევე, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების არასაკმარისი რაოდენობა, ბავშვთა, განსაკუთრებით კი, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთა სიღარიბისა და ძალადობისგან, მათ შორის, სექსუალური ძალადობისგან დაცვის მაჩვენებელზე, უარყოფითად აისახება.

სახალხო დამცველი ყურადღებით მიადევნებს თვალს სახელმწიფოს მხრიდან რეფორმით მიღწეული შედეგების შენარჩუნებისა და სისტემის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად განხორციელებულ ცვლილებას - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების ახლად შექმნილი სააგენტოს ბავშვთა მეურვეობა-მზრუნველობის გამწევ ეფექტიან მექანიზმად ჩამოყალიბების პროცესს.

სახალხო დამცველი კვლავ ყურადღებას ამახვილებს ბავშვის სიცოცხლის უფლების განუხრელი დაცვის საკითხებზე. ამ მხრივ, საგანგაშოა არასრულწლოვანთა სუიციდის სტატისტიკა. გადაუდებელი აუცილებლობაა სუიციდის პრევენციის სტრატეგიის შემუშავება.

წლების განმავლობაში, პრობლემად რჩება ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, ძალადობის ფაქტების დროული იდენტიფიცირება და ეფექტური რეაგირება. ამასთან, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებისთვის კვლავ არ არსებობს შესაბამისი სარეაბილიტაციო სერვისები.

არაერთი გამოწვევა იკვეთება არასრულწლოვანთა განათლების უფლების დაცვის მხრივ. რადიკალურ ღონისძიებებს საჭიროებს სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი, სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებულ არასრულწლოვნებში სწავლის გაგრძელების დაბალი მოტივაციის გამოკვეთილი ტენდენცია, ასევე, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულების განათლების უფლების დაცვა.

ბავშვთა სიღარიბის კვლავაც მაღალი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა არ არის ორიენტირებული სიღარიბის აღმოფხვრაზე; ვერც მუნიციპალური

პროგრამები უზრუნველყოფს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების სრულ დაკმაყოფილებას. 2019 წელს საარსებო დახმარების მიმღებ 70 792 ოჯახში 150 065 არასრულწლოვანი აღირიცხა.

21.2. ბავშვის სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლება გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის (CRC) უმთავრესი პრინციპია. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მაქსიმალურად შესაძლო დონეზე უნდა უზრუნველყოფდნენ ბავშვის ჯანმრთელ განვითარებას[891].

საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის არაეფექტიანობის ერთ-ერთი სამწუხარო შედეგია ის, რომ წლების განმავლობაში რისკის ქვეშ დგას არაერთი ბავშვის სიცოცხლე. სიღარიბის, ცხოვრების არასათანადო დონის, უგულებელყოფისა და სხვადასხვა სოციალური საფრთხეების გამო, ქვეყანაში კვლავ საგანგაშოა ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები[892].

სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს არასრულწლოვანთა სუიციდის განმაპირობებელი ფაქტორების დროული გამოვლენა და პრევენცია. კვლავ გვხვდება ბავშვის საჭიროებების უგულებელყოფა და მისი დაგვიანებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ამის თვალსაჩინო მაგალითია 15 წლის არასრულწლოვნის, *ლ.ს.-ს საქმე,* სადაც პასუხისმგებელ უწყებებს არასრულწლოვნის ფსიქოსოციალური საჭიროებების დროულად გამოსავლენად და სუიციდის თავიდან ასაცილებლად სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებიათ.

2019 წლის მონაცემით, გასულ წლებთან შედარებით, საქართველოში გაზრდილია არასრულწლოვანთა სუიციდისა და სუიციდის მცდელობის შემთხვევები; 2019 წელს ბავშვთა სუიციდის 22 და სუიციდის მცდელობის 69 შემთხვევა გამოვლინდა[893], ხოლო 2018 წელს სუიციდის - 12 და სუიციდის მცდელობის - 48 შემთხვევა[894]. ამ შემთხვევების მატება საგანგაშოა და აჩვენებს, რომ სახელმწიფოში ბავშვთა დაცვის მოქმედი სისტემა ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნებში სუიციდის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დაცვასა და დახმარებას.

სახალხო დამცველი ყოველწლიურად შეისწავლის ბავშვთა სუიციდის ინდივიდუალურ შემთხვევებს და აანალიზებს სისტემურ ხარვეზებს. სამწუხაროა, რომ პასუხისმგებელი

[891] ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 6.

[892] საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევებს შორისაა ბაღდათის მუნიციპალიტეტში ხანძრის დროს დაღუპული 4 მცირეწლოვნის საქმე, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ იკვეთებოდა მშობლის მხრიდან ბავშვების სავარაუდო უგულებელყოფის საკითხი, პასუხისმგებელმა უწყებებმა ვერ მოახერხეს მათი დროული დახმარება.

[893] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2VZyWWe [ბოლოს ნანახია: 05.03.2020].

[894] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია NMIA 6 20 00132625, 17.01.2020. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2TzD6lY [ბოლოს ნანახია: 05.03.2020].

უწყებების მიმართ სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმეტესობა სათანადოდ არ არის სრულდება; კვლავ სუსტია ბავშვთა ფსიქოსოციალური დაცვის და მხარდაჭერის სისტემა, არ არსებობს რისკის ქვეშ მყოფ და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დახმარებისა და რეაბილიტაციის სერვისები, ამ დრომდე არ არის შემუშავებული ბავშვთა სუიციდის პრევენციის სტრატეგია.

სუიციდის შესაძლო გავრცელების პრობლემას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ საჯარო სკოლებში მოქმედი პრაქტიკა არ არის ორიენტირებული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაზე; განსაკუთრებით პრობლემურია, რომ სკოლებში პედაგოგებსა და პასუხისმგებელ პირებს არ აქვთ სათანადო ცოდნა სუიციდის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ. სკოლებში დროულად ვერ ხერხდება ძალადობის მსხვერპლი, რთული ქცევისა და ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე ბავშვების გამოვლენა და კვალიფიციური დახმარება.

არასრულწლოვანთა სუიციდის შემთხვევების შემცირების და პრევენციის კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიასაშუალებების მიერ ამ შემთხვევების გაშუქებისას არსებული სტანდარტების[895] გათვალისწინება; მედიასაშუალებებმა, სხვა არასრულწლოვნებში „მიბაძვის" ეფექტის თავიდან ასაცილებლად, არ უნდა მოახდინონ მსგავსი შემთხვევების „რომანტიზება"; ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ თემების გაშუქებით მედიამ ხელი არ შეუწყოს საზოგადოებაში სუიციდთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპებისა და მითების გაძლიერებას. გაშუქებისას, მომზადებულ მასალაში უნდა იკვეთებოდეს სუიციდის თავიდან აცილების და პრობლემის გადაჭრის მეთოდები.

21.3. სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

წლების განმავლობაში პრობლემად რჩება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად იკვეთება, რომ კვლავ გამოწვევად რჩება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვა და რეაბილიტაცია, მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, განათლების უფლების დაცვა, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, ზრუნვის პროცესში ჩართულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება და საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსების მოძიება.

2019 წელს სახელმწიფო ზრუნვაში 465 არასრულწლოვანი განთავსდა. მათგან, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსდა 157 ბენეფიციარი, ხოლო მინდობით აღზრდის პროგრამაში - 308 ბენეფიციარი. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მცირე საოჯახო

[895] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/38KNITt > [ბოლოს ნანახია: 10.03.2020].

ტიპის სახლებში სულ 305 არასრულწლოვანი ირიცხება, ხოლო მინდობით აღზრდის პროგრამით 1556 არასრულწლოვანი სარგებლობს.

კვლავ პრობლემურია არასრულწლოვნების სახელმწიფო ზრუნვაში სიღარიბის საფუძვლით განთავსების საკითხი. მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად,[896] 2019 წელს სახელმწიფო ზრუნვაში სიღარიბის და ცხოვრების არასათანადო დონის საფუძვლით განთავსდა ბავშვების 18.4%, ძალადობის საფუძვლით - 72.8%, ბავშვის ქცევის მიზეზით - 2%, მშობლისგან მიტოვების შედეგად - 5.2%, ჯანმრთელობის პრობლემების გამო კი - 1.6%.

კრიტიკულია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბენეფიციართა სექსუალური ძალადობისგან დაცვის საკითხი. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების მიმწოდებელიც და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოც ინფორმირებულები იყვნენ არასრულწლოვნებს შორის გამოვლენილი სექსუალური ძალადობის ნიშნების შესახებ, თუმცა, გარდა იმისა, რომ სავარაუდო მსხვერპლ ბავშვს არ ჰქონია შესაბამისი მხარდაჭერა, რიგ შემთხვევაში, მსხვერპლი და მოძალადე კვლავ ერთ სახლში განაგრძობდნენ ცხოვრებას, რაც სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებების სრულ უგულებელყოფად უნდა ჩაითვალოს. რიგ შემთხვევებში, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვთან მომუშავე პირები ფლობდნენ ძალადობის შესახებ ინფორმაციას, თუმცა რეფერირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არ განხორციელებულა.[897]

როგორც მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელები, ისე მინდობით აღმზრდელები, ნაკლებად ან საერთოდ არ ფლობენ რთული ქცევის მქონე ან ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის ცოდნასა და უნარებს, რის გამოც, რიგ შემთხვევებში, ბავშვებს უცვლიან ზრუნვის ფორმას, რაც ბავშვისთვის დამატებითი სტრესია და არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს. 2019 წელს, სხვადასხვა საფუძვლით, მინდობით აღზრდიდან სხვა მომსახურებაში გადავიდა 63 ბენეფიციარი, მიმღები ოჯახი შეიცვალა 130 ბენეფიციარმა, ხოლო მცირე საოჯახოდან მინდობით აღზრდაში 12 არასრულწლოვანი გადავიდა.[898]

ძალადობისგან დაცვის კუთხით, მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნები, რადგან აღნიშნული მომსახურებები ძალადობისგან დაცვის, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების, განათლებისა და

[896] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/402, 12/02/2020.

[897] აღნიშნულ საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით №10-3/193 (10/01/2019) მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს.

[898] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; კორესპონდენცია №07/402; 12/02/2020.

ჯანმრთელობის უფლების დაცვის კუთხით, ორიენტირებული არ არის მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე[899]. გამოიკვეთა ქცევითი პრობლემების ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ბავშვების ერთად განთავსების ტენდენციაც, რაც არსებული რესურსების ფარგლებში, განსაკუთრებით ამძიმებს შექმნილ სიტუაციას.

პრობლემურია სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნების განათლების უფლების დაცვაც. ზოგად ტენდენციად იკვეთება ბავშვებში სწავლის გაგრძელების მოტივაციისა და ინტერესის ნაკლებობა. მათი უმეტესობა ორიენტირებულია სავალდებულო საბაზო განათლების დასრულებაზე, რათა დროულად დასაქმდნენ და სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შეძლონ საკუთარ თავზე ზრუნვა. თუმცა, იმ პირობებში, რომ სახელმწიფო დონეზე არ არსებობს ზრუნვის სისტემიდან გასული ბენეფიციარების მხარდაჭერის სერვისი, ამ ახალგაზრდებისთვის პრობლემურია მათი ინტერესების შესაბამისი განათლებისა და პროფესიის მიღება და მით უფრო, შემდგომი დასაქმება. შესაბამისად, უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვები ზრუნვის სისტემას სრულიად მოუმზადებლები ტოვებენ.

ზრუნვის სისტემიდან მოუმზადებლად გასვლის პარალელურად, გამოწვევას წარმოადგენს ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაციის საკითხიც. 2019 წელს განხორციელდა 130 ბავშვის რეინტეგრაცია, ხოლო რეინტეგრაციიდან სახელმწიფო ზრუნვაში 9 ბავშვი დაბრუნდა. აღნიშნულ სერვისში ჩართულ ოჯახებში არასრულწლოვნების საჭიროებები სათანადოდ არ არის დაკმაყოფილებული; მათთვის არ არის შექმნილი საბაზისო საყოფაცხოვრებო პირობები. ხშირ შემთხვევებში, რეინტეგრაციის დროს, არასაკმარისადაა შესწავლილი არასრულწლოვნების საჭიროებები და სრულად არ არის შეფასებული არსებული რისკები.

რელიგიური კონფესიების ბავშვთა პანსიონები

რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფი სკოლა-პანსიონების ფუნქციონირება ქვეყანაში ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება და ის პანსიონების ლიცენზირების, სახელმწიფო კონტროლის უმოქმედობისა და სააღმზრდელო გარემოს ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირების საკითხებს უკავშირდება. რელიგიური პანსიონების უმეტესობა დიდი ზომის ინსტიტუციებია, რაც დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მიზნებს არ შეესაბამება. სახელმწიფოს ამ დრომდე არ აქვს სრული ინფორმაცია ქვეყანაში არსებული რელიგიური სკოლა-პანსიონების შესახებ. მათგან ლიცენზირებულია მხოლოდ ნინოწმინდაში, ბედიანსა და ფერიაზე[900]

[899] მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდის პროგრამაში ჯამში 330 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ირიცხება, სპეც. - 14 არასრულწლოვანი.

[900] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ბედიანის ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრი

არსებული სკოლა-პანსიონები. სახალხო დამცველის აპარატმა მოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ ფერიაზე არსებულ სკოლა-პანსიონში 101 არასრულწლოვანი, ნინოწმინდის სკოლა-პანსიონში - 73, ბედიანის ცენტრში კი - 6 ბენეფიციარი ირიცხება.

რელიგიურ სკოლა-პანსიონებში[901] უზრუნველყოფილი არ არის ბავშვებისთვის ოჯახთან მიახლოებული გარემო. ვერ ხდება მათი საჭიროებების სათანადოდ გამოვლენა და ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა. მაღალია ინსტიტუციური ძალადობის რისკები. ამასთან, რიგ შემთხვევებში, სოციალური მუშაკის როლი მხოლოდ ფორმალურია და თითოეული ბენეფიციარის ინტერესებისა და საჭიროებების დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

პრობლემურია მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებული პანსიონების ლიცენზირების საკითხი. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და პანსიონების ადმინისტრაციას შორის ეფექტიანი კომუნიკაცია და მათი ინფორმირება ლიცენზირების სტანდარტებთან დაკავშირებით, არასრულწლოვანი ბენეფიციარების ინტერესების გათვალისწინებით.

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის წარმომადგენლები არ აძლევენ პანსიონში მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობას, მაშინ, როდესაც, სახალხო დამცველი თავის არაერთ ანგარიშში უთითებდა აღნიშნულ პანსიონში მცხოვრები ბავშვების განსაკუთრებით მძიმე უფლებრივ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, მინიმალურია სახელმწიფოს როლი ამ კონკრეტულ პანსიონთან მუშაობის პროცესში. შეუძლებელია იმგვარი მონიტორინგის ჩატარება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ბავშვის უფლებადარღვევის თითოეული ფაქტის, განსაკუთრებით, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების დროულ გამოვლენას.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა სკოლა-პანსიონებში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს[902] სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში სულ 16 სკოლაა, რომელიც მოსწავლეებს პანსიონურ მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის, ფუნქციონირებს 7 რესურს სკოლა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგით ირკვევა, რომ რიგ სკოლა-პანსიონებში მოსწავლეების ჩარიცხვის საფუძველს სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე წარმოადგენს. იკვეთება ოჯახების მხრიდან ბავშვების უგულებელყოფის შემთხვევებიც. მიუხედავად ამისა, ამ სკოლა-პანსიონებისთვის ჯერ

[901] ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ბედიანის ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრში.
[902] კორესპონდენცია MES 0 20 00036163, 16/01/2020.

კიდევ არ შემუშავებულა პანსიონური მომსახურების სტანდარტი და ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმი, შეუსწავლელია არასრულწლოვანთა მდგომარეობა, არ არის გამოვლენილი მათი საჭიროებები და მათ არ მიეწოდებათ მათ ინტერესებზე მორგებული მომსახურება.

21.4. განათლების უფლება

განათლების უფლების სრულფასოვანი განხორციელების თვალსაზრისით, ქვეყანა კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები, კვლავ არასაკმარისია; საგანგაშოა მოსწავლეთა მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებელი.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

მუნიციპალიტეტების მხრიდან გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი. განსაკუთრებით პრობლემურია საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, სააღმზრდელო ჯგუფების გადატვირთულობის, სანიტარიისა და ჰიგიენის სახელმწიფო სტანდარტებთან მისადაგების საკითხები. 2019 წელს, აღნიშნული საკითხების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მონიტორინგი განახორციელეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების 143 სახელმწიფო დაწესებულებაში.

საქართველოში სულ 1481 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ფუნქციონირებს, სადაც 150,930 ბავშვი ირიცხება; სახალხო დამცველის შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა[903] და, მათ შორის, ფიზიკური გარემოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგების საკითხი. გარდა ამისა, საბავშვო ბაღებში პრობლემურია ეზოების მოწყობის საკითხი, უფრო კონკრეტულად, მათი შემოღობვა, აღსაზრდელთა რაოდენობის, ასაკობრივი ჭრილისა და უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისობა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა.[904]

უნდა აღინიშნოს, რომ ასევე პრობლემურია შენობის სივრცის აღსაზრდელთა ასაკის, რაოდენობისა და სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობების სპეციფიკის შესაბამისად

[903] ბავშვის უფლებების დარღვევათა შესწავლილი 442 შემთხვევის 25,3% სააღმზრდელო/საგანმანათლებლო დაწესებულებებში წყალთან, სანიტარიასა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა.

[904] ამ საკითხთან დაკავშირებით, საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატმა 5 რეკომენდაცია გასცა.

მოწყობა და ინვენტარიზაცია, რაც შესაძლებელს გახდის შენობაში საჭირო დანიშნულების ყველა ოთახის არსებობას.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ბაღების უმრავლესობაში ყურადღება ექცევა კვების სივრცის სათანადოდ მოწყობასა და ინვენტარიზაციას. ამასთან, კვების პროცესში გათვალისწინებულია აღსაზრდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და განსაკუთრებული საჭიროებები. ყურადსაღებია ისიც, რომ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილია სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყლით. ამასთან, საბავშვო ბაღებს არ აქვთ სასმელი წყლის უვნებლობის კონტროლის პერიოდულობისა და ლაბორატორიული შემოწმების ერთიანი მიდგომა.

გამოწვევას წარმოადგენს სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. ასევე, პრობლემურია თანამშრომელთა სათანადო ინფორმირება ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის, ფაქტზე სათანადო რეაგირებისა და თავიდან აცილების შესახებ.

განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები

წლების განმავლობაში მაღალია მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებელი, განსაკუთრებით პრობლემურია მისი მიზეზების გამოვლენის, აღრიცხვისა და სკოლის მიტოვების თავიდან აცილების საკითხები. სახალხო დამცველს ამ პრობლემაზე არაერთხელ მიუთითებია თავის ანგარიშში, მათ შორის, ადრეული ქორწინების, ბავშვთა სიღარიბისა და შრომის კუთხით განათლების უფლების დარღვევის ტენდენციაზე, თუმცა, პრობლემა ჯერაც არ გადაჭრილა.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებს არ გააჩნიათ სკოლის მიტოვების სტატისტიკის აღრიცხვის ერთიანი მექანიზმი შესაბამისი საფუძვლების მითითებით. სამინისტროს მიერ მითითებული საფუძვლების ნაწილი ზოგადია, ერთიმეორეს ფარავს და რეალურ სურათს არ ასახავს. მაგალითად, გამორჩეულად მაღალია იმ შემთხვევათა მაჩვენებელი (შემთხვევათა დაახლოებით 22%), როდესაც მოსწავლე, ზედიზედ 90 სასწავლო დღის განმავლობაში, სკოლაში არ ცხადდება. არ ჩანს სკოლაში გამოუცხადებლობის კონკრეტული საფუძვლები, რაც არ იძლევა ანალიზის შესაძლებლობას.

ერთ-ერთი პრობლემაა მოსწავლეთათვის, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, სტატუსის შეჩერება. ასეთ შემთხვევაში, განცხადებაში, როგორც წესი, მოთხოვნის მიზეზი არ არის მითითებული. შესაბამისად, მაღალია მშობლის მხრიდან ბავშვის უფლებათა დარღვევის რისკი, განსაკუთრებით, ადრეულ ასაკში ბავშვთა ქორწინების შემთხვევებში.

სკოლის მიტოვების შემთხვევებში, თანამშრომლობა სკოლასა და სოციალურ მუშაკს შორის, არასათანადოა. ხშირად, ბავშვის მიერ სწავლის შეწყვეტის მიზეზები ისეთ ფაქტებთანაა დაკავშირებული, როგორიცაა ბავშვის მიმართ ძალადობა, უგულებელყოფა,

ჯანმრთელობა, ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები, სიღარიბე. ასეთ შემთხვევაში, უკიდურესად მნიშვნელოვანია, პრობლემის გადაჭრაში სახელმწიფო უწყებების დროული ჩართვა და მათი მიერ სათანადო ღონისძიებების გატარება.

2018-2019 სასწავლო წელს და 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით, სწავლა შეწყვიტა 14 044-მა არასრულწლოვანმა, მათგან დაწყებით-საბაზო საფეხურზე - 6 028-მა არასრულწლოვანმა, ხოლო საშუალო საფეხურზე - 8 016-მა არასრულწლოვანმა.[905]

ცხრილი №1: სწავლის შეწყვეტის საფუძვლები (2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით)[906]



[905] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 0 20 00036163, 16/01/2020.

[906] სწავლის შეწყვეტის ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი, ზემოაღნიშნულ პერიოდში, რეგიონების მიხედვით, იკვეთება თბილისში - 4 927 მოსწავლე, ქვემო ქართლში - 2 788 მოსწავლე, კახეთში - 1335 მოსწავლე, იმერეთში - 1256, აჭარაში - 1087.

მსჯავრდებული არასრულწლოვნების განათლების უფლება

სპეციალური პენიტენციური სამსახურის №11 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულების უმეტესობა საჯარო სკოლაში ირიცხება. თუმცა სათანადო დოკუმენტაციის მოწესრიგების კუთხით არსებული ხარვეზები, რაც კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პრობლემას უკავშირდება, ვერ უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში თითოეული მათგანის დროულ ჩარიცხვას. ამ შემთხვევაში, შესაძლოა იკვეთებოდეს ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან არასრულწლოვნის საგანმანათლებლო საჭიროებების უგულებელყოფაც. ამასთან, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლობა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო უწყებასთან, არ არის ეფექტიანი.

გარდა ამისა, სუსტია მულტიდისციპლინური მიდგომით არასრულწლოვნების საგანმანათლებლო საჭიროებების გამოკვეთის საკითხიც, ასევე, მათთან სპეციალური პედაგოგის ჩართვის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვს აქვს სკოლის ადრეულად მიტოვების გამოცდილება, არ ფლობს ასაკის და კლასის შესაბამის ცოდნას და ა.შ.

კვლავ პრობლემად რჩება არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რეაბილიტაციის პროცესი, რომელიც არ არის დატვირთული მრავალფეროვანი, ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული განმავითარებელი აქტივობებით. არასრულწლოვან მსჯავრდებულებს, წლების განმავლობაში არ მიუწვდებათ ხელი მათ ინტერესზე მორგებულ სათანადო პროფესიულ კურსებზე, რაც გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესს ხელს შეუწყობდა. შესაბამისად, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები უმეტესად ერთფეროვანია, თითოეული ბავშვისთვის დაგეგმილი აქტივობები არ არის მორგებული მის ინდივიდუალურ ინტერესებსა და საჭიროებებზე.

21.5. სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე

არაეფექტიანი სოციალური სისტემისა და პროგრამების პირობებში, წლების განმავლობაში პრობლემად რჩება ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე. სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახებს, რიგ შემთხვევებში, უმძაფრესად აწუხებთ არასრულწლოვანთა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების, მათთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნის კუთხით არსებული მწვავე პრობლემები. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ იმ 442 საქმეთა შორის, რომლების ბავშვის უფლებების დარღვევას ეხებოდა, საქმეთა 12,7% სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა საჭიროებებს ეხებოდა.

ბავშვთა სიღარიბე დაკავშირებულია სიცოცხლისა და სათანადო განვითარების, განათლებისა და ჯანმრთელობის უფლებების მძიმე დარღვევებთან, ასევე, ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმებთან.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის[907] თანახმად, 2019 წელს საარსებო დახმარების მიმღები 70 792 ოჯახი და 150 065 არასრულწლოვანი იყო. ამის პარალელურად, ბავშვიანი ოჯახების ნაწილი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საარსებო დახმარების მიმღებად, ასევე ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში და არასრულწლოვნებს ელემენტარულ საბაზისო საჭიროებებსაც კი ვერ სთავაზობს.

სამწუხაროდ, სახელმწიფოს პოლიტიკა არ არის ორიენტირებული ასეთ ოჯახებში სიღარიბის აღმოფხვრაზე, ოჯახების გაძლიერებაზე, მხარდაჭერასა და ბავშვებისთვის სათანადო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფაზე. მუნიციპალურ დონეზე არსებული პროგრამები უმეტესად ერთჯერადი ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების დროულ და სრულ დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით ბავშვიანი ოჯახების სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის კუთხით, შედეგად, რიგ შემთხვევებში, ბავშვებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ პირობებში უწევთ ცხოვრება.

განსაკუთრებით საგანგაშოა ბაღდათის მუნიციპალიტეტში მომხდარი შემთხვევა, როდესაც საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები 6 ადამიანი, მათ შორის, 4 არასრულწლოვანი გარდაიცვალა. მომხდარი კიდევ ერთხელ მწვავედ წარმოაჩენს იმ საფრთხეებსა და რისკებს, რაც თან ახლავს ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის დაძლევის კუთხით სახელმწიფოს არაეფექტიან ქმედებებს და საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

კვლავ პრობლემად რჩება სიღარიბის საფუძვლით არასრულწლოვნების სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში განთავსების საკითხი. მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად,[908] 2019 წელს სახელმწიფო ზრუნვაში სიღარიბის და ცხოვრების არასათანადო დონის საფუძვლით ბავშვების 18.4% განთავსდა, რაც ბავშვის უფლებების უხეში დარღვევაა და ბავშვის კონვენციით აღიარებულ უფლებებს ეწინააღმდეგება. სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვის განთავსების პარალელურად, არ მიმდინარეობს სათანადო ზრუნვა ბიოლოგიური ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მშობლობის უნარ-ჩვევების განვითარებასა და ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე. შესაბამისად, არასრულწლოვანი ბენეფიციარი წლების შემდეგ იმავე გარემოში ბრუნდება. უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბის განმაპირობებელ არაერთგვაროვან ფაქტორთა შორის,

[907] წერილობითი კორესპონდენცია №07/402, 12/02/2020.

[908] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; კორესპონდენცია № 07/402; 12/02/2020

ბავშვიან ოჯახებში ვლინდება პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების არარსებობა, ბავშვის საჭიროებათა განსაზღვრის შეუძლებლობა ან უგულებელყოფა. ეს გარემოება, თავის მხრივ, ართულებს პრობლემის სრულფასოვან შეფასებას და ხელს უშლის სიღარიბის დაძლევის პროცესს. შესაბამისად, სიღარიბის განმსაზღვრელი ფაქტორები სიღრმისეულ ანალიზს, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან, კვლევის შედეგებზე დაფუძნებულ გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს. მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით, აღნიშნული ანალიზი არ იკითხება.

21.6. შვილად აყვანა

2019 წელს მშვილებელთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული იყო 3033 მშვილებელი და 212 გასაშვილებელი ბავშვი. სახალხო დამცველმა შეისწავლა შვილად აყვანის საკითხი და აღმოჩნდა, რომ შვილად აყვანის პროცესის ძირითადი გამოწვევაა სოციალური მომსახურების სერვისების არასაკმარისი ეფექტიანობა, რაც ვერ უზრუნველყოფს ისეთი პროცესების გონივრულ ვადაში წარმართვას, როგორიც არის, მაგალითად, თავსებადობის დადგენა ბავშვსა და შვილად ამყვანს შორის, გასაშვილებელი ბავშვის დროული გამოვლენა, მისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება და სხვ.

საქართველოს სახალხო დამცველის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრობლემურ საკითხად რჩება შვილად აყვანამდე ბავშვის სათანადო მომზადება და მისი ფსიქოსოციალური მდგომარეობის საფუძვლიანი შეფასება. გაშვილების პროცესში, უმეტეს შემთხვევაში, არ მონაწილეობს ფსიქოლოგი. საქმეში ის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ერთვება, მაგალითად, როდესაც ბავშვზე ძალადობის ან მანიპულირების ფაქტი იკვეთება.

მეურვეობა-მზრუნველობის ტერიტორიულ ერთეულებში არ გვხდება ბავშვებისთვის ადაპტირებული და სპეციალური ოთახი, სადაც კეთილსაიმედო იზოლირებულ სივრცეში შესაძლებელი იქნება შვილად აყვანის კანდიდატისა და გასაშვილებელი ბავშვის შეხვედრა.

აღსანიშნავია, რომ 2015-2019 წლებში, სოციალური მუშაკებისთვის, შვილად აყვანის სფეროში, გადამზადება ან სპეციალური სასწავლო კურსი არ ჩატარებულა. ამასთან, სოციალური მუშაკებისთვის არც სახელმძღვანელო პრინციპები და სარეკომენდაციო მითითებები შემუშავებულა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის გაშვილებამდე მომზადება, მისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მისი ასაკისა და განვითარების შესაბამისად.

21.7. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, მათი უფლებების ხელყოფის თვალსაზრისით, გამორჩეულად დაუცველი სოციალური ჯგუფია. ისინი, ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის და რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, სექსუალური ძალადობის მაღალი რისკის

ქვეშ იმყოფებიან; ბავშვები დაუცველი არიან როგორც შრომითი, ისე სექსუალური ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგისგან, პრობლემურია მათი ჯანდაცვისა და განათლების უფლებებზე ხელმისაწვდომობა.[909]

პრობლემად რჩება ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა გამოვლენა, მათთან კონტაქტის დამყარება, მათ დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, სერვისების მიწოდება, როგორც მათთვის, ისე მათი ოჯახებისთვის. მრავალ სისტემურ ხარვეზთან არის დაკავშირებული იმ ოჯახების გამოვლენა და პრევენციული ზომების მიღება, სადაც არსებობს საფრთხე, რომ ოჯახში მცხოვრები არასრულწლოვანი, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით ქუჩაში აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, საზოგადოებაში დამკვიდრებული არასწორი მიდგომა, ფულით დაეხმარონ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, ამ ბავშვების ქუჩაში ყოფნას კიდევ უფრო წაახალისებს და მათ მიმართ სათანადო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას ართულებს.

სახალხო დამცველის კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მომსახურება მატერიალურ-ფინანსური და ადამიანური რესურსის ნაკლებობას განიცდის, ასევე პრობლემურია დამატებითი მხარდამჭერი სერვისების არარსებობა და ცენტრების უმეტესობაში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები.

მოცემული მომენტისთვის „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა" ხორციელდება თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სეზონური მიგრაციის პირობებში, პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ, ბათუმში, სადაც მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა კვლავ არ ფუნქციონირებს.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილი სერვისები, 18 წლის შემდგომ, არ ითვალისწინებს ბენეფიციარებისთვის მომსახურების მიწოდებას, შესაბამისად, ბენეფიციარები, რომელთაც 18 წელი უსრულდებათ, კვლავ ქუჩაში აღმოჩენის, სიღარიბის, ძალადობისა და კრიმინალურ საქმიანობაში შესაძლო ჩართვის რისკის წინაშე დგებიან.

პრობლემურია საზოგადოების მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულება ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისა და მათი ოჯახების მიმართ. აღსანიშნავია, რომ

[909] შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით(კორესპონდენცია: MIA 8 20 00169078, 22/01/2020), 2018-2019 წლებში, სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის შესაბამისად, რაც არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმას გულისხმობს, გამოძიება დაწყებულია 16 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 1432 მუხლით, რაც არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგი) გულისხმობს - 12 სისხლის სამართლის საქმეზე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად (კორესპონდენცია: №04/43409, 14/08/19), 2014-2019 წლებში 47 მიუსაფარი ბავშვის მიმართ მოხდა ძალადობის იდენტიფიცირება და რეფერირება შესაბამის უწყებებთან.

ქუჩის ბავშვების პოპულაცია მრავალფეროვანია: საქართველოში ამ ჯგუფში ჭარბობენ ეთნიკური ქართველები, ბოშათა ენაზე მოსაუბრე ორი ჯგუფი, აზერბაიჯანელი ქურთები, სომეხი ლტოლვილების შვილები და სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შვილები.[910]

კვლავ იკვეთება სამართალდამცავი უწყების მხრიდან არასრულწლოვანთა შესაძლო ტრეფიკინგისა და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში იძულებით ჩართვის შემთხვევათა ეფექტიანი გამოვლენის საჭიროება და სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიყენოს ყველა შესაძლო რესურსი, მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენელთა, განსაკუთრებით, სოციალური მუშაკების გასაძლიერებლად, რათა ეს ბავშვები სარგებლობდნენ ძალადობისგან დაცვისა და მხარდაჭერის მაღალი სტანდარტით.

21.8. ბავშვის მიმართ ძალადობა

2019 წელს, წინა წლების მსგავსად, ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეთა შორის ჭარბობდა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, კერძოდ, საერთო შემთხვევათა 37,5% ბავშვის მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობას ეხებოდა. ქვეყანაში კვლავაც არაერთი სისტემური პრობლემაა გადასაჭრელი შემთხვევათა პრევენციის, დროული გამოვლენისა და ბავშვის მიმართ ძალადობის ეფექტიანი, ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული რეაგირების თვალსაზრისით.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისგან დაცვისა და დახმარების პროცესში კვლავ პრობლემად რჩება შესაბამისი უწყებების მიერ დროული და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება დაზარალებული ბავშვის გამოვლენისა და მსხვერპლი არასრულწლოვნის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრებისა და დანაშაულის პრევენციის მხრივ, მისასალმებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სასჯელის გამკაცრებასა და მათთვის გარკვეული უფლებების ჩამორთმევას ითვალისწინებს. [911]

საანგარიშო პერიოდში, კვლავ მაღალი იყო არასრულწლოვნის მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა რიცხვი. ამ

[910] გაეროს ბავშვთა ფონდი „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში". იხ. ანგარიში: <https://uni.cf/332LQ7n > [ბოლოს ნანახია: 19.12.19].

[911] კანონპროექტი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ; 07-2/318/9.

პერიოდში არასრულწლოვნის მიმართ სავარაუდო სექსუალური ძალადობის 262 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება, მათ შორის იყო არასრულწლოვნის გაუპატიურების 24 სავარაუდო შემთხვევა, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების 9 საქმე, სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების ერთი საქმე, გარყვნილი ქმედების 79 საქმე და თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის 149 საქმე.[912]

საყურადღებოა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არასრულწლოვნით ვაჭრობისა და არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება-გასაღების ქსელის გამოვლენა და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების დაკავება. გამოძიების თანახმად, აშშ-ის და ავსტრალიის მოქალაქეებს, თბილისში, ნაქირავებ ბინებში კონსპირაციულად ჰქონდათ მოწყობილი ფოტოსალონები და უცხოეთში რეალიზაციის მიზნით, დანაშაულებრივ საქმიანობაში, მშობლების თანხმობით და თანხის სანაცვლოდ, ჩაბმული ჰყავდათ 8-დან 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი გოგონები. ამ საქმიანობაში მათ ქართველი თანამზრახველები ეხმარებოდნენ. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა არასრულწლოვანი ბავშვების მშობლები და პედაგოგი. დაზარალებული არასრულწლოვნების უფლებების დაცვის მიზნით, ისინი ჩართეს ფსიქოსოციალური დახმარების სერვისებში.

კვლავ არაპროპორციულად მცირე და საჭიროებებზე ნაკლებად ორიენტირებული იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგთა რიცხვი, რომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ძალადობის მსხვერპლისა თუ ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთან მუშაობა. საანგარიშო პერიოდში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული იყო 13 ფსიქოლოგი, აქედან ორი თბილისში, ორი იმერეთის რეგიონში, დანარჩენი 9 კი სხვა რეგიონებში თითო-თითოდ იყო წარმოდგენილი. 2019 წელს 900-მდე არასრულწლოვანმა მიიღო ფსიქოლოგიური მომსახურება .[913]

მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო აქტივობების სახით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვების ინფორმირებულობის ასამაღლებლად, მიმდინარეობდეს შესაბამისი, მათ შორის, სქესობრივი ხელშეუხებლობის შესახებ სწავლება, რაც ამ დრომდე არ სრულდება.

ძალადობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

ძალადობის შემთხვევების დროული გამოვლენისა და რეაგირების კუთხით, კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების, განსაკუთრებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის

[912] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: MIA 3 20 00508869, 26/02/2020.

[913] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდეცია №07/402, 12/02/20.

საკითხი. სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივრების რაოდენობა ამ პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს.

მისასალმებელია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსმა ცალსახად დაადგინა ბავშვის ფიზიკური დასჯის ყველანაირი ფორმის აკრძალვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობა კონკრეტულად არ განსაზღვრავს პროპორციული და ეფექტიანი ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომებს ბავშვის სხეულებრივი დასჯის აკრძალვის თაობაზე.

სკოლაში ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის რეაგირების მექანიზმი, დისციპლინური სახდელები, დისციპლინური კომიტეტებისა და სამეურვეო საბჭოების საქმიანობა არ არის ორიენტირებული პრობლემის აღმოფხვრაზე, განსაკუთრებით, ბულინგის შემთხვევაში ბავშვის, როგორც ძალადობის მსხვერპლის და არასრულწლოვანი მოძალადის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე და მათ რეაბილიტაციაზე.

მოწოდებული ინფორმაციით,[914] სკოლებში მოსწავლეთა შორის ჩადენილ შესაძლო ძალადობის 1134, ხოლო 259 შემთხვევაში - სკოლის თანამშრომლის მხრიდან მოსწავლის მიმართ ჩადენილ შესაძლო ძალადობის ფაქტზე დაიწყო დისციპლინური წარმოება. სკოლების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფერირება განხორციელდა 198 შემთხვევაზე, რაც შეეხება რეფერირებას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, მიმართვა მოჰყვა 461 შემთხვევას. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში კი, 2019 წელს გადამისამართდა 3434 ახალი შემთხვევა. 61 შემთხვევაში გადამისამართების საფუძველი იყო ძალადობა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში რეფერირების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი თბილისზე, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებზე მოდის, ხოლო რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან რეფერირება სააგენტოში მხოლოდ ერთ შემთხვევაზე განხორციელებულდა. რეფერირების ძირითადი მიზეზები იყო: არასრულწლოვნის შესაძლო უგულებელყოფა, ადრეული ქორწინება/ადრეული ქორწინების რისკი, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური, ფიზიკური ძალადობა. [915]

2019 წელს სახელმწიფოს კვლავ არ ჰქონდა ძალადობის, კერძოდ, ბულინგის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება კვლავ

[914] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 0 20 00036163, 16/01/2020.

[915] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია № 07/402, 12/02/20.

არაერთგვაროვან ხასიათს ატარებს, არ იძლევა შემთხვევათა სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობას და ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

ოჯახში ძალადობა

ფაქტების დროული გამოვლენის, მათზე ადეკვატური რეაგირების, ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პრობლემები იკვეთება ბავშვის ოჯახში ძალადობისგან დაცვის კუთხითაც. კვლავ არ არსებობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის სერვისი, მინიმალურია მათთან ფსიქოლოგის ჩართულობა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2019 წელს ბავშვის მიმართ ძალადობის თაობაზე განხორციელდა 3881 მიმართვა, აქედან ოჯახში შესაძლო ძალადობას ეხებოდა 87 შეტყობინება,[916] ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წელს, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, სადაც მსხვერპლი არასრულწლოვანია, სულ 740 შემაკავებელი ორდერი გამოიცა.[917]

კვლავ გადაუჭრელი რჩება ბავშვის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ გათვალისწინების საკითხი ორივე მშობელთან ურთიერთობის უფლების თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევებში, უკიდურესად გართულებულია ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან სხვა ოჯახის წევრის ურთიერთობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან, პრობლემურია ამ პროცესში მშობლების მიერ არასრულწლოვანი შვილების მიმართ განხორციელებული შესაძლო ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენა და მასზე ჯეროვანი რეაგირება.

21.9. თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვნები, მიმღებ ქვეყნებში არსებული ენის ბარიერისა და სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობის, მათ შორის ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და განათლების სერვისებზე წვდომის შეზღუდვის გამო, სხვადასხვა სახის უფლებადარღვევის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ისინი ძალადობისა და ექსპლუატაციის საფრთხის წინაშე დგანან, განსაკუთრებით ის ბავშვები, რომლებიც დოკუმენტაციისა და თანმხლები პირის გარეშე გადაადგილდებიან. სიღარიბე და სოციალური მარგინალიზაცია მათი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა.

---

[916] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია № 07/402, 12/02/20.

[917] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 3 20 00508869, 26/02/2020.

საერთაშორისო თუ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მის ტერიტორიაზე მყოფი თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანი პირის უფლებები, შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, შეაფასოს მის ტერიტორიაზე დაბადებულ ბავშვს აქვს თუ არა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა. ბავშვმა, რომლის მშობლებიც უცნობია და მოქალაქეობის არქონის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება, უნდა ისარგებლოს სპეციალური დაცვით. საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვნები, როგორც ყველა ბავშვი, უნდა სარგებლობდნენ სოციალური უზრუნველყოფის სიკეთეებით, ჯანდაცვის სერვისებით, დაწყებითი და საშუალო განათლების ხელმისაწვდომობით. უპირატესად, კი სახელმწიფომ ეფექტიანი მექანიზმების მეშვეობით, უნდა დაიცვას ისინი ნებისმიერი სახის ძალადობისგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.

2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში 192 თავშესაფრის მაძიებელი, 378 საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვანი პირი იყო რეგისტრირებული.[918] სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით,[919] 2016 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 25 ოქტომბრამდე, არასრულწლოვანთათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ წარდგენილი 28 განაცხადიდან 19 განსახილველი დარჩა, 4 დადებითად გადაწყდა, 4 - უარყოფითად, ხოლო ერთს კვლავ განიხილავდნენ.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული კორესპონდენციის თანახმად,[920] 2016-2019 წლებში კონტაქტი დამყარდა სულ 12 არასრულწლოვანთან, მათგან, 6 არასრულწლოვანისთვის მომზადდა საჭირო დოკუმენტი, სამი მათგანისთვის მომზადდა თავშესაფრის მაძიებლის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, ორ მათგანს ჰქონდა ჰუმანიტარული სტატუსი და მათ სოციალურმა მუშაკმა ვადის გასვლის შემდეგ აუღო ახალი მოწმობები, ერთი არასრულწლოვნისთვის კი, მომზადდა ლტოლვილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ 12 არასრულწლოვანთაგან ორი სახელმწიფო მზრუნველობაში, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსდა, ხოლო ერთი არასრუწლოვანი სსიპ ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში იმყოფებოდა. მისთვის მომზადდა თავშესაფრის მაძიებლის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, შემდგომში კი, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, ზოგადი განათლების მიღებაში ხელის შესაწყობად, საქართველოში

[918] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; კორესპონდენცია MIA 2 20 00784006; 31/03/2020

[919] სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კორესპონდენცია: №01/318423, 12 / 11 / 2019.

[920] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია: №04/60185, 19/11/2019.

თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე 6 წლიდან 18 წლამდე ასაკის პირებისთვის, ქართული ენის შესწავლას უზრუნველყოფს. ეს მოსწავლეები სსიპ ქალაქ თბილისის №81 საჯარო სკოლაში ჩაირიცხებიან.

ცხრილი №1 სსიპ ქალაქ თბილისის №81 საჯარო სკოლის სტატისტიკური ინფორმაცია პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების თაობაზე[921]



ზემოაღნიშნული სტატისტიკა და ქვეყანაში ბავშვთა სოციალური დაცვის სისტემაში არსებული ხარვეზები, მათ შორის, პროგრამების სიმცირე, ბავშვთა მხარდამჭერი პროფესიონალების არასაკმარისი რაოდენობა, ბავშვთა ფსიქოსოციალური დაცვის და მხარდაჭერის სისტემის გამოწვევები, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი არასრულწლოვნის, მათ შორის საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელი და მოქალაქეობის არმქონე ბავშვების უფლებების განუხრელ დაცვასა და რეალიზებას, ვერ უზრუნველყოფს. განსაკუთრებით, როდესაც ისინი დაცვისა და მხარდაჭერის განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებენ.

21.10. არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისგან

ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვა გულისხმობს ბავშვის სოციალური გარემოს უარყოფითი ფაქტორებისა და ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან დაცვას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნისა და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე[922].

აზარტულ და მომგებიან თამაშობებში არასრულწლოვნის ჩართვა მავნე ზეგავლენის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევა და აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, 18

[921] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია: MES 4 19 01502340, 04/11/2019.

[922] ბავშვის უფლებათა კოდექსის 62-ე მუხლი.

წლამდე ასაკის პირისათვის – სათამაშო აპარატების სალონსა და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილას შესვლა ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ თამაშობაში) მონაწილეობა აკრძალულია, ისევე როგორც, 18 წლამდე პირზე ლატარიის ბილეთის გაყიდვა ან/და სხვაგვარი გავრცელება და მოგების გაცემა.[923]

2019 წელს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ერთ-ერთი მიმართულება იყო აზარტულ თამაშებზე მავნე დამოკიდებულების პრევენცია[924], მაგრამ ეს მიმართულება ორიენტირებულია მხოლოდ ზოგადი ცნობიერების ამაღლებაზე. პრევენციის კომპონენტი არ მოიცავს არასრულწლოვნებში სამიზნე ჯგუფების გამოვლენის კონკრეტულ ღონისძიებებს და მათ მიმართ ინდივიდუალურ და კონკრეტულ საჭიროებებზე ორიენტირებული პრევენციული ქმედებების განხორციელებას.

პრაქტიკაში არასრულწლოვანთა აზარტულ თამაშებში ჩართვისაგან დაცვასა და აზარტული თამაშებისგან დაზარალებულ ბავშვთა რეაბილიტაციას ბევრი ფაქტორი აბრკოლებს. მათგან უმთავრესია ის გარემოება, რომ ეროვნულ დონეზე არ გვაქვს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც ეფექტიანად უზრუნველყოფდა მოზარდთა დაცვას აზარტული თამაშებისგან. ასევე დაურეგულირებელია და არასრულწლოვნებთან მიმართებით ვერ კონტროლდება აზარტული თამაშების რეკლამირების საკითხი.

სახელმწიფო არც იმ ფაქტს უწევს კონტროლს, რომ არასრულწლოვნებს დაუბრკოლებლად მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა ტიპის აზარტულ და, მათ შორის, ონლაინ-თამაშებზე. არ არსებობს შესაბამისი სარეაბილიტაციო სერვისები, რომლებიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ არასრულწლოვნებს ამ მავნე ზეგავლენისგან გათავისუფლებაში დაეხმარებოდა.

21.11. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო საოკუპაციო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი

[923] „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[924] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილება „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ", 2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, მუხლი 10.

მდგომარეობა. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ეს საკითხი შეისწავლა ცხინვალის რეგიონის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში.[925]

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს აქვთ არაერთი საჭიროება განათლების უფლების ეფექტიანად განხორციელების, სოციალური ინტეგრაციის, ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიან სერვისებზე ხელმისაწვდომობის, ფსიქოსოციალური კეთილდღეობისა და ცხოვრებისა და აღზრდის სათანადო დონის უზრუნველყოფის კუთხით.

გამყოფი ხაზის მიმდინარე სოფლებში ბავშვები ჩართული არიან ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ადგილზე არაფორმალური შემეცნებითი აქტივობების არარსებობის გამო, რასაც მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემებიც ემატება, არასრულწლოვნები სოციუმში სათანადოდ არ არიან ინტეგრირებულნი. შესაბამისად, მათთვის არ არის შექმნილი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების სრულფასოვანი განხორციელებისთვის სათანადო პირობები, არ არის შეთავაზებული არაფორმალური განათლების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის, სპორტული, სახელოვნებო და კლასგარეშე აქტივობები. ასევე შეიძლება ითქვას, რომ არათანმიმდევრულია და არაერთგვაროვანი მუნიციპალიტეტების მიდგომა ბავშვთა საჭიროებების უზრუნველყოფის კუთხითაც.

სოფლების ნაწილში არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, მოქმედ ბაღებსა და სკოლებში მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა და სასწავლო-სააღმზრდელო გარემო. სკოლებში უმეტესად არ აქვთ ბუფეტი, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი. სოფლების დიდ ნაწილში არ მოქმედებს ადგილობრივი ამბულატორიები, რაც ბევრ პრობლემას უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის და, განსაკუთრებით, ბავშვების, ჯანმრთელობის უფლების რეალიზებას.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბავშვებსა და მოსახლეობაში კვლავ მაღალია ომის შემდგომი სტრესული მდგომარეობა; ამას ემატება შესაძლო კონფლიქტური სიტუაციით გამოწვეული შიში და დაძაბულობა, რაც ადვილად შეიძლება გახდეს ამგვარად მოწყვლადი მოსახლეობის განმეორებითი ტრავმის გამომწვევი ფაქტორი. ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროება იკვეთება როგორც ბავშვებში, ისე მათ მშობლებსა და პედაგოგებში. შესაბამისად, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ბავშვების საჭიროებების უზრუნველსაყოფად, პასუხისმგებელმა უწყებებმა უფრო აქტიური და ეფექტიანი ღონისძიებები უნდა გაატარონ.[926]

---

[925] სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონიტორინგის განახორციელეს გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ნიქოზი, ფლავი, ფლავისმანი, ერგნეთი, მერეთი, ზარდიანთკარი; ასევე ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანსა და ტახტისძირში.

[926] გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის დეტალური შედეგები აისახება საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სუიციდის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების, სტრატეგიული ხედვისა და სამოქმედო გეგმის მომზადებაზე
- სრულწლოვანების ასაკს მიღწეული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ბენეფიციარებისთვის შემუშავდეს მხარდაჭერისა და ზრუნვის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების უფლებრივი მდგომარეობის დაცვას, მათ ინტეგრაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას
- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის კონცეფციაზე დაყრდნობით, მოკლე ვადებში შეიქმნას შესაბამისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისი
- ოჯახში ძალადობის კუთხით პასუხისმგებელ უწყებებს შორის თანამშრომლობის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, დაინერგოს რეფერირების მექანიზმის შეფასების ინსტრუმენტი
- არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვისა და აზარტული თამაშების პრევენციის უზრუნველსაყოფად, კონკრეტული უწყებების ჩართულობით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და დაიწყოს მუშაობა შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების ინიცირებაზე
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მოხდეს ფორმალური და არაფორმალური განათლების, სოციალური კეთილდღეობის, ჯანდაცვისა და ფსიქოსოციალური მომსახურების ხელშემწყობი სერვისების დანერგვის ინიცირება, მათ შორის, გაიზარდოს საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სოფლის ამბულატორიების რაოდენობა, მოწესრიგდეს სასკოლო და სპორტული ინფრასტრუქტურა; სოფლებში მცხოვრები ბავშვებისა და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ფსიქოლოგის მომსახურება
- დაინერგოს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ" მთავრობის დადგენილების მონიტორინგის მექანიზმი, რაც საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მისცემს შესაძლებლობას, დროულად გამოავლინონ დარღვევის ფაქტები.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- მოხდეს რთული ქცევის, ტრავმული გამოცდილებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ

საჭიროებებზე მორგებული ფსიქოსოციალური და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავების ინიცირება

- ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების სრულფასოვანი განხორციელების მიზნით, რელიგიური კონფესიების პანსიონებში ჩარიცხული ბენეფიციარების უფლებრივი მდგომარეობის დასაცავად, თითოეულ ბავშვთან დაიწყოს ინდივიდუალური მუშაობა, განისაზღვროს ბავშვების ალტერნატიულ სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების ყველაზე ეფექტიანი ფორმები
- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოში მოქმედი თითოეული არალიცენზირებული რელიგიური სკოლა-პანსიონის გამოსავლენად და უზრუნველყოფილ იქნეს მათი ლიცენზირებისა თუ კანონით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება
- სხვა რელიგიურ სკოლა-პანსიონებთან ერთად, განსაკუთრებით გაძლიერდეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში ეფექტიანი შიდა მონიტორინგი. ამასთან, გატარდეს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სახალხო დამცველის აპარატს, განახორციელოს აღნიშნულ პანსიონში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის სრული მონიტორინგი
- სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი, ძალადობის მსხვერპლი თითოეული არასრულწლოვნის შემთხვევაში, დაიგეგმოს კონკრეტული სარეაბილიტაციო, თერაპიული აქტივობები და ძალადობის თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით მიღებული იქნეს კონკრეტული გადაწყვეტილება ბავშვების უსაფრთხოებისა და უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მიზნით. ძალადობის შემთხვევაში, განხორციელდეს ბავშვთან მომუშავე პირების მიერ რეფერირების პროცედურების აღსრულების მუდმივი მონიტორინგი
- გადაიხედოს ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის დაძლევის პოლიტიკა იმგვარად, რომ შეფასდეს ამჟამად არსებული სოციალური პროგრამები და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად დაიგეგმოს უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის ეფექტიანი, სიღარიბის პრევენციასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისები
- მოხდეს შვილად აყვანის პროცესში საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება ბავშვის შეთავაზების წესის საკითხზე, კერძოდ, შეთავაზების საფუძველს წარმოადგენს არა მხოლოდ რეესტრში არსებული რიგითობა, არამედ ბავშვის საჭიროებები და საუკეთესო ინტერესი
- შვილად აყვანის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკები ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები სისტემურად გადამზადნენ ბავშვთა უფლებებისა და ინიდივიდუალური საჭიროებების, ბავშვის რთული ქცევის მართვისა და პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით

- სოციალური მუშაკებისა და შვილად აყვანის საკითხებზე მომუშავე პროფესიონალებისთვის შემუშავდეს შესაბამისი სფეროს სახელმძღვანელო პრინციპები და სარეკომენდაციო მითითებები; სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში გაიწეროს ბავშვთან გასაუბრებისა და შეფასების წესი
- მეურვეობა-მზრუნველობის ცენტრალურ და ტერიტორიულ ორგანოებში, ბავშვთან შეხვედრისა და გასაუბრებისთვის, მოეწყოს მის საჭიროებებზე მორგებული, კეთილსაიმედო ადაპტირებული გარემო
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით" გათვალისწინებულმა მომსახურებამ მოიცვას აჭარის რეგიონი. არსებული მომსახურება გაძლიერდეს ფინანსური და ადამიანური რესურსით. შეფასდეს მობილური ჯგუფების საქმიანობის ხარისხი და შემუშავდეს შეფასების ეფექტიანი ფორმა, რომლის საშუალებითაც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე თითოეულ ბავშვზე განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროებები და რისკები
- უზრუნველყოფილ იქნეს ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახების ადრეული გამოვლენა. მიეწოდოთ მათ დროული და ეფექტიანი სერვისები
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ოჯახებისა და მშობლებისთვის შემუშავდეს და დაინერგოს დამატებითი სერვისები, როგორც მათი გადაუდებელი მატერიალური მხარდაჭერისთვის, ისე აუცილებელი უნარ-ჩვევების განსავითარებლად, აგრეთვე, დასაქმების მოტივაციის ასამაღლებლად და შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად
- გადაიდგას ნაბიჯები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისადმი საზოგადოების ცნობიერებისა და მგრძნობელობის ასამაღლებლად. დაიგეგმოს საინფორმაციო კამპანიები შესაბამის თემებზე, მათ შორის, ქუჩაში ბავშვისათვის მოწყალების გაღების, ამ ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებების საკითხებზე
- მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბენეფიციარებს18 წლის შესრულების შემდეგ, მიეწოდოთ შესაბამისი მომსახურება
- გაძლიერდეს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ცენტრები როგორც ადამიანური, ისე ტექნიკური და ფინანსური რესურსით. გაიზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა
- დაინერგოს ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების, შეფასების პროცესის, არსებული ინსტრუმენტის და შეფასების კრიტერიუმების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, არსებული ხარვეზებისა და არასათანადო რეაგირების გამოსავლენად/თავიდან ასაცილებლად
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლ თითოეულ ბავშვთან მუშაობის საწყის ეტაპზევე ჩაერთოს ფსიქოლოგი და დაიგეგმოს არასრულწლოვნის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროცესი.

- უზრუნველყოს საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის სისტემური შეფასება, გამოავლინოს მათი უფლებების დარღვევა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მათზე მოახდინოს სათანადო რეაგირება
- უზრუნველყოს საქართველოში მყოფ საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სახელმწიფო სერვისებში დროული ჩართვა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- შეიმუშაოს სკოლებში სუიციდის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გამოვლენის მეთოდოლოგია და მათი ინდივიდუალური საჭიროების გამოვლენის გზით მოხდეს რეფერირება, იმგვარად რომ უზრუნველყოფილი იყოს სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის მომსახურება.
- სკოლებში, ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსდეს ინფორმაცია უფლებადაცვითი მექანიზმებისა და მათი საკონტაქტო მონაცემების შესახებ
- სკოლებში ბავშვებთან მომუშავე პერსონალს აქტიურად ჩაუტარდეს ტრენინგები და გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკების, ბავშვთა რთული ქცევის მართვის საკითხებში
- შემუშავდეს პანსიონური მომსახურების ერთიანი სტანდარტი და დაინერგოს აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი
- შემუშავდეს სკოლის მიტოვების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვისა და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგია და სტანდარტი
- მულტიდისციპლინურმა გუნდმა დროულად შეაფასოს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო საჭიროებები და მათთვის უზრუნველყოს სპეციალური პედაგოგის ხელმისაწვდომობა
- საქართველოში მყოფ საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთათვის ზოგადი განათლების მიწოდებისას, უზრუნველყოს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა
- გაიზარდოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების რაოდენობა და გაძლიერდეს უკვე არსებულის შესაძლებლობები.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- სპეციალური პენიტენციური სამსახურის №11 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნების ინტერესების შესაბამისად, დაიგეგმოს ეფექტიანი სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამები,

რომლებიც მიმართული იქნება მათი უნარების, ინტერესების, მოტივაციის გაძლიერებაზე და ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში სათანადო ინტეგრაციას

- გაძლიერდეს თანამშრომლობა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან არასრულწლოვნების საგანმანათლებლო საჭიროებების უგულებელყოფის შემთხვევებში, არასრულწლოვნების ინტერესებისა და უფლებრივი მდგომარეობის დროულად დაცვის მიზნით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს:

- შემუშავდეს დოკუმენტი წყლის ვარგისიანობის შემოწმების წესისა და მისი პერიოდულობის განსაზღვრის შესახებ, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის, ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთიანი სტანდარტის დანერგვის მიზნით.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- მუნიციპალიტეტებმა აღრიცხონ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, მათი ინდივიდუალური საჭიროებები, შეაფასონ ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე ბავშვთა სიღარიბის დაძლევის კუთხით არსებული პროგრამების ეფექტიანობა და დაგეგმონ იმგვარი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილობრივად ბავშვთა სიღარიბის პრევენციას
- მუნიციპალიტეტებმა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყონ მიზნობრივი სერვისების მიწოდება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, მათ შორის, სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის, ასევე, ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩართვის რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახებისთვის.
- გატარდეს სათანადო ღონისძიებები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა შენობების ინფრასტრუქტურული და ფუნქციური მოწყობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მისასადაგებლად
- გამოიყოს სათანადო სახსრები საბავშვო ბაღებში ადამიანური და ფინანსური რესურსების გასაზრდელად
- უზრუნველყოფილ იქნეს საბავშვო ბაღში დასაქმებულ პირთა რეგულარული პროფესიული გადამზადება
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები აღიჭურვოს საჭირო ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და სათამაშოებით
- მუნიციპალიტეტებმა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყონ აღრიცხვა და მიზნობრივი სერვისების მიწოდება საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა და მათი ოჯახებისთვის

- მუნიციპალიტეტებმა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყონ საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთათვის სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა.

22. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

22.1. შესავალი

2019 წლის განმავლობაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით, არსებითი ხასიათის ცვლილებები არ შეინიშნება. სახალხო დამცველს ყოველწლიურად ერთსა და იმავე საკითხებზე უწევს ყურადღების გამახვილება, რადგან გასული წლების ანგარიშებში ასახული რეკომენდაციები ძირითადად არ შესრულებულა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის[927] განსახორციელებლად. არც ამ პროცესის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება[928] განსაზღვრულა. საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება.

კვლავ აქტუალურია გაეროს კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხი. 2020 წლის თებერვალში პარლამენტს წარედგინა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" კანონის პროექტი. დოკუმენტი ხარვეზიანია. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემუშავების პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე მოამზადა მოსაზრებები/კომენტარები, ისინი მასში მხოლოდ მინიმალურად აისახა, რის გამოც, სახალხო დამცველმა კანონპროექტისა და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს.

2019 წლის განმავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა შშმ პირთათვის სივრცის მოწყობის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის გადახედვის და კონვენციასთან ჰარმონიზაციის პროცესი. 2019 წელს ასევე მომზადდა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

2019 წელს, შშმ პირთა საჭიროებებზე მიმართული პროგრამების დაფინანსების ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა პროგრამით მოსარგებლე პირთა (მათ შორის, შშმ ბავშვთა) რაოდენობა. გამოწვევად რჩება მომსახურების მომლოდინეთა რიგების არსებობა და ცალკეული ქვეპროგრამებით გათვალისწინებული სერვისის ხარისხი.

---

[927] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2CqO7wZ >[ბოლოს ნანახია: 20.01.2020].

[928] არსებული ინფორმაციით, 2020 წელს იგეგმება საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს სტრუქტურის განახლება, რომლის ფარგლებშიც უნდა ჩამოყალიბდეს კონვენციის განხორციელებისა და შშმ პირთა საკითხების კოორდინაციის ეროვნული მექანიზმი.

სახელმწიფო კვლავ ვერ უზრუნველყოფს ზრდასრულ შშმ პირთა მისაწვდომას რეაბილიტაციაზე.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში გატარებული ღონისძიებები, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების უფლებების დასაცავად, საკმარისი არ არის. კვლავ მცირეა სათემო სერვისების რაოდენობა და გეოგრაფიული დაფარვის არეალი. არ შექმნილა სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია.

საანგარიშო პერიოდში ვითარება არ გაუმჯობესებულა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების რეალიზების კუთხით. ძირითადად უცვლელია რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების ეფექტიანად ფუნქციონირებისა და ამ პროცესში შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობის კუთხით არსებული პრობლემები. გამოწვევად რჩება ხარისხიანი ინკლუზიური განათლება სწავლების ყველა საფეხურზე, ასევე, შშმ პირთა დასაქმების საკითხი.

22.2. აბილიტაცია და რეაბილიტაცია

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის" ბიუჯეტების ზრდის დადებითი ტენდენციის მიუხედავად[929], 2019 წელს იკლო მიზნობრივი ქვეპროგრამებით მოსარგებლე შშმ პირთა (მათ შორის, შშმ ბავშვთა) რაოდენობამ. კვლავ გამოწვევად რჩება ქვეპროგრამით სარგებლობის მომლოდინე ბენეფიციართა რიგების არსებობა[930] და ცალკეული ქვეპროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ პირთა საჭიროებებზე გათვლილი მიზნობრივი სერვისების დიდი ნაწილი სრულად ვერ ფარავს რეგიონებს და ქვეყნის მასშტაბით არსებულ მოთხოვნებს.

[929] „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის" ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა და 2019 წლისათვის 35 890 000 ლარი შეადგინა.

[930] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია №01/1451 (06.02.2020).



დადებითად უნდა შეფასდეს ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლად 2018-2019 წლებში 10 ახალი ორგანიზაციის დარეგისტრირება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მომსახურების მომლოდინე ბენეფიციარების რაოდენობა კვლავ დიდია.[931]

სახელმწიფო პროგრამით სარგებლობისას, გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან სმენის შეზღუდვის მქონე პირები. კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტში პროგრამას ჰყავს 44 მომლოდინე, ხოლო მოსარგებლე - 33 პირი. გარდა ამისა, არსებული მდგომარეობით, არ ხდება მოსარგებლეების უზრუნველყოფა კოხლეარული იმპლანტის პროცესორით, რაც აბრკოლებს დამხმარე საშუალების გამოყენებით მიღწეული შედეგის შენარჩუნებას და მდგომარეობის გაუარესებას იწვევს.

რამდენიმე მუნიციპალიტეტი ფრაგმენტულად აფინანსებს კოხლეარული იმპლანტის, მეტყველების პროცესორის სახარჯ საშუალებებს (სადენი, ელემენტები, სხვა), რაც, ბუნებრივია, სმენის პრობლემების მქონე ყველა პირისთვის არ არის მისაწვდომი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო პროგრამამ სრულად უზრუნველყოს დასახელებული კომპონენტით სარგებლობა.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი - ყრუ და სმენის არმქონე შშმ პირთა ვიდეო კონფერენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური საშუალებით (სმარტფონი) უზრუნველყოფა, თუმცა აღნიშნული კომპონენტით გათვალისწინებულ ტექნიკურ საშუალებას 2019 წლის

[931] ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მომლოდინე ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენს 814 პირს.

მონაცემით, 21 ადამიანი ელოდება. სახელმწიფო პროგრამა სმენის აპარატით უზრუნველყოფის პარალელურად, არ ითვალისწინებს სმენის რეაბილიტაციას.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის ბიუჯეტი.[932] მომსახურების მიმღებთა ლიმიტის ზრდის მიუხედავად, ქვეპროგრამას სერვისის ათეულობით მომლოდინე ჰყავს.[933] დაბალია დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი კომპონენტის ნაწილში ჩართულ პირთა რაოდენობა.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამის კომპონენტებში, დღემდე არ არის უზრუნველყოფილი რთული ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების სამიზნე ჯგუფად გათვალისწინება და მათთვის საჭირო სერვისის მიწოდება. არსებული ინფორმაციით, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საპილოტე რეჟიმში, თბილისში 2019 წლის სექტემბრიდან საქმიანობა დაიწყო სოციალურ-პედაგოგიურმა ცენტრმა, „კომპასი". მას შემდეგ, რაც შეფასდება ცენტრის მომსახურების ეფექტიანობა, განისაზღვრება მსგავსი მომსახურების დაფინანსება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში.[934] გასათვალისწინებელია, რომ პროექტით ლიმიტირებულია სერვისის მოქმედების არეალი, მოსარგებლე პირთა წრე და შესაბამისი საჭიროების მქონე ბენეფიციართა ასაკი. საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და რთული ქცევის მქონე ბავშვები კვლავ აუცილებელი თერაპიისა და რეაბილიტაციის გარეშე არიან დარჩენილები.

სახელმწიფო კვლავ ვერ უზრუნველყოფს რეაბილიტაციის სერვისზე ზრდასრული შშმ პირების წვდომას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა ქვეპროგრამის შესაქმნელად

[932] მცირედ გაიზარდა შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტში ბენეფიციართა დღიური მომსახურების თანხა. შედარებით ხელშესახები, 30 ლარამდე ზრდა იყო ქვეპროგრამის შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტში (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია №01/1451 (06.02.2020).

[933] სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის 70 მომლოდინე.

[934] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია №01/1451 (06.02.2020).

გარკვეული ნაბიჯების გადადგმა,[935] ზრდასრული შშმ პირები კვლავ ვერ სარგებლობენ მათთვის აუცილებელი მომსახურებით.[936]

2019 წლის განმავლობაში „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში თითოეული ქვეპროგრამისთვის გამოყოფილ და გახარჯულ თანხებს შორის სხვაობის შესახებ მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მთლიანად პროგრამაში გაუხარჯავი რჩება ბიუჯეტით გათვალისწინებული რამდენიმე მილიონი ლარი.[937] აღნიშნული წარმოშობს ვარაუდს, რომ პროგრამები საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული მიდგომით არ იგეგმება.

შშმ პირთა დღის ცენტრები

საანგარიშო პერიოდში გამოწვევად რჩება დღის ცენტრების მომსახურების საჭიროების მქონე ყველა პირის მოცვა ქვეყნის მასშტაბით.[938] სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2019 წელს ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ სერვისით მოსარგებლე პირთათვის (მათ შორის, ბავშვთათვის) ვაუჩერის გაგრძელების პროცესში არსებული ხარვეზები, სერვისის არათანაბარი გეოგრაფიული მოცვა და, რიგ შემთხვევებში, სერვისის დაბალი ხარისხი, უარყოფითად აისახება მომსახურებაში ჩართულ შშმ პირთა (მათ შორის, ბავშვთა) რაოდენობაზე.

---

[935] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენციის თანახმად №01/1451 (06.02.2020), ზრდასრულ შშმ პირთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესამუშავებლად და დასაგეგმად, ემორის უნივერსიტეტმა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - USAID-ის მხარდაჭერით პარტნიორ ორგანიზაციებთან (კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის", თსსუ, კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის) ერთად 2018 წელს დაიწყო საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის პროფესიის გაძლიერების, სპეციალისტების გადამზადების, მომსახურების გაუმჯობესების, შშმ პირებისათვის დამხმარე და ტექნოლოგიური საშუალებების ხელმისაწვდომობისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობას. პროექტს ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 19 ნოემბრის № 01-1301/ო ბრძანებით შექმნილი მმართველი საბჭო. მიმდინარე პერიოდში თემატური სამუშაო ჯგუფები აქტიურად მუშაობენ რეაბილიტაციის თემატიკასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების შესახებ. ამასთანავე, მიმდინარე წლის თებერვლიდან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინიციატივით, საქართველოში დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა მიზანსაც საქართველოში რეაბილიტაციის სიტუაციური შეფასების ჩატარება და რეაბილიტაციის სტრატეგიული გეგმისა და მონიტორინგის ჩარჩოს შემუშავება წარმოადგენს.

[936] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცნობით, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, 2020 წლისთვის დაგეგმილია ზრდასრულებისთვის მხოლოდ სარეაბილიტაციო საჭიროებებისა და სერვისის განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა.

[937] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი №04/65091 – 23.12.2019.

[938] შემცირდა წინა წელთან შედარებით დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის მომლოდინე პირთა რაოდენობა. 2018 – 116 შშმ ბავშვი და 77 შშმ პირი. 2019 წელს - 100 შშმ ბავშვი და 7 შშმ პირი.

2019 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტის 2 483 300 ლარით ზრდის მიუხედავად, არ მოხდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისება[939], რაც არასწორ განაწილებაზე მიუთითებს. ქვეპროგრამას, ცალკეულ რეგიონებში კვლავ აქვს მომლოდინეთა რიგები. გარდა ამისა, ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებული დაფინანსების სიმწირის გამო, ვერ ხერხდება ცენტრების გამოცდილი და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს შშმ პირთა დღის ცენტრებში ჩატარებული მონიტორინგის[940] შედეგად, აღმოჩნდა, რომ მომსახურების მიმწოდებლების ნაწილი სათანადოდ არ ასრულებს სახელმწიფო პროგრამითა და სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. არსებული სტანდარტი ცვლილებებს საჭიროებს, კერძოდ, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამასთან, ასევე, მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან[941] შესაბამისობაში მოყვანას.

მონიტორინგმა, სერვისის სხვა ხარვეზებთან ერთად, გამოავლინა, რომ ბენეფიციარებს არ მიეწოდებათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციონალურ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებზე მორგებული მომსახურება. მწვავედ გამოიკვეთა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი, განსაკუთრებით, რეგიონებში, ასევე, ძალადობის გამოვლენის, კვალიფიცირებისა და რეაგირების მხრივ არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები. პრობლემას წარმოადგენს დღის ცენტრების ფიზიკური გარემო, რომლის გარე და შიდა ინფრასტრუქტურა არ არის სრულად მისაწვდომი შშმ პირებისთვის. სახელმწიფო დროულად არ აახლებს ვაუჩერს, რაც იწვევს სერვისის წყვეტას თვეების განმავლობაში.

22.3. განათლების უფლება

ხარისხიანი ინკლუზიური განათლების რეალიზება კვლავ გამოწვევად რჩება როგორც ადრეული და სკოლამდელი აღზრდის, ისე ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე.

ადგილობრივი თვითმმართველობებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ პრობლემაა ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კუთხით არსებული საჭიროებების სრულყოფილად შესწავლა, შესაბამისი ფინანსური სახსრების მობილიზება, ინფრასტრუქტურის/სასწავლო რესურსების მისაწვდომა, ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის[942] სკოლამდელი აღზრდის პროცესში ჩართვა და არსებული პერსონალის

[939] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი №04/65091 – 23.12.2019. N15855/19.

[940] მონიტორინგი ჩაატარა შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტმა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მონაწილეობით, 2019 წლის 30 ოქტომბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, თბილისსა და რეგიონებში მდებარე 26 დღის ცენტრში.

[941] მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

[942] მაგ.: სპეციალური პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი და სხვ.

გადამზადება.[943] მიუხედავად „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დაწესებული მოთხოვნისა, საკონსულტაციო საბჭო ფუნქციონირებს მხოლოდ 22 მუნიციპალიტეტში.[944]

საანგარიშო პერიოდში მომზადდა „სკოლამდელი განათლების საფეხურიდან ზოგადი განათლების საფეხურზე დაწყებითი განათლების საფეხურზე ტრანზიციის მოდელის" სამუშაო ვერსია, ასევე, „ადრეული ინკლუზიური განათლების ჩარჩო დოკუმენტის" სამუშაო ვერსია.[945] შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროცესების დაჩქარება, ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლების კუთხით უწყებებს შორის კომპეტენციათა დროულად გასამიჯნად და საკითხების დეტალურად მოსაწესრიგებლად.

აღსანიშნავია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილება.[946] კერძოდ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ვალდებულებად განისაზღვრა ბავშვისთვის საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, ბავშვისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებებით მიწოდება.[947] ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 1 ივნისი.

რაც შეეხება ზოგად განათლებას, 2 100 საჯარო სკოლიდან, ინკლუზიური განათლება მხოლოდ 1 400-მდე სკოლაში დაინერგა.[948] სერიოზულ პრობლემად რჩება ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების მოძიება და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა. დღეის მდგომარეობით, სსსმ მოსწავლეები ირიცხებიან საჯარო სკოლების მხოლოდ 67%-ში.[949] გამოწვევას წარმოადგენს როგორც ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ, ისე სასწავლო პროცესში ჩართულ შშმ მოსწავლეებთან დაკავშირებით დეტალური სტატისტიკის წარმოება.

---

[943] გადამზადების კუთხით, პოზიტიურად უნდა შეფასდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება ყველა არსებული ბაგა-ბაღის აღმზრდელ-თანაშემწეებთან. პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა ასპინძის მუნიციპალიტეტში ჩაატარა ტრენინგი შშმ აღსაზრდელთა სათანადო მიდგომების შესახებ. 2019 წელს ასევე ჩატარდა ინკლუზიური განათლების ტრენინგი დედოფლისწყაროში ბაგა-ბაღების თანამშრომელთათვის (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე) და გაერთიანების მეთოდისტებისთვის.

[944] სახალხო დამცველის აპარატს აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ 43 მუნიციპალიტეტიდან მოეწოდა. ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტები საკონსულტაციო საბჭოს შექმნას ძირითადად 2020 წელს გეგმავენ.

[945] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 2 20 00016464-10.01.2020.

[946] კანონის ცვლილება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39ad7Xw > [ბოლოს ნანახია: 10.03.2020]

[947] „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 17, ნაწილი 2, პუნქტი ვ. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2ttUZZh> [ბოლოს ნანახია 10.03.2020].

[948] „ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესება". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევა. გვ. 18.

[949] იქვე, გვ. 16.

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია[950] 2019 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში, „ინკლუზიური განათლება საპილოტე საჯარო სკოლებში"[951], ასახული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. შემოწმების შედეგები ცხადყოფს, რომ სკოლებში კვლავ გამოწვევად რჩება მოსწავლეთა რთული ქცევის მართვის შესაბამისი მექანიზმების დანერგვა, სკოლების გარე და შიდა ინფრასტრუქტურის/სასწავლო რესურსების მისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების დაქირავება და მათი სათანადო ანაზღაურება, სსსმ (შშმ) მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის სკოლების პერსონალისა და მშობლების სათანადო მზაობა, დაწესებულებების გარე და შიდა მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, ყველა სკოლაში არ გაუწერიათ ინკლუზიური განათლების დანერგვის/განხორციელების სამოქმედო გეგმა, რაც, თავის მხრივ, აბრკოლებს ერთიანი ხედვის შემუშავებას და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე,[952] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ინკლუზიური განვითარების სამმართველომ შეიმუშავა „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმში" შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198[1] მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით, მოსწავლის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მიმართვას ითვალისწინებს.[953]

რაც შეეხება სპეციალიზებული განათლების სისტემას, განსაკუთრებით აღსანიშნავია №202 საჯარო სკოლის (უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონი) მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების ტენდენცია.[954] პოზიტიურად უნდა შეფასდეს დირექციის ცვლილება სკოლაში. რაც შეეხება სხვა საკითხებს, მიღებულმა ინფორმაციამ[955]

---

[950] კორესპონდენცია №09-2/9-03.01.2020.

[951] ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2TfFa2u> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[952] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ინკლუზიური განათლება საპილოტე საჯარო სკოლებში" ანგარიში. გვ.14, დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/31xP2qT >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[953] იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ უარის პირველადი გაცხადებიდან 1 თვის განმავლობაში, კვლავ ვლინდება მოსწავლის მხრიდან სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განმეორებითი უარი კი, შეფასებაზე, აფერხებს ბავშვის განვითარებას. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 2 20 00016464-10.01.2020.

[954] სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლის უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის მონიტორინგის ანგარიში. 2018 წელი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2GYfVLf >[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[955] კორესპონდენცია MES82000042083-17.01.2020.

ცხადყო, რომ სკოლა-პანსიონის ინფრასტრუქტურა კვლავ არ არის სრულყოფილად მისაწვდომი მოსწავლეებისთვის.[956] ამასთან, საკმარისი ფინანსური სახსრების არქონის გამო, სკოლა ვერ ახერხებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოსწავლეთა აბილიტაციისა და რეაბილიტაციის კუთხით მუშაობას. პრობლემად რჩება სწავლების პროცესში სათანადო რაოდენობის სპეციალისტების მონაწილეობა. მათ შორისაა: ოკუპაციური თერაპევტი, მობილობის ტრენერი, სსსმ მოსწავლის ასისტენტი, აღმზრდელის თანაშემწე და სხვ.

22.4. მისაწვდომობა

ეროვნულ დონეზე გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობა როგორც ფიზიკურ გარემოზე, ისე სერვისებსა და ინფორმაციაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალურ დონეზე სირთულეს წარმოადგენს მისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული საჭიროებების სრულყოფილად შესწავლა/შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და გაუმჯობესებული ფიზიკური გარემოს მაჩვენებელი სტატისტიკის წარმოება.[957]

ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა,[958] ყველა მუნიციპალიტეტში არ შემუშავებულა ეროვნული სამოქმედო გეგმა შშმ პირთათვის ფიზიკურ გარემოზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კონკრეტული ღონისძიებების, პასუხისმგებელი უწყებების, შესრულების ვადების, დაფინანსების კომპონენტის და შედეგების იმ ინდიკატორების მითითებით, რომელთა გაზომვაც შესაძლებელია.

პრობლემას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის როგორც აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებების, ისე სხვა საჯარო დაწესებულებების მისაწვდომობა. 2019 წელს ჩატარებული კვლევით, რომლის ფარგლებშიც შეფასდა სასამართლოების მისაწვდომობა ფიზიკური ან/და სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის, გამოვლინდა, რომ მხოლოდ რამდენიმე სასამართლო შენობაშია ხელმისაწვდომი სერვისები ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებისათვის, თუმცა, სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისათვის, თითქმის არცერთი შენობა არ არის

---

[956] პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ მომზადდა სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის გამაგრების, რესტავრაციისა და რეაბილიტაციის პროექტი. ხოლო, შემუშავებული პროექტის შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება 2020 წლის სამოქმედო გეგმით იქნა გათვალისწინებული. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 2 20 00016464-10.01.2020.

[957] ამ მხრივ გამონაკლისია ბაღდათის, მცხეთის, საგარეჯოს, ხობის მუნიციპალიტეტები.

[958] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის ხარვეზები." 2018 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://bit.ly/39etaU1>[ბოლოს ნანახია 30.03.2020].

მისაწვდომი. სასამართლო შენობების პანდუსების თითქმის სრული უმრავლესობა, ასევე შიდა და გარე კიბეები, არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს. შეზღუდულია თავად პანდუსების რაოდენობაც. მონიტორინგმა ცხადყო, რომ მისაწვდომობის აუდიტის პროცესში ჩართული 65 შენობიდან, მინიმალურ სტანდარტს, მხოლოდ 7 (4%) აკმაყოფილებდა. [959]

წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში", ასევე, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებების შეტანა.[960] სდასსკ-ში განხორციელებული ცვლილებებით, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების გაუთვალისწინებლობისთვის, საჯარიმო სანქციები გაიწერა.[961] თავად ჯარიმების ოდენობა ქმედების ჩადენის ადგილისა და შენობის კლასის მიხედვით განისაზღვრა. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა შეფასდეს უნივერსალური დიზაინის სტანდარტების პრინციპებისა და „მისაწვდომი და გამოყენებადი შენობები და ობიექტების"[962] გათვალისწინებით საქართველოს მთავრობისთვის „ტექნიკური რეგლამენტის - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" დამტკიცების ვალდებულება, რაც 2020 წლის 12 მაისამდე უნდა განხორციელდეს. საქართველოს მთავრობას ასევე დაევალა 2021 წლის 14 ივნისამდე „მისაწვდომობის ეროვნული გეგმის" დამტკიცება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აშენებული და მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები მოყვანილ უნდა იქნას შესაბამისობაში ტექნიკური რეგლამენტისა და ,,მისაწვდომობის ეროვნული გეგმის" მოთხოვნებთან. შესრულების ვადები დასახელებული რეგლამენტისა და ეროვნული გეგმის მიხედვით განისაზღვრება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია, დასახელებული გეგმა შშმ პირებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური მონაწილეობით შემუშავდეს.

---

[959] „სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის". 2019 წელი. ანგარიში მოამზადა ორგანიზაციამ, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის". დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/31ykFR1>გვ. 29.

[960] კანონპროექტი მიზნად ისახავს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შეიქმნას სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების მარეგულირებელი კანონმდებლობა, გახდეს იგი თანმიმდევრული და განჭვრეტადი, ამ მოთხოვნათა დარღვევისთვის დადგინდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, განისაზღვროს მის აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმები.

[961] გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა.

[962] ICCA 117.1.

რაც შეეხება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“, შეიცვალა 178[1] მუხლის რედაქცია,[963] ამოღებულ იქნა 178[2] მუხლი და 239-ე მუხლის 45-ე ნაწილი. ცვლილებები შევიდა 211-214 მუხლებში და შეიცვალა აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყება.[964]

ამ პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებსა და სხვადასხვა მომსახურებებზე წვდომისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, რაც ასევე ნორმატიულ დონეზე დეტალურ დარეგულირებას მოითხოვს.

22.5. ჯანმრთელობის უფლება

ქვეყანაში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. პრობლემაა ჯანდაცვის სერვისების როგორც ფინანსური, ისე სამედიცინო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა და პერსონალის კვალიფიკაცია. პრობლემურია კადრების გადამზადება შშმ პირთა მომსახურების სპეციფიკასთან დაკავშირებით, ისევე როგორც საავადმყოფოების შესაბამისი ადაპტირებული ტექნიკით აღჭურვა.[965]

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილე შშმ პირების, განსაკუთრებით, შშმ ქალების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი იმ დამატებით წინაღობებზე მეტყველებს, რასაც ისინი ჯანდაცვის სერვისებზე წვდომისას აწყდებიან.[966] სერვისების

---

[963] აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობების შექმნისგან თავის არიდება გამოიწვევს დაჯარიმებას: ა) აეროპორტის ოპერატორის/ავია-გადამზიდველის/მომსახურე ავია-გადამზიდველის - 1500-დან 2000 ლარამდე; ბ) საზღვაო ნავსადგურები/ტერმინალების - 3000-დან 5000 ლარამდე; გ) საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის მომსახურების (სატრანსპორტო საშუალებებში, რკინიგზის და ავტოსადგურებში) გაწევის სფეროში მოქმედი პირის - 500 ლარით.

[964] კერძოდ, აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებად განისაზღვრა: საქართველოს რკინიგზის შესაბამისი ორგანოები, საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საავტომობილო ტრანსპორტისა და ელექტროტრანსპორტის ორგანოები. დასახელებული კანონის ამოქმედებამდე (2020 წლის 12 მაისი) საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და სახმელეთო ტრანსპორტის მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ტრანსპორტი უნდა მიესადაგოს კანონმდებლობისა და „მისაწვდომობის ეროვნული გეგმის“ მოთხოვნებს. შესრულების ვადები კი განისაზღვრება „მისაწვდომობის ეროვნული გეგმის“ მიხედვით. გეგმის შემუშავების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 14 ივნისი.

[965] იხ. ა/ო ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის ანგარიში - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, (2018), გვ. 9. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://bit.ly/jandacvismisawvdomoba > [ბოლოს ნანახია 06.03.2020].

[966]იხ. თემატური მოკვლევა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“ (2019), საქართველოს პარლამენტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/2v40XAIqaltajandacva_ >[ბოლოს ნანახია 15.03.2020].

დამოუკიდებლად მიღების შეუძლებლობის გამო, უმეტეს შემთხვევაში, ირღვევა სამედიცინო მომსახურების გაწევის კონფიდენციალობა.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები, ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისზე წვდომის კუთხით, დამატებით ბარიერებს აწყდებიან. ამ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სფეროში ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტის ეფექტიან და დროულ აღსრულებაზე, როგორიცაა „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა".[967]

ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროს ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდის დადებითი ტენდენციის მიუხედავად, პრაქტიკაში გეგმა დროულად და ეფექტიანად არ სრულდება.

2019 წლის მდგომარეობით, კვლავ არ შემუშავებულა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა სუიციდის პრევენციის სტრატეგია.[968] მაღალი რჩება 6 თვეზე მეტხანს სტაციონირებულ პაციენტთა რაოდენობა.[969]

წინსვლა არ შეინიშნება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა სოციალურ ინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე დაფუძნებული სერვისების განვითარების მიმართულებით. ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის ბიუჯეტი 2018-2020 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა მისი ოდენობა[970] ვერ უზრუნველყოფს სერვისის ეფექტიან განვითარებას. ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების (კვლავ 3 ცენტრი ფუნქციონირებს) დაფინანსება ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის

---

[967] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №762 დადგენილება ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის" დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია : <https://bit.ly/33WZXvq > [ბოლოს ნანახია 06.03.2020].

[968] სტრატეგიის შემუშავების პროცესი ჯერ კიდევ 2018 წელს დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა. გეგმა პროგრამის ამოქმედებას 2016 წლიდან ითვალისწინებდა.

[969] 2019 წლის ნოემბრის ჩათვლით სტაციონარში გატარებული 7723 შემთხვევიდან, სტაციონარში 6 თვეზე მეტხანს ჰოსპიტალიზების 1067 შემთხვევაა აღნუსხული. ამასთან, 2019 წლის განმავლობაში სტაციონარიდან გაწერილი 9567 პაციენტიდან დაწესებულებაში 6 თვეზე მეტხანს მყოფი 68 პაციენტი გაეწერა, რაც გაწერილ პაციენტთა მხოლოდ 0.7%-ს შეადგენს.

[970] 2017 წელს შეადგენდა 77.8 ათას ლარს, 2019 წელს - 88.0 ათას ლარს, ხოლო 2020 წელს - 101 ათასი ლარს.

ბიუჯეტის მხოლოდ 0.4%-ს შეადგენს,[971] რაც არ იძლევა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების რაოდენობის ზრდის შესაძლებლობას.[972]

სახალხო დამცველის რეკომენდაციის[973] მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროულად და ეფექტიანად გამოვლენა და ამ პირთა სათანადო ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური სერვისებით უზრუნველყოფა.

მდგომარეობა უცვლელია ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების (როგორც ნებაყოფლობითი, ისე არანებაყოფლობითი) მიმღებ პირთა მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვის ორგანიზების კუთხით, რაც, აღნიშნულ პირებს, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი სერვისის გარეშე ტოვებს.

2019 წელს გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ფსიქიატრიის სფეროს მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების მიმართულებით. მომზადდა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, თუმცა მათი დამტკიცება დროში ჭიანურდება.[974]

კვლავ პრობლემად რჩება სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიმღებ პირთა მხრიდან მკურნალობის ჩატარებაზე თანხმობის განცხადებისას გამოვლენილი ნების ნამდვილობის საკითხი. პაციენტთა უმეტესობის მიერ სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიღებაზე თანხმობის გაცხადება, როგორც წესი, სათანადო ინფორმაციის მიუწოდებლად ხდება და ფორმალურ ხასიათს ატარებს.[975]

უცვლელია ფსიქიატრიის დარგის ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის კუთხით არსებული მდგომარეობა.[976] აუცილებელია სახელმწიფომ მიიღოს ქმედითი და კომპლექსური ზომები დარგის სპეციალისტების, მათ შორის, ფსიქიატრების,

---

[971] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტოს საპასუხო კორესპონდენცია №01/2147 (19.02.2020).

[972] აღნიშნული გეგმის თანახმად, ჯერ კიდევ 2017 წლით განსაზღვრულ მიზანს წარმოადგენდა.

[973] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" (2019) გვ. 280. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2wt4fhR> [ბოლოს ნანახია 06.03.2020].

[974] სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო მომზადებულ ცვლილებებს და საქართველოს პარლამენტს მათთან დაკავშირებით, წინადადება წარუდგინა.

[975] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის - „შპს აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონიტორინგის" თემატური ანგარიში, (2019), გვ. 18. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2OCiirf > [ბოლოს ნანახია 06.03.2020] და საქართველოს სახალხო დამცველის „შ.პ.ს. აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის" - ბედიანის ფსიქიატრიული კლინიკის ვიზიტის შემდგომი ანგარიში. (2019), გვ. 15. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://bit.ly/388BeWr > [ბოლოს ნანახია: 06.03.2020].

[976] დღეის მდგომარეობით, სფეროში დასაქმებულია 279 ფსიქიატრი, 20 ბავშვთა ფსიქიატრი, 50 მოზრდილთა და 14 ბავშვთა ფსიქოთერაპევტი, 303 ფსიქიატრიის ექთანი.

ფსიქოთერაპევტების, ფსიქიატრიის ექთნების, სოციალური მუშაკების რაოდენობის გასაზრდელად.

საანგარიშო პერიოდში ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ, დამოკიდებულების შეცვლისა და სტიგმის შემცირებისკენ მიმართული აქტივობები ვერ უზრუნველყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას.[977] გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიები ჯერაც არ შემუშავებულა.

დადებითად უნდა შეფასდეს სათემო სერვისების ზრდის ტენდენცია.[978] 2019 წელს საგრძნობლად გაიზარდა (11-დან 31-მდე) სათემო მობილური გუნდების რაოდენობა და გეოგრაფიული დაფარვის არეალი. პოზიტიურად შეიცვალა ჰოსპიტალური და თემზე დაფუძნებული სერვისების დაფინანსების თანაფარდობა.[979] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია ამ სერვისების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. ასევე მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს ამბულატორიული/სათემო სერვისების გაფართოების ტენდენცია, რათა შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილ იქნას უწყვეტი მომსახურება.[980]

საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია. 2018 წლიდან დღემდე, მიმდინარეობს სერვისების გეოგრაფიული განლაგების კვლევა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სტრატეგიის შემუშავებას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დგამს გარკვეულ ნაბიჯებს დიდი ზომის ფსიქიატრიული დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით.[981] სახალხო დამცველი

---

[977] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, (წერილი №1134/20).2019 წელს, სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის კომპონენტი", ფარგლებში, შემუშავდა საგანმანათლებლო სახის მასალები ინკლუზიის და თემზე დაფუძნებული მიდგომების, სერვისების შესახებ არსებული კვლევებისა და მიგნებების შესახებ.

[978] 2019 წელს, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში 23%-ით გაიზარდა სათემო ამბულატორიული მომსახურების, ხოლო 123%-ით - თემზე დაფუძნებული მობილური გუნდების მომსახურების კომპონენტების ბიუჯეტი.

[979] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილის №1134/20 თანახმად, 2019 წლის მონაცემით, აღნიშნული თანაფარდობა შეადგენს 42/58%-ს. გეგმით გათვალისწინებული თანაფარდობაა 50/50).

[980] 2019 წლის განმავლობაში (ნოემბრის ჩათვლით), თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლე პირთა რაოდენობამ შეადგინა 923 პირი. სტაციონარიდან გაწერის შემდეგ თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის კომპონენტის ფარგლებში სერვისის მისაღებად მიმართვის შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 216.

[981] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცნობით (წერილი №1134/20), 2020 წელს, რუსთავსა და ბათუმში იგეგმება 24 ბენეფიციარზე გათვლილი გრძელვადიანი ტიპის საცხოვრისის ამოქმედება. ასევე ქუთაისში, ფოთსა და

მიესალმება ყველა იმ პრაქტიკულ გადაწყვეტილებას, რომელიც პაციენტთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყანაში თანამედროვე, თემზე დაფუძნებული სერვისის განვითარებისკენ იქნება მიმართული, თუმცა პროცესის კონკრეტული სტრატეგიის გარეშე წარმართვა დეინსტიტუციონალიზაციის არასწორი მიმართულებით განვითარების რისკებს შეიცავს.

ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების მონიტორინგი ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ქალები განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიაა. ისინი ჯანმრთელობის უფლების დარღვევის მომეტებული რისკის ქვეშ არიან. სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს ჩატარებული მონიტორინგის[982] შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი სისტემური და ცალკეული ხარვეზები ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში მყოფ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით.

კერძოდ, მონიტორინგმა ცხადყო, რომ მიუხედავად ქალთა უფლებების დაცვის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან ნაკისრი ვალდებულებებისა, საქართველოში სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებსა და ეროვნულ გაიდლაინებში პრაქტიკულად გამორჩენილია ინსტიტუციებში მცხოვრებ შშმ ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები. ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფოს მიერ აღიარებული კლინიკური პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ე.წ. ეროვნული გაიდლაინები, მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ქვეყანაში არ არის დანერგილი გზამკვლევი, რომელიც ხელს შეუწყობს ორსულობისა და ლოგინობის ხანაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ქალის მკურნალობასა და მოვლას. ფსიქიატრიულ სტაციონარულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში არ ხდება ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობის დაწყებამდე და მისი მონიტორინგი მკურნალობის პროცესში. დაწესებულებებში ხანგრძლივი დროით მოთავსებულ ქალთათვის გინეკოლოგიური მომსახურება არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ქალები არ არიან ჩართული დაავადებათა ადრეული გამოვლენის სახელმწიფო სკრინინგ პროგრამაში (გარდა C ჰეპატიტის სკრინინგისა). აივ ინფექციასა და სიფილისურ ინფექციაზე ტესტირებას არ აქვს სისტემური ხასიათი. ასევე, მკვეთრად დაბალია პაციენტების/ბენეფიციარების ცოდნა მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, მათ შორის, ფსიქოტროპული წამლების ზეგავლენის შესახებ, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებების ადმინისტრაციისა და

სენაკში იგეგმება 4 საცხოვრისის აშენება. მიმდინარე წელს ასევე დაგეგმილია მცირე ტიპის საოჯახო სახლების (6 ბენეფიციარზე გათვლილი) დაფინანსება.

[982] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის მდგომარეობა ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში“, (2019).

პერსონალის მხრიდან პაციენტთა შორის ძალადობის, მათ შორის, სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოვლენა.

22.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში

სახალხო დამცველი ყოველწლიურ ანგარიშებში მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას იმ ბარიერებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის პროცესში ექმნებათ. ვითარება არც საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესებულა. ქვეყანაში არ არის შექმნილი შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშემწყობი გარემო-პირობები, როგორიცაა, მათ შორის, სათანადო წვდომა ინფრასტრუქტურაზე, დამხმარე სერვისებზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციის საშუალებებზე.

კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების რეალიზების გარანტიებს, საარჩევნო უფლებების დარღვევისას საჩივრების შეტანის და განხილვის მისაწვდომ მექანიზმებს. გათვალისწინებული არ არის დახურულ დაწესებულებებში მყოფ შშმ პირთა არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწმყობი ღონისძიებები. შშმ პირთა მოსაზრებით, პოლიტიკური პარტიები არ ინტერესდებიან შშმ პირთა უფლებებით, ვერ ხედავენ მათ, როგორც ამომრჩევლებს და ამ საკითხზე არც პოლიტიკური პარტიების შიგნით და არც მათ შორის არ არსებობს ინფორმაციის გაცვლა ან/და დისკუსია. პოლიტიკური სუბიექტების პროგრამები ძირითადად არ არის აღქმადი და ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის.

არსებული რეგულაციები ასევე არ ითვალისწინებს ინკლუზიური გარემოს ხელშემწყობ ზომებს საჯარო სამსახურში შშმ პირთა შესვლის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. შშმ პირებისთვის მისაწვდომი არ არის საჯარო მოხელეთა სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარება, გამოცდისთვის მოსამზადებელი ლიტერატურა, არც საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საბჭოები

შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედებასა და ამ პროცესში შშმ პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობის[983] კუთხით

[983] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილებით დამტკიცებული 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის გარდა, საბჭოების შექმნა/ამოქმედებას 2010 წლიდან, ითვალისწინებდა ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა სამოქმედო სამთავრობო გეგმა.

არსებული მდგომარეობის შესწავლისას[984] გამოიკვეთა, რომ წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, გამოწვევად რჩება სათათბირო ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში[985] შექმნილია საბჭო, მის წევრებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია შშმ პირთა უფლებებსა და სახელმწიფოს მიერ გაეროს კონვენციით[986] ნაკისრ ვალდებულებებზე. გარდა ამისა, პრობლემურია გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალოდ შშმ პირთა თემის ჩართულობა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მათი ნაკლები ინფორმირებულობით საბჭოების არსებობის თაობაზე, ისე ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების სიმცირით.

საბჭოების არაეფექტიანად ფუნქციონირებაზე ასევე მიუთითებს ჩატარებული სხდომების რაოდენობა[987] და განხილული საკითხების/წინადადებების ერთფეროვნება[988], რაც, თავის მხრივ, მიანიშნებს იმაზე, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში არ ხდება შშმ პირთა საჭიროებების სათანადო კვლევა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების მიერ გატარებული ღონისძიებები არ არის ეფექტიანი და შშმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული.

სახალხო დამცველის გასული წლების რეკომენდაციების მიუხედავად, ზოგ მუნიციპალიტეტში კვლავ არ შექმნილა შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე საბჭოები[989]. რამდენიმე მუნიციპალიტეტში კი, 2019 წლის განმავლობაში არ გამართულა საბჭოს სხდომები[990].

22.7. შშმ ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებათა დეინსტიტუციონალიზაციას 2014 წლიდან ითვალისწინებს ქვეყანაში

---

[984]ინფორმაცია გამოვითხოვეთ 64 მუნიციპალიტეტიდან. შეხვედრები ჩატარდა სიღნაღის, ამბროლაურის, ბათუმის, მესტიის, ოზურგეთისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში.

[985] 2019 წლის მდგომარეობით, საბჭო შექმნილია 55 მუნიციპალიტეტში.

[986] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია.

[987] გამონაკლისი შემთხვევების გარდა (5 სხდომა - ზუგდიდი, ასპინძა; 4 სხდომა - ოზურგეთი, ბაღდათი, სიღნაღი, შუახევი, ცაგერი; 3 სხდომა - ონი, საჩხერე, ფოთი, ამბროლაური, ადიგენი, წყალტუბო, ქუთაისი), ჩატარებული სხდომების რაოდენობა კვლავ მერყეობს ერთიდან ორამდე.

[988] წინადადებების უმრავლესობა კვლავ ორიენტირებულია შიდა და გარე ობიექტების ადაპტირებასა და ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემაზე. წინადადებების მრავალფეროვნების კუთხით, დადებითი პრაქტიკა გამოიკვეთა ქუთაისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში.

[989] გარდაბნის, დუშეთის, ვანის, თიანეთის, კასპის, ყაზბეგის, წალკის, ჭიათურისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში.

[990] თერჯოლა, ლანჩხუთი, ტყიბული, ნინოწმინდა (შექმნის დღიდან საერთოდ არ ჩატარებულა სხდომა), ზესტაფონი, ახალქალაქი. გარდა ამისა, ეჭვქვეშ დგება ყვარლისა და ხონის საბჭოების ფუნქციონირების საკითხი, ვინაიდან, ორი წელია მიმდინარეობს ხელახალი ჩამოყალიბების პროცესი.

მოქმედი სხვადასხვა სამთავრობო სამოქმედო გეგმა.[991] აღნიშნული პროცესი, თავის მხრივ, გულისხმობს დაწესებულებებიდან შშმ ბავშვების საჭიროებების მიხედვით ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებას, სპეციალიზებულ ოჯახური ტიპის მომსახურებაში ან/და სპეციალიზებულ მინდობით აღზრდაში განთავსებას.

2019 წელს ალტერნატიული ზრუნვის სერვისებში მხოლოდ 5 შშმ სტატუსის მქონე ბენეფიციარი[992] გადავიდა და დღეის მდგომარეობით, არსებულ 2 სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში[993] 47 შშმ სტატუსის მქონე ბავშვი რჩება. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შშმ ბავშვთა დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებათა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმართვისა და ბავშვებისათვის ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად, ეფექტიანი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აბილიტაცია/ რეაბილიტაციის, შშმ პირთა დღის ცენტრებისა და სათემო ორგანიზაციების მომსახურების ქვეპროგრამების მისაწვდომობა შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა პირისთვის ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, საჭიროებების კვლევის, არსებულ სერვისებში გამოკვეთილი ხარვეზების/გამოწვევების შესწავლის, დაფინანსების ზრდისა და მომსახურებაში დასაქმებული პერსონალის სწავლება/გადამზადების გზით
- უზრუნველყოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამის კომპონენტებში რთული ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების სამიზნე ჯგუფად გათვალისწინება და მათთვის შესაბამისი სერვისის მიწოდება
- სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, სმენის აპარატით უზრუნველყოფის პარალელურად, გათვალისწინებულ იქნას სმენის რეაბილიტაცია და სასმენ ტექნოლოგიებზე სრული მისაწვდომობა
- უზრუნველყოს შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურების სერვისში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა

---

[991] „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის", „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისთვის", „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა".

[992] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს პასუხი №04-00-ძ/18888, 02/05/2019; №04/65942, 30/12/2019; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პასუხი - №07/1477, 19/12/2019.

[993] თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი, კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი.

- უზრუნველყოს დღის ცენტრებში მომსახურების ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის იმგვარი ზრდა და განაწილება, რაც შესაძლებელს გახდის სერვისის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას და ბენეფიციარებისთვის სათანადო სარეაბილიტაციო ღონისძიებების მიწოდებას
- უზრუნველყოს საინფორმაციო კამპანიის წარმოება: მისაწვდომობასთან დაკავშირებით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, უნივერსალური დიზაინის სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ რეგულაციებსა და ვალდებულებებზე, საზოგადოებისა და პასუხისმგებელი სუბიექტების სათანადოდ ინფორმირების მიზნით
- მისაწვდომობის ეროვნული გეგმა შემუშავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით. გეგმით პრიორიტეტულად იქნას გათვალისწინებული საზოგადოებისთვის განკუთვნილი ობიექტების/მომსახურებებისა და საჯარო დაწესებულებების მისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთან, დოკუმენტით განისაზღვროს შემჭიდროებული ვადები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- უზრუნველყოს როგორც ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების, ისე საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული შშმ სსსმ (შშმ) მოსწავლეების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება
- უზრუნველყოს სკოლის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გადამზადება სსსმ (შშმ) მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების თაობაზე, პრაქტიკაზე ორიენტირებული სატრენინგო მოდულების/პროგრამების გამოყენებით. მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენასთან, რთული ქცევის მართვასთან, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე, მძიმე და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდებთან, კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოყენებასთან, მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებით
- უზრუნველყოს ქცევის პოზიტიური მართვის ხელშემწყობი პროგრამების/სერვისების შემუშავება და მათი სკოლებში განხორციელება
- უზრუნველყოს უკუკავშირი სკოლების მიერ ინკლუზიურ განათლებაზე განხორციელებულ შიდა მონიტორინგზე (მათ შორის, სკოლების წარდგენილ დასკვნებზე)
- უფრო ხშირად (მინიმუმ სემესტრში ერთხელ) ჩაატაროს გარე მონიტორინგი. ამასთან, მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული საჭიროებების სიღრმისეული შესწავლა, დოკუმენტაციის ანალიზი და კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა გამოვლენილ ხარვეზებზე
- ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ:

- სკოლების გარე და შიდა ინფრასტრუქტურის, ასევე, სასწავლო მასალების მისაწვდომობის უზრუნველყოფას სსსმ (შშმ) მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად
- ინკლუზიური განათლების დანერგვის/განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებას
- საინფორმაციო შეხვედრებს მშობლებთან: ინკლუზიურ განათლებასთან, შშმ ბავშვთა უფლებებთან, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებზე. მათ შორის, ძალადობის სახეებთან, მის შედეგებთან, ფსიქოლოგიური ინტერვენციის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობის ფორმებთან დაკავშირებით
- საჭიროების შესაბამისად, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ენისა და მეტყველების თერაპევტი) დაქირავებას
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელებას არანაკლებ ერთხელ, სასწავლო წლის განმავლობაში. ხოლო, შიდა მონიტორინგის პროცესში ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული ხარვეზების სრულყოფილად გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას/განხორციელებას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და სტრატეგიის შესაბამისად, თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვა, მათ შორის, თავშესაფრის, დღის ცენტრებისა და თანამედროვე თემზე დაფუძნებული „დაცული საცხოვრებლების" მოწყობის გზით
- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა სუიციდის პრევენციის სტრატეგიის შემუშავება
- უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება და აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვა მექანიზმის საქმიანობის დეტალური აღწერითა და ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრით
- მიიღოს აუცილებელი ზომები გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების რაოდენობის გასაზრდელად და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისის სათანადოდ განსავითარებლად
- შეიმუშაოს ადამიანური რესურსების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და სტრატეგიის შესაბამისად, მიიღოს ქმედითი ზომები ფსიქიატრიის დარგში ადამიანური რესურსების (ფსიქიატრები, ფსიქოთერაპევტები, ფსიქიატრიის ექთნები და სოციალური მუშაკები) რაოდენობის გასაზრდელად და ქვეყნის მასშტაბით მათ სწორად გასანაწილებლად

- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება და ზედამხედველობა გაუწიოს მისი განხორციელების პროცესს
- უზრუნველყოს ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების (როგორც ნებაყოფლობითი, ისე არანებაყოფლობითი) სერვისის მიმღებ პირთა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვის წესისა და პროცედურის გაწერა ერთგვაროვანი ეფექტიანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა ფსიქიკური აშლილობების ეროვნული გაიდლაინების იმგვარად განსაახლებლად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათში ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების სათანადოდ ასახვა უახლესი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ფსიქიკური აშლილობების დროს ორსულობის მართვასთან დაკავშირებული შესაბამისი გაიდლაინის/პროტოკოლის შემუშავება დიაგნოზების მიხედვით
- ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობის დაწყებამდე უზრუნველყოს შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების მისაწვდომობა, მათ შორის, სისხლში პროლაქტინის დონის განსაზღვრა და ორსულობის ტესტი, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი რეპროდუქციული ასაკის ქალებისთვის ლაბორატორიული კვლევების ჩატარების ვალდებულების დაწესებისა და შესაბამისი რესურსების გამოყოფის გზით
- უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების, პანსიონატებისა და სათემო ორგანიზაციების სამედიცინო პერსონალის გადამზადება რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით
- უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების, პანსიონატებისა და სათემო ორგანიზაციების მხრიდან ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელებული რეფერირების შემთხვევებზე ზედამხედველობა და ანალიზი.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- კომპლექსურად შეისწავლონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საჭიროებები (ინკლუზიური განათლების კუთხით) და მათი მუნიციპალურ პროგრამებსა და ფინანსურ გეგმებში ასახვა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს ბაგა-ბაღების შიდა და გარე ინფრასტრუქტურის/რესურსების მისაწვდომობაზე, ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის დაქირავებასა და არსებული პერსონალის გადამზადებაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების საჭიროებებისა და სათანადო მიდგომის თაობაზე
- უზრუნველყონ საკონსულტაციო საბჭოების შექმნა და მისი ფუნქციონირება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნულ საბჭოებში შშმ აღსაზრდელთა მშობლების ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის, სათანადო ინფორმაციის მიწოდებით

- უზრუნველყოს აღსაზრდელების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის განათლება და მხარდაჭერა, მათი ცნობიერების ამაღლება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მნიშვნელობის, ბავშვის უფლებების, ინკლუზიური განათლების არსისა და სსსმ (შშმ) აღსაზრდელების საჭიროებების, სათანადო მიდგომებისა და ინტერვენციების მნიშვნელობის, ძალადობისგან დაცვის მექანიზმების თაობაზე როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური შეხვედრების მეშვეობით
- შესაბამისი არქიტექტურული და საზედამხედველო სამსახურების პერსონალი გადამზადდეს უნივერსალური დიზაინის სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად
- შემუშავდეს მუნიციპალურ დონეზე გაუმჯობესებული ფიზიკური გარემოს მაჩვენებელი სტატისტიკა
- სრულყოფილად შეისწავლონ მუნიციპალურ დონეზე მისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარვეზები და პრობლემათა აღმოსაფხვრელად, შეიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები
- უზრუნველყონ ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ეფექტიანი საქმიანობა, შშმ პირთა და მათი წარმომადგენლების ჩართულობით
- გარდაბნის, დუშეთის, ვანის, თიანეთის, კასპის, ყაზბეგის, წალკის, ჭიათურისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა და მათი ეფექტიანი საქმიანობა, შშმ პირთა და მათი წარმომადგენლების ჩართულობით.

23.ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

მოსახლეობის დაბერება საქართველოში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.[994] მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, საქართველოში ყოველი მეხუთე ადამიანი 60 წლის და მეტი ასაკისაა. 2050 წლისთვის 60 წელს გადაცილებული ადამიანების პროცენტული ოდენობა კიდევ გაიზრდება და 30 პროცენტს გადააჭარბებს.[995]

დაბერებასთან დაკავშირებული გამოწვევები საერთაშორისო დღის წესრიგში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აქტიურად ეწევა ხანდაზმულთა ღირსეული და ჯანსაღი დაბერების წინაშე არსებული საკითხების აქტუალიზაციას და სახელმწიფოებს მოუწოდებს აქტიური ღონისძიებები გაატარონ ხანდაზმულ პირთა უფლებების დასაცავად, რათა მათაც შეძლონ სახელმწიფოს კეთილდღეობასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა და არ მოიაზრებოდნენ დახმარების მიმღებ ბენეფიციარებად, რომლებიც ეკონომიკისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებს ტვირთად აწვებათ.[996] ამავე დროს, უკვე წლებია მიმდინარეობს მსჯელობა გაეროს მიერ კონვენციის მიღების თაობაზე, რომელიც ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვაზე იქნება მიმართული.[997]

სამწუხაროდ, მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა, მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო კონცეფციის მოქმედი ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოს არ გააჩნია. კერძოდ, „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის" მოქმედების ვადა დასრულდა.[998] სამოქმედო გეგმაშივე იყო დადგენილი გეგმის შესრულების შუალედური მიმოხილვის ჩატარების პერიოდი - 2018 წელი. აღნიშნული მიმოხილვის შედეგები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მომდევნო 2- წლიან გეგმაში,[999] რაც სამწუხაროდ არ შესრულებულა[1000] და მიღებული ინფორმაციის თანახმად, ახალი

---

[994] „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა" დანართი, გვ. 1.

[995] გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში, გვ. 3. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2TLJmsS > [ბოლოს ნანახია: 6.02.2020].

[996] გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუცია 2019 წლის 9 იანვარს მიიღო, 73/143. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2PnMEhu> [ბოლოს ნანახია 25.02.2020].

[997] დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ხანდაზმულთა შესახებ გაეროს ღია სამუშაო ჯგუფის ოფიციალურ ვებგვერდზე : < https://bit.ly/33UaTtS > [ბოლოს ნანახია: 01.03.2020].

[998] სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე სახალხო დამცველი ფართოდ საუბრობს „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" 2017 წლის ანგარიშში, გვ. 311. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2OIeRiP [ბოლოს ნანახია 10.02.2020].

[999] „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა", დანართი, გვ. 3.

[1000] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2019 წლის 26 დეკემბრის წერილი №53402.

სამოქმედო გეგმის შემუშავება მხოლოდ 2020 წლის მეორე კვარტალში დასრულდება. სამწუხაროა, რომ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შედეგები ამ დრომდე არ გაანალიზებულაა და საქართველოში მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებული ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკისა და „აქტიური დაბერების" მიდგომების აქტუალიზაციისთვის, არ შემუშავებულა.

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში ხანდაზმულთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში[1001] ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური აქტიურობის ხელშეწყობის, ასევე, მომსახურებისას ინდივიდუალური მიდგომის კუთხით, არაერთი პრობლემა გამოავლინა.

ამავე პერიოდში სახალხო დამცველმა შეაფასა საბანკო დაწესებულებების მიერ ხანდაზმულ პირთა თვიური პენსიის 50%-ზე მეტის დაკავების შემთხვევების კანონიერება, რაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. დადგინდა, რომ ამ მხრივ პენსიის დაკავების რაიმე რეგულაცია/შეზღუდვა არ მოქმედებს.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ასევე დაადგინა ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია ხანდაზმულ პირთა მიმართ.[1002]

გამოწვევად რჩება ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი სტატისტიკის არარსებობის პრობლემები, ასევე ხანდაზმულთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ადგილობრივ თვითმმართველობებში.

23.1. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში

ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა, 2019 წლის ოქტომბერში, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად მოინახულეს საქართველოში არსებული რეზიდენტული[1003] დაწესებულებები. მონიტორინგისას შემოწმდა თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატებში განთავსებულ ბენეფიციართა უფლებების დაცვის მდგომარეობა და იქ არსებული პირობების საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე დადგენილ სტანდარტებთან

[1001] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებში - თბილისის და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატებში.

[1002] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2SgwRTD [ბოლოს ნანახია 10.02.2020]. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანასწორობის უფლების თავში.

[1003] დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს ხანდაზმულთა ორი დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულება – თბილისისა და ქუთაისის პანსიონატები, რომლებსაც ადმინისტრირებას უწევს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

შესაბამისობა. მონიტორინგმა გამოავლინა დარღვევები, როგორც ინსტიტუციური მოწყობის, ისე ხარვეზიანი რეგულაციებისა და პრაქტიკის კუთხით.

მონიტორინგი ჩატარდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - „ხანდაზმულთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მეთოდოლოგია სახელმწიფო ზრუნვის და სხვა რეზიდენტულ დაწესებულებებში" საფუძველზე, რომელიც 11 სტანდარტის შემოწმებას ითვალისწინებს.[1004]

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში მონიტორინგის დროისთვის ირიცხებოდა 43, ხოლო ქუთაისის ხანდაზმულთა სახლში - 92 ბენეფიციარი, აქედან პალიატიურ მზრუნველობას საჭიროებდა 42 პირი. დღეისათვის, სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების მიღებას 27 ხანდაზმული ადამიანი ელოდება.

მონიტორინგის საფუძველზე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ხანდაზმული პირების უფლებები სათანადოდ არ არის დაცული . მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ ხანდაზმულის დაწესებულებაში ჩარიცხვის შემდეგ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან[1005] ბენეფიციარის ზედამხედველობა და კონტროლი აღარ ხორციელდებოდა და მონიტორინგი არ უტარდებოდა სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების მიღების გაგრძელების საჭიროებას. სპეციალიზებული დაწესებულებების ბენეფიციარებს არ მიუწვდებოდათ ხელი სოციალური მუშაკის მომსახურებაზე, ამავე დროს, აღნიშნული დარგის სპეციალისტი არც მულტი დისციპლინური გუნდის საქმიანობაში იყო ჩართული, რომელიც შეიმუშავებს ბენეფიციარის ინდივიდუალური მომსახურების გეგმას. ასეთ პირობებში, ეჭვქვეშ დგება მსგავსი გეგმების კვალიფიციურობის საკითხი. საგულისხმოა, რომ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის მიმართულებით უფლებამოსილებები 2020 წლის 1 თებერვლიდან სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გადაეცა, რომელიც უშუალოდ უწევს ზედამხედველობას ხანდაზმულთა დაწესებულებებს. შესაბამისად, სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული სტრუქტურული ცვლილება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ხელს შეუწყობს, აქტიურად ჩაერთოს ხანდაზმულთა პანსიონატის საქმიანობაში.

მონიტორინგის დროს ასევე გამოვლინდა, რომ ხანდაზმულთა დაწესებულებებში მოთავსებული ბენეფიციარების ნაწილს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნულ ინსტიტუციებში ფსიქიატრის მომსახურება

[1004] ინფორმაცია მომსახურების შესახებ, ბენეფიციარზე ორიენტირებული გარემო, უსაფრთხოება და სანიტარული მდგომარეობა, კონფიდენციალურობის დაცვა, მომსახურებისას ინდივიდუალური მიდგომა, კვება, სოციალური აქტიურობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობის დაცვა, უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები, ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვა, მოთხოვნები პერსონალის მიმართ.

[1005] მონიტორინგის დროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

ხელმიუწვდომელია. შესაბამისად, პანსიონატში მყოფ ბენეფიციარებს ხელი არ მიუწვდებათ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე.

სპეციალიზებულ დაწესებულებებში შესაბამისი საჭიროების მქონე ბენეფიციარებს, რიგ შემთხვევებში, არ ჰყავთ დანიშნული მხარდამჭერის მიმღები პირები. შესაბამისად, არსებობს მათი უფლებების ხელყოფის რეალური საფრთხე.

მნიშვნელოვანი პრობლემაა სამედიცინო პერსონალის (ექიმების და ექთნების) და მომვლელების დაბალი ანაზღაურება,[1006] რომელიც გაწეულ შრომას არ შეესაბამება.[1007] ეს, პერსონალს უკარგავს ხარისხიანი მომსახურების გაწევის მოტივაციას. ამასთან, პერსონალს არც ხანდაზმულ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული განვითარების ტრენინგები/სემინარები/კურსები უტარდება. მნიშვნელოვანია, მომუშავე სამედიცინო და სხვა პერსონალს მეტი შესაძლებლობა მიეცეს უწყვეტი პროფესიონალური განათლების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ აქტიური დაბერების უზრუნველსაყოფად, პანსიონატებში არ ფუნქციონირებს წინასწარ განსაზღვრული სოციალური აქტივობების გეგმა. მიმდინარე ღონისძიებები სპონტანური ხასიათისაა და უმეტესწილად დაკავშირებულია სხვადასხვა მოხალისე ორგანიზაციის შეთავაზებებზე.

23.2. ხანდაზმულ პირთა სახელმწიფო პენსიის დაკავება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა საბანკო დაწესებულების მიერ ასაკის ნიშნით დანიშნული სახელმწიფო პენსიის თვიურად 50%-ზე მეტის დაკავების კანონიერების საკითხი შეაფასა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო პენსიის 50%-ზე მეტის დაკავება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით არის დასაშვები.[1008] საბანკო დაწესებულებებთან საპენსიო კრედიტების მიღების შემთხვევაში, ყოველთვიურად დასაკავებელი თანხის ოდენობა კი განისაზღვრება საბანკო დაწესებულებასა და პენსიონერს, როგორც ბანკის კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით, რაზეც კანონმდებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება. საგულისხმოა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „ლიბერთი ბანკს" შორის დადებულია ხელშეკრულება „ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების უსასყიდლო საბანკო მომსახურების თაობაზე", რომლის მიხედვითაც ფულადი გასაცემლებიდან თანხის დაკავების საკითხზე რაიმე სახის რეგულაცია და შეზღუდვა დადგენილი არ არის.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე არსებული 2019 წლის მონაცემებით, 60 წლის ზემოთ ასაკის ნიშნით პენსიას 762,621 პირი იღებს.[1009] პენსიონერთა

[1006] ხანდაზმულთა პანსიონატებში ექიმის შრომის ანაზღაურება (დაბეგრილი) შეადგენს 420 ლარს, მომვლელის - 360 ლარს.

[1007] მაგალითად, მომვლელი ერთდროულად ემსახურება 15 ბენეფიციარს.

[1008] „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

[1009] მონაცემები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3ayk1qo> [ბოლოს ნანახია: 6.02.2020].

ნახევარზე მეტს სესხი აქვს აღებული,[1010] ხოლო საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა საპენსიო ანგარიშიდან იჭრება, რის გამოც, ბანკის მხრიდან ყოველთვიურად გასაცემი პენსიიდან 50%-ზე მეტი უკავდებათ.[1011] იმ პირობებში, როცა პენსიონერებისათვის სახელმწიფო პენსია შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, მიღებული თანხა საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებია, რაც, პენსიონერთა ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, კიდევ უფრო ამძიმებს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების უსასყიდლო საბანკო მომსახურების თაობაზე სს „ლიბერთი ბანკთან" 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, 2019 წლის ბოლოს იწურებოდა. სააგენტოს ინფორმაციით, მას დაგეგმილი ჰქონდა საბანკო მომსახურების ახალი სახელშეკრულებო მოთხოვნების განსაზღვრა, კანონმდებლობის და სახელმწიფო ფულადი გასაცემლების მიმღებთა ინტერესების შესაბამისად, მათ შორის, საბანკო ურთიერთობებში სააგენტოს ბენეფიციართა მომსახურების საშეღავათო პირობების გათვალისწინება.[1012] სააგენტოს მიმართ არსებული მოლოდინების მიუხედავად, როგორც სახალხო დამცველს ეცნობა,[1013] სს „ლიბერთი ბანკთან" გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მოქმედების ვადა 3 (სამი) წლით გაგრძელდა. შესაბამისად, ბენეფიციარებსა და ბანკს შორის მომდევნო სამი წლის განმავლობაში კვლავ არსებული პირობებით გაგრძელდება ხელშეკრულებების გაფორმება და სახელმწიფო ფულადი გასაცემლების მიმღებთა ინტერესების სასარგებლოდ საშეღავათო პირობები გათვალისწინებული არ იქნება. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ბენეფიციართა ინტერესების გათვალისწინებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილოს პენსიიდან თანხის ძირითადი ნაწილის დაკავება და პენსიონერების სოციალურ-ეკონომიკური პირობების დამძიმება.

23.3. ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობა

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს შესწავლილ საქმეებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ხანდაზმულ პირებზე ძალადობა ძირითადად ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხასიათისაა, თავს იჩენს კიდევ ერთი ტენდენცია - ხანდაზმულ პირებზე არ ზრუნავენ და არ იჩენენ ყურადღებას მათ მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველთან მიმართვისას, რიგ შემთხვევებში, განმცხადებელს უჭირს ძალადობის ფაქტის აღქმა, ხშირად, შესაძლო მოძალადის მიმართ განიცდის მიჯაჭვულობას, სიყვარულს, რის გამოც უჭირს მიმართოს სამართალდამცავ უწყებას. ამასთან, მიმართვის შემთხვევაშიც, ძალადობის ინციდენტის ამოწურვის შემდეგ,

[1010]ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3c5MmFI> [ბოლოს ნანახია: 25.02.2020].

[1011]ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3c5MmFI> [ბოლოს ნანახია: 25.02.2020].

[1012] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 20 ივნისის № 04/33595 წერილი.

[1013] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 10 იანვრის წერილი №04/624.

მსხვერპლი უარს აცხადებს სამართალდამცავ უწყებასთან თანამშრომლობაზე, შესაბამისად, გაძნელებულია უწყებების მხრიდან ძალადობის ფაქტების გამოვლენა, და ის კიდევ უფრო რთულდება, როდესაც შესაძლო მსხვერპლი იმავე დროს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ არ აწარმოებს ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის სტატისტიკას. იგი გაერთიანებულია 45 წელს გადაცილებულ პირთა ძალადობის სტატისტიკასთან, რაც, ბუნებრივია, ვერ ასახავს ზუსტ მონაცემებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 45 წელს ზევით პირების მიმართ ჩადენილ ძალადობაზე 2349 შემაკავებელი ორდერი გაიცა.[1014]

კვლავ პრობლემურია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ცალკე ძალადობის მსხვერპლ ხანდაზმულ პირებზე მორგებული დაცვისა და დახმარების ფსიქოსოციალური სერვისები და პროგრამები, მათ შორის, არც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე.

მნიშვნელოვანია ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, აუცილებელია სოციალური მუშაკების რესურსის გაზრდა მსხვერპლთა სათანადოდ მხარდასაჭერად და ინტერესების დასაცავად.

23.4. ხანდაზმულთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ადგილობრივ თვითმმართველობებში

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ადგილობრივ თვითმმართველობებში, რაც არაეფექტიანად დაგეგმილი პროგრამებითა და შესაბამისი ფულადი რესურსის არარსებობით არის გამოწვეული.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, 64 თვითმმართველი ერთეულიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ თვითმმართველობებს შესწავლილი არ აქვთ ხანდაზმულ პირთა საჭიროებები და შესაბამისად, არც არსებობს საჭიროებებზე მორგებული მიზნობრივი პროგრამები და მომსახურებები. წინა წლების მსგავსად, თვითმმართველობები მხოლოდ ერთჯერადი დახმარების გაცემით შემოიფარგლებიან, რომელიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ასაკის მოსახლეობისთვისაა გათვალისწინებული. ერთჯერადი დახმარება, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და დღეგრძელი მოსახლეობისთვის (80+ ასაკის, 95+ ასაკის, ან 100 წლის და 100+ ასაკის) გაიცემა. კვლავ გამოწვევად რჩება მიზნობრივი პროგრამის სახით ხანდაზმულ პირთა შინ მოვლის მომსახურების ბიუჯეტში გაუთვალისწინებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ „სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე ეწევა სოციალურ მუშაობას, რაც გულისხმობს, მათ შორის, ხანდაზმული პირების აქტიურ გამოვლენას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა

[1014] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2xul2kT [ბოლოს ნანახია:11/03/2020].

და შეფასებას, პრობლემების წარმოჩენას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.[1015] სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ამ ვალდებულებას, არც ხანდაზმულთა საჭიროებებს შეისწავლიან და არც შესაბამის ღონისძიებებს გეგმავენ.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გამოიკვლიოს ხანდაზმულთა დაწესებულებების საჭიროებები პერსონალის კუთხით და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, მათ შორის, პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- ბენეფიციართა ინტერესებზე მორგებული პირობების გათვალისწინებით, აწარმოოს მოლაპარაკებები სს „ლიბერთი ბანკთან", დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შესატანად

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- შეისწავლოს პანსიონატებში მყოფი ბენეფიციარების ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მათთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა
- უზრუნველყოს სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ ხანდაზმულთათვის მომსახურების მიწოდების რეგულარული მონიტორინგი
- პანსიონატებში მყოფ ბენეფიციარებზე ზრუნვის პროცესში, მათ შორის, მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობაში, ჩართოს სოციალური მუშაკი.

ხანდაზმულთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაციას:

- ბენეფიციარის საჭიროებების გათვალისწინებით, შეიმუშაოს მომსახურების ინდივიდუალური გეგმა
- აქტიური დაბერების მიზნით, შეიმუშაოს სოციალური აქტივობების გეგმა
- გამოვლინოს მხარდამჭერის საჭიროების მქონე ბენეფიციარები და მიიღოს შესაბამისი ზომები მათთვის მხარდამჭერის დანიშვნის პროცედურების დასაწყებად

[1015] „სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლის 1. ა ქვეპუნქტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდოლოგია და აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე აწარმოოს სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ზუსტ მონაცემებს სქესის მიხედვით.

ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს:

- შეისწავლონ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მცხოვრებ ხანდაზმულ პირთა საჭიროებები, შეიმუშაონ მიზნობრივი პროგრამები და ასახონ ისინი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში.

24. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

24.1. შესავალი

საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას და სამოქალაქო ინტეგრაციას კვლავ არაერთი გამოწვევა ახლავს თან. წლების განმავლობაში არსებული სისტემური პრობლემები და მათ გადასაწყვეტად სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი ნაბიჯების ნაკლებობა, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება.

საქართველოს სახალხო დამცველს წლების განმავლობაში უწევს საპარლამენტო ანგარიშებში ასახული სისტემური პრობლემებისა და მათ გადასაჭრელად შეთავაზებული რეკომენდაციების გამეორება, რადგან ამ პრობლემების გადასაჭრელად ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ გადადგმული ნაბიჯები არ არის ქმედითი და საკმარისი ვითარების შესაცვლელად.

2019 წელს, ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტმა საქართველოზე მესამე მონიტორინგის ანგარიში გამოაქვეყნა; მრჩეველთა კომიტეტის შეფასებით, ჩარჩო კონვენციის დანერგვის პროცესი, წინა მონიტორინგის შემდეგ, არსებითად უცვლელია.[1016] დოკუმენტის თანახმად, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად სამართლებრივი ჩარჩო გაძლიერებულია, რაც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებაში გამოიხატება, თუმცა, აქვე, ყურადღება გამახვილებულია აქტიური ცნობიერების კამპანიების წარმართვის აუცილებლობაზე. პრობლემურ საკითხთა შორის არის სათანადო სტატისტიკის სიმწირე, უმცირესობათა განათლების უფლებით ეფექტიანი სარგებლობა და სხვ.

განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის სწავლება, ინფორმაციასა და სერვისებზე ეფექტიანი წვდომა, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა და თვითმყოფადობის შენარჩუნება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინიციატივების წახალისების ნაკლებობა, ანტიდასავლური პროპაგანდა - ეს იმ საკითხთა არასრული ჩამონათვალია, რომელიც ეროვნული უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობასა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე ყოველდღიურ რეჟიმში ნეგატიურად აისახება.

კრიტიკულად მცირეა ეროვნული უმცირესობების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მაჩვენებელი ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ამასთან, პრობლემად რჩება მოსახლეობის ჩართვა და

[1016] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2UqLBR0 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

მონაწილეობა როგორც საკუთრივ ეროვნულ უმცირესობებთან, ისე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სოფლის კრებებსა თუ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, ხშირად ფორმალურია და ეფექტიანი ჩართულობის მიზანს არ ემსახურება.

პრობლემად რჩება განათლების უფლების სრულყოფილი რეალიზება სწავლების ყველა საფეხურზე; საგანმანათლებლო რესურსების სიმწირე, სახელმძღვანელოების ხარისხი, პედაგოგების გადამზადების მიმართულებით არსებული პრობლემები და სხვა ბარიერები იწვევს ეროვნული უმცირესობების განათლების ხარისხის შემცირებას და მათ განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ სწავლების სხვადასხვა საფეხურზე განათლების მისაღებად.

განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდება სახელმწიფო ენის სწავლების საკითხი; მიუხედავად იმისა, რომ წლებია მოქმედებს ენის შემსწავლელი პროგრამა, შედეგობრივი თვალსაზრისით, მოსახლეობის საერთო რაოდენობის ფონზე კვლავ მცირეა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ფლობენ და იყენებენ სახელმწიფო ენას. მით უფრო იმ გამოწვევის ფონზე, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლების საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხიც პრობლემურია.

კვლავ პრობლემურია პანკისის ხეობაში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ნდობის აღდგენის საკითხი. განსაკუთრებით მწვავეა ბოშათა თემის მდგომარეობა[1017], რის დასაძლევადაც, შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯები კვლავ არ არის გადადგმული.

საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ახალი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყოს ყველა ის გამოწვევა, რაც არსებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისას გამოვლინდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი ეროვნული უმცირესობების ფართო ჩართულობით დაიგეგმოს და წარიმართოს.

23.1. განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა

ეროვნული უმცირესობების განათლების უფლებაზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემად რჩება სწავლების ყველა საფეხურზე. სასწავლო მასალებისა და რესურსების სიმწირე, შეუსაბამო ხარისხი, პედაგოგების ნაწილის კვალიფიკაცია ნეგატიურად აისახება ეროვნული უმცირისებობების სწავლების ხარისხზე და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

[1017] ბოშათა თემის მდგომარეობა ასახულია სახალხო დამცველის 2006-2018 წლების საპარლამენტო ანგარიშებში.

ადრეული და სკოლამდელი განათლება

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელი განათლების დაწესებულებებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ სახელმწიფო ენის შესწავლის და შემდგომში ზოგადი განათლებისთვის მომზადების პროცესში. სამწუხაროდ, არასაკმარისია ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებები. საქართველოს სახალხო დამცველი წლებია საუბრობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღის ქართული სექტორის განვითარების აუცილებლობაზე, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნაცაა, თუმცა ეს პრობლემა ამ დრომდე გადაუჭრელია.[1018]

ასევე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ერთიანი კონცეპტუალური მიდგომის და ხედვის არარსებობა, ორენოვანი პედაგოგების მომზადება და ამ დაწესებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო-მეთოდოლოგიური პროგრამებით, დამხმარე სახელმძღვანელოებით, სასწავლო ინვენტარითა და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ამ საკითხების შესახებ სახალხო დამცველს აღნიშნული ჰქონდა 2007-2018 წლების საპარლამენტო ანგარიშებშიც, მაგრამ ამის მიუხედავად, ეფექტიანი ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა.

ზოგადი განათლება

საქართველოში ეროვნული უმცირესობების ენაზე (აზერბაიჯანული, სომხური და რუსული) სწავლება მიმდინარეობს 208 სკოლაში სრულად, ხოლო 76 სკოლაში -სექტორების მიხედვით. აღნიშნულ სკოლებში, ზოგადი განათლების საფეხურზე ჩართულია დაახლოებით 13.000 რუსულენოვანი, 13.500 სომხურენოვანი და 25.000 აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე.

საქართველოს სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები ბოლო ათწლეულების განმავლობაში სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემოდის და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის სასწავლო პროგრამასა და სტანდარტებს არ შეესაბამება. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მრავალი წინადადებისა და რეკომენდაციის მიუხედავად, ეს პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.[1019]

[1018] სახალხო დამცველის რეკომენდაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3bCokB8 [ბოლოს ნანახია 31.03.2020].

[1019] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში არავის მიუღია მონაწილეობა; შესაბამისად, საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა.

პრობლემად რჩება პედაგოგების კვალიფიკაცია და მათი მომზადებისა და გადამზადების ერთიანი სტრატეგიის არარსებობა და სასწავლო პროგრამების ნაკლებობა. მათ შორის, ორენოვანი პედაგოგების მოზიდვა და მათი განათლების სისტემაში ჩართვა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, უმცირესობების ენის სკოლებში, ბოლო 10 წელია მულტილინგვური (ბილინგვური) სწავლების მოდელს ნერგავს. 2015 წლიდან შემუშავებულია ბილინგვური სწავლების მოდელი, ასევე შექმნილია რესურსების ნაწილი დაწყებითი საფეხურისათვის. მათი აპრობირება ხდება ხუთ საპილოტე სკოლაში, რომლებიც გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით შეირჩნენ. ამის მიუხედავად, ეფექტიანი სწავლების დანერგვა ჯერაც ვერ მოხერხდა. უმცირესობების ენის სკოლებისთვის წლების განმავლობაში პრობლემად რჩება მულტილინგვური (ორენოვანი) სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხი და არაეფექტიანობა.[1020]

ეროვნული უმცირესობების ენის სკოლებში სასწავლო პროცესი 2011 წელს გრიფირებული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს, რომლებიც მოძველებულია და ეროვნულ სასწავლო გეგმას აღარ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სახელმძღვანელოების შესაქმნელად ტენდერი გამოცხადდა, ეს პროცესი, სახელმძღვანელოების თარგმანის ხარისხის გამო, წარუმატებლად დასრულდა და სწავლება კვლავ მოძველებული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს.

მცირერიცხოვანი ეთნოსებისთვის მშობლიური ენის სწავლება

საქართველოს სკოლებში 2015 წლიდან ისწავლება მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა[1021]. ამგვარი სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი ეთნიკური უმცირესობების დასახლებების სკოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ენები უკვე 5 წელია ისწავლება, კვლავ პრობლემად რჩება ამ ენებზე სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის საკითხი. მცირერიცხოვანი ეთნოსების მშობლიური ენების სწავლა სკოლაში განსხვავებული და შეუსაბამო – ზოგან საბჭოთა პერიოდის, ზოგან პედაგოგებისა და თემის წარმომადგენლების მიერ გადმოცემული ან უცხოეთიდან შემოტანილი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ მცირერიცხოვანი ეთნოსების მშობლიური ენების სწავლა გრიფირებული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდეს.

[1020] ორენოვან სახელმძღვანელოებში ტექსტობრივი მასალის 30% ქართულ ენაზეა, ხოლო 70% – უმცირესობების ენებზე. აღნიშნული სახელმძღვანელოებით სასწავლო პროცესის წარმართვა უმრავლეს შემთხვევაში, პედაგოგისა და მოსწავლის ქართულის ცოდნის დაბალი დონის გამო შეუძლებელია.

[1021] სულ შესაძლებელია მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ექვსი ენის სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი ენები), მაგრამ პედაგოგის არარსებობის გამო, ქურთული/ყურმანჯი ენა არ ისწავლება.

ასევე, პრობლემურია მცირერიცხოვანი ეთნოსების მშობლიური ენის პედაგოგების მომზადება და გადამზადება. ქმედითი ნაბიჯები ჯერჯერობით არც ამ მიმართულებით არის გადადგმული.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების მიღების პროცესში არსებული საშეღავათო პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც 2010 წლიდან ხორციელდება, ეროვნული უმცირესობის სტუდენტები არაერთ დაბრკოლებას აწყდებიან.

2019 წელს სომხურენოვანი ტესტით 436, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ტესტით 893 აბიტურიენტი ჩაირიცხა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან ოსურ და აფხაზურენოვანი ტესტის საფუძველზეც ირიცხებიან უნივერსიტეტებში. 2019 წელს ოსურენოვანი ტესტით 5 და აფხაზურენოვანი ტესტით 1 აბიტურიენტი ჩაირიცხა. აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში 2011–2019 წლებში, საქართველოს უნივერსიტეტებში სომხურენოვანი ტესტით 2532, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ტესტით 5350 აბიტურიენტი ჩაირიცხა.[1022]

ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებისათვის გამოყოფილია ყოველ ენობრივ ჯგუფზე 225 000 - 225 000 (ორას ოცდახუთი ათასი) ლარი; ამ თანხით ფინანსდებიან მისაღებ გამოცდებზე საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტები. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე ყოველწლიურად 1200 – 1300 სტუდენტი ირიცხება, სტუდენტების დიდი ნაწილი დაფინანსების გარეშე რჩება, რაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის და ხშირად ხელს უშლის უმაღლესი განათლების მიღებაში. პროგრამის ეფექტიანობის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გაზარდოს სტუდენტების დაფინანსების თანხები.

24.2. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად, დღემდე განხორციელებული მედიაპოლიტიკა არაეფექტიანია, ხოლო ანტიდასავლური პროპაგანდისა და ოკუპანტი ქვეყნის საინფორმაციო არხების ზეგავლენის შესასუსტებლად, დღემდე ნაბიჯები არ გადადგმულა.

სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით, მედიასაშუალებებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ; სახელმწიფო ტრადიციულად მხარს უჭერდა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების, „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ გამოცემას. საზოგადოებრივი მაუწყებელის ჯგუფი „მრავალფეროვანი საქართველო“ და სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ონლაინ

[1022] განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი MES 4 19 01467584.

ტელევიზიები ამზადებდა საინფორმაციო და სხვა გადაცემებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საზოგადობრივი მაუწყებლის ვებგვერდზე ინფორმაცია ვრცელდებოდა ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში აქტიურად მუშაობს რეგიონული მედია (ტელევიზიები, რადიოები და საინფორმაციო სააგენტოები), რომელიც ინფორმაციას რეგულარულად ავრცელებს ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე და ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ეროვნული უმცირესობების ინფორმირების საკითხი წლების განმავლობაში კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება. ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობა ინფორმაციას ძირითადად უცხოური საინფორმაციო საშუალებებიდან იღებს. საქართველოს ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებების არსებობის მიუხედავად, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან და, რიგ შემთხვევებში, გადამწყვეტ გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი, ირანი) საინფორმაციო არხები.

ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში ძლიერია ანტიდასავლური პროპაგანდა, რაც დასავლურ ინტეგრაციას სკეპტიკურად და უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენს. ანტიდასავლური პროპაგანდა, ძირითადად, რუსეთის საინფორმაციო არხების გავლენით ყალიბდება. ანტიდასავლური, დასავლეთისა და დასავლური ინტეგრაციის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების ჩამომყალიბებელი პროპაგანდის პარალელურად, ვრცელდება ეთნოსთაშორისი ურთიერთობების დაძაბვის ხელშემწყობი ინფორმაცია (ძირითადად, მითები და ყალბი ანტისომხური, ანტიაზერბაიჯანული, ანტიმუსლიმური და სხვა ამბები), რაც შემდგომ სოციალურ ქსელებში განხილვას, გაზიარებასა და სიძულვილის ენის ტირაჟირებას ედება საფუძვლად.

24.3. ეროვნული უმცირესობათა კულტურის დაცვა და პოპულარიზაცია

საქართველო მდიდარია კულტურული მემკვიდრეობით, ქვეყანაში ათასობით აღრიცხული და ჯერ კიდევ აღურიცხავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მათ შორის მრავლად გვხვდება ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, გაგრძელდეს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა და ინვენტარიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამის ძეგლებზე დაიწყოს საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები.

2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყებები ტრადიციულად უჭერდნენ მხარს ეროვნული უმცირესობების კულტურას. მათ შორის იყო თბილისის სომხური, აზერბაიჯანული და რუსული თეატრებისა და მუზეუმების მხარდაჭერა. მიმდინარეობდა სომხური თეატრის მშენებელობა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, კულტურის მნიშვნელოვანი კერები იყო მუნიციპალიტეტებისა და სოფლების კულტურის სახლები, რომელთაგანაც ამჟამად ძირითადად მუნიციპალურ ცენტრებში არსებული კულტურის სახლები ფუნქციონირებს, ხოლო სოფლების კულტურის სახლების დიდი ნაწილი გაუქმებული და უფუნქციოა. რეგიონებში კულტურული ცხოვრების გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს მუნიციპალურ ცენტრებში მდებარე კულტურის სახლების და ცენტრების ფუნქციონირება და ხელი შეეწყოს სოფლებში კულტურის სახლების მუშაობის აღდგენას.

მუნიციპალურ ცენტრებთან შედარებით, სოფლებში იშვიათად ტარდება კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი ღონისძიებები, ნაკლებად არის გართობის, დასვენებისა და თავშეყრის ადგილები, ამდენად სოფლებში კულტურის სახლების მიმართ ინტერესი უფრო მაღალია. საჭიროებას აძლიერებს ისიც, რომ სოფლებში იშვიათად ფუნქციონირებს კულტურის შემსწავლელი წრეები, სახელოვნებო და ფოლკლორული ჯგუფები (სიმღერა, მუსიკა, ცეკვა და სხვ.).

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში იშვიათად ტარდება მოსახლეობის ფართო ფენებისთვის საინტერესო კულტურული პროგრამები. მათ შორის, იშვიათად ან საერთოდ არ ეწყობა დედაქალაქისა და საქართველოს სხვა რეგიონების შემოქმედებითი ჯგუფებისა, ანსამბლებისა და თეატრების გასვლითი ღონისძიებები და სხვ.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ჯერჯერობით შესაბამისი ხელშეწყობა არ აქვს ეთნოტურიზმს. სასურველია, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეთნოტურიზმის ხელშესაწყობად ეფექტიანი ნაბიჯები გადაიდგას – გაკეთდეს ტურისტული მარშრუტები, ხელი შეეწყოს ადგილობრივ ფოლკლორს და მოხდეს ამ მიმართულებების რეკლამირება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ანტიდასავლური პროპაგანდისა და ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) საინფორმაციო არხების ზეგავლენის აღმოსაფხვრელად, განახორციელოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები და კამპანიები
- საქართველოს სახელმწიფო უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის ხელშესაწყობად, წარმოადგინოს ხედვა და კონკრეტული სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობას, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს:

- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად, სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდეს ეროვნული უმცირესობების, მათ შორის, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

საზოგადოებრივ მაუწყებელს:

- გააძლიეროს ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა და ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული მედიაპროდუქტის ხელმისაწვდომობასა და პოპულარიზებას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობების ენის სკოლებისთვის მულტილინგვური სწავლების მოდელის/მოდელების შემუშავებასა და მის დანერგვას, ორენოვანი პედაგოგების მომზადება-გადამზადებას, ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავებას და სასწავლო მასალების შექმნას
- დაიწყოს საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნის, გამოცემისა და ამ სახელმძღვანელოებით სკოლების უზრუნველყოფის პროცესი
- დაიწყოს საქართველოს სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და აღნიშნულ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება
- უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე პედაგოგთა გადამზადება
- ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობების კულტურის მოღვაწეებისა და შემოქმედებითი ჯგუფების (ანსამბლები, თეატრებისა და სხვ.) კონცერტების და შემოქმედებითი საღამოების მოწყობას საქართველოს დედაქალაქში და სხვადასხვა რეგიონებში; ამასთან, გააძლიეროს სტუდენტური და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები ქვეყნის ფარგლებს შიგნით
- ხელი შეეწყოს ქართული კულტურის ცნობილი და პოპულარული (საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული) შემოქმედებითი ჯგუფების, ანსამბლების, თეატრების და სხვა შემოქმედებით ჯგუფების გასტროლებს – სპექტაკლების,

კონცერტებისა და შემოქმედებითი საღამოების მოწყობას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში

- გაგრძელდეს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაციის პროცესი და დაიწყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაცია და რესტავრაცია
- ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეეწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეეწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების ხარისხისა და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, დაიწყოს პედაგოგთა გადამზადება, სასწავლო რესურსების შექმნა და მიწოდება.

25.ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში

25.1. შესავალი

თავდაცვის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის მიზანია წვევამდელთა, სამხედრო მოსამსახურეთა და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება სისტემური მონიტორინგისა და ინდივიდუალურ საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირების მეშვეობით. თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა 2019 წელს, მონიტორინგის ფარგლებში, განახორციელა 47 ვიზიტი.[1023] ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით მომზადდა 5 ვიზიტის შემდგომი ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები გაიგზავნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

დასაწყისშივე, გვსურს პოზიტიურად აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში[1024] საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია საგადასახადო კოდექსის ცვლილებისა და დამატებების ინიცირების შესახებ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაუდგინა ვალდებულება, 2020 წლიდან გაეზარდა საშემოსავლო გადასახადის შეღავათი ვეტერანთა მიმართ 6 000 ლარამდე, ხოლო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა მიმართ - 9 000 ლარამდე. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტრომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საგადასახადო შეღავათების გაზრდა.[1025]

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს ფინანსთა სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას, რადგან მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის პირობებში, ამ შეღავათების დაწესება ხელს შეუწყობს ვეტერანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების

[1023] 39 ვიზიტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში; 2 ვიზიტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამხედრო სამსახურში გაწვევისა და კოორდინირების დეპარტამენტში; 2 ვიზიტი სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ბადრაგირების სამმართველოს გარე დაცვის განყოფილებებში; 4 ვიზიტი მცხეთისა და თბილისის მუნიციპალიტეტების სამხედრო განყოფილებებში.

[1024] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 303. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < https://bit.ly/2UruE8S >[ბოლოს ნანახია: 24.02.2020]

[1025] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს №08-02/139876 წერილი.

სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების გარანტიების და მათი პრაქტიკული შესრულებისათვის ღონისძიებათა სისტემის შექმნას.

საქართველოს პარლამენტმა, ასევე გაიზიარა და „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე დადგენილებაში შეიტანა საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართ გაცემული რეკომენდაცია, რომლითაც სახალხო დამცველი ითხოვდა, საქართველოს გენერალურ პროკურორს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ანგარიშში, წარმოედგინა მოსაზრება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში გარდაცვალების ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ეფექტიანობის თაობაზე - სამწუხაროდ, საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშში არ არის ასახული სახალხო დამცველის აღნიშნული რეკომენდაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველომ ნაწილობრივ გაითვალისწინა და შეასრულა სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაწეული რეკომენდაციები.[1026] სამწუხაროდ, არ შესრულდა რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს განყოფილებებში არსებული მცირე ზომის ჯიხურების ნაცვლად მოზრდილი, კეთილმოწყობილი ოთახების მოწყობას, განწესში მყოფი პირადი შემადგენლობის მოსასვენებლად.

დადებითად აღსანიშნავია ცვლილება, რომელიც საქართველოს მთავრობამ, სახალხო დამცველის წინადადების შესრულების მიზნით, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში შეიტანა. ამ ცვლილების საფუძველზე, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია, ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ან შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის სანაცვლოდ, ეკვივალენტურ დოკუმენტად მიიჩნიოს და შესაბამისი კატეგორიის პირებს საყოფაცხოვრებო სუბსიდია დაუნიშნოს ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონული ბაზის მონაცემების საფუძველზე, რომელიც სააგენტოს სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მიეწოდება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, ვეტერანებისა

[1026] დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს მე-6 და მე-7 ქვეგანყოფილებებში ნაწილობრივ აღმოიფხვრა სანიტარიულ-ჰიგიენურ კვანძებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები; 2019 წლის ივლისიდან, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს მე-6 და მე-7 ქვეგანყოფილებების თანამშრომლებსა და სამხედრო მოსამსახურეებს, სამუშაო ცვლიდან თავისუფალ დღეებში დამატებითი მომსახურების შესრულებისთვის ეძლევათ დანამატი დარიცხულ ხელფასზე; გენერალური ინსპექცია სისტემატურად ამოწმებს იმ დანაყოფებს, სადაც ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები მსახურობენ.

და მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირებისთვის, არსებითად გამარტივდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა, რადგან მოეხსნათ სოციალური მომსახურების სააგენტოში დამატებით განცხადების წარდგენის ვალდებულება.

ასევე, დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის მიერ, 2019 წლის 14 მაისის №222 დადგენილებით, „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება, რომლის საფუძველზეც გათანაბრდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიით მოსარგებლეთა მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა ვეტერანის სტატუსის მქონე ყველა პირს. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი არაერთი წელი მიმართავდა საქართველოს მთავრობას ამ რეკომენდაციით.[1027]

25.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში, 2019 წლის 1 სექტემბრიდან, წვევამდელები სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან სამხედრო ნაწილში 3 დღე-ღამეში ერთხელ გამოცხადებით, თუმცა აღნიშნული ცვლილების შემდეგ, უფრო ხშირად უწევთ საცხოვრებელი სახლიდან სამხედრო ნაწილამდე გადაადგილება, შესაბამისად, გაეზარდათ ტრანსპორტირების ხარჯებიც, მათი ხელფასი (50 ლარი) კი საკმარისი არ არის ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად და საცხოვრებელი სახლიდან სამხედრო ნაწილამდე საკუთარი ხარჯებით უწევთ გადაადგილება.

2019 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებაში მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებულმა ვიზიტებმა ცხადყო, რომ თავდაცვის სამინისტროს რიგ სამხედრო ნაწილებში[1028] კვლავ აღმოუფხვრელ პრობლემად რჩება სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება (რიგგარეშე ფიზიკური დატვირთვა დასჯის მიზნით) და ჯგუფური დასჯის პრაქტიკა.

[1027] 2018 წელს საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა (2018 წლის 19 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება №3148-რს) სახალხო დამცველის რეკომენდაცია და დაადგინა, რომ საქართველოს მთავრობას უნდა განეხორციელებინა შესაბამისი ცვლილება ამ რეკომენდაციის შესასრულებლად, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ამ მიმართულებით საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდა არ იგეგმებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. საქართველოს მთავრობამ ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება და ცვლილება შეიტანა დადგენილებაში, რომლის საფუძველზეც, ვეტერანის სტატუსის მქონე ყველა პირს მიეცა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების შესაძლებლობა.

[1028] საქართველოს თავდაცვის ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზა; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სასწავლო ცენტრი - კრწანისი; წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გ. ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია; საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალები; საქართველოს თავდაცვის ძალების საჰაერო თავდაცვის ბრიგადა.

თავდაცვის უწყების სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში გამოვლინდა ინფრასტრუქტურული პრობლემები.[1029] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით,[1030] ამ მიმართულებით დაგეგმილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, წინა წელთან შედარებით გაზრდილია თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროექტების 2020 წლის დამტკიცებული მაჩვენებელი და შეადგენს 100 მილიონ ლარს. ასევე, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო 2020 წელს გეგმავს 52 სასადილოს კაპიტალურ რემონტს, ინვენტარის განახლებას და საკუთარი საცხობი ობიექტების დამატებას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აღნიშნულ პროცესს აქტიურად დააკვირდება.

2019 წლის განმავლობაში პირად შემადგენლობასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ პირადი შემადგენლობისთვის ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს თავისუფალ დროს მობილური ტელეფონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა. მით უმეტეს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სწორედ მობილური ტელეფონია მათთვის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება, იმ პირობებში, როცა ბევრ მათგანს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით უწევს.

მართალია, სამხედრო მოსამსახურეებს აქვთ შესაძლებლობა, დღის განმავლობაში, აუცილებელი საჭიროების დროს გამოიყენონ სამხედრო ნაწილის სამორიგეოში არსებული კორპორატიული ტელეფონები, ან ითხოვონ მობილური ტელეფონები მათი უშუალო ხელმძღვანელებისგან, მაგრამ მათი განმარტებით, ყოველდღიურ პრაქტიკაში ამ სახით ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია, მათთვის არაკომფორტული და უხერხულია, მით უმეტეს, სამორიგეოში არსებული ტელეფონებიდან დარეკვის დროს ვერ ახერხებენ კონფიდენციალურად და თავისუფლად საუბარს.

სამხედრო ნაწილებში მობილური ტელეფონის გამოყენების შეზღუდვა 2020 წლის 3 თებერვლამდე დარეგულირებული იყო „საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა მიერ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების წესების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1154 ბრძანებით, რომელიც არათანაბარ პირობებში აყენებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს/მოსამსახურეებს და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის უფლებასაც ეწინააღმდეგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის 3 თებერვლის №MOD32000000115 ბრძანებით, ზემოთ ნახსენები ბრძანება ძალადაკარგულად ჩაითვალა და თავდაცვის ძალების მოსამსახურეთა მიერ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების წესებთან დაკავშირებითაც გარკვეული ცვლილებები აისახა, ძირითადი პრინციპები არსებითად არ შეცვლილა. ამ ბრძანების მე-2

[1029] მოუწესრიგებელი ელექტროგაყვანილობის და განათების სისტემა; მოშლილი კონდიცირების და გამწოვი/სავენტილაციო სისტემა, სანიტარიულ-ჰიგიენურ კვანძებში და სასადილო-სამზარეულოში არსებული ანტისანიტარია.

[1030] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 24/01/2020 წლის №MOD 12000076147 კორესპონდენცია.

პუნქტის მიხედვით, მთლიანად აკრძალულია შინაგანაწესით განსაზღვრულ სამუშაო საათებში მობილური ტელეფონით სარგებლობა. ასევე, არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებულნი თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები, რაც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებებს ეწინააღმდეგება.

თავდაცვის უწყების დაქვემდებარებაში მყოფ გარკვეულ სამხედრო ნაწილებში[1031] სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების უმრავლესობა ეთნიკურად აზერბაიჯანელები არიან. მათ არ ესმით და ვერც მეტყველებენ ქართულად, რაც ხშირ შემთხვევაში უთანხმოებას იწვევს ჯარისკაცებს შორის, რამდენჯერმე ფიზიკურ დაპირისპირებასაც ჰქონდა ადგილი. ენის არცოდნის გამო, ისინი ასევე ვერ იღებენ სრულფასოვან სამხედრო განათლებას და სათანადოდ ვერ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ამასთან, სურვილის/საჭიროების შემთხვევაში, არც უშუალო მეთაურებთან კონფიდენციალურად გასაუბრების შესაძლებლობა აქვთ.

თავდაცვის უწყების უმეტეს სამხედრო ნაწილებში მწვავე პრობლემას წარმოადგენს სადღეღამისო განწესებში რიგგარეშედ ხშირი გასვლა. სადღეღამისო განწესში გასვლა ძირითადად ყოველ მეორე დღეს უწევთ, რაც იმით არის გამოწვეული, რომ გარკვეული ქვედანაყოფები მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკომპლექტებული, ამასთან, აღნიშნული პრობლემა სამხედრო მოსამსახურეების კუთვნილი შვებულებით სარგებლობასთანაც არის დაკავშირებული, პირადი შემადგენლობა სასურველი ხანგრძლივობით და პერიოდულობით ვერ სარგებლობს კუთვნილი შვებულებით.

მონიტორინგის ფარგლებში ასევე გამოვლინდა სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემები. სადაზღვევო კომპანია საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეებს ხშირ შემთხვევაში არ უნაზღაურებს არაპროვაიდერ კლინიკებში მიღებული სამედიცინო მომსახურებისთვის გადახდილ თანხას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა, 2019 წლის 25.11 – 04.12 პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის შემდგომ ანგარიშში, შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა[1032] თავდაცვის სამინისტროს. მისასალმებელია, რომ თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით,[1033] 2020 წელს სამინისტროს მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი იქნებიან ჯანმრთელობის დაზღვევის არსებითად გაუმჯობესებული მომსახურების პირობებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, გაცილებით მარტივად მიიღონ მაღალი ხარისხის მომსახურება. დაზღვეულ პირს თავისუფალი არჩევანის პრინციპით (სურვილისამებრ), უფლება ექნება არაპროვაიდერ კლინიკებში ჩაიტაროს ამბულატორიული/სტაციონარული მომსახურება და გაწეული

[1031] საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეული საავიაციო ესკადრილია; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სასწავლო მხარდამჭერი ცენტრი - კრწანისი; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გ. ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია.

[1032] სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 30 დეკემბრის №14/14235 წერილი.

[1033] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 24/01/2020 წლის №MOD 12000076147 კორესპონდენცია.

ხარჯები, სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, სადაზღვევო კომპანიის გადაწყვეტილების შესაბამისად აინაზღაუროს.

მონიტორინგის ფარგლებში, ასევე დათვალიერდა იურიდიული დოკუმენტაცია. რიგ სამხედრო ნაწილებში,[1034] დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ ბრძანებებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესი და პირობები სრულყოფილად არ იყო განმარტებული. კერძოდ, არ შეიცავდა მითითებას სადისციპლინო წესდების 66-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გადასინჯვის უფლებაზე. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, შესაბამისი რეკომენდაციები გაიცა ადგილზეც და სახალხო დამცველის, მონიტორინგის შემდგომ ანგარიშებშიც.[1035] მისასალმებელია, რომ თავდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა[1036] სახალხო დამცველის რეკომენდაცია და შესაბამის ბრძანებებში შეიტანა ცვლილება.

მონიტორინგის ფარგლებში, ასევე გაირკვა, რომ სამხედრო ნაწილებში საკვებს გაცემამდე 30 წუთით ადრე სინჯავს სამხედრო ნაწილის მორიგე ექიმი/ექთანი, თუმცა გაურკვეველია აღნიშნული პრაქტიკის წარმოშობის საჭიროება და სამართლებრივი საფუძველი. ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა თავდაცვის სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით[1037], გადაიხედოს მორიგე ექიმის მიერ საკვების გასინჯვის არსებული პრაქტიკის მიზანშეწონილობა და შემუშავდეს ახალი ინსტრუქცია, რომელიც გაითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილებას და დაეფუძნება ექიმთა უფლებების დაცვის პრინციპს. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის[1038] თანახმად, თავდაცვის სამინისტროში ამჟამად მუშავდება საქართველოს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების ახალი პროექტი. სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს თავდაცვის ძალების ახალი შინაგანი სამსახურის წესდების შემუშავებას და იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული წესდებით დაიხვეწება თავდაცვის სამინისტროს

[1034] საქართველოს თავდაცვის ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზა; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სასწავლო ცენტრი კრწანისი; საქართველოს თავდაცვის ძალების საჰაერო თავდაცვის ბრიგადა; საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია; საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის საბრძოლო საინჟინრო ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის II ქვეითი ბრიგადა.

[1035] 2019 წლის 1-5 ივლისს ჩატარებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 26 ივლისის №14/8449 წერილი; 2019 წლის 16-30 ივლისს ჩატარებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 9 აგვისტოს №14/8906 წერილი; 2019 წლის 12-16 აგვისტოს ჩატარებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 23 სექტემბრის №14/10388 წერილი.

[1036] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16/08/2019 წლის №MOD 71900846311 წერილი; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 02/09/2019 წლის №MOD 81900894607 წერილი; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 22/10/2019 წლის №MOD 31901083809 წერილი.

[1037] 2019 წლის 30.09 – 04.10 - ში ჩატარებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 13 ნოემბრის №14/12305 წერილი.

[1038] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 09/12/2019 წლის №MOD 01901272824 წერილი.

სამხედრო ნაწილებში საკვების გასინჯვა/შემოწმების არსებული პრაქტიკა და შემუშავდება ახალი ინსტრუქცია, რომელიც ექიმთა უფლებების დაცვაზე იქნება დაფუძნებული.

თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ დამონტაჟებული საჩივრის ყუთები უმეტეს სამხედრო ნაწილებში საჯარო და თვალსაჩინო ადგილებში, ძირითადად, სასადილოს შესასვლელსა და საკონტროლო გამშვებ პუნქტებზეა განთავსებული. გამომდინარე იქიდან, რომ საჩივრის ყუთების მსგავსი განლაგება თავისთავად ვერ უზრუნველყოფს საჩივრის ავტორის ანონიმურობას, სახალხო დამცველმა 2020 წლის 30.09 – 04.10 - ში განხორციელებული მონიტორინგის შემდგომ ანგარიშში რეკომენდაცია[1039] გაუწია თავდაცვის სამინისტროს, სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე არსებული საჩივრის ყუთები ისეთ ადგილებში განალაგოს, სადაც სამხედრო მოსამსახურეს შეეძლება დამოუკიდებლად გადაადგილება და, საჭიროების შემთხვევაში, ყუთით კონფიდენციალურად სარგებლობა. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით,[1040] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები გენერალური ინსპექციის „ცხელი ხაზის" სააბონენტო ყუთების განლაგებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- განახორციელოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების ინიცირება და 2021 წლიდან ვეტერანების მიმართ არსებული საშემოსავლო გადასახადის შეღავათი გაიზარდოს 6 000 ლარამდე (9 000 ლარამდე - მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა მიმართ).

საქართველოს თავდაცვის მინისტრს:

- გაიზარდოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა ანაზღაურება მინიმუმ იმ ოდენობით, რომ უზრუნველყოს მათი საცხოვრებელი სახლიდან სამხედრო ნაწილამდე ტრანსპორტირების ხარჯების სრული დაფარვა
- აღმოიფხვრას სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება (რიგგარეშე ფიზიკური დატვირთვა დასჯის მიზნით) და ჯგუფური დასჯის პრაქტიკა. ამ მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს დაევალოს,

[1039] 2019 წლის 30.09 – 04.10 - ში ჩატარებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 13 ნოემბრის №14/12305 წერილი.

[1040] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 09/12/2019 წლის №MOD 01901272824 წერილი.

სისტემური კონტროლი გაუწიოს სამხედრო ნაწილებში არასაწესდებო სასჯელის გამოყენებას და ჯგუფურ დასჯებს

- დაიშვას თარჯიმნის შტატი იმ სამხედრო ნაწილებში, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რათა თავიდან იქნას არიდებული სამხედრო მოსამსახურეებს შორის კონფლიქტი და, საჭიროების შემთხვევაში, მიეცეთ მათ მეთაურებთან კონფიდენციალურად გასაუბრების შესაძლებლობა.
- თავდაცვის უწყების სამხედრო ნაწილებში გაიზარდოს პირადი შემადგენლობის რაოდენობა, რათა სამხედრო მოსამსახურეებს არ უწევდეთ რიგგარეშე სადღეღამისო განწესებში ხშირად გასვლა და ყველა მოსამსახურეს თანაბრად შეეძლოს კუთვნილი შვებულებით სარგებლობა
- შევიდეს ცვლილება „საქართველოს თავდაცვის ძალების მოსამსახურეთა მიერ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების წესების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 3 თებერვლის №MOD32000000115 ბრძანებაში, რათა ნებისმიერი რანგის სამხედრო და სამოქალაქო პირებისთვის დაშვებულ იქნას მობილური ტელეფონის გამოყენება სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა სადღეღამისო განწესში ყოფნის დროისა და სწავლებისა და წვრთნების ჩატარების პერიოდისა
- შემუშავდეს საკვების გასინჯვის ახალი ინსტრუქცია, რომელიც გაითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილებას და დაეფუძნება ექიმთა უფლებების დაცვის პრინციპს.

26.კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

2019 წელი კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობისათვის, როგორც საქართველოს კონტროლირებად, ისე ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კვლავ სირთულეებით აღსავსე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში აქტიური შეიარაღებული მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები როგორც ქართველი, ისე ოსი და აფხაზი მოსახლეობა დღემდე მწვავედ განიცდის ომის დამანგრეველ შედეგებს.

კვლავ საგანგაშოა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სიცოცხლის უფლების უკანონო ხელყოფის ფაქტები. ამაზე მეტყველებს ჯერ კიდევ 2014 წელს დავით ბაშარულის, 2016 წელს გიგა ოთხოზორიას, 2018 წელს არჩილ ტატუნაშვილის და 2019 წელს - ოკუპირებული აფხაზეთის, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის რუსულ სამხედრო ბაზაზე, საქართველოს მოქალაქის, ირაკლი კვარაცხელიას სიცოცხლის უფლების დარღვევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ამ მკვლელობაში უშუალო მონაწილეები საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები არიან და არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე არ დასჯილან.

სახალხო დამცველი ასევე საგანგაშოდ მიიჩნევს 2019 წელს ე.წ. გამშვები პუნქტების ხანგრძლივი ვადით ჩაკეტვას, რამაც ოკუპირებული ახალგორის რაიონის შემთხვევაში, ჰუმანიტარული კრიზისი და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე პრობლემები გამოიწვია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს მოქალაქეების, ე.წ. საზღვრის კვეთისთვის, უკანონო დაკავება და დაპატიმრება. ამის ნათელი მაგალითი იყო ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავება.

მნიშვნელოვანი პრობლემაა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარსა და ქარელის რაიონის სოფელ ატოცში, საოკუპაციო ძალების მხრიდან უკანონო „ბორდერიზაციის" პროცესის განახლება.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის შეფასებით, სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების შესვლასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დაბრკოლებები. ასევე მცირეა იმ საერთაშორისო დონორი თუ არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც გააძლიერებდნენ აფხაზურ და ოსურ სამოქალაქო საზოგადოებას. ყოველივე ეს კი, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებებზე უარყოფითად აისახება.

წინამდებარე თავში მიმოხილულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების გასწვრივ საქართველოს მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

26.1. დოკუმენტაციისა და გადაადგილების თავისუფლების საკითხი

საანგარიშო პერიოდში, საოკუპაციო ხაზზე გადაადგილება, ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა იყო. დე ფაქტო ორგანოებისა და რუსეთის სასაზღვრო ძალების დადგენილი ფორმალური რეჟიმი, ხელოვნური მიზეზების დასახელებით, ზღუდავს ადგილობრივ მკვიდრთა გადაადგილებას, პერიოდულად კი, სრულადაც იკეტება გამშვები პუნქტები.

ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა ოკუპირებული ახალგორის რაიონში. 2019 წლის 4 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ, მოსაბრუნის (ე.წ. რაზდახანის) გამშვები პუნქტი თვითნებურად ჩაკეტა, რომლის გახსნასაც ორ დღეში აპირებდა,[1041] თუმცა სოფელ ჩორჩანაში, პოლიციის საგუშაგოს გახსნა და მასთან დაკავშირებული პროცესები, ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმისთვის მორიგი საბაბი გახდა, ე.წ. საზღვრები ჩაეკეტა და მოსახლეობა სრულ იზოლაციასა და ჰუმანიტარულ კრიზისში მოექცია.

ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვით, ახალგორში მცხოვრები, როგორც ეთნიკურად ქართველი, ისე ოსი მოსახლეობა სრულ იზოლაციასა და ჰუმანიტარულ კრიზისში მოექცა, რადგან მათ არ აქვთ სათანადო სამედიცინო დახმარების, საკვების, პენსიის თუ სხვა საარსებო სერვისებით სარგებლობის საშუალება.

ახალგორის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობას, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, წეროვანის დევნილთა დასახლებაში აქვს საცხოვრებელი სახლები, მცირე მეურნეობა და სამუშაო ადგილები. გამშვები პუნქტის ჩაკეტვის შემდეგ, მოსახლეობის ნაწილი ახალგორის რაიონში, მათი ოჯახის წევრები კი, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩნენ. ამ ფაქტმა ორივე მხარეს, როგორც ახალგორის რაიონში, ისე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და ამ მიმართულებით ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის დაწესებული ხელოვნური ბარიერები, პირდაპირ კავშირშია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობასთან. ამის ნათელი მაგალითია, არასათანადო სამედიცინო დახმარების გამო, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა გარდაცვალების ფაქტები. კერძოდ, 2019 წლის 28 ოქტომბერს 70 წლის მარგო მარტიაშვილის,[1042] ნოემბერში კი, 49 წლის ბესიკ ობესოვის და 72 წლის შოთა დრიაევის გარდაცვალება.[1043]

[1041] „ოკუპირებულ ახალგორში შესვლა შესაძლოა აღარ განახლდეს", რეგინფო, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< http://bit.do/fyfTj >[ბოლოს ნანახია 16.02.2020].

[1042] „ცხინვალის საავადმყოფოში გარდაცვლილი 70 წლის ქალის ცხედარს მის მშობლიურ სოფელში დღეს გადაასვენებენ", ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://bit.do/fygpC > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

1043 „ოკუპანტების გულგრილობის გამო გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი ცხინვალში ექსპერტიზაზე გადაიყვანეს", ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2xCeEYC > . [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

5-თვიანი ჩაკეტვის შემდეგ, დე ფაქტო ხელისუფლებამ, ე.წ. გამშვებ პუნქტთან დაკავშირებით, მიდგომა შეცვალა და გარკვეულწილად გახსნა ე.წ. საზღვარი ახალგორის რაიონის იმ მცხოვრებთათვის, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდებათ, ასევე იმ პენსიონერებისათვის, რომლებიც მხოლოდ ქართულ პენსიას იღებენ,[1044] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამონაკლისი მხოლოდ მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს შეეხო და ახალგორში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა კვლავ სრულ იზოლაციაში იმყოფება.

ე.წ. საზღვარი წინა წლებშიც ჩაკეტილა, მაგალითად, ოსურმა მხარემ გადაადგილების თავისუფლება ბოლოს 2019 წლის იანვარ-მარტის პერიოდში შეზღუდა გრიპის ვირუსის გავრცელების მოტივით. თუმცა წინა შემთხვევებისაგან განსხვავებით, 2019 წლის სექტემბერში პუნქტების ჩაკეტვამ ბევრად მძიმე შედეგები გამოიწვია.

რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებას, 2019 წლის განმავლობაში, ენგურის ხიდზე სხვადასხვა მიზეზით რამდენიმეჯერ შეიზღუდა გადაადგილება. საანგარიშო წლის დასაწყისში, საქართველოს ტერიტორიაზე გრიპის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით ჩაიკეტა ე.წ. გამშვები პუნქტი. გამონაკლისი დაწესდა მხოლოდ პაციენტებზე, რომელთაც ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულების ცნობა ჰქონდათ სამედიცინო საჭიროებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით, ივნისში, დე ფაქტო მთავრობის მიერ ხელოვნურად შექმნილი შეზღუდვების გამო, სრულად ჩაიკეტა ენგურის ხიდი, რამაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აბიტურიენტები დააზარალა. მათ, ვისაც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სურდა უმაღლესი განათლების მიღება, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ვერ მიიღეს მონაწილეობა. მოგვიანებით, ენგურის ხიდზე გადაადგილება აღდგა, თუმცა გარკვეული შეზღუდვები დაწესდა. მამაკაცების გადაადგილება დაშვებული იყო მხოლოდ 14 წლამდე და 60 წელს ზემოთ, დანარჩენი ასაკის მამაკაცებისთვის გადაადგილება სრულად აიკრძალა. შეზღუდვა არ გავრცელებულა ქალებზე. სახალხო დამცველის ინფორმაციით, 5000 რუსული რუბლის ქრთამის გადახდის შემთხვევაში, რაც დაახლოებით 225 ლარს შეადგენს, მსგავსი ტიპის შეზღუდვები არ მოქმედებს.[1045]

გადაადგილების თავისუფლება, მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებით შეიძლება შეიზღუდოს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის მონაწილე მხარეები რუსეთი და საქართველოც არიან, ადგენს, რომ თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევებში დაიშვება, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და

[1044] დე ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორთან დაკეტილ ე.წ. საზღვარზე რეჟიმი შეარბილა < http://bit.do/fygpP> [ბოლოს ნანახია 30.03.2020].
[1045] სახალხო დამცველის კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაცია, დეკემბერი, 2019.

წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს შეესაბამება.[1046] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, ოკუპანტმა ძალამ (ამ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაცია), მოსახლეობის მიმართ კონტროლის და უსაფრთხოების მხოლოდ ისეთი ზომები უნდა გაატაროს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის გამო გახდა საჭირო.[1047]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული თვითნებური შეზღუდვები, უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა უფლებით სარგებლობაზეც. მათ შორის, ჯანდაცვის, განათლების უფლებით სარგებლობაზე, უსაფრთხოების, ცხოვრების სათანადო დონის, ოჯახური ცხოვრების უფლებასა და რელიგიის თავისუფლებაზე. დაწესებული შეზღუდვების შედეგად, შესაძლოა, ოკუპირებული გალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა ეტაპობრივად დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი სახლები, რაც ეთნიკურ წმენდას გამოიწვევს. სახალხო დამცველმა, ე.წ. გადასასვლელების გაუქმებასთან დაკავშირებით, არაერთი საჯარო განცხადება გაავრცელა და საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, საერთაშორისო თანამეგობრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მაქსიმალურად იყოს დაცული არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით გარანტირებული გადაადგილების თავისუფლება.[1048]

რაც შეეხება დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამ ეტაპზე ე.წ. გამშვებ პუნქტებზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი დოკუმენტებით: 1) ე.წ. ფორმა №9; 2) დე ფაქტო პასპორტი; 3) ე.წ. ბინადრობის მოწმობა; 4) 14 წლამდე პირებისთვის - დაბადების მოწმობით; 5) გადაადგილება ასევე დასაშვებია ქართული პასპორტით, იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა (ე. წ. ვიზა).

2017 წლიდან, დე ფაქტო ადმინისტრაციამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა, როდესაც ძველი აფხაზური პასპორტების ხმარებიდან ამოღების, ხოლო ფორმა №9-ის ბინადრობის მოწმობით ჩანაცვლების გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა ან დე ფაქტო ორგანოების გაცემული პასპორტები არ წარმოადგენს საქართველოს ან საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ სამართლებრივ დოკუმენტს, მათი ფლობა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ძირითადი უფლებებით სარგებლობას უკავშირდება. გალელთა დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება ბინადრობის მოწმობის აღებას, რომელიც მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებს. ბინადრობის მოწმობას მკაცრი კრიტერიუმები და 5-წლიანი ვადა აქვს, რაც გალელებზე დამატებით ზეწოლის მექანიზმად შეიძლება გამოიყენონ. ის ასევე არ ანიჭებს ამ დოკუმენტის მქონე პირს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა, ამავე დროს, გალელებისათვის ეს დოკუმენტი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ გადაადგილების საშუალებაა, შესაბამისად,

[1046] მე-12.3 მუხლი, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.
[1047] 27-ე მუხლი, ჟენევის კონვენცია IV.
[1048] სახალხო დამცველის 2019 წლის 15 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.do/fygqb > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებულები არიან, ეს დოკუმენტი აიღონ. ბინადრობის მოწმობის აღება განსაკუთრებით უჭირთ სტუდენტებს, რადგან ადგილობრივი ადმინისტრაცია არ გასცემს მათი რაიონში ცხოვრების დამადასტურებელ ცნობას. შესაბამისად, მათ საკუთარ სახლში დაბრუნება ე.წ. ვიზით უწევთ, რომელიც გარკვეული პერიოდით არის „ჩარტყმული".[1049]

რაც შეეხება, კოდორის ხეობაში მცხოვრებ პირებს, სამწუხაროდ, ისინიც ამავე მდგომარეობაში არიან. მათ გადაადგილება მხოლოდ სპეციალური საშვით შეუძლიათ, რომელიც 2 კვირის ვადით გაიცემა, ადგილზე დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურის მიერ.[1050]

26.2. უსაფრთხოების საკითხები

საოკუპაციო ხაზზე, როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, კვლავ გრძელდება საქართველოს კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დაკავების მანკიერი პრაქტიკა.

ოფიციალური მონაცემებით, საოკუპაციო ხაზზე 2019 წელს, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 86 პირი დააკავეს,[1051] მათგან 9 ქალი და 2 არასრულწლოვანი (იგულისხმება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ან საოკუპაციო ხაზის კვეთისას დაკავებული პირები, 2018 წლის ანალოგიური მონაცემი 96-ს შეადგენს), ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 26 პირი დააკავეს, მათგან 2 ქალი და 2 არასრულწლოვანი (2018 წელს, აღნიშნული მონაცემი 28 იყო).[1052]

განსაკუთრებით საგანგაშო იყო, 2019 წლის 9 ნოემბერს, საოკუპაციო ხაზთან ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის მიერ ქართველი ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავება და შემდგომში მისთვის უკანონო პატიმრობის შეფარდება. საოკუპაციო რეჟიმი მას ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთას ედავებოდა. იმავე პერიოდში დაკავებული/გატაცებული იყო საქართველოს კიდევ 3 მოქალაქე. მათ მიმართ მიმდინარეობდა ე.წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და სამივე მათგანს ჯარიმის გადახდა დაეკისრა, ხოლო ვაჟა გაფრინდაშვილის წინააღმდეგ საოკუპაციო რეჟიმმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

დე ფაქტო ხელისუფლებამ ვაჟა გაფრინდაშვილს ე.წ. სახელმწიფო საზღვრის განზრახ დარღვევის ბრალდება რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლით წაუყენა, რომელიც 200 000 რუბლით დაჯარიმებას, ორ წლამდე იძულებით სამუშაოებს, ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. 15 ნოემბერს, ცხინვალის დე ფაქტო

[1049] სახალხო დამცველისთვის კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი, 2020.
[1050] ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი, 2020.
[1051] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2020 წლის 13 იანვრის №SSG62000005002 წერილი.
[1052] იქვე.

სასამართლომ ვაჟა გაფრინდაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.[1053] მოგვიანებით, 2019 წლის 20 დეკემბერს კი, მას 1 წლითა და 9 თვით უკანონო პატიმრობა მიესაჯა. საბედნიეროდ, 2019 წლის 28 დეკემბერს საოკუპაციო რეჟიმმა ექიმი გაათავისუფლა.[1054] საქართველოს სახალხო დამცველი, ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავების მომენტიდან აქტიურად იყო ჩართული და იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლო ბერკეტს, რათა შეძლებისდაგვარად დაცულიყო ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის უფლებები და ის უმოკლეს ვადაში დაბრუნებულიყო საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.[1055]

2019 წლის დეკემბრის ბოლოს, ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარის მცხოვრებ გენადი ბესტაევსაც. საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გენადი ბესტაევი 2019 წლის 21 ნოემბერს დააკავეს ე.წ. საზღვრის დარღვევის ბრალდებით.[1056]

ოკუპირებულ ტერიტორიებზე, წლების განმავლობაში ერთ–ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად, საოკუპაციო ხაზზე მოქალაქეთა უკანონო დაკავებებთან ერთად, რჩება პატიმართა ცემა, არასათანადო მოპყრობა და წამება დროებით იზოლატორებსა თუ საპყრობილეებში, რაზეც სახალხო დამცველი წლებია თავის ყოველწლიურ ანგარიშებში საუბრობს. 2019 წლის 22 ოქტომბერს სოციალურ ქსელსა და მასმედიის საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია და ვიდეოჩანაწერი ცხინვალის დროებითი მოთავსების იზოლატორში პატიმრების ცემისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.[1057] სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმაცია და ვიდეომასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებულ უმძიმეს მდგომარეობას. სწორედ ცხინვალის იზოლატორში, სავარაუდოდ, წამების და მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შედეგად, გარდაიცვალა საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილი.[1058]

კვლავ გაურკვეველი რჩება 2008 წლის ომის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგული ხუთი ეთნიკურად ოსი პირის ადგილსამყოფელი, მათ შორის, სამი ეთნიკურად ოსი ახალგაზრდის ბედი, რომლებიც 2008 წლის 13 ოქტომბერს, სავარაუდოდ, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაუჩინარდნენ.[1059] გენერალური პროკურატურის

[1053] ვაჟა გაფრინდაშვილს პატიმრობა შეეფარდა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: < https://bit.ly/2JsRx5w > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[1054] სახელმწიფო უსაფრთხოების 2019 წლის 28 დეკემბრის განცხადება, ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების შესახებ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.do/fygsL > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[1055] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 15 ნოემბრის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: < http://bit.do/fygqb > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[1056] სოფელ ზაარდიანთკართან დაკავებულ გენადი ბესტაევს პატიმრობა შეუფარდეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3bFfC54 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[1057] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.do/fygtc > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[1058] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 25 ოქტომბრის განცხადება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.do/fygsa > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

[1059] ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 848.

ინფორმაციით, გამოძიება გრძელდება, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების მიუხედავად, უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული პირების ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა. ამ საკითხზე პროგრესის მიღწევა მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ადამიანის უფლებების დაცვის, ისე ნდობის აღდგენის მხრივ.

26.3. განათლების უფლება

განათლების უფლების რეალიზება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. გალისა და ახალგორის ყველა სკოლაში დაწყებით კლასებში სრულად არის აკრძალული ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო ქართული ენა, როგორც უცხო ენა, მხოლოდ სკოლების ნაწილში ისწავლება. ეს უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მოსწავლეთა ქართული ენის ცოდნაზე, ისე განათლების ხარისხზე. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების განხორციელების მიზნით, მათ შორის, მულტილინგვური განათლების დანერგვის ინიციატივით, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ როგორც ქართული მხარის, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თუმცა ამ პროცესს ჯერჯერობით რეალური შედეგი არ მოუტანია.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლების პროაქტიული ქმედებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსწავლეებისა და აბიტურიენტების უფლებების დაცვის მიზნით, მათ შორის, განათლების უფლების კონტექსტში, ვინაიდან დღეს არსებული მდგომარეობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების შესაძლებლობებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ განხორციელებული პროექტები და ინიციატივები, განსაკუთრებით, გალის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, მეტად მნიშვნელოვანია. თუმცა რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები და საჭიროა საქართველოს ხელისუფლების კიდევ უფრო აქტიური მოქმედება იმ დანაკლისის ასანაზღაურებლად, რასაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვები და მოზარდები განათლების მიღების პროცესში განიცდიან.

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც გამოვლინდა სკოლის მოსწავლეებსა თუ პედაგოგებზე ეთნიკური ნიშნით დევნა და ფსიქოლოგიური ზეწოლა. სახალხო დამცველის ინფორმაციით, დე ფაქტო სტრუქტურებისგან მასწავლებლებს დაევალათ, რომ სადამრიგებლო კლასის ზეიმები რუსულ ენაზე ჩაატარონ და მერე სოციალურ ქსელში განათავსონ.[1060] სავალალო გავლენას ახდენს მოსწავლეთა განათლების ხარისხზე სკოლის გარემო და განვითარების სხვა სივრცეებიც. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სკოლაში მოსწავლეებს არ აქვთ განსხვავებული აზრის თავისუფლად გამოხატვის

[1060] სახალხო დამცველისთვის კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი, 2020.

საშუალება.[1061] ბავშვებისთვის უსაფრთხო სივრცის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. ყურადსაღები საკითხია სკოლების ინფრასტრუქტურა. ამ მიმართულებით, წინა წლების მსგავსად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ინფრასტრუქტურული პროექტები არ გავრცელებულა.[1062]

აფხაზეთის ომამდე გალის რაიონში 58 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებდა.[1063] ამ საერთო რიცხვიდან, რუსული იყო მხოლოდ ორი სკოლა,[1064] რუსულ-ქართული - სამი, ქართულ-აფხაზური კი, მხოლოდ ერთი. დანარჩენ 52 სკოლაში სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლებში ირიცხებოდა 13 180 მოსწავლე.[1065] 2019-2020 სასწავლო წლის იანვრის მდგომარეობით კი, ოკუპირებული გალის რაიონში ფუნქციონირებს 30 სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება, 5 სახელოვნებო სკოლა. სკოლებში ირიცხება 3861 მოსწავლე.[1066]



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე ოკუპირებული გალის რაიონში პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხი. იქიდან გამომდინარე, რომ მათ ეკრძალებათ ქართულად გაკვეთილის ჩატარება, სამსახურში აყვანა ხდება არა მათი პედაგოგიური კვალიფიკაციისა და გამოცდილების, არამედ რუსული ენის ცოდნის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პრობლემების გათვალისწინებით, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე მასწავლებლებს ექმნებათ, ასევე, ფსიქოლოგიური ზეწოლის და სხვა სირთულეების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათი მაქსიმალური ხელშეწყობა. ამ

[1061] სახალხო დამცველისთვის კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი, 2020.
[1062] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის №MES 7 20 00080152 წერილი.
[1063] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის №MES 7 20 00080152 წერილი.
[1064] გალის №1 და გინძე ეწერის საშუალო სკოლები.
[1065] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის №MES 7 20 00080152 წერილი.
[1066] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის №MES 7 20 00080152 წერილი.

მიმართულებით, სახალხო დამცველი, მიესალმება 2019 წლის განმავლობაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების" ქვეპროგრამის ფარგლებში, ოკუპირებული გალის რაიონიდან სხვადასხვა 45 პედაგოგის გადამზადებას.[1067] ამ პროცესის გაგრძელება მეტად მნიშვნელოვანია.

კვლავ კატეგორიულად იკრძალება საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება. სამაგიეროდ, ასწავლიან რუსი ავტორების მიერ დაწერილ რუსეთის ისტორიას, რუსეთის გეოგრაფიას, რუსულ ენაზე დაბეჭდილ აფხაზეთის ისტორიას.[1068] სასკოლო ბიბლიოთეკებში ასევე აკრძალულია ქართულ ენაზე დაწერილი ქართული ენციკლოპედიების თუ კლასგარეშე საკითხავი სხვადასხვა ლიტერატურის შენახვა-გამოყენება.

რაც შეეხება ახალგორს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად იქ 7 სკოლა ფუნქციონირებს.[1069] მათგან, 6 სკოლაში ისწავლება ქართულად და ისიც მხოლოდ მე-7 კლასიდან მე-11 კლასამდე. დანარჩენ შემთხვევებში, ქართულ ენას მხოლოდ კვირაში ხუთი საათი ეთმობა. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, ყველა სკოლაში განათლების მიღება მხოლოდ რუსულ ენაზეა დაშვებული. 2019 სასწავლო წლის მონაცემებით, ახალგორის ქართულ სკოლებში, ჯამურად 88 მოსწავლე ირიცხება და 129 პედაგოგია დასაქმებული.

სკოლის დასახელება/მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	სულ
ახალგორის ქართული	2	4	2	1	8	2	5	1	3	10	12	50
ახალგორის რუსული	11	6	7	7	6	6	6	3	6	3	1	62
იკოთი	2	2	2	1	1	2	1	1	2	2	2	18
ბალაანი	0	0	1	0	2	1	1	1	1	1	0	8
კორინთა	0	0	0	0	1	0	1	2	0	0	1	5
ახმაჯი (საბაზო)	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	1
ზემო ბოლო (საბაზო)	0	0	1	1	0	1	1	1	1	0	0	6

[1067] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის №Mes62000011715 წერილი.
[1068] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის №MES 7 20 00080152 წერილი.
[1069] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი 2020 წელი.

სულ	15	12	13	10	18	12	15	10	13	16	16	150

ზემოაღნიშნული ცხრილი ადასტურებს, რომ ახალგორის სკოლებში პირველკლასელთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. 2019 სასწავლო წელს, ახალგორის შვიდი სკოლიდან, ოთხ სკოლას (ბალაანი, კორინთა, ახმაჯი, ზემო ბოლო) საერთოდ არ ჰყავს პირველკლასელი.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, 2018-2019 სასწავლო წელს გალის რაიონში სკოლა დაასრულა 410-მა მე-11 კლასელმა მოსწავლემ. ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად დარეგისტრირდა 202. გამოცდებზე მიღებული შედეგებით ჩაირიცხა 89, ე.წ. გამშვები პუნქტის დაკეტვასთან დაკავშირებული გამონაკლისის წესით - 110, სკოლისშემდგომი განათლების პროგრამის ფარგლებში - 137. სულ 2019 წელს საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტი გახდა 336 სკოლადამთავრებული. პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა 21 სტუდენტი. სოხუმში - ჩაირიცხა მხოლოდ 29.[1070]

საგულისხმოა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომებს არ აღიარებს, შესაბამისად, ახალგაზრდებს უჭირთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასაქმება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ისინი ცდილობენ თბილისში ან სხვა ქალაქში დამკვიდრდნენ, რაც ოჯახების ხელოვნურად გაყოფას იწვევს.

26.4. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ჯანმრთელობის დაცვის უფლება არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით არის აღიარებული. მათ შორის, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის" მე-12 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ასევე მოიცავს ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობას და იგი ადამიანის აბსოლუტური უფლება და, შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული საგანია. თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუმართავი სამედიცინო სერვისები და ინფრასტრუქტურა, მედპერსონალის კვალიფიკაციის არასახარბიელო დონე და მომსახურების მაღალი ფასები, ასევე, პაციენტთა გართულებული გადაადგილება გამყოფ ხაზზე, ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უფლებაზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა სამედიცინო დახმარების მიღებას ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა ცდილობს. ამ

[1070] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის №Mes62000011715 წერილი.

მხრივ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს სახელმწიფო პროგრამები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის დასაცავად.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ მიმართულებით, საგანგაშო მდგომარეობა იყო ოკუპირებულ ახალგორში, სადაც ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის შედეგად, იქ მაცხოვრებლებმა ვერ მიიღეს სამედიცინო დახმარება და რამდენიმე მათგანი დაიღუპა.[1071]

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო პროგრამები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოს მთავრობის ყველაზე წარმატებულ პროგრამად რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა უნდა ჩაითვალოს, რომლის ფარგლებშიც, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში სრულიად უფასოდ მკურნალობენ. მაგალითად, 2019 წლის განმავლობაში, „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან 863 პაციენტი დაფინანსდა, მათგან, 689 პირი ოკუპირებული აფხაზეთიდან და 174 ოკუპირებული ცხინვალიდან.[1072] რაც შეეხება C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას (დიაგნოსტიკა, მკურნალობა), 2019 წლის მონაცემებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა ნეიტრალური დოკუმენტის მქონე 25-მა პირმა ისარგებლა.[1073] თუმცა, 2017 წლის დასაწყისში პაციენტთა დაფინანსების წესში შეტანილი ცვლილების შედეგად, რომლის მიხედვითაც დაფინანსებას აღარ დაექვემდებარება პირველადი დიაგნოსტიკა, მნიშვნელოვნად იკლო პაციენტთა რიცხვმა.

ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოწვევად რჩება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებაც. აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა 2016 წელს აბორტის სრულ აკრძალვას დაუჭირა მხარი. ამოქმედებული კანონი „ჯანდაცვის შესახებ", ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას სამედიცინო ჩვენების შემთხვევაშიც კი არ ითვალისწინებს. დღევანდელი რეგულაციით, აფხაზეთის რეგიონში აბორტის სერვისის ლეგალურად მიღება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ სამედიცინო დასკვნით, შეწყვეტილია ორსულობა. აბორტის სერვისების არარსებობა ხელს უწყობს სხვადასხვა არალეგალური პრაქტიკის დამკვიდრებას. სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა შემთხვევები, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა, ამ სერვისის მისაღებად, სხვადასხვა, ე.წ. „მიწისქვეშა" (აკრძალულ) ხერხს მიმართავენ. დე ფაქტო ხელისუფლების მიერ

[1071] „ცხინვალის საავადმყოფოში გარდაცვლილი 70 წლის ქალის ცხედარს მის მშობლიურ სოფელში დღეს გადაასვენებენ", ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://bit.do/fygrA
[1072] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/330 წერილი.
[1073] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 13 იანვრის №04/744 წერილი.

დაწესებული ხელოვნური შეზღუდვები საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. აპარატის ინფორმაციით, 2019 წელს, სამედიცინო დაწესებულებებისთვის თვითნებური აბორტის შემდგომი გართულებებით მიმართვის 15-20 შემთხვევა გამოვლინდა. ასევე გამოვლინდა ოკუპირებული რეგიონებიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსული არასრულწლოვანი ორსული გოგოების მშობიარობის და შემდეგ ახალშობილების გაშვილების (იგულისხმება კანონით დადგენილი პროცედურებისთვის გვერდის ავლით) შემთხვევები.[1074] ინფორმაციის თანახმად, აბორტის სერვისის აკრძალვის შემდეგნ ოკუპირებულ რეგიონებში გახშირდა ახალშობილი ბავშვების სანაგვე ყუთებში დატოვების ფაქტები.

უსაფრთხო აბორტის სერვისზე ხელმისაწვდომობა, ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილია. მნიშვნელოვანია არსებული რეგულაციების შეცვლა, რაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქალების უფლებრივ მდგომარეობას. ასევე მნიშვნელოვანია ქალებისა და გოგოების მეტად ინფორმირება, კონტრაცეპტივებზე წვდომის უზრუნველყოფა და არა იმგვარი აკრძალვების შემოღება, რომლებიც მათ აიძულებს მიმართონ ისეთ მეთოდებს, რომლებიც საფრთხის ქვეშ აგდებს მათ ჯანმრთელობას და უკიდურეს შემთხვევაში, სიცოცხლეს.

26.5. გამოხატვის თავისუფლება

ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ მძიმეა მდგომარეობა გამოხატვის თავისუფლების მხრივ. კრიტიკული აზრის საჯაროდ გამოხატვის გამო, თამარ მეარაყიშვილი, დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან, 2017 წლიდან განიცდის ზეწოლას. ამ პერიოდის განმავლობაში, მას ჩამორთმეული აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა პირადი ნივთები, შეზღუდული აქვს გადაადგილების თავისუფლება და სხვა ფუნდამენტური უფლებები.

მეარაყიშვილი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა საერთაშორისო მედიასაშუალებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აქტიურად საუბრობდა ახალგორის რაიონში არსებულ პრობლემებზე, რაც გახდა კიდეც მასზე ზეწოლის მიზეზი. თუ გავითვალისწინებთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მედიის წვდომის შეზღუდვებს, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ტიპის აქტივიზმი ერთ-ერთი ღირებული საინფორმაციო წყაროა.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, გარდა იმისა, რომ ირღვევა თამარ მეარაყიშვილის გამოხატვის და პირადი ცხოვრების უფლებები და გადაადგილების თავისუფლების ხელშეუხებლობა, მის მიმართ არაერთი სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანია, აიძულონ, სამუდამოდ დატოვოს რეგიონი.

[1074] სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. შეხვედრა ზუგდიდში 19.12.2019.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს ეფექტიან კონტროლს ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე და დე ფაქტო რეჟიმს არ აღიარებს საერთაშორისო სამართალი, ამ პირობებშიც კი, ადამიანის უფლებების დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, დე ფაქტო ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის, ყველა შესაძლო ბერკეტი უნდა გამოიყენოს. მნიშვნელოვანია, რომ ეს საქმე ყველა საერთაშორისო მოლაპარაკების დღის წესრიგში იყოს.

26.6. „ბორდერიზაცია" და მისი გავლენა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობაზე

სახალხო დამცველის აპარატი, ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას, რეგულარულად აკვირდება როგორც სამეგრელოს, ისე შიდა ქართლის რეგიონების საოკუპაციო ხაზის სოფლებში. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ე.წ. გამყოფი ხაზის სოფლებში განხორციელებული რეგულარული მონიტორინგის მიზანი იყო ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და მათთვის მნიშვნელოვან თემებზე ინფორმაციის მიწოდება (რა სერვისებით შეუძლიათ ისარგებლონ, რა პროგრამები ხორციელდება და სხვ.).

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად,[1075] შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ ისევ მძიმედ განიცდის ომისგან მიყენებულ ზიანს. ეს განსაკუთრებით ეხება შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზის სოფლებს, რომელთაც პირდაპირ შეეხოთ 2008 წლის შეირაღებული მოქმედებები, ხოლო ომის შემდგომ მავთულხლართების გავლების შედეგად, თანდათანობით შეეზღუდათ წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და სარწყავ წყალზე, რაც მათი შემოსავლის ძირითადი წყარო იყო.

კვლავ პრობლემად რჩება საოკუპაციო ხაზისპირა სოფლებში ომის დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია/კომპენსაციის საკითხი, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის წყაროს მოძიება. ამ საკითხებზე სახალხო დამცველი ყოველწლიურ ანგარიშებში დეტალურად საუბრობდა და შესაბამისი რეკომენდაციებიც იყო შემუშავებული.[1076]

საანგარიშო პერიოდში, სოფელ გუგუტიანთკართან საოკუპაციო ძალებმა ბორდერიზაციის პროცესი განაახლეს.[1077] მცოცავი ოკუპაციის ახალი ეტაპი, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ

[1075] მონიტორინგი ჩატარდა სოფლებში: ატოცში, გუგუტიანთკარში, კოშკაში, ხურვალეთში, არბოში, ქორდში, დიცში, მეჯვრისხევში, პატარა ლიახვში, ერგნეთში, ბერბუკსა და ჯარიაშენში.

[1076] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 316. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.do/fygtB > {ბოლოს ნანახია 05.03.2020].

[1077] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება გუგუტიანთკარში მიმდინარე მოვლენებზე. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.do/fygtW > {ბოლოს ნანახია 30.03.2020].

გუგუტიაანთკარში 7 აგვისტოს დაიწყო და დაახლოებით 2 კვირაზე მეტხანს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მათ 300 მეტრამდე ახალი ღობე გაავლეს და ამ ღობის მიღმა ორი ოჯახის (გუგუტიშვილებისა და რაზმაძეების) ომის დროს დანგრეული სახლები და მიწის ნაკვეთები მოაქციეს. სახალხო დამცველი პირადად იმყოფებოდა სოფელ გუგუტიანთკარში.[1078] დაზარალებულმა ოჯახებმა, სახალხო დამცველთან საუბრისას აღნიშნეს, რომ საოკუპაციო რეჟიმის მიერ აღმართული ხელოვნური ბარიერების შედეგად, დაკარგეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რაც მათთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო. ასევე აღნიშნეს, რომ მუდმივად საფრთხის მოლოდინში არიან. ბორდერიზაციის პროცესი 2019 წელს წარიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცშიც.

მონიტორინგის პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად მიუთითებს უსაფრთხოების არქონის ზოგად განცდაზე. აღნიშნულს კი გაურკვევლობით და მცოცავი „საზღვრების" შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით ხსნის. შესაბამისად, მოსახლეობის ნაწილმა არ იცის, სად გადის ე.წ. სასაზღვრო ხაზი და ხშირია შემთხვევები, როდესაც რუსი ოფიცრები ან დე ფაქტო უსაფრთხოების აქტორები „სახელმწიფო საზღვრის" დარღვევის ბრალდებით აკავებენ ადამიანებს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

- აწარმოოს მოლაპარაკებები ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაუშვას საერთაშორისო მონიტორების სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- ხელი შეეწყოს არაფორმალური განათლების პროექტებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დონორებთან მოლაპარაკების, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ფინანსური რესურსების გამოყოფის გზით
- აღდგეს ქართული ენის სწავლება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ან დაფინანსებულ საზაფხულო ბანაკებსა და საზაფხულო სკოლებში ოკუპირებული ტერიტორიიდან მონაწილე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის; სტუდენტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პარალელურად, შეეთავაზოთ ქართული ენის სასწავლო პროგრამები
- შემუშავდეს სტიპენდიის ან/და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა სტუდენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რათა მათ შეძლონ

[1078] სახალხო დამცველის 2019 წლის 15 აგვისტოს განცხადება გუგუტიანთკარში განვითარებულ მოვლენებზე. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.do/fygt7 > [ბოლოს ნანახია 30.03.2020].

უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში

- გაგრძელდეს ახალი სტუდენტური საცხოვრებლების აშენება, ხოლო მანამდე, უკვე არსებულ საცხოვრებლებში გამოიყოს შესაბამისი კვოტა სტუდენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიიდან

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს:

- აწარმოოს მოლაპარაკებები სხვადასხვა დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, აფხაზეთში და, განსაკუთრებით, გალის რაიონში სკოლის მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობების ხელშესაწყობად
- თამარ მეარაყიშვილის უფლებების დაცვის მიზნით, მის მიმართ განხორციელებული დევნის დროულად შესაწყვეტად და მისი გადაადგილების თავისუფლების დაუყონებლივ უზრუნველსაყოფად, აწარმოოს მოლაპარაკებები ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის განახლდეს ამბულატორიული დიაგნოსტირების ხარჯის დაფინანსება, როგორც 2017 წლამდე იყო
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან პაციენტებისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტიანად მისაწოდებლად, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. გადახედოს რეფერალური კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს და უმოკლეს დროში განიხილოს შემთხვევები
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე ექიმები ჩართოს გადამზადების იმ პროგრამებში, რომლებსაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მომუშავე ექიმები გადიან, ასევე გაზარდოს მხარდაჭერა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალისათვის.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას და მის წევრ უწყებებს:

- აწარმოონ 2008 წლის ომის დროს დაზიანებული ქონების რეაბილიტაცია/კომპენსაციის სამუშაოები და შექმნან ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის წყაროს მოძიების პროგრამები

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- საზოგადოებას, პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული პირების საქმის გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის თაობაზე

27.იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

2020 წლის 31 იანვრის მონაცემებით, საქართველოში 286 367 დევნილი პირი და 90 861 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული. სახელმწიფომ 41 263 ოჯახი განასახლა, 41 738 ოჯახს შევსებული აქვს განაცხადი და განსახლების მოლოდინშია.[1079] ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები 3 191 ოჯახია რეგისტრირებული.[1080] განსახლების პროცესს უკავშირდებოდა საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დევნილთა მაღალი მომართვიანობა - აპარატმა წლის განმავლობაში დაახლოებით 150 საქმე შეისწავლა. წინა წლების მსგავსად, მთავარ გამოწვევად სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობებში მცხოვრებ პირთა უფლებრივი მდგომარეობა რჩება. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა დევნილთა მიმართ პასუხისმგებელი ორგანო.[1081] დღესდღეობით, დევნილთა საკითხებს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში სააგენტო) შეისწავლის.[1082] აღნიშნულ ცვლილებებს თან სდევდა ხანგრძლივი რეორგანიზაციის პროცესი, რამაც გამოიწვია შეფერხება სხვადასხვა საქმიანობასა და ღონისძიებების განხორციელებაში.

27.1. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლება საქართველოს რამდენიმე რეგიონში განხორციელდა.[1083] მათ შორის, ყველაზე მასშტაბურად, თბილისში.[1084] სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი განცხადებებიდან, ცალკეულ შემთხვევებში, გამოვლინდა განსახლების თაობაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებებისა და დასაბუთების გარეშე მიღების ფაქტები. ამასთან, იმ

[1079]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 31 იანვრის №03/2060 წერილი.

[1080] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 იანვრის №03/1358 წერილი.

[1081] 2018 წლის სექტემბრიდან დევნილთა პოლიტიკას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს, ხოლო 2019 წლის 28 ნოემბრამდე დაგეგმილი პოლიტიკის გამტარებელი ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო იყო.

[1082] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილება, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი.

[1083] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 31 იანვრის №03/2060 წერილის მიხედვით, ბათუმში განსახლდა 164 ოჯახი, მცხეთაში - 120 ოჯახი, ხაშურში - 13, ზუგდიდში - 13, ხოლო მარნეულში - 29.

[1084] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 31 იანვრის №03/2060 წერილის მიხედვით, თბილისში 707 ოჯახი განსახლდა.

შემთხვევაშიც კი, თუ ამგვარ გადაწყვეტილებას სასამართლო ბათილად ცნობს, დარღვეული უფლების აღდგენა - საცხოვრებლით უზრუნველყოფა - ჭიანურდება, ვინაიდან იმ დროისათვის, როდესაც სასამართლოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს, გასანაწილებელი ბინების რესურსი, უმეტესწილად ამოწურულია და დევნილ ოჯახს განსახლების მომდევნო ეტაპისათვის უწევს დიდი ხნით დალოდება (მაგ.: თბილისში 2016 წლის შემდეგ, დევნილები 2019 წელს განასახლეს, ზუგდიდში 2018 წლის შემდეგ აღარ განუსახლებიათ და ა. შ.).

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიკვეთა შესაბამისი სულადობის მქონე ოჯახების დასაკმაყოფილებლად გამოსყიდული ბინების სიმცირე. მაგალითად, თბილისში განაწილდა მხოლოდ 143 ოროთახიანი ბინა, რომელიც გათვალისწინებულია 3-4 წევრისაგან შემდგარი ოჯახებისათვის, მაშინ როცა თბილისში დაგეგმილ გრძელვადიანი განსახლების ეტაპზე რეგისტრირებული 10 414 განაცხადიდან, 4 849 სწორედ ოროთახიან ბინას ეხებოდა.[1085] აუცილებელია, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების დაწყებამდე, არსებობდეს მექანიზმი, რომელიც გამოავლენს საჭიროებებს და დევნილი ოჯახების განსასახლებლად ბინების შეძენისას უწყება სწორედ ამ საჭიროებებს ითვალისწინებდეს.

აპარატში შემოსული განცხადებების გაანალიზების შედეგად, გამოიკვეთა კერძო საცხოვრებელი სახლის შესყიდვის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ოჯახების განაცხადების განხილვის გაჭიანურების პრობლემა. ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში განსახლების პროცედურისგან განსხვავებით, როდესაც დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია განსაზღვრავს განაცხადების განხილვის ვადას, კერძო საცხოვრებლების შესყიდვის შემთხვევაში, არ არის გათვალისწინებული ასეთი შესაძლებლობა. ამდენად, დევნილებს არ აქვთ ინფორმაცია განაცხადების განხილვის სავარაუდო თარიღთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, განსახლების სხვა პროგრამების მსგავსად, კერძო საცხოვრებლის სახლის შესყიდვის თაობაზე განაცხადების წარდგენის შემდეგ, კომისიას მისი განხილვისათვის შესაბამისი ვადების განსაზღვრის უფლებამოსილება მიენიჭოს.

27.2. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება

დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, კვლავ პრობლემაა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობებში მცხოვრები დევნილი ოჯახების განსახლება. სააგენტოს ინფორმაციით,[1086] ამჟამად არსებული 154 ობიექტიდან, რომლებიც მძიმე მდგომარეობაშია, 133 სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის

[1085] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 5 თებერვლის №03/2285 წერილი.

[1086] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 იანვრის №03/1358 წერილი.

მომეტებული საფრთხის შემცველია. შესაბამისად, შემოწმებული ობიექტებიდან 21 შენობა შეფასების დროს მომეტებული საფრთხის შემცველი არ ყოფილა. შენობების ტექნიკური მდგრადობა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ დევნილთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მოწმდება. შესაბამისად, შესაძლოა, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ყველა ობიექტი არ შემოწმდეს და სააგენტოს მონაცემები არ იყოს სრულყოფილი. მნიშვნელოვანია, სააგენტომ საკუთარი ინიციატივით, პროაქტიულად შეამოწმოს დევნილთა განსახლების ობიექტების ტექნიკური მდგრადობა და ეს მხოლოდ დევნილთა წერილობით მიმართვაზე არ იყოს დამოკიდებული.

სააგენტოს ინფორმაციით, 2019 წელს სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი 29 ობიექტი დაიხურა. დახურული ობიექტებიდან, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 245 ოჯახი განსახლდა,[1087] რაც, 2018 წელს განსახლებული ოჯახების რაოდენობაზე[1088] 92 ოჯახით ნაკლებია. საანგარიშო პერიოდში ე. წ. ნგრევადი ობიექტებიდან განსახლებული ოჯახების რაოდენობის კლება, ცალსახად იმსახურებს უარყოფით შეფასებას. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების მდგომარეობა დროდადრო კიდევ უფრო მძიმდება. ამდენად, მნიშვნელოვანია, სააგენტომ, შესაბამისი საექსპერტო შეფასებების ჩატარების გზით პერიოდულად გადაამოწმოს ავარიული შენობების მდგრადობა,[1089] ასევე, მაქსიმალურად უზრუნველყოს მძიმე მდგომარეობაში მყოფი ობიექტებიდან დევნილთა პრიორიტეტულად განსახლება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ინდივიდუალური საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა გრძელვადიანი განსახლების, მათ შორის პირის მსგავს შენობაში ფაქტობრივად ცხოვრების დადასტურების გაწერილი პროცედურები, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ დგინდება დევნილი ოჯახი რეალურად ცხოვრობს თუ არა ე. წ. ნგრევად ობიექტში. მნიშვნელოვანია, რომ დევნილთა განსახლების მარეგულირებელ აქტში გაიწეროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლების წესი, რაც შენობაში მონიტორინგის ჩატარებასა და ფაქტობრივად ცხოვრების გამოსაკვლევად საჭირო ყველა პროცედურას განსაზღვრავს. ამით, გადაწყვეტილება, დასაბუთებული და საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოების გამოკვლევის საფუძველზე მიიღება.

რეკომენდაციები

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

[1087] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 იანვრის №03/1358 წერილი.

[1088] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 320.

[1089] აღნიშნულ პრობლემაზე სახალხო დამცველი 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში საუბრობდა, გვ. 750.

- სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული მძიმე მდგომარეობაში მყოფი 21 ობიექტიდან, 2020 წელს გამოვლინდეს ისეთი შენობები, რომელთა მდგრადობაც, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ გადამოწმებულა, და საექსპერტო შეფასებების ჩატარების გზით გადამოწმდეს მათი მდგომარეობა
- საექსპერტო შეფასებების ჩატარების გზით პროაქტიულად გადამოწმდეს დევნილთა განსახლების ობიექტების მდგრადობა, რათა შესაძლებელი გახდეს სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვება ე. წ. ნგრევადი ობიექტების რაოდენობაზე
- მაქსიმალურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ყოფილი კოლექტიური განსახლების ობიექტებიდან დევნილი პირების გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ხოლო საკმარისი რესურსის (გასანაწილებელი ბინების) არარსებობის შემთხვევაში, გრძელვადიან განსახლებამდე ქირით უზრუნველყონ ასეთი ოჯახები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილებები მინისტრის №320 ბრძანებაში და გაიწეროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლების შესაბამისი წესი, რომლითაც განისაზღვრება მონიტორინგის ჩატარებასა და ფაქტობრივად ცხოვრების გამოსაკვლევად საჭირო ყველა პროცედურა
- შევიდეს ცვლილებები მინისტრის №320 ბრძანებაში და განსახლების სხვა პროგრამების მსგავსად, კერძო საცხოვრებელი სახლის შესყიდვის თაობაზე განაცხადების წარდგენის შემდეგ, დევნილთა საკითხების შემსწავლელ კომისიას, მის განსახილველად მიეცეს შესაბამისი ვადების განსაზღვრის უფლებამოსილება.

28.ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა

2019 წელს, ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები არ შეინიშნება. განსახლებისთვის გამოყოფილი თანხების სიმცირე და ეკომიგრაციის გამომწვევი მიზეზების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების ნაკლებობა მთავარ გამოწვევად რჩება. გამოიკვეთა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების არაერთგვაროვანი მიდგომაც სტიქიის შედეგად დაზარალებული და განსახლებას დაქვემდებარებული პირების მიმართ. საანგარიშო პერიოდში შენარჩუნებულია ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობის ზრდის ტენდენცია.[1090] 2019 წლის მონაცემებით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) მონაცემთა ბაზაში 6 187 ეკომიგრანტი ოჯახია რეგისტრირებული. მათგან სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საცხოვრებლით 1 957 ოჯახია უზრუნველყოფილი.[1091]

28.1. ეკომიგრანტთა განსახლება

ეკომიგრანტთა განსახლების კუთხით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების სიმწირე ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. 2019 წელს 281 ოჯახი დაკმაყოფილდა[1092] საცხოვრებლით. იმ პირობებში, როდესაც მზარდია ეკომიგრანტთა რაოდენობა, მნიშვნელოვანია გაიზარდოს განსახლებული ოჯახების რაოდენობაც. დამატებით, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტების ნაწილს დღემდე არ გადასცემია საცხოვრებელი კერძო საკუთრებაში. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებული 1062 ოჯახიდან[1093] მხოლოდ 649[1094] ოჯახს აქვს უძრავი ქონება საკუთრებაში გადაცემული, დანარჩენებს კი, წლებია, უწევთ მოლოდინის რეჟიმში ცხოვრება.

[1090] 2017 წელს 5 009 ეკომიგრანტი ოჯახი იყო რეგისტრირებული, იხ. 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 242; 2018 წელს 5 457 ეკომიგრანტი იყო რეგისტრირებული, იხ. 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 324.

[1091] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 იანვრის №03/1362 წერილი.

[1092] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 იანვრის №03/1362 წერილის მიხედვით, 164 ოჯახი, ხოლო აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის №05/112 წერილის მიხედვით, 117 ოჯახი განსახლდა.

[1093] სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 620.

[1094] 2016 წელს 311 ოჯახს, 2017 წელს 101 ოჯახს, 2018 წელს 117 ოჯახს და 2019 წელს 20 ოჯახს გადაეცა საკუთრებაში. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 780, 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 242, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 325, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 იანვრის №03/1362 წერილი.

რაც შეეხება მაღალი რისკის ქვეშ მცხოვრებ ოჯახებს, 2019 წელს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრების შესახებ[1095] დასკვნა 210 ოჯახზე გასცა.[1096] მიუხედავად იმისა, რომ ეკომიგრანტთა განსახლებაზე პასუხისმგებელმა უწყებამ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა ამავე უწყების მიერ 2013 წლიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნები, ამას გავლენა არ მოუხდენია განსახლებული ოჯახების რაოდენობაზე და მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები მხოლოდ 30 ოჯახი განსახლდა. ამდენად, მნიშვნელოვანია, განსახლების საკითხზე მსჯელობისას, პრიორიტეტი სწორედ ასეთ ოჯახებს მიენიჭოთ.

28.2. ეკომიგრაციის პრევენცია

სახალხო დამცველი მრავალი წელია მიუთითებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მნიშვნელობაზე. საანგარიშო პერიოდში გაანალიზდა ადგილობრივი თვითმმართველობების მიდგომა ეკომიგრანტებსა და ეკომიგრაციის პრევენციასთან მიმართებით. როგორც აღმოჩნდა, ცალკეული მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას თავის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ეკომიგრანტი ოჯახების[1097] შესახებ. გარდა ამისა, ცალკეულ მათგანს არ აქვს ინფორმაცია იმ ტერიტორიების შესახებ, სადაც გეოლოგიური პროცესები მიმდინარეობს.[1098] მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად იკვეთება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების უმრავლესობა არ ზრუნავს ეკომიგრაციის პრევენციაზე და მხოლოდ ზიანის დადგომის შემდეგ რეაგირებს[1099]. მუნიციპალიტეტების ნაწილს ბიუჯეტში არ აქვს გათვალისწინებული სახსრები ამ მიმართულებით.[1100] ასევე, ზოგიერთი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო საცხოვრებლისთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრას ოჯახის სოციალური სტატუსის მიხედვით ცდილობს.[1101]

იმისათვის, რათა ადმინისტრაციულმა ერთეულმა გაატაროს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, ან გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამდე შეფასდეს რისკები, არის თუ არა შესაძლებელი კონკრეტულ ტერიტორიაზე ამა თუ იმ

[1095] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრება ქულათა სისტემის გაუთვალისწინებლად განსახლების საფუძველია.

[1096]სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის №21/119 წერილი.

[1097] გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია.

[1098] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია.

[1099] სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია ერთჯერადად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს აფინანსებს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია კომისია, რომელიც შეისწავლის სტიქიის შედეგად მიყენებულ ზიანს და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება დაზარალებულებს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია გასცემს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას და ა. შ.

[1100] ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია, ქარელის მუნიციპალიტეტის მერია, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია და ა.შ.

[1101] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია.

პროექტის განხორციელება,[1102] მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდეს ინფორმაცია თავის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე გეოლოგიური პროცესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პრევენციული ღონისძიების სათანადოდ გატარების შემთხვევაში, შესაძლებელია ოჯახის განსახლების აუცილებლობის თავიდან აცილება, რაც, ერთი მხრივ, დაზოგავს ფინანსურ რესურსს, მეორე მხრივ კი, თავიდან აგვაცილებს დასახლებული ტერიტორიის დაცლისა და ოჯახის ახალ საცხოვრებელზე ინტეგრაციის პრობლემებს, ასევე შენარჩუნდება მიწის ნაკვეთების შემდგომი გამოყენების შესაძლებლობა.

რეკომენდაციები

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული გეოლოგიური დასკვნების გაანალიზების საფუძველზე, გამოვლინდეს მაღალი რისკის ქვეშ მცხოვრები ოჯახები და განსახლებისათვის გამოყოფილი თანხის მინიმუმ 30% მოხმარდეს ასეთი ოჯახების განსახლებას
- 2020 წელს დასრულდეს 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

ქარელის, ხარაგაულის, აბაშის, დედოფლისწყაროს, წალკის, დმანისისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს:

- ბიუჯეტის ფორმირებისას, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოვლენილ გეოლოგიურად აქტიურ ტერიტორიებზე პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, მოხდეს შესაბამისი ფინანსების მობილიზება
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამდე, შეისწავლონ საპროექტო ტერიტორია გეოლოგიური პროცესების იდენტიფიცირების მიზნით და გაატარონ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დასახული ღონისძიებები.

[1102] აპარატმა შეისწავლა საქმე, სადაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ საგზაო სამუშაოები დაგეგმა და ნაწილობრივ განახორციელა ისეთ ტერიტორიაზე, სადაც მეწყრული პროცესები მიმდინარეობდა.

29.უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს სახალხო დამცველი, უკანასკნელი რამდენიმე წელია, საპარლამენტო ანგარიშებში ცალკე თავს უთმობს ქვეყანაში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შეფასებას. ანგარიშში ასახულია როგორც თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მგომარეობა, ისე იმ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები, რომლებსაც საქართველოში სურთ ბინადრობის ნებართვით სარგებლობა. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის ფარგლებში უფლებამოსილების განხორციელებისას, სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ სასაზღვრო კონტროლსაც უწევს მონიტორინგს. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატი, ბოლო რამდენიმე წელია, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობასაც შეისწავლის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობასთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

საქართველოში 2019 წელს, მართალია, გაიზარდა[1103] თავშესაფრის მაძიებელთა მომართვიანობა, თუმცა საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა რაოდენობა დიდად არ შეცვლილა, რადგან სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი კვლავ დაბალია. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, წინა წლის მსგავსად, მთავარ საკითხებად რჩება საერთაშორისო დაცვის მინიჭების დაბალი მაჩვენებელი, უსაფრთხოების საფუძვლით უარის დასაბუთებულობის საკითხი და ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საფუძვლით ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი პრობლემაა ბინადრობის უფლების მოპოვების მიმართულებითაც.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლის მონიტორინგისას რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გამახვილდა ყურადღება. ამ საკითხებს შორის არის პასუხისმგებელ პირთა ინფორმირებულობა თავშესაფრის მაძიებელთა გადამისამართების მექანიზმსა და მის ინსტრუმენტებზე და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შეყოვნებისას გასათვალისწინებელი ზოგადი სტანდარტები.

[1103] 2018 წელს 959 (შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიგრაციის დეპარტამენტის წერილი NMIA 9 19 00254940), ხოლო 2019 წელს -1237 თავშესაფრის მაძიებლის განაცხადი (საქართველოს შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის წერილი №MIA 92000336325, 7.02.2020).

29.1. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა და ძირითადი ტენდენციები

2019 წლის დეკემბერში, სახალხო დამცველის აპარატმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და შვეიცარიის მთავრობის მიერ ორგანიზებულ ლტოლვილთა გლობალურ ფორუმზე[1104] (Global Refugee Forum) პირველად წარადგინა ნებაყოფლობითი ვალდებულებები[1105] თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელების შესახებ.
2019 წელს 1 237 პირმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს თავშესაფრის თხოვნით, რაც წინა წელთან შედარებით, გაზრდილი მაჩვენებელია. მაძიებელთა შორის ჭარბობენ ირანის, ეგვიპტის, ინდოეთის, რუსეთის და თურქეთის მოქალაქეები.

რაც შეეხება სტატუსის მქონე პირთა რაოდენობას, საქართველოში 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით,[1106] 1 360 საერთაშორისო დაცვის მქონე პირია. აქედან, 504 ლტოლვილის, ხოლო 856 - ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირია, მათ შორის, ძირითადად, ერაყის, უკრაინის, რუსეთის და ეგვიპტის მოქალაქეები არიან.

სტატუსის მინიჭებაზე უარის პროცენტული მაჩვენებელი, წლების განმავლობაში, იზრდება. თუ 2015 წელს სტატუსის მინიჭების უარყოფითი მაჩვენებელი განხილული საქმეების 25%-ს შეადგენდა, მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად იზრდება და საშუალოდ 84%-ს აღწევს.



[1104] იხ.: https://www.unhcr.org/global-refugee-forum.html [ბოლოს ნანახია: 20.02.2020].
[1105] იხ. https://lop.by/PNO [ბოლოს ნანახია: 20.02.2020].
[1106] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის წერილი №MIA 92000336325, 7.02.2020.

რაც შეეხება სტატუსის მინიჭებაზე უარის მიზეზებს, სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძვლით, სულ 32 პირს (დაახლოებით 8%) ეთქვა უარი. მათ შორის სირიის - 16, ხოლო 5 იემენის მოქალაქეა. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო დაინტერესდეს აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეების შემდგომი სამართლებრივი სტატუსით, მათ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. Human Rights Watch-ის ანგარიშის თანახმად,[1107] მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი სირიაში ნაწილობრივ შემცირებულია და რუსეთი და სირია ლტოლვილებს უკან დაბრუნებისკენ მოუწოდებენ, სამთავრობო ძალები განაგრძობენ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას, თვითნებურ დაკავებას, არასათანადო მოპყრობას, ასევე დაწესებულია შეზღუდვები თავისუფალ გადაადგილებაზე. უარის სხვა მიზეზებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ 484 განხილული საქმიდან, 373 პირს უარი მიზეზების არქონის გამო ეთქვა, რადგან პირები ვერ აკმაყოფილებდნენ შესაბამის მოთხოვნებს სტატუსის მისანიჭებლად, ხოლო 2 პირს იმ მოტივით, რომ შეეძლოთ წარმოშობის ქვეყნის შიგნით გადაადგილება.

აქვე აღსანიშნავია სასამართლოდან მიგრაციის დეპარტამენტში დაბრუნებული საქმეების ხელახალი განხილვა. 2019 წელსაც, 2018 წლის ანალოგიურად, თავშესაფრის მაძიებლის სასარგებლოდ არცერთი ხელახლა დაბრუნებული გადაწყვეტილება არ შეცვლილა.[1108] შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თავშესაფრის მაძიებლები მაქსიმალურად უნდა იყვნენ დაცულები ისეთ ქვეყანაში დაბრუნებისგან, სადაც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს.

თავშესაფარის პროცედურაზე წვდომა

თავშესაფრის მაძიებელთათვის ტერიტორიასა და თავშესაფრის პროცედურაზე წვდომის, კონფიდენციალობის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების, გაუძევებლობისა (non-refoulment) და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების რეალიზაციის შესაფასებლად, სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგი ჩაატარა როგორც საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, ისე პენიტენციურ დაწესებულებებში.

მონიტორინგის ფარგლებში, გამოვლინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ფლობენ ინფორმაციას თავშესაფრის კანონმდებლობასა და პასუხისმგებელ უწყებაზე. ამასთან საყურადღებოა, რომ ყოფილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების ორმხრივი ბრძანება არეგულირებს თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიკაციის, სახელმწიფო საზღვარზე მიღების, მათი გადაცემისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის წესს. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ეს პროცედურები მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას მიეკუთვნება, მნიშვნელოვანია

[1107] იხ. https://lop.by/PNQ [ბოლოს ნანახია: 20.02.2020].

[1108] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის წერილი №MIA 92000336325, 7.02.2020.

ახალი ბრძანების მიღება და ამ საკითხების სათანადოდ ერთი უწყების ფარგლებში რეაგირებისათვის შემუშავება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აპარატის მიერ მონიტორინგის განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციით[1109] გამოიკვეთა, რომ საანგარიშო პერიოდში, სახმელეთო საზღვრის უკანონო კვეთისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - სასაზღვრო პოლიციის მიერ მოხდა 4 უცხო ქვეყნის მოქალაქის გადამისამართება სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში თავშესაფრის მაძიებლობის მოთხოვნის გამო. თუმცა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული თავშესაფრის მაძიებელი 2 პირისგან[1110] მიღებული ინფორმაციისა და თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციით, ამ პირთა მიმართ საზღვრის უკანონო კვეთის გამო, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს საზღვრის უკანონო კვეთისას თავშესაფრის მაძიებელი პირის გამოვლენის კუთხით არსებულ პრობლემებზე, რითაც ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი[1111] თავშესაფრის მაძიებელი პირის მიერ საზღვრის უკანონო კვეთისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების შესახებ.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ უწყებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ზემოაღნიშნული არ დასტურდება, საანგარიშო პერიოდში რამდენიმე უცხოელმა[1112] განაცხადა, რომ მათი განცხადება თავშესაფრის მოთხოვნაზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ადრესატამდე არ მისულა, რამაც შეაფერხა მათი წვდომა თავშესაფრის პროცედურაზე.

ასევე ბენეფიციარებისგან მიღებული ინფორმაციით, უკანონოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის და პენიტენციურ დაწესებულებებში ენობრივი ბარიერიც ერთ-ერთი გამოწვევაა.

უცხოელთა დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომების გამოყენება

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით განსაზღვრულია უცხოელის საქართველოდან გაძევების მიზნით, მისი დაკავებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების საკითხი. ამავე კანონის 65-ე მუხლი კი ადგენს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიულ ზომებს.

[1109] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის წერილი №MIA 22000781955, 30.03.2020.

[1110] 2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2 შემთხვევაში აღნიშნული პრობლემა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან შეხვედრა/გასაუბრების და მათ თაობაზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოავლინა.

[1111] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის შენიშვნა; ასევე, „საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

[1112] იხ. სახალხო დამცველის აპარატის საქმეები №704-04-6 (6.02.2019), 13174/19 (18.10.2019) და 5792/19 (2.05.2019).

აღნიშნული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების პროცედურულ რეალიზებას უკავშირდება „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 21[42]-ე მუხლი, რომლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ ან უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ. ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია, რომ მოსამართლე უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცეს ბრძანება უცხოელისთვის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, გაძევების თაობაზე წარმოებაში არსებული განცხადებების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმით, მიგრაციის დეპარტამენტი სასამართლოს ალტერნატიული ზომის გამოყენების შესახებ შუამდგომლობით არ მიმართავს. კერძოდ, 2018 წელს საქართველოდან, გაძევების მიზნით, დააკავეს და დროებითი განთავსების ცენტრში მოათავსეს 87, ხოლო 2019 წელს - 88 უცხოელი, მათგან სასამართლომ 2018 წელს - 4, ხოლო 2019 წელს ერთ შემთხვევაში გამოიყენა დაკავების ალტერნატიული ზომა.[1113]

ამრიგად, სასამართლო თავისუფლების აღმკვეთ ნაკლებად მძიმე ზომას მიგრანტების მიმართ მკაცრად ლიმიტირებულ შემთხვევებში იყენებს. მიუხედავად მცდელობისა, სახალხო დამცველის აპარატმა ვერ შეძლო მოეპოვებინა ინფორმაცია კონკრეტული წინაღობების/მიზეზების თაობაზე, რომელთა საფუძველზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ მიმართავს სასამართლოს უცხოელისათვის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ.[1114]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ყურადღებას ამახვილებს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ პირის დაკავება და თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს როგორც საგამონაკლისო წესი, დაშვებული მხოლოდ კანონის საფუძველზე და შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში.[1115] გაეროს სპეციალური მომხსენებელი მიგრანტების უფლებების საკითხებში, აღნიშნავს, რომ შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან, ყოველთვის განიხილონ დაკავების ალტერნატივა (არასაპატიმრო ღონისძიებები) მანამ, ვიდრე პატიმრობას გამოიყენებდნენ. აუცილებელია დეტალური ინსტრუქციების მიცემა

[1113] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 24 იანვრის №MIA 2 20 00199006 წერილი.

[1114] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 16 მარტის №MIA 9 20 00692285 წერილი.

[1115] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხ. 9(1); საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ, მუხ. 16(4); ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-5 მუხლი.

და შესაბამისი ტრენინგების შემუშავება მოსამართლეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეებისათვის, როგორებიცაა პოლიცია, სასაზღვრო და მიგრაციის ოფიცერი, არასაპატიმრო ღონისძიებების სისტემურად გამოსაყენებლად.[1116] იძულებითი დაბრუნების შესახებ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ მაშინ უნდა მიმართონ, როდესაც სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოები დაკავების აუცილებლობის სრულფასოვანი გამოკვლევის შედეგად დაასკვნიან, რომ უცხოელის გაძევების კანონიერი მიზანი ისე ეფექტიანად ვერ იქნება აღსრულებული, როგორც დაკავების ალტერნატიული ზომის გამოყენების შემთხვევაში.[1117] ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს და, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უცხოელის მიმართ გაძევების საქმისწარმოების დაწყების დროს, პირველ რიგში შეაფასოს დაკავების და დროებით განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომების გამოყენების საკითხი და მხოლოდ მათი არაეფექტიანად მიჩნევის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკავების და დროებით განთავსების ცენტრში მოთავსების, როგორც ყველაზე უფრო მკაცრი თავისუფლების შემზღუდველი ზომის გამოყენების, თაობაზე. საყურადღებოა, რომ მიგრაციის დეპარტამენტი ფლობს და ამუშავებს გასაძევებელი უცხოელი პირის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას (პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი, ფინანსური მდგომარეობა და სხვ.),[1118] რომლებიც ზემოხსენებული პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად, ასევე შესაძლებელია იქნეს გამოყენებული. ამდენად, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავისი პრაქტიკა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულირებას შეუსაბამოს.

29.2. მიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

წინა წლების[1119] მსგავსად, 2019 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, უცხოელისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის კანონიერებასთან დაკავშირებული არაერთი განცხადება მიიღო წარმოებაში.[1120] ამ საქმეების შესწავლის შედეგად ჩანს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უცხოელებს „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების“

[1116] სპეციალური მომხსენებლის, მიგრანტების უფლებების საკითხებში, ანგარიში მიგრანტთა უფლებების შესახებ, პარ. 53, 2012 წლის 2 აპრილი, A/HRC/20/24.

[1117] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ოცი სახელმძღვანელო პრინციპი იძულებითი დაბრუნების შესახებ, სახელმძღვანელო პრინციპი 6 § 1, 2005 წელი.

[1118] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს №631 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

[1119] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 და 2018 წლის ანგარიშები, თავი: „მიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა“.

[1120] 2019 წელს სახალხო დამცველის აპარატმა წარმოებაში მიიღო 5 განცხადება.

საფუძვლით[1121] ეუბნება უარს ქვეყანაში შემოსვლაზე და რომელიმე სხვა საკანონდებლო ნორმაზე არ მიუთითებს. საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმა მითითებითია და ცალკე არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, ამდენად, მისი გამოყენებისთვის უნდა არსებობდეს კანონით განსაზღვრული კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უცხოელი პირი საზღვრის გადმოკვეთის შეზღუდვას დაექვემდებარება.
საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით პრობლემურია სრულფასოვანი მონაცემთა ბაზების არარსებობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით,[1122] 2019 წელს 25 548[1123] უცხოელს შეეზღუდა საქართველოში შემოსვლა, თუმცა სამინისტროს არ გააჩნია მონაცემები ამ პირების მოქალაქეობრივი კუთვნილებისა და უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, მათ შორის, რამდენს ეთქვა უარი ქვეყანაში შემოსვლაზე ზემოაღნიშნული პრობლემური საფუძვლით.

არსებულ ვითარებაში ფაქტობრივად შეუძლებელია შეფასდეს, თუ რამდენად მასშტაბურია ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმა და ადგილი აქვს თუ არა მოქალაქეობრივი კუთვნილების მიხედვით შესაძლო დისკრიმინაციულ მოპყრობას. სრულფასოვანი სტატისტიკური მონაცემების წარმოება, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, ვინაიდან საზღვრის კვეთის შეზღუდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის კუთხით გაჩენილი ეჭვებისა თუ კითხვების გაქარწყლება სწორედ მონაცემების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

2019 წელს[1124] სახალხო დამცველის აპარატში შენარჩუნდა უცხოელ პირთა მომართვიანობა[1125] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის არგუმენტით[1126] ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერებასთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველმა თითოეულ განცხადებაზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოითხოვა სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაცია და მოპოვებული მონაცემების შესწავლის შედეგად, არცერთ შემთხვევაში არ დადგენილა უცხოელის უფლებების დარღვევის ფაქტი. ქვემოთ წარმოდგენილია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული 2019 წლის სტატისტიკური

[1121] იხ. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი.
[1122] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 24 იანვრის №MIA 2 20 00199006 წერილი.
[1123] იქვე, აღნიშნულ მონაცემში საშუალო სტატისტიკური ცდომილების ზღვარი +/-2,4%-ს შეადგენს.
[1124] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2017 და 2018 წლის ანგარიშები, თავი „მიგრანტთა უფლებრივი მდგომარება".
[1125] 2019 წელს სახალხო დამცველის აპარატმა წარმოებაში მიიღო 13 განცხადება.
[1126] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტები.

ინფორმაცია ბინადრობის ნებართვის გაცემის, უცხოელი პირების მოქალაქეობრივი კუთვნილებისა და სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძვლის გამოყენებასთან დაკავშირებით.[1127]





[1127] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 იანვრის № 01/22116 წერილი.

წინამდებარე სტატისტიკური მონაცემებით დგინდება, რომ სტატუსის მინიჭებაზე უარის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა 93% სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საფუძველს უკავშირდება. ცხადია, სახელმწიფოს მხრიდან დასახელებული ლეგიტიმური მიზნის დაცვა განსაკუთრებულად მაღალ საჯარო სიკეთეს წარმოადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლეგიტიმური მიზნის არსებობა თითოეულ საქმეში დასაბუთებული უნდა იყოს, რათა საჯარო ინტერესების ხარჯზე, გაუმართლებლად და არაპროპორციულად არ შეიზღუდოს უცხოელ პირთა კანონიერი ინტერესები.

29.3. სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგი

საქართველოში უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურ მონიტორინგს უწევდა სახელმწიფო საზღვარს. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი ჩატარდა შემდეგ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილებებში: „სარფი", „ბათუმის აეროპორტი", „ქუთაისის აეროპორტი", „დარიალი" (ყაზბეგი), „ვალე", „სამება" (ნინოწმინდა), „წითელი ხიდი", „გეგუთი", „სადახლო", ასევე, წლის განმავლობაში ჩატარდა 25-ზე მეტი ფრენის მონიტორინგი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში. ვიზიტები შედგა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებში, სექტორების ჩათვლით. ვიზიტების დროს გაიმართა შეხვედრები და გაიცვალა ინფორმაცია საზღვრებზე თავშესაფრის მაძიებელთა გამოვლენის/იდენტიფიკაციის, ქვეყანაში შემოსვლაზე უარის შემთხვევებსა და მიზეზებზე, ასევე, შესაბამისი უწყებების პასუხისმგებლობაზე.

მონიტორინგისას ყურადღება გამახვილდა საზღვარზე სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების შეყოვნებასა და საპასპორტო კონტროლის დამატებით შემოწმებაზე. გამოვლინდა, რომ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს აქვთ ინფორმაცია თავშესაფრის კანონმდებლობასა და პასუხისმგებელ უწყებაზე, თუმცა გაუმჯობესებას საჭიროებს ორმხრივი ბრძანების (ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს) ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არეგულირებს თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიკაციის, სახელმწიფო საზღვარზე მიღების, მათი გადაცემისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის წესს. ასევე, მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა სასაზღვრო პოლიციის რომელიმე სექტორიდან თავშესაფრის მაძიებელი პირის გადამისამართების შემთხვევა, მაშინ როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული თავშესაფრის მაძიებელმა პირებმა 2 შემთხვევაში აცნობეს აპარატს, რომ

მათ მოთხოვნას თავშესაფრის შესახებ, საზღვარზე არ მიექცა ყურადღება და მათ წინააღმდეგ, საზღვრის უკანონო კვეთის გამო, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

მონიტორინგის საწყის ეტაპზე გამოვლინდა, რომ იმ უცხოელებს, რომლებსაც საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვათ, საქართველოდან უკან გამგზავრებამდე, საკვებითა და სასმელი წყლით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები კეთილის ნების საფუძველზე, საკუთარი ან/და ამ უცხოელების სახსრებით უზრუნველყოფდნენ. ამდენად, უცხოელი პირები სახელმწიფოს მიერ სამართლებრივ დონეზე არ ყოფილან დაცულები შეყოვნების პერიოდში უკან გამგზავრებამდე არსებობისათვის აუცილებელი მინიმალური გარანტიებით. დადებითად უნდა შეფასდეს 2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უცხოელ პირთა კვებით უზრუნველყოფის წესის[1128] დამტკიცება, რომელთაც ინსპექტირების შედეგად უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე და უკან გაბრუნების მიზნით განთავსებულნი არიან სასაზღვრო კონტროლის ზონაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. სამინისტროს ინფორმაციით,[1129] უცხოელ პირთა საკვებით უზრუნველყოფის ახალი რეგულაცია ამ ეტაპზე მხოლოდ თბილისის აეროპორტში მოქმედებს და ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებთან. ზემოხსენებული წესის რეალიზაცია დაკავშირებულია უცხოელ პირებთან მიმართებით ისეთი ფუნდამენტური უფლების დაცვის ვალდებულებასთან, როგორიცაა ადამიანის ღირსება და პატივი. ამდენად, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოიყენებს მის ხელთ არსებულ კანონიერ მექანიზმებს და მომავალ წელს კვებით უზრუნველყოფის ახალ წესს ქვეყნის ყველა საერთაშორისო აეროპორტში დაამკვიდრებს.

საპატრულო პოლიციის გამშვები პუნქტებისა და სასაზღვრო პოლიციის სექტორების კეთილმოწყობის საკითხიც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მხოლოდ რამდენიმე სასაზღვრო გამტარი პუნქტი აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. გამშვები პუნქტები არ არის აღჭურვილი სპეციალური გასაუბრების ოთახებით. ხშირ შემთხვევაში გასაუბრება მიმდინარეობს საკონფერენციო ან ცვლის უფროსის ოთახში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი კონფიდენციალური გარემო. პრობლემურია საზღვრის კვეთის დროს, სხვადასხვა მიზეზით შეფერხებული მგზავრის დაკავების ოთახიც. როგორც მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმე საზღვრის შენობაა უზრუნველყოფილი იზოლირებული დაკავების ოთახით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ნაკლებად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. უცხოელ მგზავრთა უფლებების უზრუნველყოფასთან ერთად, ინფრასტრუქტურული საკითხების მოწესრიგება სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე მომუშავე პატრულ-ინსპექტორების სათანადო შრომითი პირობებით უზრუნველყოფისთვის არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, რამდენიმე წელია მიმდინარეობს და დღემდე არ დასრულებულა საპატრულო პოლიციის სასაზღვრო-

[1128] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 26 აგვისტოს №1/404 ბრძანება.
[1129] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 24 იანვრის №MIA 2 20 00199006 წერილი.

სამიგრაციო კონტროლის განყოფილებისათვის - „სამება“ შენობის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა იქ მომუშავე პატრულ-ინსპექტორების საკმაოდ მძიმე სამუშაო პირობებს მკაცრი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- მიიღოს ახალი ბრძანება, რომელიც ჩაანაცვლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთობლივ ბრძანებას და ახალი ბრძანებით მკაფიოდ განსაზღვროს საპატრულო და სასაზღვრო პოლიციის უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები თავშესაფრის მაძიებელი პირის საზღვარზე მიღებისა და გადამისამართების შესახებ
- წლის განმავლობაში დაგეგმოს და გადაამზადოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა ის რაოდენობა, რომელიც ყოველ შესაბამის ერთეულში უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებელთა მოთხოვნის გამორკვევის პრაქტიკის გაუმჯობესებას
- პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, შეუდგეს საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას უცხოელი პირის მოქალაქეობრივი კუთვნილებისა და საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის მითითებით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონეებისათვის, უზრუნველყოს თავშესაფრის პროცედურაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, თავშესაფრის მაძიებლობაზე სპეციალური განცხადების ასლების გადაცემის გზით;
- სოციალური სამსახურის თანამშრომელთა გადამზადების პროგრამებში გაითვალისწინოს თავშესაფრის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები.

30.მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში პირველად დაეთმო ცალკე თავი მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობას. მიმდინარე წელს აპარატმა კვლავ განაგრძო ამ მიმართულებით მუშაობა და ძალიან დაბალი მომართვიანობის[1130] მიუხედავად, ანალიტიკური და პროაქტიული ფორმით ატარებდა მონიტორინგს. 2020 წლის 15 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე 559 პირია[1131] რეგისტრირებული.

მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის პრობლემად რჩება საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, სტატუსის დადგენის მოთხოვნის უფლების აკრძალვა,[1132] მოქალაქეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შეზღუდვა,[1133] სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შეზღუდვა,[1134] აგრეთვე, უსახლკარო მოქალაქეობის არმქონე პირების იმ მუნიციპალური პროგრამებიდან გამორიცხვა, რომლებიც მიზნად ისახავს უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფას.[1135] აღნიშნული საკითხები დეტალურად არის

[1130] 2019 წელს აპარატში მხოლოდ ერთი განცხადება შემოვიდა.

[1131] სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 იანვრის №01/22116 წერილი.

[1132] „საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №523 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „სტატუსის დადგენის მოთხოვნის უფლება აქვს საქართველოში მყოფ ნებისმიერ პირს, საქართველოში მისი ყოფნის კანონიერების მიუხედავად, რომლის მიმართ არ არის გამოტანილი საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილება".

[1133] „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებისა, არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას".

[1134] „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის დასანიშნად პირი უნდა ფლობდეს მუდმივი ბინადრობის ნებართვას. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა გაიცემა 3 წლის ვადით. მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით ან რომელიც 1993 წლის 31 მარტისთვის მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში, საქართველოს მოქალაქედ არ ჩაითვალა და 1993 წლის 31 მარტის შემდეგ არ მოხსნილა საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან, ბინადრობის ნებართვა გაიცემა მუდმივი ცხოვრების უფლებით".

[1135] მაგალითად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების დანართი №1 მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, უსახლკარო პირად დარეგისტრირება და დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვისაა ხელმისაწვდომი.

განხილული საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში[1136], თუმცა არცერთი ამ მიმართულებით მდგომარეობა, სამწუხაროდ, არ შეცვლილა და არ გაუმჯობესებულა.

2019 წლის ოქტომბერში, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირებისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ ნებაყოფლობითი ვალდებულებები წარადგინა. აღებულ ვალდებულებებს შორის მოხვდა ის პრობლემური საკითხებიც, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში[1137] განიხილა და მათ გადასაჭრელად შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს კონკრეტული რეკომენდაციები მისცა. კერძოდ, დოკუმენტში შეტანილია ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულებები, როგორიცაა მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების ხელშეწყობა და ამ მიზნით კანონით დადგენილი 10-წლიანი ვადის განახევრება,[1138] მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის მომსახურების საფასურის განახევრება,[1139] აგრეთვე, სტატუსის დადგენის პროცესში ადმინისტრაციულ ორგანოსა და საერთო სასამართლოებში უფასო

აგრეთვე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის (ს/კ 406153111) სამოქმედო ინსტრუქციების, მიუსაფარი პირის ხელწერილის ფორმისა და მიუსაფარ პირთა თავშესაფარში რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 2 ოქტომბრის №18.813.1186 განკარგულების დანართი №1 პირველი მუხლის მიხედვით ე.წ. ლილოს თავშესაფრის სერვისებით სარგებლობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ.

[1136] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, თავი: „მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა", გვ. 333.

[1137] იქვე.

[1138] „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანხმად, საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად პირი ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრების წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს. დასახელებული ნორმა მოქალაქეობის არმქონე პირებთან მიმართებით, რაიმე სახის საგამონაკლისო ჩანაწერს არ ითვალისწინებს.

[1139] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილების მე-2 მუხლის 45-ე პუნქტის თანახმად: „მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენისათვის - მომსახურების საფასური შეადგენს 50 ლარს". ამავე დადგენილების მე-8 მუხლის 6^1 პუნქტის მიხედვით, მოქალაქეობის არმქონე პირები მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდებიან მომსახურების საფასურის გადახდისაგან, „თუ განცხადების განხილვის საფუძველია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართვა იმ პირთან დაკავშირებით, რომელიც იმყოფება ამ ორგანოს მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ".

იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფა.[1140] საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ზემოხსენებულ აქტივობას და იმედს გამოთქვამს, რომ ხელისუფლება შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში ფუნქციონირებს მოქალაქეობის არმქონეობის სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოში მოქალაქეობის არმქონეობის შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად, სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება და კომისიისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში 2019 წელს, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული პრობლემური საკითხები განიხილეს.[1141] სამუშაო ჯგუფის საქმიანობამ მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესებზე, ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმა, იყოს აქტიური და შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით რეალური შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული.

პრობლემაა ისიც, რომ მოქალაქეობის არმქონეობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის[1142] მოქმედების ამოწურვის მიუხედავად, ახალი სამოქმედო გეგმა ჯერაც არ შეუმუშავებიათ. შექმნილ ვითარებაში გაურკვეველია სახელმწიფო ხედვა, ერთი მხრივ, 2020 წელს ან/და შემდგომ წლებში, რა ღონისძიებები გატარდება გლობალური სამოქმედო გეგმით[1143] განსაზღვრულ ამოცანებზე საპასუხოდ და, მეორე მხრივ, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მქონე პირებისთვის საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების ხელშეწყობის მიზნით,

---

[1140] მოქალაქეობის არმქონე სტატუსის მაძიებელი პირი ვერ აკმაყოფილებს „პირის გადახდისუუნარობის დადასტურების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის №424 დადგენილების მე-2 მუხლით დადგენილ გადახდისუუნარობის კრიტერიუმს, ვინაიდან მას არ მიუწვდება ხელი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციაზე.

[1141] შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 28 მაისს.

[1142] დამტკიცებულია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მოქალაქეობის არმქონეობის 2017 წლის 28 დეკემბრის შეხვედრის ოქმი.

[1143] „მოქალაქეობის არმქონეობის დასრულების შესახებ“ გაეროს გლობალური სამოქმედო გეგმა 2014-2024 წლებისთვის.

შემცირდეს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი საქართველოში ცხოვრების 10-წლიანი ვადა

- იმსჯელოს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველ ნაწილში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც კრძალავს მოქალაქეობის საკითხზე პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანებაში, პირდაპირ მიეთითოს საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, როგორც ბენეფიციარი, ბინადრობის ნებართვის ტიპის მიუხედავად.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას:

- დამტკიცდეს მოქალაქეობის არმქონეობის დასრულების 2020 და შემდგომი წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც მაქსიმალურად ფართოდ აისახება ღონისძიებები მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.